АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории, археологии и этнографии им. И.А. Джавахишвили

Н.А. Бердзенишвили

Вопросы истории Грузии

КНИГА IX

Материалы из архива автора

Издательство
«МЕЦНИЕРЕБА»

1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნ. ბერძენიშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

წიგნი IX

მასალები ავტორის არქივიდან

გამომცემლობა
«მეცნიერება»
1979

ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერის არქივში დაცული მასალების პუბლიკაციას. ამ ტომში შესულია ავტორის მიერ ათეული წლების განმავლობაში გაკეთებული შენიშვნები, მოსაზრებები და დებულებები ქართული საისტორიო ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული თხზულების ფაქტებისა თუ ისტორიული მოვლენების შესახებ. მასალა დალაგებულია „ქართლის ცხოვრების“ ავტორების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია: გ. აკოფაშვილი, მ. ბერძენიშვილი, ა. ბოგვერაძე, მ. დუმბაძე, დ. მეგრელაძე, შ. ხანთაძე, ედ. ხოშტარია, გ. ჯამბურია.

Ь $\frac{1604}{М\ 607(06)-79}$ 176—79

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

რედაქციისაგან

აკად. ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ IX ტომი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ განსვენებული მეცნიერის არქივში დაცული მასალების საფუძველზეა შედგენილი. მასზე ნ. ბერძენიშვილი, როგორც ირკვევა, დიდხანს მუშაობდა და ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის დაწერას აპირებდა. ერთი დიდი შეკვრა, რომელსაც მისი ხელით აწერია „შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ წაკითხვისას“, ჩანს, საფუძვლად უნდა დადებოდა ამ გამოკვლევას, რაც მას, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. ასეთივე ხასიათის მასალა აღმოჩნდა გაფანტული სხვა საქაღალდეებშიაც. საჭიროდ ჩავთვალეთ ყველა ამათი ამოკრება და ძირითად მასალასთან გაერთიანება.

ნ. ბერძენიშვილის „შენიშვნები“ ჩვეულებრივ დაწერილია სხვადასხვა ზომის ბარათებზე ან, უფრო იშვიათად, ფურცლებზე მელნით ან ფანქრით. ზოგჯერ გადმოღებული გვაქვს წიგნებშივე გაკეთებული მინაწერები, როცა არის მათში დამთავრებული აზრები და არა ავტორის ემოციების ან შთაბეჭდილების გამომხატველი ცალკეული სიტყვები. უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნული „შენიშვნები“ წინასწარი ძიების სახეს ატარებენ და არ არიან ავტორის საბოლოოდ გამართული მოსაზრებები და დაკვირვებები. ამის მიუხედავად, მათი გამოქვეყნება ამ სახითაც კი ნ. ბერძენიშვილის არქივის შემსწავლელმა კომისიამ საჭიროდ მიიჩნია.

აღნიშნული მასალა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ავტორებისა და მათი ტექსტების თანამიმდევრობის მიხედვით არის დალაგებული. რამდენადაც შესაძლებელი იყო, დაცულია წყაროთა მითითების ავტორისეული წესი და ამასთანავე, სიმოკლის მიზნით, საკუთარიც შევიმუშავეთ. მისი განმარტება მოცემულია შემოკლებათა ახსნაში. უცვლელად დავტოვეთ ის ტექსტები, ავტორისეული შესწორებებითა და პუნქტუაციით, რომელი გამოცემები-

თაც ის სარგებლობდა. ჩვენ მიერ შემუშავებული პირობითი სათაურები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ხშირად „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები ავტორს მოტანილი აქვს შესწორებებითა და საკუთარი წაკითხვებით, რაც ორგანულადაა დაკავშირებული მათ კომენტირებასთან და ამის გამო ისინი უცვლელად დავტოვეთ.

წინამდებარე ტომში შესული ყოველი ცალკეული ფრაგმენტის ბოლოს მითითებულია მისი საქაღალდის საარქივო ნომერი და ამ საქაღალდიდან გამოყენებული ფურცლები, ისევე, როგორც VII ტომში, საარქივო ნომერი მოცემულია წიგნადის სახით, რომელშიაც მრიცხველი აღნიშნავს კარადის, ხოლო მნიშვნელი საქაღალდის რიგით ნომერს. წიგნზე მითითებისას იგულისხმება, რომ ჩვენ მიერ აღრიცხული ფურცელი, სადაც ეს მოსაზრებაა გამოთქმული, ჩადებული იყო აღნიშნულ წიგნში. ფრაგმენტის ბოლოში თუ მითითებულია წყარო, ჯერ ვუთითებთ წყაროს, შემდეგ დაცულობის შიფრს, თუ წყარო არაა მითითებული — პირდაპირ დაცულობას. მოტანილ ტექსტებში ავტორი ზოგჯერ სიტყვებს აქარაგმებს ან ამოკლებს. ასეთებს ჩვენ სრულად ვწერთ მითითების გარეშე.

ამ მასალის ამოკრებაზე და მათ დალაგებაზე იმუშავეს დ. მეგრელაძემ და ა. ბოგვერაძემ. მათვე გამართეს ეს ტექსტი და რედაქცია და საძიებლებიც გაუკეთეს.

[შ ე ს ა ვ ა ლ ი]

ისტორიკოსის მიერ ამა თუ იმ ისტორიული წყაროს (დოკუმენტური თუ ნარატიულის) გამოცემა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ამ წყაროს ისტორიულ გააზრებას და საზოგადოებისათვის აგრე მიწოდებას. ისტორიული ძეგლის გამოცემა ფილოლოგიური ხერხებით არ შეიძლება იფარგლებოდეს. ისტორიკოსი გამომცემელი ძეგლის ფილოლოგიური დამუშავების გვერდით (აქაც ისტორიკოსობა აუცილებელია...) უნდა წ ყ ა რ ო თ მ ც ო დ ნ ე ისტორიკოსი იყოს, გამოცემადი ძეგლის ეპოქას, ძეგლში ასახულ საზოგადოებას იცნობდეს და წყაროში ასახული მოვლენების ასეთი ინტერპრეტირებით მიაწვდიდეს ძეგლს მეცნიერულ საზოგადოებას...

ყოველი ძეგლი (წყარო) ინდივიდუალური მთლიანია... ამ ინდივიდუალობის გამოვლინება-ჩვენება წყაროთმცოდნე გამომცემლის უპირველესი მოვალეობაა.

ასეთი გაგებისას, როგორ შეიძლება ერთმა კაცმა იკისროს „ქართლის ცხოვრების" კრებულის გამოცემა, თუ ის ფილოლოგიის ზოგადი ხერხებით არ შემოიფარგლება... (ქცა. II, ფ. 4).

„ქართლის ცხოვრების" თითოეული ისტორიკოსი ინდივიდუალური ავტორია, საკუთარი მსოფლმხედველობით, საკუთარი პოლიტიკური აზროვნებით, თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი მომენტებით. თითოეულ ავტორს საკუთარი ენა აქვს და საკუთარი გაგება მოვლენებისა (ქცა. II, ფ. 5).

გამოცემა აუცილებელია ცალ-ცალკე. აუცილებელია ცალ-ცალკე დახასიათება ძეგლის, ავტორის (მისი განათლება, სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა), — დაწერის დრო და პირობე-

ბი, ძეგლის ენის დახასიათება, სოციალურ-პოლიტიკური ცნებების განხილვა-დახასიათება, ლექსიკონი, საძიებლები. თუ ასე არა, ძეგლის ისტორიული ინდივიდუალობა იკარგება და როგორც წყარო სანახევროდ გამოუყენებელი ან ახლად შესასწავლი რჩება (ქცა, II, ფ. 7).

ყველაფერი ეს უნდა გათვალისწინებული იყოს ტექსტის დადგენისას, კომენტირებისას. თუ არა, ასეთი ერთიანი გამოცემისას იკარგება ყველა ეს მხარე და გამოცემა უბრალო მექანიკურ ფილოლოგიად იქცევა და, ცხადია, მძიმე შეცდომებისაგან, სწორედ ისტორიის გაუთვალისწინებლობის ნიადაგზე რომ წარმოიშვიან, დაზღვეული არ შეიძლება იყოს...

მაგალითად, განა ერთნაირად აღდგება ტერმინი X და XV საუკუნის ავტორებთან? განა ასეთ შემთხვევაში საკითხავთა ჩვენებანი გადაწყვეტენ საკითხს და სხვა მომენტები არ უნდა იქნენ გათვალისწინებული (თუნდაც საკითხავთა საწინააღმდეგოდ??.) (ქცა. II, ფ. 5).

ავთანდილის ან ტარიელისათვის და თვით შოთასათვის რომ საქართველოს ისტორიის დაწერა დაევალებინათ, ეს იქნებოდა ან ლეონტი და ჯუანშერი. ან „ცხოვრება მეფეთა მეფისა", ან „ისტორიანი და აზმანი", თუ არა და ქამთაალმწერელი. გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის შვილს სხვა ისტორია არც შეეძლო დაეწერა. თუ არ ფეოდალების (გმირების, ბუმბერაზების, მამულიშვილების) შემოქმედება. ქვეყანა ორგანიზებული იყო (და ამ ორგანიზების საფარაჯოზე გამუდმებით ფხიზლად იდგნენ სწორედ ეს ფეოდალები — „მეფეები") „მუშა მიწყივ მუშაკობდა, ქარავანი ქარავნობდა, მეომარი გულოვნობდა". ამ წესს იცავდა ფეოდალური კლასი, ისე რომ „თხა და მგელი ერთად ძოვდა". იმ ცხოვრების ზედაპირზე, მის სარბიელზე, ბუნებრივია, ფეოდალი ჩანდა ცხოვრების წარმმართველად. ის იყო ამ საზოგადოების პატრონი, მისი მომწესრიგებელი, ის ებრძოდა შექმნილი ცხოვრების წესების დამრღვევთ, გარეშე მტერს, შინაურ მბორგალს, აღვირახსნილ მეკობრეებს, აწყარებდა მშვიდობას, მფარველობდა („ჯაბან") ვაჭრებს და ებრძოდა „მტერს" (ე. ი. ყველა იმას, ვინც მას ამ ბატონობაში შემოეცილებოდა).

ასეთი იყო საზოგადოებრივი ცხოვრება და ასეთივე იდეებისა, ბუნებრივია, უნდა ყოფილიყო მისი ისტორია. ჩვენი ისტორია —

„ქართლის ცხოვრება“ ხომ უბირი ქრონიკა არაა, რომ აქ ყოველგვარი ცნობები უმიზნოდ და უთავბოლოდ შემოყრილი იყოს. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ისტორიაა და მისი მისამართით საყვედური, თუ რატომ არის ის ფეოდალური ხანის გამართული ისტორია, რაღაც გაუგებრობაა. სასაყვედურო ის იქნება, რომ ის პრიმიტიული რამ, უწესრიგო, უმიზნო, გაუმართავი ყოფილიყო (ეს იგივეა, რომ ჩვენ ვუსაყვედუროთ რომელიმე ბოკლს, თუ რატომ არ არის ის სოციალისტური ხანის ისტორიკოსი).

დიმიტრი ბაქრაძე, ილია და სხვა სამოციანელები, რა თქმა უნდა, არ იყვნენ მართალი „ქართლის ცხოვრების“ შეფასებისას. მათ აეწყუდებოდათ, რომ „ქართლის ცხოვრება“ სამოციანი წლების იდეების საქადაგოდ კი არ იყო დაწერილი, არამედ თ ა ვ ი ს ი დ რ ო ი ს ა თ ვ ი ს, რომელსაც ის დიდის წარმატებით ემსახურებოდა...

ასევეა, თითქმის, დღესაც: საყვედურობენ „ქართლის ცხოვრებაში“ კლასობრივი ბრძოლა არ ჩანსო (ეს ჩვენ ვსაყვედურობთ). ქრონოლოგია აეწყობელიაო, ქართველთა უპირატესობას აცხადებსო (კრუპნოვი...)... გაუგებრობა, უსამართლობა, ტენდენციურობა. მე ჯერ არც ერთი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე არ ვიცი, რომელიც ჩვენს „ქართლის ცხოვრებას“ მის საკადრისს მაღალ ფასსა სდებდეს. ზოგი რასა სთხოვს, ზოგი რასა და არავინ ფიქრობს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრება“, რომ მას ქართველი ფეოდალური საზოგადოების, ქართველი ხალხის მომსახურება შეძლებოდა. განა უუგონიერესი (რომელიმე ლეონტი, ან ექვთიმე ათონელი, ან კახა თორელი, ან ბექა და ალბუღა ათაბაგები, ან, თუ გნებავთ, შოთა რუსთაველი თუ ჩახრუხაძე...) პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე სხვა რიგ ისტორიას დაწერდა? აკი, სამართლიანად მიიჩნევთ, რომ „ისტორიანი და აზმანი“ შოთას დაწერილია... ჩვენ სხვა რიგის ანგარიშები გვაქვს „ქართლის ცხოვრებასთან“: ჩვენ დიდი პატივითა და მადლიერებით უნდა გადაჭრით გადალახოთ ის, როგორც იდეური სახელმძღვანელო, ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი დროის „ქართლის ცხოვრება“ (ქეი, I, 1960, დაწერილია დაუნომრავ ფურცელზე).

[ლეონტი მროველი]

თარგამოსიანნი აუჯანყდნენ ნებროთს. ეონნენ. ჰაოსმა მოკლა ნებროთ. „განთავისუფლდეს ნათესავი თარგამოსისი და მან ჰაოს ჰყო თავი თჳსთა მეფედ ძმათა თჳსთა ზედა სხუათაცა ნათესავთა ზე მახლობელთა საზღუართა მისთასა ხოლო შვიდნივე ძმანი წარვიდეს თჳს თჳსად ქუეყანად და იყუნეს მოსარჩლე (უნდა მ ო რ ჩ ი ლ) ჰაოსისა“ (მდ. 3).

„ვ ე ფ ე“ ლეონტის არ ესმის აქ თავისი დროის მიხედვით (თუ ლეონტი XI ს-ის ნწერალია). მეფე აქ დამორჩილების მომენტს გამორიცხავს. ის არ შეიძლება სხვას მორჩილებდეს, მას სხვები მორჩილებენ. მაგრამ უფალსაც მორჩილებენ და ამავე დროს უფალი შეიძლება სხვას მორჩილებდეს. მორჩილებას გულისხმობენ უფალიც და მეფეებიც, მაგრამ უფალი შეიძლება სხვას ემორჩილებოდეს, ხოლო მეფე კი არა. XI ს-ის მეფე ასეთი არ იყო (ᲪᲐ, 425).

ხაზართა „წარტყუენეს ქუეყანანი თარგამოსანთა, და შემუსრეს ყოველნი ქალაქნი ა რ ა რ ა ტ ი ს ა და მასისანი და ჩ რ დ ი ლ ო ს ა ნ ი და დაურჩეს ციხე-ქალაქნი: თუხარისი, სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა [ქართლი] და ეგრისი“. (ან. 7).

ლეონტის „ჩრდილო“ — ეს სპარსული თვალსაზრისია, რომლითაც საქართველო (ამიერკავკასია) ჩრდილოეთად იყო წარმოდგენილი.

აქ ამ ამონაწერში ა რ ა რ ა ტ ი ფ ა რ თ ო ქ ვ ე ყ ნ ა დ ა რ ი ს გ ა გ ე ბ უ ლ ი, ისე როგორც მასისიც [ძველისძველი ამბის გადმონაშთი რაიმე ხომ არაა].

ასეთივე გაგებით იხმარება უფრო გვიან არაბული „არმენია“... (წ ან., ფ. 27).

ლეონტი თვითონ ვერ იცავს მის მიერვე მიღებულ ცნებებს ქართლისას, კახეთისას, ჰერეთისას, ეგრისისას.... ქართლი მას ქართ-

ლოსის წილს იქითაც გადააქვს და ჰეროსის და ეგროსის წილსაც ქართლში ათავსებს... მაინცდამაინც მერყეობს, ასევე კახეთ-ჰერეთის შესახებაც... სრული გაუგებრობაა, რა თქმა უნდა, აქარის ზღვაძდი. მიტანა იმ უძველეს დროისათვის... ასეთი რამ მას ემართება იმიტომ, რომ ავტორს ხელთ აქვს საკმაოდ ძველი წყარო, რომელსაც ავტორის დროის გეოგრაფიულ-პოლიტიკური ცნებები აღარ ემთხვევა...

აგრევე: ავტორს მოეპოვება ძველი ცნობა ქართლის სახელმწიფო წყობილების სპარსულობის შესახებ. ბოჰყავს ის, მაგრამ ურთავს მრავალ ახალს, „რაციონალურს"... ურთიერთობა მეფესა და ერისთავებს შორის წმინდა ფეოდალურია. განდგომებით, უცხოთა მოწვევით და ა. შ., რაც აგრე დამახასიათებელი იყო X—XI საუკუნეთათვის... ერისთავნი ქართლის მამაპაპური რჯულის დარაჯნი. რჯულიდან გადამდგარი და უცხო რჯულისადმი მიდრეკილი მეფის წინააღმდეგ აჯანყებულნი...

ლეონტის დროის იდეოლოგიური ბრძოლის გამოკრთომაა (წ. ბარ. ფ. 57).

ლეონტის დათარიღებისათვის დამახასიათებელია, რომ ის უკვე ხმარობს ტერმინს ყ ო ვ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი (ან. 4), რომელიც მისი აზრით, ვრცელდება „ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა". ასეთი გამოთქმა „ყოველი ქართლი" გულისხმობს „ს ა კ უ თ რ ი ვ ქ ა რ თ ლ ს", უდავოს და კიდევ სხვა ტერიტორიას, რომელიც აგრევე ქართლად არის ჩათვლილი. ქართლის ასეთი გაგება X—XI საუკუნეთა მანძილზე წარმოიქმნა (შდრ. გიორგი მერჩულის განმარტება...).

რომ იმ დროს, რომელსაც ლეონტი აქ ვარაუდობს (წინა ქრისტიანული ხანა) „ზღუადმდე სპერისა" ქართლი არ ვრცელდებოდა, ეს თითქოს სადავო არაა (მესხებს რომ თავი დავანებოთ, აქარა-ნიგალი რომ IX საუკუნეშიაც კი ქართლი არ იყო, ეს თითქოს სადავო არაა... აშოტის სიკვდილი... კორიდეთის სახარების მინაწერები...).

აქვე (16) ლეონტი „ყ ო ვ ე ლ ქ ა რ თ ლ შ ი" კლარჯეთსაც გულისხმობს, ფარნავაზმა „დაიპყრა ყ ო ვ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი: თ ჳ ნ ი ერ კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა".

ქართლში შედის ლეონტის გაგებით თუხარისი, ე. ი. ჰოროხის ხეობა (აქვე, 12).

აქვე (16) ანტიოქოსმა ფარნაოზს „შ ე ი ლ ა დ თუისად უწოდა"

(ვ. ი. ყმად). ეს საერთაშორისო მოვლენა ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელია და ლეონტის ნაგვიანევობას შეიძლება მოწმობდეს... (წ. ბარ. ფ. 48).

ლეონტის საქართველო სავსებით გამოკვეთილ ცალკე ერთეულად წარმოუდგენია. ეს ქ ა რ თ ლ ი არის სწორედ ის საქართველო, X—XI საუკუნეში რომ საბოლოოდ ჩამოინაკვთა... ლეონტის ცნობები რომ მცირედ მაინც ეთანხმებოდეს უცხოურ (თითქოს სანდო) ცნობებს, ჩვენ გვექნებოდა უფლება გვერწმუნა მისი... ასეთ პირობებში კი, როგორც ჯერჯერობით გვაქვს, ჩვენ უფლება არა ვვაქვს ლეონტი VIII საუკუნისად ვიცნოთ. ასეთი შეხედულება იმ დროს, ჩვენი მონაცემების მიხედვით, შეუძლებელია. ლ ე ო ნ ტ ი უ დ ი დ ე ს ი პ რ ო ბ ლ ე მ ა ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა... (წ. ბარ., ფ. 69).

ის გარემოება, რომ ფარნავაზმა (ლეონტით) თავისი სამეფო მოაწყო „მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა" (ერისთავები, სპასალარები, ათასისთავნი და სხვ.), ხოლო ლეონტის ამ ცნობას ამართლებს მცხეთის წარწერიანი ბილინგვა, ეს გარემოება უდავო მოწმობაა იმისა, რომ იბერიის საზოგადოებრივი განვითარება ძირითადად იმავე ხასიათისაა, რაც არშაკუნიანთ ან სასანიანთ სპარსეთისა (წ. ბარ., ფ. 49).

საერთაშორისო დამოკიდებულების სამი სახეობაა ნაგულისხმევი:

1. ფარნავაზი ძ ღ ვ ე ნ ს მიართმევდა ანტიოქოსს და მსახურებდა მას. ანტიოქოსმა შ ე ი წ ყ ნ ა რ ა ძღვენი (ძღვნად და არა ხარკად), შ ვ ი ლ ა დ თვისად უწოდა ფარნავაზს, წარმოსცა გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა რათა შ ე ე წ ე ო დ ი ა ნ ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ს.

2. ქართლის ერისთავნი ბჭობენ: საურმაგ მოვკლათ და თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ვიქნებითო და თუ ვინმე მძლე აღმოჩნდეს, ხ ა რ კ ი მ ი ვ ც ე თ ო.

მეხარკე თავისუფლებას ხარკით ყიდულობს მძლავრისაგან (ამისთვის ტიპური მაგალითია ალექსანდრე კახთა მეფე და ოსმალეთი).

3. დაპყრობილია, ე. ი. ის, ვისაც თავი ხელად არ აქვს. თავისუფალი არაა (6/1, 12).

ის გარემოება, რომ ლეონტით „ნიკოფსი საზღვარსა ბერძნეთსა“ იმყოფება, რომ ეგრისწყალია საზღვარი, მოწმობს შეიძლება იმას, როგორი ვითარებაც შეიქმნა IX—X საუკუნეებში, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან განდეგილი ბერძნული ეკლესია აფხაზეთის სამთავარეპისკოპოსოს ინარჩუნებდა (ან. 26).

ლეონტის წყარო იმ ნაწილში, ქართლის საზღვრებს რომ შეეხება, ძველი არ შეიძლება იყოს: ქართლის სამხრეთი საზღვრები იგივეა, რაც შემდეგ, ფეოდალური ურთიერთობისას სულ მუდამ რჩებოდა — მტკვრისა და არეზის წყალგამყოფი ხაზი (წ. ბარ., ფ., 66).

მირიანმა ბარტომი მოკლა. „შემოვიდა ქართლად და რომელნიმე დამთომილ იყუნეს, [ერისთავნი] ქართლისანი ციხეთა და სიმაგრეთა შინა მისცა მათ ფიცი და აღთქმა და მოიყუანნა ყოველნი“... (მდ. 27—28).

ერისთავნი ციხეთა და სიმაგრეთა შინა. ფეოდალური ქვეყნის ზრდის გათვალისწინებით არაა წარმოსადგენი, რომ საერისთაოები დასაწყისში უფრო მსხვილი ტერიტორიული ერთეულები იყვნენ და შემდეგ შემცირდნენ. პირიქით სურათს იძლევა წყაროები... ყველისა და ოძრხესი, შავშეთისა და არტანუჯის, არაგვისა და ხევის, ქართლისა და თრიალეთის, რაჭისა და თაკვერის, დადიან-ბედიანი, — და რამდენი, არ ვიცით—, ხოლო XII—XIII—XIV სს. „მთავრები“ ხომ მხოლოდ ამას ამტკიცებს... (3/53, 77).

ალექსანდრე მაკედონელის დროდანო ვიდრე ადერკ ქართველთა მეფემდე (III—I სს.) „არა ჯდომილიყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილ იყუნეს ერისთავნი. მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აფლალან ბრძენი...“ (მდ. 31).

ლეონტის ეს ერისთავნი, რა თქმა უნდა, მარტო სამხედრო მოხელენი არ არიან. ისინი ისეთნივე არიან მისი აზრით, როგორიც იყვნენ ერისთავნი XI ს-ში (3/53, 77).

ლეონტის ერისთავები მეფეებს სვამენ... ისინი ადგილთა ერისთავები არიან. მამაპაპურ რჯულს იცავენ, მეფის თვითნებობას ებრძვიან... ეინც ერისთავებს მიიმხრობს, მისი საქმე გაჩარხულია. და, რაც ყველაზე უმთავრესია, ლეონტი არც ერთ შემთხვევას არ აღნიშნავს, რომ მეფე ერისთავებს სცვლიდეს. ერისთავები მკვიდრად სხედან თავთავიანთ საერისთაოში. თითოეული საერისთავო ვეებერთელა ტერიტორიაა... მეფის მომხრეები აზნაურები არიან, ერისთავები კი ოპოზიციას ქმნიან...

რეალურ-ისტორიული საეჭვოა აქ რაიმე იყოს. სამაგიეროდ, ლეონტის დროის სურათია მოცემული...

ასეთი სურათი ყველაზე უფრო შესაფერისია X—XI საუკუნის ურთიერთობისათვის ...(წ. ბარ., ფ. 67).

ნინომ „წარიყვანა იაკობ მღვდელი... მოიყვანნა კაცნი მთავარნი და მონათლნა“ (ქრ. 1, 32).

არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს არის უძველესი წყარო, სადაც მოხსენიებულია ერისთავი, რომ ეს არის პირველი მოხსენიება ერისთავისა [ჩვენ ლაპარაკი გვაქვს აქ წყაროზე, თორემ ალექსანდრე მაკედონელის აზოსაც ერისთავს უწოდებს „სინოდის კანტორის გუჯარი“ № 286 (იხ. აქვე, 11), ასევე ლეონტი მროველი ერისთავებს უჩვენებს ფარნავაზის მეფობაშიც და შემდეგ...], მაგრამ, ეს მტკიცება კი შეიძლება, თითქოს ეს არის ერთი უძველეს წყაროთაგანი, სადაც რეალური ერისთავია დასახელებული. ამ ცნობის ავტორი გულისხმობს, რომ ასეთი ერისთავი არაერთი იყო მირიან მეფის განკარგულებაში „ნინომ წარიყვანა ერისთავი ერთი. ნინოს გვერდით ეს ერისთავი მეფის ნების განსახიერება იყო, მირიან მეფის მოხელე, მისი ნების შემსრულებელი. არა ჩანს, რომ ეს ერისთავი მაინცადამაინც ამ მხარის (წობენ-მთიულთ. ჭართალ, ფხოვის თუ ერწო-თიანეთის...) ადმინისტრაციული თუ სამხედრო მოხელე ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ ასეთ რამეს აღუნიშვნელს არ დატოვებდა ცნობის ავტორი. ეს გარემოება თვით მის (ამ ერისთავის) სახელშიაც იჩენდა თავს („მთიულთა ერისთავი“ თუ სხვა). ეს ერისთავი მეფის კარიდან მივლინებული მოხელეა, რომელსაც თან ახლავს ერი (ჯარი), რომლის თავიც ის არის. ასე რომ, ეს ერისთავი პირდაპირი მნიშვნელობის ჯარის უფროსი გამოდის, რომელსაც დავალებული აქვს მეფისაგან ნინოს დაცვა და ქრისტიანობის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა სამხედრო ძალით [ლეონტი მროველის ერისთავისაგან ეს ერისთავი იმით განსხვავდება, რომ ლეონტის ერისთავი ტერიტორიული მოხელეა, საქვეყნოდ გამრიგეა, გარეთული მოხელეა, ეს კი კარის მოხელე ჩანს. თუ ეს სწორია, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა...]. და ეს მართლაც ასეა. ამას მოწმობს VI საუკუნის ბერძნული წყარო, რომელიც ასეთსავე „ერისთავს“ ხედავს ლაზთა მეფის კარზე და მას უდარებს ბიზანტიის კარზე ტაძრეულების უფროსს[1].

[1] ავტორს მიუწერია: სადღაც ცალკე მაქვს.

წობენი — წოვენი?
სოფენი — } სომხური
წოფქ — } წყاროები
წოვა — თუში. (ქრ. I, ფ. 43).

ფარნავაზის ერისთავები კლარჯეთს, აჭარას (სამცხით), მარგუს და ეგრისს ლეონტის ათარიღებენ. აქ უკვე ყოველი ქართლიც აღარაა: არგვეთ-ეგრისი ქართლოსის ძმის ეგროსის წილი იყო და არა ქართლოსის ჩამომავლობისა. ასეთი დანაწილება არგვეთ-ეგრისის და ყოველ ქართლში შემოტანა X—XI საუკუნის საქმეა, როცა ქვეყნის გაერთიანების ნიადაგზე ქართლის ახალი, ვრცელი გაგება შემოვიდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების“...

VIII—IX საუკუნეში ასეთი წარმოდგენის შემუშავებისათვის საფუძველი არ იყო.

აქვე საყურადღებოა, რომ არგვეთის საერისთავოს დასავლეთი საზღვარი რიონია... (წ. ბარ., ფ. 73).

ნინომ „...წარიყვანა იაკობ მღდელი საბერძნეთით მოსრული და ე რ ი ს თ ა ვ ი ე რ თ ი“... (ქრ. 1, 39).

ამ რეალისტურ ისტორიულ სურათში ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ერ ი ს თ ა ვ ი ე რ თ ი. ეს ერისთავი მცირე ძალით არ ჩანს. თავისთავად საყურადღებოა, რომ წყაროს (ავტორს) საკმაოდ მიაჩნია აღნიშნოს ერისთავი, რომ მკითხველმა იგულისხმოს ერისთავი მისი ჯარით: ჩანს ერისთავი ტექნიკური გამოთქმაა და ნიშნავს ჯარის ერთეულს მისი უფროსით. ეს ერისთავი ტერიტორიული სამხედრო ერთეულის უფროსი არაა; ის თან დაჰყვება ნინოს სხვადასხვა ქვეყნებში (ქართლში, ერწო-თიანეთში, კუხეთში, კახეთში) ძლიერი სამხედრო ძალით და აშკარაა მეფის ბრძანების თანახმად მოქმედებს, მის იარაღს ემორჩილებიან, ინათლებიან, სალოცავებს აღარ იცავენ, ზოგნი გარბიან, იმალებიან.

მაშასადამე, ამ ერისთავს დიდი ძალა აქვს და არც ერთი რომელიმე ერთეულის ერისთავია იგი. მის ამ ძალაუფლებას გრძნობენ (ის „მცირედ“ წარმართავს მახვილს) და ყველგან სცნობენ, რომ ის მეფის ნების განსახიერებაა.

ასეთი ერისთავი, უნდა ვიფიქროთ, მეფის კ ა რ ზ ე მ ყ ო ფ ი ლ ა შ ქ რ ი ს, „ტაძრეულების“ უფროსი შეიძლება მხოლოდ ყოფილიყო (IX საუკუნის მწერალი ამას ვერ შეთხზავდა: მაშინ ეს ქვეყნები ურთიერთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. „მოქცევაჲ“,

უეჭველია, ძველ გადმოცემებს ემყარება, იბერიის ერთიანობის ხანისას, და, „ყოველი ქართლი“ (გვ. 39), თუ ეს წერილობითი ცნობაა ძველიდან შემორჩენილი, აქ ნიშნავს ი ბ ე რ ი ა ს, რომელშიაც კახეთიც შედის, კუხეთიც, ერწო-თიანეთიც და საკუთრივ ქართლიც. ე. ი. გამოდის, რომ IV საუკუნეში იბერიას ქართველები ქ ა რ თ ლ ს უწოდებდნენ (წ. მდ. ფ. 45).

კეისარმა „მისცა სპანი თრდატს (სომეხთ მეფეს. — ნ. ბ.) და გამოგზავნა სომხითს მამულსა თჳსსა და გამორავიდეს სომხითს, გამოასხნეს სპარსნი (var. სპანი) ე რ ი ს თ ა ვ ნ ი მირიანისანი“ (მდ. 53).

ერისთავი — დაპყრობილ ქვეყანაში დატოვებული მოხელე ხელისუფალი. ისევე როგორც მირიანს დაპყრობილ სომხეთში ჰყავდა ერისთავები, სპარსელებს დაპყრობილ ქართლში ჰყავდათ ხოლმე ერისთავები... [ასევე ჰყავდათ ხოლმე ერისთავები დაპყრობილ კახეთში აფხაზთ მეფეებს. ეს უკვე სანდო წყაროთი. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბაგრატ IV თბილისის კოშკებში თავისი ერისთავები შეაყენა. აქ ერისთავი ნახმარია ციხისთავის ნაცვლად... ეს შეიძლება ასეც იყო: ძველი ერისთავები იგივე ციხისთავები იყვნენ...] (³/₅₃, 508).

მართლაც რომ რაღაც უცნაური ჰიპერკრიტიკაა. XI საუკუნის განათლებული მწერალი, ისტორიკოსი გვეუბნება, რომ ჰერეთი არ შეადგენდა ქართლში, არ იყო ქ ა რ თ ლ ო ს ი ს წ ი ლ ი, არ იყო ქართველენოვანი, ისევე, როგორც ეგროსი ან სხვა რომელიმე. რა უკარნახებდა ასეთ რასმე მას. პოლიტიკურად ჰერეთიც და კახეთიც ამ დროს (XI ს.) ქართლში შემოდიოდა, ასევე ეგრისიც („აფხაზეთი“). ანავე დროს ლეონტი კატეგორიულად განასხვავებს მონათესაურობის თვალსაზრისით ყველა ამათ—კახები ქართლოსის შვილისად წარმოუდგენია, ჰერები კი ქართლოსის ძმის შვილისად, ისევე როგორც ეგრები. ეს იყო ფაქტი, რომელსაც ლეონტი ანგარიშს უწევდა. ეს ფაქტი გადმოცემებით იყო შემაგრებული და ლეონტის ახსნა სჭირდება, როგორც ჩანს, იმისა, რომ ჰერები და ეგრები აგრე ახლოს დგანან მის დროს (XI ს.) ქართებთან, უფრო ახლოს, ვიდრე ვთქვათ კავკასიანები ან ლეკები და სხვა.

ისტორიული უშუალო მეზობლობა და თანაცხოვრება (ილია...), ქრისტიანობა იყო ლეონტის აზრით ამის საფუძველი. ფრიად საინტერესოა, რომ ლეონტი ენის ერთობის მომენტს გამორიცხავს: ქართული ენა ძმებისა ქართული არ ყოფილა.

ასეთ ვითარებებს სპეციალურად ითვალისწინებს ლეონტი და

რა საბუთის ძალით ვუსწორებთ და მის ამ ისტორიულ სურათში, რაც საფუძველია მისი კონცეფციისა, შეგვაქვს შესწორება, რომ ჰერები ქართველების მოდგმისანი იყვნენ... თუ მეგრულის მიმართ ასეთი კორექტივის უფლება გვაქვს მეგრულ-ქართულის ერთობის საფუძველზე, ჰერულის ხომ არა ვიცით რა, ხოლო ტომობრივი დანაწილებულობა ლეონტის აძლევდა საკმაო საფუძველს, რომელსაც ჩვენ ნებისმიერად უკუვაგდებთ (წ. ქცა. I, ფ. 49).

ლეონტის დათარიღებისათვის დამახასიათებელია, რომ ის ქალაქს ნაგვიანევი გაგებით ხმარობს. ასევე დამახასიათებელია, რომ ის ერისთავს დიდი ტერიტორიების მმართველად გულისხმობს და არა მცირე ერთეულებისა, როგორც ეს ნამდვილად იყო ძველად. ლეონტის ერისთავები ეს გაერთიანებული საქართველოს ერისთავებია XI საუკუნისა...(?). (წ. ბარ., ფ. 67).

ბ ე ე ფ ი ქ რ ობ: ლეონტი მროველი (თუ ასეთი რამ ფსევდონიმი არაა) ავტორია როგორც „მოქცევისა" და მოქცევამდე, ისე ჯუანშერის თხზულებისაც და მთელი ეს ნაწარმოები შექმნილია ხორენელის მიხედვით ქართულ ხალხურ გადმოცემათა ნიადაგზე, ხალხურ ეტიმოლოგიათა ნიადაგზე, ხორენელის გავლენით. ამ ლეონტის, რა თქმა უნდა, წყაროებიც ჰქონდა... მაგრამ XI საუკუნის ამბები — ბერძნებთან ურთიერთობა და წიგნური რაციონალიზატორული მოსაზრებანი დიდ გავლენას ახდენდა იმ უძველესი სურათის შექმნაზე (ერისთავები, სპეპისკოპოსები)...

შეუძლებელია ყოფილიყო იმ უძველეს დროს კახეთის ერისთავი, ჰერეთის ერისთავი და ა. შ. საერისთავოები ბუნებრივად შემუშავდნენ, ისინი, პირველად მცირენი, თანდათან უნდა გაფსხვილებულიყვნენ და არა ისე, როგორც აქაა საქმე წარმოდგენილი, თითქოს ერთი მთლიანი ქვეყანა მისცა ვიღაცამ ფარნავაზს თუ ვახტანგ გორგასალს, რომელმაც დაყო ეს ქვეყანა ვეება საერისთაოებად, შემდეგ. მაგალითად, ერთი კახეთის ერისთავის ადგილას ჩვენ რომ პანკისის, კვეტერის..., ხოლო ჰერეთის ერისთავის ნაცვლად ოთხ ერისთავსა ვხვდებით (შტორის ერისთავი, ხორნაბუჯის ერისთავი, ვეჟინის ერისთავი, ჰერეთის ერისთავი). ასევე ერისთავი არტანუჯისა, ერისთავი ხიხათა, ერისთავი შავშეთის, ერისთავი თუხარისისა, ერისთავი ჯალაბისა... აქ (ლეონტისთან) გურიის ერისთავი მოხსენიებული არაა. ნამდვილად კი იქ სამი ერისთავი უეჭველად ჩანს. ასევე ჩანს საქმე მთიანეთ-ჯვეში, ლეონტით აქ ერისთავები არ არიან. ნამდვილად კი XVIII საუკუნეშიაც კი იქ ორი ერისთავია.

მერმე და ეს ერისთავები მთელი ქვეყნებისა — კახეთის, ქართლის, ჰერეთის, კლარჯეთის, აფხაზეთის, ეგრისის, — აშკარა ნაგვიანევი ამბავია. იყო უეჭველია პუნქტში მჯდომი მოხელე, რომელიც ამ პუნქტის ერისთავად იწოდებოდა (ციხის, ქალაქის სახელით) ქართლის, სამშვილდის, ხუნანის, ოძრჯის, კალმახის, თუხარისის, ახალქალაქის, რაჭის, არტანუჯის... (წ. ბარ., ფ. 51).

სომეხ-ქართველთა მიერ შეეიწროებულმა სპარსეთის მეფემ „მოუწოდა მთავართა სოფლებისათა პიტიახშთა და ერისთავთა სოფლებისათა დაყო განზრახვა. ხოლო იყო კრებულსა მას შორის წარჩინებული მთავარი სახელით ანკა“ (მდ. 44).

ტერმინი წარჩინებული აქ დამოუკიდებელი არაა, ის adverbum-ია. მაგრამ წინა შემთხვევებიდან ცხადია, რომ ეს ზმნიზედა მაინცდამაინც მთავრებს და ერისთავთ გულისხმობს. ის ცალკეც იხმარება... (²/₅₁, 189).

„ქართველი“, „სომეხი“, „ბერძენი“, „ასური“ საშუალო საუკუნეებში მხოლოდ ნათესაური მომენტის შემცველნი როდი იყვნენ. ამ ტერმინებში მათი სარწმუნოებრივი მომენტიც ისახებოდა...

ქართველთა ბრძოლა ბერძნებთან განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო. რელიგიით ესენი ერთნი იყვნენ [მაინცდამაინც ქართველები ბერძნულ სჯულს, ე. ი. იმას, რომელსაც ამ დროს ბერძნები იზიარებდნენ, — იჩემებდნენ. თუმცა, ბერძენთაგან განსხვავებით, ლათინებთან თავისებურ დამოკიდებულებას იცავდნენ — ზოგი რამ ლათინებისა უფრო მართებულად მიაჩნდათ. მეორე მხრით, ბერძნების მრავალგზის სხიზმას აღნიშნავდნენ და ქართულ ორთოდოქსალობას აღიარებდნენ...], მაგრამ ურთიერთშორის ეროვნული ბრძოლისას ეს სარწმუნოებრივი მომენტების განსხვავება ამაზე შორს არ წასულა და სარწმუნოებრივად „ქართველი“ „ბერძენს“ საბოლოოდ არ გამიჯვნია. მით უფრო საინტერესოა ქართველ-ბერძენთა ბრძოლა და ქიმში. ახლო აღმოსავლეთში ისე მოეწყო, რომ ყოველ ერს თავისი სარწმუნოებაც შეუმუშავდა: სომხური, ასურული, ბერძნული, აქვე მაჰმადიანური შია, სუნნა, ამაზე წინ მაზდეიზმი (სპარსული. არაბული). ამიტომ ეროვნული ბრძოლა (პოლიტიკური) სარწმუნოებრივ ელფერს ატარებდა. თანდათან ეს სარწმუნოებანი მის მატარებელ ხალხთა ეროვნული ნიშანი გახდა (და სარწმუნოებისაგან მოდრეკა სრულიად შეუძლებელი რამ შე-

იქმნა. ამ დროიდან მოკიდებული არც არავინ მიდრეკილა მასობრივად. თითოეული ერი მის წიაღში შემუშავებულს თუ მის მიერ საბოლოოდ გაზიარებულ ფორმას შეეგება, შეეყინა და თითოეული „მართლმადიდებელი“ იმას ამტკიცებდა, რომ ის იმთავითვე ამ მრწამსისა იყო და არასდროს მიდრეკილა მარცხულ გინა მარჯულ...). ქართველები და ბერძნები სარწმუნოებით ერთი ნაწნისანი იყვნენ. ეს გარემოება ქართველთათვის ხელსაყრელიც იყო და სახიფათოც. სახიფათო იყო იმით, რომ ბიზანტიელთა შემოტეევისას ქართველებს თავისი ეროვნული ინტერესების (სახის) დასაცავად რელიგიური მომენტი არ გამოადგებოდათ როგორც, მაგალითად, სომხებთან ბრძოლისას (ამ მხრით შეტად საინტერესოა XI საუკუნის 20—30-ანი წლების კრიზისი...). სამაგიეროდ, სომხებთან ბრძოლისას ქართველთა პოზიცია ძლიერი იყო. ქართველი სარწმუნოებრივად აღმოსავლეთის „ბერძენი“ იყო. ეს გარემოება მცირე მნიშვნელობისა არ იყო, რომ სომხები X—XI საუკუნეში აგრე მრავლად „ქართველდებოდნენ“.

ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა აღმოსავლეთში განსაკუთრებული იყო. მათ შორის ბრძოლა სარწმუნოებრივი მომენტისაგან თავისუფალი და, მაშასადამე, უფრო ძნელი (თავდაცვის თვალსაზრისით) უნდა ყოფილიყო. ნათესაობა, ჩვე

, ენა—ეს იყო „ქართველი“ ბერძნებთან ურთიერთობაში. და ქართველებმა სანაქებოდ შეძლეს თავი დაეცვათ. განავითარეს ენა („ქება“ იწყეს მისი, ღვთისმშობელი ქართულის საუცხოო მცოდნედ გამოიყვანეს...), უკუაგდეს ბარბაროსობა და ბერძნულს გაუთანასწორეს... ასე რომ ქართველები თავდასაცავად საკუთარ ნაჭუჭს კი არ შეფარებიან, არამედ ბრძოლა ღია ასპარეზზე მიიღეს, იარაღი გადაიხალისეს, მებრძოლ მხარეს გაუსწორდნენ... აღმოსავლეთში ბერძნები გახდნენ და ბერძენთა მემკვიდრეობის დაუფლებას შეეცადნენ... ეს ამბავი სხვა ფორმებში, სხვა პირობებში, სხვა შინაარსით მეორდება XIX საუკუნეში [და დიმიტრი ყიფიანი უფრო დაბლა დგას, ვიდრე გიორგი მთაწმინდელი ეროვნული ინტერესების გაგების მხრით...]. გვიანფეოდალური ხანის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, რომ ქართველი, სომეხი, თათარი, ურია მხოლოდ სარწმუნოებრივ მომენტს აღნიშნავს (ან უპირატესად სარწმუნოებრივ მომენტს). მაშინ როცა ძველად ესა თუ ის პირი იყო „ნ ა თ ე ს ა ვ ი თ ქ ა რ თ ვ ე ლ ი“, ახლა ისაა ს ჯ უ ლ ი თ ქ ა რ თ ვ ე ლ ი.

ლეონტის თეორიაზე უთუოდ დიდი გავლენა ჰქონდა ამ გარემოებას: ნათესავის დამახასიათებელი არის არა იმდენად სჯული,

<u>რამდენადაც ენა.</u> ენისათვის ასეთი როლის მიკუთვნებით აიხსნება ქართული ენის „ქება“ (იოანე ზოსიმესი) და X—XI საუკუნის მოღვაწეთა ზრუნვა ქართული ენის გამდიდრება-გაარისტოტელურებისათვის (პეტრიწი) (წ. ქცა, I, ფ. 50).

„მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყენა და სხუანი დასხნა მ თ ი უ ლ ე თ ს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (მდ. 23).

მრავალმხრივ საინტერესო ცნობაა. კერძოდ, ტერმინი „მ თ ი უ ლ ე თ ი“ შემორჩენილი ჰქონდა აწინდელი ზემო რაჭის ჩრდილო ნაწილებს, სვანეთის მფლობელობაში რომ იმყოფებოდა XV საუკუნის მიწურულამდე...

ვინ იცის, შეიძლება XV საუკუნის მიწურულსაც ამ მთიულეთში ისხდნენ დურძუკები და კავკასიის ნათესავნი, ისე როგორც ეს წარმოუდგენია ლეონტის... ეს „მთიულეთი“ XV ს-ში, რა თქმა უნდა, ასიმილირებულია სხვა „მთიულებივით“ (საკუთრივ მთიულეთი, დვალეთი, ქართლი, ფშავი, თუშეთი, რაჭის მთიულეთი, ლეჩხუმი)... (წ. ქცა. ფ. 47ბ).

ის გარემოება, რომ ლეონტი აგრე დაჟინებით განმარტავს ხოლმე სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებს, რომელთაც მისი ცნობით ძველად სხვა სახელი რქმევიათ, ხოლო შემდეგ („აწ“) მის დროს სხვა სახელი ჰქვიან, მოწმობს, რომ ავტორს რაღაც ძველი წერილობითი წყარო აქვს ხელთ. მაგრამ, თუ ამ „ძველ“ წყაროში „ბოსტან ქალაქი“ იყო, ჩანს, ის წყარო არც აგრე დიდად ძველი უნდა ყოფილიყო...

რომ ლეონტი VIII—IX საუკუნის მწერალი ყოფილიყო, საეჭვოა, ხაზარები მას ასე დაეძველებინა (ლეონტით ხაზარები ალექსანდრე მაკედონელის წინა დროს ებრძვიან თარგამოსიანებს...). ასეთი რამ შეეძლო ავტორს, რომელიც ხაზარებს არ მოსწრებია... (ხ ო რ ე ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ ი ს ე ს ხ ა). (წ. ბარ., ფ. 47).

სპარსელებმა ფარსმან ქუელი მოაწამებინეს, „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართუელთა წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი თ გ ა ნ ვ ი ვ ი ვ ე ... (მდ. 39).

აქ ეს გ ლ ა ხ ა მხოლოდ ქონებრივად შეუძლებელს არ უნდა ნიშნავდეს, ისე როგორც წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი არ ნიშნავს აქ მხოლოდ ქონებრივად შეძლებულს...

წარჩინებული ქონებრივ ნიადაგზე დაწინაურებული და უკვე პოლიტიკურად (eo ipso) განსხვავებულია.

გლახა ქონებრივად დამცრობილი და (eo ipso) პოლიტიკურადაც დამცირებულია...

წარჩინებული და გლახა ორი უკიდურესი ფენაა მაშინდელ საზოგადოებაში. ეს როდის? როცა ლეონტი წერს, თუ როცა ფარსმან ქველი მეფობდა??... (³/₅₃, 536).

ლეონტიც და ჯუანშერიც ერთნაირად დეტალურად იცნობენ ან უკეთ დეტალებს, რეალურს, გვაწვდიან მცხეთის შესახებ...

ლეონტის და ჯუანშერს ერთნაირი ფეოდალური ტერმინოლოგია აქვთ: მ ა მ ა — უფალი, პ ა ტ რ ო ნ ი: შვილი=მორჩილი ყმა.

ჯუანშერი ლეონტივით გაყოფს ეგრისს ორად: მარგუი და შიდა ეგრი.

ერთნაირი აქვთ შეხედულება ციხე-ქალაქზე... ძღვენზე, ნიჭზე... გამოთქმებიც კი ერთნაირი აქვთ. ისეთივე ბუმბერაზობა... (წ. ბარ. ფ. 61).

ის გარემოება, რომ ლეონტი, ისე როგორც ჯუანშერიც. „ცხოვრება“ ტერმინს ისტორიის შინაარსით ხმარობს, ერთი ყველაზე მძიმე საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ ეს ავტორი არ შეიძლება VIII—IX საუკუნის მწერალი იყოს (წ. ბარ., ფ. 60).

ის გარემოება, რომ ლეონტის ნეკრესი კახეთში ჰგონია—„კახეთს ქალაქს ნელქარისასა, რომელ არს ნეკრესი“ — მოწმობს, რომ ლეონტი იმ დროს ცხოვრობს, როცა ნელქარის-ნეკრესი მართლაც კახეთში (ე. ი. პოლიტიკურად კახეთში) იყო. ეს კი X საუკუნის მიწურულს აქვთ შეიძლებოდა მხოლოდ (წ. ბარ., ფ. 55).

ლეონტი XI ს-ში წერს, ხოლო ტაო სომხეთში ეგულება. ამ დროს კი ტაო უკვე სამასი წელი იყო, თუ მეტი არა, რაც ქართველთა ხელთ იყო. ეს გარემოება იმის მოწმობაა, რომ ლეონტი ძველი წყაროთი სარგებლობს (ხორენელი?) (წ. ბარ. ფ. 78).

ვარაზბაქარი მოკვდა. წვრილი შვილები დარჩა. ზრახვა ყუეს წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა ქართლისათა და დასვეს მისი სიმამრი მეფედ.

ამ წარჩინებულებში შედიან, რა თქმა უნდა, ერისთავებიც. პირ-

ველი ნაწილის ლეონტი ასეთ შემთხვევაში იტყოდა: ზრახვა ყველ ე რ ი ს თ ა ვ თ ა ქართლისათაო...

ეს იმის მოწმობაა, რომ მცირე ნაწილი მოქცევიდან დაწყებული სხვა პირისაა. პ. ინგოროყვათი კი ეს ნაწილი პირველს ეკუთვნის (წ. ბარ., ფ. 46).

ლეონტი რომ IX საუკუნის მწერალი იყოს, ის ვერ დაწერდა, რომ მეოთხე საუკუნეში ბაღდადი არსებობდა. არაბთა მპყრობელობის ჟამს IX საუკუნეში კარგად იცოდნენ, უეჭველია, თუ როდის ააგეს ბაღდადი. ეს ბაღდადი მას არაერთგზის აქვს.

ლეონტისათვის დამახასიათებელია: მ ა ნ ა რ ა ფ ე რ ი ი ც ი ს ი ბ ე რ ი ა-რ ო მ ი ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ზ ე (წ. ბარ. ფ. 70).

[ჯუანშერი]

ჯ უ ა ნ შ ე რ ი ი გ ი ვ ე ლ ე ო ნ ტ ი ა.

ერისთავთა გაგება ერთნაირი. ტერმინები, ს ა ზ ღ ვ ა რ ი, ქვეყანა აფხაზეთი, ერთნაირი ეგრისი... ქართველ მეფეთა ნებროთიანობა.

ფიგურები ერთნაირი.

სახელმწიფოს წყობა ე რ თ ნ ა ი რ ი (და, რაც ყველაზე ძვირფასია, მოგონილი, შეთხზული. ორმა მწერალმა ერთნაირი წყობა მოიგონა?). ვახტანგის მეფობა ისევეა გავრცელებული გაქრისტიანებულ-გამეტაფრასებული, როგორც ლეონტის მოქცევა.

ასე რომ, შეიძლება ვიფიქროთ: ეს მოწმობანი ლეონტისა და ჯუანშერზე — ფსევდოეპიგრაფიკულია...

ეს ლეონტი (თუ ასეთი ვინმე მართლა იყო)[1] იგივე ქართველი მოსე ხორენელია (წ. ან., ფ. 7).

ივ. ჯავახიშვილი ჯუანშერს კრიტიკული თვალით უყურებს და იმ მცირე ცნობებში, რომლებსაც ის საყურადღებოდ თვლის, ერთ-ერთ ასეთ ცნობად ასახელებს გუარამ კურაპალატის უძლურებას ერისთავებთან შედარებით, რომ მან „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთაოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისანი“.

ივ. ჯავახიშვილი მართალია, რომ ეს ცნობა ისტორიულია და საყურადღებოცაა. მაგრამ მას რომ ყურადღება მიექცია, თუ როგორ კავშირშია და ო რ გ ა ნ უ ლ კავშირში ეს ცნობა წინა და შემდეგ ცნობებთან ქართლის ერისთავებსა და მეფეს შორის ბრძოლის შე-

[1] ეს ეპეი აეტორს გაუქრა თრეხვის წარწერის აღმოჩენის შემდეგ. რედ.

სახებ, ქვეყნის ფეოდალიზაციის შესახებ არჩილ მეფის დროს, — ის იძულებული იქნებოდა, გაცილებით მეტი ნდობით მოჰკიდებოდა ამ ავტორს თუ მის წყაროს... (6/1, 162).

ქრისტიანობა ჩვენში უძველესი დროიდან შემოდის... ვრცელდება დაბალ წრეებში... გაბატონებული კლასები არ იღებენ... დევნიან (მათი დამოკიდებულება ანდრიას მიერ ქრისტიანობის გავრცელების შესახებ)... ამასობაში ქრისტიანობა თანდათან გზას იკვალავს ბიზანტიის უმაღლესი წრეებისაკენ და იმდენადვე მოდიფიცირდება: ჩვენში მისი გავრცელების საკითხი პოლიტიკას უკავშირდება... ნინოს მთავარი საზრუნავი ისაა, მირიანი მოაქციოს, ის კი, რა თქმა უნდა, ისეთ სარწმუნოებას მიიღებს, რომელიც ბიზანტიისათვის არის მისაღები. აქედან (ნინოდან) ჩვენში არისტოკრატირებული ქრისტიანობა შემოდის... ამავე დროს არსებობს ძველი გზებიც აღმოსავლეთიდან (სირია — სომხეთი — სპარსეთი). აქედან მოსული ტალღები დემოკრატიულ-ხალხისნურია. ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის — ეს არის იგივე ბრძოლა საზოგადოების კლასთა შორის...

მიქაელი არისტოკრატიული, ბიზანტიური ქრისტიანობის წარმომადგენელია. მას მხარს უჭერენ წარჩინებულნი... ვახტანგის პოლიტიკა სახელმწიფოში — ცენტრალიზმი, სარწმუნოებაში — აღმოსავლური. წარჩინებულთა პოლიტიკა — დეცენტრალიზმი, სარწმუნოება — ბიზანტიური, არისტოკრატიული (3/52, 431).

არჩილმა დასვა ეპისკოპოსად მ ო ბ ა დ ა ნ „ნათესავად აბარსი... მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა და ვერ უგრძნეს არჩილ მეფემან და ძმამან მისმან უსჯულოება მობადანისი, არაჰგედ ჰგონებდეს სარწმუნოდ და ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არაჰგედ ფ ა რ ულ ა დ წ ე რ დ ე ს წ ი გ ნ ე ბ ი ს ა ყ ო ვ ე ლ ი ს ა ს ა ც დ უ რ ე ბ ი ს ა ს ა, რომელი შემდგომად დაწუა ყოველი წერილი მისი ჰეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ, რომელი განიკეთეთა კადრებისათვის ვახტანგ მეფისა“ (მდ. 120).

ეს მობადანი არის წარმომადგენელი უძველესი აღმოსავლური ქრისტიანობისა — მისი „დემოკრატიული“ სახისა. მიქაელი კი ბიზანტიის ქრისტიანობის წარმომადგენელია — სახელმწიფო, ოფიციალური, არისტოკრატიული ქრისტიანობისა (3/52, 432).

„ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თორმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქნი და განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართა

მ ე ფ ე ლ ი ტ ა ხ ტ ი — მ ე ფ ე.
ტ ა ხ ტ ე ბ ი — ს პ ა ს პ ე ტ ი. ე პ ი ს კ ო პ ო ს ე ბ ი.
ს ე ლ ე ბ ი-ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი.
? ? ? ა თ ა ს ი ს თ ა ვ ნ ი.
ფ ე ხ ზ ე — ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი.
ზ რ ა ხ ა ვ ს (ე. ი. პ ი რ ვ ე ლ ს ი ტ ყ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი ს) მ ე ფ ე.
ე მ ო წ მ ე ბ ი ა ნ ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი მ ე ფ ი ს ზ რ ა ხ ვ ა ს.
დ ა ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ (ლ ა შ ქ რ ო ბ ა ს).
გ ა ი ყ რ ე ბ ი ა ნ.
შ ე ე კ ა ზ მ ე ბ ი ა ნ.
მ ო უ წ ო დ ე ბ ს მ ე ფ ე ლ ა შ ქ ა რ ს.
გ ა ნ ა ხ ა ვ ს მ ე ფ ე ლ ა შ ქ ა რ ს.
მ ო ე წ ო ნ ე ბ ა ა ნ ა რ მ ო ე წ ო ნ ე ბ ა.

მ ე ფ ე, ს პ ა ს პ ე ტ ი, ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი (ა მ ა თ ხ ე ლ თ ა თ ა ს ი ს თ ა ვ ნ ი დ ა ს პ ა ს ა ლ ა რ ნ ი), ე პ ი ს კ ო პ ო ს ე ბ ი... ე ს ა ა წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა (6/7, 162—163).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ე ბ ი ა რ ა რ ე ა ლ უ რ ი ა. რ ი ცხ ვ ი თ ო რ მ ე ტ ი ქ რ ი ს ტ ე ს მ ო წ ა ფ ე ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ა ა ა ღ ებ ულ ი: ა მ ს ი ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ უ ე პ ი ს კ ო პ ო ს ო დ რ ჩ ებ ა მ თ ე ლ ი შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი.

[ს უ ლ ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ო დ ა ს ა მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ო ი ყ ო?!] დ ა ს ა მ ცხ ე (ო ძ რ ვ ე, ა წ ყ უ რ ი) ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ნ ი ქ ო ზ ი ს ა შ ე ქ მ ნ ა (ა ნ. 136).

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი პ ე ტ რ ე.
ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა მ ო ე ლ ს ა ე პ ი ს კ ო პ ო ს ო ს („ს ა მ თ ა ვ რ ო“?).
ე პ ი ს კ ო პ ო ს ი კ ლ ა რ ჯ ე თ ს (ა ხ ი ზ ა).
ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ა რ ტ ა ნ ს (ე რ ე უ შ ე თ ს).
ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ჯ ა ვ ა ხ ე თ ს (წ უ ნ დ ა ს).
ე პ ი ს კ ო პ ო ს ი მ ა ნ გ ლ ი ს ს } (((

ჯუანშერს დააეწყდა, რომ ეგრისი ვახტანგის საბეჭოში შედიოდა, ისევე როგორც ჰერეთი...

უცნაურია, რომ ჯუანშერს არ აქვს ურბნისი და ა წ ყ ე ე რ ი. ამ სიით გამოდის, რომ ოძრხის საერისთავოში ეპისკოპოსი არ დაუდგენიათ, ისე როგორც მარგუს და ეგრისს. შეუძლებელია ოძრხე მცხეთის გარეშე ვიგულისხმოთ. წყისეს წარწერა ამის უტყუარი საბუთია. ასე რომ, ეპისკოპოსთა ეს სია ნაკლულია (წ. ბარ., 58).

დარბაზობისას ვახტანგ მეფე ეუბნება წარჩინებულთ: „ისმინეთ ყმისა ჩემისა დაღაცა თუ ყრმა ვარ არა გინახავსთ ჩემგან კეთილი. მამათა კელა ჩემგან (უნდა: ჩემგან. — ნ. ბ.) ვინახუან დიდნი კ ე თ ი ლ ნ ი და დ ი დ ე ბ ა ნ ი თქუენ რომელნი დადგინებულხართ მ თ ა ვ რ ო ბ ა ს ა ზედა ა წ უკეთუ გუაცოცხლებს ღ ̄თი მოგუხუდენ ჩუენგან კ ე თ ი ლ ნ ი და დ ი დ ე ბ ა ნ ი რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩუენთაგან...“ (მდ. 125—6).

წარჩინებულნი დადგინებულ არიან მ თ ა ვ რ ო ბ ა ს ა, მეფე მათ მიანიჭებს კ ე თ ი ლ ს და დ ი დ ე ბ ა ს. ეს მოვალეობაა მეფის, რომ წარჩინებულნი მისი ერთგულნი იყვნენ...

ვახტანგი რთულ მდგომარეობაშია: მტრები გარშემო, შიგნით კლასობრივი საზოგადოება. ჯერ ფეოდალიზმი არაა, მ ი ს ი მ შ ო ბ ბ ი ა რ ო ბ ი ს დ რ ო ა...

ვახტანგის ეს სიტყვა ფეოდალური მეფის სიტყვაა. ეს ყველაზე კარგად განსაზღვრავს ჯუანშერის დროს (³/₅₃, 474).

ხუალრო მეფე და ვახტანგი „წარემართნეს მტერთა ზედა. პირველად მოვიდეს ჯორჯანეთს და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი, ყოველად უმკვიდრო ყვეს, და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი (და ელამნი B) და მიერითგან (იქმნნეს) ჯორჯანნი მებეგრე და გლეხ სპარსთა (და მიერითგან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნიაწ არიან მებეგრენი სპარსთანი (MB)“ (ან. 127).

ჯორჯანეთი დაიპყრეს. ქვეყანა „ყოველად უმკვიდრო ყვეს“, ე. ი. ქვეყნის მფლობელი საზოგადოება გადააშენეს (და არა ყველა გაქალიტეს: ყველა რომ გაექალიტათ, „მებეგრე ჯორჯანნი“ საიდან გაჩნდებოდნენ). მათ ნაცვლად ქვეყანას ნათესავნი სპარსთანი დაეპატრონნენ, ხოლო ჯორჯანნი ამათი მებეგრენი შეიქმნენ, გლეხებად იქცნენ.

ასე რომ გლეხი არის ის, ვინც მებეგრეა. გ ლ ე ხ ე ბ ი არ ა რ ი ა ნ ქ ვ ე ყ ნ ი ს მ კ ვ ი დ რ ნ ი (ჯორჯანეთი „ყოველად უმკვიდ-

რო ყვეს". თუმცა იქ ჯორჯანელნი, გლეხებად ქცეულნი, ამის შემდეგაც იყვნენ). ქვეყნის მკვიდრია მფლობელი საზოგადოება. ჯორჯანეთში ასეთი იქმნა დამპყრობლის მიერ დასმული სპარსელები. ამ დაპყრობის საფუძველზე ჯორჯანნი შეიქმნენ სპარსთა მებეგრენი, სპარსთა გლეხნი...

ამრიგად, XI საუკუნის ქართველის წარმოდგენით: „გ ლ ე ხ ი" და „მ ე ბ ე გ რ ე" შესატყვისი ცნებებია. გლეხი უუფლებოა: ის არაა ქვეყნის მკვიდრი; ქვეყნის მკვიდრი ისაა, ვისი მებეგრეც ეს გლეხებია (6/1, 48).

ვახტანგ მეფე და სპარსთ მეფე შერიგდნენ. ვახტანგი ეუბნება: „უკეთუ აღასრულო სიტყუა შენი და იყოს ცეცხლი შენდა და იყოს ღმერთად ჩემდა ქრისტე, მ ა მ ა დ დ ა უ ფ ლ ა დ გხადო შენ... დაღაცთუ ჩუენ პირმშონი ვართ, არამედ თქუენ დასხდეთ საყდართა ზედა მამისა ჩუენისათა" (ან. 122).

ასეთი მ ა მ ა და უ ფ ა ლ ი იქმნა მ ა მ ფ ა ლ ი, რომელიც თანდათან ფეოდალური შინაარსით გაიჟსო (6/1, 74).

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უთხრა მიქაელს: „ვინათგან დაითხია სისხლი შენ მიერ ქუეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად, და კადნიერებისათუის მეფისა თანა-გაც სიკუდილი, ვითარცა იტყუის: „დაემორჩილენით მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ჯრმალ აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოველთა." (ან. 134).

აქ მეტად საინტერესო თეორიული დებულებაა წარმოდგენილი საერო სამღვდელოების მეფისადმი მორჩილების შესახებ. ეს საკვანძოთ ეთანხმება X—XI საუკუნეთა სულისკვეთებას, როდესაც ეს დებულება წამოუყენებიათ (3/53, 115).

ვახტანგ სპარსეთს წასავალად შეეკაზმა. წარჩინებულებს „შევედრა ძე თუისი დაჩი და უბრძანა აღ შ ე ნ ე ბ ა უ ჯ ა რ (მ ი ს ა) და შუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, რ ა მ ე თ უ ს ი მ ა რ ჯ უ ე დ გ ა მ ო ნ ა ხ ა ი გ ი ნ ა დ ი რ თ ა და ც ხ ო ვ ა რ თ ა თ უ ი ს" (ან. 126).

მრავალმეტყველია კახეთის (ძველი კახეთის)—კახეთ-კუხეთის მეურნეობისათვის. ნადირი და ცხვარი, რა თქმა უნდა, ესეაგანაც იყო. მაგრამ საბგორ-ჰერეთი განსაკუთრებით ეწიშვნელოვანი იყო როგორც ნანადიროდ, ისე ცხვრის საშენად. უეჭველია, აქ ამ დროს პურსაც თესავდნენ (რუსთაველის არხი რად ღირს), მაგრამ ეთავარ

მნიშვნელობას მაინც მეცხვარეობა ინარჩუნებდა. მეცხვარეობა-მესაქონლეობა უფრო გვიანაც (IX—X სს-ში) წამყვანი დარგი იყო „წანარებისათვისა“ (ე. ი. ძველი კახეთისათვის) (6/1, 29).

ჯუანშერი „ძმას“-ს ცოტა ფართოდ ხმარობს. ვახტანგი ტოვებს ანდერძს, რომ თუ მე არ დავბრუნდეო, ჩემი დაჲ ხუარანძე „შეირთოს მირიან, რომელი ეყუოდა ვახტანგს მამის ძმისწულად ნათესავისაგან რევისა მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა. მან შეირთოს დაჲ ჩემი... და იგი მირიან მამის ძმისწული მისი დაუტევა მცხეთას“ (მდ. 129).

მისთვისვე ცნობილი გენეალოგიით ვახტანგის მამის ძმისწული მიჰრანი ვერ იქნებოდა.

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ



ასეთი მამის „ძმისწული“ მხოლოდ შორეული სახლიკაცი იყო... (3/52, 420).

ხაზართ გოლიათმა თ ა რ ჯ ა ნ მ ა ვახტანგის ბუმბერაზი სპარსი ფ ა რ ს მ ა ნ ფ ა რ უ ხ ი მოკლა.

„დაჭმუნდა ვახტანგ და ყ რ მ ა ნ ი მისნი, რამეთუ არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან ფარუხისი. შეძრწუნდეს ყოველი იგი სპანი და აღივსნეს მწუხარებითა“... (მდ. 130).

ცხადია, აქ „ყ რ მ ა“ „ყ მ ა“-ს ნიშნავს, აქვე მეორე გვერდზე (131) და წინა გვერდებზე ყრმა ეხმარება ჩვილს, მცირეასაკოვანის მნიშვნელობით (3/33, 500).

„ჭ უ რ ვ ი ლ ი ქ უ ე ი თ ი“ (ძველი „მკვირცხლის“ მაგიერი, მაგრამ შეიძლება „მკვირცხლი“, „ჭურვილი“ არც კი იყო, ამიტომ ხომ არაა, რომ „მკვირცხლი“ სწრაფს გაუიდენტიფიდა?). ჩანს ვახტანგის დროს გულისხმობს ჯუანშერი—ქუეითი, როცა ჭურვილი იყო, ე. ი. როცა შეიარაღებული იყო, ის დამძიმებული იყო ვახტანგის საქებრადაა ნათქვამი, რომ ის „ჭურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის“=ძძიმედ ყოფილან შეიარაღებული (მდ. 137).

აქვე იხსენიებს ჯუანშერი — „ცხენი ჭურვილი“, ალბათ, „ცხენთოროსანი“, შეჭურვილი ცხენი.

ასე რომ ლაშქარი წარმოგვიდგება:

ცხენთოროსანი, ჯაჭვჩაბალახოსანი, მხედრები,
ქვეითნი — („ჭურვილი“),
მკვირცხლნი (მსუბუქად შეიარაღებულნი),
სოციალურად: წარჩინებულნი, სეფეწულნი (ცხენთოროსანნი),
ერი (მხედრები),
წურილი ერი,
გლეხები (6/1, 167).

„და მერმე მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ და ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“ (ქრ. 1, 47).

მართალია, ჯუანშერის ცნობა არ უდგება ზემომოტანილს. მაგრამ აქ საინტერესოა, რომ ჯუანშერი ბარაზბოდ პიტიახშს უწოდებს რანის ერისთავს. „მოქცევაჲ“ კი მას პიტიახშობით იხსენიებს. ბარაზბოდი სპარსთა მეფის მოხელეა. ის, საფიქრებელია, მართლაც პიტიახშად იწოდებოდა. მისი გ ა ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ა ეს ჯუანშერისეული (ქართული) ინტერპრეტაცია უნდა იყოს სპარსი მოხელის სახელისა. შეიძლება ეს გარემოება იმაზე მიუთითებდეს, რომ ტერმინი პ ი ტ ი ა ხ შ ი ებრძოდა ქართულ ტერმინს ე რ ი ს თ ა ვ ს. შეიძლება ეიფი-

ქროთ, რომ არმაზის ხევის „პიტიახშები“ ეს იყვნენ ქართველი ერისთავები, ოღონდ სპარსთა წყობის მიმსგავსებით (ამ წყობის გავლენით) ქართული სამოხელეო ძველი ტერმინი ერისთავი შეცვლილი იყო პიტიახშით (გვიანფეოდალურ საქართველოში ამის მსგავსი მოვლენა მრავალია).

ასე რომ ბილინგვის პიტიახშები ეს იგივე ერისთავები შეიძლება იყვნენ....

„მოქცევაის“ ავტორი სპარს მოხელეს პიტიახშს უწოდებს, ქართველს ასეთსავე მოხელეს კი ერისთავს. ჯუანშერი კი სპარს მოხელესაც ერისთავად იხსენიებს... საფიქრებელია, ტერმინოლოგიურად(?) სინამდვილესთან უფრო ახლოს დგას. უფრო ახლოს, ვიდრე არმაზის ნეკროპოლის წარწერები. ამ უკანასკნელში სპარსულის მიმსგავსებით შემოღებული ტერმინები ბატონობს. ჯუანშერი პირიქით, სპასალარსაც აქართულებს, პიტიახშს აერისთავებს, „მოქცევაი“... შუაზე(?) დგას, არც ქართულს ასპარსულებს... და არც სპარსულს აქართულებს, როგორადაც ჯუანშერი; სპარსთა მეფის ის მოხელე პიტიახშია, რომელიც შინაარსობრივ ქართულ ერისთავს შეესატყვისება.

...ცნობიდან ის საინტერესო დაკვირვებაც გამოდის, რომ ერისთავი ამ დროს დიდი ქვეყნის მმართველია: გლონოქორ ეპისკოპოსს ქართლი და ჰერეთი, ე. ი. იბერია და ალბანია აქვს საერისთავოდ (თუ, რა თქმა უნდა, ეს მოვლენა სპარსული ვითარებისაგან არ გამომდინარეობს).

„ქართლი“ განა ყოველთვის ერთი და იმავე შინაარსის გეოგრაფიული სახელი იყო? ქართლი — სოფელი (და ქალაქი) ქართლ-იბერიის საზღვარზე, ქართლი-ქვეყანა, რომლის საზღვარი მცხეთის გამოლმა იყო (მტკვრის მარცხნივ იბერია), ქართლი, რომელშიაც იბერიაც შედიოდა.

ქრონოლოგიურად ასე უნდა წარმოვიდგინოთ: იყო უწინ ქართული სამოხელეო ტერმინი (ქართული პოლიტიკური წყობის აღმნიშვნელი) ერისთავი. გარკვეულ დროს სპარსული გავლენა იქამდე ძლიერი შეიქმნა, რომ ერისთავი „პიტიახშად“ იქცა. უნდა ვიფიქროთ, რამდენადმე წყობაც შეიცვალა, მაგრამ ტერმინი ერისთავი იბერიაში მაინც ცოცხლობდა (უფრო მცირე ერთეულების ადმინისტრაციულ მოხელეთათვის?), და როცა სპარსული გავლენა გადაქარდა (მონათმფლობელურ წყობასთან ერთად??) და ქართული ცხოვრება თავისი ბუნებრივი განვითარებით წავიდა (ფეოდალური ურთიერთობა წარმოიშვა), ქართულმა ერისთავმა განდევნა სპარსული პი-

ტიახში. ასე რომ, ქართული პოლიტიკური წყობა („ერისთავი") უფრო ძველია, ვიდრე პიტიახშების ხანა. ქართული ფეოდალიზმი ეროვნულია... (წ. ქრ. I, ფ. 44).

სინდეთს მიმავალმა ვახტანგმა მეფედ დატოვა შვილი დაჩი „და დაუტევნა მისთნა შჳდნი წარჩინებულნი მისნი. პირველად ჯუანშერ-სპასპეტი მპყრობელი ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა და დემეტრე ერისთავი კახეთისა, გრიგოლ ერისთავი ჰერეთისა, ნერსარან ერისთავი ხუნანისა და ადარნასე ერისთავი საშშილდისა და სამანღირ ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა და ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაკვერისა—ამათ შეჰვედრა ძე თჳსი დაჩი" (მდ. 165—166).

კახეთში ჯუანშერით ერთი ერისთავია, შემდეგ კი ნამდვილი წყაროებით—სამი. ჰერეთში ჯუანშერით ერთი ერისთავია, შემდეგ კი ნამდვილი წყაროებით — ოთხი (5/58, 173ა).

მომაკვდავი ვახტანგ ეუბნება უფროს შვილს დაჩის: „შენ ხარ პირველშო შვილი ჩემი შენდა მიმიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასის კართაგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე. საზღუარი საბერძნეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის წყალსა და კლისურას შუა იგი თჳთ ძმათა შენთა და დედისა არს და იგი არს და აქუნდეს მას და იყუნედ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისა" (მდ. 184—185).

ეს „ერისთავი" უკვე ისეთია, რომ მას საშვილიშვილო ქვეყანა აქვს განკუთვნილი. მას ევალება იყოს ვახტანგის უფროსი ძმის (=მეფის) მორჩილი, მაგრამ ეს ქვეყანა მაინც ხომ ამ მეფისაგან მიცემული არა აქვს, არამედ მამისაგან დამემკვიდრებული... ასე რომ, ის საფუძვლიანად განსხვავდება იმ ერისთავისაგან, რომელსაც მეფე გააჩენს და ისიც დროებით. მართალია, მეფეს უფლება აქვს წაართვას ერისთავს ქვეყანა (მამიდან ნამემკვიდრეები), მაგრამ ამ უფლებას მეფე მხოლოდ საკმაო დანაშაულობის პირობებში ახორციელებს. თუ არა დანაშაულის საფუძველზე, ასეთი ჩამორთმევა უკვე უკანონობად ითვლება. ასე რომ, ფეოდალური საწყისი აქ უკვე პირველ განარჯევებას ზეიმობს (3/53, 430).

ჯუანშერით ბაკურ მოკვდა. შვილები წვრილი დარჩა „და ვერ იპყრობდეს მეფობასა“ (ან. 142).

ვახტანგ

დაჩი	„თორმეტის წლისა“	მირდატ
ბაკურ	„ცამეტი წლისა“	ძმის
ფარსმან	„თოთხმეტისა წლისა“	წული
ფარსმან	ძმისწული ფარსმანისი	მირდატისი
ბაკურ	13 სრიელი მამის მისლვა	
ადარნასე	დასვა ერეკლემ	გურამ კურაპალატი
სტეფანოზ		სტეფანოზ (მოკლა თბილისს ერეკლე კეისრის ლაშქარმა)

მირ და არჩილ

მაშინ სპარსთა მეფემ ურმიზდ მისცა რანი და მოვაკანი თაეის შვილს ქასრე ამბარვეზს.

„მოვიდა და დაჯდა ბარდავს და უწყო ზრახვად ქართველთა ერისთავთა. აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულები შვილთა შვილამდე და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და ყანდგეს ერისთავნი და თუის-თუისად ბარეცსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა და შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთეულეთს კახეთისასა და ნათესავნი მირდატისნი ვახტანგის ძისანი, დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ბრძოდეს ბერძენთა“ (ან. 142—143).

ქასრემ, ჩანს, კარგად იცოდა ერისთავების მუცლის ტკივილი. ერისთავებს სპარსელები კი არ უყვარდათ, მაგრამ არც ისეთი მეფე სურდათ, რომელიც მათ „მკვიდრობას“ არ სცნობდა. ჩანს, ბაკური იყო ასეთი. ამიტომაც ერისთავებმა ბაკურის შვილები არ მონახეს „მთეულეთსა კახეთისასა“ რომ იმყოფებოდნენ. ამიტომ, როგორც კი „უცალო იქმნეს სპარსნი“ (იქ შინაური შფოთი იყო), თურქებიც შეესივნენ ქვეყანას და ბერძნებმაც შეუტიეს.

„შეთქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქუემონი, წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს,

რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, რათა იყუნენ ერისთავად თუისთუისად საერისთაოსა შეუცვალებელად“ (იქვე, 143).

ამ ერისთავებისათვის სულ ერთია, ვინ იქნება ხელმწიფე—სპარსეთი თუ საბერძნეთი, ოღონდ მათი მკვიდრობა უზრუნველყოს. სწორედ ასეთი უნდა იყოს ეს ნათესავი ქართველ მეფეთა, რომელსაც მხარს დაუჭერენ ისინი.

„მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა ძმის წული მირდატისი, ვახტანგის ძისა ბერძენთა მეფისა ასულისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს.

ამას გუარამს მოსცა კეისარმან კულაპარატობა და წარმოგზავნა მცხეთას.

...და შვილნი ბაკურ მეფისანი... დარჩეს კახეთს. დაიპყრეს კახეთი და ერეთი ორივეგან და დასხდეს უჯარმოს და იყუნეს მორჩილებასა კულაპარატისსა“ (ან. 143).

სპარსეთში დიდი არეულობა იყო (ჩუბინი), ბოლოს ჩაწყნარდა. კეისარი და სპარსთ მეფე მორიგდნენ. ქართლი კეისარს დარჩა. გუარამი „დარჩა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა“... არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთაოთაგან, რამეთუ, სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათუის საერისთოთა მათთა, არამედ იყუნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“.

ცხადია, როგორც ბერძნები, ისევე სპარსელები კარგად ხედავდნენ, რომ რეალური ძალა ამ ქვეყანაში ერისთავები(ᵉ/₁, 109).

სპარსეთში არეულობის გამო (თურქები და ბიზანტიელები შეესივნენ) ქასრე აბბარვეზმან დაუტევა რანი და ქართლი და წაიდა... „უცალო იქნეს სპარსნი მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქვემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, რათა იყუნენ ერისთავნი იგი თჳს თჳსსა საერისთავოსა შეუცვალებელად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი ვახტანგის ძისა ბერძნისა ცოლისა, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი თავრობდა კლარჯეთს“ (მდ. 90).

აქ გარკვეული პოლიტიკური პროგრამაა, რომლის შესრულებას ერისთავნი მოითხოვენ ქართველთა მეფისაგან. რა თქმა უნ-

და, ასეთი პროგრამის ეკონომიკური საფუძვლები და იდეოლოგიური ჩამოყალიბება ცოტა ხნის საქმე არაა... აქ ჩვენ მისი საბოლოო სახე გვაქვს მოცემული.

ერისთავებმა თავისი გაიტანეს და კეისარმაც ამ პირობით წარმოავლინა გვარამი... (3/53, 422).

ერისთაველების სპარსელებისადმი მიდგომა, მამულების საშვილიშვილოდ დაუფლების ნიადაგზე საკუთარი მეფის ღალატი და სპარსთადმი ქვეყნის დამორჩილება ერისთავთ მიერ ეს სინამდვილესთან ახლო დეტალია...

ამის შემდეგ მათი (ერისთავთ) ქცევა აგრეთვე სინამდვილის იერს ატარებს. ბერძენთ მეფეს მოსთხოვეს მეფედ ქართველთა ნათესავი, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ საერისთავო არ შეუცვალოს... ბერძენთ მეფე დათანხმდა და მეფედ აჩინა ვახტანგის ძის მირდატის დისწული გ უ ა რ ა მ ი — კლარჯეთის (ბერძნების პროვინციის) მთავარი. ერისთავებს, ჩანს, „რევოლუცია" მოუხდენიათ, სახელოები მემკვიდრეობით ჩაუგდიათ ხელში. ამ ნიადაგზე გადაუდგნენ ისინი ქართველ მეფეებს და ახლა სურთ primus interpares-ი გაიჩინონ. ფეოდალურ მეფეს ეძებენ... (3/29, 48).

ჯუანშერის კონცეფცია, რომ ერისთავთა ზრუნვა VI საუკუნეში ეს იყო მკვიდრობის სიგელების მიღება, ხომ XI საუკუნის რეტროსპექცია არ არის? XI საუკუნე ფეოდალების ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საუკუნეა, მოხელეობისა და საშოხელეო ქვეყნების მკვიდრად დაუფლებისათვის.

როგორც ეს, ისე სიძობის თეორია, მეტად უდგება სწორედ XI საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში, შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ ამბებს აკვირდება და ხაზს უსვამს XI საუკუნის ისტორიკოსი (3/23, 16).

„მოკუდა გუარამ კურაპალატი და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ე რ ი ს თ ა ვ თ მ თ ა ვ რ ა დ ხადოდეს"... (ან. 145).

სტეფანოზი დაიღუპა ერაკლე კეისართან ომში თბილისს. ერაკლემ ერისმთავრობა ადარნასე ბაკურის ძეს მისცა (ეს ადარნასე კახეთის ერისთავი იყო). „ყოველი ქართლი დაიპყრო ადარნასე ბაკურისძემან მ თ ა ვ რ ო ბ ი თ და მეფის სახელი ვერცა მან იპყრა (იკადრა)

და ერისთავნი იგი თუის თუისსა საერისთაოსა ზედა შეუცვალებელად მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა“ (ან. 146).

არც სპარსეთისა და არც ბიზანტიისათვის ქართლის მეფე საჩუქარი არ იყო, რამდენადაც ორივენი ამ ქვეყნის უშუალო და მტკიცედ ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რამდენადაც მათ მხოლოდ ასეთი ფორმა აკმაყოფილებდათ, სჭიროდათ, მაგრამ გარკვეულ დრომდე მათ აზრადაც არ მოსელიათ აქ მეფობის გაუქმება. და ეარც შეიძლებოდა, რადგან ამ მეფის შემცველელი ძალა არ იყო... მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერისთავები ადგილებზე სოციალურად გაძლიერდნენ, რამდენადაც ადგილებზე ფეოდალური მეურნეობა იქმნებოდა და ერისთავები ფ ე ო დ ა ლ ი მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ი ხ დ ე ბ ო დ ნ ე ნ, რამდენადაც ერისთავები ადგილებზე რეალური (და პროგრესული) ძალა ხდებოდნენ და მეფის ხელისუფლების საფუძველს—მიწას (რაც, უკეთ, რის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფასი რეალურად საგრძნობი ხდებოდა, ე. ი. რაც უფრო და უფრო ფეოდალური მეურნეობა შემოდიოდა) ეცილებოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის ბრძოლაში სახელმწიფოს ძველი ფორმა არ შეეფერებოდა შექმნილ ურთიერთობას და ხელს არ უწყობდა, წინ ეღობებოდა ფეოდალთა კლასის აქტიურ მოქმედებას (რამდენადაც, შ ე ე ს ტ რ ჩ ო მ ე ლ ი მ ა მ უ ლ ი ც უ დ ი ა, რ ა დ მ ო ვ ა შ ე ნ ო თ), — ასეთ ვითარებაში სპარსეთმა და ბიზანტიამ დაინახეს ერისთავები და ხელი შეუწყვეს მათ ბრძოლას უკეთ, სცადეს გამოეყენებინათ ეს ახალი ძალა ქართლის მეფის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც სხვა დროსაც მომხდარა, ამ აღმავალმა ახალმა ძალამ თვით გამოიყენა სპარსეთ-ბიზანტია. თავის მიზანს მიაღწია და ისეთი მეფე შეარჩია (ფეოდალური), როგორიც შეეფერებოდა მის კლასობრივ მოთხოვნილებას (იმას არაფერი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ეწოდებოდა ამ მეფეს), მაგრამ შემდგომმა განვითარებამ ქვეყნის ჯერ მთლად დაშლა, ხოლო შემდეგ — „გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა“ მოითხოვა... (6/1, 111).

ლეონ ვახტანგის ძე მოკვდა. „დარჩა მირდატ ოდენ. ამას მირდატს დ ა ე ვ ა ჭ რ ა ძმა მისი დაჩი მეფე. გ ა უ ც უ ა ლ ა ქუეყანა და აღიღო მირდატისაგან ეგრისწყალსა და კლისურსა შუა მირდატის დედული საზღუარი საბერძნეთისა და მისცა ნაცულად ჯავახეთი ფანავრიდან მტკუარამდე“ (მდ. 186). „დაევაჭრა“ და „გაუცუალა“.

საინტერესოა: დავაჭრება ყიდვასთან კი არა, გაცვლასთანაა დაკავშირებული (3/53, 48).

„მოკუდა გუარამ კურაპალატი და დარჩა ძე მისი სტეფანოზ მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“ (მდ. 193).

სპარსელები გაძლიერდნენ, ბიზანტიაში არეულობა იყო და „სტეფანოზ მთავარი ქართლისა შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიეჭცა სპარსთა... (იქვე).

თუ რა სახელი ერქმეოდა სტეფანოზს, ეს ალბათ არც ბერძნებს და არც სპარსელებს თავისთავად არც აინტერესებდათ... მთავარი იყო მისი მორჩილება... ხოლო თუ ასეთ სახელს „მეფე“-ს ველარ უწოდებს თავს სტეფანოზი, ეს ერისთავთ ინტერესებში შედის და, უნდა ვიფიქროთ, მათი მოთხოვნის შედეგია. „მეფობასთან“ ტრადიციით გარკვეული პოლიტიკური უფლებები იყო დაკავშირებული, რაც ერისთავებს არ სურდათ (=მეფის ძლიერება) და არც სპარსელ ბერძენთ აინტერესებდათ. ერისთავთა ინტერესი უცხოელთ ინტერესებს შეხვდა და მეფობა მოისპო. მთავარი კი სენიორების იდეალი იყო. ამიერიდან სახელი და შინაარსი ერთიმეორეს ფარავენ (³/₅₃, 419).

„და მოკუდა ბაკურ და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერა იპყრობდეს მეფობასა, მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზ და მოვიდა და დაჯდა ბარდავს და უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა ერისთავთა მამულები შვილთი შვილამდე და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი თვს თვსად ხარკსა მისცემდეს ქასრეს ამბარვეზსა“... (მდ. 189).

ჯუანშერის ეს აღნიშვნა უეჭველია სინამდვილესთან ახლოა. მართლაც ქართლის დამარცხებისა და მეფობის მოსპობის უფრო ღრმა მიზეზი ვიდრე სპარსთ პოლიტიკა, იყო ერისთავთ განდგომა, ხოლო ერისთავთ განდგომა წარმოდგებოდა ქვეყნის ფეოდალიზაციიდან... ასეთივე მკვიდრობის სიგელებს აძლევენ ერისთავთ ბერძნებიც. ჩანს, ერისთავთ მთავარი საზრუნავია მემამულეობა. ამისთვის ისინი იცვლიან ორიენტაციებს. გარკვეულ სამეურნეო და საწარმოო ურთიერთობაში წარმოშობილი ასეთი მძლავრი ტენდენცია მემამულეობისა განსაზღვრავს ამიერიდან ქვეყნის პოლიტიკურ სახეს. უმეფობა — ეს იყო ერისთავთ რევოლუცია. ეს იყო ფეოდალიზმის პირველი პოლიტიკური გამარჯვება (³/₅₃, 424).

„ეს გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა... არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ ცალნა საერისთავოთგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელი მკუდრობისანი, არამედ იყენეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისა“ (მდ. 192).

ანუ რომ, ავტორის აზრით, აქამდის ერისთავნი თავიანთ საერისთავოს დროებით განაგებდნენ, ე. ი. მანამ, სანამ ეს მეფეს სასურველად მოეჩნდა... (3/53, 420).

პიტიახში (იაკობით), რანის ერისთავი (ჯუანშერით).
იგივე ჰერეთის ერისთავი.
იგივე ქართლის პიტიახში.
შდრ. „ძე ჰარიან ქართლისა მეფისა“ — ჰარან ქართლისა მეფისა—ამ ჰარან-ში იგივე ჰერი იგულისხმება. ჰერ—ქართლი (?).

თითქოს ის უეჭველად იგულისხმება, რომ ქართლი, ჰერი და რანი ერთ ქვეყანას ჰქვია აქ. ეს იმას არ მოწმობს, რომ ამ ტერმინებით აღნიშნული ქვეყნები ერთიმეორეს ფარავდნენ ყოველთვის და ყოველგვარ, მაგრამ იმას კი უნდა მოწმობდეს, რომ გარკვეული ტერიტორია ერთსა და იმავე დროს ჰერ-ეთიც იყო (იგივე რანი) და ქართლიც. ჰერ-ქართლი იყო ანუ არან ქართლი იყო... (წ. ქცა, I, ფ. 3).

მურვან ყრუმ როცა გაიგო „რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად“, ისიც დაედევნა: აფშილეთის ციხე ანაკოფიაში „იყუნეს მეფენი ქართლისანი მიჰრ და არჩილ“... (მდ. 201).

სტეფანოზ მთავარს „ესხნეს ძენი ორნი არჩილ და მიჰრ და განუყო ყოველი ხოსტაკი სამეფოსა მისსა... და ნახევარი... მისცა არჩილ“ (ს). (მდ. 199). „მეფედ“ არ იწოდებიან (ვერ აკადრეს შიშისაგან ბერძენთა და სპარსთა), „სამეფო“ კი აქვთ და თვით მემატიანე „მეფეებს“ უწოდებს.

ეს საინტერესო მოვლენა შეიძლება იყოს. მართლაც და რატომ ვერ იკადრიან დაირქვან „მეფე“. აკი „ერისთავთა მთავრები“ არიან, ე. ი. პირველები არიან? რა ესაქმებათ ბერძნებს ან სპარსელებს მისი წოდებულება, ამით ხომ პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი არ წყდებოდა?

სპარს-ბერძნებს ეს იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც ისინი ერისთავებს აძლევდნენ მკვიდრობის სიგელებს. „მეფობა“ ასეთ

პოლიტიკურ წყობასთან ვერ იყო შეთავსებული და მის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, ერისთავნი იყვნენ. „მეფობა“ ფეოდალური ინსტიტუტის მოვლენა არ იყო. ის ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ) წყობას გულისხმობდა. ამდენადვე ეს წოდება ქვეყნის პოლიტიკური მეთაურისა მიიღებული იყო ერისთავთათვის. ქვეყნის პოლიტიკური მეთაური კი ფეოდალიზებულ ქვეყანასაც აუცილებლად სჭიროდა და მათაც ითხოვეს „მ ე ფ ე“ (ეს შემატიანის სიტყვა-ხმარების შედეგია: მას არ აქვს სხვა ტერმინი). მათ ითხოვეს პოლიტიკური მეთაური, რომელსაც არ უწოდებენ „მეფეს“, არამედ „ერისთავთა მთავარს“. ეს არის პირწმინდა p r i m u s i n t e r p a r e s როგორც შინაარსით, ისე სახელითაც. ეს უნდოდათ ერისთავებს და ამას მიაღწიეს. აქედან ჩანს როგორც სოციალური წყობის სახე, აგრეთვე ისიც, რომ ამ დროს მეფე ესმოდათ მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ე. ი. ჯერ კიდევ არ გასულიყო საბოლოოდ ის დრო, როცა მ ე ფ ე მ ე ფ ო ბ დ ა (ალბათ მეფე კი არა, მისი სახელი ამ დროს ჯერ კიდევ მეუფე იყო). ერისთავები ებრძოდნენ მ ე ფ ო ბ ა ს (და ამდენადვე „მეფეს“ და როცა გაიმარჯვეს, მეფობა გააუქმეს და ერისთავთ მთავრობა შემოიღეს. დიახ, მეფობა მხოლოდ ერისთავებმა და არა სპარსელებმა გააუქმეს. სპარსელები აქ ერისთავთა სურვილებს აკმაყოფილებდნენ შესაძლებელია... და რომ ეს ასეა მხოლოდ, ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სპარსელების დროს მოსპობილი „მეფობა“ ბიზანტიელებმაც არ აღადგინეს. სპარსელთ მიერ რომ ყოფილიყო ის მოსპობილი, რა თქმა უნდა, ბიზანტიელები მას აღადგენდნენ, მაგრამ, როგორც სამართლიანად აქვს ჯუანშერს აღნიშნული, ერისთავებს „სიგელნი მკჳდრობისანი“ აქვთ როგორც სპარსთაგან, ისე ბერძენთაგან.

ასე რომ, მეფეთა და ერისთავების ბრძოლაში ერისთავების მხარეს დამდგარან როგორც სპარსელები, აგრეთვე ბიზანტიელებიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეალური ძალა უკვე ერისთავთ ხელში ყოფილა (საინტერესოა, რომ იმთავითვ ბიზანტიელები მაინც მეფის დინასტიის მომხრენი იყვნენ: დამარცხებული მეფენი ბიზანტიას ეხიზნებიან. თითქოს გუარამ კურაპალატი, ერისთავთ თხოვნით ბიზანტიელების დანიშნული, მეფედაც კი იწოდებოდა... მაგრამ ბიზანტიელები, როგორც ჩანს, დარწმუნებულან ერისთავთ ძლიერებაში და მათი სურვილის თანახმად ამ მთავართა „მეფობისათვის“ თავს აღარ იტკივებენ... „მეფობამ“ მოსჭამა თავისი დრო. ამიერიდან მხოლოდ მთავარი შეიძლება არსებულიყო. რა თქმა უნდა, ეს ქვეყნის დაცემას, მის საწარმოო ძალთა განვითარების რეგრესს კი არ წარმოად-

გენდა, პირიქით, ეს იყო საწარმოო ძალთა განვითარების ზრდის შედეგი). ქართულ-სასანური ფული მოჭრა, მსხვილი ინტენსიური მეურნეობა, მონასტრები... მსოფლიო სავაჭრო გზის სპარსეთ-შავ-ზღვაზე გადმოტანა არაბეთ-პალესტინიდან ამის კარგი ნიშნებია. ეს იყო მიწათმოქმედების (ინტენსიური მიწათმოქმედების) გამარჯვება ექსტენსიურ მიწათმოქმედებასა და ვაჭრობაზე (საგარეო ვაჭრობაზე). (როცა ექსტენსიურ-ინტენსიურ მიწის მოქმედებაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, შედარებითია მსჯელობა).

ინტენსიური მეურნეობა იბერიაში I—II ს-შიაც ჩანს და ექსტენსიურ მეურნეობას არც VI—VII ს-ის იბერიაა მოკლებული, მაგრამ მაშინ, როცა I—II ს-ში ექსტენსიური მეურნეობა და საგარეო ვაჭრობა მთავარი და წამყვანი სახეა მეურნეობის, VI ს-ში ასეთი წამყვანი სახეა ინტენსიური მეურნეობა და საშინაო ვაჭრობა (რა თქმა უნდა, იყო საგარეო ვაჭრობაც, მაგრამ გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისათვის. ამასთანავე ის შედარებით შემცირებულიც იყო ბიზანტიელთ შესუსტებასთან დაკავშირებით). საშინაო ვაჭრობის უტყუარი ნიშანია ქართულ-სასანური ფული და ქალაქთა გაჩენა ქვეყნის შიგნით. ფულიანობა ვაჭრობის სიმძლავრის აღმოსავლეთში გადმოტანას გულისხმობს, მისი ქართული წარწერიანობა—მისი საშინაო ურთიერთობაში ხმარების საჭიროებას.

ქალაქთა ქვეყნის შიგნით გადანაცვლება ან კიდევ ახალთა გაჩენა ასევე ქვეყნის შიგნით საალმიცემო ურთიერთობის განვითარების, ხელოსნობის გამოცალკევების, ე. ი. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების აღმნიშვნელია.

ექსტენსიური მეურნეობა. ფაქტორიები — საგაჭრო ქალაქები დიდშარაზე.

ინტენსიური მეურნეობა — ქალაქები. ხელოსნობა-ვაჭრობის ცენტრში—ქვეყნის შიგნით (³/₃₂, 164—173).

ანაკოფიის ციხეში არჩილსა და მირთან „იყო... სიმრავლე მცირედ ტაძრეული სამი ათასი (var. ტაძრეული მათისა) და ნათესავი ერისთავთა და პიტიახშთა სამი ათასი (var. ათასიოდენ), ხოლო სპათაგან (var. add.: აფხაზთა) ორი ათასი მებრძოლი" (ᲒᲓ. 203).

VI—VII ს-ში მეფის ჯარი შედგებოდა:

ტ ა ძ რ ე უ ლ ი

ნ ა თ ე ს ა ვ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა დ ა პ ი ტ ი ა ხ შ თ ა

ს პ ა.

შეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ეს შედგენილობა მეფის ჯარისა. ავტორს აქ მოპყავს ცნობა იმის შესახებ, თუ რა და რა სოციალური წრეებისაგან შედგებოდა მეფის ჯარი VI — VII საუკუნეებში. აქ პირველ რიგში დასახელებული ტაძრეული (ანუ სახლეული) შედგებოდა როგორც სეფეწულთაგან (უფლისწულები = სამეფო გვარი, სამეფო სახლის შვილები), აგრეთვე მეფის სახლის (= ტაძრის) მსახურთაგან (უკანასკნელნი, საფიქრებელია, სეფეწულთ ემსახურებოდნენ ომის დროს). „ტაძრეულთა" სიმრავლე-სიმცირე დამოკიდებული იყო მეფის (მისი „სახლის", „ტაძრის") ძლიერებისაგან. უეჭველია, ტაძრეულნი ომში მეფის დროშის გარშემო იყვნენ, მეფის უახლოეს ძალას წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, ჯარის ეს ნაწილი ყველაზე პრივილეგირებული უნდა ყოფილიყო და ეს არა მარტო იმიტომ, რომ სოციალურად პირველი წრე იყო წარმოდგენილი (უფლისწულები), არამედ იმიტომაც, რომ მათი დანიშნულება განსაკუთრებული იყო (დასაშვებია, რომ ტაძრეულებში მეფის სახლის მონებიც მონაწილეობდნენ და ეს მით უფრო მრავალრიცხოვნად, რაც უფრო ძველად...): ტაძრეულები განსახიერებდნენ არა მარტო „კაკალ გულს" საგარეო ომის დროს, ის ცენტრალისტური ტენდენციების განსახიერებაც იყო, მეფის ხელისუფლების საყრდენი (განსაკუთრებით) ძალა იყო საშინაო ურთიერთობისასაც. ტაძრეული დამახასიათებელი იყო მეფის ხელისუფლებისა. ტ ა ძ რ ე უ ლ თ ა გ ა შ ვ ე ბ ა მეფის ხელისუფლებისაგან (ძველის გაგებით) ეარის თქმას ნიშნავდა.

ეს ე პ ო ქ ა ლ უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ი ყ ო. ის ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ულ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს მ ო ა ს წ ა ვ ე ბ დ ა. ტაძრეულთა გ ა ა ზ ნ ა უ რ ებ ი თ მეფემ საბოლოოდ ეარყო მეფის ხელის ის დამოუკიდებლობა აზნაურებისაგან, რაც მას ტაძრეულთა მყოლს ცოტად თუ ბევრად ახასიათებდა. ამიერიდან მ ე ფ ე მ ხ ო ლ ო დ ა ზ ნ ა უ რ თ ა ხ ე ლ ი ს გ ა ნ მ ა ს ა ხ ი ე რ ებ ე ლ ი ი ყ ო და კონფლიქტიც შეუძლებელი („იდეალურად"). ამიერიდან ჯარსაც ეს ნაწილი მოსცილდა. ამ ასპექტში ფრიად საინტერესო და დამახასიათებელია დავითის ტაძრეულნი. მართლაც და ვის უნდა ჰყოლოდა თუ არა დავითს. დავითის ტაძრეულს სოცია-

ლური შედგენილობა, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა არჩილის ტაძრეულთაგან. მაგრამ პრინციპი, რა თქმა უნდა, ერთი იყო...

არჩილის ჯარის მეორე ნაწილი ეს იყო: ნათესავი ერისთავთა და პიტიახშთა, ე. ი. ფეოდალური ტენდენციების ყველაზე ძლიერი მატარებელი წრე. ეს იყო ერისთავთა და პიტიახშთ გვარიშვილები, „მემამულე აზნაურნი", „ნათესავით აზნაურნი". ამათი „სახლები". ძველი გვაროვნული (სისხლით მონათესაობის) გაერთიანების ნაშთები, ახალ საწარმოო ურთიერთობაში ასევე ახალი მატერიალური შინაარსით იკვებებოდნენ და ამისდა კვალად იცვლიდნენ თავიანთ გარე სახეს: ძველი „სახლი" (გვაროვნული საზოგადოებისა) იქცა „გვარად" (ფეოდალური საზოგადოებისა). სახლი შეუდარებლად მტკიცე ორგანიზაცია იყო. სახლიშვილობა გაცილებით ნაკლებ იყო დამოკიდებული ამ სახლის ეკონომიური ყოფისაგან: ის სისხლითი გაერთიანება იყო. სახლის წევრს „სახლის კაცს") არ შეეძლო დაეკარგა „სახლი", რადგან ის„სახლის" გარეშე არც იგულისხმებოდა: მას კერძო, „სახლისგან" გამოცალკევებული ქონება რაიმე არც ჰქონდა... „გვარი" პრინციპულად, როგორც წესი, სახლთა სისტემის დაშლის ნიადაგზე წარმოიშვა, სახლთა საკუთრების ადგილზე კერძო, ინდივიდუალური საკუთრების სისტემა გაბატონდა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა „სახლი" გაქრა. „სახლში" გაჩნდა „გვარები", სახლი დაიყო „გვარებად", „გვარმა" შეცვალა „სახლი", მაგრამ შეცვალა, მოხსნა (დიალექტიკურად) და არ მოსპო. ამიტომ ყოველივე „სახლი" არ უარუყვია „გვარს", მან მიიღო სახლის ნიშნები: სისხლი და ტერიტორია, მაგრამ უარყო მისი დაუნაწევრებლობა და ამავე დროს პირველ რიგში ქონება წამოაყენა. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელი შეიქნა გვარიშვილობის დაკარგვა — მაშინ, როცა „სახლისშვილობა" არ იკარგებოდა—და ეს სწორედ იმიტომ, რომ „გვარში" უმთავრესი იყო ქონება, მაშინ, როცა „სახლს" უმთავრესად სისხლი ახასიათებდა. რა თქმა უნდა, გვაროვნული წყობილების დარღვევის შემდეგაც ტერმინი „სახლი" დიდხანს დარჩა, მაგრამ ეს შინაარსით დიდად განსხვავდებოდა გვაროვნული წყობილების „სახლის" შინაარსისაგან, ე. ი. იმდენად, რამდენადაც ამა თუ იმ სახლის საზოგადოებრივი გარემო განსხვავდებოდა საგვარეულო წყობილების ნორმებისაგან (მთაში ნაკლებ, ბარში უფრო, მაღალი წრეები უფრო, დაბალი ნაკლებ). ნათესაური პიტიახშთა და ერისთავთა იყო ჯარის ის ნაწილი, რომელსაც შეერეოდნენ ტაძრეულნი მას შემდეგ, რაც მეფე როგორც ქვეყნის უფალი საბოლოოდ დამარცხდებოდა და ფეოდალურ მეფედ

იჭცეოდა. ეს იყო ჯარის ის ნაწილი, რომელიც თავისი სოციალურ-პირველობისდა კვალად სათანადოდ შეიარაღებული იყო (მძიმე მოლაშქრე, ცხენთოროსანი, ჯაჭვჩაბალახოსანი, აბჯროსან-ქაბარეოსანი) და ომის ბედსა სწყვეტდა და, მაშასადამე, თავის სოციალურ პირველობას ბრძოლაშიაც ამართლებდა. ეს იყო ალმავალი, წაყვანი საზოგადოებრივი წრის გამოსახულება. მესამე ნაწილი — სპა ეს ჯერ კიდევ თავისუფალი მიწისმოქმედი და მეომარი მოსახლეობის გამოხატულება იყო. ჯარის ეს ნაწილიც არ იყო მტკიცე: მისი მასაზრდოებელი საზოგადოებრივი წრე განიცდიდა ძლიერ ევოლუციას. ეკონომიკური დაცემა-გაძლიერების ნიადაგზე (ინსტენსიური მეურნეობისა, დიდ მეურნეობათა შეტევისა, ფეოდალ-მონასტრების შეტევისა, თემიყლაპიებისა — აგარაკთა მიტაცება-დასახლებისა და სხვა ნიადაგზე) საზოგადოების ეს წრე ნაწილობრივ იერარქიულ საფეხურის უდაბლესზე ჩადის ან კიდევ აზნაურთა წრეში ხვდება... ამისდა კვალად ამ სპის სახე იცვლება: ნაწილი მძიმე მოლაშქრე ხდება, ხოლო მეორე ნაწილი კი ამ მძიმე მოლაშქრეთა მსახურებად გამოდის....

ჯერჯერობით კი, როგორც ჩანს, ეს კლასი ძლიერია და დამოუკიდებელი სახითაა ჯარში წარმოდგენილი (³/₃₃, 156—160).

მომაკვდავი მირი ეუბნება არჩილს: „შენ თვთ უწყი, ვითარმედ ქალიშვილი ჩუენი არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა (ცოლად), ანუ მივცით მეფეთა, ანუ მოვინმე-ვიდის ნათესავი სპარსთ მეფეთა, ვითარც ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული ცოლად. ხოლო ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო და ჩუენ ვართ უძეო.

აწ რათგან მოუყუანიან მამათა ჩუენთა ცოლნი და ასულნი ერისთავთა ჩუენთანი... მისცენ მათ ასულნი ჩემნი...“ (ან. 153).

აქ უკვე სრული უფლებრივი ცნობაა ერისთავთ გასაუზერენებისა. ამიერითგან ძველი „მეფე“ აღარაა. ამიერითგან არის მთავარი ანუ პირველი ერისთავი და მხოლოდ. ის ხარისხით ერისთავთაგან განსხვავებული არაა... (³/₅₃, 407).

მომაკვდავი მირი ეუბნება არჩილს: „აჯა მივის ჩუენ შვილი წული მკვდრად, არამედ მისხენ შვილნი ქალნი. აწ შენ ხარ მკვდრი სახლისაგან მეფობისა ჩემისა მირიან მეფისა და შენ თვთ უწყი. ვი-

თარმედ ქალი შვილი ჩუენარა მიეცეთ ერის-
თავთა ჩუენთა (v. add. ცოლად) ანუ მიესცით მეფეთა ანუ მოვინ-
მეევიდის სპარსეთით ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა
მისცა მირიან მეფემან ასული ცოლად, და შემცირებულ ვართ. რა-
მეთუ შენ ხარ უცოლო და მეფე ვარ უძეო აწ რათგან მოიყუანნიან
მამათა ჩუენთა ცოლი და ასულნი ერისთავთა ჩუენთანი (ქცა. add.:
და მისციან ასულნი თსნი მათ და ჭუეყანანიცა ქართლისა მისციან
მათ და შენცა) მიეც მათ ასულნი ჩემნი და განუყუენ მათ
ქუეყანანი ქართლისანი ნახევარი შენ და ნა-
ხევარი მათ, ხოლო საუხუცესოდ რომელი მაქუნდა მამიცემია
შენდა და გაქუნდეს საუხუცესოდ ეგრისი, სუანეთი, თა-
კუერი, არგუეთი და გუარია, ხოლო კლარჯეთი და შუა
მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყენენ ჟამთა ამათ
ბოროტათ" (მდ. 206—207).

მერი მოკვდა. არჩილი გამეფდა. „ხოლო არჩილ მოუწოდა (ქცა
add.) ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძის წულნი მისნი. ერთი
მისცა მამის ძმის წულს შვილსა მისსა გუარამ გურატპალატისასა,
რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი და მეორე მისცა პი-
ტიაშხსა ნათესავსა ფეროზისასა, რომელი ჰმთავრობდა თრია-
ლეთს, ტაშირს და აბოცს, მესამე მისცა ნერსეს ნერსიანისა,
რომელი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა, მეოთხე მისცა ადარნა-
სუს ადარნასიანსა და ორთა ამათ განუყო ზენა სოფელი რო-
მელი, არს ქართლი, მეხუთე მისცა ვარაზმანს და მისცა
კოტმანითგან ქურდის ჯევამდე. იყო ესე ვარაზმან
ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის
მამა იგი ვახტანგ მეფისა, მექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა,
რომელი იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა შვილთაგან რევისათა და
მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი მანგ-
ლისის ჯევიდა ტფილისი. ხოლო ნაწილი არჩილისი
იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჯევთაგან. და ეითარ
იხილეს რამეთუ ჯუანშერს უკეთესი ნაწილი მისცა დაუმძიმდა მცი-
რედ რაჰე სხუათა მათ. და განუტევნა მთავარნი ესე ცოლებითურთ
თჳს თჳსად ადგილად" (მდ. 208).

მოყვანილი ამონაწერი ფრიად საინტერესოა ბრაველმხრივ. ჯერ
ერთი: XI ს-ში მცხოვრები ჯუანშერი (თუ ის მართლა ამ დროს იყო)
ამ ცნობას ვერ მოიგონებდა. არც რაიმე აზრი ჰქონდა მის შეთხზვას
ამ დროს (ასეთი ცნობა, თუ ის წერილობითი სახის ცნობიდან არ
აქვს ამოღებული ჯუანშერს, შეიძლება ზეპირად არსებულიყო და

შეთხზულიყო IX—X საუკუნეში). წარმოდგენილი სახით ცნობა, უეჭველია, გარკვეულ „იდეოლოგიებს“ განიცდის და ამიტომაც მისი ისტორიული უეჭველობა სათუოა. მიუხედავად ამისა, ეს ცნობა მეტად საინტერესოა და ისტორიულად გამოსაყენებელი.

რა თქმა უნდა, საუბარი იმის შესახებ, რომ ძველად მეფენი ქალებს თავიანთ ერისთავებს არ მიათხოვებდნენ, მოგონილია, მაგრამ ეს ადგილი იმითაა შესანიშნავი, რომ ამქღავნებს ამ ცნობის დაწერის დროს და გარემოებას. საქმე აგრე წარმოიდგინება: „ჯუანშერს“ ჰქონდა ცნობა, რომ მირის შვიდი ქალი ქართლის შვიდ მთავარს მიეცა ცოლად და [უფლებიანობის კიდეე უფრო დასასაფუძვლებლად) ამ მთავართა გენეალოგიები იყო მოყვანილი. ეს იყო „მ თ ა ვ ა რ თ ა“ წ რ ე ში წ ა რ მ ო შ ობ ი ლ ი ც ნ ობ ა. მათივე შეკაზმული... ეს ცნობა (წერილობით თუ ზეპირი) ხელში უვარდება მეფის პოლიტიკის მომხრე ჯუანშერს და ის სათანადო დ ი რ ე ქ ტ ი ვ ს უ კ ე თ ებ ს მ ა ს დ ა მ ე ფ ის თ ე ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს მ ი ს ა ღ ებ ა დ ხ დ ი ს.

სახელდობრ: ათქმევინებს მირს, ძველად მეფენი თავიანთ ქალებს ერისთავებს არ მიათხოვებდნენ და რომ ასეთი რამ შესაძლებელი ნეიქნა ნას შემდეგ, რაც მეფენი შ ე მ ც ი ო ნ დ ნ ე ნ... ასეთი რამ შესაძლებელი იყო თქმულიყო იმ დროს, როცა მეფის სახლში აღარ იყო წესად ქალების თავიანთ ქვეშევრდომზე მითხოვება... როგორც არ იყოს, ცნობა მეტად მნიშვნელოვანია. ამით მთავრები მეფის უფროსი შტოს მიერ ნაანდერძევობის კანონით ასაფუძვლებენ თავიანთ ფ ა ქ ტ ი ურ ფ ლ ო ბ ა ს საერისთავოებისას და ამ ნაანდერძევობას მეფის სიძეობაზე ამყარებდნენ. ამრიგად, გამოდიოდა, რომ ეს მთავრები და მათი ჩამომავლობა სრულიად კანონიერად საშვილიშვილო საკუთრებად ფლობენ საერისთავოებს და მათ წინააღმდეგ ამ ნიადაგზე ბრძოლა მეფეთა მიერ უკანონობა იყო. ჯუანშერი ამას ვერ უარყოფს, მაგრამ აქაც აკორექტივებს. ეს მთავრები, მირის სიძეები, არჩილის მორჩილებად არიან წარმოდგენილი. კიდეე ნეტარ აფხაზეთის მთავარი, ბიზანტიელთ ხელისუფალი თხოულობს მირის ქალს და ასეთსავე საშვილიშვილო მორჩილებას აღუთქვამს არჩილს, ე. ი. ჯუანშერს საქმე ასე მიჰყავს: მართალია, მეფის სიძეების ჩამომავალნი ხართ და ამით საშვილიშვილო უფლებანი გაქვთ, მაგრამ თქვენი მფლობელობა მაინც მეფისადმი მორჩილებაზეა დამოკიდებული და ურჩნი ამ უფლებებს ჰკარგავთ... ასეთი სინამდვილე, როცა ასეთი საკითხები მწვავედ წამოიჭრა და როცა აზნაურთა (დიდ აზნაურთა) წრეში შეთხზულს მეფეთა მხრით ასეთი

პასუხი გაეცა, ასეთი სინამდვილე იყო — თუ აქვე გავითვალისწინებთ, რომ ამ სამთავროთა არედან გამოტოვებულია კახეთ-ჰერეთ-გარდაბან-სომხითი და დასავლეთი საქართველო. ასეთი სინამდვილე იყო X—XI ს-ში. ამ დროს უნდა დართოდა „ჯუანშერის“ კორექტივაც. თვით ძირეული ცნობა კი IX ს-ის ადრინდელი არ უნდა იყოს: სამთავროების ტერიტორიული მოხაზულობა, ლიხთიმერეთის საუხუცესო ტერიტორიად წარმოდგენა, კახეთ-ჰერეთ-გარდაბან-სომხითის სამეფოდ გამოცხადება—ამას გვაფიქრებინებს (ვლაპარაკობთ ცნობის წერილობით რედაქციაზე და არა თვით ცნობის პირველ ჩასახვაზე, რაც შესაძლებელია უფრო ადრეც იყოს).

ასე თუ ისე, ეს ცნობა არის ფეოდალური წყობილების იდეოლოგიურ-ისტორიული დასაფუძვლება: თუ აქამდის ერისთავები საერისთავოების უზურპატორები იყვნენ, თუ აქამდის მათ თავიანთი საერისთავოები სპარსელთა და ბიზანტიელთა მკვდრობის სიგელების წყალობით ეჭირათ, როცა სამეფო სახლი შემცირებული იყო და მხოლოდ ამიტომ ითმენდა ერისთავთ კადნიერებას, ამიერიდან საერისთაოები მათ საშვილიშვილოდ უჭირავთ თვით მეფის ანდერძით, როგორც ამ მეფის ქალთა ნამზითვი ტერიტორია. მართალია, ეს მოხდა მეფის სახლის დამცირების გამო, მაგრამ ეს ამ აქტის კანონიერებას არ აქარწყლებს. ამ ცნობით ერისთავები უნდა მორჩილებდნენ მეფეს და ასეთი მორჩილების პირობებში მეფეს უფლება არა აქვს ერისთავობა წაართვას და საერისთავო ტერიტორია მიითვისოს. ამ ცნობით ყველა ერისთავს თანაბარი უფლებები აქვს — ყველა სიძეა, — მათ საერთო აქვთ საფრთხე — მეფის ხელისუფლება — და ამდენადვე მათი ინტერესები საერთოა. ეს იყო „ერისთავთა“ (და მათ ჩამომავალთა) იდეური გაერთიანება დამეფისადმი დაპირისპირება.

IX—X ს-ში, რა თქმა უნდა, ეს „ერისთავნი“ (=მთავრები) შვიდნი კი არ იყვნენ, არამედ გაცილებით მრავალი, მაგრამ თითოეული მათგანი თავის თავს ამ შვიდეულისგან წარმოშობილად აღიარებდა. ამდენადვე ეს ცნობა შეეხებოდა (ან უკეთ: გამოადგებოდა) არა მარტო ფაქტიურ მთავრებს, არამედ მთელ მათ მოდგმას — აზნაურთ.

რა თქმა უნდა, ყველა აზნაური ამ ცნობას ვერ გამოიყენებდა, რამდენადაც მრავალი მათგანი თვით ამ მთავართა „ყმა“ იყო... ამიტომ ეს ცნობა აზნაურთა გარკვეულ წრეს, ეკო-

ნ ო მ ი კ უ რ ა დ დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ დ ა ნ ბ ი ნ ა ურ ე-
ბ უ ლ წ რ ე ს ი ც ა ვ დ ა ამ წ ო ს მ ი ე რ ი ყ ო რ ე დ ა ქ ტ ი ر ებ ული.. (3/82, 179—183).

იწყება მ თ ა ვ ა რ თ ეპოქა. ერისთავი თავისი მცირე კარით (მეფის კართან შედარებით) და მისი ხელქვეითი (უკვე „ყმობაში“ გადასული) მოსახლეობა (რომელიც უკვე ამ დროისათვის საკმაოდ დიფერენცირდება მიწის მფლობელ მეომრებად, აზნაურებად და მიწის მფლობელ მეურნეებად—თავისუფალ მოწისმოქმედებად...) და მებეგრე-მოხარკე „გლეხები“ — აი ეს იყო ახლა რეალური ძალა. მეტად საინტერესო და ეპოქის დამახასიათებელია, რომ არჩილმა გაუშვა ტ ა ძ რ ე ულ ნ ი დ ა ა ზ ნ ა ურ ყ ვ ნ ა ი ს ი ნ ი. ამიერიდან, ჩანს, შეიქმნა ტაძრეული აზნაური (in principe). ტაძრეული ამალას ნიშნავს. მათი გაშვება, მიწაზე დასახლება, გააზნაურება ნიშნავს მ ე ფ ი ს ჯელის დასასრულს (ძველი გაგებით), ქვეყნის „ფეოდალიზაციის“ (მარქსისტული გაგებით) საბოლოო გამარჯვებას, ა ზ ნ ა ურ თ ა ე პ ო ქ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ს (არაა საფიქრებელი, რომ აქ „აზნაურ ყვნა“-ში „თავისუფალ ყვნა“ იგულისხმებოდეს) (3/28, 170).

ხდება, რომ „მეფობის“ ტრადიცია არსებობდა და მომხრენიც ჰყავდა (ვინც ამ ტრადიციას ინახავდა), მეორეც ისა, რომ IX ს-ის დასასრულისათვის მომწიფებულა დრო მეფობის აღსადგენად [აფხაზთ მეფეთა მაგალითი ამავე დროს ძლიერი იმპულსი შეიძლება ყოფილიყო! საკითხი კონკრეტულად ეხებოდა ქართლის ხელში ჩაგდებას, რომლისთვისაც უკვე იბრძოდნენ „აფხაზნი“ და არა როგორც უცხოელნი, არამედ შინაური მოძმენი (ქუთაისში ჯდომი მეფენი, ქართველი მარგვეთის მფლობელნი და სწორედ ამ ქართულ მოსახლეობასა და ქართლის ეკლესიაზე დაყრდნობილნი... დემეტრე)]. „ქართველთა მეფე“ აფხაზთა მეფეს უპირისპირდებოდა, ცხადია, მაგრამ საქმეს აქ მეორე მხარეც ჰქონდა და ისაა ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესო: ა ღ დ გ ე ნ ი ლ ი მ ე ფ ო ბ ა, რა თქმა უნდა, იგივე არ იყო, რაც ძველად. ახალი ვითარება ახალი შინაარსით ავსებდა ამ ძველ ტერმინს (მეფეს აქ მონები კი აღარ ახასიათებდა, არამედ „ყმები“), მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ შესაძლებელი გახდა მისი „ა ღ დ გ ე ნ ა“. ჩანს, უკვე არსებობდა ძალა, რომელიც ამ ახალ ხელისუფლებას ასაზრდოებდა. რა თქმა უნდა, დიდხანს ამის შემდეგ კიდევ მრავალი არამეფე თუ უფრო ძლიერი არა

[და შრავალჯერ უფრო ძლიერიც], მათზე ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობისა არ ყოფილა, მაგრამ ქვეყნის გაერთიანების და პირველობის იდეა არც ერთ სხვა ტიტულს არ დაკავშირებია. კურაპალატი, ერისთავთერისთავი, ქორიკოზი — ყველა მეფობას ისწრაფვის: რა თქმა უნდა, ეს მარტო ტერმინის საკითხი არ ყოფილა და თუ რეალურად ხშირად მეფე ვერ მეფობდა ან არ ამეფებდნენ, მეფობის იდეა, ცენტრალისტური ხელისუფლების ძლიერების იდეა მაინც მასთან იყო დაკავშირებული. ამდენად, მაშასადამე, მეფობის „აღდგენა" ეს უკვე ფეოდალურ ნიადაგზე შექმნილი ცენტრალისტური ტენდენციების ნიშანია, მისი ერთ-ერთი გამოვლენაა. ამ მხრით მეტად საინტერესო ხდება, რომ „აფხაზეთში" ეს ამბავი სწორედ ასი წლით წინ მოხდა... იქაც ასეთივე „მთავრობის" ეპოქა უძღოდა ამას წინ (VII საუკუნე). ჩანს, ლაზიკის მყუდროებამ და „ხაზარეთთან" მჭიდრო ეკონომიკურმა ურთიერთობამ (ხაზარეთ-ტრაპიზონი) ლაზიკაში უფრო ადრე შექმნა შესაძლებლობა მეფობის აღდგენის, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სპარსეთ-არაბეთის პოლიტიკამ, უეჭველია, უარყოფითად იმოქმედა ამ მხრით (მთავრების დევნა არაბების მიერ...). (³/₂₈, 170—173).

შესანიშნავი მოწმობაა იმისა, რომ დასავლეთ საქართველო (ქუთაისით) საკუთრივ სამეფოა („ძველი სამეფო"), ამიტომაც იყო ის საგმსახურთუხუცესო (და არა საათაბაგო). ესაა ს ა უ ხ უ ც ე ს ო ბაგრატიონთ სახლისა.

ქუთაისი კი იყო „საწამებელად სამკუიდროისა ჩვენისა" (ან. 153).

ერთსა და იმავე დროს გაჩნდა ორგვარი ქვეყანა: სამკვიდრო სამეფო და სამკვიდრო საერისთავო [თუმცა მეფე მათ შემდეგაც უყურებს, როგორც სამეფოს, მაგრამ „გაცემულს"]. (წ. ან. ფ. 11).

ბერის ანდერძის თანახმად, არჩილმა ს ა უ ხ უ ც ე ს ო დ ა ი ღ ო ე გ რ ი ს ი, ს უ ა ნ ე თ ი და თ ა კ უ ე რ ი, ა რ გ უ ე თ ი და გ უ რ ი ა.

„არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმისწულნი: ერთი მისცა მამის ძმისწულის შვილსა გუარამ კურაპალატისსა, რომელსა ჰქონდა ქ ლ ა რ ჯ ე თ ი და ჯ ა ვ ა ხ ე თ ი: მ ე ო რ ე მ ი ს ც ა პიტიაშხსა ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თ რ ი ა ლ ე თ ს, ტ ა შ ი რ ს და ა ბ ო ც ს: მესამე მისცა ნერსესიანსა, რომელი იყო იგი წარჩინებული ეახტანგ მეფისა; მ ე ო-

თ ხ ე მ ი ს ც ა ადარნესეს ადარნესიანსა და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი; მ ე ხ უ თ ე მ ი ს ც ა ვარზ-მანს და მისცა კოტმანითგან ქურდის-ჯევამდე... მ ე ე ქ უ ს ე მისცა ჯონბერს ჯონბერიანსა... და მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთე-ულეთი, მანგლისის ჯევი და ტფილისი" (ან. 153—154). არჩილმავე ი ყ მ ო ლეონ აფხაზთა მთავარი და მ ი ს ც ა მ ა ს ა ც მირის ქალი, მანვე მისცა საერისთავო ქვეყანა შ ულ ა ვ ე რ ი და ა რ ტ ა ნ ი ადარნასე ბაგრატიონს.

არჩილმა, როგორც ვხედავთ, სავსებით შეცვალა საქართველოს სურათი (პოლიტიკური). არც საუხუცესოში (გურია, ეგრისი, სუანე-ნეთი, თაკვერი, არგუეთი) და არც კახეთში მას ერისთავები აღარა ჰყავს (მაშინ როცა ვახტანგ გორგასალს აქ ყველგან ერისთავები ჰყავდა). ჰერეთი გულგულამდე, წუქეთიდან მოკიდებული საყმოდ აქვს გაცემული, ასევე საყმოდ უქცევია აფხაზეთი (იპატრონას უძველესი მაგალითი). და ეს მოხდა იმიტომ, რომ არჩილის დრო-იდან საერისთავო ქვეყანა და სამეფო ქვეყანა მკაცრად განსხვავედე-ბოდა ურთიერთისაგან (ვახტანგის დროს ეს არ იყო, და ერისთავე-ბიც ამისთვის იბრძოდნენ.). ა ხ ლ ა ა რ ა ბ ე ბ ი ს ა ქ ვ ე ყ ნ ო ხ ა რ კ ს ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი ს ა გ ა ნ ი ღ ე ბ დ ნ ე ნ... არჩილი უნდა შეგეებოდა „რევოლუციის" შედეგად მიღებულ ვითარებას, რომელსაც არაბებიც მხარს უჭერდნენ (და მ ა ს ა ც ქ ვ ე ყ ა ნ ა ფეოდალურად მოუწყვია. ეს ს ურ ა თ ი ც კ ა რ გ ა დ ჰ გ ა ვ ს XI ს-ის ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, როგორც შ ე მ დ ე გ ა რ ჩ ი ლ ი ს ძ ი ს დ რ ო ს ფ ე ო დ ა ლ ურ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი-ტ ი კ ურ ი ს ურ ა თ ი, გვ. 161). (წ. ბარ. ფ. 54).

„მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუ-ბოძა კახეთი და აზნაურყუნა იგინი" (ან. 155).

აქედან ჩანს: რომ ტაძრეულები აზნაურები არ არიან (ესენი არიან სახლეულნი, მსახურნი" ministeriales), რომ აზნაურები ხა-სიათდებიან მ ი წ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი თ, რომ მიწის მფლობე-ლობა ჯერ კიდევ აზნაურობას არ ნიშნავს და რომ, მაშასადამე, არი-ან მიწის მფლობელნი (utille თუ directum — სულ ერთია არააზ-ნაურნი... რომ აზნაურნი მოხელენი არიან მიწის სარგებლობასთან დაკავშირებულნი... ($^3/_{29}$, 50).

არჩილმა ტაძრეულნი აზნაურ ყვნა, ე. ი. გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ-ლ ა. ჩანს, ტაძრეულები თავისუფალნი არ ყოფილან.

ლეონი არ შეეეედრებოდა, რომ არჩილს თავისი ერისთავები ძმებად და შვილებად ღირს არ ეყვნა...

ა რ ჩ ი ლ ი ფეოდალური სამეფოს ფუძემდებელი.

ქალებს აქამდეც მივსცემდით...

ო რ გ ვ ა რ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი ა (6/1, 49).

რომ მსახურები წოდებრივი ჯგუფია, ეს აღნიშნული აქვს ივ. ჯავახიშვილს. რომ ი გ ი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა რ ა ა , ეს ცხადია ჯუანშერიდან, იმ პირობით, თუ ტაძრეული (resp. სახლეული) უდრის მსახურს.

გამოდის, რომ V—VIII საუკუნეებში და შემდეგაც არსებობს განსაკუთრებული წრე — ა რ ც მ ო ნ ა, ა რ ც ა ზ ნ ა უ რ ი, ა რ ც თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი.

ეს ხომ არ იყო ყმათა პირველსახეობა?? (წ. მდ. ფ. 3).

ყოველად უდავოა, რომ არჩილის წამება უშუალო გაგრძელებაა წინა ტექსტის („ჯუანშერის") და არა დამოუკიდებელი რაღაც ნაწარმოები. რეალიებს გარდა (ქართლი, კახეთი, მთავარი, სპასალარი) ამის მოწმობაა.

ე ს ტ ე ქ ს ტ ი რ ო მ ც ა ლ კ ე ა ხ ე წ ა რ მ ო ვ ი დ გ ი ნ ო თ, ი ს ყ ო ვ ლ ა დ გ ა უ გ ე ბ ა რ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა...

რაც შეეხება ბიბლიოგრაფიულ მინაწერს, ის, რა თქმა უნდა, გვიან არის მიწერილი. მაინცდამაინც ამ მინაწერის მიხედვით ა რ ჩ ი ლ ი ს წ ა მ ე ბ ა, ისე როგორც ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან.

ასე რომ, ეს მინაწერი უარყოფს 156 გვერდზე მოთავსებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობას, თითქოს, ეს არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ე ვ ე ლ მ ა ნ აღწერა.

ეს უკანასკნელი მინაწერი კიდევ უფრო გვიან არის ჩართული, ვიდრე წინა მინაწერი.

ეს მინაწერი რომ ყოფილიყო, ის მეორე ამის უარმყოფელი არ დაიწერებოდა ან, თუ დაიწერებოდა, ამას ამოიღებდა დამწერი...

არც ისაა საფიქრებელი, რომ ის მეორე მინაწერი არჩილის წამებას ახლდა მხოლოდ... (წ. ან. ფ., 159).

არჩილ (მურვან ყრუს) შემდეგ „დაემკვდრა ე გ რ ი ს ვ ი დ რ ე შ ო რ ა პ ნ ა მ დ ე"...(მდ. 209). რატომ შორაპნამდე, როცა მისი იყო

არგვეთი? თუ აქ ეგრისი ვიწრო ცნებით არის გაგებული, მაშინ აქ არგვეთი შორაპანს ზედათი იგულისხმება. მაგრამ მაშინ არჩილი რატომ მხოლოდ ეგრისში შ ო რ ა პ ნ ა მ დ ე -დაემკვიდრა, როცა არგვეთიც მისი იყო (იქვე, 207)??

თუ ეგრისი ფართო ცნებით არის აღებული, მაშინ არგვეთი შორაპანს ქვედათი ყოფილა წყალწითელამდის, მაგრამ ამ ფართოდ აღებულ ეგრისში რატომ არგვეთივით გურიაც არ მოათავსა? რატომ აქვე ამბობს, რომ „აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისასა და საბერძნეთისასა“? (3/53, 105).

ყრუს შემდეგ არაბები „წელიწადსა ორმოცდამეათესა“ არღარა შემოვიდოდეს, ა რ ა მ ე დ მ ი ი ღ ე ბ დ ე ს ხ ა რ კ ს ა ე რ ი ს თ ა ვ თ ა გ ა ნ“ (მდ. 211).

ერისთავთ ბრძოლა სრული გამარჯვებით დასრულდა: ისინი თანასწორნი არიან მეფისა. მანულები დამკვიდრებული აქვთ, — ნამზითვად მიიღეს (ამიტომ დასჭირდა მირს შვიდი ქალი, რომ შვიდი ერისთავი მეფის სიძე გამხდარიყო და საერისთავოები მზითვად წაეღოთ...). საგარეო ურთიერთობაშიაც სრულიად დამოკიდებული არიან, — ხარკს ისინი ე რ ი ს თ ა ვ თ ა გ ა ნ მ ი ი ღ ე ბ დ ნ ე ნ. უკანასკნელი გარემოება კიდევ უფრო ზრდიდა ერისთავთ უფლებას მისდამი დაქვემდებარებულ მოსახლეობაზე, რომელთა მიმართ ეს უკვე ჯელმწიფეა... (3/53, 400).

„არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძის წელნი მისნი... და განუტევა მ თ ა ვ ა რ ნ ი ესე ცოლებითურთ თჳს თჳსად ადგილად“ (მდ. 207—208).

ამიერითგან ისინი მართლაც მ თ ა ვ რ ე ბ ი ა (სიუზერენები). დაშლა ლოგიკურ დასკვნამდის მივიდა. იყო თუ არა ეს ერისთავთ სიძობა, სულ ერთია; ეს არის იდეოლოგიური დასაფუძვლება ერისთავთ თანასწორობისა მეფესთან (3/53, 405).

არჩილის მოქმედება „ი დ ე ა ლ უ რ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი“. ამიერიდან მეფის ძალა აზნაურებშია. მეფე კი (შემდეგ) ამას ვერ დასჯერდა. მოსაკარგავე აზნაურებმაც „ყმადნაფიცობისაკენ“ გაიწიეს და მეფემ მ ო ნ ა ს პ ა გაიჩინა დაქირავებული ლაშქრის გვერდით... (წ. ან. ფ. 42).

ჯუანშერის კონცეფციით ასეა (და თითქოს საბუთიანიცაა): სპარსელთა და ბერძენთა შეთანხმებით ქართლში მ ე ფ ო ბ ა უქმ-დება და ერისთავთა მთავარი ზის... მეფის სახელს ეს ერისმთავარი „ვერ იკადრებს". მაგრამ საკმაოა სპარსელები გადაშენდნენ, ბერძნებიც მისუსტდნენ, რომ ხოსროიანების მთავრებმა მეფობა ი კ ა დ რ ო ნ... ასეთებია ადარნასე მთავრის შვილები, მეფე მირი და მეფე არჩილი და მათი შვილები იოანე და ჯუანშერ...

ამ დროს ხდება ისე, რომ მთავრები (ერისთავები) ურიგდებიან ხოსროიანებს, ზოგი მირდატის ძეებს (ბაგრატიონები), ზოგი ბაკურის ძეებს (აფხაზთა მთავრები), ამით თითქოს მეფობის უფლებას იმკვიდრებენ (მირის გვირგვინი აფხაზთა მთავარს)... post factum შეთხზული რამაა...

VIII ს ა უ კ უ ნ ე ში ა ფ ხ ა ზ თ ა მ თ ა ვ ა რ ი ს ა ბ ო-ლ ო ო დ ქ ა რ თ უ ლ ს ა მ ყ ა რ ო ში შ ე მ ო დ ი ს და ი ბ ე-რ ი ი ს მ ე ფ ე თ ა მ ე მ კ ვ ი დ რ ე ხ დ ე ბ ა... აფხაზთა მთავრები „ქართველებია" კულტურულად (ცოლები, დედები, ენა, სარწმუნოება, ასევე მეგრული საზოგადოების უმაღლესი ფენა, — საფუძველი: აჭარა-გურია-ფერსათ-არგვეთის გაქართულება[2] (ხანგრძლივი პროცესი).

ბაგრატიონებს განსაკუთრებით გაუჭირდებოდათ „მეფობის კადრება": ცლარჯეთი საბერძნეთში იყო, ხოლო მეფობა საბერძნეთისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავდა... როგორც აფხაზთა მთავრები, ისევე ბაგრატიონები თანაბარი უფლებით იყვნენ ხოსროიანთ ჩამომავალნი — სიძეები... ორივეს აჯანყება სჭიროდა ბერძენთა წინააღმდეგ და დამოუკიდებლობის მოპოვება... 888 წლის აქეთი აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ იყო მიმართული...

აფხაზთა მეფე ს ი ძ ო ბ ი თ, მ ი რ ი ს გ ვ ი რ გ ვ ე ი ნ ი თ მოიწევს ქართლზე.

კლარჯეთი (ბაგრატიონები ასევე სიძობით „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ო ბ ი თ" — 888 წ.) მოიწევს ქართლზე... ამოტი ქართლში გვიან შეთხზულიც კი შეიძლება იყოს. მაინცდამაინც ეს არ იგულისხმება მერჩულეთი...

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ე ბ ი ს ა და ა ფ ხ ა ზ თ ა მ ე ფ ე ე ბ ი ს ქ ი შ პ ი

„მეფე ქართველთა"
„მეფე აფხაზთა" } ორივე ქართული ერთეული იყო.

[2] ავტორი გულისხმობს გაქართებას. — რედ.

საბოლოოდ უპირატესობა მაინც „აღმოსავლეთს“ დარჩა (ტაოკლარჯეთი — ქართლი). (წ. ქცა. 1, ფ. 79—80).

„მ თ ა ვ ა რ თ ა ს ი მ რ ა ვ ლ ე“ (და სწორედ VIII საუკუნიდან) დიდი მთავარი (ჩორჩანელი) თავისი მოკიდებულით, არჩილის მიერ დადგენილი ერისთავები — მთავრები...

მთავრები დადიან. „პ ა ტ რ ო ნ ე ბ ს“ ეძებენ (არჩილი და მთავრები).

მთავრები დადიან, შეიპყრობენ კლდეს და ციხედ გაიხდიან (244).

მთავრები დადიან, „გადაუქცევენ“ ერს სხვა მთავარს და ქვეყანას ეუფლებიან (ხორნაბუჯი).

მთავრები დადიან, შეიპყრობენ ქვეყანას, აგებენ ციხეებს, პატრონს გაიჩენენ (ბაღვაში).

მთავარი ეშველება მეფეს (აფხაზი).

მთავრებს (ამ მოხეტიალეებსაც) ჰყავთ, უეჭველია, ერმოკიდებულები (ბედის მაძიებლები).

უსაფუძვლოდ არ გამოიყურება ამ მთავრების უცხოეთიდან მოსულობის ფაქტი ნაწილობრივ მაინც (ბაგრატიონები, ორბელიანები და სხვ...).

უსაფუძვლოდ არ გამოიყურება ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი ს მოსულობის, არაქართველობის, არამეგრელობის ლეგენდები... ეს აზნაურები ის ბედის მაძიებელი მოკიდებულებია, მთავრებს რომ მოჰყვებიან და, ბუნებრივია, პრივილეგირებული ხდებიან დაპყრობილ ქვეყანაში. აი, როგორც სპარსელები ჯორჯანეთში.

დროთა განმავლობაში მათ ადგილობრივნიც შეერევიან და მოსულობას დაიჩემებენ...

აზნაურთა წარმოშობის აზონაურობა ფეოდალური დროის შექმნილი ლეგენდაა (თუ ნაწილობრივ ლეგენდა). აზო უცხოელი მთავარია, რომელსაც ერი გადაუქციეს... ეს ლეგენდა VII—IX საუკუნეებშია შექმნილი...

უფრო ისტორიულ-რეალურია ცნობები მთავართა და მეფეთა შესახებ VIII—IX სს-ში... X ს-ში მთავრები ძველი გაგებით ეფლად იხსენიებიან (ძამელი მთავარი).

ბიბლიური მ თ ა ვ რ ე ბ ი (ესენიც VI ს-დან იწყებენ თავიანთ ისტორიას). ამათ ფეხი იქ ვერ მოიკიდეს (დვალეთში), სადაც საამისო პირობა არ იყო: გვაროვნული წყობილება დახვდათ. იქ კი დაბაგრდნენ, სადაც საამისო პირობები იყო ქსანზე... როსტომის „ე რ ი“ ს ა მ ო ც დ ა ა თ ი კ ა ც ი ი ყ ო.

X საუკუნიდან პატრონყმური ურთიერთობის ჩათავების პარალელურად, გაერთიანების პარალელურად, ახალი საფეხურის საფეძველზე გაქრნენ მთავრები... (წ. ქცა, I, ფ. 83—84).

„მთავარი" ისეთივე ხასიათის ცნებაა, როგორც „წარჩინებული". ამას მოწმობს „უმთავრესი". ეპისკოპოსი ჯუანშერით მთავარია, მაგრამ კათალიკოსი უმთავრესია.

ასე რომ, მთავარი ერისთავსაც შეიძლება ნიშნავდეს, ეპისკოპოსსაც და ყოველ წარჩინებულს (მთავარმემღვიძე, მთავარანგელოზი. მთავარდიაკონი, მთავარერისთავი...). შემდეგ მთავარი თანდათან სოციალური, კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი ხდება ისე. როგორც კიდევ უფრო გვიან თავადი...

იქვე: „დაემორჩილენით მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ჯრნალ აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა" (ან 134).

მეფე მთავრობს (წ. ბარ., ფ. 62).

არჩილ ეუბნება მირს: „შენ წარიხუენ ორნი იგი გუირგუინნი მისვე ვახტანგისნი, რომელნი მიუძღვანნა სპარსთა მეფემან, ერთი მირიანს და ერთი ვახტანგს ყოველსა თანა ოქროსა და ვეცხლსა, რომელი აჰკიდა სატუირთავსა ხუთასსა და მკუირცხსა (მკუირცხლსა) ორი ათასსა და შენ და მამამან ჩემმან დასდეეთ იგი ქუთათისს და ციხე ჯოჯს" (ან. 150).

იგულისხმება თითქოს, რომ სპარსთა მეფის ძღუენი (უნდა ყოფილიყო „ბოძი", „ნიჟი") — ოქრო-ვერცხლი ვახტანგმა „აჰკიდა სატუირთავსა ხუთასსა და მკუირცხსა ორი ათასსა" და ასე გამოგზავნა. სამწუხაროდ, არა ჩანს ნათლად, თუ ვინ იყვნენ ეს მკუირცხნი. ქართველთა ლაშქარში იხსენიებიან „ქუეითნი" მჯედრების გვერდით. მჯედრები თავის მხრით განიყოფებიან ორ ნაწილად: 1. „ცხენთოროსანნი, ჯაჭვჩაბალახოსანნი" და, მარტივად: 2. „მჯედრები" (ან. 102) მკუირცხნი სხვა ადგილასაც იხსენიება, მაგრამ როგორც ბერძენთა ან არაბთა (ან. 151) ჯარის ნაწილი (ან. 115). საფიქრებელია, რომ ქართულ ლაშქარშიაც იყო „მკუირცხნი" (შეიძლება მკუირცხნი იყო „ქუეითის" განსაკუთრებული ნაწილი ან პირდაპირ ქუეითის შესატყვისი?). ის გარემოშოება, რომ ამ მკუირცხებს აჰკიდებდნენ ხოლმე მეფის ძღუენს სატუირთავების გვერდით, ე. ი. ცხენ-ჯორ-ვირის გვერდით, მათი სოციალური ვინაობის მოწმობა შე-

იძლება იყოს. საეჭვოა, რომ ყველა ქვეითი აგრე დამდაბლებული ყოფილიყო უკვე ამ დროს. ასე რომ ამ ორი ტერმინის (ორივე ქართულის) თანაარსებობა თითქოს იმის მოწმობაც შეიძლება იყოს, რომ შინაარსით ისინი ერთიმეორისაგან უკვე განსხვავდებოდნენ: რომ „მ კ ვ ი რ ც ხ ნ ი“ იყო „ქვეითნის“ ნაწილი იმით, რომ მკედარი არ იყო, მაგრამ სოციალურად ის ქვეითობის უდაბლეს ფენას წარმოადგენდა („გლეხობა“ იყო?). ის გარემოება, რომ ფეოდალურ ურთიერთობაში ტ ვ ი რ თ ი ყველაზე უფრო დამამცირებელ მოვალეობად ითვლებოდა და ტვირთის მოვალე გლეხი ყველაზედ უფრო დაბალ კატეგორიად იყო მიჩნეული, იმის მოწმობა უნდა იყოს, თუ საიდან იგულისხმება ამ კატეგორიის წარმომაელობა და რაის ნიშანია ეს ტ ვ ი რ თ ი ს ა კ ი დ ე ბ ა (ᲩᲐ/1, 168).

[მატიანე ქართლისა]

არჩილი აწამეს, ქართლი და კახეთი მოაოხრეს. არჩილის ძე იოვანე დედით ეგრისს წარვიდა. ჯუანშერ ქართლს დარჩა. მოვიდა ხაზართ ჯარი. ქართლი მოაოხრა, თბილისი აიღო. ჯუანშერ დაატყვევა თავისი დით, შუშანით. ქალმა თავი მოიკლა. ჯუანშერი შვიდ წელს ტყვედ იყო.

„ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მათ მეფეთა ხოსროვანთამან პირველად უფლება სარკინოზთ განდიდნა და მათგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ქამითი ქამად რბევასა და ოკრებასა. მეორედ იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა. იქმნეს მტერ ურთიერთას და უკეთუ ვინმე გამოჩნდეს რომელიმცა ღირს იყოს მეფედ შვილთა შორის ვახტანგისათა იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი ოგარიანთა შეიქმნეს სახლად საყოფელად თჳსად მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა მისგან...“ (მდ. 217).

აქ ფრიად რელიეფურადაა მოცემული სინამდვილე. არაბების მძლავრობა იქითკენვე მოქმედებდა, საითკენაც მთავართ სიმრავლე: ე. ი. მეფის ხელისუფლების შემცირებისკენ არც ერთის და არც მეორეთა ინტერესში ძლიერი მეფე არ შედიოდა. აქ ძვირფასია ის ცნობა, რომ ფეოდალიზაციას, რომელიც კარგა ხნით ადრე დაიწყო არაბობამდე, ამ უკანასკნელთა დამკვიდრებამ მეტად შეუწყო ხელი (³/₅₃, 395).

„ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მათ მეფეთა ხოსროვანიანმან. პირველად უფლება სარკინოზთა განდიდნა და მათგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ქამითი ქამად რბევასა და ოკრებასა, მეორედ იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია (შეერიათ)

ბ რ ძ ო ლ ა ი ქ მ ნ ე ს მ ტ ე რ უ რ თ ი ე რ თ ა ს. და უკეთუ ვინმე გამოჩნდეს რომელიმცა ღირს იყოს მეფედ შვილთა შორის ვახტანგისათა იქმნეს (v. იქმნის) შემცირებულ სარკინოზთაგან რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა შეიქმნეს (v. და შექმნეს) სახლად საყოფელად თჳსად მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა მისგან (v. ამისგან), რომელსა ჰქჳან ხარაჯა" (მდ. 217).

მემატიანის ცნობა საერთოდ სწორია, მაგრამ განმარტებანი აქაც საჭიროა. ხვასროვან მეფეთა შემცირების მთავარი მიზეზი არაბები კი არ ყოფილან, არამედ „მთავართა სიმრავლე". უკანასკნელი მოვლენა კი შედეგი იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური შეუჩერებელი განვითარების, შედეგი იყო ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების, შედეგი იყო სოციალური რევოლუციის, რომელიც აუცილებელი შეიქნა საწარმოო ძალთა განვითარების ახალ ბაზისზე. არაბებმა აქ მოსვლისას უკვე „შემცირებული" „მეფენი" ნახეს. მათ მთავრებს შეუკრეს საზავო პირობები და თუ არაბობის გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს იმდენად, რამდენადაც არაბებმა, თავიანთი ბატონობის დამყარების მიზნით, უფრო სასარგებლოდ სცნეს მხარი დაეჭირათ მცირე მთავრებისათვის, საერთოდ მ თ ა ვ ა რ თ ა ს ი ს ტ ე მ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ქართლის მთავრის პრეტენზიები აელაგმათ. ტფილისის უშუალოდ დაჭერით და აქ არაბი მმართველის დასმით „ქართლის მთავარი" საბოლოოდ „მცირდებოდა" და არაბთათვის რაიმე წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარა ჰქონდა. ის იძულებული იყო ქართლი დაეტოვებინა და ბერძნებს შეკედლებოდა და აქედან ცდილიყო თავისი პოლიტიკური პრეტენზიების განაღდებას. საყურადღებოა, რომ აშოტ ქართლის მთავართან ერთად სხვა „მთავრები" არ გარბიან, და საერთოდ ეს მცირე მთავრები ადგილებზე სხედან და ჩანს უპოვიათ modus vivendi არაბთა ხელისუფლებთან. ქართლის მთავრის პრეტენზიების მიმართ არაბთა და მთავართა პოზიციები შეთანხმებული იყო. არაბთა მფლობელობას, უნდა ვიფიქროთ, ერთნაირი სახე არ ჰქონია მთელს იბერიაში. იყო უშუალოდ დაპყრობილი ტერიტორია, მათივე უშუალო გამგებლობის ქვეშ და ტერიტორია, რომელსაც ხარკის გადამხდელი მთავრები განაგებდნენ. თბილისი მისი არემარით ამირას უშუალო მფლობელობაში იყო. აქედან განდევნილ იქმნა ქართლის მთავარი, დანარჩენი ტერიტორია მთავრების ხელთ იყო... არაბული ხარაჯა, რა თქმა უნდა, უსიამოვნო მოვლენა იყო მთავართათვის (მთავართათვის, რომელთაც ფეოდალური დამოუკიდებლობის მიზნით მეფობა შეუძლებელ ყვეს), რამდენადაც ეს ბაშინდელ საწარმოო ძალთა განვითარებას და შესაბამის საწარმოო

ურთიერთობას არ ეთანხმებოდა. ამდენადაც ეს ხარაჯა, რა თქვა უნდა, ხელს ვერ უწყობდა, ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას და რამდენადაც ეს განვითარება მთავრების (და „მთავრობის") ინტერესებს ემსახურებოდა, იმდენადვე ეს ხარაჯა მათთვისაც მიუღებელი იყო. სამაგიეროდ, მთავრებს პოლიტიკური მნიშვნელობა (მათ ურთიერთობაში ადგილობრივ მიწისმოქმედ მოსახლეობასთან) იზრდებოდა. VI—VII ს-ის რევოლუციის შემდეგ არც ქართლის მთავარი იყო საჭირო და არც არაბები. ორივე შემფერხებელი იყო ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის... არაბებმა ქართლის მთავარი განდევნეს, მაგრამ თვით უარესი შემფერხებელი აღმოჩნდნენ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისა.

ცნობა „შეერია ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთას" საინტერესოა იმ მხრით, რომ აღნიშნავს ფეოდალური მოზარდი ქვეყნის დამახასიათებელ ხაზს.

ფეოდალური ბრძოლა, ბრძოლა სენიორიების (სამთავროების) ფეოდალურ სახელმწიფოდ ქცევის მიზნით, ბრძოლა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ნიადაგზე შესაბამისი საწარმოო ურთიერთობის და სათანადო პოლიტიკური ზედნაშენის შექმნის მიზნით... (ეს არ იყო „უაზრო" ბრძოლა მთავრებს შორის XVI—XVII სს). (³/₃₃. 161—163).

„პირველად უფლება სარკინოზთა განდიდნა და მათგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოკრებასა" (მდ. 217).

უფლება აქ უდრის ფლობას, ბატონობას, პატრონობას, ე. ი. იმას, რასაც XI—XII—XIII სს-ში უწოდებდნენ „პატრონობას", ხოლო XVI—XVII სს-ში „ბატონობას".

ჩანს, ავტორი (თუ ეს XI ს-ისაა) ტექსტს იღებს რაღაც წყაროდან, რომელიც დაწერილია მაშინ, როცა ჯერ კიდევ ტერმინ „პატრონს" არ შეეცვალა „უფალი" (წ. მდ., ფ. 5.).

აშოტ ძე ადარნასესი. ბერძნები მას აძლიერებენ, ეს უნდა 780-იან წლებში ყოფილიყო, ამიტომაც ეს წელი ქართველთა ქრონიკონია. აშოტი ახერხებს და ქართლსაც იპყრობს (თეოდოსემ უშველა). მატიანე ქართლისაჲთ აშოტია პირველი ბაგრატონიანი ხელმწიფე და ეს თითქოს მართალია. ის შეიძლება ადარნესე ბაგრატიონისა, რომელიც ჯერ ისევ ჯუანშერ გორ-

გასლიანის სიცოცხლეშივე გაძლიერდა. თითქოს ამ ადარნასეს ხელთ იყო კ ლ ა რ ჯ ე თ-შ ა ვ შ ე თ-ა ჭ ა რ ა, ნ ი გ ა ლ ი, ა ს ი ს ფ ო რ ი, ა რ ტ ა ნ ი დ ა ქ უ ე მ ო ტ ა ო. ადარნასე იმ ქვეყანაშია, რომელიც ბიზანტიის გავლენას უფრო განიცდის, ვიდრე არაბებისას. მის ხელშივეა თითქოს ის ციხეებიც, გორგასლიანებს რომ ჰქონდათ. ისე გამოდის, რ ო მ ა მ ა დ ა რ ნ ა ს ე ს მ ი უ ტ ა ც ე ბ ი ა ქ ვ ე ყ ა ნ ა გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ თ ა გ ა ნ, საფიქრებელია, ბიზანტიის ხელშეწყობით. აშოტს მამის მოღვაწეობა წარმატებით განუგრძია და ძველი იბერიის სამეფოს მემკვიდრეობის პრეტენზია გაუმყარებია. არაბებს ქართლს შესცილებია და წარმატებაც ჰქონია. ენერგიული ერისთავისათვის ბიზანტიას კურაპალატობა უბოძებია. სუმბატს სურს საქმე ისე წარმოადგინოს. თითქოს ბაგრატიონები თვით ქართლის ერისთავებმა აირჩიეს მთავრად და ეს იყო თითქოს გ ვ ა რ ა მ ი (VI ს.) და რომ აშოტი ამ გვარამის ჩამომავალი იყო... ლეგალიზაციის ნაგვიანევი ცდა. სწორედ იმ დროს, როცა ერთი მხრით, აფხაზთა ერისთავმა ლიხთიქითი მიიტაცა, ადარნასემ არსიანის იქითი მიიტაცა. ორივემ მეფობა გააცხადა, ე. ი. პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა ძ ვ ე ლ ს ი ბ ე რ ი ა ზ ე, აფხაზთა მეფემ შეინარჩუნა მეფობა. აშოტის მემკვიდრეები კურაპალატობას უნდა დასჯერებოდნენ: ბიზანტიელთა გავლენა აქ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე „აფხაზეთში". სუმბატი განზრახ ხაზს უსვამს აშოტის სამეფურნეო საქმიანობას: სოფლების ყ ი დ ვ ა ს, ა შ ე ნ ე ბ ა ს, სიხარულით შეწყნარებას და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ იყო, რომ აშოტმა ამ ქვეყანას მიაშურა. თუ ამას ვიფიქრებდით, რომ კლარჯეთი ქართლის ერისმთავრის (გვარამისძიანთა) სამფლობელო იყო, ისევე როგორც სხვა მხარეების (ვითომდა ასე მსჯელობს სუმბატიო), მაშინ რაღა საჭიროა აშოტს ისეთ საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება (სუმბატი რომ აკეთებს), რომელიც აშოტის უფლების დამტკიცება-კანონიერებას ისახავს მიზნად: იყიდა საფასითა, ოჯერი აღაშენა, სიხარულით შეიწყნარეს და ბერძენთა კეისრის ნებით მოხდა ყველაფერი ეს, რომელმაც მას კურაპალატობა უბოძა. თუ აშოტ გ ვ ა რ ა მ ი ა ნ ი იყო, მას რა შეწყნარება სჭიროდა თავისსავე ქვეყანაში, ან ეს ყიდვა და შენება იმისთვის რომ ფეხი მოემაგრებინა?... აშოტმა შეიძლება მართლაც ბევრი აშენა, ბევრიც იყიდა, მაგრამ როგორც ადარნასეს შვილმა, მეფობის მიმტაცებელმა და ბერძენთა წყალობით გაძლიერებულმა...

ასე რომ, „მატიანე ქართლისაჲ" ამ საკითხში უფრო სანდო ჩანს და მოვლენებთან შეთანხმებული. ქვეყანა წინ მიდიოდა. ერის-

თავები სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან. მ ე ფ ო ბ ა გ ა ა უ ქ-
მ ე ს ს პ ა რ ს-ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ე ბ მ ა, ერისთავებმა შეარჩი-
ეს ე რ ი ს მ თ ა ვ ა რ ი (გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი გ ვ ა რ ა მ), მეფობას
ვერ ახერხებენ: სპარსეთ-ბიზანტია და შემდეგ არაბები ამის ნებას
არ იძლევიან...

გორგასლიანნი განსაკუთრებით დაკნინდნენ არაბთა შემოსვლის
შემდეგ. ფეოდალიზაცია კიდევ უფრო გაძლიერდა. ერისთავებმა
მიიტაცეს ქვეყნები (სიძეები)... მათი „ერთგულება" ფიქცია იყო.
და, აი, წინ წამოიწია ზოგი საერისთავო და მ ი ი ტ ა ც ე ს მ თ ა ვ-
რ ო ბ ა, გ ა ა ც ხ ა დ ე ს მ ე ფ ო ბ ა (კახეთი, აფხაზეთი, კლარჯე-
თი). იწყება ბრძოლა „ქართლისათვის" (6/1, 90—91).

„მას ჟამსა (VIII ს-ის დასასრული) შ ე ი თ ქ უ ნ ე ს გარდაბანელ-
ნი და განაჩინეს ქორაფისკოზად დაჩი ძე იოვანე ქუბელის[1] ძისა და
შემდგომად მისსა დ ა ს უ ე ს ქორაფისკოვზად, სამოელ დიონაური"[2]
(იდ. 220).

სამთავროების გამსხვილება: ა ფ ხ ა ზ თ ა ს ა მ ე ფ ო (იოვანე
არჩილის ძის გადაშენება), კ ა ხ ე თ ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო — გრი-
გოლ მთავარი (ჯუანშერ არჩილის ძის გადაშენება), გ ა რ დ ა ბ ნ ი ს
საქორეპისკოპოზო („შეითქუნეს და გააჩინეს"), ტ ა ო კ ლ ე რ ჯ ე-
თ ი ს მთავრები (ვახტანგ გორგასალის ჩამომავალთა გადაშენება),
თ ბ ი ლ ი ს ი ს საამირო.

ყველა ეს მჭერმეტყველური მოწმობაა იმისა, რომ ძველი
ურთიერთობა (ფეოდალიზმის შემზადების ხანა) გადაშენდა. ახალი
ჩამოყალიბდა. ძველი დინასტია გაქრა. ახლები წარმოიშვნენ. წვრი-
ლი სამთავროების არსებობა შეუძლებელია... ახალი დინასტიები
უკანა რიცხვით გენეალოგიებს ქმნიან, ძველ დინასტიას უკავშირდე-
ბიან. ერთიმეორესთან ბრძოლაში „უფლებრივ" მომენტსაც ანგა-
რიშს უწევენ... (3/52, 426).

„და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი აღაგო ციხე
კლდეკართა იპატრონა დავით ძე ბაგრატისა" (იდ. 224).

ეს უნდა მომხდარიყო 876 წლის შემდეგ—ვიდრე 881 წლამდის
(ამ წელს დავითი მოკლა ნასრამ). თუ „მატიანე ქართლისაჲ" ავ-
ტორს ეს ცნობა სიტყვასიტყვით აქვს გადმოწერილი თავისი წყა-

---

[1] ავტორს უწერია: ქუაბულის.
[2] ავტორს უწერია: დონაური.

როდან, მაშინ ჩვენ ტერმინ „პატრონის“ („პატრონა“) ხმარების უძველესი ფაქტი გვაქვს, ე. ი. IX—X ს-ში; ხოლო მისი ლიტერატურული ხმარება, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ ეს ტერმინი გაცილებით ადრეა შემოსული, ვიდრე IX—X საუკუნე.

ხოლო თუ „მატიანე ქართლისაის“ ავტორი ამ ტერმინს წყაროდან არ სესხულობს, არამედ თავისი დროის ტერმინით აღნიშნავს გარდასულ მოვლენას, ის საინტერესოა იმ მხრივ, რომ IX ს-ში მომხდარ ამბავს ლიპარიტ-დავითის ურთიერთობისას „პატრონობით“ (და მაშ ყმობითაც) ნათლავს... თუმცა არაა მოსალოდნელი, რომ ავტორმა წყაროს ტერმინოლოგია შეცვალა... (აშკარაა „მატიანე ქართლისაი“-ს ავტორი აქ რაღაც წყაროზედ დამოკიდებული იყო. ორასი წლის მომხდარ ამბებს ასეთი დეტალებით ავტორი ვერ მოიგონებდა...), ამიტომ ჩვენ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ავტორის მიერ ხმარებული ეს ტერმინი ძველიდან მოდის. ყოველ შემთხვევაში, ცხადია ერთი: IX-ს-ში ადგილი აქვს მოვლენებს, რომელთაც XI—XII სს-ის ტერმინოლოგიით პ ა ტ რ ო ნ-ყ მ ო ბ ა ეწოდება... (3/39, 14).

„შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა, იპატრონა დავით ძე ბაგრატ კურაპალატისა (წერია იპატრონა ძმმან დავით ბაგრატისამან). ხოლო ნასრ ძე გუარამისი (სქ: ხოლო ესე ნასრა, ბიძის ძე ამა დავით კურატპალატისა და გურგენ) იყუნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“ (მდ. 224).

ლიპარიტი, უეჭველია, აფხაზთ მეფეთა წინააღმდეგ განწყობილი ფეოდალია, მისი სამშობლო არგვეთი. უნდა ვიფიქროთ, მას თავისი ნებით არ დაუტოვებია. VIII ს. დასასრულიდან ვიდრე IX ს-ის პირველ ნახევრამდე ხდება „აფხაზთ მეფეთა“ მიერ ეგრისის დაპყრობა. მეფენი ქუთაისში სხდებიან და მათი პოლიტიკა აღმოსავლეთისაკენ მოიმართება. „არგვეთის“ მოსახლეობა, ეკლესია (მცხეთა) ამის გამტარებელი იყვნენ.

მეფის ხელის გაძლიერება არაფრად ესიამოვნებათ არგვეთელ ბაღვიეანებს. სახლში ძლეულნი ისინი ქართლში გადმოდიან და აქ ქმნიან ფეოდალურ სამთავროს. მაგრამ აფხაზთ მეფეები არც აქ უსვენებენ... (3/52, 429).

„და ერეთს ვიდრე მეფობამდე იშხანიკისსა პირველნი ყოველნი იყუნეს მწვალებელნი; ხოლო იშხანიკ დასწველი იყო გურგენ ერისთავთა ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან“ (ან 168).

ამ ტექსტიდან სხვა დასკვნა არ გამოიტანება, თუ არ ის, რომ დინარ დედოფალმა მოაქცივნა იშხანიკ მეფე, რომლის დედა დინარ დედოფალი გურგენ ერისთავთერისთავის და იყო. ავტორს სურს თქვას, რომ გურგენის და დინარ ღედოფალი მართლმადიდებელი იყო. იშხანიკის მამა, ისევე როგორც სხვები (მეფენი), მწვალებელი იყო. იშხანიკიც მამისობას მწვალებელი იყო და აი „დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად“. აქ რომ მთელი ქვეყნის მოქცევა იგულისხმებოდეს, სრულიად ზედმეტი იქნებოდა წინადადება, რომ იშხანიკ დასწველი იყო გურგენ ერისთავთერისთავისა. ხოლო თუ დინარ დედოფალმა იშხანიკი მოაქცივნა, მაშინ „პირველნი ყოველნი“-ში მწვალებელნი რომ იყუნენ, არა ქვეყანა, ხალხი, არამედ მეფენი იგულისხმება.

ამ ტექსტის წამკითხველნი შეცდომაში შეიყვანა სიტყვებმა „და ერეთს პირველნი ყოველნი იყუნეს მწვალებელნი“. მაგრამ, ცხადია, აქ იგულისხმება „მეფენი“. თუ ეს არა, ავტორი ამ წინადადებას აგრე ვერც ააგებდა: „პირველნი ყოველნი“ იშხანიკის მეფობამდე იყვნენ მეფენი და არა ხალხი. ხალხის მიმართ ავტორი ასე ვერც იტყოდა (შ. ფ. 101).

„და ერეთს ვიდრე მეფობამდე იშხანიკისსა პირველნი ყოველნი იყუნეს მწვალებელნი; ხოლო იშხანიკ დასწველი იყო გურგენ ერისთავთა ერისთავისა და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან“ (ან. 168).

აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჰერები იყვნენ მწვალებლები, არამედ რომ მეფენი იყვნენ მწვალებელნი და დინარ დედოფალმა თავისი შვილი იშხანიკი მოაქცია მართლმადიდებლად. მაგრამ ასეთ გაგებას ხელს უშლის მოაქცივნა (შ. ფ. 76).

გიორგი აფხაზთა მეფე კახეთის დაპყრობას ლაშობს—კვირიკე შეიპყრა. აწვევს მისი დროებით გაშვება, გაუშვა. ნისი ძე ლეონი ასეთი გაშვების წინააღმდეგი ყოფილა. კვირიკეს ნიუდგა ზოგიერთი აზნაური და დაპყრობილი კახეთი გიორგი მეფეს კვლავ დასაპყრობი გაუხდა. კვლავ დაიპყრეს. ახლა კვირიკემ დრო ითხოვა

კახეთის დატოვებისათვის შესამზადებლად. უფლებრივად კი კახეთი გიორგი მეფეს „დაულოცა". გიორგი კვლავ აწვიეს მიეცა დრო კვირიკესთვის. ლეონი ახლაც წინააღმდეგი იყო. გიორგიმ მის ცა დრო. კვირიკე ბოჭორმაში იჯდა. ქართლის აზნაურები და ზოგი კახელიც, სულ 58 გვარი დაახლოებით, მიუდგნენ კვირიკეს და კახეთი უკუ დაუპყრეს. ეს როცა უთხრეს გიორგის, მას „დაუმძიმდა დიდად და ა ბ რ ა ლ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ინ ცა ვ ინ ა წ უ ი ა გაშეება კვირიკე ქორეპისკოპოსისა" (ეხ. 170).

ცხადია, ეს მ ა წ ვ ე ვ ე ლ ნ ი უ ბ რ ა ლ ო ხ ა ლ ხ ი არაა. მეფე იძულებულია მათ წუევას ანგარიში გაუწიოს და, მიუხედავად იმისა, რომ ლეონი და შეიძლება თვითონაც ამის წინააღმდეგია, ამ მაწ ვ ე ვ ა რ თ ა სურვილი შეასრულოს. აშკარაა, ეს არის გავლენიან ფეოდალთა ძლიერი წრე, რომელთათვისაც არაა მაინცდამაინც საინტერესო კახეთის უშუალო შემოერთება, ისე როგორც ქართლისა, და ამით აფხაზთ მეფის უზომო გაძლიერება. ამავე დროს ეს მაწვევარნი რომ უმაღლესი წრეა, იქიდანაც ჩანს, რომ მათ აქვთ წ უ ე ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, მაშასადამე, დ ა რ ბ ა ზ შ ი ღებენ მონაწილეობას. მაგრამ ეს წრეები მაინც ისინი არ არიან, რომელნიც აშკარად გაუდგნენ აფხაზთ მეფეს და კვირიკეს მიემხრნენ, ე. ი. ქართლის აზნაურები. საფიქრებელი ხდება, რომ ეს მაწვევარნი არიან უმთავრესად ლიხთიმერეთის უმაღლესი აზნაურები, რომელთა სოციალური ურთიერთობა მეფის ხელისუფლებასთან უკარნახებს მათ ეცადონ აფხაზთ მეფე ფეოდალური მეფის უფლებრივი საზღვრებიდან არ გამოუშვან (³/₂₉, 53).

გიორგი აფხაზთა მეფემ კვირიკე ქორეპისკოპოზი დაატყვევა დროებით. გაუწვა. ლეონ გიორგის ძე ამის წინააღმდეგი იყო. კვირიკეს ქართლის აზნაურები მიუდგნენ და კახეთი კვლავ დაიპყრო კვირიკემ. გიორგი მეფემ „ა ბ რ ა ლ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ი ნ ცა ვ ი ნ ა წ ვ ი ა გ ა შ ე ე ბ ა კ ვ ი რ ი კ ე ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა" (მდ. 233).

ეს მაწვევარნი უეჭველია არიან უმაღლესი აზნაურები ლიხთიმერეთიდან (უმთავრესად). წვევა ასეთ შემთხვევებში დ ა რ ბ ა ზ ი ს წესით ხდებოდა. ჩანს, როცა კვირიკე შეუპყრია მეფეს და როცა კვირიკეს კახეთი დაულოცავს მეფისთვის და დროებით გაშვება უთხოვია, მეფეს ამ დიდი საქმის გამო დ ა რ ბ ა ზ ი მოუწვევია. დარბაზში ყოფილან კვირიკეს გაშვების წინააღმდეგნი (ლეონ

ბისი მოაზრენით და ნაწილობრივ თვთ მეფეც). მაგრამ ყოფილან ისეთებიც, და ეს უძლიერესი დასი ყოფილა, რომელთაც ა წ ვ ი ე ს კ ვ ი რ ი კ ე ს დროებით გაშვება. მიუხედავად ასეთი გაშვებისგან ბიღებული გაკვეთილისა, მეფე იძულებული ყოფილა ანგარიში გაეწია მაწვევართ სურვილისათვის და თავისდა უნებური საქმე შეესრულებინა... (3/28, 45).

გიორგი აფხაზთა მეფემ კვირიკე კახთ ქორეპისკოპოსი შეიპყრა. კახეთი აიღო. კვირიკე შეეხვეწა დროებას. გიორგიმ მისცა დრო. ქართლის აზნაურნი და კახნი აზნაურნი მიუდგნენ კვირიკეს და კახეთი კვლავ ააღებინეს.

ეს აცნობეს გიორგის — „დაუბძანდა დიდად და ა ბ რ ა ლ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ი ნ ც ა ვ ი ნ ა წ ვ ი ა გ ა შ ვ ე ბ ა კ ვ ი რ ი კ ე ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა...“ (მდ. 233).

გაშვების წინააღმდეგი იყო გიორგის შვილი ლეონ. ჩანს, აფხაზთ ლაშქარში იყვნენ ძლიერნი პირნი, რომელთაც შეეძლოთ „წვევა“ მეფისა ამა თუ იმ მნიშვნელოვან საქმეზე, — ეს იყო დარბაზი (in principe). წვევა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ, მიუხედავად უფლისწულის წინააღმდეგობისა, მეფე იძულებული ყოფილა მაწვევართა სურვილი დაეკმაყოფილებინა... (3/52, 428).

X ს. კვირიკე ქორეპისკოპოსი გიორგი აფხაზთა მეფის წინააღმდეგ იბრძოდა. ქართლის აზნაურები მის მხარეს დადგნენ. „დაუწყეს ბრძოლა ციხეთა და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; ღაარღვენეს შორის ციხე და ლოწობანთა და კუალად ეუფლა კვრიკე მამულსა თვსსა (ქცა, 1, 106).

მაინც არ ჩანს, თუ სადაა ეს ციხე ლ ო წ ო ბ ა ნ თ ა და მისი შ ო რ ი ს ც ი ხ ე (წ. შ., ფ. 106).

„კვრიკე კულად ე უ ფ ლ ა მამულსა თვსსა“ (მდ. 233, 235). აქ „ეუფლა“ ნიშნავს ეპატრონა (ჩვენებურად).

თუ ავტორს ეს ცნობა სიტყვასიტყვით ამოწერილი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ X ს-ში „პატრონს“ ამ მხრით ჯერ კიდევ არ შეუცვლია უფალი. უფალი=განუსაზღვრელი პატრონი. თუ ავტორი თავისი სიტყვით გადმოგვცემს — ეს იმას ნიშნავს, რომ მის დროს (ე. ი. XI ს-ის მეორე ნახევარში) უფალი მქონებელს, მესაკუთრეს ნიშნავს და პატრონი მხოლოდ საპატრონყმო ტერმინია და ნიშ-

ნავს სიუზერენს და „უფალი“ ცნებას ის შენდეგ ითვისებს, ერთი აქედანვე ცხადი ხდება: იმთავითვე პატრონი შემოსული ჩანს, როგორც საპატრონყმო ტერმინი („სიუზერენი“).

ავტორი თავის სიტყვით გადმოგვცემს: მას არაერთგზის აქვს ეს ტერმინი ამ აზრით ნახმარი (³/₃₉, 69).

გიორგი აფხაზთა მეფე წინასწარ ზომებს იღებს. მან იცის, რომ მრავალი უფლისწულის ყოლა ფეოდალურ ქვეყანაში უბედურებაა ტახტისათვის. ყოველთვის უხვად მოიპოვება მსურველები არეევარეულისა, ამა თუ იმ უფლისწულის ინტერესებისათვის მოჭირნახულე... ამიტომ ის შვილებს (ორს) საბერძნეთს გზავნის... არც ამ ზომამ უშველა. „კაცთა ვიეთმე ამის ქუეყანისათა“ უხმეს ერთერთ უფლისწულს თეოდოსეს და ის დაუპირისპირეს გიორგისავე შვილს მეფე დემეტრეს... (მდ. 234). ეს „ვიეთმე კაცნი“ არიან სწორედ ისინი, ვისაც არ სურთ, ვის ინტერესებში არ შედის მეფის გაძლიერება. ვინც აწვია გიორგი მეფე კვრიკე კახთ ქორეპისკოპოსი გაეშვა, ე. ი. ესენია უმაღლესი აზნაურები ლიხთიქითიდან ქართლიდან... მესხი აზნაურებიც ასე იქცევიან. ხოლო ძმელი მთავარი ადარნასე თავის ციხეს თავშესაფრად უთმობს პრეტენდენტ უფლისწულს (³/₂₉, 54).

სოფეხთ მეფე კვირიკე, ტფილელი ამირა და კახთა მეფე — ყველა ბაგრატის ყმადნაფიცები იყვნენ. ახალი უფრო ძლიერი პატრონის მოსვლის უმალ ისინი თავის პატრონს გადაუდგნენ და ახალს მიემხრნენ... ფეოდალური ეთიკა (³/₂₉, 67).

XII ს. აფხაზთ მეფეთა „ქვეშევრდომნი“ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი II-ის დროს ეს ბრძოლა და აზნაურთ თავაშვებულება ყოველ საზღვარს სცილდება. განდგომა-აჯანყება ერთად თუ ცალკე, უცხო მტრებზე ქალაქებს და ციხეთა გადაცემა (გაგი, სამშვილდე). შ ი ნ ა თ გ ა ც ე მ ა — ყველა ეს დასაშვები და პრაქტიკაში ხმარებული ზომაა. უეჭველი იყო უნდა დამდგარიყო რეაქცია ამის წინააღმდეგ თუ კი არსებობდა მისი საწინააღმდეგო ძალები... ან არადა ქვეყანა უნდა დაღუპულიყო გარეშე განსაცდელის წინაშე (როგორც დაიღუპა ალბანია)... (³/₂₉, 71).

„ა ფ ხ ა ზ ე თ ი“, როგორც ჩანს, ძლიერ იყო დაინტერესებული ქართლით, რომ ასე დაჟინებით მოიწევდა ქართლის დასაპყრობად. ლიხის გადმოლახვა უეჭველად დიდ იმპულსს გულისხმობს, უეჭველია, აქ მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ აფხაზთ მეფეები (ცხუმელები) მეგრელთ (ლაზთა) წინააღმდეგ ქართის ელემენტს უნდა დაყრდნობოდნენ (ამით აიხსნება ტახტის გადმოტანა ქუთაისში, მაგრამ ეს ხელშემწყობი გარემოება იყო მხოლოდ და, რა თქმა უნდა, მიზეზად ვერ გამოდგება).

მეფეს რომ ასეთი საქმე შეესრულებინა, უეჭველია, მასთან ერთად ხალხის ფ ა რ თ ო ფ ე ნ ებ ი ც დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ ამ ექსპანსიით, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ლიხთიქითა გადაურჩა არაბების შესევას (ერთია და მხოლოდ ისიც პრობლემატური) და VI საუკუნის შემდეგ საერთოდ მშვიდობიანად ცხოვრობდა (იოანე საბანის ძის მოწმობა), ჩვენთვის გასაგები გახდება ის აუცილებლობა, რომელიც ასე დაჟინებით ერეკებოდა მათ ქართლის დასაპყრობად. ხაზარებთან მეგობრობით მათ ზურგი გამაგრებული ჰქონდათ. ბიზანტია ზედიზედ დაამარცხეს და თავი საბოლოოდ გაითავისუფლეს. ქვეყანა მოშენდა (სავაჭრო ურთიერთობა ბიზანტიასთან, არაბეთთან (არტანუჯით), ხაზარებთან).

კავკასიაში გაბატონებისათვის საჭირო იყო ქართლი. ამას მოითხოვდა როგორც სავაჭრო ინტერესები, ისე ჭარბი მოსახლეობაც, მაგრამ „აფხაზეთის“ შინაგანი წესწყობილება მეტ ექსპანსიას (ვიდრე ქართლ-კახეთის და მესხეთის დაპყრობა) ვერ იტვირთავდა. „ყმები“ ამის მეტში დაინტერესებული არ იყვნენ... (3/29, 52).

მაინც ანგარიშგასაწევია: რად იწოდებოდნენ „აფხაზთა მეფედ“? შეიძლება ისევე, როგორც „წანართა მეფე“, მაგრამ „წანართა მეფე“ რად იწოდებოდა ასე? უეჭველია, რაღაც მომენტი იყო, რომ მთელ ლიხთიქითს „აფხაზეთი“ ეწოდა. აფხაზური ერა არა, მაგრამ (ისევე როგორც წ ა ნ ა რ უ ლ ი ერა ან ბ უ ლ გ ა რ უ ლ ი ერა, ან რ უ ს უ ლ ი ერა) რომ რაღაც უპირატესობა უნდა ჰქონოდათ აფხაზ ფეოდალებს, ეს საფიქრებელია. თუ ასე არა, მაშინ ეს აფხაზი მეფენიც უნდა ქართველთა მეფედ წოდებულიყვნენ შინაარსის მიხედვით. ასევე წანართა მეფენიც: ესენიც ხომ ქართული სახელმწიფოს მშენებელნი იყვნენ... ამისდა მიუხედავად კი ჩვენ გვაქვს და ხაზგასმითაც გვაქვს ქართველთა მეფე, წანართა მეფე, ჰერთა მეფე, კახთა მეფე და აფხაზთა მეფე...

ყოველად წარმოუდგენელია, რომ ქართული ენის წირვა დასავლეთ საქართველოში ერთბაშად გავრცელებულიყო (წ. მდ., ფ. 19).

„აფხაზთა მეფეები“ დ ა მ პ ყ რ ო ბ ლ ე ბ ი იყვნენ თუ დასავლეთ საქართველოსი არა, აღმოსავლეთ საქართველოსი ხომ ცხადია. ცხადია, თუ რაოდენად უნდა გაზრდილიყო სამეფო დომენი... კიდევ მეტი: მთელი მიწა-წყალი მეფისად უნდა გამოცხადებულიყო... შეიძლება ამ ნიადაგზე შეიქმნა ჯუანშერის თეორია სიძობისა.

ს ი გ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა — მეფის შემოსავლის დიდი წყარო (წ. მდ. ფ. 6).

IX, X, XI ს-ში ხ დ ე ბ ო დ ა ი მ ე რ ე თ ი დ ა ნ ქ ა რ თ ლ ი ს კ ო ლ ო ნ ი ზ ა ც ი ა. ამის ნაკვალევია უმაღლესი წოდების გვართა იმერულობა აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში). ეს გარემოება (კოლონიზაციის შესაძლებლობა) იყო მთავარი იმპულსი მეფე-ფეოდალების თანხმობისა ქართლის დაპყრობისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში.

ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი მოხდა, მას შემდეგ, რაც აფხაზი მეფე ქართლში გადმოვიდა და სულ სხვა პოლიტიკური ამოცანები დაესახა (ახალ გარემოებათაგან გამომდინარე), დასავლეთ საქართველოს ფეოდალთათვის (და ხალხისთვისაც, ე. ი. წვრილ აზნაურთა და გლეხთათვისაც) ეს პოლიტიკა გაუგებარი იყო: ეს მათ პირდაპირ ინტერესებს არ უპასუხებდა, პირიქით, გლეხებისა და წვრილი აზნაურების ინტერესებს ენებდა კიდეც ($^3/_{29}$, 162).

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უნდა ყოფილიყო ის აფხაზეთი, რომელმაც „საქართველოს ფეოდალური სამეფო შექმნა“, საკმაოა გავიხსენოთ, რომ ამ „აფხაზებს“ აფხაზეთის სამეფო ხელიდან წაუვიდათ (ის საქართველო გახდა), ხოლო საკუთრივ აფხაზეთი ადრეფეოდალური ხანის სამთავროდვე დარჩა. აფხაზეთი რომ ოდესმე ა ფ ხ ა ზ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ სამეფო (მთელი საქართველოს გამაერთიანებელი თუ არა, დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელი) ყოფილიყო, ის სამეფოდვე დარჩებოდა და არ იქცეოდა ერთ ადრეფეოდალური ხანის საერისთავოდ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ აფხაზეთი როგორც სამეფო აფხაზური შინაარსის არასოდეს არ ყოფილა, რომ აფხაზეთის სამეფო იმთავითვე ქართული ფეოდალური სამეფო იყო... (წ. მდ., ფ. 7).

აფხაზთა მეფეების საეკლესიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში არ ხდება... კუმურდო და სამშვილდე მათი მეფობით მხოლოდ დათარიღებულია. ამავე დროს ისინი დასავლეთ საქართველოში დიდი ეკლესიამაშენებლები არიან...

ბაგრატ მესამეც კი წმინდა „აფხაზი მეფეა". მისი ყურადღების ცენტრი კულტურულ საქმიანობაში დასავლეთ საქართველოს უპირავს (ბედია, ქუთაისი)... მხოლოდ ბაგრატ მეოთხედან აფხაზთა მეფეები ეკლესიათა მშენებლობას აღმოსავლეთ საქართველოშიაც იწყებენ...

ეს აიხსნება იმით, რომ „აფხაზი მეფეები" ამ ქვეყნის დამპყრობლები არიან (საშუალო საუკუნეებში დაპყრობა სახარაჯოდ აღებას ნიშნავდა... დაპყრობილ ქვეყანაში ძველი მმართველი რჩებოდა ან ახალი ინიშნებოდა, წესები არ იცვლებოდა, ასეთი დამპყრობელი არც რაიმე კულტურულ საქმიანობას ეწეოდა... მხოლოდ შეერთების პირობებში ხდებოდა ხოლმე ასეთი კულტურული საქმიანობა), აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები ისინი მხოლოდ ბაგრატ III-დან ხდებიან...

დასავლეთ საქართველოში მათი ეკლესიათა აღმშენებლობა ეს მათი პოლიტიკური საქმიანობაა[3]. ყოველ შემთხვევაში, მცხეთის ტაძრის აგებაში აფხაზთ მეფეებს მონაწილეობა არ მიუღიათ... ამას უხმოდ არ ჩაატარებდა „მატიანე ქართლისაჲ" ავტორი, რომელსაც მათ ეკლესიის მშენებლობაზე მოთხრობა არც ერთხელ არ ავიწყდება...

მცხეთის ამგებელი მეფეს არ იხსენიებსო... საიდან ვიცით?

შეიძლება დაიკარგა ის ქვა წარწერით. განა ყველა წარწერა გადაგვირჩა იმ დროიდან??? (3/29, 44).

მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი თვალმწუხარე და „განირყუნა ქუეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება პირველთა მეფეთა განწესებული. იხილეს რა წარჩინებულთა მის ქუეყანისათა, იყუნეს ერთობით მწუხარებასა შინა დიდსა..." (ან. 173).

რა თქმა უნდა, ყველა დიდ მწუხარებაში არ იყო, პირიქით, იყო წრე, რომელსაც თეოდოსი თუალმწუხარე ყველაზე სასურველ მეფედ მიაჩნდა. ხოლო თუ როგორ უნდოდათ ქართლში წესრიგი, ეს

---

3 ავტორის ხელით მიწერილია: „იხ. ჩემი წერილი". იგულისხმება სტატია „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება", „მიმომხილველი", № 1, 1926 წ.

იქიდან ჩანს, თუ როგორ შეხვდნენ ახლად გადმოსულ ბაგრატ მეფეს ქავთარ ტბელის მეთაურობით... მაგრამ ჩანს, წესისა და რიგის მომხრე, ე. ი. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრე, მეფის უფლების გაძლიერების მომხრე დიდ აზნაურთ ხარჯზე — ასეთი დასი ძლიერი ყოფილა ქართლსა თუ აფხაზეთში. მათ ეხასიათებს იოანე მარუშისძე... (3/29, 56).

აფხაზეთს თეოდოსი თვალმწუხარე მეფობდა. ქვეყანა აიშალა. წარჩინებულნი დაშმუნდნენ. იოანე მარუშის ძის თაოსნობით „დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ“... (მდ. 239).

ცხადია, ეს ხდება თეოდოსის ნების წინააღმდეგ. უეჭველია, თეოდოსის მომხრეები ეყოლებოდა... რომ საერთო ნება გამოეხატათ. წარჩინებულნი უნდა შეყრილიყვნენ, უნდა ედარბაზათ. (3/28, 44).

იოანე მარუშის ძე „ქართლის ერისთავი, კაცი ძლიერი და ერმრავალი“ (მდ. 236) არის აფხაზთ მეფეთა მოხელე. საფიქრებელია, იგი არასასურველი იყო სეპარატიზმის მომხრე ქართლის აზნაურობისათვის (შეიძლება, და ეს ჭკუასთან ახლოა. ის სწორედ აფხაზთ მეფეთა მიერ განდიდებული იყო ვითარცა ერთგული). ასეთი მდგომარეობა აიძულებდა მას ეძია უმემკვიდრო აფხაზთა სამეფოსათვის მემკვიდრე, ასეთი ზედგამოჭრილი იყო ბაგრატი, მას ქართლზედაც ჰქონდა უფლება და აფხაზეთზედაც... იოანე მარუშის ძე არასასურველი იყო არა მარტო ქართლის აზნაურთათვის, არამედ ქართლის დაპყრობის მოსურნე კახთათვის და ხომეხთათვისაც... იოანეს სხვა გამოსავალი არ კი ჰქონდა, თუ არ აფხაზთა მეფეების და ამ სამეფოს ერთგულება. იოანე მარუშის ძე ქართლის ერისთავად თეოდოსის თვალთ დაბნელების შემდეგ ეგინიშნა დემეტრემ.

ამიტომაც, ალბათ ის სასურველი არ იყო თეოდოსისათვის... ეს კიდევ უფრო უბიძგებდა მას ახალი მემკვიდრის საძებნელად. ქართლის ერისთავი ფლობდა უფლისციხეს...

და მართლაც, იოანე მარუშის ძე რომ თეოდოსის წინააღმდეგი იყო, ცხადია იქიდანაც კი, რომ ბაგრატის გამეფების შემდეგ აფხაზეთში ორ წელს ისევ თეოდოსი მეფობდა. ამასობაში, როგორც

ჩანს, იოანე ქართლის ერისთავი (გურანდუხტ-ბაგრატის ხელისუფალი) აფხაზეთში გურანდუხტ-ბაგრატის მომხრეებს ეძიებდა.

იოანე მარუშის ძე „აფხაზთათვის“ დიდად საპონო და გ ა ვ ლ ე ნ ი ა ნ ი... (³/₂₉, 62).

„და იყო ბნთ ჟამთა ერისთაი ქართლისა ივანე მარუშის ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი“ (ანა. 172).

იქვე: „ესევე იოვანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ: და ვითარცა მოისმინა დავით კულაპარატმან სიტყუა მარუშის ძისა, წარმოემართა ძალითა. მისითა, მოვიდა ქართლად“...

იქვე: „მოვიდა დავით კულაპარატი, ჩამოდგა ქუა-ჯურელთა, მიეგება წინა ივანე ქართლის ერისთავი, აღიღო მისგან უფლისციხე და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს“...

იქვე (173): ბაგრატ ქართლში გამეფდა ივანე მარუშის ძის მეოხებით. აფხაზეთში კი თეოდოსეა. სამი წელი ესე გავიდა. იქ ყველაფერი აირია.

„ეხილეს რა წარჩინებულთა მის ქუეყანისათა იყუნეს ერთობით მწუხარებასა შინა დიდსა. ამანვე ივანე მარუშის ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა“ (და ამის თაოსნობით ესეც მოხდა).

აშკარაა, რომ ეს დიდკაცი დასავლეთ საქართველოდანაა. ის დემეტრეს მომხრე იყო, უეჭველია, როცა უკანასკნელი თეოდოსეს ებრძოდა...

საკითხავია ოღონდ, აგეთი ნამსახური იოანე მერე რად არ ჩანს ბაგრატის კარზე ან მისი ჩამომავლობა რა იქნა...? (შ. ფ. 34).

ბაგრატის თვითმპყრობელობა (მდ. 234, 240, 242, 243, 245).

ბაგრატ III ა ფ ხ ა ზ თ ა დ ა ქ ა რ თ უ ე ლ თ ა მ ე ფ ე დ ა კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი. კურაპალატი ის შეიქნა ტაოს დაუფლების შემდეგ. ტაო ბერძენთა კეისრის ვასალური ქვეყანა იყო (242).

ბაგრატ III აფხაზთა და ქართველთა მეფე (245).

ბაგრატ IV აფხაზთა და ქართველთა მეფე (255).

„კვრიკე რანთა და კახთა მეფე“ (257). ცხადია, ბაგრატ IV „რანთა და კახთა“ მეფეც ვერ იქნებოდა... (³/₂₉, 87).

ატენი, ჩანს, იმთავითვე ლიპარიტიანთ ხელში არ ყოფილა, რადგან X ს-ის შუაზე ის აფხაზთ მეფეს გიორგის უჭირავს. ამავე სა-

ლკუნის უკანასკნელ მეოთხედში ატენი რატის ხელშია (იდ. 240). ბაგრატ III-მ ჩამოართვა ის ამ სახლს. ლიპარიტ დიდი ცდილობს მის ხელში ჩაგდებას. გამოდის, რომ კლდეკარის ერისთავს რატის ატენი დემეტრე-თეოდოსეს ქიშპისა და არეულობისას მიუტაცებია. ასე რომ, ლიპარიტიანნი თვით ცდილობენ აფხაზთ ნეუის ხარჯზე გაძლიერებას (3/39, 301).

რომ ბაგრატი კახეთს შესეოდა, დ ლ ი ვ ს მყოფმან (ტაოდან) „გ ა ი ა რ ა თ რ ი ა ლ ე თ ი გ ა ვ ლ ო ჰ ე ნ ი მ ც ხ ე თ ი ს ა... დადგა თიანეთს და იწყო შემოსრა კახეთისა... მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთისა და ვ ა ნ ა ჩ ი ნ ა მ თ ა ვ რ ა ვ ა ბ ო ლ ა ლ“, როგორც კი წამოვიდა ბაგრატ, ჰერნი განდგეს და დავითს მიერთნეს, ახლა კი ჩამოვიდა ბაგრატ, კვლავ აიღო ჰერეთი, დედოფალი დინარ დაიმჭირა, შემდეგ კახეთი დაიპყრა და კახთა მეფე კვირიკე დაიჭრა თუსსა კარსა ზედა (იდ. 242—243).

ბაგრატმა კარგად იცის ფეოდალური საჭმეები. ის ყოველივე ესიამოვნების თავიდან ასაცილებლად ძველ მკვიდრ მთავრებს თუ მეფეებს ადგილზე არა ტოვებს: თ ა ვ ი ს კ ა რ ზ ე ი ბ ე რ ს.... საინტერესოა, რომ ბაგრატი ჯარების შეკრებას შინაურობაში ახერხებს და მათი შემწეობით იპყრობს ჰერეთ-კახეთს, იბერს ტაოს... (3/39, 291).

ფადლონი ეკირთება ჰერეთ-კახეთს. მეკობრობს... ბაგრატმა გაილაშქრა რანს. მოარბია. მოტყვენა. მოადგა შანქორს, „დაჰლეწნეს ზღუდენი შანქორისანი“ ფილეკავნებით. მაშინ ფადლონი ყმად ეფიცა: „გ ა უ კ ე ე თ ა ხ ა რ ა ჯ ა“, ა ღ ო თ ქ ო ა მ ს ა ხ ო ო ბ ა, „დ ა ე ნ ნ ო ა თ ა ვ ი ს ფ ი ც ი თ ა ლ ა შ ქ რ ო ბ ა მ ტ ე რ თ ა მ ი ს თ ა ზ ე დ ა“ (ბდ. 244).

საინტერესოა: ბაგრატმა შანქორს ალყა შემოარტყა, ლაშქარმა ზღუდენი დალეწნა... და როცა ქალაქის დაპერა გახდა საჭირო, მეფეს ძალა აღარ აღმოაჩნდა მის დასაპერად და თუ ასეთი უძლური იყო, რაღად ილაშქრებდა? ფადლონს რომ ყმობა და ზავი არ ეთხოვა, ბაგრატ დამარცხებულს ხომ არ შესთავაზებდა ზავს? აქ ერთი შეიძლება მხოლოდ: ფადლონმა ზავი შესთავაზა, ფეოდალები, რომელთაც სრულიად არ სურთ მეფის უზომო გაძლიერება, ზავს უპერენ მხარს... ლაშქარი მეფეს ფეოდალური ჰყავს. არც ერთ დიდე-

ბულს ქალაქის დაპერა თავისი ლაშქრით არ სურს (ე. მეფის მუდმივ სამსახურში ყოფნა არ სურს). მეფეს კი საკუთარი ლაშქარი არა ჰყავს საკმაო, რომ აქაც დატოვოს და სახლშიაც ჰყავდეს. ფეოდალები თავიანთ გულის ნადებს არ ამბობენ და ზავს „ასაბუთებენ“... მეფე იძულებულია დაეთანხმოს დარბაზის რჩევას... (²/₃₉, 292).

ბაგრატ III-მ შანქორი ასაღებად მისწერა... იმედგაწყვეტილმა ფადლონ „მოუველინა მოციქული... ითხოვა შენდობა აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა თჳსისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-თავით ლაშქრობა (ყოველთა) მტერთა მისთა ზედა. მას ჟამსა უბრძანა და შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა; უბრძანა პირველად, რომელი დაიმჭირონ ქალაქი იგი ძალითა მათითა, (ხოლო მათ) იხილეს და განიცადეს და მოაკსენეს, რომელ ვერავის ძალედვა (წერია: რომელ ვერავინ ძლევდა) და ეფრთხილა ამისთჳს, რომელ სხუათა ყოველთა სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდა. კუალა (კვალად) უბრძანა და განიზრახა დაზახება (დაზავება) ფადლონისი და მათ ყოველთა სიბრძნითა მათითა გამოარჩიეს და უმჯობესად აწვიეს ზავი. უბრძანა და გაგზავნა მოციქული და მისგან აუწყა ზავის დასტური. მაშინ ფადლუნ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღუსრულა ყოველი იგი სიტყჳთ აღთქმული საქმით, უძღუნა ძღუენი დიდად მიუწდომელი, აღავსნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუწდომელთა“... — (მდ. 244).

ეს მეტად საინტერესო ეპიზოდია.

მემატიანე მიამიტურად აღწერს მას: ბაგრატმა ნნიშვნელოვანი ქალაქი ასაღებად მისწერა. მოწინააღმდეგეს იმედი გაუწყდა. ის მორჩილებას აცხადებს. ყ მ ა დ ნ ა ფ ი ც ო ბ ა ს კისრულობს.

ბაგრატ დარბაზს იწვევს: მას ფადლონის ყმადნაფიცობა არ სურს. მას შანქორის ისეთივე შემოერთება უნდა, როგორც კახეთ-ჰერეთის და ტაო-კლარჯეთისა. მისი სახელმწიფო პოლიტიკური ხაზი ყმადნაფიცობის სისტემის წინააღმდეგია. მაგრამ ბაგრატის ქვეყანა ფეოდალურია, მისი ლაშქარი ფეოდალურია, რეალური ძალა ფეოდალთა ხელშია: მართალია, მორჩილი ფეოდალებიც, ბაგრამ ნაინც ფეოდალების, რომელთა მორჩილება ნებერნეობის ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს (და ამდენადვე უნადგური). არამედ ნექანიკურ ძალას ემყარება... მორჩილი ფეოდალები თავიანთი ფეოდალური ტენდენციებით, საბოლოო ანგარიშით, სრულიად არ გან-

ხსვავდებიან ურჩ ფეოდალთაგან. ასეთი „ურჩობა“ ამ მორჩილთა იდეალია...

ბ ა გ რ ა ტ ი ც ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ჰ კ ი თ ხ ო ს დ ა რ ბ ა ზ ს.. რომ მას ფადლონის ყმადნაფიცობა არ სურს, ეს იქიდან ჩანს, რომ ბაგრატი დარბაზს იმთავითვე ზავის შესახებ კი არ „უბრძანებს“,. ფადლონმა რომ შესთავაზა, არამედ „უბრძანებს“ მათ დაიჭირონ ქალაქი. დიდებულები უარს ეუბნებიან ქალაქის დაჭერაზე და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ქალაქის დაჭერით მათ აღარ შეეძლებათ „სალაშქროთა საქმეთაგან“. სწორი იყო თუ არა ეს რჩევა, ერთი ცხადია: ის მეფეს არ სურდა და მეფე შესაძლებლად სცნობდა ქალაქის დაჭერას... საფიქრებელი ხდება: ფეოდალებს არ სურთ მეფის ხელისუფლების გაძლიერებას ემსახურონ, მეფის ცენტრალისტური მიდრეკილებანი თავის საქმედ გაიხადონ. ისინი ფადლონის ყმადნაფიცობას ურჩევენ მეფეს. აქ დარბაზი თავის ს ო ც ი ა ლ უ რ მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა ს ს ა ვ ს ე ბ ი თ ა მ ე ღ ა ვ ნ ებ ს. ყმადნაფიცობისკენ მიისწრაფვის თითოეული ფეოდალი, „მორჩილია“ ის თუ „ურჩი“. ფადლონის მიერ შემოთავაზებული ფორმა იდეალური იყო.... ბაგრატიც იძულებულია „უბრძანოს“ ზავი... (3/53. 649—652).

XI ს. ბაგრატმა შანქორი ასაღებად მისწერა. ფადლონმა ზავი სთხოვა და ყმობა აღუთქვა. ბაგრატმა დ ა რ ბ ა ზ ი მოიწვია. „ბას ქამსა უბრძანა და შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა (და) უბრძანა პირველად რომელი დაიმჭირონ ქალაქი იგი ძალითა მათითა. იხილეს და განიცადეს და მოიკჴენეს რომელ ვერაფის ძალედვა და უფროს ღა ამისთჳს, რომელ სხუათა ყოველთა სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდა. კეალად უბრძანა და განიზრახა დაზავებაი ფადლონისი და მათ ყოველთა სიბრძნითა გ ა მ ო ა რ ჩ ი ე ს და უმჯობესად ა ნ ჳ ი ე ს ზავი“ (იმდ. 244).

დიდი საქმის გადაწყვეტის წინ მეფე დ ა რ ბ ა ზ ს იწვევს. დარბაზი არ უდასტურებს შანქორის უშუალო შემოერთებას და ფადლონის ყმადნაფიცობას ამჯობინებს. ეს ფაქტი ამჟღავნებს იმას, თუ ვისგან შედგება ეს დ ა რ ბ ა ზ ი. სახლში საომრად განწყობილი ფეოდალები განძის მიმართ საზაოდ არიან განწყობილნი. და მეფეც იძულებულია მათ წუეას დაემორჩილოს (3/28, 43).

ბაგრატ III-მ რომ შანქორი მისწერა ასაღებად, აღმოჩნდა.. რომ ქალაქის დამჭირავი ძალა აღარა ჰქონდა... ამიტომ იგი იძულე-

ბული იყო ფადლონის ყმობით დაკმაყოფილებულიყო, მიუხედავად თავისი ცენტრალისტური მიდრეკილებებისა: საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მზად ამერკავკასიის დასაჭერად (მდ. 244).

ჯერ თვით საქართველოს შეკრების პროცესი არ დამთავრებულიყო. ჯაფარლის ძის სიკვდილის შემდეგ თბილისი ბაგრატს უქადეს ქალაქის ბერებმა.

ჩანს, კანონიერი მემკვიდრე აღარ იყო. ვასალი (ამირა) გარდაიცვალა. მემკვიდრე არ დარჩა (თუ იყო, იმასაც დამტკიცება სჭიროდა ბაგრატის მიერ). ბერებმაც სიუზერენს მიმართეს.

ლიპარიტს უნდა რომ თბილისი ბაგრატმა აიღოს. ბაგრატი კი „ბირებითა აზნაურთათა“ შეიწყალებს ამირას და გასაქცევად გამზადებულს ისევ ამირობაში ამტკიცებს. ლიპარიტი ამის შემდეგ „ქვეგამხედვარი იქნა მეფისა“.

ბაგრატს ურჩევნია კახეთი აიღოს, ვიდრე თბილისი.

ბაგრატი ფეოდალური მეფე იყო, მისთვის სრულიად საკმაო იყო „შეწყალებული“ ამირა. ქალაქის უშუალო შემოერთება მის გეგმაში არც შედიოდა. ერთი ვასალის მოსპობა (ამირასი) და მეორის გაძლიერება (ლიპარიტის) სრულიად არ შედიოდა მის გეგმაში. მეორეც: აფხაზთ მეფისათვის თბილისი სრულიადაც არ იყო იმ მნიშვნელობის, როგორც ის შემდეგ იქცა. ბრძოლის ლოგიკას აფხაზთ მეფეები აღმოსავლეთისაკენ მოჰყავდა, მაგრამ ამ ბრძოლათა შორეული მიზნების შეგნება ჯერ მათ არ ჰქონდათ. ასეთი მხოლოდ დავით აღმაშენებელი გაჩნდა და ამიტომაც იყო, რომ მან თბილისი თავისი სახელმწიფოს ცენტრად ქმნა (³/₃₉, 68).

„ბაგრატმა გაამრავლა ლაშქარი თჳსი უმეტეს ყოვლისა ჟამისა“.

ჯერ ფეოდალები ალაგმა და მხოლოდ შემდეგ შეძლო ლაშქრის გამრავლება. აფხაზეთი ქართლზე ნაკლებ არ ბორგავდა... ფეოდალები იქ კვლავ უფრო მძლავრობდნენ, მაგრამ, ჩანს, „მარუშიძისანი“ ძლიერნი ყოფილან, რომ მეფენი ასეთ ინტენსიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ... (²/₃₉, 290).

საინტერესოა: დიდი ლაშქრობის წინ მეფენი შინაურს საქმეებს „განაგებენ“ ხოლმე. ზოგი წყალობის უხვად გაცემით, ხოლო ზოგი მტკიცე ზომებით ცდილობს სამეფო ისეთ მდგომარეობაში ჰქონდეს,

რომ ლაშქრობა შესაძლებელი და სასურველი იყოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს ჯარი ფეოდალურია, მაშინ ასეთი ქცევა მეფეთა გასაგებია [როცა ვამბობთ ჯარი ფეოდალურია, ეს ასე უნდა გვესმოდეს: ომში წასვლისაგან თავისუფალი არავინაა, თუმცა პატრონთა ტენდენციები სულ იქითკენაა, რომ ეს მოვალეობა თავსა და თავის საყმოს ააცილოს და იმ მეფეს, რომელსაც ყველა პატრონი მორჩილებაში ჰყავს, შეუძლია „გაამრავლოს ლაშქარი უმეტეს სხვათა მეფეთა“, ე. ი. იმათზე უფრო, რომელთაც ასეთი მორჩილებისათვის ვერ მიუღწევიათ].

მ ე ფ ი ს ლ ა შ ქ რ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა შ ი ნ ა გ ა ნ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ო დ ა მ ო ც ე მ უ ლ ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ პ ი რ ო ბ ებ შ ი. მეორე მხრით, მდიდარ მეფეს შეეძლო ექირავა ჯარი გარეშე და საშინაო და საგარეო სასურველი პოლიტიკური ხაზი გაეტარებინა... ამის შესაძლებლობას საშუალო საუკუნეების ეკონომიკა არ იძლეოდა ჩვეულებრივ... (³/₂₉, 58).

ბასილი ბერძენთა მეფესთან ბრძოლაგადახდილი გიორგი I ბრძოლით იწევს უკან. ოლთისში, შირიმნში ის წინააღმდეგობას უწევს ბასილის, თრიალეთში მოსული მეფე გაძლიერდა—მას მიუვიდნენ ჰერ-კახნი, წანარნი და შაქნი. „გ ა რ ნ ა დ ა უ შ ა ლ ე ს შ ე ბ მ ა მ ე ო რ ე დ. შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით...“ (მდ. 248). თრიალეთში ძალთა განწყობილება მართლაც შეცვლილია: ბასილი შესაბმელად მოსდევდა გიორგის, მისი დამორჩილება სურდა. თრიალეთს დაუდგა გიორგი. ბასილი უკან დაბრუნდა. უნდა ვიფიქროთ, ცნობა მიიღო მტრის სიძლიერის შესახებ. რატომ დაუშალეს გიორგის შებმა. ცხადია, არა იმიტომ, რომ ბასილი ძლიერი იყო. ის რომ ძლიერი ყოფილიყო, არც უბრძოლველად წავიდოდა უკან. აშკარაა, არსებულა ძლიერი დასი, რომელსაც ბასილისთან გიორგის ბრძოლა არ მოსწონდა, ბასილის მოთხოვნილებანი სამართლიანად მიაჩნდა. ესენი შეიძლება სწორედ ის დიდგვარიანები იყვნენ, რომელთაც გიორგის შვილი ბაგრატ IV დატოვეს და მთელი ქვეყნები ბასილის და შემდეგ მის ძმას კონსტანტინეს წარუღეს, იყვნენ ომის მომხრენიც...

ერთი სიტყვით, აქაც ფ ე ო დ ა ლ უ რ ი დ ა რ ბ ა ზ ი (³/₅₂, 427).

XI ს. თრიალეთში მყოფმა გიორგი მეფემ „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა რამეთუ მოიყუანნა წანარნი და შაქნი. გ ა რ ნ ა დ ა უ შ ა ლ ე ს შ ებ მ ა მ ე ო რ ე დ“... (მდ. 28).

ვინ დ ა უ შ ა ლ ა? ვისაც ამის საშუალება და უფლებაც ჰქონდა, უეჭველია. დ ა შ ლ ა მოხდა არა ერთი პირის მიერ: გიორგი არც ისეთი დამჯერე და სუსტი იყო, რომ ერთისათვის დაეჯერებინა. ჩანს, ის ა წ ვ ი ა ძლიერმა ჯგუფმა, რომელსაც დაშლა ხელეწიფებოდა. ასეთი რისამე განხორციელება დარბაზის სხდომაზე შეიძლებოდა სრულიად კანონიერად მომხდარიყო და ჩვენც ვფიქრობთ, ბაგრატს შებმა დაუშალა დ ა რ ბ ა ზ მ ა... (3/28, 42).

XI ს. ბასილი გიორგი მეფეს საზავოდ იწვევს და გარკვეულ ადგილებს (ქვეყნებს) სთხოვს.

გიორგი ყოყმანობს. „ხოლო რომელთა (ე. ი. გიორგის მხარეს მყოფთა, მის დიდებულთა) არა უნდა ყოფად მშვიდობისა. იწყეს განმზადებად ბრძოლად (var. გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი აზნაურნი არა მ ი ე შ ვ ნ ე ს გიორგის ყოფად ზავისა რამეთუ არა უნდოდათ მშვიდობაი)... არამედ ა ზ რ ა ხ ე ს მეფესა გიორგის მას ბრძოლად და ი წ ვ ი ე ს იგი ბასილი მეფესა ზედა"... (მდ. 249—50).

ცხადია, გიორგის დ ა რ ბ ა ზ ი შეუყრია. დარბაზს ომი დაუმტკიცებია. და ეს მომხდარა იმ აზნაურთა გავლენით, რომელნიც ომით დაინტერესებულნი ყოფილან... (3/28, 41).

ბასილისა და გიორგის ბრძოლისას გიორგი საზავოდ იყო გამზადებული. მაგრამ იყვნენ ქართველთ ლაშქარში „ორკერძოვე მ ზ ა კ ვ ა რ ნ ი ი გ ი ა ზ ნ ა ურ ნ ი", რომელთაც „არა მიეშვნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშვიდობაი". მწერალს კარგად ესმის, რომ აზნაურთ რაღაც სულ სხვა აინტერესებთ და არა ქვეყნის საქმე. ისინი ამავე დროს „ორკერძოვე მზაკვარნი" არიან. თუ ქართველთ მეფეს ღალატობენ, ბერძენთ მეფის ერთგულნი არიან, ზოგი გიორგის ღალატობს, ზოგი კიდევ ბასილს (ფერის ჯოჯიკისძე). ომის დასრულებამდე უკვე „ციხენი რ ო მ ე ლ ნ ი მ ე პ ი რ ვ ე ლ გ ა ე ც ნ ე ს ა ზ ნ ა ურ თ ა", ასე რომ, გიორგის ლაშქარში იმდენი შესაძლებელი მოღალატე იყო, რამდენიც აზნაური.

ყოველ შემთხვევაში, აზნაურები უფლებამოსილად თვლიან თავს ომის დროს არჩევანი მოახდინონ ბასილისა და გიორგის შორის... (2/39, 293).

გიორგის სიკვდილის უმალ „აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს... უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხითა და

რომელნიმე უციხონი განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს“ (მდ. 359).

ციხე აზნაურის აუცილებელი ატრიბუტი იყო. უციხო აზნაური—ესაა ან დამცრობილი აზნაური, ან კიდევ გაზნაურებული მსახური, ესე თუ ისე, ამ მოწმობიდან ცხადია, რომ XI ს-ის დასაწყისში არიან უკვე მცირე აზნაურნი, რომელთაც ციხე არა აქვთ...

აზნაური ციხით — დიდი მოხელე.

აზნაური უციხო — მცირე მოხელე (²/₃₉, 307).

XI ს-ში დაპყრობილი ადგილებიდან (საქართველო-სომხეთიდან) ბიზანტია გადაასახლებს დიდგვარიანებს (დიდი სამოხელეო თანამდებობები კონსტანტინოპოლში თუ სხვაგან, მათი გაბერძნება, —ეს კარგად ჩანს ათონის მონასტრის ალაპებიდანაც).

ბიზანტიის მიზანია დაპყრობილი ადგილების ცენტრალისტურად შენიმტკიცება.

იხ. „მატიანე ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის ძე. იოანე და ეფთვმეს ცხორება. გიორგი ათონელის ცხორება. მანანდიანი: „О торговле“ (გვ. 175 წ. მდ. 14).

ბერძენთა ლაშქარი ქართლის კვანძის ხელში ჩაგდებას ლაშობს. ის კლდეკარს მოადგა (მდ. 254). მისი დაპყრობით ბერძნები ქართლს ხელში ჩაიგდებენ. ლიპარიტ ლიპარიტის ძე თვით ასდგი ბრეტენზიების მქონეა. ამიტომაც ის მედგრად იცავს „მამულს“. ბრძოლა განძას (ჯავახეთს?). ატენი ამ დროს უკვე აფხაზთ მეფის ხელში უნდა იყოს. ის ბაგრატ III-ს უნდა ჩამოერთვას ლიპარიტეთთაგან. კლდეკართაკენ თვალი უჭირავთ აგრეთვე აფხაზთ მეფეებსაც. ამიტომაც არის, რომ ლიპარიტიანნი ასე იჭვიანნი არიან აფხაზთ მეფეთადმი (²/₃₉, 295).

როგორც კი გამეფდა ბაგრატ ყრმა, „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეფისკოპოსი იოანე და მალთანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (მდ. 254).

აზნაურნი, ჩანს, მებრძოლ მეფეთ შორის გადასელას ღალატად კი არ თვლიან. არამედ თავიანთ უფლებად... და ეს ასეც იყო ფეოდალური გაგებით. აზნაურს (=ვასალს) უფლება ჰქონდა ერთ სენიორს წასელოდა და მეორეს მიდგომოდა (ყმობოდა). ჩანს, ეს უფლება „ეროვნულ“ საზღვრებს სცილდებოდა. და ეს გაგება (ფეო-

დალური) იყო არა მარტო საერო ფეოდალთ წრეებში, არამედ საეკლესიო წრეებშიაც. ბანელი ეპისკოპოსი ისევე იქცევა, როგორც ტაოელნი აზნაურნი, ჩანს, აფხაზთ მეფე მათთვის იმავ ფასისაა, როგორისაც ბერძენთ მეფე და ამა თუ იმ მხარის არჩევა განისაზღვრება არა „ეროვნული“ მოსაზრებით, არამედ კონკრეტული სარგებლიანობით. სწორედ ეს „მოღალატენი“ აფხაზთ მეფისა საუკეთესო მეცენატები არიან ქართული კულტურისა.

ეროვნული მთლიანობის იდეა, ჩანს, ჯერ არაა დომინანტი. მართალია, ის ისახება, გაჩნდა კიდეც (გიორგი მერჩულე), მაგრამ ფეოდალების წრე ყველაზე ნაკლებ არის მოწოდებული ამ იდეის განსამტკიცებლად (²/₃₉, 294).

საინტერესოა, რომ კონსტანტინე მეფემ პარკიმანოსი გამოგზავნა დიდი ლაშქრით და დიდი ფულით („განძითა ურიცხვითა“) (მდ. 360). ეს კატაბანი, ჩანს, მარჯვედ მოქმედებს ამ განძით. ტბეთის მცველებს მან შესთავაზა დ ი დ ი ს ა ფ ა ს ე, და საბა მტბევარს უხდება ქადაგება, რომ ციხოვანთ არ აიღონ ქრთამი. ცხადია, მოქრთამეა ჩვეულებრივი ხერხი იყო (²/₃₉, 309).

ლიპარიტმა დემეტრე გამოიყვანა, ძმა ბაგრატისი. ის ბერძენთა მეფის ლაშქრით მოვიდა. მას მიერთნეს ვინმე დიდებული აზნაურნი. ლიპარიტ და დემეტრე ატენს მოადგნენ. ვერ აიღეს. ციხოვანნი ერთგულად იყვნენ. მეფეს გადაუდგნენ კახნი, ფარსმან თმოგველი, ბეშქენ ჯაყელი თუხარისის ერისთავი. მეფე ჯავახეთს გადავიდა და ახალქალაქის ზღუდის შენება იწყეს.

ლიპარიტი მეფეს დაეზავა და დემეტრე წარვიდა საბერძნეთს. ლიპარიტმა ქართლის ერისთავობა მიიღო (მდ. 260).

საინტერესოა, რომ ლიპარიტი ატენს მიადგა ასაღებად. ატენი ხომ მისი პაპის ხელთ იყო და ბაგრატ III-მ ჩამოართვა მას. ატენი კლდეკარს უკავშირდებოდა, მას ასრულებდა შიდა ქართლში. ის ამ დროს სტრატეგიულ ადგილს გარდა ეკონომიკური ცენტრიც ხდებოდა. აქ მსხვილი მეღვინეობა იყო გაჩაღებული და ქალაქის წარმოქმნის ნიშნები აჩნდა.

ატენიდან გზა თრიალეთზე უკვე დიდი ხანია არსებობდა და ატენიც უკვე დიდი ხანია დიდებულთ სადგომი იყო. კონსტანტინე კახაძ — IX ს-ის მოღვაწე რომ აქ იყო — მთავარი—, რომ ატენის სიონი აქ იყო აგებული, — ყველა ეს იმის ნიშანია, რომ ატენი ძველიდანვე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი იყო. ამიტო-

ბაც იყო ის მეფე-დიდებულთ ქიშპის საგანი. მეფე საბოლოოდ კლდეკარს ეძებდა, ლიპარიტი — ატენს.

საინტერესოა, რომ ახალქალაქს აქამდის ზღუდე არა ჰქონია. ქალაქი, უნდა ვიფიქროთ, გაზრდილა და ზღუდე მოუცლიათ (²/₃₉, 299).

ლიხთ იმერის აზნაურები მცირედ არ ირჯებიან, რომ ბაგრატ IV-ის ძმა, ანაკოფიის ციხეში მყოფი, გაამეფონ. აზნაურთ ბუნება ასეთია. „მეფე" მათ სჭირიათ, რომ ის შემაერთი იყოს სხვა ფეოდალებთან და მხოლოდ ამდენად. ხოლო მეფე ძლიერი და თავის მოქმედებაში დამოუკიდებელი (მათგან), რა თქმა უნდა, არასასურველია. ფეოდალურ წესს სხვადასხვა საფეხურები აქვს. იმის მიხედვით, თუ როგორია საზოგადოებრივი წყობა, კლასობრივი ბრძოლა, რა პირობებში იმყოფებიან კლასები — მეფე-აზნაურთა ურთიერთობაც სხვადასხვა გვარია. მეფის სრული ლიკვიდაცია არ ხდება, მაგრამ ზოგჯერ ის მხოლოდ ნომინალურადღა არსებობს, ფეოდალების ხელში სათამაშო ტიკინაა. აქედან ძლიერ ფეოდალურ მეფეშდის — ასეთია მეფის ხელისუფლების ამპლიტუდა. სულ მუდამ დაჭირავებულ ჯარზე დაყრდნობილი მეფე ფეოდალური მეფე აღარაა, რა თქმა უნდა, თუ ჯარს ფულით ეძლევა გასამრჯელო (²/₃₉, 298).

„წურილი ერი" რომ გადაებირებინათ, ბერძნებმა გამოიყვანეს დემეტრე კლარჯი — ძე სუმბატისი. უეჭველია, ეს წურილი ერი „აზნაურები" არ არიან. „ერი" მემატიანეს ესმის, როგორც ხალხი. წურილი ხალხი დაპირისპირებულია აზნაურებთან, რომელთა პოლიტიკაზე ის ზემორე მოგვითხრობს. საინტერესოა, რომ მათ მისანხრობად ბერძნებს გამოუყვანიათ კლარჯი ჟელმწიფე და ისინიც მიმხრობიან. ჩანს, წურილი ერი აზნაურებს არ მისდევს, ე. ი. მათი პოლიტიკიდან არ არის დამოკიდებული წურილი ერის პოლიტიკა. ჩანს, ისინი არ არიან აზნაურთ ყმანი. ამავე დროს ისინი დემეტრე კლარჯს უპერენ მხარს, მის მოწოდებას მისდევენ და ბერძენთ მხარეზე გადადიან. ჩანს, თუ არ დემეტრე კლარჯი, ისინი ბაგრატის (აფხაზი მეფის) მხარეზე რჩებოდნენ და აზნაურებს არ ბაძავდნენ. ასე რომ წურილი ერი დამოუკიდებლად მოქმედებს, თავისი პოლიტიკური ხაზი აქვს. აზნაურთ არ მისდევს. ჩანს, მათ შორის თანხმობა არაა: ისინი კლარჯი ჟელმწიფისანი არიან...

დასკვნა: „წ ु რ ი ლ ი ე რ ი“ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ქ ვ ე ყ ნ ი ს-
მ ო ქ მ ე დ თ ა ფ ე ნ ა ა. ყველა არც დემეტრე კლარჯს გაჰყვა, რაც კიდევ უფრო ამჟღავნებს, რომ ამათ თავისი პოლიტიკა აქვთ (²/₃₉, 296).

აზნაურების გვერდით მოხსენიება წ ु რ ი ლ ი ე რ ი ს ა უეჭველყოფს მათ განსხვავებულობას აზნაურთაგან. ეს არაა წვრილი აზნაურები (ამას იტყოდა მემატიანე). მაშ ეს ცალკე კატეგორიაა, რომელსაც მოქმედების თავისუფლებაც არ აქვს დაკარგული. მათ გადასაბირებლად დემეტრე კლარჯი გამოიყენეს ბერძნებმა და „აფხაზთ მეფეს“ დაუპირისპირეს (მათი „ღვიძლი მეფე“ მოიყვანეს). ანათ ის ირჩიეს (ჩანს, „დამპყრობელი“ „აფხაზთ მეფეების“ უკმაყოფილონი არიან). გამოდის, რომ XI საუკუნის დასაწყისს მესხეთში იყო ძლიერი რიცხვით კატეგორია მოსახლეობისა — „წურილი ერი“, რომელიც პოლიტიკურ არჩევანს თავისუფლად, დამოუკიდებლად ახდენდა და რომ ესენი აზნაურნი არ არიან (³/₂₉, 60).

ბიზანტიელთა მოხერხებული პოლიტიკით კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლა საგარეოზე იქნა გამოტანილი. „მას ჟამსა ქუეყანათა ამათ შინა იქმნნეს ბრძოლანი, შუღლნი და მიდამონი მრავალნი და ვითარ დიდად იღელვებოდა ქუეყანა ესე“ (მდ. 255).

ერთი სიტყვით, დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა. წოდებანი, ჯგუფები ერთიმეორეს პოლიტიკურ ანგარიშს უსწორებენ. ბერძნებმა კარგად იცოდნენ კლასობრივი საზოგადოების „აქილევსის ქუსლი“ და სწორედ აქ მიმართეს, და „დიდად იღელვებოდა ქვეყანა“.

ყველა წოდება გამოთქვამდა თავის სიტყვას. უმაღლესი აზნაურობა (და საერთოდ აზნაურობა) იქით იხრებოდა, საითაც თავისი კლასობრივი ინტერესები უკარნახებდნენ. ნაწილი ბერძნებს ეკედლებოდა, ნაწილი კიდევ მას ებრძოდა. ასევე იყო ეკლესიაშიც: ნაწილი „დიდად ერთგულებდა“ აფხაზთ მეფეს (ტბელი, ანჩელი), ნაწილი კი ბერძნების მხარეს გადადიოდა (იოანე ბანელი). წურილი ერიც ასე ორად იყოფოდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხდებოდა შიგნით კლასობრივ ინტერესთა სხვადასხვაობის, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე (²/₃₉, 297).

ბაგრატ IV-ისა და დემეტრეს ბრძოლის დროს „ციხეთა უფალნი კაცნი“ ბაგრატის ერთგულნი იყვნენ „თუნიერ ფარსმან თმო-

გუელისა და ბეშქენ ჯაყელისა თუხარისის ერისთავისა“ (მდ. 260).

ბაგრატ და ლიპარიტ დაზავდნენ: „უბოძა ქართლის ერისთაობა“.

როგორი მოჯელე იქნებოდა ერისთავი, როცა მან თავისი ჯელი საზავო პირობის თანახმად მიიღო?...

თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი.

თუხარისის ერისთავი, ყველის ერისთავი—ჯაყელებია (3/58, 293).

„სამეფო“ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის პირში ნიშნავს კონსტანტინოპოლს par excelance.

ჩანს, ჩვეულებრივ სასაუბრო ლაპარაკში „სამეფო“ კონსტანტინოპოლს ეწოდებოდა.

შედეგი ქართლის დამოკიდებულებისა საბერძნეთისაგან.

შდრ. „იოანე და ეფთვმეს ცხორება“ (3/29. 61).

პირველი განდგომის შედეგად ბაგრატმა ლიპარიტს ქართლის ერისთავობა მისცა (sic). აქამდის ერისთავი აბაზაძე იყო.

ბაგრატ IV ვითარცა ვასალი (კურაპალატი) ბიზანტიის კეისრისა ბოლელი იყო თურქებთან ომში დახმარებოდა ბერძნებს (3/29, 87).

საინტერესოა, რომ თბილისის აღებას ასე თავგამოდებით ცდილობს ლიპარიტი. მან იცის, რომ მას საკუთარ საამიროს არავინ დაანებებს. „კახთა და რანთა“ მეფე და „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფე ორივე დაინტერესებული არიან ამ ცენტრალური სამფლობელოთი. ამიტომ ლიპარიტს სურს მეფის საშუალებით ჩაიგდოს იგი ხელთ.

ლიპარიტი კლდეკარის პატრონია, ქართლის მთავარი კვანძის მქონეა. თბილისი მჭიდრო ეკონომიკურ კავშირშია ამ ციხესთან. საამიროს გზები ორბეთ-ფარცხის და მანგლის-თბილისის იქიდან მოდის (2/29, 298).

აღმოსავლეთ საქართველოში რომ გაბატონებულიყო, ლიპარიტისათვის საკმაო იყო დაეჭირა: არტანუჯი, ყუელი, უფლისციხე, ბირთვისი, კლდეკარი.

სულა კალმახელმა (შემდეგი დროის ახალციხელთა-ჯაყელთა წინაპარმა) ლიპარიტის შეპყრობისათვის მიიღო ციხისჯუარი და ოძრეე ბოდოკლდითა. არ ჩანს, რომ ამ დროს ახალციხე ყოფილიყო.

არის აწყური, ახალქალაქი (საუფლისწულო), ღრტილა, არტაანი, ხუფათი.

საინტერესოა, როგორ მოხდა, ან რას მოწმობს, რომ დამარცხებული ბაგრატ ლიხთ იქით დაემკვიდრა, ხოლო ლიპარიტი აღმოსავლეთით. ლიპარიტს მეფობა არ უნდოდა, მან იცოდა, რომ აზნაურები მის გამეფებას არ მოითმენდნენ, ამიტომაც ბაგრატის ძე გიორგი მეფედ მოიყვანა. ლიპარიტის იდეალი იყო სახლთუხუცესობა (magordomus) — ათაბაგობა, რა თქმა უნდა, იმ ფარული იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს სამეფო დინასტიას თავისი სახლის შუალით შეცვლიდა. დიდი სიმდიდრე და საგარეო ხელსაყრელი პირობები (ბერძენთა და თურქთა მეგობრობა) ამის გარანტია იყო თითქოს.

მაინც საინტერესოა, საიდან და როგორ გადმოვიდა პირველი ლიპარიტიანი — რატი — და აღაგო ციხე კლდეკართა? (²/₃₉, 300).

ერისთავის ხელისუფლების ევოლუციისათვის შეტად საინტერესო გარემოებაა. „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორის გამოთქმით, ერისთავი ეწოდება ციხისთავსაც (თბილისის კოშკების ერისთავნი). და ეს ასეც უნდა ყოფილიყო... ციხე მისი მიმდგომი ქვეყნით იყო საციხისთავო... მაგრამ ერისთავიც ხომ ასეთივე სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე იყო, ერისთავიც ხომ ციხეში იჯდა, ან, უკეთ, მისი ადგილ-სამყოფელი იგივე ციხე-ქალაქი იყო. განსხვავება ის იყო, რომ გვიან, რა დროიდანაც ჩვენ ცნობები შემოგვნახვია, ერისთავის ადგილსამყოფელი ციხე-ქალაქი იყო და არა მხოლოდ ციხე (აქედანაა, რომ დიდებულის ატრიბუტი აღბუღათი ქალაქია) და ერისთავი არა ერთ რომელიმე ციხეს, მისი მიმდგომი სოფლებით, განაგებდა, არამედ მისი გამგებლობის ქვეშ უკვე მრავალი ციხე იყო... მაგრამ ეს იყო ერისთავის ზრდის შედეგი... რომ ერისთავები ძველად ციხისთავები იყვნენ (თუ ყოველთვის არა, გარკვეულ შემთხვევაში მაინც), ეს დასავლეთ საქართველოს ციხისთავის ინსტიტუტიდანაც ჩანს. იქ მხედართმთავარი ციხისთავთ ციხისთავია...

ეს ტერმინი თითქოს შემდეგ წყობილებას გულისხმობს: მთელი ქვეყანა სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით დაყოფილია საციხისთავოებად (ე. ი. ციხე თავისი მიმდგომი სოფლებით. ციხე

სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება ყოფილიყო დიდი ან მცირე, ნრაეალი სოფლებით ან ცოტათი.

ზოგი ციხე ქალაქადაც შეიძლებოდა ქცეულიყო, ზოგი ციხე კი ქალაქადაც შეიძლებოდა აგებულიყო. ამის მიხედვით ზოგი ციხისთავი მეტის, ზოგი კიდევ ნაკლები მნიშვნელობის შეიძლებოდა ყოფილიყო... ზოგან ციხეები ფრიად მრავლდებოდა... ზოგან კიდევ არა. ციხისთავებს შორის, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებობა იქნებოდა... (3/53, 473).

XI ს. ბაგრატ VI-მ თბილისი აიღო. „მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავი გოდერძი და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა დ ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვდობისა ძებნად" (მდ. 261).

ეს დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა უნებლიეთი იყო... ბაგრატმა ითაყვანნა ისინი და მისცა მშვიდობა. ერთგვარი პატრონყმური მდგომარეობა დამყარდა...

ამიტომ, ამ დარბაზობას მხოლოდ ზეიმის შინაარსი კი არ ჰქონდა, პირიქით, ზეიმი აქ დანართი იყო, მთავარი დიდი პოლიტიკური საქმე იყო... (3/28, 38).

ბერძენი მეფის თვალსაზრისი ბაგრატ-ლიპარიტზე. ორივე ყმა. ბაგრატ უფროსი. ლიპარიტი უერთგულესი. ბაგრატის მეტად გაძლიერება არ იყო სასურველი (გიორგი I-ის მაგალითი), არც ლიპარიტისი. მათი ქიშპი კი ხელსაყრელი იყო...

ლიპარიტს არავინ გაამეფებდა, დიდგვარიანნი არ შეიწყნარებენ ამას... ლიპარიტიც გონიერად ერიდებოდა ავანტიურას. გამარჯვებულმა მან გიორგის გამზრდელობა ირჩია... (შეიძლება ამ დროს შეთხზეს ლეგენდა „მეფეთა ბაღვიაშთა").?

გიორგი კურაპალატად არ იხსენიება. ის ამ ტიტულის მატარებელი არც ყოფილა.

მარიამის მისია: ბ ა გ რ ა ტ ი ს გ ა ვ ა ს ა ლ ე ბ ა, კურაპალატობის ძიება.

„ეითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა" — ეს ჩვეულება და წესი დაარღვია გიორგიმ (3/29, 87).

მისცა პ ა შ ტ ნ ი ლიპარიტ ვარანგებს (ნახე) იმითაა, სხვათა შორის, საინტერესო, რომ ავტორი ამ უცხო სიტყვას (პაშტნი) ხმა-

რობს. იმიტომ, რომ შესაფერისი ქართული ტერმინი ორაზროვანი ჰქონდა — მ ს ა ხ ე ურ ი. „მსახურში“ ამ დროს, საფიქრებელია, პაშტნის შინაარსი თუ იგულისხმებოდა, კიდევ უფრო, და ეს უეჭველია, იგულისხმებოდა ადამიანი (სოციალური ფენა თუ პირი) უპირატესად სამხედრო ფუნქციით. პაშტნში კი ეს შინაარსი გამორიცხულია. ასე, რომ, თუ პაშტნი ამ ავტორის ინდივიდუალური მოვლენა არ არის, იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ „მსახურში“ ჯერ კიდევ სამხედრო ფუნქცია ჰარბობს (შეიძლება პაშტის ფუნქცია სულაც არ არის ამ დროს მსახურში...) (³/₁₉ (ბ), 57).

„სულა ერისთავი კალმახისა“ და „სულა კალმახისა პატრონი“.

სულა კალმახის ერისთავიც იყო და პატრონიც. ამ ორ ტერმინში საუცხოოდ ჩანს ფეოდალური შეთავსება ორცნებოვნებისა. სახელმწიფო სამართლის ცნება (ერისთავი) და კერძო სამართლის ცნება (პატრონი). ძველად იყო ერისთავი კალმახისა. ის თანდათან გაზდა მისი პატრონიც (სიუზერენი). ამ დროს უკვე ერისთავობა პატრონობას (სიუზერენობას) გულისხმობს, ხოლო პატრონობაში(სიუზერენობაში) იგულისხმება მესაკუთრეობაც (თუ იგივეობა არა, მათ შორის ახლო ნათესავობაა).

ასევე იყვნენ სხვებიც (ერისთავი = დიდებული = პატრონი = წარჩინებული) (³/₃₉, 64).

ლ ი პ ა რ ი ტ ის მ ი ე რ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ი გიორგი ბაგრატის ძე მეფედ აკურთხეს რ უ ი ს შ ი, რატომ მცხეთას არა? თუ ქუთაისი „აფხაზეთი“ იყო, მცხეთა ხომ ქართლი იყო? თუ იმიტომ, რომ მ ც ხ ე თ ა საამიროში შედიოდა?

რატომ იქმნა 1103 წლის საეკლესიო კრება არა მცხეთას, არამედ რუის-ურბნისის საზღვარზე. ამ დროს მცხეთა ხომ თბილისის ამირას ხელთ არ იყო?? (³/₂₉, 65).

ლიპარიტმა თითქოს ქართლის იდეალს მიაღწია, აფხაზეთს ქართლი ჩამოაშორა და ცალკე სამეფოდ ქმნა. მაგრამ ასეთი რამ არასასურველი აღმოჩნდა თვით ქართლელებისა და მესხთათვის... ლიპარიტი დაატყვევეს და ბაგრატი კვლავ გადმოიყვანეს. ქვეყანა გააერთიანეს... ჩანს, გ ა მ ა ერ თ ი ა ნ ებ ე ლ ი მ ო მ ე ნ ტ ე ბ ი ძ ლ ე ე დ ა და ლიპარიტის ზრახვები რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ ი იყო, მომავალი მისი წინააღმდეგი იყო... საინტერესოა, რომ ლიპარიტის წინააღმდეგ და მაშ გაერთიანებისათვის იბრძვიან სამცხე-საათაბა-

გოს მკვიდრნი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი და საერთოდ არტანუჯის, ტბეთის, აწყვერის, ხიხათა, ყველის, არყის, ციხისჯუარის — ერისთავნი. ჯავახეთი, შავშეთი, ტაო—ესენი ბაგრატის მომხრენი არიან. შიდა ქართლი (მისი უდიდესი ნაწილი) წინააღმდეგია... (3/29, 66).

ციხისჯვარი, ოძრეკ, ბოდოკლდე — „სახასო" იყო XI საუკუნეში. 1058 წელს მამულობით გადაეცა სულა კალმახელს (აქედან ციხისჯვარელნი).

ბაგრატმა წაართვა ლიპარიტს: არტანუჯი, ყუელი, უფლისციხე, ბირთვისი, კლდეკარი. ამიერიდან (და აქამდისაც) „სახასონი" არიან ესენი (წ. მდ., ფ. 15).

შეპყრობილმა ლიპარიტმა კლდეკარი ბაგრატს გადასცა, გამოიღო ხუასტაკი და ჩაიცუნა ჩოხანი.

კლდეკარი — ლიპარიტის საპურეელი აქვე, სამწიგნობრო — მწიგნობართა უხუცესის მეთაურობით.

ამიტომაცაა, რომ ეს მოხელე (მწიგნობართა უხუცესი) მეთაურობს ლიპარიტის „ციხოანთ" კლდეკარში (3/53, 230).

საინტერესოა, რატომ გაგზავნა დასჯილი ლიპარიტი დავითმა საბერძნეთს. განა იმიტომ, რომ ლიპარიტი საბერძნეთის კეისრისათვის სათნო იყო (როგორც აფხაზთ მეფეთა მოქიშპე) და დავითი კი ამ დროს ჯერ კიდევ საბერძნეთის ვასალად ითვლებოდა? (2/17, 79).

ივანე ლიპარიტის ძე ბაგრატ IV-მ გამოიყვანა საბერძნეთით და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა (მდ. 268).

უეჭველია, აქ ბიზანტიის ხელი ერია, რომ ბაგრატი იძულებული გახდა ასეთი ძვირფასი მამული ისევ დაებრუნებინა ამ გვარისათვის. (3/33, 211).

თბილისი XI ს-ის 70-იან წლებში ფადლონ განძელის ხელქვეშ იყო. თბილისს მდგომი ფადლონის მოხელე ძველ ამირათა ჩამომავალი არ იყო, სითილ არაბი მემამულე იყო თბილისისა და დმანისს იყო გადახვეწილი (მდ. 274).

ამ დროს კახეთს აღსართან მეფობდა.

თბილისი და რუსთავი თურქთ დაიპყრეს, მათი ამირები ამოწყვიტეს და ქალაქები ფადლონს მისცეს. ეს ამირები „ჩუენთა მეფეთა“ სათნონი იყვნენ (272).

სითილ არაბი ამ დროს უნდა გაქცეულიყო დმანისს. ეს იყო 1068—69 წწ-ში. ამის წინ ბაგრატს ეპყრა ჰერეთი და ებრძოდა კახეთს, რომლის მეფე იყო ა ღ ს ა რ თ ა ნ ძ ე გ ა გ ი კ ი ს ი.

ჰერეთის დაპყრობა 1064 წლის შემდეგ ($^{3}/_{29}$, 46).

ბაგრატმა თბილისი აიღო, თუთ არ დაიჭირა, „შემოიყვანა ტფილისად მ ე მ ა მ უ ლ ე სახელით სითილ-არაბი და მისცა მას ტფილისი“... (მდ. 275).

მემამულე=ვისაც რა მამულად ეკუთვნის—вотчинник ($^{3}/_{23}$, 210,)

XI ს. დასაწყისში ბერძნების მიერ წაღებული ციხეები შ ა ვ შ ე თ-კ ლ ა რ ჯ ე თ შ ი, ჯ ა ვ ა ხ ე თ-ა რ ტ ა ნ შ ი გიორგი II-მ მხოლოდ XI ს. 80-იან წლებში დაიბრუნა, როცა ბერძნები სელჩუკებს უთმობენ ბატონობას აღმოსავლეთში. მთელი XI ს-ის სამი მეოთხედი — ეს იყო ბერძნების პოლიტიკური ბატონობის ხანა. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო უცილობლად ეჭირათ: ციხეთა ჭერა ქვეყნის დაჭერის მთავარი საშუალება იყო ($^{3}/_{52}$, 535).

[დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი]

ანონიმიანის (დავითის ისტორიკოსის) გამოთქმიდან ცხადია, რომ მას საქართველო გიორგი მეორის დროისა ფრიად მ დ ი დ ა რ ქ ვ ე ყ ნ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა. მისი აზრით, ის საბერძნეთსაც არ ჩამოუვარდება, პირიქით, შეიძლება კიდეც სჯობნის მას. უნდა ვიფიქროთ, ასეთი იყო მაშინ შეხედულება, რასაც უეჭველია რეალური საფუძველი უნდა ჰქონოდა (3/17, 77).

„დიდი თურქობა“ 1080 წლიდან დაიწყო. „მდიდარმა მეფემ“ ბაგრატ IV-მ არა თავს იდო ხარაჯა, გიორგი II კი იძულებული იყო ეძლია თურქებისათვის. ასე გრძელდებოდა 16—20 წლამდე (როცა „მოეშენა ქუეყანა ქართლი, განძლიერდა დავით და განიმრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“). ქართლში „თჳნიერ ციხეთასა სადამე არა სადა იყო სოფელსა შინა კაცი არცა რა შენებულება“. „მოოხრებულ იყო ქართლი“. და ეს იმიტომაო, რომ თურქნი...„ ზამთრისა მიწევნასა ფალანგებითა მამითა ჩამოდგიან ჰავჰალას და დიღუამს ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი“. ასევე ნაჭარმაგევს... ხალხს (მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს) აყრა და მოხარკეობა, რა თქმა უნდა, უმთავრესად ხელმოკლეთათვის იქნებოდა საბედისწერო. მხოლოდ ციხეებში შერჩა ცხოვრება. ციხე კი ეს მიწისმფლობელის, დიდი აზნაურის ატრიბუტია. მიწის მოქმედი საფარველს დიდგვარიანებთან ეძებს, სხვა ძალა არცაა... დაცვის სამაგიეროდ ციხისპატრონი, რა თქმა უნდა, ყ მ ო ბ ა ს მოსთხოვს თავისუფალს, რასაც უკანასკნელი უნდა დათანხმოს. თუ თავისუფალს მიწის ნაკვეთი გააჩნია, ის უნდა მიართვას პატრონს და წყალობად მიიღოს, ხოლო თვით მას მსახურთა და მხლებელთა რიცხვში ჩაეწეროს. ამიერიდან, თუ მას ამდენი შეძლება ეჭნება, რომ „აზნაურად ყვეს“ პატრონს, ის უბეგრო იქნება, ხოლო თუ ეს არ ძალუძს, ის სათანადო ბეგარას დაიდებს (აქ

დაიწყება მისი მსგავსება გლეხთან, რაც შემდგომი თანდათანი დამსგავსებით მას გლეხებთან იდენტიფიკაციამდის მიიყვანს. ღ ა ბ ე გ რ ი ლ ი მ ს ა ხ ე ურ ი ეს არის გარდამავალი საფეხური ზევიდან ქვევით...).

ასე რომ, დიდი თურქობა ბატონყმობის ინსტიტუტი. გაძლიერებისათვის მუშაობდა. ხარაჯის აუტანლობა-სიმძიმე და გარეგანი საშიშროება— ორივე ეს ხელმოკლე და დაუცველ თავისუფალ მიწის მოქმედთ ეკონომიკურად და სოციალურად დიდგვარიანთაგან დამოკიდებულად ხდიდა (2/39, 157).

დიდი თურქობა იყო (1080) წ.). ქვეყანა აოხრდა, ამოწყდა.. ბერძნებიც სუსტი იყვნენ, ხსნა არსით ჩანდა... და გიორგი მეფემ „ყო გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა დიდებულთა თვთათანა და დაამტკიცეს წასულა მაღალსა სულტანსა მალიქშას წინაშე და ესრეთ დაეგვა თავი თვსი და სისხლნი ქრისტიანეთა ჯსნისათვს და მინდობითა ჭ ითისათა და წარძღუანებითა ძელისა ცხორებისათა წარვიდა ასპანს ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მისგან“... (მდ. 284).

დ ა რ ბ ა ზ ი წ ყ ვ ე ტ ს („ამტკიცებს“) ქვეყნის ბედს. გასაჭირისას მეფე იწვევს მას და ისიც ბჭობს... (3/29, 36).

„დაბით მას ჟამსა იყო ჰასაკით ივ წლისა, ხოლო ქორანიკონი ტთ. ამას მარტოდ შობილსა გიორგისაგან თვთ მამამან დაადგა გვირგვინი, მეფობისა უჭეშმარიტესი“ (მდ. 287).

აქედან არა ჩანს გიორგიმ დაადგა დავითს გვირგვინი, თუ „თვთ მამამან“ ნიშნავს ღმერთს. თუ გიორგი იგულისხმება, მაშინ წინადადების უცნაურობის გარდა („მარტოდ შობილსა გიორგისაგან თვთ მამამან“ და სხვ.) გაუგებარია, როგორ დაადგა მამამ გვირგვინი მეფობისა უ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ს ი. ასეთი მხოლოდ ზეციერ მამას შეეძლო... მაგრამ როგორღა გამოთქვა ავტორმა ღმერთი ასე მარტივად: „თვთ მამამან“?...

ან კიდევ ასე უნდა გავიგოთ: თვთ მამამან (ე. ი. გიორგიმ) დაადგა გვირგვინი უჭეშმარიტესი, მეფობის გვირგვინი (ასე უნდა იყოს...) (3/17, 78).

სულთანი მალიქშა მოკვდა (1092 წ.) და ლ ი ბ ა ნ ი ტ ა მ ი რ ა მ ი წ ყ ო რ გ ულ ო ბ ა მ ე ფ ი ს ა. ერთობ დაპირისპირებული იყო მეფისა და ამ დიდი აზნაურის ინტერესები... მისთვის თურქების ბატონობაც კი უფრო მისაღები იყო. აფხაზთ მეფე ადრე თუ გვიან მას ქართლში პირველობას ჩამოართმევდა, რაც მხოლოდ ამ

გზით იყო შესაძლებელი, თუ მეფე მას თრიალეთს და კლდეკარს ჩამოართმევდა. თურქები კი ხარაჯითაც დაკმაყოფილდებოდნენ, რაც შეიძლება ამ დიდგვარიანის სოციალურად გაძლიერების წყაროდაც კი შექმნილიყო. თუ ლიპარიტს პაპისათვის ბერძენთ ხელისუფლება უფრო მისაღები ჩანდა, ვიდრე ბაგრატ IV, ისე ახლაც ლიპარიტ ივანეს ძე თურქებს ამჯობინებდა დავით გიორგის ძეს.

საინტერესოა, როგორ შეძლო დავითმა აგრე გადაჭრილი მოქმედება ამ ძლიერი ფეოდალის მიმართ. საფიქრებელია, რომ ქართლის დიდებულთა უმრავლესობა მეფის მხარეს იდგა ამ საქმეში და ეს არა იმიტომ, რომ მათ თავისი სოციალურ-წოდებრივი ინტერესები დაავიწყდათ, არამედ იმიტომ, რომ თურქები ერთობ მიუღებელი ჩანდნენ და დავითი თურქების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი — მისაღები და მხარის დასაჭერი. სულ სხვა შეიძლება ყოფილიყო, რომ გარეშე ძალა თურქები კი არა, ბერძნები ყოფილიყვნენ ($^{3}/_{17}$, 78).

რანთა და კახთა მეფე აღსართან შეიპყრეს ჰერეთის დიდებულებმა და „მოსცეს მეფესა და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი და ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი... მცირედითა ლაშქრითა და განწირულთა ერითა დაჴოცნა სულტნისა იგი სპანი ურიცხუნი: ათაბაგი განძასა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი მტერთავე თანა გარე მოდგომილი ჩუენთანა... ჴელთ უსხნა ღმერთმან“ (მდ. 292).

ჰერეთ-კახეთი სულთნის ვასალური ქვეყანა იყო და განძის ათაბაგის საგამგეოში შედიოდა. საინტერესოა, რომ კახთა და ჰერთა „უმრავლესობა“ (იგულისხმება ფეოდალური უმრავლესობა) თურქების მომხრენი არიან. უნდა ვიფიქროთ, თურქული რეჟიმი (რაც ამავე დროს იყო ორიენტაცია განძაზე) უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ ჰერ-კახ დიდებულებსა და აზნაურთ, ვიდრე აფხაზთა მეფის „უკანონო მადაალძრულობა“ ($^{2}/_{17}$, 80).

დავითის ისტორიკოსმა კახეთ-ჰერეთის საქმე მაინც უკეთ იცის. მეფის იქაური საქმიანობაც უფრო აინტერესებს (როგორი იყო კვირიკე, როგორი იყო აღსართან, ვინ შეიპყრა აღსართან, ვის ემხრობოდნენ კახელები ერწუხის ომისას, ვინ იყვნენ გიშის პატრონნი, მეფე ღანუხს, ვინ დატოვა მეფემ შირვანის მმართველად, რომ სიმონი, როცა შირვანს მმართველი იყო, ბედიელ-ალაევერდელი იყო)...

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ დავითის ისტორიკოსი კახელია.

ის გარემოება, რომ ეს ავტორი ამდენს მოგვითხრობს (მისი ლაკონურობისას) დავითის ბიერ საეკლესიო წიგნების კითხვაზე, მოწმობდეს უნდა, რომ ის საეკლესიო პირია...

შეიძლება ეს ისტორიკოსი ჰერიც კი იყოს.

დიდი ომი დავით ალმაშენებელმა ამიერკავკასიიდან თურქთა განსადევნად რამდენიმე ეტაპად აწარმოა.

1. შიდა ქართლის გაწმენდა თურქთაგან და მეფის სადგომის გადმოტანა ქუთაის-წაღლისთავიდან ნ ა ჭ ა რ მ ა გ ე ვ-გ ო რ შ ი.

2. ბრძოლა საქართველოდან თურქების განსადევნად სომხითრუსთავისათვის).

3. ბრძოლა თურქთა განსადევნად ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთისა და შარვანისათვის).

ყველა ამ ომში დავითი ხალხის, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის სურვილს ემყარებოდა, ადგილობრივი მოსახლეობის (ფეოდალები ხშირად მისი წინააღმდეგნი იყვნენ) უაღრესი მხარის დაჭერით სარგებლობდა.

დ ა ვ ი თ ს ს ა კ უ თ რ ი ვ მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ე ბ ი თ დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ა რ შ ე უ ტ ე ვ ი ა.

„ეგულებოდა“ კი გენერალურ ბრძოლაზე გადასელა. ასეთი რამ თამარის დროს წამოიწყეს, მაგრამ განსხვავებულ ფორმებში... (წ. ან. 220, ფ. 25).

გიორგი ჭყონდიდელთან შეკრბეს მისივე დისწული თეოდორე, აბულეთ და ივანე ორბელი და „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“ (მდ. 294).

ეს თეოდორე ლიხთიმერელია. ის მოხელეა და მთელი მისი კეთილდღეობაც მეფის წარმატებებზეა დამოკიდებული. მისი ერთგულება ამიტომ უეჭველია. ამავე დროს ის გიორგი ჭყონდიდლის დისწულია. ივანე ორბელი, უნდა ვიფიქროთ, დედის ხაზით ენათესავება ორბელთა (ლიპარიტიანთა) სახლს. ისიც მცირე ჩანს და მისი განდიდებაც სომხით-სომხეთის დაპყრობასთან არის დაკავშირებული (ᴱ/₁₇, 81).

დავითმა „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე და სიმჯნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა სიფიცხე მიმართებისა ადვილად დ ა ს ა მ ჭ ი რ ვ ე ბ ლ ო ბ ა და ყოვლითურთ მ ო მ ზ ა ვ ებ ლ ო ბ ა ნ ე ბ ი ს ა თ ჯ ს ი ს ა“... (მდ. 300).

რიდესაც დავითი მეუღლეს, ყივჩაყთა მთავრის ქალს, ირთავდა, უს, უდავოა, ამ ორი ქვეყნის ახლო ურთიერთობას და ძლიერ პოლიტიკურ ინტერესებს გულისხმობდა... საერთოდ ქართველი მეფეები ხშირად ენათესავებოდნენ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების მეფე-მთავრებს, რაც, რა თქმა უნდა, სათანადო ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობას ემყარებოდა... ბაგრატ IV-ის მეუღლე „ოვსთა" მეფის ქალი იყო, ბაგრატ III-ის მეორე ცოლიც ქალდანვე იყო. უკვე ბაგრატ IV სარგებლობდა დაქირავებული ოვსთა ჯარით... ოვსთა მეფის ქალი იყო აგრეთვე გიორგი III-ის მეუღლე, ხოლო თამარის პირველი ქმარი — გიორგი რუსი, მეორე — ოესი დავითი. ყველა ეს საკმაო მოწმობაა იმისა, თუ რაოდენი ძლიერი იყო საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები წინა კავკასიასა და ჩრდილოეთში... და ეს არც გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის რომ დამყარდა VIII—IX ს-დან (რაის უტყუარი ნიშნებია სამხრეთის ფეოდალის ვანძები ჩრდილოეთში და არაბ ვაჭარ-მოგზაურთა წერილობითი მოწმობები), არასდროს არ შეწყვეტილა; მეორე, ჩვენ ვიცით, თუ რა დახმარება გაუწიეს ხაზარებმა ლეონ აფხაზთ მეფეს ბერძენთა ყმობიდან განთავისუფლების საქმეში... საერთოდ, ცხადად ირკვევა, რომ საქართველო მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთისკენ კი არ იცქირებოდა და მისი პოლიტიკა და ეკონომიკა მარტო ამ ქვეყნებთან ურთიერთობით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ ის ძლიერ მოხერხებულად სარგებლობდა თავისი მეზობლობით ჩრდილოეთის ქვეყნებთან და, როცა ეს შესაძლებელი იყო, მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში ებმებოდა მათთან და სამხრეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ საწონასწოროდ იყენებდა... დავითმა, რა თქმა უნდა, კეთილად იცოდა ყივჩაყთ სიქველენი, მაგრამ ისტორიკოსის მიერ ხაზგასმა მათი „ადვილად დასამჭირველობისა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა" დაპირდაპირებაა ქართველთა შესახებ ყრუდ გამოთქმული, რომ „...არა კმა იყუნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთომითა და წადიერებითა სულისა თვისათა"... და ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მან დაქირავებული ჯარის ყოლა გადაწყვიტა და არჩევანიც ყივჩაყებზე შეაჩერა...

დავითმა ეს საქმე დიდებულთ არ ჰკითხა. ეს ბუნებრივია... ის ამით უაღრესად ანტიდიდებულ-დიდგვარიანთ საქმეს იწყებდა...

რომ ეკითხა, ვინ დაუდასტურებდა...? რომ მათი მოყვანის მიზეზი მარტო ქართველთ სიმცირე ყოფილიყო, მაშინ კიდეც ჰკითხავდა და დასტურსაც მიიღებდა, მაგრამ სწორედ ის, რომ არ ჰკითხა, მოწმობს იმას, თუ რა მიზნებს ისახავდა ჯარის ეს გადმოყვანა და როგორ ესმოდათ ეს ფეოდალებს: დავითმა ამ ზომას მიმართა მას შემდეგ, რაც არაერთგზისი განდგომა-ღალატი იწვნია დიდგვარიანთაგან (2/17, 83).

სწორედ ეს ადვილად დამჭირველობა და „ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა“, რაც თურმე „ყივჩაყთ ნათესავს“ ახასიათებდა, აგრე აკლდა ქართველთა ნათესავს, რომელიც „ორბუნებაჲ არს“. ამიტომაც იყო, რომ დავითის არჩევანი სწორედ ყივჩაყებზე გაჩერდა (3/29, 77).

დავითმა ყივჩაყნი გადმოასახლა. ყივჩაყნი ამის შემდეგაც მოჰყავთ. თამარის დროს ისინი მოდიან ს ა მ ს ა ხ ი ო ბ ა ს. დაქირავებულნი არიან. საინტერესო მოვლენაა! საქართველო ამ დროს უკვე დიდი ქვეყანაა. ხალხის სიჭარბესაც კი განიცდის. გარშემო მტრებიც ასე ძლიერი არა ჰყავს, რომ მათი გამკლავება არ შეეძლოს. მიუხედავად ამისა, მეფეს ჰყავს როქის სპა. თუ გავითვალისწინებთ იმ საშინაო ბრძოლებს სოციალური ხასიათისას, მაშინ გასაგები გახდება ამ ჯარის დაქირავების აზრიც... უამათოდ მეფის ხელისუფლება გაძლიერებულ დიდგვარიანთა სათამაშო საგნად გარდაიქცეოდა... (2/17, 41).

ყივჩაყების მოწვევის ერთ-ერთი მიზეზი უეჭველად იყო ის, რასაც ისტორიკოსი ასახელებს. ქართველთა სიმცირე ახალი ადგილების დაჭერისა და მუდმივი მოლაშქრეობისათვის...

მაგრამ შეიძლება მ კ ე დ რ ა დ გამოსვლა არ შეეძლოთ ეკონომიური სივიწროვის გამო ან კიდევ იმიტომ, რომ გლეხობა მკედრად არ გამოდიოდა და ომს კი სწორად მკედარი წყვეტდა? ან კიდევ შეიძლება დავითს არ შეეძლო გამოეყვანა ყველა მკედრობის მოვალე? ყოველ შემთხვევაში, შედეგი ერთი იყო! მეფის პოლიტიკას ცოცხალი ძალა აკლდა. ამას საქართველოს სიმცირით ხსნიდნენ. დავითმა ეს საკითხი გადაჭრა: ახალი ძალა მოიყვანა.

ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს „მეორე მიზეზს“ — „ნათესაჲთ ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თჳსთა უფალთა“ (3/29, 83).

დავითის გარკვეულ ზომებს სამეწათმფლობელო სისტემაში — ე. წ. „სამკედრო მამულების“ შექმნას, უნდა ვიფიქროთ, დიდად შეუწყო ხელი ყივჩაყთ ჩამოსახლებამ. მათი დასახლება სწორედ ამ პრინციპით შესაძლებელია მომხდარიყო და უნდა მომხდარიყო კიდეც.

თავისთავად ფეოდალური მფლობელობა სწორედ ასეთი მფლობელობაა. პ ა ტ რ ო ნ უ მ ო ბ ა ც ე ს ა რ ი ს. საბეგრო მფლობელობა კი ეს არის ს ა ბ ა ტ ო ნ უ მ ო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა, მაგრამ ფეოდალების მისწრაფება იქითკენაა, რომ მოაცილონ მიწას ეს პირობითობა, გაათავისუფლონ ის სამხედრო მოვალეობისაგან.

დავითმა შეძლო ყივჩაყების საშუალებით გამოეცოცხლებინა წესი სამხედრო მფლობელობათა (3/29, 79).

„ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი (რომელიც— ნ. ბ.) თავადგა სიყრმითგანთა პ ა ტ რ ო ნ ი ს მსახურებათა“... (მდ. 301).

პ ა ტ რ ო ნ ი აქ „მეფეს“ ნიშნავს, მაგრამ ეს კიდევ არ ათავისუფლებს ჭყონდიდელ ბერს უ მ ო ბ ი ს ა გ ა ნ. და ეს იმიტომ, რომ ჭყონდიდელში ერთობ ბევრია საერო ელემენტი. ჯერ ერთი, იგი მამაა მეფის, მისი აღმზრდელია, მეორეც ისა, რომ ის პირველი (ან უკეთ ერთადერთი) ვაზირია და ყოველ საერო საქმეში მიუწვდება ხელი. მხოლოდ ესაა, რომ ჭყონდიდელს საპატიო ქონება არა აქვს, მწიგნობართუხუცესობისათვის თუ მარტვილის სამწყსო არ განვიხილეთ ასეთად (3/26, 426).

ოვსეთს ყოფნისას მოკვდა გიორგი ჭყონდიდელი — ეს ბრძენი და ყოვლად მისანდო მოხელე. ის გამზრდელი იყო „პატრონთა“ და სიყრმითგან პატრონის მსახურებასა თავს ადგა... იგი ა თ ა ბ ა გ ს ჰვადა, მაგრამ დავითის ახლოს „ათაბაგი“ ვერ იბოგინებდა და ისიც მხოლოდ მწიგნობართუხუცესი დარჩა...

თუ რა შეძლების უნდა ყოფილიყო დავითი, სანამ ის ნარბევით გამდიდრდებოდა, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ შეძლო 45 000 მხედრის საჭურველის, ცხენებისა და პირველ ხანებში ჯამაგირის მიცემა...

საინტერესოა, რომ მან მ ო ნ ა ს პ ა მხოლოდ ხუთი ათასი აიყვანა. ის უეჭველია, როჭის სპა იყო, პრივილეგირებულიც... ყივჩაყთ სამხედრო მოსახლეობა უეჭველია მეფის დომენზე უნდა ყოფილიყო ქართლში, ასეთი მხოლოდ ტანას ხეობა თუ იყო (2/17, 84).

თურქები ჩამოდგეს პირსა მტკურისასა „გარნა მომჯელოვანებულსა არა სცოდნოდა არცა დამხრწეველთაგანი რა იმჭირვიდა, წარმოვიდა მსწრაფლ“ (ბდ. 305).

დავითს ამიერიდან მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მოპოვებული, ერთგულ ჯარზე დაყრდნობილი ის თავის ნებისდა მიხედვით შეიწყალებს წ ყ ა ლ ო ბ ი ს ღ ი რ ს თ, ხოლო შემცოდეთ სწვართავს. დ ა მ ა ხ რ წ ე ვ ე ლ ნ ი ვეღარ ბედავენ ურჩიონ ბრძოლის შეწყვეტა. ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატ III-ც კი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ფეოდალების სურვილისათვის, რომლებიც შორეული ომებისა და დ ა პ ყ რ ო ბ ა თ ა მოტრფიალენი არ იყვნენ მათ უფრო ემარჯვებოდათ ახლომახლო რბევა. მათი მეურნეობა სრულიად არ მოითხოვდა ძირეული ქვეყანა-ქალაქების დაპყრობა-მართვას. ასეთი რამ მხოლოდ ცენტრალისტურ ხელისუფლებას ეხერხება და შეუძლია. ფეოდალების შემწეობით რონც აიღოს მეფემ ქვეყანა, მისი დამჭირველი მაინც არვინ იქნება... აფხაზ ფეოდალს სრულიად არ აინტერესებს, სანამ ის ნამდვილად აფხაზი ფეოდალია, შარვანის რომელიმე ქალაქის გამგებლობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრი ხდება ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურულ საწყისთა წყარო, მას შემდეგ, რაც ფეოდალი მოხელე ხდება, ამის შემდეგ შესაძლებელია ქალაქების შემოერთება, მათი დამჭირვა. დავითიც, გათავისუფლებული ფეოდალთა დამოკიდებულებისაგან, იწყებს შორეული ქვეყნების შემოერთებას (3/77, 85).

დავითი არ უსვენებს თურქმანთ: მტკვრის პირს ხუნანს თუ ბარდავს ზამთარს თუ გაზაფხულ გამუდმებით არბევდა... „ამათ ესე ვითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვ ა ჭ ა რ ნ ი გ ა ნ ძ ა ტ ფ ი ლ ე ლ დ მ ა ნ ე ლ ნ ი წარვიდოდეს სულტნისა წინაშე“. იჩივლეს თავიანთი უბედურება და სულტანმა კოალიცია მოაწყო და წარმოაელინაო (ბდ. 306).

საინტერესოა ამ ვ ა ჭ ა რ თ ა ქცევა. ჩანს: თბილისს, დმანისს და განძას ვ ა ჭ რ ე ბ ი მ უ ს ლ ი მ ა ნ ე ბ ი ყ ო ფ ი ლ ა ნ. თურქი სელჯუკები, მომთაბარე თურქმანები მათთვის უფრო მისაღები ყოფილან, ვიდრე აფხაზთ მეფე, თურქმანებს რომ ვაჭრობა ჰქონდათ ამ ქალაქებთან ზამთრობით, ეს ზემოთ იყო მოხსენიებული, ოთხფეხი: ცხვარი, ხარი, ზროხა, ცხენი; მატყლი. ტყავები, ყველი; მონები — აი, თურქმანი მეჯოგეების სავაჭრო საქონელი. როგორც ჩანს, დავითის მიწყივ ლაშქრობამ გზები საფიფათო გახადა: — მან

ლორე (ე. ი. განძა-ანისის გზა და თბილის-ანისის, თბილის-თავრიზის გზების კვანძი), სომხითი (ე. ი. თბილის-დმანისის, განძა-დმანისის გზები) დაიპირა და მომცრო ქვეყნების (როგორიც იყო თბილისი, დმანისი, განძა) ვაჭრები, რა თქმა უნდა, შეეწროებული იქნებოდნენ. საინტერესოა ამავე დროს ამ ვაჭართა ა ქ ტ ი ვ ო ბ ა და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ო ს ნ ო ბ ა. აღსანიშნავია აგრეთვე მნიშვნელობა მათი თაოსნობისა, რის შედეგად ეს დიდი კოალიცია მოეწყო. ეს უეჭველს ყოფს ამ ვ ა ჭ ა რ თ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ი დ ი დ ე ს და მნიშვნელობას პოლიტიკურ მესაჭეთათვის. ჩვენ ვიცით საერთოდ ვ ა ჭ ა რ თ ა დ ი დ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ამ ხანებში. მონღოლთა და ხორეზმის შეტაკების უშუალო მიზეზი, როგორც ცნობილია, ოტრარის კატასტროფა იყო. სხვა შემთხვევებიც არის ცნობილი, როცა ვაჭრები და ვაჭრობის ინტერესები გამხდარა ომის მიზეზი ამა თუ იმ ქვეყნებს შორის. ჩვენი მაგალითი ამ მხრით ერთი საუკეთესო საბუთთაგანია ამისი. აქვე ფრიად საინტერესოა ვ ა ჭ ა რ თ ა ე ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ნ ა ბ ი ჯ ი. განძელი ვაჭრები, მაგალითად, მოქმედებენ არა ათაბაგის საშუალებით, არამედ თვით მიდიან სულთანთან... ასევე ტფილელ-დმანელნიც. ცხადია, სულთანი დაინტერესებულია ამ ვაჭართა კეთილდღეობით, რომ ასე მხურვალედ გამოეხმაურა მათ სურვილს (²/₁₇, 86).

დიდგორის ბრძოლის შედეგად: „...სპანი ჩვენნი და უფროსად ყოველი სამეფო... აღივსო ო ქ რ ო თ ა და ვ ე ც ხ ლ ი თ ა, ა რ ა ბ უ ლ ი თ ა ც ხ ე ნ ე ბ ი თ ა, ა ს ურ უ ლ ი თ ა ჯ ო რ ე ბ ი თ ა, კ ა რ ვ ე ბ ი თ ა და ს რ ა ფ ა რ დ ა გ ე ბ ი თ ა და სხვა უცხოთა ჭურჭლითა ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ი თ ა თვითო სახეთა ქოსთა და ფილაკავანთა, სასმურითა ტურფითა და სანადიმოთა, საბანელთა და სამზარეულოთათა რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად და რამეთუ გ ლ ე ხ თ ა ი ხ ი ლ ე მ ც ა ო დ ე ს ა რ ა ბ თ ა მ ე ფ ე ნ ი მ ო ჰ ყ უ ა ნ დ ე ს ტ ყ უ ე დ და ს ხ უ ა თ ა ვ ო ლ ი ა ნ თ ა თ ა თ ვ ი ს რ ა დ ღ ა მ ც ა გ ვ ი ნ დ ო დ ა თ ქ მ ა დ“ (ზდ. 307).

ალაფის სახე: ოქრო, ვერცხლი, ცხენები, ჯორები, კარვები, ჭურჭელი საომარი, სასმური-სანადიმო, საბანელი, სამზარეულო. საინტერესოა გ ლ ე ხ ი თ ა ზაზგასმა, როგორც უდაბლესთა. აქედან ცხადია, გლეხი მეომართა რიგებში არის, მაგრამ ის

ძცირე მეომარია და ეს იმიტომ, რომ მისი შეიარაღება, უნდა ვიფიქროთ, მსუბუქია. თუ ეს არა, რა იყო გასაკვირალი, რომ მეომარ გლეხს მეომარი „მეფე" ტყეედ მოეყვანა. აქ გლეხი დაპირისპირებულია არა მეფესთან მხოლოდ, არამედ „გოლიათებთან", ე. ი. მძიმედ აღჭურვილ მხედრებთან, რომელთა მიერ ნეფეთა დატყვევება ომში ბუნებრივი იყო და არასაკვირველი. უეჭველია, ამას გარდა, რომ გლეხებში აქ „მსახურები" (შემდეგი დროისა) ან თავისუფალი მიწისმოქმედი არ იგულისხმებიან: ჯერ კიდევ XIV ს-ში ისინი აზნაურულად ახლავან პატრონს, ისინი ქოთლოსან-კარეოსნები არიან (და რამდენადაც არ არიან, ე. ი. რამდენადაც ამას ვერ შეიძლებენ, იმდენად მათი სისხლი მცირდება, მაგრამ გლეხის სისხლზე მაინც ორნახევარჯერ მეტად ფასობს). აქედან ცხადდება: გლეხი XII ს-ის დასაწყისს ეწოდება გარკვეულ კლასს, დაბეგრილს, სოციალურ კიბურზე უდაბლესს, ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, მიწაზე მიმაგრებულს (?), ომში გამავალს მსუბუქი იარაღით, გლეხთა კატეგორიაში არ შედის არც თავისუფალნი (წურილი ერი), არც ყმები (კაი ყმები); არც „მონები" შედიან გლეხთა კატეგორიაში, მონა ამ დროს ეწოდება განსაკუთრებით მეომართა დაქირავებულ წრეს, მეფის გვარდიას. ეს „მონები" დიდ ძალას წარმოადგენენ და ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი არიან არისტოკრატიასთან ბრძოლაში. მონათაგან ხშირად და ჩქარა ხდება დაწინაურება და ბიუროკრატიულ კიბურზე აცოცება. საინტერესოა, რომ ვეფხისტყაოსანში მონა ყმის მნიშვნელობითაც არის ნახმარი... ეს ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო არა მარტო ჩვენი ცხოვრების. ის ყველგან ჩნდება საშუალო საუკუნეებში, სადაც კი ცენტრალური ხელისუფლება კონფლიქტში ვარდება სენიორალურ არისტოკრატიასთან. სახალიფოს ისტორია, სასულთნოების ისტორია და სხვა სავსეა ამ მაგალითებით. რა თქმა უნდა, ამ მონებს არაფერი აქვთ საერთო ძველ კლასიკურ მონებთან, რომელთა ნაშთები თუ სოციალურად არა, გენეტიკურად გლეხებში შეიძლება იყოს საძიებელი... (ცოტა სხვა იყო დასავლეთ ევროპის დაქირავებული ლაშქარი) (²/₁₇, 87).

დიდგორის ბრძოლის ნეორე წელს „აღო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა ოთხას წელ ქონებული სპარსთა და დაუმკვდრა შვლთა თვსთა საჭურველიდ სახლად თვსად საუკუნოდ" (ქდ. 308).

ალი და არავის უბოძა. დავითის ტაქტიკა: ის ცოცხალ ძალას ამარცხებს და, როცა ასეთები აღარაა, შემდეგ იღებს სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებს. თბილისს, უეჭველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროს აღმოსავლეთის ვაჭრობისათვის ამიერკავკასიაში. ის ცენტრში იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობისა და როგორც სავაჭრო, ისე სტრატეგიული პუნქტიც იყო. მის გარშემო მდებარე ქალაქები: სამშვილდე, ლორე, რუსთავი, ხუნანი—ესენი თბილისს იცავდნენ. ამათ ლაშქრობის შემდეგ აზრი ჰქონდა თბილისის დაპყრობას და პირუკუ თბილისის დაპყრობა ასრულებდა ამ ქალაქების დაპყრობას. ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედი პოლიტიკოსის პირველი ეტაპი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. დავითის მოქმედებიდან უეჭველად ჩანს ამას გარდა, რომ თბილისის მნიშვნელობა მუსულმან ვაჭართათვის განსაკუთრებული ყოფილა, ამიტომაც ის ყველაზე ბოლოს, ღრმა სტრატეგიგიული შემოვლით იღებს ამ ქალაქს (²/₇₇, 88).

დავითი „მიეიდა თრიალეთს დიდითა განმარჯვებითა და მცირედნი დაყუნა და ლაშქარნი გაიყარა თჳს თჳსად" (თრიალეთი მისი სახლი იყო ლიპარიტიანთაგან ბეითალმანად დარჩენილი). აქ ლაშქრის გაყრა ხომ არ გვაფიქრებინებს ყივჩაყების დასახლების ადგილმდებარეობას? (მდ. 311).

ის ფაქტი, რომ დავითმა დემობილიზაცია გამოაცხადა, უდავოდ ნიშნავს, რომ ყივჩაყთ სადგომი — ადგილ-მაცული საქართველოში აქვთ მიცემული. ის ფაქტი, რომ დემობილიზებული ჯარი საამ დღეში შეაგროვა (60000) გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ყივჩაყები სადმე განაპირას და შორს დასახლებული კი არ არიან, არაფერდ შიგნით. შეიძლება გორის აშენება ამ საქმესთან იყოს დაკავშირებული (²/₁₇, 89).

„ვინ აღრაცხნეს რაოდენი საქმენი ეთხოებიან მეფობასა. რაოდენნი მართებანი, განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვის ცნობანი, მჴედართა განწესებანი, საერონი შიშნი, საკელოთა და საბჭოთა სჯანი, საჴურჭლეთა ნევმოსლვანი მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, შეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, ნსაჯერებულთა ნიჭის მრავლებანი მოჩიკვართა მართალნი გამო-

ძიებანი, მოსაკითხავთა შესატყუენი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი" (მდ. 319).

„განხეთქილებისა კრძალვანი" და „სამეფოსა წუნარებისა ღონენი" — ეს იყო ის, რაც ყველაზე სუსტია ფეოდალურ სახელმწიფოში, რაც ყველაზე თავსატეხია ფეოდალური მეფისათვის. განხეთქილება (ე. ი. სენიორიებად დაყოფა და შემდეგ სრულიად ჩამოცილება) და შფოთი (სენიორიებს შორის ბრძოლა). ეს ბუნებაა ფეოდალური სახელმწიფოსი. ის წარმოშობილია იმავე ნიადაგზე, რაზედაც თვით ფეოდალური სახელმწიფო—მსხვილი მიწის მფლობელობისა, წვრილი წარმოებისა და მეურნეობის ნატურალიზაციის ნიადაგზე. სენიორი ისეთივე პოლიტიკური ძალის მატარებელია, ისეთივე ერთეულია, როგორც ფეოდალური მეფე. მათ შორის მხოლოდ რიცხობრივი სხვაობაა (ზოგჯერ ესეც სენიორის სასარგებლოდ). ხარისხობრივად ისინი არ განსხვავდებიან. ეს, ასე ვთქვათ, იდეალური ფეოდალური სახელმწიფოა (სენიორების თვალსაზრისით). ერთიანობა აქ ნომინალურია (მიწის მეფისადმი კუთვნილების ფიქციაზე დამყარებული). გაერთიანება პიროვნული, მეფის სიძლიერე მისი ფეოდის (საკუთარი დომენის) სიდიდეზეა დამოკიდებული; ის სენიორების სათამაშო რამ არის, მათი დასმა-გარდაგდების საგანია. მაგრამ ეს „იდეალია" სენიორებისა. უკიდურესი სახეა ფეოდალური წყობისა მისი დაშლის საზღვარზე მდგარი და ასეთი წყობის არსებობა, მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია ქვეყნის უკიდურეს ჩამორჩენაზე, უკიდურეს კონსერვატიულობაზე სულადი რენტის უცუდესი მხარის მოხმარებით, საგარეო ურთიერთობის მაქსიმალურ შენელებაზე, ვაჭრობის ფრიად სისუსტეზე და საერთო გაველურებაზე, მაგრამ მიუხედავად თავისი შედარებითი მყარობისა (ის ზოგჯერ საუკუნოებით გრძელდება), მიუხედავად თავისი იდეალური წყობისა, „თვით დაკმაყოფილების" მხრით ეს ფორმაც (როგორც ყოველი სხვა) ავითარებს თავის შიგნით თავისივე მომსპობ, თავისივე გარდასაქმნელ, თავისივე უარმყოფ დასაწყისებს. ეს დასაწყისები მას ჩამოყალიბებისთანავე დაჰყვებიან და ეს „თანდაყოლილი ცოდნა" იჩენს თავს ადრე თუ გვიან, როგორც კი საამისო პირობები შემზადდება. იდეალური წყობა სინამდვილემ არ იცის. ეს განყენებაა. სინამდვილეში ის, როგორც არ უნდა უახლოვდებოდეს იდეალურს, მაინც განსხვავდება მისგან. მოთხოვნილებათა ზრდა მაინც არსებობს, თუნდაც მინიმალურად, მაგრამ აღებ-მიცემის საჭიროება მაინც რჩება თუნდაც გეოგრაფიული

სხვაობით გამოწვეული უსაჭიროესი საგნებისა, სენიორებისთვის ფუფუნების საგნების საჭიროება მაინც არის (თუნდაც იმიტომ, რომ ის განსხვავდებოდეს მისივე გლეხისაგან). როგორი კარჩაკეტილიც არ იყოს, მას ურთიერთობა (თუნდაც იშვიათი) მაინც აქვს სხვა ქვეყნებთან. ერთი სენიორი მეორეზე შემძლე მაინც არის და მათ შორის ბრძოლა ხომ მუდმივია (სწორედ ამ ეკონომიკურ ნიადაგზე, თუმცა ფრიად უხეშ და პრიმიტიულ ფორმებში). კლასები ხომ არ შერიგდნენ (მართალია, აბობოქრება არ შეიძლება იყოს, ამას გამაერთიანებელი მომენტი სჭირია, რაც სწორედ არაა), ბრძოლა გრძელდება როგორც კლასთა შორის, ისე კლასთა შიგნით (ყველა ერთი კატეგორიისანი — ეკონომიკურის თუ პოლიტიკურის არ არიან).

ისტორიული ჩიხი ხატოვანი გამოთქმაა ხანგრძლივი კონსერვატიულობისა; სინამდვილეში ჩიხი არ არსებობს, გარდაუვალი და გარდაულახავი ფორმა კაცობრიობის განვითარებამ არ იცის, და „იდეალური“ ფეოდალური წყობაც (სენიორიები) უარყოფს თავის თავს: ის დაიშლება შემადგენელ ნაწილებად ცხოვრების ფორმების უკიდურესი გაპრიმიტივების ნიადაგზე. „გვარები“ თავს წამოჰყოფენ და ძალაში შედიან, ხორცს ისხამს ძველისძველი პოლიტიკური ფორმები, რა თქმა უნდა, ფრიად განსხვავებული, მაგრამ თავისებური აღდგენა ხდება გვარებისა... ხოლო ისეთ ქვეყნებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა ვერ არის ჯერ ფესვგამდგარი, სადაც მას თემი ჯერ კიდევ ვერ დაუშლია, სადაც ფეოდალი „ხორცმეტივით“ აზის თემს, ცხოვრების ასეთი გაპრიმიტივებისას ფეოდალ თავიდან იცილებენ, ხდება „რევოლუცია“ და თემი იბრუნებს თავისუფლებას. მეორე გამოსავალი ის არის, რომ დაშლადი ფეოდალური ორგანიზმი ვერ უძლებს მცირე საგარეო შეხლასაც კი და ის მოსული ძალის მსხვერპლი ხდება, ძალის, რომელიც უცილობლად უფრო მაღალი ფორმების განვითარების უნარმქონია, ეიდრე დაპყრობილი (თუ ეს არა, ისიც ასევე უნდა გადაგვარდეს ან სხვისი დაპყრობის ობიექტი გახდეს). საინტერესოა, რომ გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ი ს ა კ რ ძ ა ლ ვ ა ნ ი განსაკუთრებით აქვს აღნიშნული ისტორიკოსს. ასევე განსაკუთრებული ყურადღების საგანია ის თამარის ისტორიკოსისათვისაც. ჩანს, ეს საკითხი ფრიად მწვავედ იდგა მთელი XII—XIII საუკუნეების სიგრძეზეც და ეს ბუნებრივიც იყო.

საინტერესოა ეს სამეფოსა დ ა წ ყ ნ ა რ ე ბ ი ს ა ღ ო ნ ე ნ ი. სამწუხაროდ, ავტორი არ აღნიშნავს, თუ ვის შეეხებოდა ეს დაწყნარება — ფეოდალებს თუ გლეხებს (²/₁₇, 92—93).

დავითმაო„...მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მ თ ა ვ ა რ ნ ი მათნი“... (მდ. 319).

მ თ ა ვ ა რ თ დადაბლება გლეხს ქვემოთ აღარ შეიძლება. და ეს ასეცაა. თუ ეს მთავარნი იმავ ქვეყანაში დარჩებოდნენ, სადაც იყვნენ, მაშინ გ ლ ე ხ ზ ე დაბლა აღარავინ იყო. მონაც კი, თუ ის მიწაზე იჯდა, გლეხი იყო.

საინტერესოა, რომ ისტორიკოსი გამოთქვამს: „მრწემად მ ო ი-ყ უ ა ნ ნ ა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი... მტუერად დ ა ს ხ ნ ა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“. და ეს იმიტომ, რომ მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი (ე. ი. ტყვექმნილი, მიწას მოშორებული) შეიძლება მ ო ნ ა ყოფილიყო (თუნდაც ნაჴელმწიფარი), ხოლო დ ა ს მ უ ლ ი, ე. ი. მიწაზე დაჯენილი—უდაბლესი (შეიძლება მხოლოდ გ ლ ე-ხ ი ყოფილიყო) (3/53, 307).

დავითმაო... „სურტანი დასუა მოხარკედ თჳსად, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი, დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყუანნა მეფენი, ხოლო მ ო ნ ა დ ჴ ე ლ მ-წ ი ფ ე ნ ი, მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“... (მდ. 319).

„მ ო ნ ა“ ა ქ ა ც გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა გ ლ ე ხ ი ს ა გ ა ნ“. პირველი იმავ აზრით იხმარება, რაც ზემოთ, ე. ი. მონა მხედრის აზრით, როგორც ეს მართლაც იხმარებოდა მაშინ საქართველოში, გ ლ ე ხ ი კი სრულიად განსხვავებულია აქედან.

საყურადღებოა გამოთქმა: „ხოლო მონად (მ ო ი ყ უ ა ნ ნ ა) ჴელმწიფენი“ და „ხოლო გლეხად (დასხნა) მთავარნი მათნი“. თითქოს აქ სიტყვებში „მოიყუანნა“ და „დასხნა“ ავტორი ამჟღავნებს გლეხების სპეციფიკურ თვისებას, ე. ი. რომ ისინი ს ხ ე დ ა ნ (მიწაზე). ხოლო მონები შეგიძლიათ მოიყვანოთ, გყავდეთ. მათი სპეციფიკა მეომრობა-სამსახურია და არა სხდომა...

დავითის „ვითარც ღ˜თი მართალ სჯიდა საწყსოთა თჳსთა თუალ უხუავითა მით ბჭობითა თჳსითა და არა სადეთ მიდრკებოდა წამი სასწორისა“.

დავითის „მართლმსაჯულება“ აუცილებელი შედეგი იყო მისი საშინაო პოლიტიკისა. სამართალიც ამიერიდან დამცველი უნდა ყოფილიყო იმ წრეებისა, რომელთაც ის გააჴელმწიფეს. ფეოდალების

მძლავრობას აქაც აღვირი უნდა ამოსდებოდა... რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ შეიძლება იყოს სამართლის სამართლიანობაზე გლეხთა მიმართ (²/₁₇, 94).

დავითმა დიდი ქველმოქმედება გაიღო ყველა შინაერ თუ უცხოურ მონასტერზე, სინას მთაზე „აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეულნი და მოსაკიდელნი ოქსინიონი და წიგნები საეკლესიო...“ (მდ. 321).

დავითს საქველმოქმედოდ ჰქონდა „კისაკი მცირე, რომელსა აღავსებდის დრაჰკნითა“ და არიგებდა გლახაკებზეო. „...და ამას ექმოდის არათუ ჭელოსანთა მორთმეულისაგან ანუ საჭურჭლით, არამედ ჭელთა თჳსთა ნადირებულითა, რომელთაგანნი ოდესმე თჳსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა დრაჰკანი ვითარ იცოდა ხუთ ათასეული, რათა განუყოს გლახაკთა და ესეცა მცირედი მრავლისაგან გუითქუამს. ხოლო განათავისუფლნა არა მარტო მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან. არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ბეგრისა და ჭირისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“... (მდ. 321—22).

[დრაჰკანის სიმრავლე. მოსაკარგავე — მოხელეა, ის მაჭირვებელია, ბეგრისა და ჭირის ამთველ-ამკრეფია. საინტერესოა, რომ ხუცესნი ბეგარას და ჭირს ქვეშ არიან. ჩვენ ვიცით, რომ XI ს-ში გიორგის საქართველოში მოსელისას (1060—1065 წწ.) ხუცესი დაბეგრილი არ შეიძლება ყოფილიყო. ის თავისუფალი უნდა ყოფილიყო ან ახნაური. დავითის დროს დაბეგრილი ხუცესი ჩვეულებრივი ჩანს...].

პროვინციაში ზის მოსაკარგავე მაჭირვებელი. მის ხელშია საკარგავი: ბეგარა, გადასახადი, ჯარი. აღზევებისას, რა თქმა უნდა, მას სურვილები უჩნდება დამოუკიდებლობისა (²/₁₇, 96).

დავითის დროსო „მონასტერნი და საებისკოპოსო და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისა ყოვლისა გონებისა საეკლესიო (var.) და ყოველსა საეკლესიოსა განგებსა დარბაზის კარით ჰიოლებდიან ვითარცა კანონსა უცთომელსა და ყოვლად შეუნიერსა და დაწყობილსა კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“ (მდ. 321).

აქ დარბაზის კარი ნიშნავს სამეფო კარს, „ჭელმწიფის კარს“, რომელშიაც, რა თქმა უნდა, მარტო მეფე არ იგუ-

ლისხმება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უეჭველად იგულისხმება ჭყონდიდელი, რომელიც, მაშასადამე, „დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი ა“. და,-ვითს, უეჭველია, ეყოლებოდა სხვა„დარბაისელნიც“, მაგრამ, როგორც უდიდესი მათ შორის, ჭყონდიდელი, ესენიც მოხელენი იქნებოდნენ მისი და არა ნახევრად დამოუკიდებელი სენიორები, როგორც ეს დარბაისელნი გახდნენ XIII ს-იდან... დარბაზი, დარბაზობა, დარბაისელნიც აქამდეც, რა თქმა უნდა, არსებობდნენ. ეს იყო მეფის „კარი“ და ამ კარში მოთათბირე დიდებულნი, როცა მათ მეფე სათათბიროდ მოუწოდებდა ხოლმე. დარბაზის მნიშვნელობა მეტი თუ ნაკლები იყო იმის მიხედვით, თუ ვინ, რა პირობებში და როდის მეფობდა... დავითის დროს მას, რა თქმა უნდა, უმცირესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა... არც სამართლის საქმე, არც ომისა და ზავის საკითხები მის ხელთ აღარ იყო. სამართალი (უზენაესი) დავითმა ჭყონდიდელს მიანდო, ხოლო ომისა და ზავის საკითხი თვით ჰქონდა ხელთ და არავის უზიარებდა. ასე რომ დარბაზის არსებობა ნომინალური იყო და, თუ ის მაინც იყო, მისი საქმე მეფის გეგმების უსიტყვო მიღება-დამტკიცება იყო (²/₁₇, 95).

„საეშმაკო სიმღერა“ (დავითის ისტორიკოსი) ეს იყო, უეჭველია, წარმართული დროის ცეკვა და ამ ცეკვის შესაფერი ანუ ამ „სიმღერის“ თუ „მღერის“ შესაფერი გალობა. ხოლო, როცა გვიან ფერხულს აღარ აბამდნენ, ცეკვა გაინდივიდუალურდა, როცა გალობა ცეკვას გამოეყო, ტერმინი ს ი მ ღ ე რ ა შერჩა ხმიერ ნაწილს ძველი მთლიანი პროცესისა (³/₁₉ ბ, 51).

უმაღლესი საკასაციო სასამართლო განსაკუთრებით ქ ვ რ ი ვ ო ბ ო ლ თ ა დ ა მ ი მ ძ ლ ა ვ რ ე ბ უ ლ თ ა ინტერესების დასაცავადაა მოწოდებული. დავითის მიერ ასეთის დაწესება და ისიც უმაღლესი ბიუროკრატის (არაფეოდალის) მოთავეობით ხომ არ გვაგულისხმებინებს ამ მიმძლავრებულთა ვინაობას? ისინი ქვრივნი და ობოლნი არ არიან. მაგრამ ჩანს სუსტნი, ვისიც დაძლევა მძლავრთ მიერ შესაძლებელია... ვინ იყვნენ მძლავრნი და ვინ შეიძლება ყოფილიყო მიმძლავრებული? გლეხებზე აქ ლაპარაკი არაა (გლეხთა იმ კატეგორიაზე, რომელიც მონათაგან არის წარმომდგარი). მაშ მიმძლავრებული დარჩა წვრილი ერი, თავისუფალი მიწისმოქმედი, რომელიც გაცხოველებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის შედეგად, საშეურნეო ინტენსიფიკაციის შედეგად, მიმძლავრებული რჩება მძლავრთა მიერ, დიდი ფეოდალების მიერ.

დავითი იძულებულია ყურად იღოს მიმძღავრებულთ ხმა და დაეხმაროს მათ. ის მოწოდებულია საამისოდ, რადგან ეს საზოგადოებრივი წრე მისი დასაყრდენია... მაგრამ ზომა პალიატიკურია. დავითი ყველაზე უფრო სწორედ დიდგვარიანთ ეხმარება ობიექტურად, წურილი ერის გაჭრობა სწორედ მისი დროიდან უფრო ინტენსიურად წავიდა...

საინტერესოა, რომ ეს ფორმულა, „მიმძღავრებულთ" შეელა, შემდეგ რჩება, მაგრამ ეს უფრო ქრისტიანული ტრაფარეტი უნდა იყოს ($^{3}/_{29}$, 78).

ისტორიკოსი დავითის ქველმოქმედებათაგან იხსენიებს: სნეულთ შებრალებას და „ვინ აღრაცხნეს ტყუენი, რომელნი მან განთავისუფლნეს და რომელნი უკმოიჯსننა თჳსთა ყივჩაყთაგან ფასითა" და მონაზონთ უზრუნველყოფას... (მდ. 323).

ყივჩაყები სამხედრო ტყვეებს ყიდიან. თვით მეფე ყიდულობს მათ. „თავისუფლებს... უეჭველია, ეს ისეთი ტყვეებია, რომელთაც მეფე ან თავის დომენზე დაასახლებს, ან, თუ სახლში — სამშობლოში — დააბრუნებს, ეს იმ შემთხვევაში, თუ ის ქვეყანა შემოერთებული აქვს (როგორც შირვანი, სომხეთი...). დავითი, როგორც ჩანს, არ კმაყოფილდება ყივჩაყთ მოყვანით, ის ბლომად იძენს ტყვეებს. სხვამს მათ სამეფო მიწებზე დანასყიდ უმეტს იჩენს. ისინი ძლიერი მეტოქე იქმნებოდნენ თავისუფალ მიწის მოქმედთა და ამ მხრითაც მეფეს, როგორც ფეოდალს, აძლიერებდნენ! წურილი ერის უფლება — აყრა ასეთი შემთხვევისას საშიში აღარ იყო. პირიქით, სასურველიც იყო, უფრო მორჩილთ დასხამდა მათ ადგილზე... მიწის სიეიწროვე ჩქარა საგრძნობი უნდა ყოფილიყო. ასე რომ, წურილი ერი დიდების წინაშე დადგებოდა: მიწაზე მკვიდრად დაჯდომა და თავისი ნებით წასვლაზე უარის თქმა, თუ არა და თავისუფლად, მაგრამ უმამულოდ ხეტიალი. ის, რა თქმა უნდა, პირველს ირჩევდა... ამრიგად, საგარეო გამარჯვებანი ხდებოდა მიზეზი თავისუფალ მიწის მოქმედთა მიწაზე „თავისი ნებით" მიმაგრებისა... ასეთივე ტყვე ელემენტებისაგან დააარსა მან გორი.

დამაფიქრებელია აქ ტერმინი „უკმოიჯსننა". აქედან, თითქოს, ისიც ჩანს, რომ ეს ტყვეები (ზოგი მაინც) უცხოელნი არ ყოფილან. ასეთები რომ ყოფილიყვნენ, მათი „უკმოჯსნა" არ იქნებოდა აღნიშნული (უკუმოჯსნა=კვლავ დაჯსნა, დაჯსნა იმისი, რაც ერთხელ ჰქონდა დავითს). აქ შეიძლება აგრეთვე სომეხი ქრისტიანებიც იგულის-

ხმებოდნენ (თუმცა დავითის ისტორიკოსი აგრე ლმობიერად ვანწყობილი სომეხთადმი ვერ არის...). ჩანს, ყივჩაყები ატყვევებდნენ გამდგარ დიდგვარიანთა მეომრებს და გლეხებს. დავითი, ართმევდა რა გამდგარ დიდგვარიანთ მამულებს, იქვე ასახლებდა უკმოკუნილ ტყვეებს, უკვე როგორც ნასყიდთ და წარუვალთ...

დავითი რომ მდიდარი არ ყოფილიყო, ყივჩაყები მისი დამლუპველი იქნებოდნენ. ისინი ამ საშინაო ბრძოლებით თვით საქართველოს გაანადგურებდნენ: ტყვეებს შორეულ ბაზარზე გაჰყიდდნენ, ისევე, როგორც ეს ემართებოდათ XVII—XVIII ს-ში ქართველ მეფეებს, ლეკების რაზმებით რომ ებრძოდნენ თავიანთ ფეოდალებს, ან კიდევ ერთიმეორეს. ერეკლე ცდილობს გამოიყიდოს ტყვეები და თანხები არ ჰყოფნის—„შემაძლებიეთო“ ეხვეწება ლეკებს, ან კიდევ უმუხთლებს, — დაეცემა ტყვეებით დატვირთულ თავისსავე ყოფილ მოკავშირე რაზმს ლეკებისას და ტყვეებს დააყრევინებს... (²/₁₇, 97).

„ვინ აღრიცხუნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნიმე უკმოიკუნნა თუისთა ყივჩაყთაგან ფასითა“ (ან, 228).

ეს შეიძლება შეეხებოდეს ქრისტიანებს და. პირველ ყოვლისა, თვით ქართველებს. თუ ეს ასეა, მაშინ დავითი აკანყებულ აზნაურების ყმებს ყივჩაყთაგან დატყვეებულთ ათავისუფლებს ფასით, სახასოდ ხდის მათ.

თუ ეს უცხო ტყვეებია, მაშინ დავითი უცხო ელემენტს — ტყვეებს ასახლებს სახასო მიწებზე და დასაყრდენს იძაგრებს (³/₂₉, 34).

„ვთქუა მეორეცა მიზეზი ამის პირისა ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგან თესთა უფალთა. რამეთუ რაჟამს განმდიდრდენ განსუქნეს მშვიდობა და დიდება პოეონ და განსუენება. იწყებენ განზრახვა ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი შატიანე ქართლისა საქმენი აწ ხილულნი“... და ეს დავითმაო „კეთილად სადამე უწყოდა ამისთჳსცა აროდეს მოიცალა ამისდა განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად ერთად ქმნად რასამე ესევითარსა“ (ად. 323).

ფრიად საინტერესოა საშინაო ბრძოლის შენელების მიზნით საგარეო აგრესიის გაძლიერება. და რომ ეს მართლაც ასეა, ამას მოწ-

მობს თამარის ისტორიკოსიც. მეტად არამყარი უნდა ყოფილიყო შინაგანი მდგომარეობა, მეტად სუსტი უნდა ყოფილიყო შინაგანი სიმტკიცე, რომ მშვიდობიანობა საშიში შექმნილიყო (2/17, 98).

ყივჩაყები ხშირად აპირებენ ღალატს, მეფის მოკვლას. ჩანს, მსტოვრები, მონასპა შეელოდა მეფეს, რომ უშედეგოდ ცდილობდნენ... ასევე დიდგვარიანები, ქართლის ციხეებიდან.

„ვინ იყო ესოდენ მართალ ამწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცისასა". რაკი თვთმპყრობელი იყო, ისტორიკოსის აზრით, პირადი მაღალი თვისებები უნდა ჰქონოდა (და ჰქონდა კიდეეაცო), რომ მაბრალობელთა პირი დაეყო...

ისტორიკოსი შესანიშნავად ხედავს დავითის ტაქტიკას: მაბრალობელნი „ციდამტკაცლურად" იხედებოდნენ: დავითის დიდ საქმეს ვერ ხედავდნენ. ან არ ხედავდნენ, მეფე კი მაბრალობელ მოღალატეებს (ბოროტის წამომწყებთ ან მათ გულუბრყვილო ციდამტკაცლურ მიმდევრებს) არ აცლიდა და დაწყებულ დიდ საქმეს განუხრელად აკეთებდა. საშუალებას არ აძლევდა, რომ თავიანთ ბოროტ ზრახვებს, ამ სამეფო დიდი საქმეების საწინააღმდეგოს, წამოკიდებოდნენ. შესანიშნავია, მეფემ მაბრალობელთ იმით უპასუხა, რომ ისინი საშობლოს ხსნის დიდ საქმეში შეაბა და ეს საქმეო „განასრულნაცა მაღლად და შუენიერად".

მსტოვრების ინსტიტუტის შექმნა. ისტორიკოსის ჩვენებით, თვითმპყრობელი მეფე ამ ინსტიტუტს იყენებს დიდი სახელმწიფო საქმეების წარსამართავად და არა დესპოტის ყინის მოსაკლავად...

ყოველ საქმეში ერევა, უმისოდ არაფერი ხდება. საერო თუ საეკლესიო, სამხედრო თუ სამშვიდობო (წ. ქცა, I, ფ. 115).

„რაოდენ გზის ყივჩაყითა ყოელითა (var. ყივჩაყთა თჳსთა) განიზრახეს ღალატი. განაჩინნეს კაცნი მჯნენი, რომელნიმე ჯრმლითა, რომელნიმე შუბებითა, სხუანი ისრითა და ესენი (var. ესე) ა რ ა ე რ თ, ო რ გ ი ნ ა ს ა მ, ა რ ა მ ე დ მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს და არაოდეს მიეშუა კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა, არცა ოდეს მისცა იგი ჯელთა მეძიებელთა მისთასა" (მდ. 333).

მარტო ყივჩაყები აწყობდნენ შეთქმულებას თუ დიდგვარიანები იბირებდნენ ყივჩაყებს, სულ ერთია, ყივჩაყები შეთქმულებაში მონაწილეობენ და ეს მრავალგზის... ვინლა ჰყავს?

დ ა მ ც ე ვ ლ ი ა ხ ა ს ი დ ა მ ო ნ ა ს პ ა (3/23, 28).

დავით აღმაშენებლზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ მიმართულებით, თუ რამდენად შეუფერებელი იყო სახელმწიფო წყობილების ის ფორმა, რომელიც აქამდე („ბაგრატიონთა სახლში") არსებობდა და ისვითარება (საზოგადოებრივი განვითარების ხაზით), რომელიც ამ დროისათვის საქართველოში შექმნილიყო (ერისთავის ინსტიტუტის, დარბაზის ინსტიტუტის კრიზისი...). ეს კონფლიქტი „გაერთიანების" პარალელურად მწიფდებოდა და XI საუკუნეში (ბაგრატი, გიორგი, ბაგრატი, გიორგი) მწვავე კონფლიქტში გადმოვლინდა... ცხადად ჩანდა, რომ ეს შეუსაბამობა საზოგადოების განვითარებასა და მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას შორის უნდა აღმოფხვრილიყო, რომ ქვეყანას მისი აღმავლობის გზაზე ყველა სიძნელე გადაელახა... ძველი ნახევრად პატრიარქალური, პატრონყმური ბაგრატიონთა სახლის მეთაურობით სრულიად ჩამორჩენილი ჩანდა ახალ ვითარებაში გაერთიანებული ქვეყნის ორგანიზების პირობების უზრუნველყოფა. ის ძალები, რასაც ეს გაერთიანება ემყარებოდა, საამისო ფორმის უზრუნველყოფას მოითხოვდნენ. საჭირო იყო ახალი პოლიტიკური ფორმა: ბატონყმური სახელმწიფო, მემამულეთა (და არა სენიორ-პატრონთა) ორგანიზაცია თვითმპყრობელი მეფით სათავეში. ეს დაიწყო XI ს-ში, დავითი ამის უთვალსაჩინოესი მოღვაწე იყო... გიორგის დროს კრიზისი, თამარის კომპრომისი. ბრძოლა გრძელდებოდა... (წ. ქცა, I, ფ. 77).

აღმოსავლეთის ქალაქთა მნიშვნელობა-გავლენის შესახებ მკვევრმეტყველურად ლაპარაკობს ის ფაქტი,... რომ დიდგორის ომი, სადაც თურქთა მხრით მონაწილეობდნენ სულთანი, არაბთა მეფე და ყოველი თურქმანობა დამასკოთი და ჰალაზით, იყო შედეგი განძატფილელ-დმანელ ვაჭართა ჩივილის და საქმიანობის... (წ. მდ., ფ. 19).

აბსოლუტისტური ტენდენციები დავითით არ დაწყებულა. აფხაზთ მეფეთა პოლიტიკა ამას უწინაც ამყლავნებს: გიორგი, ბაგრატ III, გიორგი I... ($^{3}/_{29}$, 132).

დავითი უფრო ღარიბი იყო, ვიდრე თამარი, მაგრამ ის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თამარი.

საინტერესოც ის რომ თამარი, უფრო მდიდარი, გაცილებით სუსტი იყო დავითზე... (3/29, 126).

ღრმად განათლებული ადამიანი, მეცნიერების მოყვარე, ფართო ჰუმანისტური მსოფლმხედველობის მქონებელი, რელიგიური შეუწყნარებლობის მტერი, პოეზიის დიდი მეგობარი და მფარველი, გელათში აკადემიის დამაარსებელი, ხოლო თბილისში სამეფო კარზე საერო სწავლა-მოძღვრების მეცენატი, ადამიანი უდრეკი ნებისყოფით, უშრეტი ენერგიით, „უძრავი გულით" (ყოვლად უშიშარი), ბრძენი პოლიტიკოსი, ორგულთა და მტერთათვის მკაცრი მიმგებელი, ერთგულთათვის მოყვარე ლმობიერი, — ასეთი იყო ეს დიდი ადამიანი, ფეოდალური საქართველოს ყველაზე დიდი ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ ი. სწორედ ასეთი სახელი უწოდა მას მადლიერმა შთამომავლობამ (ქცა. I, ფ. 51).

ის უხვად იყო დაჯილდოებული იმ პირადი თვისებებით, რაც აუცილებელი იყო ამ რთულ პირობებში ქვეყნის პოლიტიკური მესაჭისათვის. ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ყოველ მხარეს მეფე შეუნელებელი და ნათელი მიზანდასახულობით ეკიდებოდა: სახელმწიფო თუ საეკლესიო წყობილების საკითხები, ლაშქრისა და ლაშქრობის ორგანიზაციის საქმე, ღონისძიებები ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისათვის, სოციალური ურთიერთობისა და სამართლის საკითხები, კულტურული მშენებლობა, — ყველაფერში აქტიურად ერეოდა და ყველაფერს გარკვეულ მიმართულებას აძლევდა (წ. ქცა, I, ფ. 57).

[სუმბატ დავითის ძე]

„ვინაითგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა, ვიდრე ამათადამდე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“ (მდ. 338).

ქვეყანა სპარსელთ დაეპყრა (VI ს.), მცხეთა ათხელდებოდა, თბილისი აშენდებოდა „და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ დავითის ნათესავისაგან მოწევნული ძმათა მისთა თანა ასამს და ეარაზვარდს... და მოსცა ამას მეფეშენ ბერძენთამან პატივად კურატპალატობა“... (მდ. 339).

სუმბატ დავითის ძე აკოწიწებს. ცდილობს ბაგრატიონთა საგვარეულო გადმოცემანი შეუთანხმოს „მოქცევაის“ ცნობებს... ცდილობს დაუკავშიროს ეს ცნობები ბაგრატიონთა გამოჩენას. მაგრამ გაცილებით უფრო გამართულად და დამაჯერებლად გამოიყურება „ნოქცევაის“ და ჯუანშერის ცნობები იმის შესახებ, რომ გუარამ კურაპალატი გორგასლიანია. ისტორიულადაც უფრო დასაჯერებელია, რატომ და როგორ უნდა შეერჩიათ ქართლის აზნაურებს სადღაციდან ვიღაც ლტოლვილები [რა თქმა უნდა, ასე არ იყო და ბაგრატიონები მოსულები კი არა, ჰოროხის ხეობის მკვიდრი ქართველები იყვნენ, რომელთაც გაძლიერების შემდეგ დაასაბუთეს ეს თავისი ჩამომავლობა...].

მნისაღები და საინტერესო ის შეიძლება იყოს, თუ როგორ „გადაუქცეს იერი“ ვეზან (=ბეჟან) სპარსთა ერისთავს (=„სპასალარს“). და დაიპყრეს კამბეჩანი და დასხდნენ ხორნაბუჯს „და ამ ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“ (ე. ი. XI ს-ის 30-იან წლებამდე). ერთი ძმა საჰაკი კი „დაემზახა ბაკურის ძესა ნერსესსა“—ერთი სიტყვით, სუმბატი ცდილობს ბაგრატიონთა

ლეგალიზაციას... აბამს „მოქცევა ქართლისაის“ ცნობებს — გუარამიდან ყველა მეფეს, ისევე როგორც „მოქცევაი“ (ხოლო არჩილი უსათუოდ რეალური ისტორიული პირია) და მოჰყავს ეს სია აშოტამდე, რომლის შესახებ, ჩანს, არსებითი ხასიათის ცნობები გააჩნია ...(6/1, 58).

გ უ ა რ ა მ ე რ ი ს თ ა ვ ი.

„ესე ქართლისა ბაგრატონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი“... (მდ. 338).

„ხოლო ვინაითგან მ ო ა კ ლ დ ა მ ე ფ ო ბ ა შ ვ ი ლ თ ა გ ო რ გ ა ს ლ ი ს ა თ ა მ ი თ ქ ა მ ი თ გ ან ე პ ყ რ ა უ ფ ლ ე ბ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა ა ზ ნ ა ურ თ ა ვ ი დ რ ე ა მ ა თ ა დ ა მ დ ე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“ (იქვე). ამ ტირადას აღარ უდგება „მოქცევაი“-დან ამოღებული ცნობა, რომ „ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ დავითის ნათესავისაგან“... „და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურატპალატობა“...

სუნბატი აკოწინებს. „მოქცევაის“ ცნობებს უთანხმებს ბაგრატიონთა ხაგვარეულო გადმოცემებს...

მ ო ქ ც ე ვ ა ი ბ თ:

ვახტანგ

|

დაჩი უჯარმელი

|

ბაკურ დაჩის ძე

|

ფარსმან

|

ფარსმან სხვაი

|

ბაკურ „და მის ბაკურის ჭეშე დაესრულა ნეფობაი ქართლისად“

„ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად
გუარამ“
|
სტეფანოზ
|
ადარნესე
|
სტეფანოზ [აგარიანები გამო-
ჩნდნენ... ბერძნებმა ქვეყა-
ნა ჯორსა აკიდეს და წა-
რიღეს საბერძნეთა...].
გუარამ კურაპალატი
სტეფანოზ ადარნერსეს ძე
გუარამ ყრმაჲ
არშუშა აშოტ კურაპალატი
ადარნერსეს ძე
ვარაზბაკურ
პატრიკიოზი გუარამ
ნერსჱ და ძენი მისნი
ფილიპე ნერსეს ძე
სტეფანოზ ნერსეს ძე
ადარნერსე ნერსეს ძე
გუარამ ნერსეს ძე
ბაკურიან ძე ბალდადისი

სუმბატით (მდ. 339);
გუარამ კურაპალატი
|
სტეფანოზ
|
ადარნასე
|
სტეფანოზ (დაჯდა ტფილისს ცხო-
რებად. აგარიანი გამოჩნდა, ბერძ-
ნებმა ქვეყანა აღწერეს)
|
გუარამ კურაპალატი

ვარაზბაკურ ანთიპატრიკოსი
(გარბანელნი მოაქცივნა)

|

ნერსე

|

ფილიპე ნერსეს ძე

|

სტეფანოს ნერსეს ძე

|

ადარნასე ნერსეს ძე

|

გურგენ ერისთავი ადარნასეს ძე

|

აშოტ კურაპალატი ადარნასეს ძე

მთელი ეს სია სუმბატს აღებული აქვს „მოქცევაჲ"-დან. ოღონდ მისი ნუსხა მცირედ განსხვაებული ყოფილა (თუ თვითონ არ შეაკეთა). ცნობებიც ამათი მთავრობის შესახებ მას ძირითადად იგივე აქვს, რაც „მოქცევაჲს". ისევე როგორც „მოქცევაჲს" ავტორს, ამათი მოღვაწეობის შესახებ მას არაფერი აქვს სათქმელი.

აშკარაა: (სუმბატ XI ს. მწერალი) სარგებლობს იმ წყაროთი უცვლელად. ხოლო მისი ეს წყარო უნდა საბოლოოდ რედაქტირებული იყოს სწორედ აშოტის დროს ან შეიძლება აშოტის ძეების დროს (გვარამ მამფალის კარზე?) და უნდა მიზნად ისახავდნენ ბაგრატიონთა ლეგალიზაციას. ამიტომ არის, რომ სუმბატი თუ მისი წყარო იწყებს გუარამ კურაპალატით, ხოლო ამ ძეგლის წინა ნაწილი მას არ აინტერესებს. ძნელია ეს ოპერაცია სუმბატს მიეწეროს: მაშინ რით უნდა აიხსნას, რომ „მოქცევაჲს" ეს სია აშოტზე წყდება? ეს წყარო, ცხადია, სუმბატამდე არსებობდა ასევე. მაგრამ რად შეწყდა აშოტზე? სუმბატს რომ გაეკეთებინა ის, ამ წყაროს იგი აშოტზე არ შეწყვეტდა, ხოლო რაკი აშოტზეა შეწყვეტილი, ბუნებრივია ვიფიქროთ, ეს სია „დიდი ერისთავებისა" აშოტის დროსაა მიკერებული (მაშინ რომ დაეწერათ, არსებით რასმე იტყოდნენ უკანასკნელი ერისთავების შესახებ...). რო-

ცა ამ ერისთავების საქმიანობის შესახებ იმის მეტი არაფერი იცოდნენ, რაც სიაში (ნუსხაში) არ ჰქონდათ (6/1, 108).

სწორედ ის გარემოება, რომ სუმბატს მ ტ კ ი ც ე ბ ი ს მომენტით აქვს: „ესე ქ ა რ თ ლ ი ს ა ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ა ნ ნ ი შ ვ ი ლ ი ს შ ვ ი ლ ნ ი და ნ ა თ ე ს ა ვ ნ ი ა რ ი ა ნ ა მ ი ს გ უ ა რ ა მ ი ს ნ ი“ — ამჟღავნებს, რომ სუმბატი არედაქტორებს მის ხელთ არსებულ „მოქცევაის“ ნუსხას და საეჭვოს ხდის ამ ნარედაქტირევს.

„მოქცევაი“ სტეფანოზ მეორემდე მოდიოდა. გ ვ ა რ ა მ კ ურ ა პ ა ლ ა ტ ი „მ ო ქ ც ე ვ ა ი თ“ ა რ ჩ ა ნ ს, თ უ ვ ი ს ი ჩ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი ა. უფრო საფიქრებელია, რომ ის გორგასლიანადაა ნაგულისხმევი, რაკი „მოქცევაი“ არ აღნიშნავს სპეციალურად მის ჩამომაელობას. ის რომ ბაგრატიონად ჰყავდეს „მოქცევაის“ ნაგულისხმევი, ანას ეთეოდ იტყოდა. ამბობს: „მის ბაკურისზევე დ ა ე ს რ უ ლ ა ბ ე ფ ო ბ ა ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ი.“ სპარსელები დაეუფლნენ ქართლს, სომხითს, სივნიეთს და გუასპურაგანს, „ნელადრ# შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა“. ეს გვარამი რომ არა სამეფო გვარიდან ჰგონებოდა „მოქცევაის“ ავტორს, არამედ სხვა სახლიდან, ის უეჭველია აღნიშნავდა ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს. რა ნიშნით უნდა გაეჩინათ ერისთავებსა და წ ა ტ ბ ი ნ ე ბ ე ლ თ, უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ ქ ა რ თ ლ ი ს ს ე ფ ე ნ ო ლ ი ბ ა. ეცხო ბაგრატიონი, თუნდაც დაწინაურებული ერისთავთაგანი (ბაგრამ აქამდე ის (ბაგრატიონი) არცა ჩანს, სუმბატის შენაკოწიწეს გარდა, და ისიც ხომ ამ გუარამს ახლად მოსულ (ეკლეცით) ეცხოელად წარმოგვიდგენს....), ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რ ო ც ა ჯ უ ა ნ შ ე რ ი დ ა „მ ა ტ ი ა ნ ე „ქ ა რ თ ლ ი ს ა ი“ ამ გვარამს გორგასლიანად თვლიან: „მატიანე ქართლისაი“ განაგრძობს ჯუანშერს და ა შ ო ტ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს თ ა ვ ი ს ა დ გ ი ლ ს უ ძ ე ბ ნ ი ს: აშოტ არის ძე ადარნერსე ერისთავისა, რ ო მ ე ლ ი ც ი ყ ო მ ო ა რ ჩ ი ლ მ ა (ეკლეცით გამოსული, გუარამ კურაპალატის შვილებს რომ შეხიზნვოდა კლარჯეთში ამ დროს, როცა მურვან ყრუმ ქვეყნები ააოხრა). ამ შიშიანობის გასვლის შემდეგ ის სომხეთში არ დაბრუნდა (ამაზე წინ ეს თუ მისი მამა „ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისა“), არამედ არჩილ მეფეს მიუვიდა და ეყმო, შულაველი და არტანი მიიღო. აი, ამ ადარნასემ ჯუანშერ არჩილის ძის დროსვე „იცვალა“ „ნასამალი“,

ე. ი. შელავერ-არტანიდან წავიდა და კლარჯეთს დაემკვიდრა და „შემდგომად სიკუდილსა ადარნერსეჰისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა“...

„მოქცევაის“ აწინდელი სია გვარამ კურაპალატს ბაგრატიონად გულისხმობს, რამდენადაც გვარამსა და აშოტს შორის უშუალო ჩამომავლობითი ხაზია წარმოდგენილი, მაგრამ ეს არის ბაგრატიონთა შემოქმედების ნაყოფი, მათ ცალკე სიის დართვით სტეფანოზ მეორედან აშოტამდე, უფრო სწორად, სტეფანოზ მეორედან გ ვ ა რ ა მ ა მ დ ე. ეს გვარამი ბოლოზე საგანგებოდ მოტანილი ხომ არაა პირველ გ ვ ა რ ა მ თ ა ნ დაკავშირების ერთ-ერთ არგუმენტად: აქაო და ბაგრატიონთა სახლში გვარამი ჩვეულებრივი სახელია, თუმცა, უნდა ითქვას, ეს მამამთავარი არც თუ ხშირია ამ სიაში — სულ ერთ-ხელაა!... და ბაგრატიონებმა დაივიწყეს ა რ ჩ ი ლ ი, სრულიად რეალური პიროვნება.

კიდევ უფრო განსხვავებულია ჯუანშერის სია სტეფანოზ მეორის შემდეგ. აქამდე, ე. ი. სტეფანოზ მეორემდე (როცა ა გ ა რ ი ა ნ ე ბ ი გ ა მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ და ბ ე რ ძ ე ნ თ ა ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ა ს წ ე რ ე ს, ჯ ო რ ს ა ჰ კ ი დ ე ს და წ ა ი ღ ე ს) ჯუანშერი მისდევს „მოქცევაის“ სიას. ოღონდ ეს არის, რომ ეს ადარნერსე სტეფანოზ პირველის გვარამის ძის შვილი კი არაა, როგორც ეს სუმბატით ან „მოქცევაით“ არის, არამედ დაჩი ვახტანგის ძის ჩამომავალია — ბ ა კ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ი. გვარამი კი ჯუანშერით მირდატ ვახტანგის ძის ძმის წულია თუ ძის წული, მაშინ, როცა, სუმბატით ის ბაგრატიონია, ხოლო „მოქცევაით“ არა ჩანს, თუ ვისი რაა.

თუ ეს ჩამომავლობითი სხვაობა არა, სია ს ტ ე ფ ა ნ ო ზ მ ე ო რ ე მ დ ე გ ვ ა რ ა მ კურაპალატიდან მოკიდებული ყველგან ერთნაირია — „მოქცევაა“, ს უ მ ბ ა ტ ი და ჯ უ ა ნ შ ე რ ი. ამის შემდეგ ჯუანშერს პირდაპირ მ ი რ დ ა ა რ ჩ ი ლ გამოჰყავს, რომელნიც მისი წარმოდგენით, მურვან ყრუს დროისანი არიან, ამ ს ტ ე ფ ა ნ ო ზ მ ე ო რ ი ს ძ ე ნ ი. აშკარა შეუსაბამობაა. მ თ ე ლ ი ა ს ი წ ე ლ ი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ხ ა რ ვ ე ზ ი რ ჩ ე ბ ა — მეშვიდე საუკუნის ნახევრიდან მერვე საუკუნის შუამდე. ჩანს, „მ ო ქ ც ე ვ ა ი ს“ ს ი ა, რ ო მ ე ლ ი ც ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს ხ ე ლ თ ი ყ ო, ამ ს ტ ე ფ ა ნ ო ზ ზ ე მ თ ა ვ რ დ ე ბ ო დ ა. ჯუანშერმა ამ სიას დაურთო მირის და არჩილის თავგადასავალი (ფრიად შინაარსიანი და სანდო) და დაამთავრა არჩილის შვილებით იოანე და ჯუანშერით. ამას განაგრძობს „მატიანე ქართლისაი“ და ბაგრატიონები გვარამი-

საგან არც ამას გამოყავს, რადგან აშოტის მამა ადარნასე არჩილის ერთ-ერთი ერისთავი იყო (შულავერ-არტანის). ამან „იცვალა ნასამალი“ კიდევ ჯუანშერის სიცოცხლეში (ან. 161) და ტაო-კლარჯეთში დაიდო ბინა (161). აი, ამ ადარნასეს ძე იყო აშოტი (162). „მატიანე ქართლისაჲ“ და ჯუანშერი იმაში უეჭველად ერთანი არიან, რომ ადარნასე და აშოტი იმ მთავრების ჩამომავალნი არ არიან, როგორც ამას სუმბატი ამტკიცებს. ეს ჩანს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან: აშოტისა და მისი შვილებისათვის გრიგოლ ხანძთელი, ნერსე ერისთავის კარზე გაზრდილი კაცი, უცხოა...

რა მივიღეთ: იმ თავიდან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თავდება სტეფანოზ მეორის მთავრობაზე. გვარამ კურაპალატი — ნელადრეულ რომ გააჩინეს ქართლის ერისთავებმა ბაგრატიონად, არაა იქ ნაგულისხმევი. ამ წყაროს სუმბატიც ცნობს და ჯუანშერიც. გარკვეულ დროს ამ წყაროსათვის დაურთავთ მთავართა სია აშოტ კურაპალატამდე (თუ გვარამამდე) — ესაა ბაგრატიონთა სახლში შენამოქმედი. ასეთი შევსებული „მოქცევაჲ“ ხელში ჰქონია სუმბატს და მას მოუბამს შემდეგი ამბები... ჯუანშერს კი ხელთა ჰქონია შეუვსებელი „მოქცევაჲ“. მასვე ჰქონია სხვა ცნობებიც (შეიძლება ბაგრატიონთა საწინააღმდეგო)... (6/1, 105—106).

გრიგოლ „იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლ მორწმუნეთა მამადედათაჲ. და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსეს ერისთავისასა აღზრდილ იყო ყელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“. ასეთი კაცი ქართლიდან „წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს“. კლარჯეთში გრიგოლი თავს უცხოობაში გრძნობს (ზ. I). მის „უცხოობას“ მოწმობს ადგილობრივი დიდებული აზნაური გაბრიელ, რომელიც გრიგოლის ჩამომავლობაზე მისი მოწაფეებისაგან გებულობს და ყველაფერს (რომ ეს უცხო ბერი აქ მონასტერს აგებს) ატყობინებს აშოტ კურაპალატს, რომელიც „მათ ჟამთა მფლობელი იყო“ ამა ქუეყანათა („ღმერთის მსახური ყელმწიფე დიდი ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი“), რომლისა გამო „დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთა ვიდრე უკუნისამდე ჟამთა და ყელმწიფისა

მის წინაშე და შვილთა მისთა დიდებულთა მათ ჯელმწიფეთა წინაშე შეუსწაველელ იყო წმიდა გრიგოლ" (თ. 1—5).

სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მერჩული აშოტ კურაპალატს იმ პირველ ბაგრატიონად თვლის, „რომლისა გამო (через которого) დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ყამთაჲ", რომ ეს აშოტი, მაშასადამე, არ იყო არავითარ ნათესაურ დამოკიდებულებაში იმ ნერსე ერისმთავართან, რომელიც ამ ხანებში ქართლში ერისმთავრობდა და რომლის ცოლის ძმისშვილი იყო გრიგოლ. გიორგი მერჩული განსაკუთრებით ხაზს უსვამს აშოტის ბაგრატუნიანობას, თითქოს სურს თქვას, რომ ქართლის ერისმთავრები ბაგრატუნიანები არ ყოფილან და ამტკიცებს რა, რომ ბაგრატუნიანთა „მთავრობაჲ ქართველთა ზედა" ამ აშოტიდან მოდისო, ამით აიხსნება, რომ აშოტმა არა იცოდა რა გრიგოლის შესახებ. რა თქმა უნდა, ისიც არ ჩანს დამაჯერებელი, თითქოს აშოტი პირველად ქართლის ერისმთავარი იყო (სუმბატ დავითის ძის თანახმად) და ის არაბებს გაექცა. სუმბატს (თუ მის წყაროს) ამით სურს აშოტი გვარამიანი გამოიყვანოს... უფრო მართებული ისა ჩანს, რომ აშოტ ადარნასეს ძე ჯერ შავშეთ-კლარჯეთში გაძლიერდა და შემდეგ სცადა ქართლის ერისმთავრობის ტახტი მიეტანა ბერძენთა შემწეობით...

მერჩულის მოთხრობიდან ის გამოდის, რომ შავშეთ-კლარჯეთი ქართული ქვეყანაა და რომ ეს ქვეყანა ახლად შენდება.

თუმცა არც ისე უკაცრიელია, როგორც მერჩული ხატავს... ($^1/_6$, 92).

აშოტის სიკვდილისათვის

სამი წყარო შეიცავს ასეთ ცნობას. გიორგი მერჩული, „მატიანე ქართლისაჲ" და სუმბატ დავითის ძე. ყველაზე მართებული და ნიშანდობლივიც სუმბატის ცნობა ჩანს, რომელსაც ეთანხმება გიორგი მერჩულის ცნობა, მაგრამ არ ეთანხმება „მატიანე ქართლისაჲს" ავტორი, რომელიც, საფიქრებელია, იცნობდა სუმბატის ცნობას ან მის წყაროს (ეკლესიის საკურთხეველზე დაკვლა აშოტისა) — და ასეთი ცნობის უმართებულო გაგებას და მის შემოკლებით გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს მისი ცნობა.

„მატიანე ქართლისაჲ" აშოტის სიკვდილს არაბებს მიაწერს, ხოლო სუმბატი არაარაბებს (არაბებს მიაწერს ამ აქტს ივანე ჯავა-

ხიშვილიც, ქართველი ერის ისტორია, II, 93, 372), თვით აქტს ორივე წყარო აშოტის არაბებთან ბრძოლას უკავშირებს. გიორგი მერჩულის ცნობა აშოტის არაბებთან ურთიერთობას არ ეხება და მეფის მოკვლას მისსავე ქვეშევრდომებს მიაწერს კატეგორიულად.

ყველაზე სრული და ისტორიულად გამართული სუმბატ დავითის ძის ცნობაა. გიორგი მერჩული ამ ცნობის სანდოობას ერთხელ კიდევ მოწმობს. „მატიანე ქართლისაჲ" კი ავსებს მას არაბებთან ურთიერთობის ხაზით. სუმბატი წერს, რომ აშოტსა და არაბებს შორის ბრძოლა იყო: „და იყო ერთსა შინა ჟამსა განვიდა (აშოტ) რათამცა შეიკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთასა, მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე — განავლინა ლაშქრის მ ა წ ვ ე ე ლ ნ ი და ვიდრე არღარა შეკრებულ იყო ლაშქარი იგი მისი მისთანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უეცრად და აოტეს იგი და წარმოემართა და მოიწია ჯევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისა რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი და წარმოემართნეს მოსვლად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა. ხოლო იგინი მოვიდეს კლვად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კ ა რ ა დ მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა (მათი და რაჟამს მოიწევნეს იგინი კარად მისსა მაშინ ღა აგრძნა რაჲ იგი ეგულვებოდა მათ — B უმატებს) და არა ჰყუა მას ერი თჳსი თჳნიერ მცირედთასა (რომელითა) ვერ წინა აღუდგებოდა იგი მათ. ამისთჳსცა შეიკლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად და მოწყლეს იგი მახვილთა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ საჰილველ არს. ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი იგი იყვნეს დოლისყანასა, კითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტი ჯელითა ოროზ-მოროზის ძეთათა: წარვიდეს დოლისყანით და დევნა უყუეს მკულელთა მათ უფლისა თჳსისათა და ეწივნეს მათ სავანეთა (სანავეთა? — ნ. ბ.) ზედა ჴოროზისასა. მოსრნეს იგინი ბოროტად ვიდრემდის არა დაუშთა ერთი მათგანი. და წარმოიღეს მკუდარი აშოტ კურაპალატი და დაფლეს მისსა მას საფლავსა შინა ციხესა არტანუჯისჳსა ეკლესიასა წმიდათა მოციქულთჳსა"... (მდ. 344—345).

აშოტი არაბებთან საბრძოლველად ემზადება. ლაშქრის მ ა წ ვ ე ე ლ ნ ი გაგზავნა. მოთხრობის მიხედვით, ეს მოხდა არა შავშეთ-კლარჯეთში: ლტოლვილმა აშოტმა სწორედ ამ ქვეყანას მოაშურა. ნაწვევი ლაშქარი არ მოსულიყო ჯერ და არაბთა ჯარი აშოტს თავს დაეცა. მეფე ნიგალისჯევში მივიდა ლტოლვილი და—„ი წ ყ ო

ძ ე ბ ნ ა დ ე რ ი ს ა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი“ (აქ უკვე არ ამბობს, რომ „მაწვეველნი“ გაგზავნაო, არამედ „იწყო ძებნად ერისა“, ე. ი. ღონეს ეძებდა ჯარის შესაქმნელად). ვიღაცეებს, ჩანს, „უ ბ რ ძ ა ნ ა“ და „წარმოემართნეს მოსვლად მის წინაშე ოგინი, რომელთა მან უბრძანა“. უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი არიან ისინი, რომელთაც აშოტი ავალებს თანალაშქრობას, ასეთია. ფიქრობს ის, მათ შორის ურთიერთობა. მაგრამ ესენი აშოტის საკუთარი, მისანდო და მორჩილი მაინც არ არიან, თუმცა თანალაშქრობა, ჩანს, ევალებოდათ. „ერი მისი“ მეფეს მეტად მცირე ახლდა და ამ ერის ნაწილი დოლისყანას იდგა, როცა აშოტი ნიგალისხევს იყო. და აი, ლაშქრობის ამ ვალდებულებმა (აშოტს გიორგი მერჩელი მათ უფალს უწოდებს: „იუდას მსგავსად შენ უ ფ ლ ი ს ა თ ვ ი ს ი ს ა მკულელ იქმნნეს“) ისარგებლეს და ვითომც და ლაშქრად მიუვიდნენ და მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნეს განზრახვა, როცა უკვე გვიან იყო აშოტისათვის. აშოტი ეკლესიას შეეფარა. მათ არ დაინდეეს და აშოტი საკურთხეველზე დაიკლეს (ჩანს. აშოტი საკურთხეველს შეეფარა). ეს მკვლელები ჭოროხის მარცხენა მხარიდან ყოფილან: დოლისყანიდან წამოსული. აშოტის ერთგული ლაშქარი მათ დაედევნა და სავანესა ჭოროხისასა ეწია (უნდა სანავესა ჭოროხისასა). ჩანს, მკვლელთა რაზმი ჭოროხის გადალახვას და ასე თავის შველას აპირებდა (ე. ი. ართვინ-ბანსოლის მხარეში). აქედან ცალკად ჩანს, თუ ვინ იყვნენ ეს „ოროზმოროზის ოენი“ (რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ აშოტ კურაპალატი ეკლესიამ წმინდანად ვერ შერაცხა: ის რომ სარკინოზთა მიერ მოკლულიყო, რა თქმა უნდა, წმინდანთა შორის განისვენებდა, ისევე, როგორც არჩილი, ვახტანგი და სხვ. მრავალი). მაშასადამე, მკვლელნი იყვნენ ქრისტიანები ამავე ქვეყნიდან, ჭოროხის მარცხენა მხრიდან; ისინი აშოტის ხელმწიფობის ქვეშ იყვნენ, მაგრამ მის ხელმწიფობას სასტიკად ებრძოდნენ.

მაინცადამაინც ისინი არ ყოფილან იმათ რიცხვში, რომელთაც აშოტი „შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა“ (გდ. 343). ოროზ-მოროზის ძეთა საქციელი პოლიტიკური აქტია. ორგანიზებული გამოსვლაა: ისინი „ქვეშევრდომნი“ და „ერთგულნი“ არიან. ამიტომაც ენდო მათ ლაშქრის მაძიებელი აშოტი, მაგრამ აღმოჩნდნენ შეთქმულები და დაუნდობელი მტრები „უფლისა თჳსისა“. მაინც ის გარემოება, რომ მკვლელები ჭოროხის მარცხენა მხარეს გაქცევას ლამობენ, მოწმობს, რომ აშოტის უკმაყოფილონი ყველგან ერთნაირად არ ყოფილან: შავშეთი (თუ სუჭბატს დავუ-

ჯერებთ) მისი უფრო ერთგული იყო, ვიდრე ე ბ ე რ ი ან. შეიძლება სამცხეც. ანიტომაც იყო შეიძლება, რომ არტანუჯი ჰქონდა მას (და მის შვილებს) საიმედო თავდასაცავად. შეიძლება აშოტის დ ო მ ე ნ ი უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ აქ ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ს ს ა ნ ა ხ ე ბ ი იყო. აქ შეიძლება „იყიდა“ მან „საფასოთა“, ან კიდევ ოქერი აღაშენნა, აქვე „შეიწყნარეს“ ის უფრო, ვიდრე სხვაგან... მაგრამ აშოტი ხომ არ დასჯერდა საკუთარის გარჯით ნაშენს თუ ნასყიდს და მან ენერგია დიდი განავითარა სხვარიგი მოგებისთვისაც. აჯანყებულებს შესაფერისი დრო შეურჩევიათ „უფლისა თესლისა“ მოსაკლავად: როცა ის არაბთაგან შეიწროებული თავის ქვეშევრდომთაგან შველას ითხოვდა. ჩანს, შიში დიდი ჰქონიათ მისი და არც დიდი მომხრეები ჰყოლიათ შავშეთში. მაგრამ მათი გაბოროტება, ე. ი. ბრძოლის სახე განსაკუთრებით მწვავე ყოფილა: მათ, ქრისტიანებმა ეკლესიის საკურთხეველიც კი არ დაინდვეს და ქრისტიანი ხელმწიფე ზედ დააკლეს. ურწმუნო და თავზეხელაღებული იმ დროსაც მოიპოვებოდა, რა თქმა უნდა, აი, მაგალითად, ის მოისარი ორ გრიე ფეტვად და ხუთ თხად რომ დაექირავა ცქირს გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად, მაგრამ აშოტის მკვლელი არც არავის დაქირავებული ყოფილა და არც მცირენი იყვნენ ეს ოროზ-მოროზის ძენი: ერი „მცირე“ აშოტს ახლდა კიდევაც, რომლითაც ის „ვერ წინააღუდგებოდა მათ“. ასე რომ ესენი მოსყიდული მკვლელების ბანდა კი არ ყოფილა, არამედ გარკვეულ ნიადაგზე ღრმად უკმაყოფილო ფართო წრე. ის გარემოება, რომ ოროზ-მოროზის ძენი ნიგალისხევში ვერ დადგნენ, რომ მათ წინააღმდეგ მეფის ერთგული ჯარი დოლისყანიდან გამოვიდა, თითქოს ისევ იმას მოწმობს, რომ აშოტის წინააღმდეგ ამხედრებული იყვნენ ჭოროხის მარცხენამხრელნი ართვინსმხრელნი, „მეგრელნი“. შავშეთ-არტანუჯი კი აშოტის ერთგული დასაყრდენი იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ აშოტის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილებმა, მცირეწლოვნებმა, საიმედო თავშესაფარი სწორედ არტანუჯში იპოვეს. აშოტის მკვლელები, საფიქრებელია, ჭოროხის მარცხენამხრელი ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი იყვნენ, რომელნიც შეიწროებული იყვნენ ძლიერი და ენერგიული კურაპალატის მხრით, როგორც „ქელმწიფენი“. და სასტიკად ებრძოდნენ ამ მიმტაცებელ-„გამაერთიანებელს“...

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ფაქტი დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლისა ფეოდალებს შორის, რომელშიაც აქტიურად მონაწილეობს აზნაურ-მოლაშქრეთა ფართო წრე. ბრძოლა მიმდინარეობს არაბთა და ბიზანტიელთა აგრესიის პირობებში. ქვეყნის გაერთიანე-

ბის პროგრესული საქმე მძიმე წინააღმდეგობებს ხვდება: არაბები, ბიზანტიელები და ადგილობრივი მთავრები თავისი აზნაურებით (5/1, 127—29).

აშოტი რომ გაიქცა ქართლიდან, „ჰევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთა რაჰეთუ ქამთა სპარსთა უფლებისასა აოჯრდა, ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოჯრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკვდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა და დაემკვდრა მუნ და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჟელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა და მან ს ო ფ ლ ე ბ ი ზ ო გ ი ი ყ ი დ ა ს ა ფ ა ს ი თ ა და ზოგი ო ჯ ე რ ი ა ღ ა შ ე ნ ა და განამრავლა სოფლები აშოტ კურატპალატმან ქუეყანათა მათ შინა და მისცა ღ[მერ]თ[მა]ნ და განამტკიცა ჟელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა...“ (მდ. 343).

ძვირფასი ცნობაა: სუმბატს სურს ქვეყნის სურათი მძიმე წარმოადგინოს, რომ აშოტის საქმიანობა უფრო რელიეფური გამოჩნდეს. გამოდის რომ აშოტს კი არაფერი მოუტანია, არამედ ი ყ ი დ ა ს ა ფ ა ს ი თ ა (ფულით), ო ჯ ე რ ი ა ღ ა შ ე ნ ა. ესაა მისი საკუთარი, საქონებელი. ვისგან იყიდა? ჩანს, ამ დროს შავშეთში სოფლები იყიდებოდა და იყენენ ისინი, ვინც სოფლებს ჰყიდდნენ. უეჭველია, —მთავრები... ოჯერი სოფლები აშოტმა როგორ აღაშენა?... ჩანს, ამის მ ა ძ ი ე ბ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი, მ ი წ ი ს მ ო ქ მ ე დ ნ ი, მოიპოვებოდა და მრაველადაც მოიპოვებოდა. ამასვე მოწმობს, რომ აშოტმა ქალაქი არტანუჯიც აღაშენა, ციხე და ეკლესიაც...

რა თქმა უნდა, მოოხრებულ გაევრანებულ ქვეყანაში ასეთი მშენებლობა შეუძლებელია. ყველა ეს უფრო ეგუება დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ ი ს გ ზ ა ზ ე შ ე მ დ გ ა რ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს, რომელსაც ყრუს და ყრუების ლაშქრობანი ან სატლობის სრვანი აზიანებს, აფერხებს, მ ა გ რ ა მ ე ე რ კ ი ა ჩ ე რ ე ბ ს... ფ ე ო დ ა ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე შ ე მ დ გ ა რ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ადვილად იშუშებს გარედან მოსულ (არაორგანულ) გასაჭირს და სწრაფად წინ მიდის. და მართლაც რაღაც ასიოდე წლის გასულს არტანუჯის მხარე სრულიად სხვა ჩანს, ძლიერი; კულტურული...

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი „სიყვარულით“ შეიწყნარეს

აშოტი, საკმაოა მოვიგონოთ, რომ ის სწორედ ამ სოფლები. შეძენა-გამრავლების ნიადაგზე იქნა მოკლული „მეგრელთაგან“ (3/1, 27—28).

აშოტ კურაპალატმა „ზოგი (სოფელი) იყიდა საფასოთა და ზოგი ოჯერი აღაშენა“ (მდ. 243).

სოფლები მიჰყიდეს მას. ეს ს ო ფ ლ ე ბ ი დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი იყო (ოჯერი მან თვითონ აღაშენა). ვინ მიჰყიდა? უეჭველია —მ თ ა ვ ა რ თ. ეს ის „მკვიდრნია“, რომელთაც „შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა“. მაგრამ რომ მთლად იდილიური არ ყოფილა ეს შეწყნარება, იქიდანაც ჩანს (აშოტის სიკვდილს რომ თავი დავანებოთ), რომ „მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჯელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“. რომ გახელმწიფებულიყო და ისიც „ნებითა ბერძენთა მეფისათა“, ჯერ საჭირო იყო გ ა მ ა რ ჯ ე ბ ა. ასე რომ, VIII საუკუნეში სოფელს ყიდულობენ (ყიდიან). ა შ ე ნ ე ბ ე ნ, ოჯერს აშენებენ, სწირავენ (იხ. სერაპ. ზარზმ. ცხ.). აშოტი ვასალი („ყმა“) გახდა ბერძენთა მეფისა, მაგრამ თავის მხრივ მანაც გაიჩინა ყმები“. შავშეთ-კლარჯეთის მ კ ვ ი დ რ ნ ი, რომელთაც ის შეიწყნარეს და სოფლები მიჰყიდეს, იყვნენ ამ სოფლების „ჯ ე ლ მ წ ი ფ ე ნ ი“, (მთავრები) და როცა აშოტის ჯელმწიფება განმტკიცდა შავშეთ-კლარჯეთზე, ეს „ჯელმწიფენი“ თვით იქცენ „ყმებად“. იგივე სურათია, რაც სერაპიონ ზარზნელის ცხოვრებაში: დ ი დ ი მ თ ა ვ ა რ ი დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ი (2/39, 304).

აშოტ კურაპალატი იყო „ჯელმწიფე მის მიერ აშენებული ქალაქისა, სოფლებისა მის მიერ ნასყიდისა და ბერძენთა მეფის მიერ ნაწყალობევისა. მაგრამ ამ ქვეყანაში მცხოვრებნი არავითარ შემთხვევაში მისი „მონები“ არ იყვნენ და არც ის იყო „უფალი“ მათი. ის იყო „პატრონი“ და „ბატონი“. და როცა მემატიანე მას ეძახის თ ა ვ ი ს ი ე რ ი ს უ ფ ა ლ ს, ან კიდევ ქვეყნის უ ფ ა ლ ს, ცხადია, უფალი აქ ბ ა ტ ო ნ ი ს, მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს დ ა პ ა ტ რ ო ნ ი ს შინაარსით არის ნახმარი, ჩანს ახალი სოციალური მოვლენისათვის ჯერ კიდევ ძველი ტერმინი აქვთ გამოყენებული. იგი მოწმობს, რომ როგორც სუმბატ დავითის ძე, ისე „მატიანე ქართლისაჲ“ ავტორი ცნობებს ამ ხანის შესახებ რაღაც ძველი წყაროდან იღებენ. საინტერესოა, რომ შემდეგ XI ს-ის შესახებ სულ სხვა ტერმინოლოგიას ხმარობენ იგივე ავტორნი (2/39, 305).

აშოტ კურაპალატი ახლად აგებს არტანუჯს, ციხეს, ქალაქს. ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული ის სულ გავერანებული იყო... ჩანს, აქ გზა აღარ გადიოდა, ახლო მოსახლეობაც ათხელებული იყო (ასე იყო ამ დროს სომხეთშიაც. იხ. მანანდიანი...).

X საუკუნეში კი არტანუჯი გზების ცენტრია... (წ. მდ., ფ. 23).

ბაგრატ კურაპალატმან „მოიყუანა კლარჯნი ჴელმწიფენი სუმბატ და გურგენ... დარბაზობად... შეიპყრნა იგინი... აღიხუნა ჭეეყანანი და ციხენი მათნი... პატიმარ ყუნა ციხესა შინა თმოგვისასა". ამათი შვილები საბერძნეთს წარვიდეს, ხოლო თვით ესენი პატიმრობაში დაიხოცნენ... და სხვა შვილნი კლარჯთა მეფეთანი... „მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა" (მდ. 353).

ეს „დახოცვა" მთელი პოლიტიკური რევოლუცია იყო. ამიერიდან მრავალმეფობა, კარგა ხანია აზრდაკარგული, ფიზიკურადაც შეუძლებელი იყო, რამდენადაც ბაგრატიონთა გვარისანი აღარა რჩებოდნენ. ეს იყო სენიორალური რეჟიმის დასასრული და ფეოდალური წყობის (ფეოდალური სახელმწიფო წყობის) საბოლოო დამყარება. ამრიგად, ბაგრატ III—ესაა ზღვარი ორ ეპოქას შორის. ის ახალ ეპოქას იწყებს (²/₃₉, 306).

ხალხის შესატყუებლად ბერძნებმა დემეტრე კლარჯი გამოიყვანეს „რეცა შესატყუენელად ქუეყანისა მკჳდრთა, რომელი ესე იქმნა ესრეთ, რამეთუ მიიქცეს ერნი სოფელნი უგუნურუსუსურნი ცნობითა და გონებითა" (მდ. 360).

ესენი არიან სწორედ „მატიანე ქართლისაჲს" წ უ რ ი ლ ი ე რ ი. საინტერესოა, რომ შავშეთის აზნაურნი არ განდგნენ, ხოლო ეს წურილი ერი განდგა და დემეტრე კლარჯს მიერთო. ჩანს, „წურილი ერისა" და აზნაურთ „ორიენტაცია" ერთიმეორის წინააღმდეგი ყოფილა და წვრილ ერს საკუთარი ორიენტაცია ჰქონია (აზნაურთ ორიენტაციის საწინააღმდეგო) და მის ცხოვრებაში გატარების უნარს ჯერ კიდევ მოკლებულნი არ ყოფილან. ამ წურილ ერზე ფრიად დაბალი წარმოდგენისაა ავტორი, რაც მათ კლასობრივ დაშორებას და დაპირისპირებას ააშკარავებს (²/₃₉, 308).

ბაგრატის დედა მარიამი წარვიდა რომანოზ მეფესთან სათხოვრად: „რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთისათვის და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყუნენ" (მდ. 361).

საინტერესოა ხაზგასმა, რომ ომის გამო სწორედ გლახაკნი ვერ არიან „დაწყნარებულ“ და „მყუდრო“. აქ იგულისხმება როგორც ის, რომ ფეოდალური ომის დროს (და ყოველი ომის დროს) მთავარი სიმძიმე, ყველაზე მეტი გაჭირვება გლახაკთა ხვედრია, აგრეთვე ის, რომ გლახაკები (ღარიბები) ასეთი ხანგრძლივი ომის დროს დაწყნარებული და მყუდრო ვერ არიან. რომ ომი უმთავრესად ღუპავს გლახაკებს, რომ მშვიდობა მათთვისაა ყველაზე საჭირო. ეს გარემოება, რადგან ეს „გლახაკნი“ სწორედ ის წურილი ერია, რომელიც ქვეყნის მოქმედებით ირჩენს თავს და რომლისთვისაც „დაწყნარებულობა და მყუდროობა“ საჭიროა, ჩანს. ომის დროს ისინი გამოდიან ამ მყუდროობის მდგომარეობიდან, ბორგავენ.

ეს ფრიად დამახასიათებელია იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ ბერძნებმა დემეტრე კლარჯის საშუალებით „წურილი ერი“ მიიმხრეს აზნაურთა ნების დამოუკიდებლად (²/₃₃, 310).

[ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი]

თამარის ისტორიკოსი პირველი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი (ვინ?) ბიზანტიურ-არაბული კულტურის შვილი.

თანამედროვე. (1196 წელს უნდა დაესრულებინა მას თავისი აზმანი) — მეორე ნაწილი“ (მცირე ისტორიკოსის თხზულება?) კარგა ხნის შემდგომ არის დაწერილი.

ისტორიკოსი წარჩინებული პირი: დარბაზის მონაწილე, მაგრამ არა კარისკაცი (თამარის საშინაო ცხოვრება განაგონით ერის). ადამიანთა და სამეფოთა ცხოვრებაში ყველაფერი ღვთის წინასწარ განკარგულებაზეა დამოკიდებული. დამარცხება—სასჯელია. „თანაშთამომავლობა“ (მემკვიდრეობითი თვისებების საკითხი).

„გვართა უბედურება“.

ერისმთავრობის მოტრფიალე... მეფის პოლიტიკის მომხრე... ღრმად განათლებული, დაწინაურებული. მესიხლეობა-მიმძღავრების წინააღმდეგი.

ცოდნა: 1. საქრისტიანო მწერლობა, 2. წარმართულ-ელინურისა, 3. სპარსულისა.

წყაროები: 1. თვალით ნანახი, 2. გონიერ კაცთაგან სმენილი, 3. იოანე ჰიმჰიმელის შესხმა-მოთხრობა, 4. ჩახრუხაძის და სხვა „შესხმანი“, 5. სხვა მლექსავთა თხზულებანი.

საეკლესიო თხზულებანი: ესაია, დავით, სოლომონ, ბასილი კესარიელი. ბერძენი მწერალნი: იოსეფ ფლავიოსი, პლუტარქოსი, ლაკუა პლატონი, ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, უმიროსი.

ხელოვნური ენა: გეგმით წერა, პოეტური ფიგურები.

თამარის მეორე ისტორიკოსი — თანამედროვე. დაწერილი უნდა იყოს თამარის გარდაცვალების უმალ 1210—1213 წწ.

საომარ მოქმედებათ მოკლედ წერს. ის არც სამხედრო პირია, არც დარბაზის წევრი. არც დიდგვარიანი ჩანს. მან იცის თამარის საშინაო და უმთავრესად სასულიერო ცხოვრება...

სარგებლობს ბერძნული მწერლობით. გაურბის მუსლიმანურ მწერლობას.

ბუნებრივი აღწერა თამარის პიროვნებისა... (ქორწინება-გაყრა).

ფართო მოაზროვნე (ცდა თამარის საშინაო პოლიტიკის ახსნისა) (3/50, 3).

გიორგი მეფემ „პირველად წყალობისა მიმფენელმან იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქვემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, შინაურთა და გარეშეთა, ყელყო შეყრად და განმართებად ქალაქსა ზედა კაღზევანსა და წარმოტყუენა ყოველი ყევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა, სომეხთა მეფედ დიდებულისა შაჰარმენისა“ (მდ. 366).

თითქოს შეინიშნება, რომ გალაშქრების წინ მეფე უხვი წყალობით იერთგულებს დიდებულებს...

თუ ეს მომენტი მართალია, ის ფრიად საინტერესოა სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარებისათვის... (წ. მდ., 26).

(გიორგიმ) ილაშქრა „დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად (დვინად), რომელ არს არარატისა ძირსა ზღუარი სომხითისა და ადარბერდაჯანისა მამული თრდატ გოლიათისა... გამოიღო და წარმოტყუენა ქალაქი, რომლისა სიმრავლემან ტყუეთა და სუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და მთათა. ვინათგანცა აღივსო სამეფო ქალაქი ტფილისი, რომელ თვთო ტყუესა დრამად გინა ფუკად მომსყიდველი გამსყიდველობდეს...“ (მდ. 366—367).

სწორედ ეს ტყვეთა სიმრავლე იყო ერთ-ერთი მიზეზი თავისუფალ მიწისმოქმედთა უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებისა. მართალია, ტყვე მასაც შეეძლო შეეძინა, ჰყავდა, უეჭველია, მაგრამ მას ხომ საკუთარი მიწა მცირე ჰქონდა. ე. ი. პატრონის მიწა, რომელსაც ის საკუთრად ხმარობდა, რა თქმა უნდა, სათანადო რენტით. მისი მეურნეობა ამ იაფ ტყვეებს ვერ გამოიყენებდა. ამიტომ ომში ნაშოვნი ტყვე, თუნდაც ბლომად ნაშოვნი, მისთვის სარფიანი ვერ იყო, რადგან ტყვე ბევრი იყო, იაფად ფასობდა, ხოლო წვრილ მეურნეს, თუ არ გასასყიდად, ისე ტყვე არ უნდოდა... სულ სხვა საქმე იყო დიდგვარიანნი, დიდმამულიანნი... მათ შეეძლოთ ეს იაფი

ტყვე მიწაზე დაესხათ თავისუფალთ გვერდით ან კიდევ „სეფე“ მეურნეობის შემსრულებლებად აეყვანათ... ამით, ერთი მხრით, მიწას ყმის თვალში „ფასი“ ედებოდა, სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები მრავლდებოდა და იაფდებოდა, პატრონი ყმის ბეგრით დაინტერესებული აღარ იყო და „ბეგარას“ „ყალანზე“ სცვლიდა, ხოლო უკანასკნელის ფულის სახით მიღებას შეეცდებოდა. თავისუფალი მიწისმოქმედი ძალებული იყო გაუფასურებულ მიწას [ნაწარმის გამრავლების გამო] ჩასჭიდებოდა, რადგან, თუმცა გაუფასურებული, მაგრამ ერთადერთი საყრდენი მაინც ეს იყო. ლაშქრობა, რომელსაც ის ასე „მჭირსედ“ აწარმოებდა. მისთვის სარფიანი არ იყო და საბოლოოდ მისი ეკონომიკურად გამანადგურებელი იყო... (2/77, 10).

გიორგიმ „რა იპყრნა შარავანდედნი მეფობისა შვიდ სამეფოდ განწესებული“ იწყო აგარიანთ მოწყვეტა... და... „პირველად წყალობისა მიმფენმან იმერთა და ამიერთა ზემოთა და ქუემოთა დიდებულთა და აზნაურსპასალართა და სპასპეტთა შინაურთა და გარეთა კელყო შეყრად და განმართვად ქალაქსა ზედა კაღზევანსა და წარმოტყუენა ყოველი კევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა სომეხთა მეფედ წოდებულისა შაჰერმენისა“ (მდ. 366).

მეფის მიერ წყალობამიფენილნი არიან ისინი, ვინც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ და საომარ მოქმედებანი თავის კისერზე უშუალოდ გადაჰქონდათ. ასეთები იყვნენ სწორედ დიდებულნი და აზნაურნი. აზნაური, უეჭველია, აქ ფართო ცნებითაა ნახმარი და ნიშნავს ყველა ომას, ვინც ომში აზნაურად მონაწილეობს...

დამახასიათებელია, რომ მეფე წყალობას მიჰფენს „ყოველთა“ არა მარტო გამარჯვების შემდეგ, არამედ ომში წასვლის წინაც... წყალობის მიფენა პირობაა ომში წასვლად „განმართვის“... (2/17, 10).

„პატრონი“ — იხმარება მეფის აღსანიშნავად. „...იშვებდეს... მპოვნელი... პატრონი ყმისა და ყმა პატრონისაა“ (მდ. 373).

პატრონი და ყმა ისევე მოლაშქრე იყო. გლეხი მოლაშქრე არ იყო... გლეხი „ყმა“ არ იყო. მაგრამ გლეხი ყმა გახდა მას შემდეგ, რაც, ერთი მხრით, გლეხებსაც დაეკალა „ლაშქრობა“ (მონღოლთ რეფორმა) და მეორე მხრით, რაც ყმები, ე. ი. უმთავრესად თაი-

სუფალი მიწისმოქმედნი განიავდნენ და დაიბეგრნენ, ე. ი. გაგლეხ-დნენ, ერთი მხრით, უმრავლესობა, ხოლო გააზნაურდნენ მეორე მხრით — უმცირესობა და მას შემდეგ, რაც აზნაურობა „კასტურად", უკეთ წოდებრივად, გამოეყო გლეხებს... (ქეგ, 425).

გიორგი მეფე გაგზე მოსულ თურქებს გაეგება დიდი ჯარით. მდინარე ეკლეცზე მოეწივნენ უკან დახეულ მტერს „გარნა უქმ იქნნა ესევითარი ძლევად განმზადებულება: ანტაკარა ექნეს ვიეთ-ნიმე დიდებულთა განნი ვიდრე სადაკეთა დაჭერადმდე, ხოლო უფროსლა ვარდან კოლონკელის ძე, რომელსა მას ჟამსა ერისთაობაც ეპყრა ჰერეთს, კაცი დღითა მოვ-წჯსებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი"... (მდ. 376—377).

მეფეს შურით დაუშალეს შებმაო და მეფეც დაყვა მათ ნებასო... ეს იყო 60-იან წლებში.

ვარდან კოლონკელის ძე ჰერეთის ერისთა-ვი.

ჩანს, შემდეგ გვიანაც მსჯელობდნენ ამ ფაქტის გამო და დიდე-ბულებს (მათ შურს) აბრალებდნენ საქმის წარუმატებლობას (და შემდეგ მარცხსაც).

მაგრამ შესანიშნავი ისაა, რომ დიდებულები ხელთაა ომის გაგრძელება თუ შეწყვეტა, ხოლო მათი სურვილები ყოველთვის როდი ეთანხმება საქმის საქვეყნო ინტერესებს... გიორგი მეფეს, ეჭველია, მწარედ ახსოვდა ეს ფაქტი... (წ. ისტ ანბ, ფ. 62).

გიორგი II-ს დავითიანთ მუდმივი ყივჩაყთ ჯარი არა ჰყავს... მას ჰყავს მონა-სპა და საჭირო შემთხვევებში გადმოჰყავს „ოვსნი" და სხვა მთეულნი. საქართველოს მოსახლეობა ახლა ახალი ყივჩაყების მოყვანა-დასახლებას ვეღარ აიტანს. ხალხი გამრავლებულია, ქვეყა-ნა მჭიდროდ დასახლებული. ცარიელი დომენები არ არის. ამიტომ მუდმივი ტერიტორიული ლაშქრის შექმნა, როგორც ეს დავითმა მოაწყო, შეუძლებელია. დავითის მიერ მოყვანილი ყივჩაყები უკვე „შეეძინა ქრისტეს", ე. ი. გაქართველდნენ და არა მარტო სარწმუ-ნოებრივად, არამედ სოციალურადაც ისინი ისეთივე საბატონყმო სისტემით მოეწყვნენ, ეჭვეველია, როგორც ყველა სხვა იყო მოწყო-ბილი. რა თქმა უნდა, ესენი სახასო ყმები იყვნენ, მაგრამ ის ეკონო-მიკური მოვლენები, რომლებიც თავისუფალ მიწისმოქმედთ და წვრილ აზნაურთ ადიფერენციირებდა — ნაწილის გლეხებთან მიახ-

ლოებით (დაბეგრილი მსახურები) და ნაწილის აღზევებით—ასევე ზეწოქმედებდა ამ ყიჩაყებზეც და მათ დაპირისპირებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კლასებად ჰყოფდა. ამიტომ გიორგი III-ს ჰყავდა მ ო ნ ა-ს პ ა და ფეოდალური ჯარი. უკანასკნელი რიცხვმრავალი იყო და გადამწყვეტი მნიშვნელობისა. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ მეფე იძულებულია დამორჩილდეს ფეოდალების სურვილს, რომელთაც ომი არ სურთ შემოსეულ თურქებთან, მიუხედაკად იმისა, რომ მისი სურვილი სულ სხვაა და მიუხედავად იმისა, რომ იცის, ფეოდალები აქ ერთმანეთის მტრობა-ქიშპით მოქმედებენ.

საინტერესოა ფეოდალების კადნიერება: ჩანს, ისინი გრძნობენ, რომ დიდი ძალა შესწევთ, როცა ბედავენ მეფის ცხენის სადავის დაჭიდებამდეც კი მივიდნენ. საინტერესოა აგრეთვე, რომ ასეთი რამ ხდება „ერთმანერთის შურით". ჩანს, ეს ბრძოლა, თუ მას მეფე მოიგებდა, მეტად სასარგებლო იყო ფეოდალთ ერთი წყებისათვის და მეორისთვის კი არა, ეს ფრიად საინტერესო მოწმობაა ფეოდალური სახელმწიფოს სისუსტის გამომმჟღავნებელი. ფეოდალი მსჯელობს არა „სახელმწიფოს" ინტერესებით, არამედ კერძო, ფეოდალის ან ფეოდალთა ჯგუფის ინტერესებით (²/₁₇, 13).

მთელ ამ საქმეში „არა დ ი დ ე ბ უ ლ ი, არა ა ზ ნ ა უ რ ი, არა ვარგი (var. კარგი) და საცნაური (var. ad. კაცი), ა ზ ნ ა უ რ ი ს ყ მ ა ცა დაუკლებელ იქმნა მათ ლაშქართა შინა თჳნიერ ერთისა ჯვარისა მტვირთველისა და ერთისა ბედითის კაცი აზნაურის კიდე"... (მდ. 380).

ომში მონაწილენი: დ ი დ ე ბ ე ლ ი. ა ზ ნ ა უ რ ი. ა ზ ნ ა უ რ ი ს ყ მ ე ბ ი. უკანასკნელნი იყვნენ ორი კატეგორიის: 1. ვარგი და საცნაური, 2. ჩვეულებრივი. ვინ იყო ეს უკანასკნელი, არ ვიცით... იყვნენ ესენი გლეხები? საეჭვოა. „აზნაურის ყმა" იყო წურილი ერისგანნი „ვარგი" და „საცნაური" და მარტივად „ყმა" (ან შეიძლება ასე იყოფოდა: „ყ მ ა" და „ვარგი" ან საცნაური „ყ მ ა"? (²/₁₇, 14).

ლორედან გიორგის უკუქცევის დროს „არა დიდებული, არა აზნაური ა რ ა ვ ა რ გ ი (ქ ცა: კარგი) დ ა ს ა ც ნ ა უ რ ი (ქ ცა: add. კ ა ც ი) ა ზ ნ ა უ რ ი ს ყ მ ა ცა დაუკლებელ იქმნა მათ ლაშქართა შინა თჳნიერ ერთისა... ბედითის კაცის აზნაურის კიდე" (მდ. 380).

მოლაშქრე ყველაა აქ ჩამოთვლილი, გლეხი არ ჩანს, ის არ ლაშქრობს (³/₃₃, 491).

ანისის საკითხი გადაწყდა. ის ყმადნაფიცობის პირზე მიეცა „თვსსავე მემამულესა". თურქებთან ზავი ჩამოვარდა „ეამ რაოდენმე".

გიორგი მეფე ერთობოდა, ნადირობდა და „სუფევდა და სუფევითა ულუმპიანითა და ვინაითაგან უღონო იქმნეს ლ ა შ ქ ა რ ნ ი და დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ამის სამეფოსანი, მკადრებულნი ეტყოდეს ესრეთ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისაჲ თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა"! და მომსმენელმან ამისმან მეფემან წ ა რ ს ც ნ ა ზ ა ვ ნ ი დ ა ფ ი ც ნ ი შ ი ნ ა და ესრე სახედ ილაშქრა"... (ისტ. აზმ. 65).

ამ ადგილის უმართებული ინტერპრეტაცია ხშირად გვხვდება. თეორია n+1... ერთი კი უეჭველია: მ ე ფ ე „ ლ ა შ ქ ა რ თ ა" და „დ ი დ ე ბ უ ლ თ ა" ნ ე ბ ი ს ა მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ა: ამავე დროს საყურადღებოა, რომ ლაშქრობის დაწყების წინ მეფემ წარსცნა ზ ა ვ ნ ი დ ა ფ ი ც ნ ი შ ი ნ ა". ცხადია, რაკი ასეთი ღონისძიება საჭირო ხდება, „შინა", ე. ი. თ ვ ი თ ს ა მ ე ფ ო შ ი ზ ა ვ ი ა რ ა ა და დიდგვარიან-დიდებულები ურთიერთს მტრობენ. შეიძლება კი არ ომობენ, მაგრამ უთუოა, რომ ერთიმეორეს არა ნ დ ო ბ ე ნ და მ ე ფ ე ა წ ე ს რ ი გ ე ბ ს მ ა თ ურ თ ი ერ თ ო ბ ა ს — ფ ი ც ი თ ზ ა ვ ს ა დ ე ბ ი ნ ე ბ ს მ ა თ... (წ. ისტ. აზნ., ფ. 32).

მეფემ ზავი შეკრა მეზობლებთან 1163 წელს. ორი წელი იყო ზავი. მეტის მოთმენა ვერ შეძლეს დიდებულებმა და ლაშქართა. ისინი „ უ ღ ო ნ ო" იქმნენ და მეფეს „ჰკადრეს": „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა", მეფემ „უსმინა" და ისინი მეზობლებს შეუსია... მაგრამ ისე კი, რომ „წ ა რ ს ც ა ზ ა ვ ნ ი ღ ა ფ ი ც ნ ი შ ი ნ ა" (მდ. 382).

რას ნიშნავს ყოველივე ეს? იმას, რომ სიღარიბე იყო? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ იმას კი ნიშნავს მაინც, რომ რ ბ ე ვ ა დიდებულთა ბიუჯეტში საგრძნობი „სტატია" იყო. დიდებულთა საბუთი იქამდის სარწმუნო ყოფილა, რომ მეფემ „უსმინა" მათ. სანამ ომს გამოაცხადებდა, მან „წ ა რ ს ც ნ ა ზ ა ვ ნ ი დ ა ფ ი ც ნ ი შ ი ნ ა". ჩანს, შიგნით არეულობა ჰქონია... შესაძლებელია, თვით ესეც იყო მიზეზი ლაშქრობის განახლებისა მეზობელთ მიმართ. აკი თამარის მეორე ისტორიკოსი ასეთ მიზეზს აშკარად ასახელებს. ისიც არაა

გამორიცხული, რომ დიდგვარიანნი არა მარტო ურთიერთ შორის იბრძოდნენ, არამედ მეფის წინააღმდეგაც... აკი 1163 წლის ომი მეფემ სწორედ იმით წააგო, რომ ერთმა ქართველმა დიდებულმა მაჰმადიანობა მიიღო და თავისი ჯარით ომში მყოფ ქართველებს ზურგიდან დაეცა... კოლონკელის ძეც სხვებთან ერთად ასევე „ანტაკრა ეჭმნეს მეფესა“ და მოსაგები ომი დაუშალეს... ცხადია, გიორგი III-ის დროს შექმნილია და მომზადებული უკვე ისეთი პირობები, რომ, ადრე თუ გვიან, უნდა იჩინონ თავი და შესაფერი გამოხატულება პოვონ. ყოველად ძლიერი დიდგვარიანი დიდებულნი ომსა და რბევას შეეჩვევნენ. მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ნ ი დ ი დ ზ ე დ ი დ ი აქვთ... ომი ადვილად უჩანთ! წინააღმდგომნი არავინაა. სარგებელი კი ომს ფ-დი მოაქვს მათთვის: საქონელი, სამკაული, ტყვე (უკანასკნელი „ყმების“ დასამორჩილებელი საშუალებაა...). ომის შემოსავალს მოკლებულნი ისინი ყმებს უნდა დაეწვნენ, რომელთა ყოფა არც თუ ისე სახარბიელოა და არც თუ ისე ადვილად დაიდებენ „საუდიერსა“ (მ ი წ ი ს ს ი ვ ი წ რ ო ვ ე ა — „მიწა ერთი, კომლი ორი“), საპატრონო და სამოყველეო-სახელმწიფო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი, ნაწილობრივ ფულად კომუტირებული, მიწაზე დასხმულ ტყვეთა კონკურენცია. მეფეს დაქირავებული ჯარი არა ჰყავს მცირე რიცხვ მონაპას გარდა. დიდგვარიანნი დიდებულნი, გარე ომს მოკლებულნი, ერთიმეორეს ებრძვიან... მართალია, გიორგი ძლიერი მეფე ჩანს. მაგრამ ეს მ-სი პირადი უნარის ნაყოფი უფროა, ვიდრე ობიექტური მდგომარეობისა... უკანასკნელი ისეთია, რომ ის, ადრე თუ გვიან, მეფეს (აბსოლუტისტური ტენდენციების მქონეს) დაამარცხებს და ისეთ სამეფოს შექმნის, სადაც მეფესთან ერთად ფეოდალებიც თანაზიარ მეფობისა იქნებიან (ი ხ ი ლ ე მ ე ფ ი ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა) (2/17, 15).

1167 წელს საქართველოში მოვიდა ანდრონიკე კომნენი. მეფემ „დაუდგნა საჯდომი სიახლესა საყდრისა თუსლისასა პირისპირ მამის დის ნულისა მისისა აღსართანისასა, რომელი მეფე იყო შარვანისა და ზღვის პირისა დარუბანდით ხილხალამდის... ესე შარვანში შემოეხეცწა ოდესმე დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან“. (ბდ. 384). მეფე აბხეიდრდა დარუბანდელზე, მოაოხრა, აიღო შაბურანი, მოარბია ბასიანის ქვეყანა. შ ა ბ ურ ა ნ ი უ ბ ო ძ ა „დისწულსა მ-სსა შარვანშეს“ (385).

გიორგი აქ თვით ღალატობს თვითმპყრობელობის პრინციპს და მას, ჩანს, სხვა რიგად არც შეუძლია. საგარეო მიმართულებით ისეთ

პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც, უეჭველია, მისი საშინაო პოლიტიკის ძირითად გეზს ეთანხმება — რომ ადრე თუ გვიან სენიორალური პრინციპი უნდა გაბატონდეს სახელმწიფოს როგორც შიგნით, ისე გარეთ. ანისი მან მისცა „მემამულესა“ და ითაყვანა. შარვანიც ასევე მისცა „მემამულესა“, რომელიც ასევე ყმად ნაფიცი იყო. ის ვერ ი ე რ თ ე ბ ს ა ხ ა ლ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს... ა მ ა რ ც ხ ე ბ ს კ ი მ ტ რ ე ბ ს. მისი ბრძოლები უფრო რბევა-ალაფს ისახავენ მიზნად, რაც სრულიად ეთანხმება გალალებულ დიდგვარიანთ ინტერესებს. ახალი ქვეყნების შ ე მ ო ე რ თ ე ბ ა, ჩანს, არ შედის ფეოდალთა ინტერესებში. მეფეს ამათ გარეშე კი არაფერი ძალუძს, რადგან მათვე ეყრდნობა. ამ მხრით თამარისდროინდელი „შემოერთებანი“ დვინისა, ნახჭავნის მხარისა და სხვ. იყო უმთავრესად იმ ფეოდალების საქმე, რომელნიც ამით უშუალოდ დაინტერესებული იყვნენ (ივანე, ზაქარია). თუმცა ნამდვილი შემოერთებანი აქ არც ყოფილა, არამედ დაპყრობილის ბოძება ამა თუ იმ სახლზე. მხოლოდ კარი იყო უშუალოდ შემოერთებული (2/17, 16).

დროდადრო გიორგი „სპათა და სპასალართა“ გზავნის მეზობლების სარბევად, რომელნიც „მიუწიის ნახჩავნის კარამდის, ოდესმე მასისამდის და ღაღვამდის ოდესმე ბარდავამდის და ბალყუნამდის. ამას ესევითარსა მარჯუებასა ზეობასა (var. გამარჯვებასა და გაზეებასა შინა) განამრავლნა საჭურჭლენიცა და დადვა თუთ მისით მონაგები და მისთა ტყუეთაგან მონაგები (ნატყვენავთაგან მოგებული) ციხესა შინა უჯარმოსასა“ (მდ. 385).

ახალ საჭურჭლეში გიორგის ო რ გ ვ ა რ ი მონაგები უწყვია: ერთი ნატყვენავთაგან მოგებული და მეორე თვით მისითა მონაგები. საინტერესოა, რას გულისხმობს ავტორი ამ მეორეში. ერთი ცხადი უნდა იყოს. რომ აქ ომის შედეგად მიღებული ქონება არ იგულისხმება, არაფერ სხვა და ისიც თ ვ ი თ მ ი ს ი თ ა მ ო ნ ა გ ე ბ ი (2/17, 17).

გიორგი გამუდმებით არბევს მეზობელ ქვეყნებს.

„განამრავლნა საჭურჭლენიცა და დადვა თუთ მისით მონაგები და მისთა ნატყვენავთაგან მოგებული ციხესა შინა უჯარმისასა“... მის დროს „ს ა ნ ა დ ი რ თ ა ქ ო რ თ ა დ ა ძ ა ღ ლ თ ა ს ი მ რ ა ვ ლ ე დ ა ს ი ტ უ რ ფ ე დ ა მ ო კ ა ზ მ უ ლ ო ბ ა ა რ ა ო დ ეს. ვ ი ს გ ა ნ ქ ნ ი ლ ა დ ა ა რ ცა წ ი ა ღ ი მ ა რ თ ყ ო ფ ა დ ა რ ს. ა მ ა ს ე ს ე ვ ი თ ა რ ს ა ს რ უ ლ ყ ო ფ ა ს ა დ ა ს ა წ ე-

თ რ ო თ ა გ ე მ ო თ ა შ ი ნ ა ქ ც ე ვ ა ს ა მ ო ი წ ი ფ ა“ მისი ძმისწულიო (მდ. 381, 386). („კარის გარიგებიდანაც ვიცით, რომ გიორგიმ დიდებულთათვის ვერცხლის ჯაჭვი შემოიღო სალმასურის მსგავსი). აი, ეს იყო მოყმეთა იდეალი. ბრძოლა-ლაშქრობა-რბევა-მოსმურობა-სინდიდრე ფლანგვა. მართლაც და, თუ მოსაგები ომები არა, ასეთი ლაშქრის შენახვა-რჩენა ქვეყანას არ შეეძლო. გ ე მ ო თ ა შ ი ნ ა ქ ც ე ვ ა ი ს ე მაღლა იყო ასული, რომ გლეხებისა და ხელოსნების ადგილობრივი ნაწარმოები მათ არ ეყოფოდათ, არც აკმაყოფილებდათ. ეს ყოო რაინდების ფლანგვა. იქ ბუნებრივია და აუცილებელი „პასიური ბალანსი“ (3/79, 96).

დემნა მოიწიფა. და „შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მ ი ს მ ი ე რ შ ე უ რ ი ს ხ დ ა ღ მ ე რ თ ი ო რ ბ ე ლ თ ა და ყოველთა ტომთა და მ ი მ დ გ ო მ თ ა მათთა: ს ა მ ც ხ ე ლ თ ა, ჰ ე რ თ ა, კ ა ხ თ ა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მ ს მ ე ნ ა რ ი მათდა იყო. იქმნა განდგომაჲ, ბრძოლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი“... (ისტ. ანბ. 67).

ს რ უ ლ ი ა დ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა ა. ვინ იყვნენ ორბელთა ეს მ ი მ დ გ ო მ ნ ი და მ ს მ ე ნ ა რ ი, ე. ი. იმავე დემნას გამეფების მოღვაწენი. რა ესაქმებოდათ სამცხელთ, ჰერებს ან კახებს ორბელთა ინტერესებთან? რა ამოქმედებდათ, რომ სისხლს არ ერიდებოდნენ და ეხოცებოდნენ მეფის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში? უეჭველია, მათ საკუთარი ინტერესები ამოქმედებდათ და ეს ინტერესები ორბელთა ინტერესებს ძირითადად ეთანხმებოდა... ამიტომაც იყვნენ ისინი „მიმდგომნი“ და „მსმენარნი“ აჯანყებულ დემნა-ორბელთა. მაგრამ როგორი იყო პოზიციები ამ აჯანყებულთა? ამ საკითხს თითქოს ნათელს ჰფენს მოვლენათა შემდგომი განვითარება: გიორგი მეფემ ბრძოლა მოიგო, ერთგულნი დააწინაურა და ესენი აღმოჩნდნენ უგვარო-უხანონი... მაშასადამე, ბრძოლა მიმდინარეობდა ძირძველებსა და უხანოებს შორის... (წ. მდ. ფ. 34).

დემნა მოიწიფაო, აქებს, რომ ის იყო „ყ ო ვ ლ ი თ ა კ ე ლ ი თ ა მ ა რ ჯ ვ ნ ა ს წ ა ვ ლ ი“, მაგრამ დაეუფლა მას „უ შ ი შ ო ბ ა ჲ ღ მ რ თ ი ს ა და გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ი თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ჲ ს ჯ უ ლ ი ს ა ჲ“. ეს კი მას მოსდგამდაო, „ვინაჲთგან დავითცა, მამამან მისმან, ღ ა ლ ა ტ ს ა და გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ე ბ ა ს ა შ ი ნ ა მ ა მ ი ს ა თ ვ ს ი ს ა დ ე მ ე ტ რ ე ს ს ა ა მ ო ს წ ყ ვ ი დ ნ ა ა მ ი ს

საჴეფოჲსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“ (მდ. 386).

ფეოდალებს შინაკლასობრივი ბრძოლა აქვთ მეფის კარზე პირველობისათვის, უფლისწულებს ეკედლებიან და კარზე უთანხმოებას ხელს უწყობენ, ტახტის მაძიებელთა მხარეზე დგებიან, დასებსა ქმნიან. მწვავე და დაუნდობელ ბრძოლას, საგულისხმოა, ღრმა სოციალური საფუძვლები უძევს. ეს საფუძველი ტომობრივი იერის მატარებელი კი არაა, როგორც ეს, ვთქვათ, სეფიანთა შაჰების კარზე, არამედ, საბოლოო ანგარიშით, კლასობრივი ბრძოლის გამოძახილია გაერთიანებულ (წინაბურჟუაზიულ) ქვეყანაში (წ. მდ., ფ. 33).

დემნა უფლისწული მოიწიფა. „დავითცა მამამან მისმან ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა თჳსისა დემეტრესსა ამოსწყვდა ამის საჴეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია ქმნით, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებით“ (მდ. 386).

ეჭველია, დავითის მიერ ამოწყვეტილი დიდებულნი — ეს იყვნენ გიორგისა და დემეტრეს მომხრენი. ქიშპი და მოდასეობა ფეოდალთ შორის საჴეფო პრეტენდენტების ყოლაში სახიერდებოდა: დიდებულნი ცდილობენ ესა თუ ის მეფე დასვან. ბაგრატი და დემეტრე; გიორგი და დავითი; დავითი და დემეტრე; დემეტრე და დავითი; დავითი და გიორგი; გიორგი და დემნა; ...ულუ დავით-ნარინ ‘ავით. რა თქმა უნდა, ბაგრატ-დემეტრეს მომხრე დიდებულთ დასები დიდად განსხვავდებიან დავით-დემეტრეს მომხრე დასებისაგან, ისე როგორც ამ მეფობათა რაობა ურთიერთისაგან, მაგრამ პრინციპში, ხარისხობრივად ეს მოვლენები ერთნაირია. თითოეული მათგანი ფეოდალურ საფუძველზე გაშლილი მოვლენაა და მიზნად ისახავს დიდებულთა „გაკელმწიფებას“ მეტის თუ ნაკლების სისრულით. პრეტენდენტები („კანდიდატები“) ეს საშუალებაა საამისო. რა თქმა ღნდა, ამ პრეტენდენტებსაც აქვთ „თავისი“ ხაზი, ზოგს — მეტი, ზოგს — ნაკლები, მაგრამ საერთოდ მათი „ხაზი“ ამ დასების რაობით განისაზღვრება. უძლიერესი და ყველაზე დამოუკიდებელი მათ შორის — დავითიც კი იძულებულია ქედი მოიხაროს სინამდვილის წინაშე. სინამდვილე კი მაშინ დიდი მემამულეობა იყო (2/17, 17).

დემნა-ორბელნი აჯანყდნენ. მეფე გიორგიმ ისინი ლორეს ციხეში შეამწყვდია. და აჯანყებულებს „წამოუვიდა სარგის მკარ-

გრძელი, შვილითა და ძმისწულითა მისითა. ძმაჲ და საყუარელი ორბელთაჲ“... (ისტ. აზმ. 67—68).

მჯარგრძელები (ქურდვაჭრის ხეველი აზნაურები) სარგებლობენ ორბელთა მარცხით და აღზევებას ცდილობენ ორბელთა ხარჯზე, რასაც მართლაც მიაღწიეს უფრო გვიან.

გიორგი მეფემ სარგის მჯარგრძელი „შეიყუარა და შეიტკბო... და მისცა მისანდობლობაჲ გუარის-შვილობისა მისისაჲ“ (68).

ასე რომ, სარგის მჯარგრძელს უკმაყოფილების საბუთი არა ჰქონია... ეს აზნაურები მაინცდამაინც ძირძველობას ვერ დაიჭადებდნენ (თუმცა ლეგენდით თავის გვარს დიდად აძველებდნენ და აკეთილშობილებდნენ). ორბელებიც მათივე ხნისანი იყვნენ—XII საუკუნეში წამოწეულნი (თუმცა ესენიც ბაღვაშ-ორბელიანობით აძველებდნენ თავიანთ გვარს). გვართა ეს დაძველება იმის მოწმობა იყო, რომ იდეური საყრდენი ძირძველობის მხარეზე იყო. და რომ ახალკაცობით, „ბიჭობით“ და უხანობა-ულგვარობით ბრძოლა არ შეიძლებოდა, რომ ახალკაცები ძველ ფორმაში თავსდებოდნენ, რომ ჯერ საიმისო პირობები არ შექმნილიყო, რომ „გვარიშვილობა“ შერეულიყო... „ცუდია გვარიშვილობა“ (ნ. მდ., ფ. 35).

გიორგი მეფის ერთგული ჯარის წინააღმდეგ „მოვიდეს ჰერეთის ერისთავი დაყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა“... (მდ. 388).

აჯანყებულები დამარცხდნენ. „გრიგოლ ასათის ძე ფიცხლა დაიკარგა ომსა შინა... შეიპყრეს ივანე ვარდანისძე, რომელი ითქუმოდა პირველითგანვე მთხრებლად მთხრებლისა და თანა შოთაჲ ცაძეა რთავაჩოს ძისაჲ. ესენი ვითარცა შინათაგამცემელნი განზრახ განგებითა ქელთ იპყრეს და წარმოსრულთა მოაჯახეს წინაშე მეფისა“ (388).

„გამოთქმები მთხრებლი მთხრებელისა და შინათგამცემელნი თითქოს მას მიუთითებენ, რომ ამ აჯანყების შემზადება კარგა ხანს ხდებოდა და დაპირისპირებული მხარეები კარგა ხნიდანვე ფორმდებოდნენ...

გიორგი მეფის წინააღმდეგ შედარებით ერთპირად გამოდიან ჰერები: „ყოველნი ჰერნი სრულთა ლეკითა და კავკასითა“.

ასე რომ, ამ აჯანყებისათვის სამზადისი დიდი ხნით წინ იყო წამოწყებული. რა მოტივები ამოძრავებდათ ამ მაღალ ფეოდალებს—დიდმოხელეებს: ამირსპასალარს, მეჯინიბეთუხუცესს, ქართლის ერისთავს, ჰერეთის ერისთავს და სხვებს გიორგი მეფის წინააღმდეგ?? (წ. მდ., ფ. 37).

აგარათა დაბანაკებულმა გიორგი მეფემ „გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხვანი თემისა და თემისანი: მესხნი, თორელნი, ქართელნი, სომხითარნი და თვთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა“ (ისტ. აზმ. 68).

ამ დროს მეჯინიბეთუხუცესი იყო ქავთარ ივანეს ძე, სპარსეთს რომ იყო ქართლის ერისთავ სუმბატის ძე ლიპარიტთან ერთად მივლინებული დეენა-ორბელთა ბიერ.

ცხადია, ორგული მოღალატე მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე მეფეს ჭიაბერით შეუცვლია, რომელიც მისი გაზრდილი იყო... გასაგებია, რომ მეფე თვით ამ აჯანყების დროს, ვიდრე ბრძოლა მიმდინარეობდა, ორგულ-მოღალატე მოხელეთა ადგილზე თავის მომხრე-ერთგულებს ნიშნავს. ამავე დროს შეცვალა მეფემ ალბათ ორბელი (ამირსპასალარი) ყუბასარით, ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ — რატი სურამელით და სხვ.

ამ აჯანყებისას არსად ჩანან ლიხთ იქითნი (ამას კი საკითხის გასაგებად არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა), მაგრამ არც აღმოსავლეთ საქართველოსანი გამოდიან ერთ პირად: სამცხეში, ქართლში, სომხითში, თორში ორივე მხარეს ჰყავს მომხრე-მოწინააღმდეგენი... (წ. მდ., ფ. 36).

გიორგი III-მ, „მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა“ (მდ. 388).

„ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ ხშირად გვხვდება: კარი ამა თუ იმ ციხე-ქალაქის სახელის დართვით (სამშვილდის კარი, ანისის კარი და სხვა...). ზემო მაგალითიდან ცხადია, რომ კარი აქ ციხე-ქალაქის მისადგომებს (სანახებს) ნიშნავს და არა საკუთრივ კარებს.

ლორედან სპარსეთს მიავლინეს აჯანყებულებმა „ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთ უხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი ესე

გიორგისგანვე იყუნეს ჴელისუფალნი და ანანია დვინელი“ (მდ. 389).

ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, აქაო და ღაღრობა არ ისო, რომ ქართლის ერისთავი და მეჯინიბეთუხუცესი „გიორგისგანვე იყუნეს ჴელისუფალნი“.

მართლაცდა უცნაურია. რა უნდა ყოფილიყო ისეთი მიზეზი, თუ არ ღრმა უკმაყოფილება გიორგი მეფის პოლიტიკით? (წ. მდ. ფ. 38).

„დაუღონოვდეს ლორესა შინა მდგომანი. დემეტრე გარდამომბმელი საბლისა გარდამოჴდა ციხისაგან და მომართა თავისაცე ბიძასა და ამირსპასალარი და სხუანი, რომელი დარჩეს გამოასხეს...“ ლორე გამარჯვებულმა მეფემ დაიჭირა. „წარმოვიდა და ურჩთა დამტერთა მისთა შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“ და ნაჭარნამაგევს იშვებდა და იხარებდა „შემრისხველი მტერთა მისათა“ (var. თჳსთა არა მიაგო მსგავსად მისაგებელისა მათისა, არამედ შენდობით და წყალობით ჰსწვართნა და რომელნიმე ექსორია ყენა უცხოთა ჴუეყანათა“). (389—390).

ვარიანტული ჩვენება საინტერესო და სინამდვილესთან უფრო ახლო უნდა იყოს. და ის სრულიად არ ეწინააღმდეგება პირველის მოწმობას, აჯანყების მონაწილეთაგან გიორგისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ადმინისტრაციული ზომებით აქ ვეღარაფერს გახდებოდა... საჭირო და გონივრული იყო შეკრული ფრონტის დაცალკევება, უდანაშაულესთა თავიდან მოცილება (სიკვდილით, ექსორიით), სხვების კიდევ პატიება დანაშაულის, ხოლო დანარჩენის წვრთნა და შეწყალება. ასეც მოქცეულა ის (²/₁₇, 18).

აჯანყება დამარცხდა. „მეფემან აიღო ლორე და დაიჭირა თავისა თჳსისათჳს“ (მდ. 390).

საინტერესოა, რომ არავის მისცა ლორე, მაშ ყუბასარს ლორე (და ამირსპასალარობაც?) უფრო გვიან მოუღია... (წ. მდ., ფ. 39).

ის ფაქტი, რომ ეკლესიის საქონებელს შეუვალობას ანიჭებენ, რომ ეკლესიის მსახურთ ათავისუფლებენ (დავითი), რომ შეუვალი საქონებელი ეკლესიის შესავალად უქცევია (გიორგი II) სამეფო ხელისუფლებას, საკმაოზე მეტი მოწმობაა იმისა, რომ

საერო საქონებელი (მთავრების, დიდაზნაურების) აგრეთვე შესაფალი იყო... (წ. ქცა, ფ. 4).

აჯანყების ჩაქრობის „მ ე ო რ ე ს ა წ ე ლ ი წ ა დ ს ა“ გიორგი მეფემ, „ნ ა ჭ ა რ მ ა გ ე ვ ს შ ე მ ყ რ ე ლ მ ა ნ შ ჯ დ თ ა ე ე ს ა მ ე ფ ო თ ა მ ი ს თ ა მ ა ნ“, მოიწვია დედოფალი ბურდუსან და თამარი და „მეფე ყ ო თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა ყ ო ვ ე ლ თ ა პ ა ტ რ ი ა ქ თ ა და ებისკოპოსთა, დ ი დ ე ბ უ ლ თ ა ი მ ი ე რ თ ა და ამ ი ე რ თ ა, ვ ა ზ ი რ თ ა და ს პ ა რ ს ა ლ ა რ თ ა და ს პ ა ს პ ე ტ თ ა. და დაისუა მარჯვენით მისსა მეფე და დედოფალი“ (მდ. 390—391).

მეფემ, ბუნებრივია, საგანგებოდ მოიწვია ყ ვ ე ლ ა დიდებული და ხელისუფალი, ე. ი. ერისთავები, ვაზირები და სხვ. და მათი თანდასწრებით („თანადგომით“) მეფედ დასვა თამარი. ეს დიდებულ-ხელისუფალნი აჯანყების ასე მკაცრად ჩახშობის შემდეგ, ბუნებრივია, მეფის ერთგულნი იყვნენ (ან კიდევ თავს ერთგულად აჩვენებდნენ)...

ახლად დასმული თამარის წინაშე ეს გულგახეთქილი დიდებულები — „მ დ ი დ ა რ ნ ი ე რ ი ს ა ნ ი ლ ი ტ ა ნ ი ო ბ დ ე ს წ ი ნ ა შ ე პ ი რ ს ა მ ი ს ს ა“ (391).

მეფე, უეჭველია, გრძნობდა, რომ ეს დიდებულნი ყველანი გულწრფელნი როდი იყვნენ და ამიტომაც, თვით მეფე, „მ ა ფ ი ც ე ბ ე ლ ი ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათვის“, ცრემლით ღმერთს ავედრებდა თამარს. ისე ჩანს, რომ გიორგი მეფემ საგანგებო ზომები მიიღო ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ... (წ. მდ., ფ. 40).

„ქართლის ცხოვრების“ 396 და 404 გვერდებიდან,[1] საფიქრებელია, რომ ვაზირად თამარის მეფობის დასაწყისშიაც კი მსოლოდ ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესი იწოდებოდა...

თუმცა გვ. 370, 373 და 391 გვაფიქრებინებენ წინააღმდეგს.

ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო უნდა მოწმობდეს იმას, რომ სწორედ ამ დროს, ე. ი. თამარის ისტორიკოსის ხანაში ხდება გავაზირება სხვა ხელისუფალთა. მას ესმის, რომ ვაზირი უპირატესად ეწოდება მწიგნობართუხუცესს. ამავე დროს, ცხადია, რომ სხვებიც გავაზირებულან (3/29, 100).

---

[1] ავტორი „ქართლის ცხოვრების“ 1906 წ. გამოცემას გულისხმობს.

გიორგის გარდაცვალებისას „შემყრელთა შვიდთავე ამის სამეფოსა“ მოახსენეს რუსუდანს, რათა მოაჯსენოს თამარს მათი ნება და სურვილი: დაჯსნას გლოვა „ჰელეოს ჰელეითა მეფობასა და კურთხევითა გვირგვინოსანთ ყოფად აღვიდეს და ამაღლდეს და დაჯდეს საყდარსა თჯსთა მამათასა ...და მან დაიპყრნეს კიდენი ქუეყანისანი... დედოფალმან უბრძანა და მოახსენა თამარსა მეფესა და დედოფალსა...“ (მდ. 398—399).

გიორგი გარდაიცვალა. თამარის მდგომარეობა ორჭოფელია. დარბაზი მეფედ კურთხევას მოახსენებს ერთხელ უკვე მამის მიერ ტახტზე აყვანილს. ეს უკვე იყო რეაქციის ნიშნები: დიდებულებმა აღადგინეს მეფის კურთხევის ძველი წესი, რომელიც, საფიქრებელია, დავითის დროიდან აღარ იყო მიღებული.

თამარი იძულებული იყო დამორჩილებულიყო (3/26, 31).

მეფე გარდაიცვალა. დიდებულები შეიყარნენ. თამარი, ახალგაზრდა ქალი, თუმცა მეფედ დასმული მამისვე მხნეობაში, რა მეფედ დასაჯენია. ეს ხომ ყოველად უჩვეულო რაღაც იყო.

დიდებულთა წინაშე მძიმე ამოცანა იდგა. თითქოს ხელსაყრელი მომენტი დამდგარიყო იმისათვის, რომ ფეოდალებს, ქართველებსა თუ სომხებს, ქვეყნის განხეთქის ტენდენცია გამოვეცხადებინათ.

მაგრამ ასეთი ტენდენცია არსად ჩანს. ქართველები თუ უცხოელები (მაგრამ უკვე გაქართველებულები), ძველი დიდგვარიანები, მსახურეული სახლები თუ უხანოები და უგვაროები ურთიერთშორის დაუნდობლად იბრძვიან, მაგრამ არავინ ფიქრობს ქვეყნის პოლიტიკურ დაშლაზე და მხოლოდ წესწყობილების ვარგისიანობა-უვარგისობაზე მსჯელობენ.

„შეყრილთა“ გადაწყვეტილება სწორედ ასეთი მსჯელობის შედეგი უნდა ყოფილიყო...

დამახასიათებელი მომენტია საშუალო საუკუნეების ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის დროისა და მის შემდგომ ისტორიოსებს მეფის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნიათ „განხეთქილებისა კრძალვანი“ (დავითის ისტორიოსი) და მეფის დამსახურებად მიაჩნიათ, თუ მან დაიცვა ქვეყანა განხეთქილად[2]. ისე ჩანს, და მართლაც ასე

---

[2] ავტორს მიუწერია: „ამონწერე მაგალითები“!..

იყო, რომ გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის წინაშე სულ მუდამ იდგა საფრთხე ქვეყნის პოლიტიკური დაშლისა... და, მართლაც, ახლად გამოვლილი პოლიტიკური ამბები, რომელიც ის-ის იყო მინელდა (იგულისხმება ცალკე სამეფო-საგთავროებად გამოყოფის ცდები), ყველას კარგად ახსოვდა, ხოლო სეპარატიზმის საფუძველი ფეოდალურ ქვეყანაში სულ მუდამ არსებობდა და მეტ-ნაკლების ენერგიით ხან აქ წამოიჭრებოდა და ხან იქ...

დამახასიათებელია, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ დიდგვარიანებმა ქვეყნის განხეთქაზე კი არ იფიქრეს, არამედ უგვაროთა განდევნაზე ქვეყნის მართვისაგან. ჩანს, მათ ქვეყნის განხეთქა სასურველად არ მიაჩნდათ, რაც გაერთიანების შედარებით მოწიფულობას მოწმობს. ყ უ თ ლ უ ს პ რ ო გ რ ა მ ა ხ ო მ კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ა კ ა ნ ო ნ ე ბ დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს...

არც შემდეგ ჩანს განხეთქისადმი მიდრეკილება: ლიხთიქით გიორგი რუსი ტახტზე დასვეს, მაგრამ უმალვე თბილისისაკენ ილაშქრეს, რომ გაერთიანებული ქვეყნის ბატონ-პატრონნი შექმნილიყვნენ.

ერთადერთი შემთხვევა განხეთქისა — ეს იყო გუზან ტაოსკარელის მიერ ვაშლოვნის გატანა და სელჯუკთა მხარეზე გადასვლა, მაგრამ ზაქარია ასპანის ძემ საკადრისი პასუხი გასცა სეპარატისტ მოლალატეს... (წ. მდ., ფ. 43—45).

რუსუდანმა „უბრძანა და მოახსენა თამარსა მეფესა და დედოფალსა და მორჩილებდა პირველსავე ბრძანებასა აწ კ ა დ რ ე ბ უ ლ ს ა დ ი დ ე ბ უ ლ თ ა და შ ვ ი დ თ ა ვ ე მ თ ა თ ა ს ა და მსმენელი ჰაჯისა ძალითასამე დამორჩილ იქმნა აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა პაპეულთა (var. და ძლით მორჩილ ექმნა ბრძანებასა განმზრდელისა თჳსისასა და შვიდთავე სამეფოთა თჳსთაგან, ზრაზვითა და გამორჩევითა, ძლით დაარწმუნეს აღსვლად და „ამაღლებად საყდართა და საჯდომთა მამა პაპურთა)“ (მდ. 399).

როგორც არ უნდა შესწორდეს ტექსტის აქა-იქ ბუნდოვანი ადგილი, ერთი მაინც ცხადია: თამარის მეფედ დასმაში დიდებულებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. თამარი მამის მიერ უკვე აყვანილი იყო ტახტზე „თანადგომითა“ „დიდებულთა“ „შვიდთავე სამეფოთა“. მიუხედავად ამისა, გიორგის გარდაცვალების შემდგომ დიდებულნი უცხადებენ რუსუდანს: „ვინათგან ვხედავთ ყრმასა. თამარს

ბონებითა არა ყრმებრივითა“ და სხვ. როგორი შერბილებითაც არ უნდა აიხსნას ეს ტექსტი, დიდებულთაგან აქ მათი უფლების დემონსტრაცია უდავოა. თუნდაც რომ საკითხი მხოლოდ რეგენტის არსაჭიროებას შეეხებოდეს, სულ ერთია, ამისი გადაწყვეტა დიდებულთა საქმე არ იყო...

ძლიერი მეფე გარდაიცვალა. მემკვიდრე ქალია, რეგენტიც ქალია. დიდებულებს სწორედ დრო აქვთ თავიანთი უფლება, რაც, მათი აზრით, მიტაცებული აქვთ მეფეებს, გამოიმეღავნონ, ხორცშესხმული ყონ... ამ მხრივ „მეფის კურთხევის წესი“, ჩვენამდის მოღწეული, ნეტად საინტერესოა. მართალია, მოღწეული რედაქციით ის შემუშავებულია რუსუდანის შემდგომ, მაგრამ თავისი შინაარსით ის სავსებით უდგება ასეთ წესს... (2/17, 20).

თამარი მეფედ აკურთხეს.

„ვინაჲთგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გურგენსა თავსა სამეუფოსა, აწუ-ეს მონაზონი ღირსი და მადლით შემოსილი, მთავარებისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირის ძე მიღებად გურგენისა და ცალკერძ კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისაჲ და სრულყვეს მოკელეთა სუიანთა და დიდებულთა კარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღებაჲ და დადებაჲ ჯრმლისაჲ“ (ისტ. აზმ. 74).

აკად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა სწორია, რომ აქ ძველი წესი, აფხაზთა მეფის დროის წესი, მოქმედებს და არც ერთი ფეოდალური სახლი აღმოსავლეთ საქართველოდან ამ დიდმნიშვნელოვან ცერემონიალში ნაგულისხმევი არ არის... ეს კი ამ დროისათვის შეუფერებელი გარემოებაა: აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალები ამ დროს უკვე დიდი მნიშვნელობის ძალაა და განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის შემდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან[3].

ასე რომ, ამ საკითხში ფეოდალების ქიშპი ბუნებრივია. მაგრამ მეფის ხელისუფლებას სხვა მხრით მიჰყავდა საქმე: არც დასავლეთის და არც აღმოსავლეთის ფეოდალური სახლები, არამედ ვაზირები...

ბრძოლა მეფის კურთხევის წესის გარშემო ნიშანდობლივია[4].

---

3 ავტორი იქვე შენიშნავს: „შეისწავლე ბაგრატ III-დან მოკიდებული ეს საკითხი!“

4 ავტორი იქვე შენიშნავს: „ნახე ბაგრატ III-დან ვიდრე აქამდე რა ჩანს“.

თამარის ბეისტორიის კონტექსტი ისეთია, რომ საეჭვებელია, ძირ-ძველები ძველი წესის აღდგენას ცდილობენ და ახერხებენ კიდევაც. მაგრამ რა საინტერესო უნდა ყოფილიყო ეს ძველი წესი ქართლ-კახეთის თუ მესხეთის ფეოდალებისათვის? თუმცა მისი შეცვლა აგრე ადვილად არ შეიძლებოდა, ცოცხალი თავით ლიხთიქითის ძირძველები ამ თავის პრივილეგიას არ დათმობდნენ.

არც სამეფო ხელისუფლებისათვის იყო დიდად საჯურველი ძირძველების ამ პრივილეგიის ახალი სახლებისათვის გადაცემა. მისთვის სასურველი ერთი იყო, რომ ხელისუფლების გადამცემი, მაკურთხეველ-დამლოცველი ყოფილიყო მამა-მეფე, კათალიკოსი და კარი (სავაზირო)... და თუ აქ თამარის გამეფებისას აღმოსავლეთელები პროტესტს არ გამოხატავენ, იმიტომ რომ აქ ბრძოლა ძირძველების წინააღმდეგ უიმედო იყო და არც საერთო ფეოდალურ რეაქციულ ხაზს ეთანხმებოდა: საერთო მტერი იყო დასამარცხებელი — მეფე ახალკაც-უხანოებით... (წ. ბდ. ,ფ. 47).

თამარის კურთხევა. „ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გურგენსა თავსა სამეფოსა. აწუიეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი... ანტონე საღირის ძე მიღებად გურგენისა და ცალის კერძისა კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკუერისა“ (მდ. 400).

ვახუშტი სრულიად მართალია, როცა თაკვერს ქვეყნის სახელს თაკვერის ციხიდან მიღებულად ჰგონებს. ასევე იყო რაჭაც, რაჭის ციხიდან (ნიკორწმინდიდან).

რაჭის ერისთავი — ეს იყო რაჭის ციხე-ქალაქის და მისი შესავალის ერისთავი, შემდეგ, რაც უფრო ერცელდებოდა ეს შესავალი, საერისთავო ტერიტორია (=„რაჭა“) ერცელდებოდა. საეჭვებელია ამიტომ, რომ ძველად იყო თაკვერის ერისთავი ცალკე. ამის გამოსახულებაა ქვეყანა თაკვერი. თუ არა ასე, მასაც რაჭა უნდა შერქმეოდა (3/14, 313).

„ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გურგენისა თავსა სამეფოსა, აწუიეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი... ქეთათელი ანტონე საღირის ძე მიღებად გურგენისა და ცალის კერძისა. კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკუერისა და სრულყუეს მოკელეთა სუიანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთა მოღება და და-

დება ჯრმლისა“ (მდ. 400), იქმნა სიხარული... „თაყუანისცეს დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისთავე სამეფოსათა და დაიპყრა ჟამიერად თჳთოეულმან თჳსი ადგილი“ (400—401).

ეს წესი არის აღდგენა რაღაც ძველი წესისა, რომელიც შეიძლება ადრე ხანია აღარც არსებობდა. ის შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ დავითის დრომდის. საინტერესოა, რომ აქ არც ერთი არაიმერელი არ მონაწილეობს სრულ მყოფელთა რიცხვში, რაც მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს წესი იქ შემუშავებულია. საინტერესოა, რომ ეს ძველი წესი არ შეუსწორებიათ და ამერელი არ შეუყვანიათ ცერემონიაში. მეორე მხრით, ეს სრულიად არ უდგება მეფის კურთხევის წესს, სადაც ამირსპასალარს გარკვეული ადგილი უჭირავს ცერემონიაში. აქ კი ის არცა ჩანს. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ ამირსპასალარად ნაყიჩაყარი ყუბასარი არ იყო ძველგვართთაგანი. ამ მხრით რაჭის ერისთავი კახაბერი იყო, რომელიც ორბელთა შტოს წარმოადგენდა და უძველესიდან მხედართმთავრობა მათი სახლისა იყო... საინტერესოა, რომ არც მხარგრძელნი ჩანან აქ... ერთი სიტყვით, ეს არის დემონსტრაცია უძველესი გვარებისა... (²//₁₇, 21).

თამარის სანის საქართველო

ორი მიმართულების ბრძოლა საშინაო პოლიტიკაში: ბიუროკრატიული-ცენტრალისტური მონარქია თუ დეცენტრალისტური ფეოდალური მონარქია.

დავით II-ისა და თამარის ეპოქის საშინაო პოლიტიკის დაპირისპირება.

დავითი — საეკლესიო კაპიტალის იდეალების განმახორციელებელი: თბილისი (პრივილეგიები მუსულმან ვაჭრებს). დავითის ფულის არაბული წარწერა. გზებზე ზრუნვა. ქარავასლები. ხიდები. **ცენტრალისტური** მონარქია. ფეოდალების ალაგმვა. ორბელთ (ლიპარიტიანთ) ექსორია. კლდეკარის დაპყრობა მეფის მიერ.

შესაფერისი საგარეო პოლიტიკა: ქვეყნების შემოერთება. **შემოერთებული ქვეყნების** მართვა მოხელეთა საშუალებით.

ბიუროკრატიული აპარატის ზრდა-გაძლიერება. მისი სიმბოლო პუოინდიდელი.

თამარის დროს განდგომა-აჯანყებანი. ბიუროკრატიული მონარქიის მარცხი. ეკლესიის ორი მიმართულება. მონაპირეთა სისტემა.

ა თ ა ბ ა გ ი. (მისი შემოღება).

ა თ ა ბ ა გ ი და ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი.

შესაფერისი საგარეო პოლიტიკა — სამეფოთა ა ღ დ გ ე ნ ა ($^3/_{29}$, 104).

„გააზნაურდეს ქუეყნისა მოქმედნი“ — რატომ არა თქვა „გააზნაურდეს გლეხნი“. იმიტომ, რომ გლეხებზე აქ არ არის საუბარი. აქ ლაპარაკია იმ წრეზე, რომელიც ქვეყანას ამოქმედებს (ე. ი. მიწას ამუშავებს) და რომელთაც გააზნაურება შეუძლიათ თუ კი ქონებას შეიძენენ, ე. ი. ისინი პირადად თავისუფალნი არიან და მართლაც რომ აქ ეს გამონათქვამი ეკონომიკური წარმატების გამოა ნახმარი...

აქედანვე ჩანს, რომ აზნაურობა ქვეყნის მოქმედებას **in principe** არ მისდევდა. მისი საქმე ლაშქრობა და პატრონის ხლება იყო. მაშინ, როცა გლეხის საქმე „მიწყიე მუშაობა“ იყო („ბუშა მიწყიე მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს“...)

საინტერესოა, რომ „ქვეყნის მოქმედის“ სახელი (უეჭველია ძველი სახელია) შერჩათ ამ თავისუფალთა ფენას, რომლისაგან აზნაურებიც გამოვიდნენ და გლეხებიც (თუ მთლად არა, ნაწილი მაინც. ე. ი. ქვეყნის მოქმედი ნაწილი „გლეხებს“ აერია, ნაწილი—„აზნაურებს“). „ქვეყნის მოქმედი“ და „წურილი ერი“ უძველესი სახელებია მათი ($^3/_{29}$, 105).

ახლად გამეფებულმა თამარმა „იკსნნა მოვალენი ვალთაგან, მისცა ობოლთა, ქურივთა კმასაყოფელი მათი და ჰ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა განქორწინებად ობოლთა მათთა“... (მდ. 404).

„ჰ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა“ თითქოს უფლებაზე უნდა მიგვითითებდეს და არა მხოლოდ ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. ვალი, ჩანს, ობოლთა და ქვრივთა დამონების წყარო შექმნილა. მიწა „პატრონისაა“, „ყმა“ გარდიცვლება და მისი ოჯახი პატრონის მოვალედ რჩება. „ყმობა“ არ შეუძლიათ, არც „გლეხობა“ შეუძლიათ. ვალში ვარდებიან. ვ ა ლ ი, ჩ ა ნ ს, ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ა შეუძლებელ მოვალე ყმის ოჯახს პატრონი არ ეხსნება — მოახლეობას მოუნდომებს. ეს „დ ა მ ო ნ ე ბ ა ს“ უ დ რ ი ს. თამარი ცდილობს გაღარიბებულ „ყმებს“ ეს დამონება ააცდინოს. ის მატერიალურად ეხმარება მათ და უფლებასაც აძლევს შეუძლებელ მოვალეთა განქორწინებისას. როგორც არ უნდა გავიგოთ ტექსტი, ერთი ცხადია: ყ მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა შ ი ნ ე ლ ი დ რ ო შ ე ქ-

მნილა. დავალიანების ნიადაგზე მათი დამონება ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარა (3/29, 111).

მას შემდეგ, რაც მოჯელეთა დასმა დიდებულთა და ერისთავთა ერთნებობითა და თანადგომით ხდება, ცენტრალური ხელისუფლების საქმე წაგებულია და ფეოდალიზაციას ვეღარაფერი დააკავებს. თუ აქამდე ერისთავობა იჩენდა ძლიერ ტენდენციებს სამემკვიდრეოდ ქცევისას, ამიერიდან ასეთი ტენდენციები აღმოჩნდება და გატარდება კიდეც დიდებულთ მიმართაც... დიდებაც პატრონყმობის თვალსაზრისით იქნება განხილული და მისი ფორმულა კი არის: სანამ ერთგულია, არ ჩამოერთვას...

ფეოდალური საზოგადოების ეს გაბატონებული პრინციპი აქაც, საჯარო მოხელეობაშიაც, გამოყენებული იქნება. დარბაზის შედგენილობა ამის სრული გარანტიაა. და, მართლაც, თამარის დროიდან ყველა საკარო ხელი მასთან დაკავშირებული დიდებით საშვილიშვილოდ შერჩათ მიმღებთ. იშვიათად თუ ვისმეს ჩამოერთმეოდა ის... ერთადერთი იყო მწიგნობართუხუცესობა და ესეც იმიტომ, რომ ის ერისკაცს არ ეძლეოდა და მამულთან დაკავშირებული არ იყო... (3/29, 118).

მეორედ ტახტზე აყვანილმა თამარმა გასცა საბოძვარი... „და იესნნა მოვალენი ვალთაგან და მისცა ობოლთა ქურივთა ელმწიფობა განჭორწინებად ობოლთა მათთა და ღონიერ ყუნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი“ (მდ. 404).

საყურადღებოა, რომ არც ერთი მემატიანე ერთსა და იმავე დროს აგრე ხშირად არ აღნიშნავს სიმდიდრეს და სიგლახაკეს, არც ერთი მემატიანე ასე ხაზგასმით დიდ საქმეთ არ უთვლის ამა თუ იმ მეფეს ქვეყნის მოქმედებას, გლახაკებზე გაცემას, როგორც თამარის ყველა მემატიანე... უდავო ხდება, რომ ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობით წამოჭრილა სიღარიბე-სიმდიდრისა, სესხისა და ვალის საკითხები და ყველა ეს, უეჭველია, დაკავშირებულია და წარმოდგება იმ გაცხოველებული ურთიერთობიდან, ამ დროისათვის რომ შემოშავდა ქართულ სინამდვილეში. დავალიანება, როცა ის მასიურ ხასიათს ატარებს, ან კიდევ სიგლახაკე — შედეგი შეიძლება იყოს როგორც უკულტურობა-ჩამორჩენილობის, აგრეთვე განსაზღვრული საწარმოო ურთიერთობის. სამეურნეო ჩა-

მორჩენილობაზე ლაპარაკი ამ დროს შეუძლებელია: საქართველო წინა აზიასთან ერთად მოწინავე კულტურული ქვეყნების ფერხულში იყო ჩაბმული... **ამიტომ დავალიანებასიგლახაკ სულ სხვაგან უნდა ეძიოთ: სახელმწიფო საწარმოო ურთიერთობაში...**

სწორედ ამ დროს... „იწყეს რომელიმე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა შესაქმე და დიდებულთა ეიეთმე ქელისუფალთა ყველს ფიცი ესრეთ ვიარმედ აღარ ვეგებით ძველთა ქელისუფალთა და გაბგებელთა საქმისათა ფარმანს ქუეშე მყოფნი ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გარეულნი ვართ და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ განრულ ვართ უგუაროთა და უკმართაგან“... (მდ. 404—405).

მიზანში ამოიღეს „...ერთგული და კარგი მოყმე“... „გაზრდილი პატრონთაგან“... „ამირსპასალარი და მანდატურთხუცესი“... „ყუბასარ“... და „აწვიეს“ მოღებად ყოველისა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა“, მაგრამ თამარმა მხოლოდ ლორე და ხელისუფლება ჩამოართვა: „...ყუალად აფრიდონ აზნაურისა ყმობისაგან ღთი მბაძობთა მიიწია კაცქნილი და მსახურთუხუცესობამდის და თმოგელსა სახლთა და ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის აღზებული მოიშალა და დაიმხო ნებითა და თნებითა ლაშქართათა“ (406).

კომენტარები აქ გრძელი იქნებოდა... ერთი უნდა შევნიშნოთ: ყუბასარ ახალმოყვანილ ყიეჩაყთაგანი კი არ არის, არამედ „პატრონთაგან გაზრდილი“, ე. ი. აქ დაბადებული ნაყიეჩაყარის შვილია. ის კარგი მოყმე და ჭაბუკია. ე. ი. რაინდული წესი სრულიად შეთვისებული აქვს. უეჭველია, ის იმ „მონათაგანია“, რომელნიც მეფის სიმტკიცეს შეადგენდნენ. აფრიდონი ჩამომავლობით აზნაური არ არის. ის აზნაურის ყმაა. ის არც წვრილი აზნაურია. ასეთი რომ ყოფილიყო, ბემატიანე აღნიშნავდა და არც იტყოდა „აზნაურის ყმობისაგან ღის მბაძაობითა მიიწია კაცქნილი“. ამ სიტყვებით მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს აფრიდონის დაბალ სოციალურ წარმოშობას. მით უფრო საინტერესოა ეს ფაქტი... დიდგვარიანთ გაიმარჯვეს, Homo novus-ები დაამხეს და „ქელისუფლობისა და დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“. აქ უკვე სრული მარცხია ცენტრალური ხელისუფლებისა. დიდგვარიანნი „ურთიერთ ეზიდებიან“ ხელისუფლებისათვის, რომელიც მათ ბრძოლით მოიპოვეს და ხელისუფლება ამაში არც კი ერევა... ყო-

ველ შემთხვევაში, ხელისუფლებას ის უფლებაც კი სადაეოდ გაუხდია, რომ თვით აირჩიოს ამ დიდებულთა წრიდან ხელისუფალნი. აქაც, არჩევანშიაც, ისინი მონაწილეობენ (2/17, 24).

როცა თამარის ისტორიკოსი ყუთლუ არსლანის შესახებ ამბობს სპარსთა წესზე ლაპარაკობს, ის სპარსეთში ამ დროს არსებულ მრავალ მთავრობას გულისხმობს, სადაც სულთანთა უფლებანი მიტაცებული ჰქონდათ ათაბაგებს და ამირებს. თვით სულთანთა დასმა-გადაგდება ამ ამირებისა და ათაბაგების ხელში მოექცა. სულთან მასყუდის შემდეგ (+1152) რვა წლის განმავლობაში ოთხი სულთანი გამოიცვალეს, სანამ უძლიერეს ამირთაგანის (ათაბაგის) ილდიგიზის აღზრდილი და მისი მორჩილი არსლან იბნ ტოღრილი არ იქნა არჩეული ამ ემირის წყალობით. „სპარსთა წესი" ისტორიკოსის ენაზე ეს არის მეფის უფლების შესუსტება და ხელისუფალთა გაძლიერება—ბრავალმთავრობა, რაც აგრე არ მოსწონს მას და რომელსაც ყოველგვარი ბოროტების მიზეზად ხდის (წ. მდ., ფ. 8).

„და ესეცა უცხო მოსაგონებელი (var. ad. და დიდად განსაკვირვებელი) ყუთლუ არსლან ცხოვარმან იჯორისსახრონ (?) მყოფელმან ვერ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკვარება და თქუა მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისა (var. ჯორის სახედ ორგონებამან) და დაუდგრომელმან წესს ზედა თჳსსა ვითარ ჩვეულება აქუს ყრმათა ადრე აღზუაებად სიდიდისა[5] მიერ და უფროსღა გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე მომღებ იქმნა წესსა რასმე სპარსთა გონება მაღლობისასა და სილაღით ქცევისასა" (მდ. 406).

აქედან ცხადია: ყუთლუ არსლან გვარით უაზნოა — „ბიჭია"—, სიმდიდრით აღზევებული[6], ის გიორგის ერთგულთაგანია და მეჭურჭლეთუხუცესია. საინტერესოა, რატომ დიდგვარიანნი მისი უაზნობის წინააღმდეგ არ ამხედრდნენ?? პირიქით, მას იმედი აქვს, რომ ამირსპასალარობასაც მიიღებს... მომხრენიც ბევრი ჰყავს... და თუ ეს ყველაფერი იმით აიხსნება, რომ ის დიდვაჭართა წრიდანაა, ეს მეტად მნიშვნელოვანია იმის აღსანიშნავად, თუ რა დიდი მნიშვნელობისა იყო მაშინ დიდვაჭრობა და

5 ნ. ბერძენიშვილი ასწორებს: სიმდიდრისა,

6 შენდეგში ნ. ბერძენიშვილმა ამ საკითხზე აზრი შეიცვალა. იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, VII.

დიდვაჭრები როგორც ცენტრალური ხელისუფლებისათვის, აგრეთ-
ვე დიდგვარიანთათვის...

„და ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა
საგოდებელისასა და დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი
მიცემის და მიღებისა წყალობისა და შერისხვი-
სანი (var. მუნ შიგან თავის უფლებით მსხდომარენი, რათა მივ-
ცემდეთ და მივიღებდეთ, რომელთამე ვრისხვევდეთ და რომელთამე
ეწყალობდეთ ამას ესრეთ) ეჰკადრებდით და ვაცნობებთ თამარ მე-
ფესა და დედოფალსა მაშინ და (var. და მუნღა) სრულ იქმნე-
ბოდეს განგებული ჩუენი...

ესე ვიეთ საწყენელ იყო დასასრული ჴელმწიფობისა პატრონი-
სა მიმცემელი ესრეთ იწყინა და გაიკვრა და გაიგონა უკლებელმან
გონებითა და საუნჯემან სიბრძნითა და მოიღონ ჴელით გდება თავი-
სა მის მოქმედთასა და თანამზდელ მყოფელმან (იძია ღონე შემს-
გავსებული სიბრძნისა მისისა, რათამცა ჴელთ იგდო მოქმედნი ამის
საქმისანი განიზრახა) ერთგულთა და საკუთართა
მისთამან (თჳსთა და) შეიპყრა ყუთლუ არსლან მეპურჭლეთ-
უხუცესი და აწ თავის ამირსპასალარად და სომეხითის სომეხ-
თა (var. თავით თჳსით ამირსპასალარად და სომეხთ) მეფისა ად-
გილსა ლორესა დაჯდომად განმზადებული" (მდ. 406—407).

„გაფიცულთა და ყუთლუ არსლანის მიმართ თამარმა მკაცრი ზო-
მების მოხმარება განიზრახა. ამას ურჩევდნენ ერთგულნი და
საკუთარნი მისნი. მაგრამ, როცა აღმოჩნდა, რომ ყუთლუს
მომხრე დასი უმრავლესი იყო და საქმეს სახიფათო ბოლო უჩანდა,
მან დაყვავების გზა აირჩია. გაფიცულებთან მანდილოს-
ნების მიგზავნა და არა იმ მოდასეებისა, რომელთა განზრახვით
მეფემ ყუთლუ შეიპყრო, უკვე დამარცხებას ნიშნავდა. საინტერეს-
სოა ყუთლუ არსლანი: ის ამირსპასალაროობას და ლო-
რეს პატრონობას აპირებს. უეჭველია, ის ახალი აღზე-
ვებული არაა... წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნე-
ბოდა დიდგვარიანთა მისდამი მხარის დაჭერა... ის, უნდა ვიფიქროთ,
შედარებით ახალგაზრდაა, ისე როგორც, ეთქვათ, ნახარგრძელები...
ისე რომ, მისი უაზნო ჩამომავლობა ახსოვთ და ამას გახაზავს ჩვე-
ნი მემატიანე, რომელიც, მიუხედავად მეფის მოდასეობისა, უარყო-
ფითად არის განწყობილი ამ უაზნოთადმი. ყუთლუ არსლანს იმე-
დი აქვს ამირსპასალარობა მიიღოს. ის ამისთვის „განმზადებულია",
ამას არც მალავს და მომხრეებიც ჰყავს. ჩვენ კი ვიცით, რომ დიდ-

გვარიანთ „ზიდვა“ გაუჩნდათ ამ ხელის გამო ყუბასარის დამხობის შემდეგ. ამ „ზიდვის“ მონაწილე ყუთლუც არის. როგორც ჩანს, ყუთლუს აქ მოწინააღმდეგენიც ჰყოლია, რომელთაც თავისთვის სურდათ ეს „ხელი“. ისინი უეჭველია ყუთლუს უაზნობას წამოაყენებდნენ, რის ანარეკლიც არის ჩვენი ისტორიკოსის განცხადება. ნაგრამ ყუთლუს მოდასეების სიძლიერე ამტკიცებს, რომ ასეთ უაზნობას ფეხი მაგრად ჰქონია მოკიდებული... თუ აფრიდონ-ყუბასარის წინააღმდეგ დიდგვარიანთ უმრავლესობა იყო გაერთიანებული — მათთანვე უნდა ყოფილიყო ყუთლუ არსლანიც: მათი ნამემკვიდრეების ხელში ჩაგდებას ლამობს. ყუთლუ არსლანის წინააღმდეგ იგივე არგუმენტი — უაზნობა — უკიდურესობას ნიშნავდა: ერთობ ბევრი იყო ასეთი უაზნო (წარმოშობით). XII საუკუნე ამ უაზნოთა აღზევების ეპოქა იყო. ასეთი გალაშქრება მთელი საუკუნის შენამოქმედართან სოციალურ ბრძოლას გულისხმობდა (ეს ჯნდოდათ თამარის მეორედ მაკურთხეველთ) და, რა თქმა უნდა, დიდებულთ შორის აქ თანხმობა ვერ იქნებოდა... ყუთლუ არსლანი უფრო ლიბერალური და მოწინავე იყო, ვიდრე მისი მოწინააღმდეგენი... იმის მიხედვით, თუ ვის ხვდა ამირსპასალარობა, ცხადია, რომ ყუთლუს წინააღმდეგ მხარგრძელნიც მოქმედებდნენ, მიუხედავად მათი ახალგვარიანობისა...

„და ვითარცა ცნეს ესე (ყუთლუს დაპატიმრება. — ნ. ბ.) ლაშქართა ფიცთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად გამოუვლობისაჲ და უკეთურობისათა (var. მის თანაშემწეთა და თანაშეფიცულთა მისისა მის უკეთურებისა და უგზოდ განზრახულობისა-თა) შეიყარნეს და უკუაგდეს (var. ad. თამარს სახიერსა და ბრძენსა). დადგეს (var. ყვეს) ახალი სიმტკიცე ყუთლუ არსლანის გაშეებულობისა არა მშვების მეტყველნი (var. სიმტკიცე და ფიცი, რათა ყუთლუ არსლან გააშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისსა, და) განემზადნეს ისანი საცა შემობმად (var. შემოდგომად)“ (მდ. 407).

ეს უკვე პეტიცია კი არ იყო, ერამედ მთელი აჯანყება და აჯანყება პოლიტიკური. ნოდასენი წინასწარ შეფიცულან და ურთიერთის გაუწირველობის გარანტია შეუქმნიათ. ჩანს, კარგად ესმოდათ სიმძიმე მათი პოლიტიკური აქტისა. იცოდნენ, რომ უბრძოლველად საქმე არ დასრულდებოდა. ისინი მზად არიან უკიდურესი ზომებისათვისაც. მეფის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლაც კი გადაწყვეტილი აქვთ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. თამარი, ჩანს, ვერ გრძნობდა თავს აგრე ძლიერად, ამიტომ ძალთა შეტაკებას გონიერულად

მოერიდა (უნდა ვიფიქროთ, მეფის პოზიციის უდავო მომხრენი სუსტნი იყვნენ...). მას იმედი ჰქონდა შეთქმულთ შორის არსებული უთანხმოებისა. იქ კი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ბანაკი იყო, უკიდურესი რეაქციონური და პროგრესული. მათი შეთანხმების საფუძველი მეფის ხელისუფლების შეზღუდვა იყო, მაგრამ მიზნები სხვადასხვა ჰქონდათ. რეაქციონერებს ძველის დაბრუნება სურდათ (სენიორალური წყობის აღდგენა). ამას, მართალია, არ გამოთქვამდნენ, მაგრამ საქმე აქეთკენ მიჰყავდათ, პროგრესულ დასს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა უნდოდა, ცენტრალისტური, მთლიანი სახელმწიფოს მომხრე იყო (ეს Homo novus-ები თვით იყვნენ პროდუქტი ამ ახალი სახელმწიფოებრიობისა). თამარის მეფობის ძლიერება და საქართველოს ერთიანობის სიმტკიცე მთელი ორი საუკუნის სიგრძეზე ის საფუძველი იყო, რომელზედაც წარმოიშვა ეს ახალი დასი... ყუთლუ არსლანის პროგრამა ნაწილობრივ განხორციელდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო ამ დასთა ინტერესების სხვადასხვაობით მოხერხებულად ესარგებლა და საკითხი კომპრომისით დაესრულებინა: ერთობ „უაზნოები" დაემხვნენ, დარბაზის ერთნებაობა და თანადგომა აუცილებლად იქნა აღიარებული... საბოლოოდ არც ერთი იყო კმაყოფილი, არც მეორე (დარბაზის ერთნებაობა „თავისუფლებით" კი არ ხორციელდებოდა, — ისინის კარავში, — არამედ მეფის სასახლეში და მეფის თანდასწრებით...). მაგრამ იმდენი დათმობა კი იყო, რომ მოდასეების კავშირი შესუსტებულიყო და მეფის ხელისუფლებას თავი ხიფათისაგან გადარჩენილად ეგრძნო.

ყუთლუ არსლანის პროგრამის განხორციელება ამიერიდან დროის საქმე იყო... თუ ქვეყნის საგარეო და საშინაო გართულებანი არა, თუ ქვეყანა განვითარების იმ ტემპით წავიდოდა წინ, დასაწყისი ისეთი იყო მოცემული (დარბაზის სახით), რომ ყუთლუს პოლიტიკური პროგრამის განხორციელება შესაძლებელი ჩანდა... მაგრამ XIII საუკუნე (და შემდგომი) სწორედ უკიდურეს რეაქციონერთა სასარგებლოდ მუშაობდა:

ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითება, ბატონყმობის საბოლოო ჩამოყალიბება სენიორალური რეჟიმის აუცილებლობას გულისხმობდა... ყუთლუ არსლანის პროგრამის განმახორციელებელი პიროებები საბოლოო ანგარიშით ბატონყმობის გაქრობას გულისხმობდა (ეკონომიკური განვითარება, გამოსყიდვა, თავისუფალი გლეხები...). ისე როგორც თვით წარმოიშვნენ ცენტრალური ხელისუფლე-

ბის სიძლიერისა, ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებისა და ერისგანთა თავისუფლების ნიადაგზე...

საქართველო რომ X—XI ს-ში ბატონყმური ყოფილიყო საესებით, რომ ერისგანნი და წვრილი აზნაურნი თავისუფალნი არ ყოფილიყვნენ, საქართველოს გაერთიანებაც შეუძლებელი იქნებოდა... (²/₁₇, 24—26).

თამარს ღმერთი შველის... და „წარმგზავნელმან[7] ორთა საბატიოთა დედოფალთა დედოფალმან (var. მაშინ თამარ მშვიდმან და მშვიდობის მეძიებელმან წარავლინნა ორნი საპატიონი დიოფალნი) რომელი იყო ერთი ხვაშაქი ცოქალ დედა ქართლისა ერისთავთა ერისთავისი[8] რატისი და ერთი კრავაი ჯაყელთა დედა აწ მყოფთა სამძიეართა უბრძანა ფიცით მონდობა და სხუისა არავისი ბრალობა და მოჰყუეს დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანი სცეს. ემალთა (ყმათა?) აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ (var. პირი) ერთგულობისა და ნების მყოფლობისა მათისა“ (მდ. 408).

[აქედან ცხადია: ყუთლუს მოდასეები დიდებულნი ყოფილან. აკი თვით ყუთლუც დიდებული იყო. თამარს არც ყუთლუ დაუსჯია. მისთვის, როგორც ჩანს, „ჯელი“ ჩამოურთმეიათ. შეთანხმება მომხდარა ორმხრივ დათმობებზე და ორმხრივ ფიცის ნიადაგზე].

თამარ ამის შემდეგ „კუალად დაჯდა“ და „პირველად გარდაცვალებისა და გამოჩენასა შინა ო რ თ ა ვ ა ზ ი რ თ ა და სპასპეტთასა თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა და ე რ თ ნ ე ბ ა ო ბ ი თ ა (var. add. შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა) ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად მწიგნობართა უხუცესად ვაზირად გაზრდილივე მამისა მათისა ბრძენი და გონიერიპატრონთათჳს სვიანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა (var. რუმიანც. გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ მეფისა, ანტონი გლონისთავის ძე...) და გააჩინა ამირ სპასალარი სარგის მჯარგრძელი კაცი გ უ ა რ ი ა ნ ი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა ჭაბუკობათა და უბოძა ლორე სათავადო და ს ა მ თ ა ვ რ ო სომხითსა შინა და წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა და ითაყვანა დ ა რ ბ ა ზ ი ს ყმად უხუცესმან უმცროსი შვილი მისი ივანე...“ (მდ. 409—410).

---

7 გამოცემაში: წარგზავნილმან.

8 გამოცემაში: ერისთაეთა ერისა. ნ. ბერძენიშვილი წერს: ე-ევისი.

ორი ვაზირი — მწიგნობართუხუცესი და ამირსპასალარია... უნდა ვიფიქროთ, მირიანის ძე გარდაცვლილა, რომ მიტაცებული მწიგნობართუხუცესობა გათავისუფლებულია. საინტერესოა, რომ ამირსპასალარობა, რომლისთვის გამზადებული იყო ყუთლუ არსლან, სარგის მეხარგრძელს მისცეს ერთნებაობითა. ისტორიკოსი სპეციალურად ხაზგასმით აღნიშნავს მის გუარიანობას და ჰაბეკობითა შინა ზრდილობას. მაგრამ მაშინ ვინ არ იცოდა, რომ მხარგრძელი მაინცდამაინც ძველი გვარის წარმომადგენელი არ იყო. თვით ეს ფაქტი, რომ ისინი აგრე რიგად ცდილობდნენ თავისი გვარის genealogia შექმნან, სწორედ წინააღმდეგს მოწმობს. მაგრამ, თუ მაინცდამაინც ძველი არა, დიდგვარიანი მაინც იყო მხარგრძელი. ყუთლუ არსლანი, ჩანს, მხარგრძელებზე უფრო ახალი გვარისა იყო, ნაკლებ მსახურეული... (2/17, 27).

თამარმაო „პირველად გარდაცვალებისა და განოჩენასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა თანადგომითა და ერთნებობითა (შეიდთავე სამეფოთა დიდებულთათა) ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად მწიგნობართუხუცესად და ვაზირად გაზრდილივე მამისა მათისა (ანტონი გლონისთავის ძე)... და გააჩინა ამირსპასალარი სარგის მეარგრძელი...“ (მდ. 409).

დარბაზი. მისი შედგენილობა დიდებულნი, ერისთავნი...

ყველა სახელმწიფო ხელი გადასინჯული იქნა, ყველანი ახლად გააჩინეს. კარდინალური ცვლილება. ზოგი დატოვეს... (3/23, 29).

ამას ქვევით მოთხრობილია, თუ როგორ გააჩინეს მანდატურთუხუცესი, მეჯურჭლეთუხუცესი. მსახურთუხუცესი, ჩუხჩარეხი, ამილახორი. ცხადია, ესენი ვაზირები არ არიან. ვაზირი ჯერჯერობით ორია მხოლოდ: ჭყონდიდელი და ამირსპასალარი.

ლაკითის დროს ვაზირი იყო მხოლოდ ჭყონდიდელი (3/34, 254).

ხუვების გავაზირება — მანდატურთუხუცესისა და მეჯურჭლეთუხუცესისა შემდეგ მომხდარა თამარის დროსვე... (3/29, 116).

„...და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ უხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ყელთა მისთა და შთააცვეს ტანსა სალამანგი (var. საკრამანგი) და დასვეს სელებითა ოქროჭედილებითა რომელიმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით და კეალად უბოძა მეჯურჭლეთ უხუცესობა

სა და გვარიანსა კაცსა (var. add. კახაბერსა) ვარდანის ძესა და მსა-ხურთ უხუცესობა ვარდანს დადიანსა ჩურჩერა-ხობა მარუშიანსა ძესა ჩურჩერახისასა ვინცა მათ ორთავე შამა მომყსებელ ქმნულ იყუნეს და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხნა სასთაულთა და უბოძა ამილახორობა გამრე-კელსა თორელსა რომელი ამირ სპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის ნასარგებელისა" (მდ. 410).

ყუბასარის ნამემკვიდრეები ორად გაიყვეს ჭიაბერმა და სარგის მხარგრძელმა. ყუთლუ არსლანის შემკვიდრეობა კი „დიდსა და გუარიანსა" კაცსა კახაბერ ვარდანის ძეს ხვდა. აფრიდონის ნამემკვიდრეეც დიდგვარიანს ვარდან დადიანს უბოძეს... გამრეკელი ამილახორი, მარუშიანი — ჩუხჩარეხი... ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მმართველთა სრული გადახალისება მომხდარა „თანადგომითა და ერთნებაობითა" დიდებულთა. ასე რომ, სრულიად ესესურია ის აზრი, თითქოს საქმე მხოლოდ ორიოდ უგვაროს გადაყენებით გათავებულიყო. შეთქმულებს სრულიად გარკვეული გეგმა ჰქონდათ. მართალია, ის სავსებით ვერ განახორციელეს—ძალთა განწყობილება არ აღმოჩნდა მთლიანად მათი სასარგებლო—[სამი პოლიტიკური დასი ჩანს რეაქციონურ-ესნიორეალური, პროგრესულ-ფეოდალური, და ბიუროკრატიული. გადამწყვეტი ძალის არც ერთი არა ჩანდა...], მაგრამ ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს მიზანს. მეფის პოლიტიკა ფრიად გონივრული ჩანდა: ნაწილობრივი დაკმაყოფილებით ორივე მოდგმეს ინტერესები გათიშა. ამჯ იქით უკვე მათი გზები გაყოფილი იყო, მათი ინტერესები შეუთანხმებელი. რეაქციონერებს დაუჭერულობისაკენ ეჭირათ აფრა, პროგრესისტებს გაერთიანებაგანმტკიცებისაკენ (საეკლესიო კაპიტალისა და ახალი არისტოკრატიის ინტერესები). მეტად საინტერესოა, რომ ეს უკიდურესნი სწორედ დასავლეთ საქართველოდან არიან... კლარჯეთის, ტაოს, აჭარის და ხიხათა... და სხვა მრავალი?? (მდ. 410—411; $^{9}/_{53}$, 280).

„და ერისთავნი მის ყამისანი ესენი იყუნეს: ბარამ ვარდანის ძე სვანთა ერისთავი, კახაბერ კახაბერის ძე რაჭის ერისთავი, დოლადოს შარეაშის ძე ცხუმის ერისთავი, ამანელის ძე და ოდიშის ერისთავად ბედიანი და ლიხთამერით ქართლის ერისთავად რატი სურამელი და „კახეთის ერისთავად ბაკურ ყმა ძაგანის ძე, რომელმან მისტაცა

მძლავრობით და მორევით ს ა ღ ი ნ ო კ ო ლ ო ნ კ ე ლ ი ს ძ ე ს ა და მცირედ ეამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა და ჯელთ უდვა შვილსა მისსა გ რ ი გ ო ლ ს ჰერეთის ერისთავობა და სამცხის ერისთავად აჩინეს და სპასალარად ბ ო ც ო ჯ ა ყ ე ლ ი და სხუანი ჯელისუფალნი ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა შინა მდგომელი (var. წინაშე მდგომელნი) განაჩინეს წესისაებრ სახლისა (ახლისა!!) (მდ. 411).

ასე რომ, არა მარტო ცენტრალური, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა ვინაობაც კი გაუსინჯავთ... ხოლო შინაური ხელისუფალნი სრულიად ახლად განუჩენიათ **წესისამებრ ა ხ ლ ი ს ა. რომ სწორედ** ეს სიტყვაა აქ და არა „სახლისა“, იქიდან უნდა ჩანდეს, **რომ** თუ „წესისაებრ სახლისა“ იყო, მაშინ არც საჭირო იყო, **რომ** ისინი ე რ თ ნ ე ბ ა ო ბ ი თ გ ა ე ჩ ი ნ ა თ. ეს „წესისაებრ სახლისა“ ვერც იქნებოდა, რადგან დიდებულთა ერთნებაობით ხელისუფალთა გაჩენა აქამდის არც არსებობდა. თუ ვიფიქრებთ, **რომ** წესისაებრ სახლისა განაჩინეს, მაშინ გაუგებარი გახდება თვით ეს **გ ა ჩ ე ნ ა**. რა საჭირო იყო ახლად გაჩენა, თუ ეს „წესისაებრ სახლისა“ იყო. აქ ნოვატორებს რაღა ახალი შეეძლოთ შეეტანათ? — არაფერი. ამიტომ. ვფიქრობთ, წაკითხვა წესისაებრ i ახლისა სამართლიანი უნდა იყოს... და, თუ ეს წაკითხვა სამართლიანია, ეს მეტად მნიშვნელოვანი **მოწმობაა** იმისა, თუ რა ღრმა იყო ის პოლიტიკური ცვლილება, რომელიც **ამ** მოძრაობას შედეგად მოჰყვა. ისტორიკოსი — და მასთან ისინი, ჩანს, უფრო მწვავედ განიცდიან ხშირი მოლაშქრეობის სიმწვავეს და მისგან სარგებელს კი ამდენს ვერ ხედავენ — სიშორე, სახელმწიფო ცენტრის აღმოსავლეთში გადმოტანა, აღმოსავლეთის ურთიერთობაში ჩაბმა, — ეს რეაქციონური ნაწილი, როგორც ჩანს, არც **კომპრომისულმა** შეთანხმებამ დააკმაყოფილა და, თუ ჯერხნობით მიდუმდნენ, ეს იმიტომ, **რომ** პროგრესული ნაწილი მათ შემდგომ ზრახვებს უკვე მხარს აღარ დაუჭერდა... სამაგიეროდ, როგორც კი ღრო იხელთეს (გიორგი რუსი), მაშინვე აჯანყების დროშა ააფრიალეს. მაგრამ წააგეს და სხვარიგად არც შეიძლებოდა: სანამ XII საუკუნის ეკონომიკურ-პოლიტიკური მონაპოვარი საქართველოს ხელიდან არ გამოსცლოდა, მანამდის ეს ძალები, **რომ**ელნიც საქართველოს მთელი საუკუნით უკან მიეწეოდნენ, რა თქმა უნდა, ვერ გაიმარჯვებდნენ... (²/₁₇, 28).

„ე ერ ი ს თ ა ვ ნ ი თამარის ეამისანი ესენი იყუნეს: ბ ა რ ა მ ვ ა რ დ ა ნ ი ს ძ ე ს ვ ა ნ თ ა ე რ ი ს თ ა ვ ი, კ ა ხ ა ბ ე რ კ ა ხ ა-

ბერის ძე რაჭის ერისთავი, დოღათოს შარვაშის ძე ცხუმის ერისთავად, ამუნელის ძე (აქ აკლია. შეიძლება ყოფილიყო: გურიის ერისთავად. — ნ. ბ.) და ოდიშის ერისთავად ბედიანი (აკლია არგვეთის ერისთავი, — ნ. ბ.). ლიხთამერით: ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ერისთავად ბაკურუმა ძაგანის ძე, და Ꭾრეთისა ერისთავად გრიგოლის ძე ასათ. სამცხის ერისთავი ბოცოჯაყელი". უეჭველია, აქ ტექსტი დამახინჯებულია ან იმ მხრით, რომ აკლია, ან არადა უნდა იყოს, რომ ეს აქ დასახელებული ერისთავნი აჩინეს (როგორც ეს სამცხის ერისთავის შესახებაა ნათქვამი, და რასაც თითქოს მიუთითებს ტექსტში დაცული „ერისთავად").

თუ ეს არაა, გაუგებარია ერისთავთა რიცხვის ასეთი ნაკლოვანება, მით უფრო, რომ ტექსტის ასეთ ნაკლულოვნებას მხარს უჭერს ხელმწიფის კარის გარიგებაც. სად არიან სხვა ერისთავნი შავშეთის, ერთად ყველა, — კარგად ხედავენ, რომ ახალი წესი დამყარდა... ამ წესით კმაყოფილი საბოლოოდ არც ერთი მხარე არ იყო, ვინაიდან ეს წესი კომპრომისული იყო. სამივე მიმდინარეობა შეეცდებოდა შემდეგი განვითარება მიეცა თავისი პოლიტიკური ზრახვებისათვის. ყველაზე უკმაყოფილო იყვნენ რეაქციონერები. მათ არც დაეყოვნეს და თავისი უკმაყოფილება აჯანყებაში გამოხატეს... მასზე ნაკლებ უკმაყოფილო უნდა ყოფილიყვნენ ბიუროკრატები, მაგრამ ისინიც აყვედრიან „ახალ წესს", „ვერ კეთილად გაჩენას" ამა თუ იმ საქმისას (საქმროს საკითხი). ყველაზე ნაკლებ უკმაყოფილო პროგრესული ნაწილი იყო და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ახალი წესი მათი პირმშო იყო. მართალია, მათ მეტი სურდათ, ვიდრე მისცეს, მაგრამ მთავარი, —რომ ისინი მონაწილენი ყოფილიყვნენ სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და უფლებრივი მონაწილენი. მიღწეული იყო. საქმის აწინდელი განვითარება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ წავიდოდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზები... (²/₁₇, 29).

როგორაც არ უნდა აღვადგინოთ ტექსტი, „წესისაებრ სახლისა" თუ „წესისაებრ ახლისა" [არა მგონია სწორი იყოს ივ. ჯავახიშვილის „წესისაებრ სიახლოისა"], სულ ერთია, წესი მაინც ახალი იყო—გადაისინჯა მთელი მოხელეობა ცენტრალური თუ საქვეყნოდ გამრიგენი—ვაზირნი თუ ერისთავნი.

ერისთავების სია იმიტომ არაა სრული, რომ აქ მოხსენიებულია

ბოლოდ ის საერისთავოები, რომელთა მეჭიროვანი შემოწმებულ-„გაჩენილ“ იქმნენ და არა ყველა. ის, ვისი უფლებებიც ასე თუ ისე სადავო იყო, ახლად გაერისთავებული იყო (გიორგის შემდეგ ან კიდევ 1178 წლის შემდეგ), როგორც, მაგალითად, რატი სურამელი, ბაკურამა ძაგანის ძე, გრიგოლ ბაკურის ძე, ბოცო ჯაყელი... ალბათ ასევეთვე იყო სხვების მდგომარეობაც, მათი ერისთავობა დარბაზის დასტურს მოითხოვდა... (3/29, 120).

„გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაკელ-წიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა“ (მდ. 411).

ქვეყნის მოქმედი იმით, რომ ის მწარმოებელია, გლეხს უდგას გვერდში (გლეხი არის როგორც დაბეგრილი ქვეყნის მოქმედი, ისე მიწაზე დასმული მონა ან ტყვე, ან შეუძლებელი მოვალე, ნასყიდი). ხოლო იმით, რომ ის მებეგრე არაა და პირადად თავისუფალია, ყმაა. — ამით აზნაურს უახლოვდება. დაბეგრილი და ეკონომიურად შეუძლებელი ის გლეხად იქცევა, ქონების შემძენი ის მიწის მოქმედებას თავს ანებებს, ყმას იძენს და აზნაურობას იწყებს. ეს არის საშუალო გლეხსა და აზნაურს შორის. მისი რიცხვი თანდათან მცირდება: ბატონყმობა იკავებს პატრონყმობის ადგილს (3/33, 487).

„გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი“ — ჩანს, აზნაურთა დამახასიათებელ მომენტს არა ქვეყნის მოქმედება შეადგენდა. ე. ი. მიწის მოქმედი არ იყო აზნაური. აქედან იმის დასკვნა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, რომ ყველა ქვეყნის მოქმედი ყმა გლეხი იყო.

მაგრამ ქვეყნის მოქმედება, რომ უმთავრესად ყმებს უკავშირდება, ეს ცხადია. ან შეიძლება „ქვეყნის მოქმედებაში“ მხოლოდ თავისუფალი მდაბიორნი იგულისხმებოდნენ?

უფრო სამართლიანი გვგონია ვიფიქროთ, რომ ქვეყნის მოქმედებაში აქ იგულისხმება როგორც ყმები — გლეხები, ისე არაყმებიც. ამათი უფლებრივი მდგომარეობა ამ დროს არც ისე შორს უნდა ყოფილიყო ერთიმეორისაგან. სულ სხვაა ნაყიდი ან ნასისხლი, ან ტყვეობიდან დახსნილი, ან შეუძლებელი მოვალე, ან კიდევ მონობისაგან წარმოშობილი... ესენი (რა თქმა უნდა, არ იგულისხმებიან...). (3/29, 106).

დიდგვარიანთა გაფიცვისას და შემდეგ ყუთლუ არსლანის დასის გამოსელისას ეკლესია რომ გვერდში ედგა გაფიცულთ, ეს ჩანს

ქიმას გარდა, რომ ბიქაელი ვერ განაყენეს) იქიდანაც, რომ დიდგვარიანთ თავისი გამარჯვებისას და სასახლეში ახალი წესის შემოღებისას ეკლესია არ დაუვიწყიათ და მეფე იძულებული უყოფიათ თავისუფალ ეყო ეკლესიანი ხარჯისა და ბეგარისაგან.

შეიძლება „ქვეყნის მოქმედთა გააზნაურებაც“ ამ რეაქციასთან იყოს დაკავშირებული, რაკიდანაც, საფიქრებელია, აზნაურთა ყმა ქვეყნის მოქმედებზე უშუალო ხელის მიწვდომისაგან უარი ითქმევინეს მას (ეს იყო ყველაზე დიდი დანარცხება მეფის ხელისუფლების). ასეთი ჩარევა პატრონისა და ყმის საქმეში უნდა დაწყებულიყო დავითის დროს— ხშირი მოლაშქრეობისას (ამ დროს ყმაც შედარებით თავისუფალი იყო). ამ უფლებაზე უარის თქმით მეფე უძლიერეს პოზიციას თმობდა, რასაც ოდნავადაც ვერ ფარავს მეფის ისტორიოსის უმართებელი ფრაზა: „გააზნაურდეს ქვეყნის მოქმედნი“-ო. მეფის ხელის ჩარევისაგან კი გააზნაურდეს ისინი, ბაგრამ იმიტომ, რომ აზნაურთა უკონტროლო საყვლეფი ობიექტი შეიქმნენ.

ამ დროს (ე. ი. რეაქციის გამარჯვების შედეგად) მართლაც გაჯელმწიფდეს დიდებულნი (ქვეყნების მიცემის ჩვეულების შემოღება). ამრიგად, აზნაურთა რეკოლუციის შედეგი იყო: 1) მეფის უფლებათა შეზღუდვა, მოხელეთა დანიშვნის საქმეში ახალი წესი; 2) ეკლესიების სახელმწიფო ხარაჯისაგან განთავისუფლება; 3) უგვარეთა Homo novus-ების წარმოჩენის პრინციპის უარყოფა; 4) პატრონისა და ყმის ურთიერთობაში ჩარევის უფლებაზე უარის თქმა (ეს უფლება სამეფო ხელისუფლებას არასდროს აღარ აღუდგენია).

„გააზნაურდეს ქვეყნისა მოქმედნი“ მხოლოდ პოლიტიკური შინაარსით უნდა გავიგოთ (ე. ი. ისე, როგორც ზემოთ ვწერთ) და არა ეკონომიკური. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას იტყოდა ისტორიოსი. ამასვე უჭერს მხარს „გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი“ (³/₂₉, 109—110).

„ამას შინა აღავსნა ებისკოპოზნი და საყდარნი შეწირვითა თავისუფალ ყუნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან. გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაჯელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა“ (მდ. 411).

ამ ტექსტის უშუალო მიყოლება წინა ტექსტზე გვაფიქრებინებს, რომ ეს ღონისძიებანიც იმ პოლიტიკური მოძრაობის შედეგია. საინტერესოა ეკლესიის ხარაჯისა და ბეგარისაგან გათავისუფლება. ის აკი გიორგი III-მ გაათავისუფლა! ჩანს, ამის შემდეგაც მიუყვიათ ხელი ეკლესიისათვის... თუ ეს მეორედ გათავისუფლება მომხდარი ბრძოლის შედეგად წარმოვიდგინეთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ეკლესია 1184—86 წლების ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და შეუვალობას მოითხოვდა... როგორ ეთანხმება ეს თამარის მეფობის დასაწყისშივე მოწვეულ კრებას, რომელიც თითქოს მეფის მომხრეობას იჩენდა? უნდა ვიფიქროთ, რომ ის კრება დამარცხდა: მართლაც და მან ვერც კათალიკოსი გადააყენა, ვერც ჭყონდიდლობა წაართვა. ორივე ეს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გახდა შესაძლებელი... ჩანს, მიქაელს საეკლესიო სფეროებშიაც დიდი მომხრენი ჰყოლია. და, მიუხედავად მისი გარდაცვალებისა (?), მის მოთხოვნილებას — ეკლესიის შეუვალობას — იცავს.

რაც შეეხება ტექსტის მეორე ნაწილს, ის ყოველმხრივ საინტერესოა. სულ ერთია, გავიგებთ მას პოლიტიკურად, თუ არა. ისტორიკოსს, საფიქრებელია, მხედველობაში აქვს სიმდიდრე, რომელიც თამარის დროს საქართველოში დატრიალდა. ამ შემთხვევაში საინტერესოა მისი შეხედულება, რომ ქვეყნის მოქმედის გაზნაურებისათვის საჭიროა მხოლოდ ეკონომიური დაწინაურება, ისე როგორც აზნაურის გადიდებულებისათვის საჭიროა დიდებული ქონება.

ასე რომ, ერთი წოდებიდან მეორეში გადასვლა ამ დროს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ ყოფაზეა დამოკიდებული. უეჭველია, ქვეყნის მოქმედებაში აქ გლეხები არ იგულისხმებიან. ისინი დიდი ხანია მიწაზე მიმაგრებული ბებეგრეები არიან ამ აზნაურებისა, ასე რომ მათი გაზნაურების ცნება მათი ეკონომიური დაწინაურების შესახებ ვერ შეეუშავდებოდა. ქვეყნის მოქმედნი ეს ის ერისგანნია, რომელთა გადასვლა აზნაურობაში ბეჭას კანონითაც ბუნებრივად შესაძლებელია, რაც გლეხისათვის იქვე ასეთი ბუნებრივი გადასავალი არ არსებობს ($^{2}/_{17}$, 30).

ექვსი-შვიდი წლის საშინაო კრიზისი მინელდა. მონარქია ისევ ფეხზე დადგა და საგარეო საქმეთათვის მოიცალა. აღმოჩნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მრავალი ადგილი დაუკარგავს: ანისი, დვინის ქვეყანა, ბანა-ხახული... თურქები შავშეთ, ყლარ-

ჯეთ, პალაკაციოსაც კი უტეევენ... შირვანი ყმადნაფიცად არის... საქართველოს ამრიგად დაკარგული პოზიციები დასაბრუნებელი აქვს... გასაგებია, ასეთ პირობებში დარბაზი რატომ ასწრაფებდა თამარს ქმრის მოყვანას. შინაური არამყარი მდგომარეობა გავლენას ახდენდა საგარეო ყოფაზე... უკანასკნელი კი სასწრაფო ზომებს მოითხოვდა... (²/₁₇, 32).

უცნაურია ეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გიორგი რუსისადმი მიმხრობა... რომ აქ სეპარატისტული ტენდენციები არ მოქმედებენ, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ აჯანყებულნი სწორედ თბილისის დასაპერად მოისწრაფვიან. უნდა ვიფიქროთ, რომ აჯანყებულნი უკმაყოფილონი იყვნენ იმ გარემოებით, რომ პოლიტიკის ცენტრის აღმოსავლეთში გადატანით ლიხთიმერეთი და მესხეთი ნაკლებ იყვნენ ყურადღების ცენტრში, ვიდრე ქართლ-კახეთ-სომხითი. დასავლეთ საქართველოს ფეოდალთათვის (და ხალხისთვისაც) სულ უფრო და უფრო არასასიცოცხლო და ამდენადვე არასაინტერესო იყო ის პოლიტიკა, რომელიც სულ უფრო და უფრო აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა. ამის ეკონომიკურ შედეგებს მისი დადებითი მხრით დასავლეთ საქართველო უშუალოდ ვერ გრძნობდა, ხოლო უარყოფითს კი უშუალოდ განიცდიდა — ხშირი მოლაშქრეობა შორეულ ქვეყნებში. წვრილი ერი, ყმები, მეურნეობას ხშირად მოცილებულნი, უკმაყოფილო იყვნენ მათთვის უსარგებლო ასეთი ომებით, ხოლო პატრონები უკმაყოფილონი იყვნენ იმ გარემოებით, რომ ახალი ქვეყნების შემოერთებასთან დაკავშირებით, პოლიტიკის ცენტრის აღმოსავლეთში გადატანით გამარჯვებათა შედეგები აღმოსავლეთელ არისტოკრატიას სულ უფრო და უფრო ხვდებოდა. ისინი უფრო მისანდონიც იყვნენ (ახალი არისტოკრატია) და უფრო დაინტერესებულნიც (დამარცხება თუ გამარჯვება მათ სასიცოცხლო ინტერესებს უშუალოდ ეხებოდა). ბუნებრივია, რომ მათ დაიჭირეს თანდათან კარზედ უმაღლესი ადგილები, საყმო და სახარაჯო ქვეყნები. „ძველი სამეფოს“ არისტოკრატია შეურაცხყოფილი რჩებოდა და ახლის მიმართ სამტროდ განეწყობოდა...

ასეთი განწყობილება ლიხთიქითისა, როგორც შეიძლება დავასკვნათ, მხოლოდ ახლა არ გაჩენილა. უკვე გიორგი მესამე იძულებული იყო ერთ-ერთი ლაშქრობის წინ წინასწარ „წარეცა ფიცნი და ზავნი“ და მხოლოდ ამ საშინაო ზომების შემდეგ დაეწყო „უცხო ლაშქრობა“).

ამრიგად, საგარეო პოლიტიკის რადიუსის გადიდებით და მისი აღმოსავლეთში გადატანით უნდა აიხსნას ლიხთიქონის აკანყება თამარის წინააღმდეგ... (³/₂₉, 101).

„მაშინ შეკრბეს ყოველნი ამის სამეფოსა დიდებულნი, სპასალარნი, და ერისთავნი წინაშე პატრიარქისა და ეპისკოპოსთა და მოაკსენებდეს მათ რათა ზოგად ყოველთა ილვაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისათჳს...“ (მდ. 413 სქ.).

საინტერესოა: ერისთავნი დიდებულთ გარეშეა. ამავე დროს ცნობილია, რომ არაერთი დიდებული ერისთავია. ეს გარემოება იმას ხომ არ მიუთითებს, რომ დიდებულები უფრო იყვნენ მოხელეობის აქცენტით, უფრო ცენტრალური ხელისუფლების განმასახიერებელი იყვნენ, დარბაზის კარის მოხელენი იყვნენ. მაშინ, როცა, ერისთავნი უფრო საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი იყვნენ. ხშირად უფრო pro formo, არსებითად კი სანახევროდ დამოუკიდებელი სენიორები იყვნენ. ერთი სიტყვით, ერისთავნი გაცილებით უფრო ძლიერად შეიცავდნენ ფეოდალიზაციის ელემენტს, ვიდრე დიდებულნი... (თამარის დროიდან დიდებულთა ფეოდალიზაცია მოხდა) (³/₅₃, 279).

თამარმა „იკსნნა მოვალენი ვალთაგან“. ვალი, ჩანს, ამ დროსაც საშინელი რამ იყო. საშუალო საუკუნეებში ის იყო წყარო დამონებისა. იხსნა ვალთაგან ნიშნავს, რომ მან გადაუხადა ვალი შეუძლებელ მოვალეთ, მაგრამ, უეჭველია, არა უანგაროდ და უანგარიშოდ, არამედ ეს დახსნილნი ამიერიდან ეკლესიის წინაშე (resp. მეფის წინაშე) განსაკუთრებული ვალდებულნი ხდებიან (საეკლესიო ანუ სამეფო ყმები). მეტად საინტერესოა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს მოვალენი? ჩანს, რომ მათ საფრთხე ელოდათ: მათი ხსნა იყო საჭირო, გლეხები ესენი არ უნდა ყოფილიყვნენ. მათი ხსნა ასე არ შეიძლებოდა. ისინი პატრონთა საკუთრება იყვნენ. ამიტომ ესენი უნდა ყოფილიყვნენ ან თავისუფალი მიწის მოქმედნი, ან კიდევ ახლად კომენდირებული ყმები, რომელთაც თავისუფალი წასვლის უფლება დაკარგული არა ჰქონდათ. ორივე შემთხვევაში საინტერესოა: თამარის დროს დავალიანება როგორც დამონების საფუძველი ძალაში ყოფილა. ეს მოვლენა ვერ ეთანხმება prosperitei-ს და მიგვითითებს ორ რამეზე. I. XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში არაა ის აყვავება, რომელმაც XI—XII საუკუნე წარმოშვა. ამას

მოწმობს როგორც ზოგადი მოსაზრებები (ფეოდალური რეაქციის გამარჯვება. სავაჭრო კაპიტალის ინტერესთა გამოხატულების ბიუროკრატიული ცენტრალიზმის დამარცხება), ისე სხვა ცნობებიც (გიორგი III, უცხო ლაშქრობის მიზეზები, ლაშქრობანი თამარის დროს დავლისათვის, ისტორიკოსის უდიდესი ყურადღების საგანი დავლაა): 2. მ ე ფ ე (ყველაზე ძლიერი და მდიდარი ფეოდალი) სარგებლობს წვრილი ერის დავალიანებით და ყმებს იმრავლებს. დამარცხებული როგორც მონარქი, ის ცდილობს გაძლიერდეს როგორც ფეოდალი... ($^3/_{29}$, 112—113).

დიდვაჭრის მივლენა თამარის საქმროს მოსაყვანად ნიშნავს, თუ როგორი ცხოველი ურთიერთობა იყო ჩრდილოეთსა და საქართველოს შორის. ამასვე მოწმობს თვით საქმროს ამორჩევაც. ეს ხომ უაღრესად პოლიტიკური ნაბიჯი იყო... ჰუნეთა ცვალება მიგვითითებს, თუ როგორ განვითარებული იყო სატრანსპორტო საშუალებით. ასე რომ, ამ საქმეს ტყუილად მიაწერენ მონღოლებს.

საფოსტო სადგურები, მონღოლების ხელში იამებად ქცეული, ახლო სოფლების გამჩანაგებელ დაწესებულებად იქცა მაშინ, როცა მათ დრომდის ეს პუნქტები პირიქით ახლო-მახლო სოფლების მიმზიდველი სავაჭრო პუნქტები იყო... ($^3/_{29}$, 122).

თამარის ისტორიკოსის მიერ მისი საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად ნახმარი შედარება დავითის პოლიტიკასთან გვაფიქრებინებს, რომ იყვნენ ა მ დ რ ო ს ს წ ო რ ე დ დ ა ვ ი თ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს მ ო მ ხ რ ე ნ ი, რომელთაც არ მოსწონდათ ეს სამეფოების აღდგენა-გამრავლების პოლიტიკა. ისტორიკოსი ამართლებს თამარს (თუმცა არა ჩანს, რომ თვით დიდი მომხრე იყოს ასეთი პოლიტიკისა...[9]) ($^3/_{29}$, 125).

როდესაც „მონა მოხარკე“ იყო, მაშინ ყმა მოხარკე აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მაშინ, ბუნებრივია, მონა და ყმა ერთიმეორეს აერეოდა...

„მონა მოხარკე“ ძველი დროის ტერმინია, ფეოდალურ ხანაში ამ ცნების შინაარსი სხვაა: მონას ყმა ცვლის, ხარკს—ძღუენი და უფალს — პატრონი. გამოდევნა რა „უფალი“, „პატრონმა“ მიითვი-

---

9 ავტორის ხელით მიწერილია: სტუდენტის მოხსენების გამო.

სა ნაწილობრივ მისი შინაარსი და პირველყოველისა იქ, სადაც საამისო საზოგადოებრივი ურთიერთობა თუ მთლად არა, მეტწილად შერჩა. ეს იყო გლეხისა და უფლის ურთიერთობა. უფლის მაგივრად აქაც პატრონი გვაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის სხვა შინაარსის პატრონია, ვიდრე რომელიმე დიდებულის პატრონი. აქ გლეხთან ურთიერთობაში ხაზგასმულია ამ ცნების მეორე მხარე — არა მფარველი, როგორც ის იგულისხმება ყმის მიმართ, არამედ მესაკუთრე, უფალი, ბატონი, როგორც ეს შემდეგ განასხვავა ენამ... (³/₂₉, 129).

დარბაზი დიდის საბუთიანობით უმტკიცებს თამარს, რომ ღვთის განგებით მოხდა, რომ მან ამოდენა მსურველ ხელმწიფის შვილებიდან ქმარი ვერ შეირთო. მართლაც მეტად გაჭირდა საქმე, ქრთამიც ამოქმედებულა. კათალიკოსი და სხვანიც „მამონას“ დაუმორჩილებია... ვერ შეარჩიეს. ჩანს, ბრძოლა აქვთ დიდგვაროვანთ, დიდებულთ, ვაზირთ და ერისთავთ ამ საკითხშიაც. ვინ საითკენ ეწევა, ვინ საითკენ. სკვითური საქმე დამარცხდა. ბერძნულიც არ გამოვიდა: ანდრონიკემ მოაკვლევინა მოყმე პოლიკარპე... ბოლოს, როგორც ჩანს, დავითის დასმა გაიმარჯვა (კათალიკოსი არ ჩანს — მას შარვანშა უნდოდა). მაგრამ, თანხმობა რომ ყველასი არ ყოფილა — ეს გიორგი რუსის აჯანყებიდან ჩანს... (³/₂₉, 131).

თამარს შარვანშა „მონებდეს და ჩსახურებდეს იგი ჩონებითა ყ ე ბ რ ი ვ ი თ ა“ (მდ. 420).

ყ მ ე ბ რ ი ვ ი მ ო ნ ე ბ ა და მ ს ა ხ ურ ე ბ ა ეს არის ყმის მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა და ს ა მ ს ა ხ ურ ი (³/₂₃, 482).

„ამის შემდგომად“... მეფემ ილაშქრა გელაჭუნის მხარეს... „რომელი მას შინა დაეპირნეს ყიზილარსლან ათაბაგსა“... ბრძოლაში „უსწრობდა ბერი ყ მ ა ს ა და ყ მ ა ბ ე რ ს ა, პ ა ტ რ ო ნ ი ყ მ ა ს ა და ყ მ ა პ ა ტ რ ო ნ ს ა“... (მდ. 421) და გაიმარჯვეს.

ყმა=ახალგაზრდა ყმა=vanus, ვასალი.

„შემდგომ ამისსა წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა... ილაშქრეს განძას ქუემო ბალაყუნამდის. შემდგომად ზემო კერძო რახსისა პირი ჩასისამდე“... აქ თავი ისახელეს: „ვ ა რ დ ა ნ დ ა დ ი ა ნ მ ა ნ მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს მ ა ნ, ო თ ხ თ ა ვ ე მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ თ ა და სხუათა დ ი დ ე ბ უ ლ თ ა და ა ზ ნ ა ურ თ ა დიდი დაპირებული ომი გარდაიკადეს და გააქციენეს...“ (მდ. 421—422).

რუსს ბოროტი ქცევა შეაჩნდა (სოდომური ცოდვა). თამარი ორწელ ნახევარს ითმენდა. და ვითარცა „უგრძნეს ვ ა ზ ი რ თ ა და დ ი დ ე ბ უ ლ თ ა და გ ა ნ კ ვ რ ე ვ ე ბ უ ლ თ ა ერთ ჴმა ყველ მცნობელთა ამისთა (რომ ეს ეშმაკის საქმეაო და)... ჴელ ყუეს... და წარიყუანეს ექსორია ქნად“... (422—423).

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ მ ა შ ე რ თ ე ს, მ ა თ ვ ე გ ა ჰ ყ ა რ ე ს. ყოველ შემთხვევაში, ისტორიკოსს ასე აქვს წარმოდგენილი. შეიძლება დეტალები სხვაგვარი ყოფილიყო, როგორც ბასილი ეზოსმოძღვარიც აღნიშნავს, მაგრამ საერთო ხაზი მაინც ისეთი იყო, როგორც პირველი ისტორიკოსი წარმოგვიდგენს... შეიძლება ამ გაყრაში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ თამარს შვილი არ გაუჩნდა ორწელ ნახევრის განმავლობაში... (²/₁₇, 33).

მეორე ქმარიც დიდებულებმა შერთეს. სასახლე დიდუბეში. დიდუბე-თბილისის სანახები=გ ა რ ე უ ბ ა ნ ი. გ ლ ა ხ ა კ თ ა და მ ო ვ ა ლ ე თ ა სიმრავლე, ვ ა ლ ი ს ს ი მ ძ ი მ ე გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ა...

უეჭველია, საზოგადოების განსაზღვრული ფენა მწვავე ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის. ვალი და სიგლახაკე — აი, მისი ხვედრი (ცხმორისხელები ამის კარგი მაგალითია). ფულის დატრიალება, სიმდიდრის შემოსვლა, როგორც არაერთხელ აღნიშნეთ, ყველა კლასს თანაბრად არ ხვდებოდა და ყველაზე ერთნაირ გავლენას არ ახდენდა, თუ ზოგიერთს აღაზევებდა, უმეტესობას ვალში აგდებდა, აგლახაკებდა... (²/₁₇, 34.).

ქართველთა აქტიური საგარეო პოლიტიკის გამო მეზობელი თურქები იძულებული არიან ასეთსავე პოლიტიკას დაადგნენ — დაჭირავებული ჯარი იყოლიონ და ძალაუნებურად რბევა აწარმოონ. საბოლოო ანგარიშში კი ნადგურდებოდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. როგორც ჩვენში, ისე იქაც ქვეყნის შიგნით კლასების ისეთი კონსოლიდაცია ხდებოდა, რომ ყველაზე მძიმედ მწარმოებელი კლასი ზარალდებოდა როგორც რიცხობრივად, ისე ქონებრივადაც. ადრე თუ გვიან, ქვეყანა დაცემისაკენ უნდა დაქანებულიყო. ეს ასეც იყო XII ს-ის დასასრულისათვის... აღარ იყო ის აყვავება, რომელსაც ადგილი ჰქონდა X—XI საუკუნეებში.

ლაპარაკია საერთო აყვავებაზე და არა რომელიმე მხარისა, რომელიც სხვების დაცემის ხარჯზე ინაზღაურებდა მწარმოებელი კლასის შემცირება-შესუსტების დანაკლისს. თუ უკან დახევა არა, XII ს-ის მეორე ნახევარი დიდი წინსვლის ხანა არაა მაინც და ამა-

ში მცირე როლი არ ეკუთვნის იმ აქტიურობას, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ნიადაგზე გაიშალა... (3/29, 128).

ყიზილ არსლან ათაბაგის დაქირავებული ლაშქარი და გელაქუნის მომრბევი ქართველთ ლაშქარი ერთურთს შეებნენ. „იმათებურეს მ ო ყ მ ე ს ა (უნდა მოყმეთა. — ნ. ბ.) თამარისათა და უსწრობდა ბერი ყ მ ა ს ა და ყ მ ა ბერსა, პატრონი ყ მ ა ს ა და ყ მ ა პატრონსა. გააქცევნეს და ამოსწყუდნეს...“ (მდ. 421).

მოყმე=რაინდი
ყმა=ახალგაზრდა
ყმა=ვასალი (/3 33, 480).

„დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი მ ო ყ მ ე ნ ი და ლ ა შ ქ ა რ ნ ი განალმცა მომწყონებელნი და მაქებელნი იშვებდეს და იხარებდეს და ადიდებდეს მომლოდენი ყამისა მის პ ა ტ რ ო ნ ი ს ა მათისა უკუდაქმნილობასა“... (მდ. 427).

ამრიგად, წაკითხული ტექსტი თითქოს უფრო სწორია. ეს დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი მ ო ყ მ ე ნ ი და ლ ა შ ქ ა რ ნ ი მ უ ტ ა ფ რ ა დ ი ნ ი ს ა ნ ი არიან, მას რომ მოჰყვნენ, მუტაფრადინი კი მათი პ ა ტ რ ო ნ ი ა...

ისტორიკოსი რაიმე განსხვავებას ქართულსა და სელჯუკიანთ საზოგადოებრივ წყობაში არ ხედავს, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ კატეგორიათა აღმნიშვნელი ტერმინები ერთი და იგივე აქვს ორივე ქვეყნისათვის... (3/32, 416).

თამარს დარბაზმა მოახსენა („მკვდრთა, ეაზირთა და დიდებულთა“) სოსლანის შერთვის შესახებ... „თამარ მიმდობელმან მაჰიდისა მისისამან მშობელმან სახედ სახე და ვისმან (=მშობლისა სახედ სახედავისმან. — ნ. ბ.) და მისგან დიდად წყალობიანთა ლაშქართა და სპათამან ესრეთ თქუა (var. „რამეთუ მშობლის სახედ მორჩილობდის ბრძანებასა მისსა და დიდებულთა და დ ა რ ბ ა ი ს ე ლ თ ა და ეპისკოპოსთა განზრახვით“)...“ (მდ. 431)

ეს ვარიანტული „დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი“ ნაგვიანევიც რომ იყოს, მაინც საინტერესოა: ინტერპოლატორს ლაშქართა და სპათა, მკვდრთა, ეაზირთა და დიდებულთა კრებული დარბაზად მიაჩნია, ხოლო ისინი დარბაისლებად... (3/23, 20).

ორბელთა, სადუნის პაპის (ქურთისა თუ დავითის) და სხვა დევნილების დაბრუნება თამარის მიერ — ისინი დემნას განდგომასთან დაკავშირებით გარდაიხვეწნენ იყო საშინაო პოლიტიკის კურსის შეცვლის შედეგი, რეაქციონერი ფეოდალების გამარჯვების შედეგი... (³/₂₉, 139).

შეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი „პ ა ტ რ ო ნ თ ა გ ა ნ სრულწყლიანი" მოციქულად იყო ეზინკს და კარნუჭალაქს.

ისტორიკოსი ბსჯელობს; „უკუთუ ამას სამეფოსა განდგომად პატრონთა უნებედ ქნილა, რომელი დაწყებითგან სოფლისათა არავის ოდეს სადა უნახავს წარმართებული..." (მდ. 434.).

რუსს პირველად მიერთო „გუზან პ ა ტ რ ო ნ ი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა... ადგილსა ზედა შეეწყალა პ ა ტ რ ო ნ ს ა"... (იქვე).

ალბად აქ პატრონი მესაკუთრეს არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ ს ი უ ზ ე რ ე ნ ს.

საინტერესოა: პ ა ტ რ ო ნ მ ა გუზანი შეიწყალა პ ა ტ რ ო ნ ა დ...

ამ ტერმინოლოგიურ იგივეობას შინაარსობრივი იგივეობა ამართლებს. გუზანი ისეთივე პატრონია, როგორც თამარი. განსხვავება იმაშია, რომ გუზანი ხელმწიფე არაა და თამარი კი ხელმწიფეა. მაგრამ ულუ დავითი ხომ ხელმწიფე აღარაა. მაშინ რაღა განსხვავება იქნება ამ ორ პატრონს შორის?... აღარავითარი (³/₃₃, 415).

ისტორიკოსი ბჭობს: „რ ო მ ე ლ ი თ ა ნ ა ზ ი ა რ მ ე ფ ო ბ ი ს ა მ ა თ ი ს ა და უხედ უგულსავსედ წყალობითა იყუნეს, მათცა ქნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთა, გინა უბოროტესი..." (განდგნეს. — ნ. ბ.). (მდ. 434).

და ეს სწორედ ასეა: სწორედ იმიტომ განდგეს, რომ „თანაზიარ მეფობისა მათისა" იყვნეს...

„რამეთუ რ ო მ ე ლ ნ ი ც ა უ ფ რ ო შ ე ნ წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ნ ი და უ მ ე ტ ე ს გ ა ნ დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ი ყ ვ ნ ე ს პ ა ტ რ ო ნ თ ა გ ა ნ. დ ა თ ვ თ თ ა მ ა რ ი ს ა გ ა ნ. მ ა თ ქ მ ნ ე ს უ მ ე ტ ე ს ი გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ე ბ ა და ი გ ი ნ ი მ ი ე რ თ ნ ე ნ რ უ ს ს..." (435 სქ.). და ეს იმიტომ, რომ ისინი შეწყალებული იყვნენ სრულიად, არა გულწრფელი ნაწილით, არამედ იძულებით, ფეოდალური ლოგიკით, გარდაუვალი კარნახით: მეფე ქმნის თავისსავე მტრებს... (³/₂₉, 133).

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი ჭ ი ა ბ ე რ ი, თითქოს ირკვევა: ის არაა დასავლეთ საქართველოდან (ამ დროსო თამარის ერთგული დასავლეთ საქართველოდან ქუთათელი ანტონი იყოო, ამბობს ისტორიკოსი), ი ს ა რ ც ჰ ე რ ი ა, ა რ ც კ ა ხ ი დ ა ა რ ც ქ ა რ თ ლ ე ლ ი ა თითქოს. ასე რომ, თამარის პირველი ისტორიკოსი მხარს უჭერს ბასილი ეზოსმოძღვარს, რომლის ცნობითაც ჭიაბერი თორელი იყო (მაგრამ არა სამძივართაგანი...). (წ. ქცა, I, ფ. 41).

რუსი აჯანყდა. გუზანი მიემხრო და „ბოცო სამცხის სპასალარი და სისრულისაცა აღმატებით დიდად შეწყალებული პატრონთაგან სხვითავე სახითა დიდებულ აზნაურითურთ; თვინიერ ივანე ციხის ჯურელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების. ესე დამაგრდა თვსითურთ მოკიდულითურთ ვითარ გვარ ეყოდაცა მომგონებელსაცა სულსაცა ერთგულობისასა, რომელი ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს“ (მდ. 435).

აქედან თითქოს ის დასკვნა გამოდის, რომ ივანე ციხისჯუარელი სხვა გვარისაა, ვიდრე ბოცო ($^{3}/_{14}$, 379).

თუ რამდენად არ იყო თამარის სურვილისაგან დამოკიდებული ხელისუფალთა შერჩევა-თანადგომა ერთნებობის დროს, ეს იქიდან ჩანს, თუ ვინ აირჩიეს. აფრიდონის მაგივრად ვარდან დადიანი, რომელიც აჯანყების მოთავედ გამოვიდა რუსის მოსვლისას. აბულასან ქართლის ამირა — აჯანყების ინიციატორი (მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი), გუზან აბულასანის ძე, ასევე თამარის შეწყალებული, ბოცო სპასალარი... და თუ ესენი თანაზიარი იყვნენ მეფობისა,—ეს ბრძოლით და მისი მოგების შედეგად იყო. ასე რომ, ისტორიკოსი ტყუილად აყვედრის დიდებულებს უმადურობას. მათ არც უფიქრიათ მადლის გადახდაზე. პირიქით, კვლავ ბრძოლას და კიდევ მეტის მოპოვებას ლამობდნენ... ($^{3}/_{19}$, 135).

ერთი წლის შემდეგ დავითის შერთვისგან „მოისმა ვითარმედ რუსი იგი ძნელბედი და სვე უსვეო წამოსრულა კონსტანტინეპოლით და მოსრულა ქ უ ე ყ ა ნ ა დ ე ზ ი ნ კ ი ს ა დ დ ა კ ა რ ნ უ ქ ა ლ ა ქ ი ს ა დ და მას ჟამსა ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა სჯულითა ბარბაროზი და ჭცევითა ტარტაროზი კაცთა და ჰომნი პატრონთაგან სრულწყლიანი და საქმის მ ო ც ი ქ უ ლ ა დ წ ა რ ა ვ ლ ი ნ ა ს ა ქ მ ი ს ა რ ი ს ა თ ვ ს მ ე დ ა მ ა ს კ ა რ ნ უ ქ ა ლ ა ქ ს ა

მ ი ს უ ლ ს ა შინა შეიყარნეს რუსი და იგი ერთად დგეს ამიერნი რათა სახლისა შინა შეხვეწილ იყო. მისსა სარგებელსა მოწადინენი შეეხვეწნეს ამას დიდსა რომელი აქით მისრულ იყო მაშინ ცნეს ამის სამეფოთა კაცთა... და რომელი თანაზიარ მეფობისა მათისა და უხედ უგულსავსედ წყალობითა იყუნეს მათსა ქნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთა უბოროტესი (var. რამეთუ რომელნიცა უფრო შეწყალებულნი და უმეტეს განდიდებულნი იყვნეს პატრონთაგან და თჳთ თამარისაგან მათ ქმნეს უმეტესი განდგომილება და იგინი მიერთნენ რუსსა" (მდ. 434—435).

განდგომა არა ვის გამარჯვებიაო... „გარნა თუ სადმე ქმნილ არს განდგომილება ეგრეთცა სახლისა მის თჳსთა და ნატამალთა მიზეზითა ქმნილ არს" (436).

რუსი საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს მოადგა და თავის საქმეს მცდელობდა... ეზინკისა და კარნუ-ჭალაქის მფლობელთათვის საქართველოს არევა „ს ა რ გ ებ ლ ი ა ნ ი" შეიძლებოდა ყოფილიყო. მათ შეიხვეწეს ბედის მაძიებელი...

მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი (აბულასანი?) შეთქმულებას არ დაერიდა. ჩანს, იცოდა საქართველოში დიდებულთა სულიერი განწყობილება. ისინი საერთოდ არ იყვნენ კმაყოფილი კარის საშინაო პოლიტიკით და აჯანყებისათვის მზად იყვნენ... მაგრამ ესენი იყვნენ არა ყუთლუ არსლანის მოდასეთა ტიპისანი, არამედ უკიდურესი რეაქციონური ფრთა. მათ საერთო პროგრამით გამოსვლა არ ეხერხებოდათ — ასეთი შემუშავებული არც შეიძლება ჰქონოდათ — და ბრძოლის ძველებურ წესს მისდევდნენ: ჯგუფურად გამოდიოდნენ და სამეფო პრეტენდენტს წინ წამოიმძღვარებდნენ. ეს (პრეტენდენტი) აუცილებელი იყო საქმისათვის: თუ ეს არა, ისინი ერთიმეორეს ვერ ენდობოდნენ. ფრიად საინტერესოა კონკრეტულად ეს ამბავი. რუსი ისეთი გალანძღული განდევნეს, რომ მისი მეფედ მოყვანა ყოვლად მიუღებელი ჩანდა... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისტორიკოსი, როგორც თამარის მოდასე, ამბობს იმას, რასაც მისი დასისანი და ეს სინამდვილეს მთლიანად არ უდგებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია, არსებობდნენ მეფის კარზე წრეები, რომელნიც რუსისადმი აგრე განწყობილნი არ იყვნენ... მაგრამ ახლა მისი გადმოყვანა, როცა თამარს უკვე მეორე ქმარი ჰყავდა, ყოვლად უკანონო ჩანდა... საჭირო იყო დავითის გაგდება და თამარის ძალად კვლავ რუსზე მითხოვება. ეს ნიშნავდა იმ წრეების დასაღუპავად ვანწირვას, რომელთაც რუსის გაგდება ითავეს... ო რ ი მ თ ა ვ ა ნ ი დ ა ს ი ს შ ე უ რ ი გ ებ ლ ო ბ ა ა ქ ა ც გ ა მ ო ჩ ნ დ ა...

ერთია უმთავრესად ძველგვარიანნი, ტერიტორიელად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოსანი (რა თქმა უნდა, ეს ზედწოდებანი არ უნდა იქნეს გაგებული: ციხისჯვარელი უძველესი გვარისა იყო და სამცხელი, ანტონი საღირის ძე დასავლეთ საქართველოდან იყო დიდგვარიანი — თამარის მომხრენი, ან კიდევ რუსმა რომ ჰერეთიდან ნუბოუტია მეორედ, უეჭველია, აქ მომხრენი ეგულებოდა...). რუსი და დავითი აქ საბაბია მხოლოდ. მოწინააღმდეგე დასები თითქოს მორიგდნენ, მაგრამ ჩანს, ბრძოლა ამით არ შენელებულა და უფროლეს დასს რეაქციონერთა შეხედულებით წარმატება მიუღია დავითის გამეფებით; ჩანს, რუსი მათი თაოსნობით იქნა განდევნილი. მაგრამ უკიდურეს რეაქციონერთა საქმე აქ წაგებული იყო, რამდენადაც მათ არ სურდათ ანგარიში გაეწიათ სინამდვილისათვის და ძველის დაბრუნებას ლამობდნენ... საინტერესოა ისტორიკოსის მსჯელობა, რომ სწორედ ისინი აჯანყდნენ, ვინც განდიდებული იყო. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ისინი განდიდებული იყვნენ არა მეფის „წყალობით", არამედ ბრძოლის შედეგად და თავის დიდებას მტკიცედ და უზრუნველყოფილად ვერ თვლიდნენ. შეთქმულები და განდგომილნი აღმოჩნდნენ: „მ ე ჭ ო ტ რ ჭ ლ ე თ ი უ ხ უ ც ე ს ი ს ა ნ ა ც ვ ა ლ ი გ უ ზ ა ნ პ ა ტ რ ო ნ ი კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა და შ ა ვ შ ე თ ი ს ა („რომელი ძველთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა"), აქით ბ ო ც ო ს ა მ ც ხ ი ს ს პ ა ს ა ლ ა რ ი (სისრულისაცა აღმატებით დიდათ შეწყალებული) სხვეთა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ (თვინიერ ივანე ციხისჯურელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების, ეს დამაგრდა თვსით მოკიდულითურთ ვითარ გვარ ეყოდაცა მონგონელსაცა სულსაცა ერთგულობისასა, რომელი ბალუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს), ვ ა რ დ ა ნ დ ა დ ი ა ნ ი მსახურთუხუცესი, აქით პ ა ტ რ ო ნ ი ო რ ბ ე თ ი ს და კ ა ე ნ ი ს ა... ესე მცირედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს რეცა პატრონისა წადილითა. შეეყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი, მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი"... (მდ. 434—435).

შეთქმულებაში იყვნენ, საფიქრებელია, აბულასან ქართლის ამირა და სხვა მცირედნი ამერნი. საინტერესოა, რომ მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოდან მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს შეთქმულებაში მონაწილეობას, დასავლეთ საქართველო მთლიანად გამოდის და ერთი საღირისძის გარდა — ისიც სამღვდელო პირი —

არავინ რჩება ერთგულად. ეკლესიის მესაჭეენიც კი კათალიკოსის მოთავეობით განდგომილთ უპერენ მხარს. უეჭველია, ეს მოვლენა ვარლან დადიანის პირადი გავლენით არ აიხსნება და მას ზოგადი და საკმაოდ ღრმა მიზეზი აქვს... საინტერესოა, რომ ახლად აღზევებულებში არავინ იმერელი არაა, რომ ყველა Homo novus-ები აღმოსავლეთ საქართველოდან არიან, განა იმერეთში არ იყო წვრილი ერი და წვრილი აზნაური? ეს ვაჭრები არ იყვნენ იქა?? საქართველოს გაერთიანებაში აკი უდიდეს როლს თამაშობდნენ სწორედ ეს ლიხთიმერელნი. IX და X საუკუნეები „აფხაზეთის“ ექსპანსიის ხანაა. ვინ უდგნენ მეფეს მაშინ მხარში?... და თუ ამ დროს ეს ინტერესი აღმოსავლეთში გაფართოებისა ასეთი პოპულარული იყო იმერელთათვის, როგორღა მოხდა, რომ გიორგი III-სა და თამარის დროს ისინი სულ სხვა განწყობილების არიან? შეუძლებელია ასეთი აჯანყებანი ვიწრო ჯგუფური ინტერესებით აიხსნას?... ეჭველია, რეაქციონერთა მოქმედება პოპულარობით სარგებლობდა იმერთა ფართო წრეებში. ეს კი შესაძლებელია იმ პირობებში, თუ დავუშვებთ, რომ დასავლეთ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე ამერეთში. რომ ქვეყანა გარკვეულ საბატონოებად დაიყო, თავისუფალი მიწის მოქმედნი (=ერისგანნი) აქ დიდი ხანია აღარ იყვნენ (ოდესმე თუ იყონენ...), წვრილი აზნაურობა (აზნაურშვილები) მცირე მნიშვნელობის იყო პოლიტიკურად, გლეხობა დაბეგრილი—პოლიტიკურ მნიშვნელობასაა მოკლებული... ასეთ პირობებში დამოუკიდებელი პოლიტიკის მატარებელი ფეოდალები არიან მხოლოდ... აქ აღარაა ის სამუალო კლასი, რომელიც მოწოდებულია ბრძოლა ეწარმოებინა მაღალ აზნაურობასთან, ან თუ არის. უკვე იქამდის შესუსტებულია (ნასახურები) და დამორჩილებული, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება აღარ ძალუძს. ბატონყმური დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება, უნდა ვიფიქროთ, გაცილებით უფრო ადრე მოხდა დასავლეთ საქართველოში. ამას ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ. შედარებითი პოლიტიკური მშვიდობიანობა ქვეყნის ნორმალურ სოციალურ განვითარებას უწყობდა ხელს, რის სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში... ერთი სიტყვით, XII საუკუნისათვის დასავლეთ საქართველო კარგა ხნის ჩამოყალიბებული (დუღილდამთავრებული) საბატონყმო ქვეყანა იყო, მაშინ, რო-

ცა, აღმოსავლეთ საქართველოში კლასთა ასეთი საბოლოო კონსოლიდაცია ჯერ არ მომხდარიყო (2/17, 35—36).

თამარის მომხრენი: „...სპანი და დიდებულნი ჰერეთით, კახეთით, ქართლით სომხითურთ და სამცხით“ (მდ. 436).

მოსულებმა „ჰკადრეს ფიცით არამთაგან ნებადართულობა საქმისა და ვითა შეიჯერნეს უმადლოდ ქმნილება (var. და განკვირვებულთა ამა საქმისათა ჰკადრეს და მოახსენეს მათგან არანებისა დართულობა და ვითარცა შეჯერეს უმათოდ ქმნილობა ამა საქმისა“. იქვე).

თამარს ეშვი აქვს, რომ იმერთ აჯანყებაში ამერელნიც ურევიან... ცარიელი ეშვი უსაფუძვლოდ შეუძლებელია. ჩანს, არსებულა რაღაც მიზეზები, რის გამოც შესაძლებელი ყოფილა ამერელთა რუსისადმი მიდგომა... ყოველ შემთხვევაში, მთლიანობა არ ყოფილა აქეთ...

თამარი კითხულობდა მიზეზს ამ განდგომისას „ოდესმე თევდორე პატრიაქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთიმერით... და სხვათა ებისკოპოზთა გზავნიდეს ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა და მათგან ვერას პირის მპოვნელი კუალად მაშინ შეკრა კრებული ღვთის მბრძოლი... და... წარმოემართეს“ (437).

[თამარი ცდილობს მორიგებით გაათავოს საქმე. მოციქულები— შინაური ეჯიბი, მესტუმრე — მიზანს ვერ აღწევენ. აჯანყებულთ შერიგება არ სურთ...]. აღმოსავლეთ საქართველოში თამარის წინააღმდეგ გამოვიდნენ „ჭურდვაჭრისა იქით გასდგომოდავე ყოველი სომხითი, ივანე ვარდანის ძე პატრონი გაგისა. მაყა პატრონი კაიწონისა. კაენი თუით ვარდანისი იყო. სხუანი მის ქუეყანის აზნაურის შვილნი თვინიერ ზაქარია ვარამის ძისა“ (438).

ერთგულნი: ოთხნი მჯარგრძელნი, თორელნი...

ლაპარაკი იმაზე, თითქოს თამარმა დაწინაურა სომხები და ამან გამოიწვია ლიხთიქითთა უკმაყოფილება, ყოვლად უსაფუძვლოა. იმის შესახებაც კი ზედმეტია ლაპარაკი, თითქოს აღმოსავლეთ საქართველოში ბეტი „ჟელის“ მფლობელნი იყვნენ და ასეც რომ ყოფილიყო, რაც სინამდვილეში არც იყო, ამით აჯანყებათა საფუძვლიანი ახსნა ზერელე მსჯელობა იქნებოდა... ვარდან დადიანი ლიხთი-

ქითის „უცილობლად“ პატრონია, აქეთ კი კაენს პატრონობს და მსა-ხურთუხუცესია, მისი შვილი ივანე ვარდანის ძე გაგის პატრონია და სწორედ ეს ივანე ვარდანის ძე მოთავეობს აჯანყებას და მას მოპყვებიან მთელი ლიხთიქითის საერო თუ საეკლესიო ფეოდალები, ხოლო ალმოსავლეთითაც ძლიერი მოკავშირენი უჩნდებიან...

განდგომილებაში იყვნენ აგრეთვე „ვეთნიმე ქართველნიცა“ და „ს ი მ რ ა ვ ლ ე ყ ო ვ ლ ი ს ა კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა დ ა მ თ ი უ ლ ო ბ ი ს ა“.

თამარის ერთგულები მხარგრძელთ გარდა „ჭ ი ა ბ ე რ ი მანდატურთუხუცესი, ჰ ე რ ნ ი და კ ა ხ ნ ი დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი და აზნაურნი თანდართვით უ ი ვ ჩ ა ყ უ თ ა თ ა და შეყრილთა ქ ა რ თ ლ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა დ ი დ ე ბ უ ლ თ ა წ ი ნ ა ძ ღ ო ბ ი თ ა დავით მეფისა“ (440) ($^{2}/_{17}$, 37).

ხინგრის წყალზე „შეიქნა ომი, ვითა ხუდებოდა რჩეულებსა ომერთა და ამერთა მოყმეთასა, რომელი კმა იყო ძუელთაცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად, რომელთა ზედა მოვიდოდეს ქ ო ი თ ა თ (ესენდა ქოითთა. — ნ. ბ.) სიმწვავენი დამკვეთებელნი ისრისანი (ისართანი) და მფეთებნი (მფეთებელნი) ჯრმალთანი და მხეთქელობანი (მხეთქებელნი) ჰოროლთანი“. (მდ. 439).

ომის სახე: მოისარნი — ქვეითნი, ხმალი, ოროლი—მხედრებს.... და, რადგანაც ისარი ვერ ატანს ჯაჭვს და აბჯარს (ზოგი ორმოც ისარ-მოხვედრილი კვლავ იბრძვის), ამიტომ ომს წყვეტს ხმალი და ოროლი, ე. ი. მხედრობა. მ ო ი ს ა რ ნ ი ცხენების გამ ო-კ ვ ლ ი თ ე ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ პ ა ტ რ ო ნ თ ო მ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა-შ ი... როგორი იყო მონღოლთ ისარი, რომ ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო მათ ომში ამ იარაღმა? ან როგორი იყო მათი საომარი წყობა?...

ომს წყვეტენ „ბუმბერაზნი“ და „მოყმენი“ ($^{3}/_{29}$, 139).

ზ ა ქ ა რ ი ა ვ ა რ ა მ ი ს ძ ე შეიწყალა და ი ვ ა ნ ე ს ა რ გ ი-ს ი ს ძ ე — ამ ორს განსაკუთრებით აღნიშნავს, ხოლო სხვებს ზოგადად: „შეიწყალეს და დალოცნეს სხვანიცა დიდებულნი მრავალნი“... (მდ. 442).

ესეც ნიშანია იმის, რომ ავტორი მხარგრძელიანია (წ. მდ. ფ.. 52).

რეაქციონერები დამარცხდნენ. ლიხთიქითნი იმერეთს გარდიხვეწნენ. აქათნი ყველანი საბელმობმულნი მოვიდნენ თამართან. ციხეებიდან გამოვიდნენ. „რომელნიმე მკულელ ექმნეს თავის ბიძასა და ეგრე მოვიდეს“ (მდ. 422).

ეჭვდეობა, შინაგანი შეუთანხმებლობა ფეოდალური რეაქციისა აქაც ჩანს. დამარცხებულნი ისინი თითო-თითოდ მოდიან და, ვინც როგორ ახერხებს, ისე ეძებს ხსნას. ერთიმეორის ამოხოცვასაც არ ერიდებიან, რომ ამით პატიება დაიმსახურონ. როგორც ვიცით, სრულიად სხვაგვარი იყო ყუთლუს დასის მოქმედება. დამარცხებისას ისინი ყველავ გაიფიცნენ და მიზნად დაისახეს ყუთლუს დასჯის არ დაშვება. ასევე გარანტია ჰქონდა თითოეულ მონაწილეს. ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის — აქ ჩანდა მათი პოლიტიკური სიმტკიცე და ამის წყალობით იყო, რომ სავსებით არ დამარცხდნენ. მათ რომ ყუთლუ გაეწირათ და კრიტიკულ ხანაში ის სიმტკიცე არ გამოეჩინათ, რა თქმა უნდა, არავითარი „ერთნებაობა“ არ განხორციელდებოდა და არც თამარი იქნებოდა ისეთი „მოწყალე“, რომ აჯანყებულ დამარცხებულთ დაუსჯელად გაუშვებდა.

სულ სხვა ჩანს ლიხთიმერეთში. აქ რეაქციონერთა პოზიცია ძლიერია. მათ წააგეს, მაგრამ თითოეული და ცალცალკე კი არ გადმოდიან, არამედ ერთ პირად და სათანადო პირობითაც. მეფე არც ისე ძლიერად გრძნობს თავს, რომ მშვიდობა და უვნებლობა არ აღუთქვას მათ, რესსაც კი უვნებელს უშვებს. საინტერესოა, რომ აჯანყებაში მონაწილეობას იღებენ სვანნი დიდებულნიცა და „მეკევენი“ (443).

დადიანის სახელო და საპატრონო გასცა მეფემ: „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე და უბოძა გაგი ქურდვაჭართა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა: ჭელი შინაური, საპატიო და კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხვათა მრავალთა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა, შეიწყალეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“ (მდ. 442).

საინტერესოა ეს ქალაქების ბოძება „საკუთრად“, „სანახევროდ“, „სახარაჯოდ“. ეს სრულიად საწინააღმდეგოა იმისი, რასაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. ქალაქები იყო სწორედ ის, რასაც უნდა დაყრდნობოდა მეფის ხელისუფლება ფეოდალებ-

თან ბრძოლაში, ქალაქები იყვნენ მოწოდებული ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მის შემდეგ, რაც სოფელი სრულიად ფეოდალური ვახდა (nulle terra sens selgneur). „თავისუფლების სული“ ქალაქში უნდა შეხიზნულიყო, აქ უნდა ეპოვა საბუდარი, გაძლიერებულიყო და შებრძოლებოდა. ჩვენ კი სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ. ქალაქები კითარდებიან, ეაკრობა იზრდება და ფეოდალური ურთიერთობა არ ირყევა, პირიქით, მტკიცდება... და ეს იმიტომ, რომ ქალაქები გაიცემა ხოლმე სწორედ იმ ფეოდალებზე, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ისინი არიან მოწოდებულნი... თაბარის ხანამდის ეს ქალაქები მხოლოდ საგანგეოდ გაიცემა სახელო ტერიტორიასთან ერთად და რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლება ძლიერია და სახელოს სურვილისამებრ გასცემს ან ჩამოართმევს, ეს ყველაფერი ისე საშიში არაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც... ერთი სიტყვით, ჩ ვ ე ნ შ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა მ ა რ თ ვ ა-გ ა მ გ ე ო ბ ის მ ხ რ ი თ ქ ა ლ ა ქ ს ა და ს ო ფ ე ლ ს შ ო რ ის არ ყ ო ფ ი ლ ა. ო რ ი ე ე ფ ე ო დ ა ლ ურ ს ა ბ ბ ლ ო ბ ე ლ ო ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ქალაქი, როგორც პოლიტიკური ერთეული, სოფელს ვერ დაუპირისპირდა და იგივე ბატონყმობის ბედი განიცადა, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურ ხელისუფლებას ის საშსახური ვერ გაუწია, რაც სხვაგან (პირველ ხანებში კი უნდა გაეწიოს...). ამის მიზეზი თვით ცენტრალური ხელისუფლება იყო, რომელმაც საპატრონოდ გასცა ქალაქები, რაც თავის მხრით გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ დროს ჯერ კიდევ სოფელი ჭეშნდა პოლიტიკას და აქ დამარცხებული ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ქალაქებს ველარ ინარჩუნებდა... (²/₁₇, 38).

კრიზისი დამთავრდა. იმერეთი დაწყნარდა. „ერთბამად ბოვდეს ლ ო მ ი და ჯ ა ბ ი და იხარებდეს ვ ე ფ ხ ი თ ი კ ა ნ თ ა თ ა ნ ა და მ ბ ე ლ ი ც ხ ო ვ ა რ თ ა თ ა ნ ა (მდ. 443).

ერთობ დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო სოციალურ ძალთა წინააღმდეგობა. ფრიად ნათლად უნდა ჰქონოდა ეს ამბავი წარმოდგენილი ამის მწერალს — სულ ერთია, რა სახით ჰქონდა ეს წარმოდგენილი—რომ ასეთი ლიტერატურული შედარება მოსვლოდა თავში... ვის რა ფასად უჯდა ეს სახარების იდილია. ან რა ფასად უჯდათ ხარს, თიკანს და ცხოვარს ლომ-ვეფხ-მგელთან „ერთბამად ბოვნა“ და „სიხარული“, ამას, საბწუხაროდ, არ გვამცნობს ბუმატიანე, მაგრამ ჩვენ უმისოდაც ბრავალი საყურადღებო დასკვნის მიღება შეგვიძლია... (²/₇, 39).

1468 წ. მეფე გიორგის სიგელს სწერს წ ი რ ქ ვ ა ლ ე ლ ი გ ლ ო ნ ი ს თ ა ვ ი ს ძ ე რ ა ტ ი.

საინტერესოა ანტონ გლონისთავის ძის სადაურობისათვის. ანტონი მწიგნობართუხუცესი იყო, რატი კი მწიგნობარია (ქრ. II, 289).

ხელის მეეკეიდრეობა

თამარის დროს, 1190 წელს „შეიწყალეს“ და „დალოცეს“ „წ ი რ ქ უ ა ლ ე ლ ნ ი“ (მდ. 444).

სწორედ შეიძლება ანტონ გლონისთავის ძე იგულისხმებოდეს აქ: მიქაელი სწორედ 1190 წელს მოკვდა. ასე რომ, ანტონის ჩამომავალი შეიძლება იყოს რატი (3/29, 149).

გ უ ზ ა ნ ტაოსკარელი განდგა „გამტანელი ტ ა ო ს კ ა რ ი ს ა, ვ ა შ ლ ო ვ ნ ი ს ა და ს ხ ვ ა თ ა ციხეთა მრავალთა წარვიდა ქუეყანასა შაერმანისსა. მაშინ წარავლინეს ს ა რ გ ი ს თ მ ო ვ ე ლ ი და კ ა ხ ა ს ა მ ძ ი ვ ა რ ი ს ხ ვ ი თ ა ა ზ ნ ა უ რ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი თ ა რომელთა თანა იყო მეღუინეთუხუცესიცა სეფე შჳლად(?) კლარჯეთისა და შავშეთისა და გავიდეს მთასა კოლისასა. მოეგებნეს წინა ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, ძინიელნი, კალმახელნი, ყ მ ა ნ ი კ ა რ გ ნ ი და პატრონისგან შეწყალებულნი და შეყრასაცა თანა ცნეს გუზანის შვილისა შაერმანის ლაშქრით მოსულა. გუზანისა ცოლისა და შვილისა წარსხმად, ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“... (მდ. 444—445.).

გუზანი სხვა დამარცხებულებივით არ დანებდა. თურქთა მოსამზღვრეობამ და ცენტრიდან სიშორემ მას გააბედვინა თურქთა მხარეს გადასვლა. აქ უკვე, როგორც ჩანს, მისი მოქმედება სრულიად აღარ უპასუხებდა ტაო-კლარჯეთის ფეოდალთა ინტერესებს. ფანასკერტელი, ძინიელი, კალმახელი — ყველა მეფის მხარეს დადგა და გუზანის მიერ მოყვანილი თურქები დაამარცხეს. აქ აღმოჩნდა, რომ ტაო-კლარჯეთის ფეოდალებს ესმით საქართველოს მთლიანობა, ესმით მისი სარგებლიანობა, გრძნობენ კულტურულ მთლიანობას და, თუ საშინაო განდგომა-აჯანყებას აწყობენ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან უცხოელი დამპყრობელი ძალა შემოიყვანონ ან კიდევ ქვეყანა უცხოელ დამპყრობელს ჩაუგდონ ხელში. მართალია, გუზანი სწორედ საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ მისი ქცევა ინდივიდუალურია ან კიდევ სასოწარკვეთით გამოწვეული.

ან კიდევ შეიძლება ერთობ განდიდებული გუზანი თვალში არ მოსდიოდათ სხვა დიდებულთ და ამიტომ ისარგებლეს მისი მარცხით და მეფის მხარეს დადგნენ?... სწორედ გუზანის სანაპირო ზაქარია ფანასკერტელმა (ასპაანის ძემ) მიიღო. აქ იყო ფეოდალების სისუსტე: ისინი ურთიერთს ვერ ენდობოდნენ, მტრობდნენ და, თუ საერთო გასაჭირო დაუდგებოდათ, უმალ ღალატობდნენ ერთიმეორეს...

საინტერესოა აქ მოხსენიებული ა ზ ნ ა უ რ ი ს შ ვ ი ლ ნ ი. ეს ტერმინი გვიჩვენებს, რომ ამ დროს უკვე მომხდარი ფაქტია აზნაურთა ის დიფერენციაცია, რომელიც ჩვენ ბექას სამართალში გვაქვს: დიდებული აზნაური, საპატიო აზნაური (ციხოსან-მონასტროსანი), აზნაურშვილი (უციხო, უმონასტრო, მამულდამცრობილი), მამულის დამცრობა შეიძლება მომხდარიყო: გ ა ყ ი დ ვ ი თ, წ ა რ თ მ ე ე ი თ, გ ა ყ რ ი თ, სამივე მიზეზი შესაძლებელი იყო... ასე თუ ისე, უკვე ა ზ ნ ა უ რ შ ვ ი ლ ებ ი ა რ ი ა ნ. არის მათი სისხლი დამცრობილი უკვე, თუ ეს მხოლოდ ბექას დროს მოხდა?? ვფიქრობთ, იყო... ტერმინის არსებობა ამას გვაფიქრებინებს და ფეოდალიზაციის საერთო სულიც (2//17, 29).

გუზანი განდგა. „მაშინ წარაელინნეს სარგის თმოგველი და კახა სამძივარი სხვითა აზნაურის შვილებითა, რომელთა თანა იყო მეღვინეთუხუცესიცა სეფე შჳლად კლარჯეთისა და შავშეთისა“ მდ. (444—445).

აქ შეცდომა უნდა იყოს. უნდა იკითხებოდეს: „მეღვინეთუხუცესიცა სეფე, შველად კლარჯეთისა და შავშეთისა“. ასე რომ, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს სეფე მეღვინეთუხუცესი და არა სეფე-შვილი, როგორც ეს მ. ბროსეს უფიქრია „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებთან ერთად. ვერც კ. კეკელიძე ასწორებს და კიდევ უფრო (უსაბუთოდ) ამახინჯებს. ასევე ხსნის ამ სიტყვას კ. კეკელიძე, როგორც მ. ბროსე და სხვები: სეფე შვილი— დიდებულთ შვილი — გაუგებრობაა. თუ ისე არ გავიგებდით, როგორც ჩვენ გვესმის და შვილად-ს არ შევცვლით „შველად“, ტექსტი გაუგებარია, თუ რად წარაელინეს სარგის თმოგველი და კახა სამძივარი (7/4, 16).

სარგის თმოგველმა კარგად იცის, თუ რა დააკლეს გამრეკელს (მას ჰქონდა ჯავახეთი...). თმოგვი თვით მას გადასცეს. და ის ამიერიდან ერთი ერისთავთაგანი შეიქმნა ჯავახეთში, მლის მმართველი აქამდის მხოლოდ გამრეკელი იყო.

სარგისი, დალოცვილი, შედარებით მცირე მფლობელი შეიქმნა— თ მ ო გ ვ ე ლ ი. მაშინ, როცა მისი ძმა ფართო საერისთავო- მფლობელია... (წ. მდ., ფ. 53).

გუზანი აჯანყდა, შაჰი არმენი მოიწვია. თამარის მოიხრეებმა შეიტყვეს „გუზანის შვილისა და შაჰი არმენის[10] ლაშქრით ნოსულა გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად, ც ი ხ ე თ ა შ ი ნ ა თ ურ ქ თ ა შ ე ყ ე ნ ებ ა დ". თამარის მოიხრენი მტერს შეებნენ. დაამარცხეს. გუზანის ცოლ-შვილი ხელთ იგდეს. „აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი და კეალად მგებელნი ქუეყანისანი მოიწივნეს წინაშე თამარისა"... (მდ. 445).

ქვეყანა სწორედ იმით ა გ ე ს კ უ ა ლ ა დ, რომ ც ი ხ ე ნ ი დ ა ს ი მ ა გ რ ე ნ ი აიღეს... (³/₁₄, 347).

გუზანის დამხმარე თურქები დაამარცხა თამარის ლაშქარმა. თამარმა „გარდაიჯადა მადლი კეთილად მოქირვებისა და სიმჯნისა მათისათჳს და დ ა რ ჩ ე ს ყ რ მ ა ნ ი ს ა ხ ე ლ ო ა ნ ი დ ა პ ა ტ რ ო ნ ი ს ა რ გ ებ ლ ი ა ნ ი" (მდ. 446).

პატრონყმური ურთიერთობის ფ ო რ მ უ ლ ა (³/₂₃, 144).

მოვიდა რუსი, შეეხიზნა განძის ათაბაგს და მისი ჯარით „მოვიდა ქუეყანასა კამბეჩისასა და შიგნით მინდორნი მოარბია და აიღო სიმრავლე ტყჳსა და ნატყუნავისა. მაშინ ხორნაბუჯის პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა, მიეწია სამითა შვილითა" (მდ. 453). შეება, დაამარცხა. რუსი გარდათხვენა.

უეჭველია, რუსი მარტო არაა. მას ჰყავს ქართველთაგან მომხრეები: ზოგი თან ახლავს, ზოგი კი შიგნით ეგულება, დასავლეთიდან მოსულმა წააგო. ახლა აღმოსავლეთიდან ცდის საქართველოს სისუსტეს.

თურქთ ლაშქარი დიდი იყოო—„პატრონი თორმეტისა დროშისანი" (მდ. 445).

საინტერესო ცნობაა თურქთა წყობისათვის. მოსახლეობა. ჩანს, საბრძოლოებად იყო დაყოფილი, როგორც ჩვენში იყო... (²/₁₇, 40).

რუსის კამბეჩანს შემოჭრა „ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ი ს ა პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ

---

10 გამოცემაში: შერვანი.

(var. ბატონმან) საღირ მახატლის ძემ ცნა და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და მიეწია...“ (მდ. 453). ეს საღირ მახატლის ძე არის ხორნაბუჯის ერისთავი.

მაშ ერისთავი=პატრონი.

აქ „პატრონში“ საინტერესოდ ჩანს მისი ორი მხარე 1. პატრონი მოხელე, ქვეყნის გამრიგე, დროებით მფლობელი ამა თუ იმ ქვეყნის — მოსაკარგავე. 2. პატრონი დროებით მფლობელი, საშვილიშვილოდ დასაკუთრების ტენდენციებით. ამ დროისათვის საკარგავსა და სამამულო ქონებას შორის განსხვავება, რა თქმა უნდა, არის კიდევ, მაგრამ ტენდენცია მათი გაიგივებისა ძლიერია. საინტერესოა, რომ მფლობელი ორივეს მიმართ პატრონად გამოდის...

მაგრამ მამულის მიმართ პატრონად გამოდის, ხოლო საკარგავის მიმართ პატრონი არის, და არა მემამულე: ტენდენცია სწორედ იქითკენაა, რომ ამის მიმართაც მემამულე გახდეს... და მართლაც ამიერიდან სახელო ქვეყნები იშვიათად თუ ვისმე ერთმევა, ისინი ხელთან ერთად ამა თუ იმ სახლს უკავშირდებიან... (³/₃₃, 408).

სპარსეთში სამი სასულთნო შეიქმნა... „ამას შინა ვ ი თ ა რ ც ა ა რ ს წ ე ს ი მ რ ა ვ ა ლ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა შეიქმნა შური და ჯდომა...“ (მდ. 455).

„თამარის ისტორიკოსი მტერია მრავალმთავრობისა და, როცა ის უუთლუ არსლანის გამოსვლისას ლაპარაკობს „სპარსთა წესზე“, საფიქრებელია, ის აქ სწორედ ამ მრავალ მთავრობას გულისხმობდეს, რომელიც მას აგრე რიგად არ მოსწონს...

ამირ მირანი და შარვანშე ალსართან მოვიდნენ. თბილისს დიდი დარბაზობა გიმართა. ჯარების წყობა: „პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით მიაგებნეს წინა ო ვ ს ნ ი და ყ ი ვ ჩ ა ყ ნ ი ა ხ ა ლ ნ ი, შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართველთანი და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად ხომხითარნი, შემდგომად აფხაზნი, სუან-მეგრელ-გურიელნი, თანა რაჭა-თაკუერ მარგველითურთ და თუთ კარვის კარსა ჯელის უფალნი და შინაურნი“ (მდ. 458—459).

დავითმა ყივჩაყნი გადმოასხა. ყივჩაყნი ამის შემდეგაც მოჰყავთ. თამარის დროს ისინი მოდიან ს ა მ ს ა ხ ო რ ა დ. დაქირავებულნი არიან. საინტერესო მოვლენაა! საქართველო ამ დროს უკვე დიდ ქვეყანაა. ხალხის სიჭარბესაც კი განიცდის. გარშემო მტრებიც ასე ძლიერი არა ჰყავს, რომ მათი გამკლავება არ შეეძლოს. მიუხედავად

ამისა, მეფეს ჰყავს როქის სპა. თუ გავითვალისწინებთ იმ საშინაო ბრძოლებს სოციალური ხასიათისას, მაშინ გასაგები გახდება ამ ჯარის დაქირავების აზრიც... უამათოდ მეფის ხელისუფლება გაძლიერებულ დიდგვარიანთა სათამაშო საგნად გადაიქცეოდა (²/₁₇, 41).

„მოვიდა ამირ მირან მ ა მ უ ლ ა დ ძმისწული სულტანისა და შუკი ფალავანდისა და დედა მისი იყო ასული ინანჯისი[11] და ხუარაძნის მ ე მ ა მ უ ლ ი ს („ქართლის ცხოვრებაში“ ამ სიტყვის მაგიერ პატრონისა—ნ. ბ.)...“ (მდ. 459).

ნემამულე—კაცი, რომელსაც მამეულად ეკუთვნის ესა თუ ის. „ქართლის ცხოვრების“ შესწორება: პ ა ტ რ ო ნ ი ნაგვიანევია. პატრონი ამ დროს ყოველთვის მემამულე არ იყო, ამის ტენდენციები კი ჩანდა, საქმე ასეც განვითარდა მაგრამ ჯერ ეს ასე არ იყო (³/₃₃, 190).

თურქთ კოალიციის შესახებ შამქორის ომის წინ: „ესმა ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვ ა ზ ი რ თ ა თ ვ ს თ ა დ ა შ ე ი ქ მ ნ ა გ ა მ ო რ ჩ ე ვ ა...“ (მდ. 462).

ვაზირების გამრავლება, სავაზიროს შექმნა, სავაზიროში ამა თუ იმ მოკელეთა შეყვანა — ეს ზომები მეფის პოლიტიკის ნაყოფი იყო დარბაზისადმი დაპირისპირებული, თუ იმავ დარბაზის პრინციპზე აღმოცენებული დაწესებულება? საინტერესოა, რომ ეს ს ა ვ ა ზ ი რ ო სწორედ თამარის მეფობაში შექმნილი ორგანიზაციაა. აქამდის ვაზირი მხოლოდ ერთი იყო. თუმცა არის ნიშნები, რომ გიორგი III-ის დროს ვაზირად იქნებოდა როგორც ჰყონდიდელი, ისე ამირსპასალარიც, ყოველ შემთხვევაში, სავაზირო როგორც დაწესებულება თამარის ეპოქის პირმშოა. ის აქამდის არ არსებულა. თამარის მეფობის დროს მას მიეცა სრულიად გარკვეული სახე, გარკვეული კომპეტენციები. პირველად ვაზირი-მწიგნობართუხუცესი, შემდეგ მიემატა ამირსპასალარი, შემდეგ მანდატურთუხუცესი (ჭიაბერიდან?), შემდეგ მეჯურჭლეთუხუცესი (ივანე ციხისჯვარელი?), შემდეგ ათაბაგი (ივანე მჯარგრძელი), შემდეგ მსახურთუხუცესი (მანაველი ვაჩნაძე) და ბოლოს ამირახორი (?)...

სავაზირო გაცილებით უფრო მისაღები ორგანიზაცია იყო ცენტრალური ხელისუფლებისათვის, უფრო მოძრავი, უფრო მოქნილი

---

11 **გამოცემაში: ინანჯანისი.**

და უფრო მორჩილიც, ვიდრე დარბაზი, სადაც ქედმაღალი ერისთავთერისთავნი ქმნიდნენ ტონს... ($^{3}/_{28}$, 16).

შამქორის ომი შეიძლება სწორედ 1193 წელს ყოფილიყო. ხალიფას დახმარება აბუ ბექრისადმი თოღრილ III-ის მტრობით აიხსნება, რომელიც, ტყვეობისაგან განთავისუფლებული, ჰამადანში იჯდა ($^{3}/_{29}$, 146).

როგორი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები ედო სარჩულად თამარისდროინდელ პოლიტიკურ ბრძოლას? ანუ რა სოციალური ფენების ზრახვათა გამომხატველი იყო თითოეული მებრძოლი დასი?

როგორ მოხდა, რომ დასავლეთ საქართველო მთლიანად გამოვიდა თამარის წინააღმდეგ? რატომ არ აღმოჩნდა საქართველოში იქამდის ძლიერი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეძლებოდა ცენტრალისტურ სენიორალურ არისტოკრატიას წინააღმდგომოდა? (მართალია, რეაქციონერები საბოლოო ზრახვებს არ ამჟღავნებდნენ..) ($^{3}/_{29}$, 148).

თავიანთი განდგომილებისას ლიხთიმერთ სრულიად არ მოსდიოდათ თავში კეთხობრივი ჩამოშორება. ისინი თბილისზე ბოდიან და თავისთვის სასურველი წყობილება სურთ დაამყარონ ბხოლოდ. რომ სეპარაცია ყველად უნიადაგო იყო, რომ ის არაპოპულარული იყო, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ის თავში არავის მოსდიოდა. თითქოს ლიხთიქითი ერთსულოვნად გამოვიდა (ყოველ შემთხვევაში საწინააღმდეგო ხმა არ ისმის, გარდა ანტონ საღირის ძისა) და მთლიანად ცენტრალისტურ პოლიტიკას ადგა. მათი პოლიტიკა შესაძლებელია ისეთი იყო, რომ საბოლოოდ სწორედ ასეთ დაყოფას გულისხმობდნენ (უკიდურესი რეაქციონერები), მაგრამ მათ შეგნებაში ამ ბრძოლის დროს ასეთი რამ არ წამოჭრილა: ის ლოზუნგად არ გამოდგებოდა... ($^{3}/_{29}$, 136).

ცნებისათვის „ქ ა ლ ა ქ ი“.

შამქორის ომში გამარჯვებულ ქართველთ „პოვნეს (var. დაიონავრეს) ქალაქნი სამნი ვითა არს წესი სარკინოზთა ლაშქართა შინა (შიგან) ქონება ქალაქთა და სიმდიდრეთა (მათთა) ერთ(ი) ათაბაგისა (ერთი), ათაბაგის ძისა ბეშქენ ქუელისა (და) ერთი სათამ ზეზდინისა (სათმაზოზდინი, თამაზეზდინი) ძისა, რომლისა მამისა სიუხუისა სა-

ხელი სპარსეთს ასეთი ითქმოდა“ (სახელი სპარსთა შორის დიდად განთქმული იყო) (მდ. 468).

„ქართლის ცხოვრება“ უმატებს: „და იხილეგბოდა დიდი საკვირველი და გარდამეტებული შეწევნა ღვთისა, რამეთუ თჳთ მოიღებდეს ნაქონებთა მათთა და თვით და მოასხამიდეს აქლემთა და ჯორთა კიდებულთა და თვით იყუნეს მსახურ იავარისა მათისა და ნატყვენავისა“... უეჭველია, ქალაქი აქ მხოლოდ სიმდიდრეს არ ეწოდება. აქ სამი ლაშქარი ჩანს კოალიციისა. თითოეულს თავისი „ქალაქი“ აქვს;. ეს „ქალაქები“ ქართველთ დაიონავრეს, როცა ბრძოლა მოიგეს. ამ ქალაქთ სხვა მეფენი არა ჰყავთ. გარდა იმ ლაშქრისა, რომელშიაც ის „ქალაქი“ არის. ქალაქი ლაშქრის უფროსს ეკუთვნის. უნდა ვიფიქროთ, ქალაქი ლაშქრის თანმყოლი საგაცვლაგამოცვლო საავაჭრო ორგანიზაციაა, რომელიც ლაშქარს კვებავს. ძვირფასეულობა, საქონელი, ფული, საზოვაგე იყიდება ამ ქალაქებში. ქალაქის მესაკუთრეს — ლაშქრის უფროსს— ეკუთვნის როგორც საქონლის დიდი ნაწილი, ასევე განასყიდზე ბაჟი... ასეა თუ ისე, ეს ტერმინი ფრიად საინტერესოა და აღნიშნავს, რომ ამ დროს ეს ცნება — ქალაქი — უკვე მოსცილდა ციხეს, ზღუდეს და განეკუთვნა უკვე ნაწარმოების (სიმდიდრის) საგაცვლაგამოცვლო ორგანიზაციას... „ქალაქობა“ ჩვენში (3/29, 153).

ტყვეთა სიმრავლე. მათი სიიაფე. ყმათა „სახელი“ და „სარგებელი“. აურაცხელი დავლა. ნადავლის სახე. კულტურული წინააზიის „ქალაქის“, ე. ი. საბაზრო საქონლის სახე. შეიძლება აქ აკლდეს ზოგი რამ, მაგრამ ძმთავრესი უეჭველად წარმოდგენილია (მდ. 471):

ტყვე	ჭურჭელი	ხმალი
ცხენი	ნაქსოვი	ღვინო
ჯორი	ოქროქსოვილი	ჭური
აქლემი	შესამოსელი	თრიაყი
ცხვარი	მანიაკი ოქროსი	ქოში
ხარი	თვალმარგალიტი	წამალი
ოქრო	სუნნელი	საღებავი
ვერცხლი	ალვა	ტილო
ოვალი	სპილენძი	მატყლი
მარგალიტი	ჯაჭვი	ბამბა
ლარი	მეზარადი	(3/29, 154).

შამქორის ომისა და განძის აღების დავლა: საპატრონო ფ ა ნ ჯ ი ა ჭ ი. ტყვე 12 ათასი, ავაზა 40, ცხენი 20000, ჯორი 7000, აქლემი 15000 (მაშ ტყვე ყოფილა 60 000, ავაზა 200, ცხენი 100 000, ჯორი 35000, აქლემი 75000). ტყვეს „კუტლად ფუკისად გაყიდიან“... ო ქ რ ო, ს ა მ კ ა უ ლ ი, ჭ ო ბ ჭ ე ლ ი, თ ვ ა ლ ი პ ა ტ ი ო ს ა ნ ი, მ ა რ გ ა ლ ი ტ ი, ჯ ა ჭ ვ ი, მ უ ზ ა რ ა დ ი, ხ ბ ა ლ ი, ნ ა ქ ს ო ვ ი ფ ე რ ა დ-ფ ე რ ა დ ი, ო ქ რ ო ქ ს ო ვ ი ლ ი, შ ე ს ა ბ ო ს ე ლ ი მ რ ა ვ ა ლ ს ა ს ყ ი დ ლ ი ა ნ ი, ცხენი, ჯორი, მ ა ნ ი ა კ ი ო ქ რ ო ს ა თვალმარგალიტიანნი, სუნნელი მრავალფერი, ალვის ხე...

„ს ე ფ ე ნ ი ა ზ ნ ა ურ თ ა ნ ი ა ღ ი ვ ს ნ ე ს ტ ყ ვ ი თ ა რ ჩ ე უ ლ ი თ ა, და ყოველი საგანძური ოქროთა, ვითარცა მიწათა და ჰინდოურითა ქვითა და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხვითა“ (მდ. 472).

ამოდენა სიმდიდრის შედეგები, რა თქმა უნდა, ცოტა მნიშვნელობისა არ იყო და სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისა იყო სხვადასხვა კლასებისათვის. სეფენი აზნაურთანი აღივსნეს რჩეული ტყვეთა, მაგრამ სწორედ ამ რჩეული ტყვეების მნიშვნელობა სრულიად სხვა იყო მიწის მუშებისათვის და მით უფრო ცუდი იყო, რომ უფრო მეტი იყვნენ ისინი, რაც უფრო ფუჭად გაიყიდებოდნენ (2/17, 42).

აქ მთხრობელი თითქოს სხვას იწყებს — ის განაგრძობს მისამდე დაწერილს — შეიძლება თავისსავე დაწერილს, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ და დაწყებისას წინასიტყვაობისებურს ურთავს, — თავის თავზე ლაპარაკობს. მან არა ჯერ იჩინა დადუმებად აქამდის „უმეცრებით ლექსთა მეტყუელებად“ და „საქმითა დიდითა კეთილთა დავიწყებით შეიქნა“ (მდ. 477).

უეჭველია, ასეთი შესავლისებური თქმები არ იყო საჭირო იმისათვის, ვინც აქამდე წერდა, რომ ის განაგრძობდეს ამ მოთხრობას უშუალოდ.

ცოტა ქვემოთ, როცა თამარის სპათა სიმრავლეს აღნიშნავს, მათ სიმხნეზე ლაპარაკობს, „რომელიც სიტყვამან ცხადყოს“-ო. განა იქამდის არაა ცხადყოფილი? და რომ ეს მწერალი იგივე იყოს, რომელმაც აქამდის დაწერა თამარის ისტორია, ის ამას, რაღა თქმა უნდა, არ იტყოდა. ეს კაცი მ ო ლ ე ქ ს ე ყოფილა. მას წილად ხვდა ამ საქმეთა მოთხრობა (3/29, 156).

თამარის სამართლისათვის რაღა უნდა ვთქვაო... „რამეთუ ყამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული და მძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი იტყოდა ვითარ მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა“ (მდ. 480).

რა თქმა უნდა, ისტორიკოსი თანამედროვე არ არის და „თქმულს“ გადმოგვცემს. ბასილი ეზოსმოძღვარს ნათქვამი აქვს, რომ მეკობრეთა ჩამორჩობა თამარის დროს ძალაში დარჩაო. საინტერესოა როგორც ეს კანონი, ისე მისი ძალაში დატოვებაც... როგორც თვით მეკობრობა, ისე მისი საწინააღმდეგო კანონი და კიდევ უფრო ამ კანონის ძალაში დატოვება ამ საერთო შემსუბუქების დროს სოციალური მომენტის აღმნიშვნელია და მის ნიადაგზეევე ასახსნელი. რომ ეს კანონი დიდგვარიანთათვის მიუღებელი ყოფილიყო, მას არც დააკანონებდნენ — გიორგი III ძლიერი არ იყო, რომ ასეთი კანონი ცხოვრებაში გაეტარებინა, თუ ის დიდგვარიანთ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული... უეჭველია, მეკობრენი წვრილი ერისგანნი იყვნენ... და რომ ეს ასე იყო, იქიდან ჩანს, რომ ეს კანონი ძალაში დატოვეს მაშინაც კი, როცა მისი მოსპობის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, თუ კი ის მათ წოდებრივ ინტერესებს არ ეთანხმებოდა... ($^{2}/_{17}$, 45).

თამარმაო „იწყო... ალექსანდრიით ვაჭართა მიღებულისა მატყლისაგან სთვად ქმნად შესამოსლისა... თქმულ არს ესეცა დაღათუ მოუწყობელ არს სიტყუა ვითარმედ თჳსითა ჴელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი დააფასის რაოდენ დღივ შეჭამის ჴელით საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა (აჴელსაქმრა) მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან“ (მდ. 480).

როცა საჭამადის დაფასებაც კი მოსდით თავში, აშკარაა, რაოდენ განვითარებული ყოფილა ვაჭრობა... როცა თამარისათვის არ იყო სათაკილო ხელსაქმარის გაყიდვა, აშკარაა, ის კიდევ უფრო სასახელო იქნებოდა სხვებისთვის. ნახელსაქმევი-ოქრომკედით ნაქსოვი — ერთ-ერთი მთავარი გასატანი საქონელი იყო. საინტერესოა ეს გლახაკთ სიმრავლე ამ სიმდიდრისა და სილაღის ფონზე.

დასასრულ, საინტერესოა, რომ თამარი პირად ქონებას განარჩევს სამეფო ქონებისაგან. ჩვეულებრივ ფეოდალურ ჭვეყნებში ასეთი გარჩევა არაა ჯერ კიდევ...

აქედანვე, საფიქრებელია, რომ ამის მწერალი თამარის თანამედროვე არ არის. ის გადმოგვცემს „თქმულს“ და თვითონვე საეჭვოდ მიაჩნია თქმულის სინამდვილე „დაღათუ მოუწყობელ არს სიტყვა ესეო.“ ის გარემოება, რომ თამარის ამ მემატიანეს აეჭვებს თამარის შესახებ ამ ცნობის სინამდვილე, მოწმობს როგორც იმას, რომ იგი თამარის თანამედროვე არ არის, აგრეთვე იმასაც, რომ ის ისეთ დროს ცხოვრობს, როცა მეფის მიერ ხელსაქმობა და ამ ნახელსაქმევის გაყიდვა პრაქტიკაში აღარ არის... პირადი შრომა, როგორიც არ უნდა იყოს ის, ან კიდევ ვაჭრობა, რაინდებს და მით უფრო მეფეს აღარ შეშვენის. XIII საუკუნე ასეთი არ იყო: როგორც პირადი შრომა (დიოფალთ დიოფალთა ოქრომკედით ნაკერი ნიმუშები), ისე ვაჭრობა (კახა თორელი) სათაკილოდ არ ითვლებოდა. მხოლოდ XIII ს-ის ბოლოდან და შემდეგ უნდა შემუშავებულიყო ასეთი შეხედულება შრომასა და ვაჭრობაზე... თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეხედულებები მხოლოდ XIII ს-ის შემდეგ შეიქმნა. საზოგადოებრივი კლასების დაყოფა ისეთი იყო, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ისეთი იყო, რომ ასეთი შეხედულებანი უკვე XII ს-ში უნდა შემუშავებულიყო გარკვეულ წრეებში (ასეთია შოთა, მისი პოემა ამ შეხედულებებს ატარებს. ვაჭრები ჯაბანნი, მათ მფარველობს რაინდი, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...). მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩატეხილიყო ხიდი საბოლოოდ, ჯერ კიდევ შეეძლო „ყმას“ მიწის მოქმედობა და დიდებულს ვაჭრობა (კახა თორელი)... ფეოდალიზაციის გაძლიერებასთან, აზნაურთა და დიდებულთ კასტურ ჩამოყალიბებასთან ერთად, წოდებათა საქმეც მკაცრად ისაზღვრებოდა: აზნაურს, დიდებულს მუშაკობა, ვაჭრობა აღარ ეკადრებოდა, მისი საქმე ომი, რბევა, ნადირობა იყო (კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი) ($^{2}/_{17}$, 44).

ზაქარია მხარგრძელი იოანე კათალიკოსმა გაიცხა „რომლისათჳსცა სირცხვილეულ წარვიდა ზაქარია კარჳად თჳსცა და დარბაზის მპყრობელი ზაქარია ამირსპასალარი (var. და ოდეს მოიხადეს დარბაზს სერობად ამირსპასალარსა ზაქარიას)“ კამათი შეექნათ მასა და კათალიკოსსაო... მდ. (482).

საინტერესოა ეს „დ ა რ ბ ა ზ ი ს მ ა ს ე რ ე ბ ე ლ ი“. თუ ტექსტი ესაა სწორი და არა „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი, მაშინ „დარბაზში“ აქ იგულისხმება დიდებულთა გარკვეული ვინაობა და ოდენობა. იქვეა კათალიკოსი, მეფე კი არა.

ან შეიძლება უფრო სწორია დარბაზს მასერებელი, ე. ი. იგივე, რაც ვარიანტშია? თითქოს უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს. იმიტომ რომ სრულიად შეუფერებელია ამირსპასალარი იყოს დარბაზის მასერებელი. ვარიანტული რედაქციისას კი გამოდის, რომ „დარბაზს" დიდებულებს სერობაც ჰქონდათ ხოლმე, ე. ი. მეფის სასახლეში საერთო სუფრა გაემართებათ ხოლმე დიდებულთ. ასეთ სერზე, რა თქმა უნდა, მეფე არაა. ამავე დროს დიდებულთ თავთავისი კარავი აქვთ... (3/28, 12).

რომ ზაქარიამ არ მიიღო მართლმადიდებლობა. ამაში შეიძლება ის გარემოება თამაშობდა როლს, რომ ზაქარიას ჰქონდა სომეხთა მეფედ გახდომის სურვილები და რომ ამის განხორციელებას ის სომეხთა სამღვდელოებისა და კათალიკოსის საშუალებით აპირებდა. საერო მფლობელთაგან მისი დიდად მზარის დამჭერნი არც თუ ვინმე ბევრნი იქნებოდნენ. მისი გვარის უხანობა ამის დიდ შანსებს არ იძლეოდა. სომხეთში უძველესი მფლობელთა გვარები იყვნენ. მათ გაცილებით მეტი პრეტენზიები ჰქონდათ საამისო, ვიდრე ქართველ მეფეთა მიერ დაწინაურებულ „უხანოთ", რომელთაც გენეალოგიების შედგენა სჭირდებოდათ, რომ თავიანთი უხანობა დაეფარათ, მაგრამ მაშინ ეს ყველამ კარგად უწყოდა...

ამ მხრივ ზაქარიას პოზიციები სუსტი იყო. მას ისევ ქართველ მეფეებთან უნდა ეძია თავისი ძლიერების საყრდენი, თუ არ სურდა ფეოდალთ ბურთი გამხდარიყო. სომხეთში მას არავინ ამეფებდა... და ვერც გამეფდა (ჭაბანწყეტა: მას ხან არტაჭსერქსეს უკავშირებენ, ხან ბაგრატუნიანებს, ხან ორბელებს). მაქსიმუმი, რისიც მიღწევა მხარგრძელთ შეეძლოთ, ეს ივანემ შეძლო — ეს იყო ათაბაგობა... (3/29, 160).

თამარმა ვარძია ააგო... „შესწირნა მრავალნი და დიდრუვანი სოფლები" (მდ. 494), საქართველოსა და მის გარეთ მონასტრებს შემწეობა-შეწირულება.

მეფის ხელისუფლების ასეთი ზრუნვა ეკლესია-მონასტრებზე „შეზავების თეორიის" შედეგია. „შეზავება", რომელიც ასე მკაფიოდ გამოითქვა IX საუკუნეში, ფრიად პრაქტიკული და ცხოველმყოფელი გამოდგა. ამიერიდან ის არასოდეს დარღვეულა. ეკლესია-ხელისუფლებს შორის აქა-იქ შეხლა ხდებოდა. მაგრამ არა ამ „თეორიის" პრაქტიკაში გატარების შედეგად... ყოველ შემთხვევაში, ეკლესია მეტად პირმტკიცე აღმოჩნდა და ამ თეორიას არ ღალატობდა.

მწყალობელი ხელისუფლების სასარგებლოდ და მის განსამტკიცებლად ის დაუღალავად საქმიანობდა „იდეოლოგიურ ფრონტზე“ და საჭირო თეორიებს ქმნიდა და ქადაგებდა. საინტერესოა, რომ ეს უმთავრესად მონასტრებს და მონაზონებს ახასიათებს, ვიდრე ეპისკოპოსთ. უკანასკნელნი ერთობ ფეოდალები იყვნენ და თავიანთი ქცევით არაფრით განსხვავდებოდნენ საერო ფეოდალთაგან. ამიტომ მათი „თეორიაც“ შესაფერი უნდა ყოფილიყო. თანაც ეს ნაწილი სულ სხვა ორგანიზაციისა იყო და IX საუკუნეში შექმნილ შეზავების თეორიასთან კავშირი არა ჰქონდა. ის საერო ცხოვრების პარალელურად ვითარდებოდა და მისი მსგავსი იყო... მონასტრები კი, მას შემდეგ, რაც შეზავების თეორია პრაქტიკაში გაატარეს, კულტურულ ცენტრებად იქცნენ, თეორ სამღვდელოებას ეს იარაღი ხელიდან გამოსტაცეს და დიდი გავლენაც მოიპოვეს. საერო ხელისუფლება გრძნობდა მათ მნიშვნელობას და სამგიეროს უხდიდა ერთგულ მოკავშირეთ...[12] ...ყველა მონასტერი ასეთი არ იყო... თვით მონასტერიც საერო ცხოვრების ნაყოფი იყო... (2/17, 45).

კარი, ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ რ ი თ, მეფემ აიღო. მთავარი მებრძოლები აქ იყვნენ ს ა რ გ ი ს თ მ ო გ ვ ე ლ ი და შ ა ლ ვ ა თ ო რ ე ლ ი.

მეორე ცნობით კი, კ ა რ ი ა ი ღ ო ი ვ ა ნ ე ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ მ ა.

ამ ფაქტიდან ცხადია, რომ კარის აღების ამბავს მოგვითხრობს ორი სხვადასხვა პირი და არც ერთი მათგანი თამარის პირველი ისტორიკოსი არაა. მ ა შ ს ა მ ი ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი ფ ა ქ ტ ი ა (წ. მდ., ფ. 60).

კარის აღების ამბავი ბასილი ეზოსმოძღვარს, უეჭველია, უფრო სწორად აქვს აღწერილი, ვიდრე იმ ისტორიკოსს (ჩემი აზრით, ყამთააღმწერელს). კარის ასაღებად, ბუნებრივია, შალვა თორელი და სარგის თმოგველი ყოფილიყვნენ მიელენილი. კარი ჯავახეთის ერისთავის ს ა ნ ა პ ი რ ო იყო, ამიტომ ივანეს (ახალციხელის) ათაბაგობა კარის აღებასთან დაკავშირებით ნაგვიანევად მოგონილი ჩანს. ლაშას აღმზრდელი იყო ივანე მხარგრძელი. საუფლისწულო ჯავახეთის ერისთავი იყო გ ა მ რ ე კ ე ლ კ ა ხ ა ს ძ ე, მ ი ს ი შ ვ ი ლ ი (კახა?)

---

12 აქ ავტორს მიუწერია: დაუფიქრდი!

შ ა ლ ვ ა თ ო რ ე ლ ი და ი ვ ა ნ ე (უმცროსი ძმა. იხ. კახას სიგელი). *ასე რომ, შალვა და ივანე ახალციხელებისთვის აქ არაფერი რჩება...*

ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდნენ შალვა და ივანე თორელნი და შალვა და ივანე ახალციხელნი (??).

დ ა ე ს ი მ ი ტ ო მ, რ ო მ შ ა ლ ვ ა დ ა ი ვ ა ნ ე ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ე ბ ი ი გ ი ვ ე თ ო რ ე ლ ე ბ ი ა (წ. მდ., ფ. 57).

ეს, რა თქმა უნდა, თანამედროვე არ არის. მეკობრე არ იყო თამარის დროსაო და მპარავი (ქცა. II, 81). ბასილი ეზოსმოძღვარი კი აღნიშნავს: მეკობართ საწინააღმდეგო სასჯელს გარდა ყველა გააუქმაო თამარმა. და ის არც მალავს თავის ნაგვიანებობას. „თქმულ არსო“ მრავალგან ამბობს ის.

ზაქარია და ივანე მხარგრძელებზე ისე ლაპარაკობს, თითქოს ისინი ახლა ჩნდებიან სამოღვაწეო ასპარეზზე.

ამბები 1194 წ ლ ი დ ა ნ 1206 წ ლ ა მ დ ი ს ს რ უ ლ ი ა დ ა კ ლ ი ა. ეს მემატიანე იწყებს სასულიერო ხასიათის ზღაპრებით და მხოლოდ კარის აღების მოთხრობით აგრძელებს შამქორის ომზე შეწყვეტილ ამბებს.

ენა ამ ავტორისა სრულიად სხვაა, მსოფლმხედველობაც ასევე ($^{3}/_{29}$, 157).

კარი აიღო მეფემან. ივანე ახალციხელი ათაბაგი და ამირთამირა. მასვე ჰისცა სანაპირო კარული ქვეყანა (მდ. 496).

ივანე ახალციხელისა და ივანე მხარგრძელის ქიშპი, რაიც აგრე სახიფათო იქმნა პირველისათვის, შესაძლებელია სწორედ ამ „ათაბაგობის“ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. საქართველო უკვე საათაბაგოდ მომწიფებული ქვეყანა იყო. „სპარსთა წესი“ კონკრეტულ სახეს იღებდა. აქამდის არც ერთი ათაბაგი არ იყო. ამიერიდან უკვე ორი ჩნდებოდა. მწიგნობართუხუცესობა საფრთხის ქვეშ იყო. თუ მას სურდა ძველი სიძლიერე შეენარჩუნებინა, ის უნდა საერო ხელად ქცეულიყო და ათაბაგობა მიეტაცებინა. სწორედ ასე მოიქცა ბასილი უჯარმელი... ($^{2}/_{17}$, 48).

ივანე ახალციხელი იმიტომ ხომ არ იწოდა აგრეთვე ათაბაგად, რომ ჯავახეთის ერისთავი იყო, ხოლო ჯავახეთი კი საუფლისწულოდ ითვლებოდა. და ლაშა ჯავახთ უფალი გახდა, და პირველი ალასტანელი??? ($^{2}/_{17}$, 48).

ეს „უშოროთ იშობა“ (მდ. 496)—„უბოძა ათაბაგობა“ ამქღავ-ნებს ამ მწერლის ვინაობას, ის მესხია და წერს მაშინ, როცა მესხეთში ათაბაგობა უკვე ჯაყელთ სახლშია (წ. მდ. ფ. 58).

დიდი ომების წინ ჩანს დიდი მომზადება. აქ ფ უ ლ ი მ თ ა ვ ა-რ ი ა. ჯ ა რ ი ს დაქირავება, მოსყიდვა მოღალატეთა, ჯაშუშები — ყველა ეს ჩვეულებრივი ხერხია.

ხოლო ჯარის შეიარაღება „ცხენკეთილობა“, ჯაჭვ-აბჯარი და სხვა საომარი იარაღი მთავარი საზრუნავია, ასევე სხვა ს ა ო მ ა რ ი ბ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი.

აქ შენიშვნიდან[13] ჩანს, რომ ყოფილა ამ დროს ჩვეულებრივი ნორმა დაქირავებული მხედრისა. რუქნედინი „ორსა კეცსა გაჩენილისასა“ ჰპირდება... (3/29, 163).

აღდგომა დილით არდაველის სულთანი ანისს შეუხდა. ხალხი ეკლესიებში იყო... იწყეს ყოცად... „რომელიმე ივლტოდა დ ა რ ბ ა-ზ ო ა ნ თ ა და მუნ გამაგრდა და რომელიმე ივლტოდა ქ უ ა ბ ო ა ნ-ს ა რომელსა შინა ქარტუნობითა უკმობენ... (მდ. 511).

სახლების გვარი — დარბაზოანი.

ასეთები მრავალი ყოფილა, ესენი მდიდარ მოქალაქეთა სახლე-ბი უნდა ყოფილიყო (3/28, 11).

არდაველის სულთანი ანისს შეუვარდა. უმრავლესი ერი ეკლე-სიათა შინა იყო. ხალხი გამაგრდა ქარტუნებში, დარბაზოანებში. სულთანმა დახოცა 12 ათასი მხოლოდ ეკლესიებში „თვინიერ მისსა რომელი უბანთა და ფოლოცთა შინა მოიკლა“... (მდ. 511).

დარბაზოან-ქვაბოანებში ხალხი სწორედ ეკლესიებიდან გაიქცა-ასე რომ ანისის მოსახლეობის რაიმე სიახლოვე თორმეტი ათასთან ყოვლად შეუწყნარებელია (3/29, 167).

საინტერესოა, რომ თამარის ისტორიკოსი არანის ქვეყანაშიაც ისეთსავე „დიდებულთ“ ხედავს, როგორც საქართველოში, ისეთსა-ვე დიდვაჭართ, ისეთსავე მონებს (მონა სპა), ყოველ შემთხვევაში, მათთვის სხვა ტერმინოლოგია არ აქვს. მხოლოდ „ყადი“ და „ნეყა-მილნი“ აღინიშნებიან აქ ზედმეტად. საფიქრებელია, აქ ჩვენ ისეთსა-ვე სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან გვაქვს საქმე, როგორიც თვით საქართველოშია... ყოველ შემთხვევაში, შარვანშა (აღსართან),

---

[13] იგულისხმება 1906 წ. გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ 497-ე გვ. რედ.

შემჭორის და განძის „პატრონი“ ამირმირმან, ან კიდეე ანისის „პატ-
რონი“ აბულ სოვარის ძე — „ყმათნაფიცად“ იწოდებიან, „თაყვა-
ნებისა“ და „წყალობის“ ფეოდალური „ყმური“ აქტებით განისაზ-
ღვრება მათი დამოკიდებულება პატრონთადმი (²/₁₇, 43).

ბასიანის ბრძოლის დროს „მოუკლეს ცხენი ივანეს მსახურთ-
უხუცესსა ზაქარია გაგელს, ახალციხელთა შალვას და ივანეს, თაყა-

ადინს თმოგველსა, კაცსა მჭნესა და სხუათა მრავალთა თ ა ვ ა დ-
თ ა... იხილეს ლ ა შ ქ ა რ თ ა თავის-თავისი პ ა ტ რ ო ნ ნ ი ქუეით-
ნი. გაწირნეს თავნი სიკუდილიდ და ჩამოკდეს ცხენისაგან და პატ-
რონთა მათთა გუერდსა დაუდგეს“ (ქცა, II, 97). თავადები ყმებით
მიდიან ომში. ყმები შეადგენენ „ლაშქარს“, ეს „ლ ა შ ქ ა რ ი“
მ ხ ე დ რ ი ა. მაშ ისინი მსახურზე ნაკლები არ არიან მაინც. საინტე-
რესოა, რომ ბეჭის კანონები გლეხის მოლაშქრეობაზე არ ლაპარა-
კობს, მაშინ, როცა აზნაურისა და მსახურის მიმართ ეს ნაგულისხ-
მევია. და ეს იმიტომ, რომ აზნაურისა და მსახურის მოლაშქრეობა
„საპატიო“ იყო და ქონებრივ სიძლიერესთან იყო დაკავშირებული
(შესაფერისი იარაღი, ცხენი, კარავი), მაშინ, როცა გლეხის ლაშქრო-
ბა მარტივი იყო. ის ქ ვ ე ი თ ი იყო და ბატონის უშუალო მომსა-
ხურეობას ეწეოდა... (²/₁₇, 46).

დამარცხებული რუქნედინის ჯარები...

„უდიდესი მათი შეიკრვოდა უმცირესისა მიერ თჳსისა და უწარ-
ჩინებულესი მათი მოიყვანებოდა გამობმული ძუასა ცხენისასა...
ყ რ მ ი ს ა მ ი ე რ მ ც ი რ ი ს ა უ მ ჯ ო ბ ე ს ნ ი მ ბ რ ძ ო ლ თ ა-
ნ ი მოიყვანებოდეს...“ (მდ. 505).

ყრმა აქ, რა თქმა უნდა, ასაკით მცირეს არ ნიშნავს, არამედ სო-
ციალურად უდაბლესს, რომელიც შეიარაღებით ასევე განსხვავდე-
ბოდა დიდებულისაგან, უკანასკნელნი იყვნენ „უმჯობესნი მბრძოლ-
თანი“. ყმა მცირე მსუბუქად შეიარაღებული იყო, ხოლო პატრონი—
მძიმედ მოლაშქრე, უკანასკნელი იყო უწარჩინებულესი... (³/₂₃, 458).

კარი ასაღებად მისწურეს. მოქალაქეებმა ითხოვეს მშვიდობა და
ფიცი, „რათა არ ა გ ა ნ ს ც ე ს კ ა რ ი, ვ ი თ ა რ ა ნ ი ს ი და
დ ვ ი ნ ი, არამედ სამეფოდ დაიჭიროს. მისცა ამისთჳს სიტყუა
მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის, რათა შევიდეს და თჳთ მი-
ითვალოს ქალაქი და ციხე რომელი ესე ესრეთ იქმნა. და ეს ერთი
ქალაქი და ციხე თჳსად დაიჭირა მათ ყოველთაგან რომელნი აიხვნა

ზორაკერტით რაჯსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის" (ნდ. 509—510 შენ).

მეტად საინტერესოა, რომ ყარსელები წინააღმდეგნი არიან ქალაქის ფეოდალიზაციის. მათი სურვილია მეფის ქალაქად დარჩენა. უეჭველია, ეს ეგრალო კაპრიზის საკითხი არაა, არამედ აქ, ამ განცხადებაში რაღაც საინტერესო ეკონომიკური მომენტია ჩამარხული... მოქალაქეების (=ვაჭრების, ხელოსნების) სიმპათიები მეფისკენაა. ისინი ფეოდალების მფლობელობას უარყოფენ და სურთ მეფისაგან უშუალო დამოკიდებულებაში იყვნენ. ეს მეტად საინტერესოა: მეფის ხელისუფლებას ქალაქების სახით ერთგული მოკავშირე ჰყოლია ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში... აქვე მოცემულია მეფის პოლიტიკის დამარცხების აშკარა ნიშნები: ყარსელები მოითხოვენ, რომ არ გასცეს მეფემ ყარსი „ვითარ ანისი და დვინი". მაშასადამე, ქალაქების გაცემის ის ფორმა, რომელიც თამარის დროს დამყარდა საქართველოში („საკუთრად", „სანახევროდ", „სამამულად"...), ქალაქებისათვის მიუღებელი იყო. მათი სურვილების (=ეკონომიკურ მისწრაფებათა) წინააღმდეგი იყო. როგორც ცნობილია, ანისი და დვინი მხარგრძელებს გადაეცათ და, როგორც ჩანს, გადაეცათ საკუთრად და სამამულად და არა სამმართველოდ, როგორც დავით II-ის ან გიორგი III-ის დროს გადაეცემოდა ხოლმე ქალაქები (ანისი, შირვანი...) აზნაურთ... სამმართველოდ თვით კარიც კი, როგორც ცნობილია, ივანე ახალციხელს გადაეცა და მას ამირთამირა ეწოდა და ათაბაგიც. ათაბაგი იმიტომ, რომ ივანე ახალციხელი იმ საუფლისწულო ქალაქის და მისი სანახების („კარული ქვეყანა") გამგე-მმართველი გახდა, რომელიც უფლისწულმა ლაშამ „მიითუალა". ისტორიკოსი მეტსაც გვამცნობს: ის ბოდიშით ამბობს, რომ იმ აურაცხელი ქვეყნებიდან, რომელიც თამარმა დაიპყრო „ზორაკერტით რახსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის"—მხოლოდ კარი და კარული ქვეყანა დაიჭირა სამეფოდო. აქედან ცხადია, თუ რაში ყოფილა ფეოდალების გამარჯვება თამარის დროს. დამყარებულია სისტემა, რომლის წყალობითაც ახლად აღებული ქვეყნები (ქალაქები, ციხეები, სოფლები) ფეოდალებს სამამულედ ეძლეოდათ. და ეს ხდებოდა ამ ქალაქებისა (და უეჭველია წვრილ აზნაურთა) სურვილებისა და ინტერესების წინააღმდეგ... ამიერიდან გაჩნდა „მჯარგრძელთ სახლი", „თმოგველთ სახლი", „ორბელთ სახლი" და სხვ., სადაც „სახლი", ისე როგორც ეს იყო ძველად დავით აღმაშენებლამდის, გარკვეულ ტერიტორიას (ქალაქ-სოფლებით) შეიცავდა, რომელიც სამამულად ეკუთვნოდა ამ

ფეოდალურ სახლებს, ამათვე ეკუთვნოდა ის „ჟელიც“, რომელიც ამ ტერიტორიების ქონებასთან იყო დაკავშირებული. ამიერიდან ეს ტერიტორიები ფეოდალების მიერ განიხილებოდა, როგორც „მამული“ და მათი გადიდება-გაძლიერება, ხშირად მეზობელი სახლის ხარჯზე, მათ საზრუნავს შეადგენდა. დროისა და გარემოებათა მიხედვით ფეოდალური კავშირი მეფესა და ამ ფეოდალთ შორის თანდათან სუსტდებოდა (საამისო პირობები ჩვენში იყო საგარეო თუ საშინაო) და თუ პირველ ხანებში მამულის გაცემის ფაქტი ფეოდალს ვალდებულებებს აკისრებდა, შემდეგ ეს დაკიწყებას ეძლეოდა... ($^{2}/_{17}$, 48).

არდაველის სულთანმა ანისი აიღო და გაძარცვა. ზაქარიამ და ივანემ სამაგიერო გადაუხადეს (მდ. 510—514). მემატიანის მიერ ამ ეპიზოდს სარწმუნოებრივი ელფერი აქვს მიცემული, რაც სრულიად ნაძალადევი ჩანს. ანისში ქრისტიანების გვერდით არამცირე მუსლიმანები ცხოვრობდნენ. ასე იყო მთელ რიგ სხვა ქალაქებშიაც (თბილისი, დვინი, დმანისი...). მუსლიმანები აქ სრულიად სწორუფლებიანად გრძნობდნენ თავს და არავითარ სარწმუნოებრივ დევნას არ განიცდიდნენ (თბილისის ყადი ცნობილ დვინის სასამართლოშიც კი მონაწილეობდა). ასე რომ, თუ არდაველის სულთანმა 12 ათასი ქრისტიანი ეკლესიებში ამოხოცა აღდგომა დილას და მერმე ზაქარიამ რამაზანს ამდენივე მიზგითებში—ეს იყო არა სარწმუნოებრივი დევნა, არა სარწმუნოებრივი ომი, არამედ ჩვეულებრივი ბრძოლა საქართველოსა და მეზობელ სულთანს შორის, რომელმაც გარემოებათა წყალობით (შემთხვევით) ასეთი ელფერი მიიღო (აღდგომა და რამაზანი).

არდაველიდან მოიტანეს დავლად: თ ვ ა ლ ი და მ ა რ გ ა ლ ი ტ ი, ო ქ რ ო (და ვერცხლი), ჭ უ რ ჭ ე ლ ი ოქროსი და ვერცხლისა, შ ე ს ა მ ო ს ე ლ ი, საფენელი და ყოველი სიმდიდრე ეგოდენ გ ა მ დ ი დ რ ე ბ უ ლ ი ს ა ქ ა ლ ა ქ ი ს ა... აღივსნეს ცხ ე ნ ი თ ა, ჯ ო რ ი თ ა, ა ქ ლ ე მ ი თ ა.

ესაა მაშინდელი გამდიდრებული ქალაქის ქონება. მეტად საინტერესოა, რომ ვ ე რ ც ხ ლ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა, ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ვ ე რ ც ხ ლ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი ც. ხოლო, როგორც ცნობილია, ამ დროს ვ ე რ ც ხ ლ ი ს ფ უ ლ ი ა რ ა ა, რაც, რა თქმა უნდა, აიხსნება არა ვერცხლის არ არსებობით, არამედ მისი ჭედვის არახელსაყრელობით...

საინტერესოა ქალაქის სიმდიდრის მაჩვენებელი ეს დავლის სახე: ძვირფასი ქვა, ძვირფასი ლითონი, ჭსოვილები, ოთხფეხი საქონელი (ომისა და ტრანსპორტის). ყველა ეს უმთავრესად, რა თქმა უნდა, მაღალი წრეების მოთხოვნილებებს ემსახურებოდა... (თუ ახლაც კი ბურჟუაზიულ სამყაროში კლასების მოხმარების საგნები ასე სხვადასხვაობენ, რომ არსებობს მთელი რიგი ნაწარმოებთა, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუების სახმარ რასმე შეადგენენ და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მას მოკლებულია, მაშინ ფეოდალურ საზოგადოებაში ასეთი რამ დაკანონებულიც კი იყო. არსებობდა ნაწარმოები, რომლის მოხმარების უფლება გარკვეულ წოდებას ჰქონდა მხოლოდ. კლასთა დაპირისპირება ამ მხრით გაცილებით უხეში იყო და ამიტომაც უფრო მკაცრად გამოიყურებოდა, თუმცა დაპირისპირების სილრმე უმაღლეს წერტილს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღწევს) (2/17, 49).

სპარსეთიდან ლაშქარი დაბრუნდა. ისანში დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა გაიმართა. მეფეს არმაღანი მოართვეს. მეფემ უხვად გასცა ო ბ ლ ე ბ ს ა და გ ლ ა ხ ა კ ე ბ ზ ე (მდ. 525).

აუარებელი სიმდიდრე მოდის. ყველა აღივსო მით და ამავე დროს მეფის მთავარი საზრუნავი (ყოველ შემთხვევაში, მემატიანე მის ამ მოქმედებას აქცევს მთავარ ყურადღებას) არის წყალობა ო ბ ო ლ თ ა და გ ლ ა ხ ა კ თ ა როგორ ტრაფარეტულად არ უნდა მივიღოთ ეს გამოთქმა მემატიანის მიერ, სულ ერთია. ამ გამოთქმის რეალურ შესატყვისებლობას ვერ უარვყოფთ, რადგან ამას მოწმობს არა ერთი, არამედ ყველა მემატიანე. სიმდიდრე „გარდარეული" შეთავსებული ჩანს „გარდარეულ" სიგლახაკესთან.

სპარსეთში ქართველთ ლაშქრობას განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო „მაღალი სულთანის" ხორეზმშას წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. აღნიშნული ქვეყნები უკვე მის სამფლობელოს (საყმო) წარმოადგენდა. ბრძოლა საქართველოსა და ხორეზმშას შორის აუცილებელი ხდებოდა კულტურული წინა აზიის ჰეგემონობის ნიადაგზე. საინტერესოა, რომ ქართველთ დაიწყეს ის. ჩანს, არც ისე დიდი წარმოდგენის იყვნენ ხორეზმშაჰზე მაშინდელი ქართველი მოღვაწენი, როცა ასე შორს შეუტიეს (2/17, 50).

ლაშქარი სპარსეთიდან გამარჯვებული დაბრუნდა. „შევიდეს ისნთა (და) დაჯდა მეფე ტახტსა (ზედა) სამეფოსა შეუძღვა ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი და შ ე ვ ი დ ნ ე ს თ ა ვ ა დ ნ ი და დას-

ხდეს წესისაებრ და მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დადვეს მეფეს წინაშე“... (მდ. 525).

დარბაზი:

„მეფემ“ მრავალი გასცა ობოლთა და ქვრივთა ზედა და ეკკლესიანი აღავსნა სიმდიდრითა და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე დიდი“ (იქვე). გაწეული ლაშქრობის შეფასება, ნადავლისა და ნაალაფევის კანონიერი დაყოფა:

მეფეს
ლაშქარს
გლახაკთ.

ეს ალაფი რეგულარული შემოსავლის სახეს იღებს. მისი წესიერი განაწილების მოგკარება აუცილებელი იყო. ნაალაფევს გარკვეული და არამცირე ადგილი ეჭირა მოლაშქრეთა ბიუჯეტში. უეჭველია, წილის ოდენობა ამა თუ იმ ერისთავის სიდიდით, ე. ი. მის მოლაშქრეთა ოდენობით (ომში მონაწილეობით) განისაზღვრებოდა (შეიძლება სხვა საზომიც არსებობდა). ყოველ შემთხვევაში. საკითხი მეტად საინტერესო იყო. უწესრიგო შოვნა კი არ იყო, სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებული საქმე ჩანს... (3/28, 2).

დიდო-ფხოელთ განდგომა დაამარცხა ათაბაგმა ივანემ. ქვეყანა მშვიდობას განიცდიდა, „ხოლო სპანი მისნი განსვენებასა, ნადირობასა და ბურთაობასა. თვით თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფეს წინაშე იყუნიან, განისვენებდიან და აღივსებოდიან საბოძერითა მეფისა მიერ მათისა“ (მდ. 529).

რა თქმა უნდა, ეს „სპა“ საზოგადოების უმაღლესი წრეებისაგან შედგებოდა და ქვეყნის მოქმედნი აქ ვერ იქნებოდნენ. განსვენება, ნადირობა და ბურთაობა სწორედ ამ ქვეყნის მოქმედთა დაბეგვრის ხარჯზე ხდებოდა...

მეფის კარი არის წყარო ეკონომიკურ-პოლიტიკური (და სულიერი) აღზევება-ძლიერებისა და, სანამ ეს ასეა, რა თქმა უნდა, „თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფის წინაშე“ არიან (შდრ. ლაშას დარბაისლებმა უარი უთხრეს მასთან ყოფაზე, თუ ის არ გასწორდებოდა). ეს მეტად საინტერესო მოელენაა. ფეოდალები გამარჯვებული იყვნენ და სრულიადაც არ დაიშალა ქვეყანა. ეს უდავოდ ამტკიცებს, რომ ქვეყანა ეკონომიკურ-პოლიტიკურად ისეთ ერთეულს წარმოადგენდა, რომ ფეოდალთ ბუნებაც კი დაიმორჩილა და ამ მთლიანობისათვის მებრძოლი გახადა (XIII ს. ამის საუკეთესო მაგალითია). და თუ გ. ნათაძის თეო-

რიას საქართველოს სიძლიერის ეფემერულობის შესახებ, ბალანსის პასიურობის შესახებ (მოკლედ საქართველო ყაჩაღთ ბუნაგი) რაიმე გამართლება ჰქონდა, განა ასეთი ერთიანობა შესაძლებელი იქნებოდა? (რა დაემართა მოყაჩაღე სხვა ასეთ ხალხებს, სელჯუკებს, მონღოლებს?... — დაიშალნენ...). თუ დავითის დროს გაერთიანებას ამაგრებდნენ ყივჩაყები (თუმცა ეს ზღაპარია: ყივჩაყნი მხოლოდ 1118 წელს მოიყვანა მან, შორეული საგარეო მიზნებისათვის, როცა საქართველო უკვე გაერთიანებული იყო. ამისათვის ფეოდალური ლაშქარი ჯერ კიდევ არ ეგემათ. ამიტომ რეაქციონერთა იდეები ჯერ კიდევ ძლიერი იყო. მოწინავე კლასები, რომელთა ნების აღმასრულებელი იყო დავითი, ჯერ კიდევ არ იყვნენ ისე ძლიერი, რომ მათზე დაყრდნობით საგარეო და საშინაო ბრძოლა წარმატებით დაემთავრებინა მეფეს...), ახლა გამაერთიანებლები თვით ის ფეოდალებია, რომელნიც მეფის ხელისუფლების გაძლიერების ასეთი მტრები არიან...

და სანამ ასეთი გამარჯვებაა, სანამ მეფის კარი ასე მიმზიდველია, დიდებულნიც მის წინაშე არიან, მაგრამ საკმაოა დამარცხებანი, საკმაოა სხვა კარი გაჩნდეს, ფეოდალებიც იქით წაელენ (მაინცდამაინც „უკაროდ" ისინი არ რჩებიან. სანამ ფეოდალებად არიან...).

• თამარს მ დ ი დ ა რ ნ ი და გ ლ ა ხ ა კ ნ ი ერთნაირად ტიროდესო. საინტერესოა: მემატიანემ იცის, რომ მდიდარს და გლახაკს სხვადასხვაგვარი განწყობილება აქვს მეფისადმი და ჩვეულებრივ არა „სწორებით" შეიწუხებენ თავს მეფის სიკვდილის გამო. და თუ თამარის სიკვდილის გამო: „მ თ ა ვ ა რ ნ ი ი ც ე მ დ ე ს პ ი რ თ ა გ ლ ა ხ ა კ ნ ი ი ტ ყ ე ბ დ ე ს თ ა ვ თ ა" (მდ. 531 სქ.). ეს განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირს მოვლენად მიაჩნია. ეს უეჭველი საბუთია იმისა, რომ ამ დროს დიდია განსხვავება მდიდართა და გლახაკთ შორის, დიდია წინააღმდეგობაც მათ შორის, სულ სხვადასხვაა მოვლენების შეფასება მათ მიერ: ეს კლასობრივია (ეს ასეა ყოველთვის, მაგრამ აქ მძაფრად არის გამოსახული).

თამარმა სიკვდილის წინ დ ა რ ბ ა ზ ი მოიწვია და მათ შეავედრა საბელმწიფო და თავისი შვილები.

გ ლ ა ხ ა კ თ ს ი მ რ ა ვ ლ ე ზ ე თ ა მ ა რ ი ს დ რ ო ს, ამ საკითხის მეტად სერიოზულობაზე მიუთითებს ის მეტად საინტერესო ზომა, რომელიც თამარს მიუღია „ყ ო ვ ე ლ ს ა ს ა მ ე ფ ო ს ა მ ი ს ს ა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ნ ი რ ა ც ა ი ყ ო შ ი ნ ა თ დ ა გ ა რ ე თ ყ ო ვ ლ ი ს ა ნ ა ა თ ა ლ ი გ ლ ა ხ ა კ თ მ ი ე ც ე მ ო დ ა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა" (მდ. 535 სქ.) (სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის არსებობის უეჭველი ნიშანი). ეს ფრიად სერიოზული ზომა, უეჭველია, გამოწვეული იყო მდგომარეობის ფრიად სერიოზულობით: გლახაკთ სიმრავლით და მდგომარეობის საშიშროებით საგანგებო ზომა აუცილებელი გახდა. სახრჩობელები, გიორგი III-მ რომ შემოიღო მეკობრეთ წინააღმდეგ და ვერც თამარმა მოსპო, როგორც ჩანს, მიზანს ვერ აღწევდნენ (ან კი რა მიზნისათვის უნდა მიეღწიათ, როცა გლახაკები სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ — ასეთი იყო ეკონომიკური კანონი — და ყველას დახრჩობა ხომ არ შეიძლებოდა?), თამარი საკითხის შველას მეორე მხრით მიუდგა: სახელმწიფო დახმარების სისტემა შემოიღო. რა თქმა უნდა, ესეც პალიატივი იყო, მაგრამ თავისთავად მეტად საინტერესო სახელმწიფოებრივი აქტი... გლახაკთ ნაათალი ახალი ამბავი არ იყო კულტურულ აღმოსავლეთში, მაგრამ მას ახდევინებდნენ ყველას (عشرت زكات). აქ კი ეს საქმე თვით სახელმწიფოს ორგანიზაციას აუღია თავზე და საკუთარი შემოსავლიდან იხდის მას. ეს უკვე სახელმწიფო დაზღვევაა და მოწმობს როგორც ქვეყნის ორგანიზაციულ (და კულტურულ) მომწიფებას, ისე გლახაკთ საკითხის მეტისმეტ სერიოზულობას ამ „საერთო" აყვავების დროს ...(გლახაკთ ნაათალი ბაგრატ I-მა შემოიღო IX ს-ში. იხ. გრ. ხანძთელი...).

თამარის საგარეო პოლიტიკა

„ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღვთისა და ერთგულობით უფალთა ოვსთა, ყრმანი განიწვართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამ ვერცა თუ კვალი პოვა ღღეთა თამარისათა"... (მდ. 538 სქ.).

„ერნი" აქ ნახმარია დაბალი ხალხის მნიშვნელობით. საინტერესოა, რომ ეგინი განემტკიცნეს ერთგულობით არა „პატრონთა", არამედ უფალთა თვისთა. გლეხის მიმართ (პატრონი) ფეოდალი უფლად იწოდებოდა?? ეს ძველად ასე იყო, მაგრამ ახლაც?... გლეხი ამ დროს ჯერ კიდევ ყმად არ იწოდებოდა (²/₁₇, 51—52).

სოცდილის წინ თამარმა „შემოუწოდა ყოველთა სამეფოსა თჳსისათა წინაშე მისსა. განიმტკიცა თავი თჳისი და მჴნედ მჴდომარე ესრეთ ეტყოდა: „ძმანო ჩემნო და შვილ-

ნო... თქვენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა მაქუნდა სიყუარული თქვენი და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დავაკლე თვთოეულისაებრ არძანგისაებრ[14] ვიდრემდის განგებითა ღვთისათა ვიყავ თქვენზედა მეფედ... აჰა ესე რა მკვდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ რომელნი მომცა ღმერთმან შვლნი ჩენნი... ეგენი მიიხვენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგიესონ დაკლებული ჩემი... შეეედრნა ყოველთა და მიუთვალნა"... (მდ. 531—532 სქ.).

ფეოდალური მეფის მოვალეობაა აკეთოს დიდებულთა „სათნო" და „სარგებელი". მათვე შეეედრებს მეფე შვილებს: ისინი არიან მკვიდრნი სამეფოსანი. თამარი მწარედ იყო გამოცდილი, თუ რას ნ~შნავს დიდებულთ უკმაყოფილება და ამიტომაც ტახტზე კარგა ხნით წინ აყვანილ ლაშას ასე სასოებით „შეეედრებს" დიდებულთ. ის საჭიროდ ხედავს სიკვდილის წინ დარბაზს მოუწოდოს და მას, როგორც უზენაესს ხელისუფლებას, ჩააბაროს ქვეყანა (3/28, 6).

თამარი სიკვდილის წინ: „ქრისტე ღმერთო ჩემო, მხოლოო და უსრულებელო მეფეო ცათა და ქუეყანისაო, შენ შეგვეედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა და შვლთა ამათ ჩემთა..." (დ. 532).

ეს იდეოლოგია, შექმნილი გარკვეულ სინამდვილეში, თამარის მეფობას ერთობ ნაკლებად შეესაბამება. მას მეფობა არწმუნა ამ ორგანიზაციამ, რომელსაც ის ახლაც აბარებს მას... (3/29, 170).

თამარის აღუსტიანობა, ალექსანდრიანობა (დავითის მესიანიზმი).

მუჰამედ ხორეზმშაჰის ბრძოლა ხალიფასთან (მას სურს იყოს სულთანი და სახალიფოს საერო მფლობელი, ხალიფას კი სასულიერო საქმეებს უტოვებს).

მუჰამედი „ისკანდერი".

ორივეს (მუჰამედის და საქართველოს) დიდმპყრობელური ზრახვები, ეკონომიკა საბატონყმო ასეთსავე შესაბამ პოლიტიკურ ფორმას მოითხოვდა. **საპატრონყმო ურთიერთობა** აღარ შეესაბამებოდა შექმნილ ეკონომიკურ ურთიერთობას. ეს კი შესაბამ სახელმწიფო-

---

14 ავტორს განმარტებული აქვს არძაგნი = სასხდომელი პატიები.

ეპრივ ფორმას მოითხოვდა... ფორმისა და შინაარსის დაშორება დიდს ხნით შეუძლებელი იყო... (3/23, 18).

XII—XIII საუკუნეების საქართველოდან მთავარი გასატანი საქონელი უნდა ყოფილიყო: აბრეშუმი, ბამბა, ღვინო, ოთხფეხი.

ღვინო და ესენი გახდა, უნდა ვიფიქროთ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს გაერთიანებისა, მისი სიძლიერისა, ეკლესიათა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მიწისმოქმედთა მიწაზე მიმაგრებისა (და შინა და გარე დანართ მოვლენების მიმატებით), საქართველოს სოციალურად დაუძლურებისა, მისი წყობის კრიზისისა და ფეოდალური ჩიხისა... (3/29, 216).

ლაშქრის ქცევის გამო...

სოციალური წყობის კრიზისი სწორედ იმაში იყო, რომ XII საუკუნის საგარეო გამარჯვებათა ნიადაგზე (საფუძველი ამას, რა თქმა უნდა, მეურნეობაში ჰქონდა...) თავისუფალ მიწის მოქმედთა კლასი გაქრა. მისი ნაწილი გლეხად იქცა (დაიბეგრა), მეორე ნაწილი აზნაურობაში შევიდა. ხელსაყრელი ომები ხელს უწყობენ მოლაშქრეთა დიდი კონტინგენტის არსებობას. აზნაური არ მუშაობს ფიზიკურად. მწარმოებელთა კლასს მოაკლდა მთელი კატეგორია: ის გააზნაურდა, ან კიდევ დაღარიბდა და გლეხად იქცა... ძლიერი ეკონომიკურად (საშუალო შემლების მოსახლეობა) მწარმოებელი კლასის ადგილი დაიკავა უქმმა წვრილაზნაურობამ ან კიდევ მძიმედ დაბეგრილმა გლეხობამ... ხელსაყრელი ომების პირობებში ასეთი წყობილება არ ამეღავნებდა მთელ თავის უარყოფითობას, მაგრამ შეწყდა თუ არა ასეთი ომები და ქვეყანა დადგა თუ არა ახალი ეკონომიკური გამოცდის (და პოლიტიკური გამოცდისაც) წინაშე, კრიზისიც აშკარად გამომეღავნდა: არამწარმოებელი კლასები ფრიად მრავალი აღმოჩნდა, ხოლო მწარმოებელნი სიმცირესთან ერთად ფრიად დატვირთულნი.

მოლაშქრეს „საქმე" აღარა ჰქონდა. ის ვისაც გნებავთ დაექირავებოდა მისთვის საკადრის საქმეზე, ე. ი. ლაშქრობაზე (შეადარე ბერძენთ მოლაშქრეობა... მაგრამ იქ მონათმფლობელობის ნიადაგზე შეიქმნა თავისუფალის უსაქმობა, აქ კი ბატონყმობის ნიადაგზე ბატონის უსაქმობა)... კრიზისიც ეს იყო (3/29, 225).

უნდა: დომენისათვის ბრძოლა.

თუ ერთი მხრით ქვეყნებს სამამულოდ უწყალობებენ (ოძრეკ-ბოდოკლდე და სხვ.), მეორე მხრით, არანაკლები ჩანს ბრძოლა ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ს ა ხ ა ს ო ს ა მ ე ფ ო თ უ ს ა უ ფ ლ ი ს-წ უ ლ ო დ ი დ ი ჰ ქ ო ნ ო დ ა თ (დავით ალმაშენებელი: „შევრ-თე სახლი სახლსა აგარაკი აგარაკსა და ვიღწვი უმეზობლობასა“).

სამშვილდე, თრიალეთი — ხელი გიორგისი, ხელი დავითისი ჯა-ველახეთში, ყარსი... ნადარბაზევი, პირღებული, გზა-ფუნდუკები, თა-მარის დროს ბრძოლა „მამულებისათვის“-ყმადნაფიცობისათვის. ბრძოლა არის საწინააღმდეგო (ლაშა). კ რ ი ზ ი ს ი, რას მოასწავებს? საკითხი უმიწაწყლო მეფის შესახებ შუდამ იდგა ფეოდალური ხა-ნის ისტორიაში.შემდგომი განვითარებისას ქვეყანა იშლება სამთავ-როებად, მაგრამ გაერთიანების ტენდენციები ძლიერდება (საამისო განვითარება), იწყება „იპატრონა“ (დიდი და მცირე).

აღმოსავლური ფეოდალიზმი: მ ი წ ა-წ ყ ა ლ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ი-ს ა ა, ყველა სხვა მიწის მჭერელი მოხელეა (მოსაკარგავე, помещик, ზაიმი).

ა მ ს ა კ ი თ ხ ს ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ჩ ა ჯ დ ო მ ა უ ნ დ ა,

გიხსენე: მეფის უმიწაწყლობა ფეოდალურ მეფეს თავის სიძ-ლიერედ წარმოუდგენია: მთელი მიწა მას ვასალებისათვის დაური-გებია. მაშ უზრუნველყოფილია სამსახურით (აბსურდამდე მიტანი-ლი მსჯელობა...) ($^{6}/_{7}$, 112).

[ბასილი ეზოსმოძღვარი]

„აზნაურნი გუარიანნი“

მიგვითითებს სწორედ იმ ეპოქაზე, როცა გაძლიერებული ტერები (სომხ. „ტერ“) გამოეყვნენ სახლს და მასთან ბრძოლაში შექმნეს, დაამტკიცეს თავიანთი ინდივიდუალური არსებობა... ამ მოვლენის აღსანიშნავად და ამ მოვლენასთან დაკავშირებით შექმნილი ეს ცნება ბუნებრივად განეკუთვნა ცნებას „ძლიერს“. აზნაური გვარიანი ნიშნავდა „აზნაურთ ძლიერთ“, ხოლო შემდეგ, როცა გუარიანობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, „სახლების“ სწრაფ გადაშენებასთან დაკავშირებით, მაშინ სიძლიერის გამოსახატავად საჭირო იქმნა „დიდგუარიანი აზნაურის „ცნება...

„აზნაური გუარიანის“ გვერდით ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ „აზნაური უგვარო“, ე. ი. აზნაური (=თავისუფალი. სხვა შინაარსი აქ ამ ტერმინს არ უდგება), რომელსაც გვარი ახასიათებს, ე. ი. „სახლით“ ცხოვრობს. გამოდის, რომ ცნება აზნაური „თავისუფალის“ გაგებით შემუშავდა გვართა ჭიდილისა და ურთიერთის დაძალვის პირობებში და მხოლოდ შემდეგ იშლება სახლები... (კაუკი). რა თქმა უნდა, ჩვენი საუბარი შეეხება იმ ეპოქას, როცა ამ ტერმინთა საფუძველი წარმოიშვა და არა იმ დროს, რა დროიდანაც ეს ტერმინები ჩვენამდის მოღწეულა (³/₃₃, 144).

„გუარითა უაზნო“, აქ „გვარი“ ხმარებულია ჯ უ რ ი ს მნიშვნელობით, ე. ი. უ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო „ბ უ ნ ე ბ ი ს“ უთავისუფლო ჯურის.

საზოგადოება ორ ნაწილად (ჯურად) იყო გაყოფილი: თავისუფალი და უთავისუფლო, თავისუფალთ შორის განირჩეოდნენ დ ი დ დ ი დ ნ ი (³/₃₃, 146).

დ ა რ ბ ა ი ს ე რ ნ ი — ეს იგივე ტ ა ძ რ ე უ ლ ე ბ ი ა ამ ახალს პირობებში.

ესენია ჯერ დაულოცველი დარბაზის უმანი, სასახლეში რომ იზრდებიან, მეფის წინაშე მდგომელნი და საკუთარნი, ტახტის აზნაურნი (გვიანი გამოთქმით), შინაურნი („მეესაწოლენი" და სხვანი)... (წ. ქცა, II, ფ. 3).

მიქაელი მოკვდა. გამრეკელიც. ლიხთიმერეთი აჯანყდა. დამარცხდა.

„ხოლო თამარ ეევედრებოდა ღმერთსა და გონებდა თუ ვის მინდოს დავით და სპა თჳსი და განსაგებელი სახლისა თჳსისა. რომლისათჳსცა არც აიცხჳნა ღმერთმან არამედ აღავსო სიბრძნითა და მეცნიერებითა და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თჳსსა მთავართა და განიცადა თუალითა გონებისათა მიანდო ღმერთსა საქმე, მოიყვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით, რომელი პირველ ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ იყო და მიქაელ კათალიკოზმან მას მისცა მოძმაცჳთა ვიეთმე მ ე ფ ი ს ა გ ა ნ მ ზ რ ა ხ ი თ ა თ ა. ესე მ ო ი ყ ვ ა ნ ე ს ნამდვილვე კაცი ღირსი ქებისა... სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ... დასუეს ვაზირად, მისცეს ჰყონდიდი, სამთავისი, კისისჯევი და მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ა" (ქცა, II, 122—123).

აშკარაა, 1183 წელს ანტონი მწიგნობართუხუცესია. გიორგის სიკვდილის ჟამს ის ასეთია. გარდამავალ დროს უსარგებლია ვიეთმე მ ე ფ ი ს ა გ ა ნ მ ზ რ ა ხ თ და მათი შემწეობით ეს ჯ ე ლ ი მიქაელ კათალიკოსს ჩაუგდია ხელთ... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეფის (თამარის) უნებურად მოხდა: ამას საუცხოოდ ამტკიცებს თამარის ცდა პირველ ყოვლისა გადააყენოს მიმხვეჭელი მიქაელი. მაგრამ ამ განმზრახთა და მიქაელის კავშირი ერთობ ძლიერი ყოფილა.... გაფიცვისა და ყუთლუს გამოსვლის შედეგად დარბაზი შედგა. მეფის ხელისუფლება დიპლომატიურად მოიქცა და პროგრესისტებს ნაწილობრივ დაუთმო. დარბაზი (მისი უმრავლესობა) ყუთლუს მედასენი იყვნენ. რეაქციონერნი უკმაყოფილონი იყვნენ და დარბაზის გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ. დარბაზმა ანტონი გლონისთავის ძე ჰყონდიდლად აირჩია. მიქაელი არ ანებებს. ანტონი იძულებულია გარეჯაში იჯდეს მიქაელის სიკვდილამდე (³/₃₄, 244).

„მოკუდა ქართლისა კათალიკოსი ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი, ქ ა რ თ ვ ე ლ ი, მ ი რ ი ა ნ ი ს ძ ე მი-

ქაელ, რომელსა აქვნდა სამთავისიცა და არავინ შეწუხნა მისთვს, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს მას..." (ქცა, II, 122).

საინტერესოა: მიქაელი, როგორც ჩანს, მოკვდა 1190 წელს, ყოველ შემთხვევაში, დავით სოსლანის გამეფების შემდეგ. ის აქამდის ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესად იწოდებოდა. ამავე დროს, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ანტონი გლონისთავის ძე ჭყონდიდლად კვლავ იქნა არჩეული ყუთლუ არსლანის გამოსვლის უმალ, ე. ი. თამარის მიერ რუსის შერთვამდის. გამოდის, რომ ერთსა და იმავე დროს საქართველოში ორი მწიგნობართუხუცესი ყოფილა. მიმხვეჭელი მიქაელი გაუთავისუფლებია დარბაზს ჭყონდიდლობისაგან, მაგრამ მიქაელს ეს არ უსურვებია და ის სიკვდილამდის ამ სახელოს ატარებს. დარბაზი უძლური ყოფილა მისთვის, ეს ხელი ჩამოერთმია... ჩანს, მიქაელს ჰყავდა მომხრენი როგორც დარბაზში, ისე, უმთავრესად, დარბაზს გარეთ, რომელნიც ამ ახალი დარბაზის — უკეთ მისი უმრავლესობის — გადაწყვეტილებებს საეალდებულო შესასრულებლად არ თელიდნენ...

ანტონ გლონისთავის ძე მისი არჩევის შემდეგ არ ჩანს დიდ ხანს. იმიტომ ხომ არა, რომ ფაქტიურად ვერ ჭყონდიდლობდა? სწორედ ასეა. იგივე ბასილი ეზოსმოძღვარი მოგვითხრობს, რომ თამარმა ანტონი მოიყვანა გარეჯით რუსის განდგომის დამარცხებისა, მიქაელის და გამრეკელის სიკვდილის შემდეგ, მაშ ის 1185 წელს მეორედ გაჭყონდიდებული მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ შესდგომია საქმეს (3/34, 245).

საეკლესიო კრების წინამძღუართა „ნიკოლაოს და ანტონი... არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელი-მაწყუერლობა და მწიგნობართუხუცესობა მოეკვეთაგა უფლისაგან არამედ ვერა განაყენეს დაცათუ ფრიად იღუაწეს... (ქცა, II, 118).

თამარს სწორედ აქედან უნდა დაეწყო. ის სავსებით მოქცეულა ურეაქციონერეს ფეოდალთა ხელში. მიქაელი ამათი წარმომადგენელი ჩანს. ის ფაქტიური გამგე უნდა გამხდარიყო სამეფოსი, — საერო და საეკლესიო ხელისუფლება ხელთა ჰქონდა და მხარდაჭერილი გავლენიან დიდგვარიანთაგან საშიში ხდებოდა მეფის ხელისუფლებისათვის. ეს უკვე გამოჩნდა იქიდანაც, რომ მეფის მეორედ კურთხევის საქმე (კანონიკურად მაინც) მის ხელთ იყო. პირველად თა-

მარ აკურთხა ნიკოლოზ გულაბერის ძემ და ჰყონდიდლად იყო მაშინ ან იოანე ან ანტონ გლონისთავის ძე. მიქაელმა ორივე ანათ მისტაცა ხელი. კათალიკოსობა გიორგის დროსვე, ხოლო ჰყონდიდლობა თამარის გამეფების უმალ. და თუ რამდენად აუტანელი გარემოება შექმნილა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ თამარი იწვევს კრების მეთაურად სწორედ გულაბერის ძეს. კრებას არ ესწრება მიქაელ კათალიკოსი და კრებასაც არ სურს ის. თამარი სპეციალურად მოუწოდებს კრებას, რომ განმარტონ წესი, მაგრამ კრება მიქაელის მიმართ უძლური აღმოჩნდა და მართლაც ისე უნდა მოხდარიყო: ის მოთავე ჩანს იმ ურეაქციონერეული წრისა, რომელთაც თამარის მეორედ კურთხევით, გაფიცვით, რუსის განდგომილებით გამოამეღავნეს თავისი ზრახვები... (3/24, 246).

„დღეთა შინა თამარისათა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცავინ დასჯილი, თუნიერ ძ უ ე ლ ი ს ა ს ჯ უ ლ ი ს ა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა. თუთ არცავის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისაცა მიეკადა თანანადები, არცავინ ბრძანებითა მისითა ასომოკუეთილ იქმნა, და არცა სიბრმითა დაესაჯა, თუნიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა“ (ქცა. II, 141).

საინტერესოა, რომ „ძველი სჯული“-ს სხვა მხარეები შერბილდა თამარის დროს, მხოლოდ ძველებურადვე მკაცრი დარჩა — ძელსა ზედა ჩამორჩობა — ავაზაკთა სასჯელი. ეს ძველი სჯული გიორგი III-ის მიერ დადებული სჯული იყო და, როგორც ჩანს, მიუხედავად სიმკაცრისა, მას სასურველი ეფექტი ვერ მოუცია. ავაზაკობა ისევ მძვინვარებდა და „ძველი სჯულიც“ მოქმედებდა. ერთი მხრით, სიმდიდრე, მეორე მხრით, სასტიკი ავაზაკობა. სურათი ნათელია: ავაზაკობენ არა მდიდარი (მაშინ ძველი სჯული უფრო ეფექტიანი იქნებოდა), არამედ სწორედ ამ მდიდართაგან მიმძლავრებული, ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებული ერისგანნი და გადასახადებით შეეიწროებული გლეხები (2/17, 65).

[ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე]

ლაშას მემატიანე (თანამედროვე) ტერმინ მონას ხმარობს არა ალეგორიულად ან ხატოვნად, არამედ რეალურად. ლაშას სათნოებიანობის გამოსახატავად ამბობს: „მ ო ნ ი ს ა ც ა ე რ თ ი ს ა მ ა თ რ ა ჯ ი ს ა ა რ ა მ კ რ ე ვ ე ლ ი“. ჩ ა ნ ს მ ო ნ ა ცოცხალი ტერმინია. მონისათვის მათრაჯის კვრა იქამდე ჩვეულებრივი და ბუნებრივია, რომ, ვინც ამას არ სჩადის, მას ეს უმაღლეს სათნოებად ეთვლება (წ. ან., ფ. I).

ლაშა გიორგი ცდილობს თამარის დროის პოლიტიკური მარცხი ცენტრალური ხელისუფლებისა გამოასწოროს. აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, უფრო რთული საქმე გვაქვს, ვიდრე მ ო ს მ უ რ ე ბ ი. ლაშამ დაიახლოვა „უღირსები“ და მათი საშუალებით ლაშობს ქვეყნის განგებას. ჩანს, დამარცხდა. გამარჯვებულებმა (დარბაზის წევრებმა) მას ცოლიც წაგვარეს.

(ასე იდილიურად ცოლის წაგვრა, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ზღაპარია).

1206 წლის მარმუცის წარწერაში (კოსტანიანი 47e) ლ ა შ ა უ კ ვ ე მ ე ფ ე დ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა.

ამიტომ მის მიერ კარის მითვალეა სრულიად კანონიერი ამბავი ყოფილა.

თამარისა და ლაშას თანამყოფელობის ფაქტს უდავოდ ადასტურებს ჰალბაღის წარწერა, 1221 წლისა (კოსტანიანი) ($^3/_{20}$, 166).

[ქამთააღმწერელი]

ქამთააღმწერელი წერს ასი წლის ისტორიას. XIV ს-ის მწერალი. თხზულება უსათაურო. „ქამთააღმწერლობა“: მოკრძალებული მწერალი, პირუთვნელი „ვინათგან წიგნი ესე შვა მდებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთა... ქამთააღმწერლობა ჭეშმარიტება არს, არა თვალახმა ვისიმე“...

სწორი და ფხიზელი მსჯელობა. დამოუკიდებელი, სასწაულებისადმი გულუბრყვილო. ეძებს მიზეზებს საქართველოს დაცემისას და ამას სამეფო კარის ზნეობრივ დაცემაში (ლაშა-რუსუდან) ხედავს.

მონღოლთ გამარჯვება — ეს ქართველთ დასჯა იყო ცოდვათა გამო. დამარცხების მიზეზებს მარტო მტრის სიმძლავრეში კი არ ხედავს, არამედ თვით ქართველი ერის შინაურ მდგომარეობაში (ზნეობრივი გახრწნა).

დიდებულთ შორის ქიშპი და შური. დამარცხების ერთი მიზეზი. მონღოლთა სისტემა (მოხარკეობა) — დაღარიბების მიზეზი. პესიმისტი (ამაოება)... შედეგი ძლიერი საქართველოს უცები და უცნაური დაცემისა.

წყაროები. I. „ბერი მღვიმელი“, „წიგნი მეფეთა ბაღუშისთა“, „ყოველთა აღმწერელი“. ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები.

ის განათლებული კაცია. იცის ბერძნული ისტორია. იცის უიღურული, მონღოლური, სპარსული. კრიტიკის ნიჭი. გეგმით წერა ($^{3}/_{50}$, 4).

ქამთააღმწერელი მესხი უნდა იყოს. მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს თამარის „მეორე ისტორია“. რა თქმა უნდა, მას სათანადო წყარო ექნებოდა. მისი ინტერპოლაცია უნდა იყოს ივანე ახალციხელის გაათაბაგება თამარის მიერ. შეიძლება ასეთი გადმოცემა ჰქონდათ გვარში ჯაყელებს.

უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი რამ მათ შექმნეს ნაგვიანევად, XIV საუკუნეში, როცა ათაბაგობა გამოსტაცეს მანკაბერდელებს, ორბელებს, მხარგრძელებს და საბუდაროდ დაისაკუთრეს (3/29, 176).

ქართველმწერლისათვის დამახასიათებელია „მთავრის“ ხმარება პოლიტიკური აქცენტით. მაშინ, როცა სხვა ისტორიკოსები ერისთავს ხმარობენ... მას, XIV საუკუნეში მცხოვრებს, მთავრებად წარმოუდგენია ისინი, ისე, როგორც ეს იყო ერისმთავრობის ხანაში ან, უკეთ, როგორც ეს იყო მის დროს (წ. ქცა., ფ. 67).

გიორგი ლაშას განძელთ ხარკი აღარ მოსცეს. მეფემ „მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსა იმერთა და ამერთა მჯარგრძელსა ივანეს, რომელსა მაშინ პატივი ათაბაგობისა მინებებოდა დედისა მათისა თამარისაგან, რამეთუ იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული იყო უმეტეს სხვათა ერისთავთასა. ესე იყო ვაზირი ყარსა მეფისასა“... (მდ. 439). მეფე მიმართავს მათ სიტყვით და ასრულებს „...აწ მე ესრეთ განმიზრახავს რათა შური ვაგოთ განძასა ზედა და თქვენ შრომასა შეგამთხვიო (რამეთუ) ძალითა და თანადგომითა თქვენითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩემთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი. აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი და აღვიმხედროთ განძასა ზედა... რათა... სიქველითა თქვენითა ვსძლოთ მტერთა ვითარ ესმა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა განიხარეს და დაუმტკიცეს და რქვეს“...

დაამტკიცეს ლაშქრობა და განძის დარბევასა წარმართეს მეფე სპითა დიდითა...

დარბაზი.

მეფე აცნობს განზრახვას. დარბაზი მსჯელობს და დაუმტკიცებს ან არა (3/23. 4).

ივანე მჯარგრძელსო „პატივი ათაბაგობისა მინებებოდა დედისა მათისა თამარისაგან რამეთუ იყო ათაბაგობა განდიდებული უმეტეს სხუათა ერისთავთა. ესე იყო ვაზირი მეფისასა“...

ამ ნიადაგზე გასაგებია ათაბაგის მტრობა თორელებთან და მწიგნობართუხუცესთან (3/14, 331).

ბთავარ ლაშქარს, განძას რომ ადგა გარს, წინ მოეგება ოცგადახდილი ლაშა თავისი მოწინავეთი „რომლისათვის ლაშქარნი და თავადნი მბრძოლნი (var. დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრეთა და არცა კარსა მეფისასა ყოფად. ხოლო მეფე იგი უნისაგან ჩამოჴდა და ევედრა შენდობა და ტმეცრებით ქმნილისათჳს შენდობა ითხოვა და ესრეთოლა მივიდეს კარვად მეფისა“... (მდ. 542=543).

„დარბაზი“.

არსებობდა ომის წესი. მეფემ გარდაუხვია ბას. დიდებულები ორგანიზაციულად აცნობებენ მეფეს თავიანთ ნებას. მ ე ფ ე ბ ო დ ი შ ს ი ხ დ ი ს დ ა შ ე ნ დ ო ბ ა ს ი თ ხ ო ვ ს (3/23, 3).

ჟამთააღმწერლით, 1220 წ ე ლ ს მეჭურჭლეთუხუცესია უ ვ ა რ ყ ვ ა რ ე. ხოლო ა თ ა ბ ა გ ი ა „დიდი ივანე... ს ა ბ ც ხ ი ს ა ს პ ა ს ა ლ ა რ ი“ (მდ. 560).

რა თქმა უნდა, ეს ათაბაგობა ივანესი გვიან მოგონილი ამბავია, გაათაბაგებულ ჯაყელთა სახლში შექმნილი ზეპირთქმულება XIV—XV სს-ში და გამოდგება ჟამთააღმწერლის დათარიღებისათვის მხოლოდ. შემდეგ (მდ. 590) ჩანს: ივანე ციხისჯვარელი ჯაყელი, რომელიც პატივით მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ყვარყვარედაც იწოდებოდა. „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი აქ უმატებს წინადადებას, რომლითაც ეს ივანე-ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესი იყო შვილი ივანე ციხისჯვარელისა.

შეიძლება ეს იყოს გლოსა (წ. მდ., ფ. 65).

ჯალალმა, თათართა მიერ დამარცხებულმა, „მოუწოდა სპათა მისთა და რჩეა: იცით და გაჴსოვს ყოველთა მ ა რ ზ ა პ ა ნ თ ა და ე რ ი ს თ ა ვ თ ა ჩვენთა კეთილი და წყალობა პაპათა და მამათა ჩემთა. აწ იცით თუ რა მოიწია თქვენზედა და ჩემზედა უცხოთა ნათესავთა თათართაგან“ (მდ. 565).

„ე რ ი ს თ ა ვ ი“, ამ ავტორის გაგებით, ის პირია, ვისაც ეკითხება მეფე დიდი საქმეების შესრულებისას.

ჯალალსაც ერისთაევები ჰყავს. ვახუშტიც ხომ ასევე ხედავს: ერისთავი — ხანი.

ერისთავთ ერისთავი — ბეგლარბეგი (3/14, 326).

„ეპგონებ ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხვი მოკლულთა...“ (მდ. 580).

ეს ჯალალის მიერ თბილისის აღებისას. ამას წერს თანამედროვე... (ქამთაალმწერელი მისგან სესხულობს).

თუნდაც რომ ეს რიცხვი ხუთჯერ მცირე იყოს, მაინც რიცხვი თბილისის მოსახლეობისა ფრიად დიდი ჩანს... (³/₂₉, 178).

დავით ნარინის ასეთი მოსწრაფებული მეფედ კურთხევა გამოწვეული იყო არა მეშატიანის მიერ მოთხრობილი მიზეზით, არამედ ჯალალედინის თბილისში გ ა მ ე ფ ე ბ ი თ (მდ. 584).

ამით რუსუდანმა შვილი (მამაკაცი) დაუპირისპირა მას. ჩანს, იყო შიში, რომ ჯალალი ბოლოს და ბოლოს შეძლებდა ფეოდალების გადაბირებას. ჯერჯერობით კი ისინი მტკიცედ დგანან და რუსუდანს სცნობენ მეფედ. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წელია აღმოსავლეთ საქართველოში ჯალალი ბატონობს, ქვეყანა არ ნებდება მას (საინტერესოა, როგორ ცხვრებივით დაემორჩილნენ მონღოლთ!). ნარინის (სამეფო კარის) დიდი ხნით დასავლეთში ყოფნა და აღმოსავლეთის დიდებულთა უნებური მოუცლელობა ლიხთიქითის დიდებულებს აწინაურებდა. იქ იქმნებოდა ახალი კარი, რომელიც აღმოსავლეთში არსებულს უპირისპირდებოდა (ვარამს, შანშას...). (³/₂₉, 180).

ავაგის შერიგება-მორჩილების შემდეგ მონღოლები „ვინცა მოვიდის ქართველთა მ თ ა ვ ა რ თ ა გ ა ნ ი პატივითა შეიწყნარიან. ხოლო ურჩთა ჭუეყანა მოისვროდა“... (მდ. 598).

მონღოლები საქართველოს ს ა მ თ ა ვ რ ო ებ ა დ დაყოფილ ქვეყნად განიხილავენ, თითოეულ მთავარს ცალ-ცალკე ეზავებიან და ეს საუცხოოდ გაუდით. ავაგის შემორიგებისათვის ისინი არ სთხოვენ მას მთელი საქართველოს მორჩილებას, არამედ მხოლოდ მისი მორჩილებით (და მ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს) კმაყოფილდებიან, მთავრებიც ამ შეგნებით მიდიან თ ა ვ თ ა ვ ი ა ნ თ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს გადასარჩენად („დამდეგი სულისა მისისა ჭუეყანისა მისისათვის“). ამრიგად, მონღოლები ფეოდალური ქვეყნის დიდებულთა ურეაქციონერეს ზრახვებს თითქოს ხორცს ასხამენ. საქართველოს ბედიღბალი თითოეულ მთავარს ეკითხება და არა ცენტრალურ ხელისუფლებას... ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც მ თ ა ვ ა რ თ ა ისედაც გაძლიერებული უფლებები (თამარის ეპოქიდან) აქ საგარეო

ურთიერთობითაც დასტურდება და ამით კიდევ უფრო ძლიერდებოდა... (3/53, 253).

თათრებმა საქართველო მოიცვეს. შეკიწროებული მთავრები მიენდვნენ თათრებს. „ხოლო მესხნი სათნოებისათვის მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს". ამიტომ ჩაღატამ სამცხე აიკლო. და „ოდეს არღარა იყო ღონე, მოაჯსენა მეფესა რუსუდანს ივანე ციხისჯვარელმან ჯაყელმან (ივანე ციხისჯვარელის ძემან. v.), რომელსა ყუარყუარეცა ეწოდებოდა, რათა სთნდეს, რათა იჯსნას ქუეყანა სამცხისა ოჯრებისაგან და იგოცა მიენდოს ჩაღატას რამეთუ პატივითა იყო მეჭურჭლეთაუხუცესი და მთავარ ქუეყანასა სამცხისასა" (მდ. 599).

უნდა ვიფიქროთ, სამცხის „მთავრობა" (სპასალარობა) ბოცოს წაერთვა და ივანეს მიეცა რუსის აჯანყების შედეგად... (3/14, 380).

სამცხის მთავრის ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესის მოქმედებიდან ჩანს, რომ **მთავრები მაშინდელი გაგებითაც** უკანონოდ მოქმედებდნენ, როცა რუსუდანის ნებართვის გარეშე მონღოლთ ეზავებოდნენ... რომ ისინი მოვალენი იყვნენ წინასწარ დასტური მიეღოთ მეფისაგან...

ხოლო მონღოლთაგან ასეთი პოლიტიკის გატარება (მათი მხრით რეალური პოლიტიკის, რამდენადაც ფეოდალური „სამთავრო" დასრულებულ ერთეულს **წარმოადგენდა** თავისი ჯარით. თითოეული მთავარი სპასალარი იყო). უეჭველია, მთავრების როგორც ფეოდალების გამაძლიერებელი მომენტი იყო. ის უზენაესად ადასტურებდა მათ მისწრაფებას სამთავროზე „ჟელმწიფებისა". მართალია, ისინი მონღოლთა დაემორჩილნენ, მაგრამ ფეოდალები ხომ მორჩილებას ვერ გაექცეოდნენ, არც გაურბოდნენ... მთავარი ის იყო, რომ ისინი თავიანთ ფეოდებში ხელმწიფენი ხდებოდნენ, რაც მათ კლასობრივ ბატონობას კიდევ უფრო ამტკიცებდა და უსაზღვრო ყელეფის თავისუფალ სარბიელს აძლევდა. მონწიფებულს და უკვე მომხდარ შინაგან ცვლილებას (ბატონყმობა) გარე პოლიტიკური ცვლილებაც ამტკიცებდა, ხელს უწყობდა... (3/29, 183).

მონღოლთა ჯარები ჩასხდნენ ხორასანსა და ერაყში. მაველანნაჰრი კი ჩქარა დატოვეს (ის თავათ ჩინგიზმა დაიპყრო და დატოვა). იბნ ალ-ასირი და ჯუზჯანი აღნიშნავენ, რომ მაველანნაჰრის ქალაქები სწორედ ამიტომ (რომ დაპპყრობელთ ჯარები არ დარჩნენ

იქა) ჩქარა გამოსწორდნენო, ვიდრე ხორასანი და ერაყი (სადაც ულუსები ჩასხდნენ). ბარტოლდი ურთავს, რომ ფაქტების მოწმობით ცხადიაო, რომ მავერანნაჰრის ქალაქები (და საერთოდ ქვეყანა) უფრო დაზარალდა და ვერ გამოსწორდა XII—XIV საუკუნის არეულობისაგან. ვიდრე მონღოლთ შემოსევათაგანო (და მოჰყავს ფაქტი ხორეზმის სატახტო ქალაქის „გურგანჯის" — შემდეგ ურგენჩის მკვდრეთით აღდგომისა მონღოლთა დროს. ეს ქალაქი მონღოლებმა პირველი შემოსევისას მიწასთან გაასწორეს (იხ. ბარტოლდის Туркестан II, 494). საინტერესო ცნობაა, რომელიც სწორედ ავტორის მთავარი დებულების წინააღმდეგ ლაპარაკობს (წინასწარ ერთი შენიშვნა: მავერანნაჰრი ისე არ გამოსწორებულა, როგორც მონღოლთ მოსვლამდის იყო. გურგანჯის მაგალითიც საკმაოა ამისათვის). აქედან დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება: ომი, როგორიც არ უნდა იყოს ის, ისე გამანადგურებელი არაა, როგორც შინაგანი ყოფა, რომელიც სულ სხვა მოვლენებით აიხსნება. მონღოლების „აღმშენებლობა" ის აღმოჩნდა, რომ XIII—XIV ს-ში არეულობებმა გადაიტანეს ქვეყანა... სწორედ ის ფაქტი, რომ მონღოლთ პირველი შემოსევის შემდეგ ქვეყანა კვლავ გამოსწორდა, მოწმობს ქვეყნის სასიცოცხლო ძალების სიძლიერეს, როგორც ეს იყო მონღოლთა მოსვლამდის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი მტკიცედ ჩასხდნენ და თავიანთი „აღმშენებლობის ნიჭი" საკუთარით გაშალეს, ქვეყანას მხოლოდ არეულობა და მისი შედეგები შემორჩა ხელთ (მეტადრე საქართველო, სომეხეთი, ერაყი და სხვ)...

სადღაა იქ ის დადებითი გავლენა მონღოლთ მიერ ქვეყნების დაპყრობისა?... გაერთიანება ყოველთვის და ყოველ პირობებში სრულიად არაა მისაღები და პროგრესული. ზოგჯერ იგი მხოლოდ რეგრესულია... ამას, გაერთიანებას, დიალექტიკური გაგება უნდა... (წ. მდ., ფ. 73).

მონღოლთ ჯარში ქართველები წ ი ნ ა მ ბ რ ძ ო ლ ნ ი ი ყ ე ნ ე ნ და ეს იმიტომ, რომ მონღოლები ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა რ ე ნ დ ო ბ ო დ ნ ე ნ.

მონღოლთ დროშის ფერი—წითელი.

ქართველთა — თეთრი (3/29, 185).

დავით რუსუდანის ძეს, ლიხთიქითიდან გადმოსულს, წინ მიეგებნენ... ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი სურამელი გრიგოლ...

რუსუდანმა თბილისში წარიტანნა „ყოველნი მ თ ა ვ ა რ ნ ი ლიხთიმერელნი: დადიანი ცოტნე... ბედიანი... რაჭისა ერისთავნი(?) გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი...“ (მდ. 605).

მონღოლებმა „პატივი უყვეს მეფესა (დავითს) და მ თ ა ვ ა რ თ ა ჲ საქართველოსათა“ (იქვე).

აქვე მოხსენიებულია 11 მთავარი აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, მაგრამ უეჭველია სია სრული არ არის. საფიქრებელია, იყვნენ:

კახეთის —	აჭარის
ჰერეთის (შოთა)	გურიის
გაგის (ვარამ)	აფხაზეთის
თორის (თორელი)	ოდიშის
ქართლის (სურამელი)	ეგრისის
სამცხის (ყუარყუარე)	არეშვეთის
თმოგვის (თმოგველი)	რაჭის
შავშთა	დვინის*
ლალარჯთა	
ტაოელთა	

ავაგ ათაბაგი რით იყო ივანე ახალციხელის შვილის დავითის პატრონი? წოდებით ისინი თითქოს ერთნაირნი იყვნენ, ამავე დროს დავითი ავაგის ე ჯ ი ბ ი იყო.

უნდა ვიფიქროთ: ავაგი ამ დროს ფრიად განდიდებული იყო. დავითი ახალგაზრდა დიდგვარიანის შვილი იყო. ისიც გაუხდა ეჯიბად. ავაგს დ ა ვ ი თ ი პ ა ტ რ ო ნ ს ა და მ თ ა ვ ა რ ს უ წ ო დ ე ბ ს.

მაინც საყურადღებო ფაქტია და გვიანფეოდალურ ხანაში შეუძლებელი (წ. მდ., 69).

ბათო ამბობს: „ვჰბრძანებ რათა (ქართველები — ნ. ბ.) ყოველთა ნათესავთა... უწარჩინებულეს იყუნეს და მაღალთა თანა მჯედართა აღრაცხონ (და) მ ა მ უ ლ ი და საქონელი მათთა ჴელთა შინა იყოს...“ (მდ. 609).

---

* ამ ცხრამეტს შეიძლება დაემატოს ჯავახეთ-ყარის და სვანთა ერისთავნი. ასე რომ, მივიღებდით 21 ერისთავს ($^{3}/_{53}$, 248).

სწორედ ეს მ ა მ უ ლ ი ს შენარჩუნება იყო მთავარი ფეოდალთათვის. მათი შიშიც ეს იყო. მათდა საბედნიეროდ, მონღოლები ისე კულტუროსანი არ იყვნენ, რომ თვით უშუალოდ შეძლებოდათ ამ მამულების ხელში აღება. ისინი იქამდისაც განვითარებული არ იყვნენ, რომ ფეოდალობა თვით დაეჩქარებინათ. ასეთი რთული მეურნეობის ქვეყანაში, როგორც მათ მიერ დაპყრობილი კულტურული წინა აზია იყო, ისინი უმწეონი იყვნენ დამოუკიდებლად დაპყრობილთაგან რაიმე მოეგვარებინათ. ამიტომაც იყო, ისინი პირველ ხანებში სრულიად არ ერეოდნენ საშინაო საქმეებში... მხოლოდ შემდეგ ვეება იმპერიის უზარმაზარი ხარჯები აიძულებდა მათ თავიანთ სახარაჯო პოლიტიკით ჩარეულიყვნენ დაპყრობილთა საშინაო ყოფაში... (³/₃₃, 188).

უმეფობისას თათრებმა საქართველოში „განაჩინეს ბეკრისა მთავარნი, რომელსა დ უ მ ნ ი ს ა თ ა ვ ა დ უწოდეს“ (მდ. 623).

დ უ მ ნ ი ს თ ა ვ ი იგივე ე რ ი ს თ ა ვ ი ა, ასევეა წარმოებული. დუმნისთავი იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც ერისთავი ლაშქრით გადიოდა და დუმნიდან (ქვეყნიდან) ხარკს სათათროს (ისე როგორც ძველი ერისთავი სამეფო ხარკს) კრებდა. (ეს კარგად ჩანს შეთქმულების შესახებ მოთხრობიდან. ამას მოწმობს კირაკოსიც...).

ჟამთააღმწერლით ესენია მთავრები (³/₁₄, 392).

თათართა მიერ გაჩენილი დ უ მ ნ ი ს თ ა ვ ე ბ ი ახალი საფეხური (ხელშემწყობი ვითარება) იყო ერისთავების კიდევ უფრო გამსხვილების გზით. უეჭველია, გამრეკელის ხელთ მოჰყვა არაერთი ერისთავი (არტანუჯის, სამცხის, ფანასკერტის, შავშეთის...). ასევე ეგარსლანის ხელთ (პანკისის, ხორნაბუჯის, ჰერეთის, არიშიანი...), ასევე ვარამ გაგელის ხელთ (სამშვილდის მეფეებს რომ ჰყავდათ...), ასევე სურამელის („შვიდთა მთეულთა“, თრიალეთის...), ასევე ცოტნე დადიანის (გურიელი, ბედიანი, ცხუმის ერისთავი), რაჭის ერისთავის (რაჭა, თაკვერის, არგვეთის), ასევე შანშეს...

რით ხელმძღვანელობდნენ თათრები, როცა ქვეყანა ასე დაყვეს?

თითოეულ ამ მთავარს ჰყავს „თავისი სპა“, ზოგიერთი მათგანი თითქმის მეფობამდისაა მიღწეული (ეგარსლანი, შანშე „მივიდა სახლსა და ტახტსა მისსა“... სამთავრო ტახტი?? ასეთივეა ცოტნეც...). (³/₁₄, 395).

მას შემდეგ, რაც თავისუფალი მიწისმოქმედი გაღარიბდა, დაიბეგრა (დაბეგრილი ყმა) და ამავე დროს სამხედრო მოღვაწეობა კი შერჩა (ცხენით ლაშქრობა), ამ დროიდან გლეხის ლაშქრობა უკვე დაშვებული იყო, in principe. მონღოლთ საბოლოო გაბატონების ჟამს — 1254 წლისთვის — პროცესი თავისუფალ მიწისმოქმედთა დაბეგვრისა საერთოდ უკვე მომხდარი ამბავი იყო. შეწირული, ნებიერი და სიგლოსანი — ყველა დაბეგრილი და მიწაზე მიმაგრებული „გლეხი" იყო. ამავე დროს მათ სამხედრო მოვალეობა აწკათ... საფიქრებელია, რომ მათ უკვე მხედრობა აღარ შეეძლოთ და მონღოლთ კანონი „ცხრასა გლეხსა"... —ეს ეკონომიკური ზომაა, რომლითაც 90 ათასი მხედრის მიღება შეძლეს. 9 საკომლო ვალდებული იყო ერთი მოლაშქრე გამოეყვანა... მართლაცდა რატომ თითო კომლზე თითო არ წაიყვანეს ან ორ კომლზე ერთი?... (3/29, 188).

იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა თავისუფალ მიწისმოქმედთა ეკონომიკური მდგომარეობა, ლაშქრის სახეც სათანადო ცვლილებას განიცდიდა. ლაშქრის მთავარ ნაწილს ხომ ისინი შეადგენდნენ. მათი ეკონომიკური შეეიწროება-დაქვეითებისას ლაშქრის რაინდული ნაწილი—მძიმე მოლაშქრე—მცირდებოდა. დაბეგრილი მიწისმოქმედი (ყმა) მსუბუქ მოლაშქრეთა კონტინგენტში გადადიოდა ან არადა ქვეითთა რიგებში დგებოდა. ასე რომ, მძიმე მოლაშქრეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა და მძიმე მოლაშქრეობა დიდებულთ, წარჩინებულთღა შეეძლოთ მხოლოდ. მათვე ეწოდა ლ ა შ ქ ა რ ი par exelence ან კიდევ ს პ ა. ამავე დროს ეს ტერმინები მთელ ჯარსაც აღნიშნავდა და არა მარტო ცხენოსანს, არამედ ქვეითსაც. და ეს იმიტომაც, რომ „მკედრობა" იყო უმრავლესი და გადამწყვეტი... ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი დიფერენციაცია სამხედრო წყობაშიაც თავის გამოსახულებას პოულობდა (3/29, 187).

ორი შამელ თურქებთან ვალაშკერტსა და რახსის იქით მოწმობს იმ ცხოველ პოლიტიკურ ურთიერთობაზე, რომელიც ქართველებს სირიასთან ჰქონდათ. XIII ს-ის 30-40-იან წლებში შანშა ზაქარიას ძე იპყრობს ვალაშკერტსა და რახსის იქით ქვეყნებს. შაშელი თურქები (ჯვაროსნებს რომ ეომებიან) როგორც კი გაიგებენ ქართველთ მოუცლელობას, ცდილობენ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. ჩანს, რომ, მიუხედავად დიდი მარცხისა, რომელიც საქართველოს XIII ს-ის 20-იან წლებში მოუვიდა, ის ამ

საუკუნის 40-იან წლებში კიდევ ახერხებს (ან უკეთ განაახლებს). შეტევას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ეს არის ხანა ჯალალის წასვლისა, და მონღოლებამდის ეს იყო უკანასკნელი ტალღა იმ შეტევათა, რომელიც ასე ინტენსიურად დაიწყო შამქორისა და ბასიანის ომების შემდეგ და რომელიც ასე წარმატებით განვითარდა ლაშა გიორგის დროს (³/₂₉, 189).

ამავე ცხოველ ურთიერთობაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ საქართველოს მოუცლელობა უმალ შეიქმნა საბაბი, რომ „აღიძრნეს საბერძნეთს მყოფნი თურქნი და სულტანი ეზინკისა და სხვათა ქალაქთა შინა მყოფნი ამირანი და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი და წარმოემართნეს საქართველოსა“... (მდ. 631).

ჩანს, თვალგამახვილებით არიან იმ ქვეყანაზე, რომელიც მათთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. შამელმა და საბერძნეთის თურქებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველების შეტევას უშუალო კავშირი აქვს ჯვაროსანთა შეტევასთან სირიის მხრიდან. შეიძლება ისიც იცოდნენ, რომ ქართველებს უშუალო მოლაპარაკება აქვთ პაპთან, ისიც ეცოდინებოდათ, თუ რას აპირებდნენ ქართველები (იერუსალიმზე ლაშქრობა) და თუ როგორ მხსნელებად სჯავდნენ მათ ჯვაროსნები... (³/₂₉, 190).

. საქართველოს, უმეფობისა და თათართაგან მოუცლელობის დროს, სამხრეთ-დასავლეთით თურქები შემოესივნენ. „ვითარ ესნი მყოფთა ტაოსთა და შავშ-კლარჯთა და კოლა-არტან კარნიფორელთა განკრთეს და წარმოავლინეს კაცი სამცხეს ყვარყუარე ციხისჯვარელთა ჯაყელთანა, რათა შეეწიოს. ხოლო მან მოუწოდა ყოველთა მესხთა ერისთავთა და ყოველთა ტაძრეულთა და შეკრბა მჭედარი ვითარ ათი ათასი და წარმოემართნეს“... (მდ. 631).

ყვარყვარე იყო ერისთავთერისთავი და არა მთავარი. მთავარი ამ ქვეყნებისა იყო გამრეკელ-თორელი. უნდა ვიფიქროთ, ის ამ დროს ალამუთს იყო. მესხეთის ერისთავთერისთავმა ყვარყვარემ მოუწოდა ერისთავებს: ე. ი. ერისთავების საშუალებით მოუწოდა მხედრობას (ჯარის გამოწვევის ტექნიკა) (³/₅₂, 239).

ხომ არ იყო ისე, რომ სპასალარი 10000 მეომრის მხედართმთავარი იყო??

აგრეთვე იყო ერისთავთ ერისთავი.
მაშ ერისთავი იყო ის, ვინც უწინ ათასისთავი იყო(?)
წყობა ხომ ასე იყო: 10; 100: 1000; 10 000.

ათიათასი დროშას შეადგენდა. დროშასაც სპასალარი განაგებდა. ეს იყო თეორია, სინამდვილეში კი ერისთავს შეიძლება მეტიც ჰყოლოდა და ნაკლებიც (იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა დღეს მისი საერისთავო, რომელიც შეიძლება ოდესღაც— როცა ის საერისთავო იქმნა—ათას მხედარს იძლეოდა).

ცნობილია, რომ ძველად საერისთავონი ნაკლები იყვნენ. შემდეგ გამრავლდნენ (შეიძლება ხალხი გამრავლდა, თუ ჯარის წყობა შეიცვალა. თუ სოციალურმა მოვლენებმა საერისთავოებს სახე უცვალეს...), ასევე შეიცვალა სხვა ერთეულებიც — სადროშოები... ასეა თუ ისე, მონღოლთ წყობა „ბევრის მთავართა“ უცნობი რაიმე ხილი არ იყო... (3/23, 191).

აჯანყებული მთავრებისა და ცოტნეს პასუხიდან მონღოლებისადმი ჩანს, თუ რა სისტემა იყო ხარკის გადახდისა. მონღოლები მოითხოვენ გარკვეულ ოდენობას. „ყოველნი მთავარნი“ ამ ოდენობას გაანაწილებდნენ ურთიერთ შორის. თითოეული მთავარი მის ხვედრს კრეფდა ერისთავების საშუალებით — საერისთავოებზე განაწილებით — ერისთავები კი გაანაწილებდნენ მოსახლეობაზე... (3/29, 192).

.რაც არ უნდა იყოს, ფაქტი ქართველ მთავართა განდგომილებისა მონღოლთ წინააღმდეგ მოწმობს, რომ მდგომარეობა მონღოლთა ხელში მეტად მძიმე ყოფილა 1254 წლამდისაც, ე. ი. მდგომარეობის საერთო გაუარესებამდე. მართალია, პლანო კარპინი აღნიშნავს მცირე გადასახადს, რომელსაც ქართველები იხდიდნენ 1254 წლამდის და აქვე ურთავს, რომ ქართველები აჯანყებისათვის მაინც მზად არიანო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე ამ მცირე გადასახადით არ განისაზღვრებოდა. მდგომარეობა გაცილებით უფრო უარესი იყო, ვიდრე პლანო კარპინს წარმოედგინა. გადასახადი, გამუდმებული ომები (და ომები მოსაწყენი, უდავლო) და აურაცხელი საჩუქრები, რომლებიც უნდა ეძლიათ მონღოლთათვის, მონღოლთა თვითნებობა და შეურაცხყოფანი, — ყველა ეს, ჩანს, აიძულებდა ქართველ დიდებულებს ასეთი სახიფათო და წინასწარ განწირული ზომისათვის მიემართათ, როგორიც იყო აჯანყება. აჯანყების გაცემა

მის სისუსტეს მოწმობს, მაგრამ დიდებულთ ქცევა — აჯანყებულთ ერთიანობას და საკითხის მომწიფებულობას (3/29, 193).

მონღოლებმა ცოტნე დადიანს დაუჯერეს „და განუშენეს ყოველნი ესე წარჩინებულნი და განიყუანეს მთავარნი საქართველოსანი (var.: და წარვიდეს თჳსთჳსად) და წინაალმდგომ იქმნეს ურთიერთას. მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი რამეთუ ეგულებოდა მთავარყოფა მათ ზედა ეგარსლანსა არა საწუნოთა გარეთგან ალმოჩენილსა (var. არა მათგან უგვარიანესისა კაცისა), ამისთჳს შეკრბეს მთავარნი ამიერის საქართველოსანი: შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი,... სურამელი გრიგოლ ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელნი და მრავალნი ერისმთავარნი და ძებნა ყუეს ლაშას ძისა დავითისათუის...“ (მდ. 638).

დიდებულნი=წარჩინებულნი=მთავარნი.

ფეოდალების ბუნება. primus inter pares აუცილებელია, აუცილებელია, მაგრამ ის პირველი უნდა იყოს გვარით, „უგვარიანესი“ უნდა იყოს. ასეთია მეფე. ამიტომაც ეძებენ მას.

აქ მოხსენიებულთ მივუმატოთ: ეგარსლან, თორღა. შოთა, ავაგ, არის სულ 11 მთავარი ალმოსავლეთ საქართველოში (3/53, 323).

ულუ დავითს წაჰყვნენ ყარაყორუმს შანშას ძე ზაქარია, ვარამის ძე ალბუღა და სარგის თმოგველი.

ნარინ დავითს ახლდნენ: ავაგ ათაბაგი, ბეგა სურამელი, გურკელი, ამირეჯიბი ბეშქენ.

აქ ჯერ კიდევ რაიმე დაჯგუფებანი თითქოს არა ჩანს (3/29, 194).

ულო ყაენთან ქართველი დიდებულები მივიდნენ. მან შეიწყნარა „და უბრძანა რომელსამე ულდაჩად, რომელ არს მეჯრმლე, რომელსაც არტყია ჯრმალი და კარსა ზედა მდგომარე არს, რომელიმე სუქლჩდა (სუქურის ე. ი. ყაენისათვის ქოლგის ანუ საგრილობელის დამჭერი — ნ. ბ.)... სხვათა ყუბრჩად (ყაფჩაჩად), რომელთა აქვნდის ტანისამოსი და ალაქა ბაშმი (var. ჰლაქაბაშმლი, ბაშმაყანი); სხვათა ეევდრჩად, რომელ არიან კარის მცველნი, მეკარენი, სხვათა ყორჩად, რომელთა აქვნდა შშვილდ ქარქაში. ესევითარითა უშურველითა პატივითა პატივსცა

ყაენმან დიდთა ამათ მ თ ა ვ ა რ თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა თ ა დ ა თ ჳ თ ე უ ლ ს ა პ ა ტ ი ვ ა დ გ ა ნ უ ჩ ი ნ ა“... (მდ. 645—646).

ამრიგად, „საქართველოს მთავარნი“ თითოეული გარკვეული პატივის მქონეა ყაენის კარზე. ამიერიდან ასეთი პატივისაგან (ე. ი. ყაენის კარისაგან) უფროა დამოკიდებული მისი „მთავრობა“, ვიდრე საქართველოს სახელმწიფო კარისაგან. ყაენის კარმა მეფის კარს გამოსტაცა ის, რითაც ის მიმზიდველი იყო მთავართათვის. მართალია, მონღოლთ კარზე პატივი ახალი მამულების მიღებას არ გულისხმობდა, მაგრამ ძველის შენარჩუნებას ქართული კარიდან მიღებულისას კი გულისხმობდა. ქართველ მთავრებს ეს ასე ესმოდათ და ცდილობდნენ კიდეც ეს ფეოდალური ინსტიტუტი (ახალი ხელისუფლის მიერ ძველის ნამოქმედარის დამტკიცება — და ცოტა მეტისაც მიღება მეზობლის ხარჯზე) მონღოლთა ხელიდან მოეპოვათ. ქართული კარი, ღრმად შელახული, თვით მოწოდებული იყო მონღოლთ სამსახურად და ამდენად არსებობდა მხოლოდ... ამ კარის გაქრობა არ სურდათ. არც ისე გაძლიერება რომ... აქ იყო მთავართა სარბიელი, მათი ფეოდალური ტენდენციების გაძლიერება. (3/29, 195).

, საინტერესოა ნარინ დავითის მდგომარეობა. ის აჯანყებული და გაქცეულია და მას არავინ დევნის. საქმე ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მთლიანი საქართველოს წარმომადგენელი ყაენის კარზე ულუ დავითია. ლაშქარია თუ ხარკი ულუს ხელით მიუდის ყაენს. ნარინი ულუს ხელქვეითად ითვლება მონღოლთ თვალში... მხოლოდ შემდეგ, როცა ნარინმა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება დაიწყო, ის ნიშანში ამოიღეს მონღოლებმა და მის წინააღმდეგ ღამსჯელი რაზმებიც გაგზავნეს. მანამდე ნარინი ერთი გაქცეული დიდებულთაგანი იყო, რომელიც მონღოლთ აღარას უშლიდა და აღარც ისინი დევნიდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის ურდო სამხრეთის საქმეებში ჩაერია და ამიერკავკასია მათი ბრძოლის ასპარეზი გახდა, ნარინის ქცევა შესამჩნევი შეიქმნა მონღოლთათვის... (3/29, 222).

ნარინი ილტვოდა „და დარჩა ლიხს აქათი ლაშასა ძესა დავითს და მოიწყო ყოველი ქვეყანა და მ ო ი გ ო ს ი მ დ ი დ რ ე უ ზ ო ვ ო და წარმართა სახლი სამეუფო კეთილად და მონებდა ულო ყაენს...“ (ᲛᲓ. 656).

ისტორიკოსს ამით იმისი თქმა სურს, რომ 1254 წლამდის — ქვეყნის დახარკვამდე — სიმდიდრის მოგება შესაძლებელი რამ იყო, რაც სრულიად შეუძლებელი შეიქნა შემდეგ.

თუ მონღოლთა შემოსვლა პირველ ხანებში ვისმესთვის სავ-ძიმო და გამანადგურებელი იყო, ეს, პირველ ყოვლისა, წვრილ მიწათმფლობელთათვის (ყმებისათვის) და გლეხებისათვის. გამუდ-მებული ომიანობა მონღოლთა ლაშქარში სრულიად ანიავებდა ქო-ნებრივად მოლაშქრეთ (ყმებს), ხოლო თავიანთი დაზარალების ანაზ-ღაურებას ყმები (მსხვილი თუ წვრილი) შეეცდებოდნენ გლეხთა გადასახადების დამძიმების გზით. საფიქრებელი ხდება, რომ მონ-ღოლთა სამხედრო სისტემა, საქართველოში რომ გაატარეს (ცხრასა გლეხსა...), სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი: თუ არა ასე-თი კოოპერაციის გზით, საქართველოს არ შეეძლო ის მუდმივი მოლაშქრეობა, მონღოლები რომ მოითხოვდნენ... (³/₂₉, 198).

მესტუმრე ჯიქურის გაძლიერება მეფის მიერ [„ჯელთ უდვა სა-მეფოსა და სახლისა თჳსისა განგება“ (მდ. 657] სრულიად მიუღე-ბელი იყო როგორც მწიგნობართუხუცესის, ისე ათაბაგისათვის (სხვა ხელისუფალთ რომ თავი დავანებოთ). მართალია, ამ დროს ათაბაგი არ იყო საქართველოში (ავაგი მკვდარი იყო, ხოლო ახლის დანიშვნას მეფე აგვიანებდა), მაგრამ მწიგნობართუხუცესი, უეჭვე-ლია, არსებობდა. და მისი ასეთი უგულებელყოფა და მისი ხელის („სამეფოსა და სახლის განგება“) ჯიქურისადმი გადაცემა მოწმობს, რომ მწიგნობართუხუცესობა უკვე შელახულია ათაბაგობის შემო-ღების შემდეგ: „სამეფოსა და სამეფო სახლის განგება“ ათაბაგის ხელშია გადასული (ასეთი იყო ივანე ათაბაგი. ასეთივე იყო ავაგი ნარინის მიმართ...) და ახლა, როცა ათაბაგი აღარაა, მისი ხელი მესტუმრე ჯიქურს გადასცეს და მწიგნობართუხუცესზე კი აღარავინ ფიქრობს... (³/₂₉, 199).

მონღოლთა ჯარი სულ სხვა სისტემისა იყო, ვიდრე ფეოდალუ-რი. ბაჰადურებს გარდა (რაც შეიძლება ფეოდალური ჯარის ჩანასა-ხად ან წინამორბედად ჩავთვალოთ), დანარჩენი მონღოლთა ჯარი,— ე. ი. დიდი უმრავლესობა — საყოველთაო, სახალხო იყო. გამოსარ-კვევია, ვინ აიარაღებდა მათ, ვინ კვებავდა და სხვა. მაგრამ ეს არის საქმის მეორე საკითხი, ხოლო ფაქტი ის არის, რომ მათი ჯა-რი სახალხო იყო და მაშ პრინციპულად განსხვავებული საქართვე-ლოს ფეოდალური ჯარისაგან, სადაც მოლაშქრეობა დიდებულთა

და ახსნაურთა პრივილეგიას შეადგენდა... (ბუნებრივია და ადვილად გასაგები, თუ რატომ ვერ უძლებდა ქართველი ჯარი — ასეთ მხნე და განთქმულ მონღოლთ ნოისართ). მონღოლთ ჯარი — ეს იყო მასიური, კომპაქტური და ფაღრესად დისციპლინირებული წყობა, ამათ ვერ გაუმკლავდებოდა, ცხადია, მოქიშპე გუნდები, საგან შემდგარი გროვა ბრწყინვალე რაინდებისა თავიანთი მსახურ-მეაბჯრეებით, რომელთა ომი უფრო შაჰ-ნამეს ეპიზოდებს მიაგავდა, ვიდრე ორგანიზებულ ჭიდილს. თემობრივი „ორგანიზაცია", სათავადოებად და ააზნაურებად დაყოფილი ფეოდალური ჯარი, აწინდელი გაგებით, ჯარი არც იყო. ამ ჯარში პატრონი და ყმა ისევე იყო, როგორც თვით ცხოვრებაში, ხოლო ასისთავი და ათისთავი არ ჩანდა. ამავე დროს მონღოლთ ჯარი ნამდვილი ჯარი იყო სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით... დამარცხება აუცილებელი იყო. სისტემა ფეოდალური უძლური იყო მონღოლთ საზოგადოებრივსა და ეკონომიკურ წყობას გამკლავებოდა[1] (³/₂₉. 207).

„იწყეს აღწერად კაცთამდე და პირუტყვთამდე, ყანით ვენაკეთამდე, წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხსა სრულსა მიწის მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან და გამოჴდა სამეფოსაგან დაეთისა ცხრა დუმანი, კაცი, მჴედართა თათართა თანა წარმავალი" (მდ. 664—665).

ამ კანონით ვინ იყო მოვალე მოლაშქრე გამოეყვანა, ე. ი. ვინ იყო მოყალნე? სრული მიწის მქონებელი თუ ყოველი გლეხი, თუ ფუძე იყო მოვალე? ტექსტით ისე გამოდის, რომ სრული მიწის (=სრული ფუძის) მქონებელი იყო მხოლოდ ასეთი. ასე რომ, არასრული მიწის მქონებელნი მოყალნეობისაგან თითქოს თავისუფალი იყვნენ... ასე რომ, ამ ცნობის სტატისტიკური მოხმარების უწინარეს ეს საკითხი უნდა გადაჭრილი გვქონდეს... არც ერთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენ მოსახლეობის ოდენობას ვერ შევიტყობთ. პირველ შემთხვევაში შევიტყობთ, რამდენი სრულფუძიანი გლეხი იყო საქართველოში, მეორე შემთხვევაში — თუ რამდენი სრული ფუძე ითვლებოდა საქართველოში... ეფიქრობთ, აქ პირველი მოვლენა უნდა იყოს... (³/₂₉, 203).

„ცხრასა გლეხსა სრულის მიწის მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან" — „გლეხი" აქ ნიშნავს ყმას თუ

[1] მიწერილია: Письма. 412. Энгельс—Бернштейну.

„არააზნაურს“ საერთოდ? უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გლეხი მაინცდამაინც ყმას არ უნდა ნიშნავდეს. ის აქ აზნაურის ანტიპოდი უნდა იყოს. გლეხებად აქ როგორც ყველა ჯურის ყმები, ისე თავისუფალნიც იგულისხმებიან. ასეთები XIII ს-ის შუაზე ჯერ კიდევ უნდა ყოფილიყვნენ. შესაძლებელია მათ ამ დროს არც გლეხი ერქვათ და სახელი მათზე ყამთააღმწერელმა გადაიტანა მისი დროის მიხედვით, როცა, როგორც ჩანს, ეს სახელი არააზნაურთა საერთოსახელი იყო...(?)

როგორც არ უნდა გავიგოთ, ამ ცნობიდან, პირველ ყოვლისა, ჩვენ საგლეხო მიწის სივრცეს ვგებულობთ და არა მცხოვრებთა ოდენობას. 810000 საგლეხო ფუძე ითვლებოდა მაშინ საქართველოში, ხოლო რამდენი იყო მცხოვრები, ეს ფრიად საეჭვოა, დაახლოებით თუ შეგვეძლება განვსაზღვროთ:

ჯერ ერთი, რამდენი ცხოვრობდა ფუძეზე კომლი, და მეორე, განა ყველა გლეხი მამულიანი იყო?

ნარტო სრული მიწის მქონებელ გლეხებს ხომ არ შეაგდეს ლაშქრობა? თუ ასე არა, ეს სოფელში ხომ მთელს გადატრიალებას გამოიწვევდა? ზოგიერთ გლეხს ფუძის ნახევარ მეოთხედი ექირა. როგორი იქნებოდა მისი მონაწილეობა ლაშქარში, — ოთხ-ჯერ ნაკლები, ვიდრე სრულფუძიანისა? ვინ გაანაწილებდა ამას? აზნაური? სოფელში ყველა ყმა ხომ არ იყო? ვის გაეგონებდნენ? იშლებოდა სარბიელი მიმძლავრებისათვის. საამისო ხელისუფალი ფართოდ ისარგებლებდა ამით. ასეთები აზნაურები იყვნენ ალბათ... ყმები გაიწვევდნენ მეფისაკენ საჩივლელად, მაგრამ მეფესაც ბატონი ჰყავს და ამიტომ ამ casus-ს შედეგი სრულიად არ მოჰქონდა, რაც შეეძლო მოეტანა, მეფე რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო... ($^3/_{29}$, 202).

რატომ არ გამოთქვამს: „ცხრასა გლეხსა სრულსა (თუ სრულისა) მიწის პატრონსა ერთი ლაშქარს წარმავალი“ და სხვა...

იმიტომ, რომ გლეხი არ იყო პატრონი. გლეხი in principe პატრონყმობის ინსტიტუტის გარეთ იდგა...

მონღოლთ სამხედრო რეფორმა რომ გატარებულიყო, ეს მთელი გადატრიალება იქნებოდა საზოგადოებრივი წყობილებისა. ან უკეთ, მონღოლთ ამ რეფორმის ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელი იყო არა ფეოდალური, არაამედ სულ სხვა სოციალურ-

ეკონომიკური სისტემა... ამიტომაც ეს ფრიად „რევოლუციური“ ზომა ყოვლად უნიადაგო იყო, ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე — ეს ამ ურთიერთობის უარყოფას გულისხმობდა — და ამიტომაც უდღეური აღმოჩნდა. მან კეთილის მაგივრად ისა ქნა, რომ საბოლოოდ გააჩანაგა ფეოდალური საზოგადოების მწარმოებელი კლასი (3/29, 204).

„ცხრასა გლეხსა“... ეს უაღრესი მნიშვნელობის სამხედრო რეფორმა იყო. აქამდის ფეოდალურ საქართველოში გლეხი არ ლაშქრობდა. „ლაშქრობა“ უკვე აზნაურთა პრივილეგიად იყო ქცეული. ქვეყნის სულ უფრო და უფრო ფეოდალიზაციასთან დაკავშირებით თავისუფალ მიწისმოქმედთა კლასი, ძველ მეომართა მთავარი კონტინგენტი, სულ უფრო და უფრო ღარიბდებოდა. ყმობიდან გლეხობაში გადადიოდა—იბეგრებოდა, ლაშქრობის მოვალეობას ვეღარ ასრულებდა... კლასობრივი დიფერენციაციის შემდეგი ზრდა, ქონებრივი სხვადასხვაობის შემდგომი გაღრმავება სალაშქრო საქმეშიაც თავს იჩენდა. „მძიმე მოლაშქრე“ „ბუმბერაზი“ ხდებოდა, რომლის გარშემო ომშიაც ყმათა (მცირე აზნაურთა) და მსახურთა (თავისუფალ მიწისმოქმედთა) მთელი გროვა იყო.

ასეთი დიდებულის დისციპლინაზე ძნელია ლაპარაკი. ქართული ლაშქრის დისციპლინა, დავით აღმაშენებელმა რომ შემოიღო, უსიცოცხლო აღმოჩნდა მთელ მის სისტემასთან ერთად.

მონღოლებმა მთელი მოსახლეობა გაიწვიეს ჯარში და, თუ აქ მხოლოდ გლეხებზეა ლაპარაკი, ეს იმიტომ, რომ მათი სამხედრო ზომის ახალი „რეფორმა“ სწორედ აქ იყო: მ ა თ გ ლ ე ხ ე ბ ი ც გ ა ი წ ვ ი ე ს და, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, მათთვის გარკვეული კოოპერატიული საშუალება დააკანონეს — ცხრა გლეხს, სრული მიწის მქონებელს, ერთი კაცი შეაგდეს. ამიერიდან გლეხებიც მოლაშქრე იქმნენ. ამ საქმის ორგანიზაციული მოგვარება, მისი ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, ქართველ მეფეს მიანდვეს (დაიშალა „ლაშქრობა“)... (3/29, 206).

ალღუნი მოვლენილი იყო „რათა აღთუალოს და განაჩინოს მჯედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა დიდთა და მცირეთა ღირსებისაებრ მათისა ულუფა, რომელ არს ძღვენი მიმავალთა გზად და ქირა ცხენისა და საპალნისა...“ (შდ. 663—664).

არღენი ნოვიდა „და იწყეს აღწერად კაცთაგდე და პირუტყვთაგდე, ყანათ ვენაკთამდე, წალკოტით ბოსტნამდე, და ცხრასა გლეხსა (v. გლეხაკსა სრულსა მიწის მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან). და გამოკდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი კაცი მკედართა (ცხრა დუმანი მკედარი) თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი. და განაწესეს ძღვენი სოფლისაგან: ათასისა მკედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხოვარი ერთი და დრაჰკანი ორი და მიზდი ცხენისა თეთრი სამი, დღისა ერთისა"... (მდ. 64—65).

ქართველმწერელს აქ აინტერესებს მხოლოდ ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ქ მ ე დ ა მ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ამბები და არა საერთოდ გადასახადები... ამასვე უნდა გულისხმობდეს, როცა შემდეგ, ქვევით, „რჯულის" ხალხზე ლაპარაკობს, რომ მათ „არა შეაგდო საზღვარი (უნდა ს ა ზ ღ ა ვ რ ი). არცა ყ ა ლ ა ნ ი". ეს ძვირფასი ცნობა განმარტავს როგორც ყალანს (=სამხედრო ბეგარა), ისე იმ გარემოებას, რომ ყალანს სდევდა საზღაური, რომ მოყალნე მოვალე იყო ან ლაშქარს წასულიყო, ან საზღაური („ყალანი") გაეღო... ($^3/_{29}$, 205).

მოლაშქრეობა სამაღალპატიო მოვალეობაა („ლაშქარი" — miles რაინდები). ომში გასვლას მოლაშქრეობა არ ეწოდებოდა. ომში ყველა შეეძლოთ გაეწვიათ. ამით ისინი მოლაშქრეები ვერ ხდებოდნენ... „ლაშქრობის" მოვალეობა ძველი დროის ნაშთი იყო. ლაშქარს წასვლა ანუ ლაშქრად წასვლა მ კ ე დ რ წასვლას გულისხმობდა. მონღოლთ ცნობილი ზომა რომ დამკვიდრებულიყო, მაშინ ყველა მოლაშქრე უნდა ყოფილიყო. ჩანს, ეს აუტანელი იყო... და მონღოლთ წესი ჩქარა გადავარდა და მოლაშქრეობა მხოლოდ ამის შემძლეთ შერჩათ...

ომში ყველა მიჰყავთ და ლაშქრობა კი მხოლოდ ზოგს ევალება... ცხადია, ლაშქრობა და ომში წასვლა ერთი და იგივე არაა. ლაშქრობა კი ნიშნავს ომში წასვლას, მაგრამ ყოველი მეომარი მოლაშქრე არაა... ($^3/_{29}$, 201).

მონღოლთ სისტემა „ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან" შემდეგ ნ ო ქ რ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ში უ ნ დ ა გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ო. ყოველ შემთხვევაში, იმ მხრით მაინც, რომ ნოქარიც ს ო ფ-

ლ ი ს ხ ა ნ ჯ ზ ე გ ა ნ ვ ე ლ ი დ რ ო ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა ში მ ი მ ა ვ ა ლ ი ჯ ა-
რ ი ს ტ ი ა (ს ა ბ. Hd—13669).

მ ო ر ი ბ ე ე ამ სისტემიდან იმით განსხვავდებოდა, რომ ის ყველასათვის საგალდებულო იყო... (3/52, 197).

ჯიქურის საკითხი მეტად საინტერესოა. სამწუხაროდ, ნათლად არა ჩანს რა. ჯიქური Homo novus-ია. ის მონღოლების გზით უნდა იყოს დაწინაურებული. ჯიგდა ხათუნის სასურველი საყვარელია. უბრალო მესტუმრეა და. საქმით კი ათაბაგია. დიდი ხელის რაიმე ტქონლობაც მისი Homo novus-ობის მაჩვენებელი უნდა იყოს. დიდი ხელები უკვე დარიგებულ-დასაკუთრებული იყო დიდგვარიან მოხელეთა სახლების მიერ და ასეთის წართმევა და Homo novus-ზე გადაცემა არც თუ ადვილი იყო. ასეთ პირობებში ერთადერთი გზა იყო: მცირე ხელისუფალს კომპეტენციებს უდიდებენ და სათანადოდ დიდ ხელს შინაარსითგან სცლიან... ულუ დავითისათვის ავაგი არ იყო სასურველი. ავაგი ნარინ დავითის მომხრე ჩანს. დავითი ჯიქურს აწინაურებს, რომელიც ამავე დროს მონღოლთათვისაც სასურველი პირია. სასურველია ის ჯიგდა ხათუნისა, რომელიც, უეჭველია, მონღოლთ ერთგულია დავითის კარზე. ჯიქური ითვისებს ათაბაგის ფუნქციებს („სამეფოსა და სახლის განგება"), ალბათ იგივე იყო აღმზრდელი გიორგი უფლისწულისა. ამავე დროს ჯიქური მესტუმრის სახელით რჩება. და ეს მას შემდეგაც, რაც ავაგი გარდაიცვალა. ჩანს, მეფე არ ჩქარობს ათაბაგის დანიშვნას. მას ათაბაგის სახლი აინტერესებს... მეორე მხრით, ახალი ათაბაგის დანიშვნით ათაბაგის (ავაგის) სახლის საკითხი ისმებოდა. ეს კი არც ისე ადვილი გადასაწყვეტი იყო: ფეოდალები უკვე კარგა ხანია სახელო ქონებას სამამულო ქონებიდან აღარ ასხვავებენ... ავაგს ქალი დარჩა...

ჯიქური მტერი უნდა ყოფილიყო ავაგის, როგორც მისი ხელის მიმტაცებელი, უეჭველია, ასეთი რამ ჯიქურს შეეძლო მხოლოდ მონღოლთა განწყობილების მეოხებით... შეიძლება ჯიქურს ათაბაგის სახლის ხელში ჩაგდებაც კი სურდა და ეს ბუნებრივიც იყო: ის ხომ ფაქტიურად ათაბაგი იყო და ათაბაგის სახლი კი უმკვიდრო იყო. გვანცა მეტად ენერგიული ქალი იყო და თავმოყვარე... ამავე დროს ათაბაგობისკენ მიცოცავდა სუმბატ ორბელიც. ის, მართალია, ჯერ შორს იყო აქედან, მაგრამ ჯიქური მაინც მტერი იყო მისი შორეული პერსპექტივის მიხედვით. ჯიგდა ხათუნი მოკვდა. ჯიქური მარტო იყო, არადიდგვარიანი და შვილიც არ ესვა, ერთადერთი მისი და-

საყრდენი მეფე იყო, რომლის უზომო ერთგულებით სახელი გაითქვა. საკვირველია დავითის საქციელი. ჯამთააღმწერელი არ უნდა იყოს მართალი, როცა მეფეს ასეთ გულუბრყვილობას მიაწერს. მის მიერ მოთხრობილის არსებობა შეუძლებელია. უეჭველია, მას რაღაც საფუძვლიანი ეჭვები ჰქონდა ჯიქურის წინააღმდეგ. გვანცას გადედოფლებით ჯიქურის პერსპექტივები სრულიად უნდა შეცვლილიყო. სუმბატ ორბელი და გვანცა ახლა მისთვის უძლეველნი იყვნენ. მას სხვა გზა უნდა ეძია. მონღოლები — ერთადერთი დასაყრდენი იყო Homo novus-ისათვის. და მანაც გადაწყვიტა რაღაც... „გულების განდგომა“.. სად, როგორ? რა ტერიტორია ეჭირა? საუფლისწულო ხომ არა?? შეიძლება „განდგომა“ მონღოლთა მიდგომას გულისხმობს? ე. მონღოლების გზით განდიდებას და განდგომას ფიქრობდა?? ავაგის სახლის ხელში ჩაგდებას?? ჯიქური დასაჯეს. მაგრამ ჩ უ მ ა დ. მისი „ანასდათ სიკუდილი“ უკვირდათ. ცხადია, მეფე უფრთხის ვიღაცას, უეჭველია მ ო ნ ღ ო ლ ე ბ ს: ჯიქურს რომ მეგვარენი ჰყოლოდა ან დიდებულთაგან ვინმე მომხრენი, მას უპატრონოდ არ დააგდებდნენ, დაასაფლავებდნენ.

საინტერესოა ამ გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა ქცევა. ჩანს, ისინი ბევრნი არიან და ესმით თავიანთი საერთო ინტერესები. ჯიქური Homo novus-ი მრავალ სიკეთეს უკეთებს მათ; უნდა ვიფიქროთ, გლახაკთ ნაათალს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულად აძლევს. გლახაკთ სიმრავლე კი უეჭველი მოწმობაა სოციალურ-ეკონომიკური წყობის კრიზისისა...

ჩანს, ის, რომ Homo novus-ი მათ წყალობს, მოწმობს გლახაკთ მნიშვნელობას და მათ პოტენციალურ სიძლიერეს... (3/29, 230).

„გლახაკთ ნაათალის“ არსებობა საერთოდ და მისი აგრე დიდი ყურადღების საგნად ქცევა XI—XII ს-ში, მოწმობდეს უნდა იმ „გარიცხულთა“ სიმრავლეს, ფეოდალური საზოგადოების გარეშე რომ იდგნენ და რომელთაც ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა ჰკვებავდა. ისინი, ჩანს, მრავლად არიან როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. მოკლებულნი ყოველგვარ საწარმოო საშუალებებს, ისინი ბუნებრივ დამატებას წარმოადგენენ ფეოდალური ეპოქის მწარმოებელი კლასებისას... მაგრამ თვით არ არის...კლასი და ფეოდალურ საზოგადოებაში არც შეიძლება იყოს ასეთი; წარმოებაში მას გარკვეული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ადგილი არ უჭირავს (კლასად ის მხოლოდ შემდეგ იქცევა ბურჟუაზი-

ული ურთიერთობის შექმნისას — პროლეტარიატი). მისი სიმცირე თუ სიმრავლე მრავალ შემთხვევით გარემოებასთან ერთად ძირითადად იკვებება სოფლის თუ ქალაქის საწარმოო ძალების განვითარებით, ფეოდალური საზოგადოება არასდროს არ ყოფილა სულ ერთიანად, 100%-ით, რეგლამენტირებული. ქალაქში ამქრები თუ სოფელში „გლეხები" ძირითადად განსაზღვრავდნენ ფეოდალურ წარმოებას. ამათ გვერდით და ამათ ნიადაგზეევე ყოველთვის იყო, მეტის თუ ნაკლების სიმრავლით, „ჩიტივით თავისუფალი" ხალხი, რომელიც ამ მეურნეობის დანართს წარმოადგენდა: ეს „გლახაკები" — მათი სიმცირე-სიმრავლით დამახასიათებელი იყვნენ ფეოდალური საზოგადოების ასეთი თუ ისეთი მდგომარეობისა (მისი საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის განვითარების მხრივ). არ შეიძლება წარმოვიდგინოთ თითქოს „გლახაკთ ნაათალი", რომელიც ასეთი ზედმიწევნილი ანგარიშიანობით წარმოებს და მთელი სახელმწიფო შემოსავლის მეათედს შეადგენს, ცალკე ფეოდალების „ყმებს" ეძლეოდეს. თვით ის ფაქტი, რომ ამ საქმეს სახელმწიფო კისრულობს, მოწმობს მეფის ხელისუფლების დაინტერესებას ამ საქმით. მათი სიმრავლე XI—XII ს-ში მოწმობს როგორც ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, ერთი მხრით, ისე მისსავე კრიზისს, მეორე მხრით: „გლახაკთ ნაათალი" პალიატური ზომაა და მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლად საჭიროა სულ სხვა რამ. საჭიროა ისეთი მეურნეობის განვითარება, სადაც ეს გლახაკები თავიანთ გამართლებას იპოვნიან, სახალხო მეურნეობის უშუალო მონაწილენი შეიქმნებიან (მაგრამ ეს ახალ ეკონომიკურ ფორმაციას გულისხმობს...). ასე რომ, „გლახაკთ ნაათალი" ეს იყო მთავრობის ხელში: 1. პალიატივი ფეოდალური საზოგადოების კრიზისის შენელებისა და 2. ცდა ამ „გლახაკების" თავის სასარგებლოდ დარაზმვისა. მესტუმრე ჯიქური და „გლახაკთ" დამოკიდებულება, მისდამი ამჟღავნებენ, რომ „გლახაკებს" საკუთარი განსხვავებული და საზოგადოების სხვა ნაწილებისაგან სრულიად დამოუკიდებელი შეხედულება აქვთ (³/₂₀, 208).

მონღოლების გაბატონებით საქართველოს pax mongolia არ განუცდია, როგორც შეიძლება განიცადა სპარსეთმა. პირიქით, რეფორმის წყალობით ჯარში გაიწვიეს ის, ვინც უწინ არ გადიოდა... ომიანობა (და შორეული და ხანგრძლივი ომიანობა) გაცილებით

გახშირდა. დავლა კი მონღოლების გამდიდრებას ემსახურებოდა და ხარკიც მათი იყო. საქართველოს ლაშქარი ახალ ქვეყნებს იპყრობდა და თვით ამ მონღოლთა მოხარკე იყო. ამრიგად, არა თუ აღარაფერი შემოჰქონდა ომიანობას, ის საშინელ ტვირთად აწვა მოსახლეობის მწარმოებელ კლასს (უნთავრესად: მოყალნეობა). ყალანი, ულუფა, მიზდი (ეს სამხედრო გადასახადები); თალარი, ყუბჩუხი და სხვა აუარებელი დამღა — ქალაქებს...

1. მოხარკე ქვეყნების ჩამოცილება.
2. თვითონ საქართველოს დარჩენილის, დახარკვა.
3. ომისგან შემოსავლის გაქრობა და
4. მუდმივი ომიანობა. ყველა ამას თან ერთვოდა „უფლისწულების“ ხშირი სტუმრობა, საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა — შეკრების საშინელება. ულუსიანობა (=ეს უკვე თვითონ საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცება...).

ყველა ეს 60 წლის და მეტის სიგრძეზე, და ჩვენ მივიღებთ საქართველოს სიძლიერის „ეფემერულობას“... (³/₂₉, 212).

ეს დარბაზი (ბდ. 671) განსაკუთრებული იყო, მაგრამ მაინც დარბაზი იყო. დარბაზის უმრავლესობა მეფეს არ დაეთანხმა. მეფემ უმრავლესობას ყური არ უგდო და თავისი დანაპირი განაგრძო. უმრავლესობაც თავის აზრს შერჩა და ასევე ისაქმა. მ ე ფ ე ‘მ ა ც ა მ ი ს ნ ე ბ ა ვ ი ს ც ა მ ა თ. მეფე განდგა, ხოლო უმრავლესობა გაუდგა და მონღოლების ერთგული დარჩა. მართალია, აქ მონღოლთა გავლენით შეიძლება ძველი წესის გამრეკვის ჰქონოდა ადგილი (დარბაისელნი ვერ გაბედავდნენ მეფის წინააღმდეგ ემოქმედათ, თუმცა ლაშას აკი გაუბედეს განდგომა ან კიდევ თამარს გაფიცვა...), მაგრამ პრინციპი მაინც იგივე უნდა დარჩენილიყო. მეფე უნდა დაემორჩილოს „თავნი და პირნის ქუეყანისანი“-ს, ე. ი. „დარბაზის ბჭობას“, მის უმრავლესობას... (³/₂₉, 237).

ულუ დავითის მოქმედება და მთელი ეს ამბავი (მისი განდგომა და დიდებულთ ქცევა) საუცხოოდ ამჟღავნებს საქართველოს როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის არარსებობას, — მის ტრაგედიას. საქართველო, როგორც ორგანიზაცია მხოლოდ მონღოლთა ინტერესების მიხედვით არსებობს და მხოლოდ ამდენად. დიდებულნი მეფეს იმდენად ემორჩილებიან, რამდენადაც ეს მონღოლთ კარისათვის სასურველია. დიდებულთ ქვეყნები უჭირავთ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან, და ეს იმდენად ეკი-

თხება ამავე ცენტრს, რამდენადაც ეს მონღოლთათვის სასურველია („ულუსიანობა"...). ესა თუ ის ფეოდალი იმდენადაა მეფის მორჩილი, რამდენადაც ეს მონღოლთ ინტერესებში შედის („ულუსიანი"). დარბაზი იმდენად შეიძლება იყოს, რამდენადაც მონღოლთ ემსახურება... თუ მეფე მონღოლთ სამსახურისათვის მოუწოდებს დარბაზს, ის არსებობს. თუ არადა დარბაზი თავის ნებას მეფეს არ უმორჩილებს. ვერც მეფე მოითხოვს ასეთს რამეს. მეფე სრულ თავისუფლებას ანიჭებს დიდებულთ. მათ სრული ნება აქვთ როგორც სურთ, ისე დაყონ თავიანთი „მამული", „ქვეყანა". საინტერესოა ეს ტერმინები მეფის პირში. ის ცნობს, რომ დიდებულთ ქვეყანა მათი მამულია და ამ მამულთა ქონება სრულიად არაა დამოკიდებული მეფის ერთგულებისაგან. ასე რომ, კავშირი მიწის ფლობისა და პატრონის ერთგულება-სამსახურს შორის გაწყვეტილია (როცა მონღოლთა მიმართ ისმის საკითხი). რაც არ უნდა იყოს, აქ საპატრონყმო პრინციპი ძირიანად შელახულია.. ეს სახელმწიფო არაა.. (3/29, 214).

შეუძლებელია საქმე ისე მარტივად წარმოვიდგინოთ, როგორც ამას ეამთაალმწერელი გვამცნობს. ულუ დავითის განდგომა libertum veto—დარბაზი, მონღოლების მიმდგომი წარჩინებულნი და ეს ისინი, რომელნიც უწინაც (და შემდეგაც) მისივე დიდებულნი არიან...

საფიქრებელია, „libertum veto"—დარბაზი ისე იდილიური არ იქნებოდა, როგორც აქ არის წარმოდგენილი. ქართველ დიდებულთა აქტიურობა მონღოლთა მხრიდან გვაფიქრებინებს, რომ მეფისგან გამდგარნი არა ძალაუნებურად იყვნენ მონღოლთ მხარეზე, არამედ სრული ფეოდალური შეგნებით. კერძოდ, ჯაყელთ მეფისადმი ერთგულება შეიძლება თორელთ ორგულობით აიხსნებოდეს... ფეოდალთ შორის ქიშპს ხელს უწყობს ორი კარი მეფისა და მონღოლთა... ქვეყანა საშინლად არეული ეჩვენა ყოფილიყო: მონღოლთ მიმდგური და მეფის მიმდგური. თუ მეფე შეძლებდა და მონღოლთ კარზე წყალობას მოიპოვებდა, მონღოლთ მიმდგურნი მისი „ერთგული" ხდებოდნენ, მაგრამ არც მონღოლები იყვნენ გულუბრყვილონი და თავიანთ ერთგულებს არ გასწირავდნენ ხოლმე... ხაჩენელი, გაგელი, შანშა, ავაგი, ორბელი, თორელი, ჯაყელი, სურამელი — ყველანი ზოგჯერ მეფის მომხრენი არიან, — ზოგჯერ მონღოლთა. კლასიკური ტიპებია ამ მხრით ორბელი, ხაჩენელი და მანკაბერდელი...

ერთი სიტყვით, გაჩნდა ახალი ცენტრები და ამდენივე ძველი მოიშალა. ფეოდალებიც ორ ცენტრს შორის ქანაობენ...

მეფის ხელისუფლება იბრძვის ფეოდალთ დასამორჩილებლად, მაგრამ ასეთი ბრძოლა მონღოლთ წინააღმდეგ ბრძოლად საღდება: ისაა ფეოდალთ ურჩობის ერთი წყარო. ამდენადვე ფეოდალები ძლიერნი არიან... ფეოდალურ აღვირახსნილობას სარბიელი ეძლევა... თავიანთ „მთავრობას" მონღოლთ საშუალებით განმტკიცებენ.

ყამთააღმწერელი სურათის იდილიურად გადმოცემისას დამოკიდებულია თავის წყაროზე, რომელიც ერთ-ერთი გამდგარის წრიდანაა დაწერილი. ყამთააღმწერელი მას მეორედ შეაკეთებს (3/29, 215).

მეტად საინტერესოა სარგის ჯაყელის სიტყვა დარბაზობაზე.

თავის ერთგულებას მეფისადმი ის თავის დამსახურებად თვლის და ამას აგრძნობინებს მეფეს. თ ა ვ ი ს ა დ თელის მესხეთის ლაშქარს, თავისად თვლის მესხეთს და მეფეს უთმობს „საჯმარად". სარგის ჯაყელის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ-ი ე ს ტ ე ტ ი კ ი ს ა ცნობიერება ტ ი პ ი ს ა... ისტორიკოსს სარგისის ეს სიტყვები მისდა სადიდებლად მოჰყავს და არა განსაქიქებლად. ის იდეალია კ ა რ გ ი ყ მ ი ს ა დიდებულთა მთავართა ანუ თავადთა წრიდან. მთავარს, მაშასადამე, სამთავრო თ ა ვ ი ს მ ა მ უ ლ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა და ასეცაა, რამდენადაც ის თავის მამისა და პაპისაგან აქვს მიღებული (მართალია, გარკვეული ფორმალობის დაცვით მეფის წინაშე: დამემკვიდრება). ლაშქარი, რომელიც ამ სამთავროებში იკრიბება და რომლის სპასალარიც ის არის, თავისად მიაჩნია და არა მეფისად, რომლის მეთაურად ის არის, რამდენადაც მისი ხელი საშვილიშვილო გახდა. ასეთ პირობებში ყმები მისი საკუთარი მამულიდან და ყმები მთელი სამთავროდან აღარ განსხვავდებიან. ასეთივე შეხედულების ხდებიან თვით ყმებიც. თავიანთ პატრონად ისინი მთავარს ხედავენ. ასე რომ, მეფესა და ყმას შორის დგას არა მარტო ბატონი (თავისუფალ მიწისმოქმედთა დაბეგვრის გზით), არამედ პატრონიც (აზნაურთა მთავრებისადმი დამორჩილების გზით: რაღა თქმა უნდა, ასეთ პირობებში დიდებულნი, თავადნი, მთავარნი — „თავნი და პირნი ქვეყანისანი" იყვნენ და ცალკე კატეგორიას შეადგენდნენ).

აქედან დავითის სამეფოს პრინციპებამდის ისევე შორს იყო,

როგორც თავისუფალ მიწისმოქმედსა და გლეხად ქცეულ ყმას შორის, ან კიდევ ყმად ქცეულ გლეხს შორის (3/29, 218).

ნარინ დავითს არაფრად ესიამოვნა ულუ დავითის სტუმრობა. ოფიციალურად „კეთილად ისტუმრა", მაგრამ „ვითარცა უცხო კიდოდა მათ თანა". ჩანს, ნარინ დავით ლიხთ-იმერეთს თავისად თვლის უკვე და ბიძაშვილს აგრძნობინებს, რომ ის სტუმარია... მაგრამ მეფის ამ აზრის არ არიან დიდებულები. უკანასკნელთა დიდი ნაწილი ქვეყნის ნთლიანობის მომხრეა (თუმცა, უნდა ითქვას, საკითხი მთლიანობა-დაყოფის შესახებ არც უნდა დასმულიყო ამ დროს ნათლად და გარკვევით. ეს არის, რომ ასეთი რამ იგულისხმებოდა).

მაგრამ აქ მეტად საინტერესოა ლ ა შ ქ ა რ თ ა სურვილი: ისინი ქვეყნის დაყოფაზე კი არ ფიქრობენ, არამედ საჭურჭლეზე, რომელსაც მიიღებენ მეფეთაგან, თუ მათ შორის შლილობა მოხდება. ისინი უკმაყოფილონი არიან, რომ მეფენი ერთობ მშვიდობიანნი არიან და საჭურჭლის გაცემაში მოიძუნწებენ... ლ ა შ ქ ა რ ი შ ფ ო თ ს უ ჭ ე რ ს მ ხ ა რ ს. და ეს გასაგებია: ამოდენა ძალა უქმად არის. გარეთ ვერ ომობს და შიგნით აშლილობით უნდა შეიძინოს — შეივსოს დეფიციტი... (3/29, 219).

ულუ დავით განდგა. იმერეთში იმალებოდა... „მაშინ უმეფო იყო ამიერი საქართველო სამეფო და დ ა ი შ ა ლ ა ლ ა შ ქ რ ო ბ ა დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ა თ ა თ ა რ თ ა. ინება კვალად ყაენთან ზავი მეფისა. ნოუწოდა არღუნს რათა წარავლინოს მოციქული მეფეს წინაშე ზავის ყოფად და ფიცითა დაუმტკიცებდა უვნებლობასა".. (მდ. 677).

აქ გარკვევითაა ნაჩვენები ის **modus vivendi**, რომელიც საქართველოს მეფის არსებობას ასაფუძვლებდა. მონღოლებს ორგანიზაცია სჭიროდათ დაპყრობილი ქვეყნებისა. ამას კი სხვა ვერავინ შეძლებდა ფეოდალურ ქვეყანაში, თუ არა მეფე. დიდებულები სხვას არ აბოგინებდნენ. ეგარსლანი, სადუნი — ამის მაგალითებია. მაგრამ ამ მიზეზს გარეშეც არსებობდა. უეჭველია, კონკრეტული მიზეზი ულუ დავითის შებრძოლებისა. ლაშქრობა და მსახურება (=გადასახადები...), მართალია, დაიშალა და ეს ყველა ხდებოდა მოახლოებული საფრთხის წინაშე ჩრდილოეთიდან, სადაც ულუ დავითი მეტად საშიში შეიძლება ყოფილიყო... მით უფრო, რომ ნარინს სულ იქითკენ ეჭირა თვალი... (მდ. 631). აშკარადაა ეს მიზეზი

ნაჩვენები: ბერქა დარიალის კარს სთხოვს ულუს და დიდ ნიჭს ჰპირდება... (3/29, 211).

სარგის ჯაყელი დარწმუნებულია, რომ თუ მეფე „გასცემს საპურჭლეს“ — „თავადთა იმერთა“ ზედა, ისინი ნარინ დავითს გადუდგებიან და ულუს მხარეზე დადგებიან, რომ თ ა ვ ა დ თ ა ე რ თ გ უ ლ ებ ა მ ე ფ ი ს ა დ მ ი დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ი ი ყ ო პ ა ტ ი ვ ს ა დ ა ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე ზ ე და მხოლოდ ამაზე. რაც შეეხება მემამულეობას, ის ხომ კარგა ხანია გარანტირებული აქვთ და ოდესმე სახელოდ მიცემულთ თავისად თვლიან. მით უფრო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა არჩევანი ორ კანონიერ მეფეს შორისაა. ფეოდალიზმის პრინციპია: თუ პ ა ტ რ ო ნ ი (მეფე) ყმას საკადრისად ვერ უზრუნველყოფს (ვერ უბოძებს), ყ მ ა ნებიერია წავიდეს მასთან, ვინც მეტს უბოძებს. ეს ყმის უფლება იყო. ეს უფლება ხშირად გადასცდებოდა სახელმწიფოს საზღვარს და ყმა (მთავარი, აზნაური) სხვაგან ეძებდა პატრონს, ეს უკვე სახელმწიფო ღალატი იყო (გუზონი). რაც შეეხება ბიზანტიისადმი მიდგომას XI ს-ში (ტაოელი აზნაურნი...), ან კიდევ ულუსიანობას XIII ს-ში (მის მეორე ნახევარში, როცა მონღოლები კანონიერი პატრონები შეიქმნენ საქართველოსი), აქ სახელმწიფო ღალატი არ ყოფილა (ასეთი იყო ის 90-იან წლებში ხაჩენელისა და ორბელის მოქმედებაში).

მხოლოდ გლეხს არ ჰქონდა უფლება ეძია ახალი პატრონი და ეს იმიტომ, რომ მას არც პატრონი ჰყოლია და არც ყმა ყოფილა. ის გლეხი იყო და ბატონი ჰყავდა (უფალი). (3/29, 217).

დავითებს სამეფო რომ გაეყოთ, მათ თავადები უნდა ეჩინათ, ე. ი. მათი ოფიციალური დახასიათება უნდა მოეხდინათ. ასევე ერისთავთაც. რომ ერთი მეორესათვის „შეესწორებინათ“, უნდა გარკვეული საზომი გამოენახათ დიდებულთათვის: თავადები ერთ კატეგორიას შეადგენდნენ. ასევე გარკვეულ კატეგორიას შეადგენდნენ ერისთავნიც. ეს მოვლენა (გაყოფა) იმითაა შესანიშნავი, რომ აქ იძულებული იყო დ ა რ ბ ა ზ ი გარკვეული იურიდიული გამოხატულება მიეცა ფაქტიური მდგომარეობისათვის: აჩინეს თავადნი. თავადები აქამდის დიდი ხანია უკვე არსებობდნენ (ასი წლის თუ არა, 50 წლის არსებობა მაინც ჰქონდათ...). აქ კი ის ოფიციალურად დადასტურდა... და წოდებრივადაც განცალკევდა. დარბაზის მიერ თავადად ან ერისთავად კვალიფიცირებული ამიერიდან არც ადვილად

დატოვებს თავადობას და ვერც უბრალო აზნაური აღზევდება ადვილად თავადობაში... ეს არის თავადობის წოდებრიობის იურიდიული დასაწყისი. (³/₂₉, 223).

აჯანყებული ულუ დავითი ქუთაისს გადავიდა. „ეზრახნეს კახაბერის ძესა რაჭის ერისთავსა კახაბერსა და ქვაბულისძეთა ფარაჯანიანთა სარგის, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ“ (მდ. 676). სხვები კი ნარინის მხარეს დარჩნენ. მაშინ „დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად და აჩინნეს თავადნი სამეფოსანი და განყვეს ორად ტფილისი ორად, ქუთათისი ორად და თავადები და ერისთავნი ურთიერთ შეასწორეს ნიკოფსით დარუბანდამდე“ (მდ. 677). ეს ერისთავნი იყვნენ იგივე თავადები იმ განსხვავებით, რომ თავადის შეცვლა თავადობისაგან მეფეს არ შეეძლო, ის სახლის თავადი იყო (ან შეიძლებოდა თავადობაც მეფის მოსაკითხი იყო? იმდენად მაინც, რამდენადაც თავადის სახლის ქონება — თუნდაც მამული — ნაწყალობევიც იყო). ერისთავი კი მეფის მოხელე იყო და საერისთავო იყო სახელო მხოლოდ, მაგრამ, რამდენადაც ეს სახელო საშვილიშვილოდ ქცეულიყო, ისიც სახლის ქონება იყო (³/₁₄, 416).

გამდგარმა დავითმა შვილი გიორგი წარმოუვლინა ყაენს, როცა თბილისს მოვიდა. „მუნ მოეგებნეს ყოველნი მთავარნი და ერისთავნი საქართველოსანი და შადინი ვინმე ნათესავით სომეხი რომელისა შეეედრა ტფილისი და თჳთ მეფობაცა არღუნ (ამ შადინმა.— ნ. ბ.) მოიღო ძღვენი ურიცხვი გიორგის წინაშე“... (მდ. 679).

ეს „შადინი ვინმე“ ვაჭარია. ის მდიდარია და ალბათ ხარკის პასუხისმგებელი (откупщик?). მეტად საინტერესოა ეს უგულებელყოფა ქართველ დიდებულთა და მთავართა და „ვინმე სომეხის“ მეფის ადგილას დასმა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაიშლებოდა ლაშქრობა და სამსახური. რაც არ უნდა იყოს, მონღოლებს არ ჰქონდათ ძალა უშუალოდ განეგოთ ამოდენა ფეოდალური ქვეყნები, თუ არ ფეოდალურივე საშუალებებით. ისინი ჩვეულებრივ გაცილებით უფრო ეგუებოდნენ ვაჭრებს. მათ ანდობდნენ საქმეებს. მაგრამ ეს ზომა ქვეყნის ლაშქრობაში მაინც ერთობ გამოუსადეგარი იყო. შადინს შეეძლო ხარკი აეკრიფა, მაგრამ ომის საქმეს კი ფეოდალური აპარატი უნდოდა (³/₂₉, 227).

თბილისის მმართველისადმი (შადინისადმი) სამეფოს ჩაბარება მოწმობს თვით თბილისის მნიშვნელობას, მის ეკონომიკურ ძლიერებას. არღუნი ვაჭარ შადინს უფრო ენდობა (მეტი გარანტია აქვს), ვიდრე რომელიმე დიდებულს, რომელსაც არაფრად უღირს ხვალ მტრის მხარეზე დადგეს. დიდვაჭარი კი მთელი თავისი არსებით, თავისი საქმიანობით დაკავშირებულია დიდ ცენტრალურ სახელმწიფოსთან, მისი მომხრეა — მისი კეთილდღეობა აქედანაა. არღუნისათვის ხულ ერთი იყო, რა თქმა უნდა, ვინ იქნებოდა შადინი, ან ხოჯა აზიზი, ან უმეკი, — ყველა ერთგული ქვეშევრდომი იყო მონღოლთა... (3/29, 226).

ცნობილია, რომ მონღოლები იმთავითვე კეთილგანწყობილებაში იყვნენ ვაჭრებთან. ისინი იყვნენ მათი მეგზურნი, ქვეყნების გამგენი, ცენტრის მოხელენი, ხარკის ამკრებნი... არღუნი ტიპური წარმომადგენელია მათი. საქართველოში ის ხოჯა აზიზსა და შადინს სვამს. ვაჭრობაში არიან ჩაბმულნი, უნდა ვიფიქროთ, დიდგვარიანებიც.

მაგრამ რაგინდ ძლიერი არ უნდა ყოფილიყო დიდვაჭრობა და დიდვაჭრები, ქვეყანა მაინც ნატურალური მეურნეობისაა და მაშ დომინანტი ფეოდალური ურთიერთობაა. დიდვაჭრობა და დიდვაჭრები მხოლოდ დანართი იყო ამ ურთიერთობისა და სრულიად მისი ანტაგონისტური რამ არ ყოფილა. ამიტომ, თუ აზიაში კიდევ ამ ვაჭრებზე დაყრდნობით რასმე მიღწევა შეიძლებოდა (?), საქართველოში ეს შეუძლებელი ჩანდა. აქ მთავარი იყო ფეოდალი და ფეოდალური სისტემა, ფეოდალური მეფე და ყმა. და მონღოლებიც იძულებული იყვნენ, თუ მათ სურდათ ქვეყნის რესურსების გამოყენება, ფეოდალებს დაყრდნობოდნენ... (3/29, 228).

ულუ დავით ურდოს მიდიოდა. ყაენმა მას მინდობა აღუთქვა. პაპა სარგისს კი არ მივინდობო. მეფემ სარგისს სახლში დაბრუნება ურჩია. სარგისმა იუარა: შენ მოგკლან, მე თავი გადავირჩინო „ამით წარჯდების გუარი ჩემი"-ო. „დაიმადლა მეფემან ეზომ (რომელ) ქვაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა შავშეთს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა". (მდ. 682—683).

ქვაბულიანი აქამდის სამეფო ყოფილა (შეიძლება ამის ნაშთი იყოს, რომ სადღაც აქ ვახუშტი მეფეთა სასახლეს უჩვენებს?!...).

ბოცოსძეები სადღა იყვნენ, მხოლოდ ბოცოთ ხევში???

ამრიგად, ყველსა და ჯაყს ძველიდან ფლობენ... შემდეგ ოძრხე-ციხისჯვარს შოულობენ, შემდეგ ქვაბულიანს (როდისლა შოულობენ ახალციხეს, აწყურს, თმოგვს???). (3/14, 417).

ერთი მხრით ფეოდალური ქვეყნის აპარატის საჭიროება, რომლის განსახიერებაც ქართველთ მეფე იყო და მეორე მხრით კავკასიის კარების (დარიალანის, დვალეთის, გლუხორის, ზღვისპირის) ხელში ქონება, ხოლო ჩრდილოეთში მომცრო ურდო, რომელსაც სამხრეთის (კულტურული წინა აზიის, სიმდიდრეზე რჩებოდა თვალი, ეს იყო modus-ი ქართველთა მეფის საპატიო არსებობისა ილხანების მფლობელობის ჟამს.

მონღოლები უკულტურო ძალა იყო. მისგან მეტის იმედი არ იყო: გონიერი გამოყენება არსებულისა ეს იქნებოდა უდიდესი რამ. სამწუხაროდ, გონიერ გამოყენებასაც ისეთი სიმაღლის კულტურა სჭიროდა, რაც მონღოლებს არ გააჩნდათ. მათ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური წყობის გარდაქმნა, რა თქმა უნდა, არ ძალედვათ... არც ისეთი ძლიერი იყვნენ, რომ სულ ყოველგან უშუალოდ თავიანთი ძალით ებატონათ. ამიტომაც, თუმცა უხეშს, მაგრამ მაინც „პოლიტიკას“ ეწევიან... (3/29, 230).

პაპა სარგის ეუბნება ყაენს: ხოჯა აზიზმაო (მთავარი ბასკაკი ვაჭარი) — „მიიღო[2] მეფობა დავითს ქალაქი და სოფელი მან დაიჭირა ეკლესიანი და ციხენი ყოველნი დაარღვევნა. ბედნიერო ყაენო, არღარავინ გაგაგონებდა უსამართლობასა მას. შეკრა კარი თქვენი ქრთამითა“... (მდ. 684).

ხოჯა აზიზი მონღოლთ ერთგული მოხელე იყო, ხარკის ამკრეები. ის მეტს არას შვრებოდა, თუ არ ცენტრალური ხელისუფლებისაგან ნაბრძანებს... ციხეთა დარღვევა ბუნებრივი იყო მონღოლთა მიერ. მონღოლებს ქართული ფეოდალიზმი არ ჰქონდათ. ამ სისტემას ისინი ნებით არ უწყობდნენ ხელს (სულ სხვა საქმეა, როგორ შედიოდა თანდათან ურდოში ფეოდალიზაცია. მაგრამ ეს გვიან, ან დროს ასეთი ჯერ კიდევ არ იყო და მონღოლები სასტიკი ცენტრალისტები იყვნენ. ციხეები — ეს ფეოდალთ დამოუკიდებლობის განსახიერება იყო, რომელსაც ბიუროკრატული ცენტრალური სახელმწიფო ვერ ითმენდა. სამწუხაროდ, ესეც (ისე როგორც ჯარის რე-

---

[2] გამოცემაში: მიიღო.

ფორმაც) მექანიკური ზომა იყო. ამით ციხეები არ მოისპობოდა. ჩქარა თვითონ მონღოლებმა დაიწყეს ციხეების აგება...

ხოჯა აზიზმა, ბუნებრივია, მიიღო მეფობა დავითს: ქალაქის ტაძრა, ხოლო სოფელზე თაღარი, მისდი და სხვა ყველაფერი აზიზის ხელთ. იყო. საინტერესოა, რატომ განდგა დავითი. განა ხოჯა აზიზის მაგივრად სხვა მოხელე რომ დაესვათ მონღოლებს, ისიც იმასვე არ იქმდა, ისიც არ მიიღებდა ქალაქსა და სოფელს? უეჭველია, დავითი ამისათვის არ განდგარა. ასეთი განდგომა მონღოლთ წინააღმდეგ (საერთოდ) განდგომა იქნებოდა და არა ხოჯა აზიზისა. ხოჯა აზიზის წინააღმდეგ მოყვანილ დებულებებში არაფერია ისეთი, რაც მოხელეს არ მოეთხოვებოდეს, რაც უფლებათა გარდამეტებას შეადგენდეს. „ქალაქი მიიღო", ნიშნავს ტაძრის ამკრეფლობას, ხოლო სოფლის მიღება — თაღარს ციხეთა დანგრევა მონღოლთ გეგმებშია. რაც შეეხება ეკლესიების ნგრევას, ეს გადაჭარბება უნდა იყოს... მონღოლთ პოლიტიკა (და თვით არღუნისაც, როგორც მონღოლის და აზიზის უშუალო უფროსის) ამის წინააღმდეგი იყო და თუნდაც. რომ ორიოდე ასეთ ფაქტს ჰქონოდა ადგილი, რა თქმა უნდა, ეს აჯანყების მიზეზად ვერ შეიქმნებოდა... ის ფაქტი, რომ აჯანყებას მთავარნი არ თანაუგრძნობენ, გვაფიქრებინებს, რომ მიზეზი (მთავარი და კონკრეტული) საყოველთაო არაა, არამედ განსაკუთრებით მეფეს, როგორც ასეთს, შეეხება. შეიძლება ეიფიქროთ, რომ ეს არის ხარკის აკრების საკითხი, ისა, თუ ვის ხელში უნდა იყოს ხარკის აკრების საქმე. როგორც ჩანს, საყოველთაო აღწერის შემდეგ ეს საქმე არღუნს უშუალოდ ბასკაკებისათვის მიუნდვია (ყოველ შემთხვევაში, უშუალო მეთვალყურეობა ამ ბასკაკთ ხელში უნდა ყოფილიყო). ხოჯა აზიზი სწორედ ამით მიიღებს ქალაქს და სოფელს მეფეს. მხოლოდ სამხედრო საქმე ისევ მეფის ხელთ დაუტოვებიათ (ამიტომაც „მოიშალა ლაშქრობა და სამსახური"). ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მეფესა და ამ ბასკაკს შორის მწვავე კონფლიქტი იმთავითვე უნდა შექმნილიყო. დიდგვარიანთათვის (მთავრებისათვის) ეს სულ ერთი იყო. ყოველ შემთხვევაში, იმად არ ღირდა, რომ ამისათვის აჯანყება დაეწყოთ. აქ მათთვის „მგელი და მგლისფერი ძაღლი" იყო. პირიქითაც: თუ მეფე იქნებოდა ხარკის ამკრები, ის უეჭველად გაძლიერდებოდა ფეოდალებზე, კიდევ უფრო ძლიერად ჩაერეოდა ფეოდალსა და მისი ყმის საურთიერთო საქმეში. ხარკის წესიერად აკრების ინტერესები მოითხოვდნენ ამას, ყოველ შემთხვევაში, ფეოდალები დიდად დამოკიდებული შეიქნებოდნენ მეფის ხელისუფ-

ლებისაგან [უნდა ვიფიქროთ, სამხედრო რეფორმა ხელს უწყობდა ამ მხრით მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, რამდენადაც მის წესიერად გამოყვანაში მეფე იყო პასუხისმგებელი. „ყალანის“ საქმეც ამიტომ მას უნდა ჰქონოდა...].

ფეოდალები კი, როგორც ვიცით, თითოეული კერძოდ ცდილობდა მონღოლთა კარზე უშუალოდ ეშოვა შეღავათი და გადასახადებისაგან ეხსნა თავისი სამფლობელო. ყველა ამიტომ, ხოჯა აზიზი (ე. ი. ბასკაკი) იქნებოდა ხარკისა და ტამღის ამკრები თუ მეფე, — ფეოდალებს ამისთვის არ სცხელოდათ. ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც, რომ ამისთვის აჯანყება ღირებულიყო. მეფისთვის კი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა... მას მართლაც „ამიღებოდა მეფობა“. ის მონღოლთ კარზე გაზედმეტებული, სახლში მით უფრო ზედმეტი იქნებოდა... თუ ქვეყნის ეკონომიკა მას არ ეკითხებოდა, ბუნებრივია, ჩქარა არც პოლიტიკას ჰკითხავდნენ მას...

1254 წლამდის ხარკის აკრების საქმე ადგილობრივთ ხელში იყო. ეს პლანო კარპინის ცნობას გარდა კირაკოს განძაკელის ცნობითაც მტკიცდება, რომ ამ ხარკით ფეოდალებიც დამდიდრდნენო საწყალთა ხარჯზეო... ხოლო რომ ამ აღწერის შემდეგ მონღოლები უფრო უშუალოდ ჩაერევიან ამ საქმეში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, კირაკოსის ცნობით, ფეოდალებიც გალატაკდნენ ხარაჯობისგან, ასევე სწუხან სხვა ფეოდალებიც (კახა, შანშა, ზაქარიას ძე მხარგრძელი — იხ. ამუქის წარწერა vim taregir-ში, სურამელი და სხვ.).

ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდა მეფის განდგომა. საფიქრებელი ხდება, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა გართულებამ მეფე ძვირფასი გახადა მონღოლთათვის და მათ დაუთმეს. ყოველ შემთხვევაში, საეკლესიო კრების ოქმიდან თითქოს ეს ირკვევა, ხოლო შემდეგ დიმიტრის სიმდიდრეც ამას გვაფიქრებინებს...

საინტერესოა პაპა სარგისის სიტყვა, რომ ყაენის კარი ქ რ თ ა მ ი თ ი ყ ო შ ე კ რ უ ლ ი თვით მეფისთვისაც კი და „უსამართლობას ვრაევინ გააგონებდა“... ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნებოდა მდგომარეობა იმის, ვისაც უწინაც არ ჰქონდა საშუალება სამართალი ეშოვა. დღეს, როცა მეფისთვისაც კი დახშული იყო სამართლის კარები, რაღა თქმა უნდა, სრულ თვითნებობას ექნებოდა ადგილი იმათ მხრით, ვისაც ქრთამის გაღება ეკონომიურად ეხერხებოდა...

ჭეშმარიტად სადუნ-სუმბატის დრო იდგა და კიდეც მარჯვედ სარგებლობდნენ (2/30, ფ. 83, 84, 85, 85ა, 85ბ).

ულუ დავითის შემორიგების უმალ ზაქარია შანშეს ძე განდგა „და ივლტოდა ქუთათის ნარინ დავითისსა, რამეთუ ბერქას ლაშქართ გამოსულა მას მიაჩემეს...“ (მდ. 688) და მოკლეს ზაქარია. ჩანს, ის დამნაშავედ იცვნეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აპარატის სრული მოშლაა. მეფე ცალკეა გამდგარი, ამირსპასალარი ცალკე. შეიძლება რაიმე შეთანხმება კიდეც არსებობდა მეფესა და მის ამირსპასალარს შორის — მეფის განდგომისას ყაენთან მიმავალი დასახელებულია შანშას ძე ივანე და არა ჩანს ზაქარია. — და მეფე უდროოდ შეურიგდა ყაენს და ზაქარია ყაენს მისცა პირში. ჩრდილოეთის ურდოსთან მეფის ურთიერთობა აქ პირდაპირაა აღნიშნული დონღუზ ხათუნის მიერ... როგორც ჩანს, ზაქარია ძლიერად საქმიანობდა ჩრდილოეთის ურდოსა და მეფის ურთიერთ შორის შესთანხმებლად... საინტერესოა ეს ცხოველი ურთიერთობა შორეულ სარაისთან... (წ. მდ., ფ. 14),

ალათემურ საბერძნეთიდან ბერქასთან მიდიოდა. ქვემო არტანს მან მურვან გურკელი მახუნჯაგის ძე შეიპყრო. მეგზურად დაიყენეს. მოიყვანა სამცხეს გურკლის ჭალას, „და ამცნო სარგის თმოგველსა და შალვა ბოცოს ძესა და ყოველთა მესხთა და სარგის ჯაყელის ლაშქართა, რათა შეკრბენ ერთად და შეიპყრან ალათემურ... (მდ. 690).

სად მფლობელობდა ეს შალვა ბოცოს ძე?[3]

60-იან წლებში ჯერ კიდევაა სარგის თმოგველი (3/14, 429).

„ხოლო ვითარ ამათ საქმეთაგან უბრალო არს მეფე განდიდნა ეუონდიდელი ბასილი და უჯარმელი და იწყო საურავთაცა ქმნად თვინერ მეფესა კითხვისა და მეფისა იმერით ყოფსა შინა დიადი ეწყინა (V. აწყინა) სეფეთა ქვეყანათა (რამეთუ) ვითარ თჳსთა ხედვიდა და სიტყუაცა იყოს ესეუქანის თანა ეყო (V. ვითარ-

---

3 ჩვენ ვფიქრობთ, ეს შალვა ბოცოსძე ჯაყელთა ერთ-ერთი შტოს ბოცოს ძეთა წარმომადგენელი უნდა იყოს, რომლებიც ფოცხოვის ხეობის მფლობელები ჩანან ალის (ფოცხოვის ხეობის) მონასტრის დოკუმენტების მიხედვით. ეს დოკუმენტები გამოსაცემად მომზადებულია ჭრ. შარაშიძის მიერ და უკვე ბეჭდება. რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი.

მედ ესუქანს თანა ეყო). ამისთვს შესმენილ იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან მსწრაფლ მოიყუანა და ბრძანა ძელსა დამოკიდება. დამოჰკიდეს ძელსა შუა ქალაქსა, რამეთუ იყო მეფე მალე მორწმუნე და ლიტონიცა" (მდ. 691—692).

მოყვანილი ადგილი უეჭველად ჩაკერებულია. არც წინა და არც მომდევნო ამბები არ უკავშირდებიან მას. ეს ნაწილი გაგრძელება უნდა იყოს 670-ე გვერდზე შეწყვეტილი ამბისა, სადაც ჯიქურის სიკვდილზე იყო ლაპარაკი. ავტორს ეს ეპიზოდები ულუ დავითის დასახასიათებლად მოჰყავს. საინტერესოა, რომ ბასილის განდიდება ჯიქურის შემდეგ ხდება. ჯიქური — ჯიგდა, სუმბატი — გვანცა, ბასილი — ესუქან (3/34, 243).

ულუ დავითმა სარგის ჯაველი მეჭურჭლეთუხუცესი შეიპყრო „და ტყუე ყო საჭურჭლესა შინა". ცნობის გადმომცემელი უმატებს, რომ ეს ჩაიდინა მეფემ „განზრახვითა უკეთურთა კაცთათჳს" (მდ. 691). მეფემო ჰგონა განდგომილება სარგისის ყაენს წინაშეო.

ეს ბუნდოვანი ადგილი განმარტებას მოითხოვს. ჯერ ერთი, ტექსტი გაუგებარია: რა ეგონა მეფეს, რომ სარგისი ყაენს განუდგა, თუ მეფეს განუდგა. თუ ყაენს განუდგა და ეს მართალი იყო, აბაღა ნოინის მიერ მისი დაცვა გაუგებარია. თუ ყაენის წინააღმდეგ განდგომა ტყუილად დააბრალეს და მართალი გამოდგა, რატომ მოჰყვა ამას სარგისის გაულუსიანება? რატომ უგულებელყვეს მეფის ერთგულება? რატომ წაართვეს ყმა და ქვეყნის მესამედი? და თუ მეფემ „განზრახვითა უკეთურთა კაცთათა" ჰგონა, რომ სარგისი მას განუდგა „ყაენის წინაშე", ეს სულ სხვა საქმეა და ჩვენ მართლაც ასე გვეგონა. ამ შემთხვევაში მემატიანისეული შეფასება მეფისა და მისი განმზრახთა ქცევისა სრულიად ცალმხრივია და თვით მემატიანის ვინაობის გამორკვევას გვშველის. ის ჯაყელთ მომხრე კაცია. საქმის დასასრულიდან ჩანს, რომ მეფე მართალი იყო, როცა სარგისის განდგომილებას ჰგონებდა „ყაენს წინაშე", ე. ი. სარგისის ცდას მეფის მორჩილებიდან გამოსულიყო და უშუალოდ ყაენის მორჩილების ქვეშ დამდგარიყო—ულუსისანი გამხდარიყო.

სარგისი მეფის მეჭურჭლეთუხუცესი იყო (ამიტომაც მეფემ ის „ტყუე ყო საჭურჭლესა შინა") და ერთი მთავართაგანი. ესეც ერთი ფეოდალი იყო და განდიდება მისი მეფისაგან დამოუკიდებლად ყოფნის პირდაპირპროპორციული იყო. ულუსიანობა ხომ თითოეული დიდებულისათვის იდეალი იყო და ყველა ცდილობ-

და ამით დაეცა „თავისი ქვეყანა“ მონღოლთა ბასკაკების თვითნებობისაგან. ფეოდალს, „მთავარს“ საერთო ძალით მოქმედება არ ეხერხება, კერძოობა მისი სტიქიონია. და მით უფრო ამ შემთხვევაში, როცა მონღოლები საუცხოოდ სარგებლობდნენ ფეოდალური ქვეყნების ამ ბუნებრივი თვისებებით და მთავართა ასეთ კერძოობას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ. ხაჩენელნი, ორბელნი, ავაგი, სარგისი, სადუნი — ესენი ის „ბედნიერები“ იყვნენ, რომელთაც მიაღწიეს იმ იდეალს, მაშინ რომ უმაღლესად ითელებოდა—„ულუსიანობას“, ე. ი. საერთო სახელმწიფოდან გამოყოფას (სამხედრო და ეკონომიკური) იმდენად, რამდენადაც საქმე მონღოლთ წინაშე მოვალეობებს შეეხებოდა. ულუსიანი თვით ჰკრეფდა ხარკს თავის ქვეყანაში (იქ ბასკაკი არ შედიოდა) და ოდენობითაც გაცილებით მცირეს იხდიდა. ერთი მხრით, ეს დიდი უპირატესობა იყო ამ ენჩუ ქვეყნისა და, რაც მთავარია ამ შემთხვევაში, ეკონომიკურად და უფლებრივად აძლიერებდა მთავარს და ის მეფის მორჩილებიდან თითქმის გამოჰყავდა. ამავე დროს ეს საშინელი არასასურველი იყო ნეზობელ მთავართათვის და საზარალო სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილებისთვის: იმ გაუკითხაობისას გაულუსიანებულის გამოსაღებს ვის გააწერდნენ, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის ახლად აღწერამდის ძველ გადასახადს არვინ შეუმცირებდა. სარგისი, ჩანს, კარგა ხნის წინ მცდელობდა ენჩუდ გახდომას. შეიძლება ბერქას წინააღმდეგ ომის დროიდანვე. ასე რომ, კარნუქალაქის მისდამი წყალობის წინააღმდეგ მეფის საქმიანობა შეიძლება ამასთანაც ყოფილიყო დაკავშირებული. სარგისის გაულუსიანების ცდას მეფე თავის განდგომად თვლის და ატყვევებს. აბაღა ნოინი მას ათავისუფლებს და ის ხდება ულუსიანი. ე. ი. საქართველოს უდიდესი ზიანი მოსდის, ის თავისი ტერიტორიის მესამედს კარგავს... (წ. მდ. ფ. 15).

ულუ დავით სიბადან დაბრუნდა თბილისს „და იყო განსვენებასა შინა თვინიერ ამისსა რამეთუ მთავარნი და ერისთავნი ვერ სწავლნის (ჰსცავლნის) შიშისათჳს ყაენისა“ (მდ. 696).

ეს საინტერესო ცნობა შესწორება-დამატებას მოითხოვს. უკვე კარგა ხანია მას შემდეგ, რაც მთავარნი და ერისთავნი, როგორც წესი, უცველი არიან და ეს დაკავშირებულია არა მონღოლების მძლავრობასა და ინტერესებთან, არამედ ქვეყნის საბოლოო ფეოდალიზაციასთან, საწარმოო ძალთა განვითარების ნიადაგზე ბატონყმური ნორმების განვითარება-მომწიფებასთან, და ამ მხრივ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან (მეტად საინტე-

რესოა ჯიქური. მის წინააღმდეგ ფეოდალები იმიტომ ხომ არ ყოფილან, რომ ის „გლახაკებს“ „კეთილს უყოფდა“? ხომ არ სცადა უგვარო ჯიქურმა დაბალ წრეებს დაყრდნობოდა და მონღოლთა დახმარებით ფეოდალები შეევიწროებინა??). მაგრამ ფაქტიური ეითარება ჯერ კიდევ არ გულისხმობს ამ მდგომარეობის დაკანონებას. აქ შეიძლება ბრძოლა. და, ვინ იცის, საით წავა შემდგომი განვითარების გზა... აქ კი მონღოლებმა უდიდესი როლი ითამაშეს, მაგრამ არა იმ მხრით, რომ მთავრებსა და ერისთავებს დაეჭირეს მხარი მათ მეფესთან ბრძოლაში, არამედ იმით, რომ მათი ბატონობის შეოხებით ქვეყნის შემდგომი განვითარება იმ მხრით წავიდა, რომ მთავართა და ერისთავთა ცვლა შეუძლებელი შეიქნა. ე. ი. ცენტრალიზმს ყოველგვარი აზრი დაეკარგა და ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითება-დაცემის ნიადაგზე ფეოდალური დეცენტრალიზმი და ბატონყმობა გაიფურჩქნა. კონკრეტულად კი ეს ცნობა იმ საინტერესო ფაქტს შეიცავს, რომ მეფე ჯერ კიდევ იბრძვის ცენტრალიზმის ძლიერებისათვის, მაგრამ მონღოლთ პოლიტიკა უფრო მთავართ მისწრაფებებს უჭერს მხარს. ეს მონღოლთა შემოსვლის პირველი დღიდანვე შეიქმნა. მონღოლები ძლიერად ერევიან სახელმწიფოს საშინაო საქმეებში (ულუსიანობა, ხარკი, ტამღა) და ხშირად მეფის უფლებას ფიქციად აქცევენ (ეს იყო სწორედ ულუ დავითის აჯანყების მიზეზიც). მეფეს გაძლიერებისათვის აქ იგივე საშუალება აქვს, რაც მის მთავართ. ყაენის გულის მოგება და ქვეყნის გამგეობის უშუალოდ მიღება, ხარკის აკრების საქმე და ყალანი... მაგრამ მაშინაც კი, როცა ამაებს მეფეს ანდობდნენ მონღოლები, არ იეიწყებდნენ მეფის მოწინააღმდეგე (და მაშ თავიანთ მოკავშირე) ფეოდალებს და მათ მეფის ანაბარად არ ტოვებენ. მთავარს ყოველთვის აქვს უფლება შესჩიელოს ყაენს მეფის მიერ მიმძლავრება და სამართალი ეძიოს. ამიტომაც ყოფილა, რომ „შიშისათვის ყაენისა“ მეფე მთავრებს და ერისთავებს ვერ სცვლის... რა თქმა უნდა, აქ საქმე ეხებოდა, უეჭველია, აშკარა მოღალატეებს და ორგულებს (ხაჩენელი, ორბელი, სადუნი), თორემ, თუ არ მძიმე დანაშაული, მეფე ამ დროს მთავრებს და ერისთავებს ისე ვერ გამოსცვლიდა. ეს იქნებოდა მთელი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც დავითს აზრადაც ვერ მოუვიდოდა (³/₂₉, 233).

ულუ დავითმაო „მძლავრებისგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა საეფისკოპოსოთა, რომელი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ეგრეთვე მონასტერთა“ (მდ. 696).

მონღოლების მიერ ეკლესიის მსახურნი და მათი ქონება შეუვალი იყო. მაშ ეკლესია თავისუფალია (და არა მარტო მცხეთის და აფხაზეთის კათალიკოსის, არამედ ყველა მონასტრის და საეპისკოპოსოსი), ზოგი მთავარიც (სადუნი, ორბელი, სარგისი) თავისუფალია. დანარჩენი კი სახელმწიფო გადასახადებს ვერ აუდის, ქალაქია ის თუ სოფელი: მეფე ეძებს წყაროს, „მთავრებს“ და „ერისთავებს“ ვერ სცვლის: მათ მონღოლები იცავენ და გაჭირვებული ისევ ეკლესიას მიადგება, და სრულიად კანონიერად მოქმედებს, რაც „სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ეგრეთვე მონასტერთა“...

საქმე ისაა, რომ შესავალი სოფლების მინიჭება უდავო მინიჭება არ იყო და ყოველ მემკვიდრეს შეეძლო მისი უკან წაღება და დავითიც სარგებლობს ამით. რაც შეეხება მონასტრებს, აქაც სამეფო მონასტრებზეა ლაპარაკი (ისე, როგორც ტბეთი მისცა სამამულოდ სარგისს). მეფის მაგალითი, რა თქმა უნდა, მისაბაძი იყო ფეოდალთათვის... მეფის მხრით აქ სეკულარიზაცია არ ყოფილა, არც ეკლესიის შეუვალობის დარღვევები, რასაც დავითზე ძლიერი მეფე უნდოდა (3/29, 232).

ულუ დავითმაო „მთავარნი და ერისთავნი ვერ ჰსცვალნის შიშისათჳს ყაინისა“... (მდ. 696).

საინტერესოა: ბერძნები V, VIს-ში და სპარსელები ამავე ხანებში სწორედ ამასვე უწყობენ ხელს...

ასევე იქცევიან არაბები, სანამ ძალა შესწევთ. ასევე ბერძნები XI ს-ში.

შედეგი კი სხვადასხვაა: VI—VII ს-ში „სიგელნი მკვიდრობისანი“ რეალური ძალა აღმოჩნდა, დიდხანს იყო ქვეყანა სამთავროებად დაყოფილი. VIII—IX—XI ს-ში კი ასეთივე „სიგელნი მკვიდრობისანი“, არაბებისა, ბერძნებისა თუ სელჯუკიანების მიერ მიცემული, სრულიად უსიცოცხლო რამ შეიქნა და ოდნავადაც ვერ შეაჩერა ქვეყნის გაერთიანება..

ახლა კი XIII ს-ში ეს უცხო „სიგელნი მკვიდრობისანი“ ისევ სასიცოცხლო შეიქნენ...

მარტო ამ უბრალო შედარებიდან ცხადია, რომ ყველა ეს ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თურქები, მონღოლები და სხვები კი არაა მთავარი, არამედ მთავარი სხვაგანაა და ესენი მხოლოდ ხელს უწყობენ ან კიდევ აფერხებენ ჩასახულ მოვლენებს... (3/29, 231).

ულუ დავით და ნოინები ყარაულად წავიდნენ. როცა ბარახა დაინახეს, ნოინებმა უკუქცევა დააპირეს. მეფემ არ ქნა, შეუბმელობა ქართველთ წესი არაო. ნოინები არწმუნებენ, ემუქრებიან, არაფერი შველის. აბაღას აცნობეს. ამხედრებული ის მივიდა. მეფეს ეუბნება: „უკეთუმცა ნოინს რომელსამცა ექმნა, მომცავკალ. ამისათვის არა ბრალეულ გყო, რამეთუ უმეცარნი ხართ წესისა ჩვენისანი“... (მდ. 706). მონღოლთ წესი ბარემ იცოდნენ ქართველებმა, მაგრამ მათ ამ წესის დაცვა არ შეეძლოთ. ფეოდალური ლაშქარი სულ სხვა წესისაა. არა იმიტომ, რომ უმეცარია მათი წესის. არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ფეოდალური ფორმა ლაშქრის გარკვეულ სახეს ქმნის გარკვეული წესით. სულ სხვა იყო მონღოლთა დისციპლინირებული არმია. ამათ წესს ქართველი ლაშქარი, რა თქმა უნდა, ვერ შეითვისებდა, სანამ ის ფეოდალური ქვეყნის შვილებისაგან შედგებოდა და დამოუკიდებელი ლაშქრის სახეს ატარებდა. არც მონღოლები იყვნენ იქამდის ძლიერნი, რომ მათი ინდივიდუალობის მოშლა შეძლებოდათ... ($^{3}/_{29}$, 242).

ულუ დავითის დროს საეკლესიო ქონებათა ძარცვა სახელმწიფოს მიერ იმით ხომ არ იყო გამოწვეული, რომ მონღოლები ეკლესიას არას ახდევინებდნენ და ეკლესია გამდიდრდა მაშინ, როცა ქვეყანა ღარიბდებოდა??? ($^{3}/_{50}$, 2).

ულუ დავითის გარდაცვალებისას მეჭურჭლეთუხუცესი იყო კახა თორელი (მდ. 708), მანდატურთუხუცესი — ივანე შანშას ძე მხარგრძელი.

უნდა ვიფიქროთ, მეჭურჭლეთუხუცესობა დავითმა სარგის ჯაყელს წაართვა მისი გაულუსიანების შემდეგ და თორელს მისცა ის. როდის წაერთვა შანშეთ სახლს მანდატურთუხუცესობა და როდის მიეცა ის ბექა ჯაყელს (??).

ქამთააღმწერელს სარგის ჯაყელის მეჭურჭლეთუხუცესობა უფრო გვიანაც აქვს მოხსენიებული (მდ. 718). მაგრამ ეს ანაქრონიზმია...

ივანე შანშას ძე მანდატურთუხუცესია 1282—84 წლებშიც (მდ. 732) ($^{3}/_{14}$, 433).

როგორც ჩანს, ნარინი მოხერხებული პოლიტიკოსია. ის მხარს უჭერს თეგუთარს, სანამ არის იმედი, რომ ბარახა გაიმარჯვებს, ისე, როგორც ულუ დავითის აჯანყებასაც ეხმარება: ოქროს ურდოს გამარჯვების იმედი აქვს. როგორც კი ბარახა დამარცხდა, დავითმა ისმინა ალაღის ვედრება და ქართლში გადმოსულ თეგუთარს გზები გადაუხერგა. ამავე დროს დავითს ეშვი აქვს, რომ „თეგუთარის ყმანი" ღალატს იზრახავენ. ყველა სხვას გარდა დიდი ხნით სტუმრობა ამოდენა ურდოსი ყოვლად აუტანელი რამ იყო ქვეყნისათვის. გარეგნული სანდომიერება და რაინდობა ხელს არ უშლის ნარინ დავითს იყოს ჭკვიანი პოლიტიკოსი...

მონღოლებს არ უყვართ იმერეთი, იქ ლაშქრობა. ტყეები აშინებთ მათ. ამით არის დავითი შედარებით მოსვენებული. მონღოლთ დამსჯელი რაზმი სულ მცირე ხანსაც არა ჩერდება იმერეთში: მ ა ს ე შ ი ნ ი ა გ ზ ე ბ ი ს ჩ ა ხ ე რ გ ვ ი ს, როცა ცხენით გამოვლა არ შეეძლება. ასეთ პირობებში პარტიზანული ბრძოლით იმერელთ შეეძლოთ დიდი ნავნები ექნათ მონღოლთათვის (³/₂₉, 243).

მეფე გარდაიცვალა. ძე მცირე დარჩა. მთავარნი „მწუხარე იყუნეს", „უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს ყანს, რამეთუ ვერცა დავით მეფემან სწვრთნა ერისთავნი შიშისათჳს ყანისა" (ᲘᲓ. 712).

ისტორიკოსის სიტყვები ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ მისი აზრი ცხადია: ის მთავრები, რომელნიც უფლისწულის სიმცირისას ყაენთან წარვიდეს სამსახურად, მოღალატენი არიან. კანონით უნდა გამოიცვალონ, მაგრამ მეფე „შიშისათჳს ყანისა" ვერ სწვართავს მათ. ასეთი ყოფილა მთავართა „უმრავლესნი" და ეს ბუნებრივიცაა. არც დარჩენილი უმცირესობა იტყოდა უარს ყაენთან წასვლაზე. უნდა ვიფიქროთ, მათ ინდივიდუალური ხასიათის მოვლენები აჩერებენ და მეფის ერთგულს ხდიან, თორემ საერთო კანონით ფეოდალი ფეოდალურად იქცევა: უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ პ ა ტ რ ო ნ თ ა ნ მ ი დ ი ს. გაუგებარი ის იქნებოდა, რომ მათ ერთგულება გამოეჩინათ.

რომ ეს „ყაენთან წასვლა სამსახურად" უბრალო საქმე არაა, არამედ წ ა ს ვ ლ ა მ თ ე ლ ი „ს ა ჯ ე ლ ო" ქ ვ ე ყ ნ ი თ და მაშ სამეფოს ფაქტიური რღვევაა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ წასვლა დანაშაულად მიაჩნია ისტორიკოსს... (³/₂₉, 244).

სადუნი ფრიად განდიდნა. ავაგ ათაბაგის ყოფილი ყმა ავაგის სახლს განაგებს. „დაიწყო ურვად საქმეთა საქართველოსათა“... (მდ. 713). ეს აუტანელი უჩნდათ სხვა მთავრებს (ორბელი, მკარგრძელნი, თორელნი, ჯაყელნი...). „მაშინ შეკრბეს თავადნი ქართველნი და დიდებულნი და წარიყუანეს მეფისა ძე დიმიტრი ურდოსა და მივიდეს შანშას ძისა იოანეს თანა და მანდატურთუხუცესსა თანა და წარჰყუა იგიცა ურდოსა და მოიყუანეს ყანს წინაშე და აურვეს მეფობა“... (მდ. 714). ყაენმა დაუმტკიცა მეფობა. მოსცა საქართველო თვინიერ სარგის ჯაყელისა. სადუნს დიმიტრიმ ათაბაგობა უბოძა, მოიყვანეს თბილისს, „დასვეს ტახტსა ზედა... და აღუსრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და ეფისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა ერეთით, კახეთით. სომხითით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ, რომელნი შეკრებულ იყუნეს“ (მდ. 714).

დიდებულებმა სადუნის წინააღმდეგ მეფე წამოაყენეს, მეფე ფეოდალური. საქართველოს დაშლა არ უნდათ, მაგრამ არც მისი ცენტრალისტური სიმტკიცე უნდათ, თავის შორის უძლიერესს ვერ ითმენენ. მეფე უნდათ ($^{3}/_{29}$, 246).

ცნობა იმის შესახებ, რომ სადუნმა გარეჯის მონასტრები და ქვეყანა ყალანისა და მალისაგან იხსნა იმით, რომ თვით შეჰქონდა მათი მალი და ყალანიო, ადასტურებს, რომ მონღოლთ კანონით თავისუფალი იყო ყალანისაგან მხოლოდ კულტის მსახური პერსონალურად და არა საეკლესიო ქონება. ამასვე ადასტურებს საეკლესიო კრების ოქმი 1263 წლისა ($^{3}/_{29}$, 249).

სადუნი—მონღოლთა ხანის „საქმის კაცი“, ქალაქებს უმიზნებს. მეფისაგან თუ სხვათაგან მათი მიღება-მოვერაგება აინტერესებს. თელავი, ბელაქანი, დმანისი, კარი და ამათი მიმდგომი ქვეყნები მან იშოვნა მეფისაგან. ეს მოვლენა ნიშანი იყო ცენტრალური ხელისუფლების სრული კაპიტულაციისა ფეოდალური პრინციპების წინაშე. მეფე სახელოდ სცემს თავისი სიძლიერის დასაყრდენს ფეოდალებთან ბრძოლაში — ქალაქებს. და დასაყრდენს ერთადერთს, ვინაიდან სხვა საზოგადოებრივი წრე ასეთი აღარ არსებობდა, რომელიც მეფეს მიემხრობოდა მისი ფეოდალებთან ბრძოლის დროს. მართალია, აქ აღნიშნულია, რომ ეს მოვლენა მეფის კეთილი სურვილის შედეგი კი არ ყოფილა, არამედ ურდოობის ნია-

ლაგზე შექმნილი გარემოებით გამოწვეული იყო, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩებოდა და მეორეც — რომ ქართველ მეფეებს — განსაკუთრებით თამარის დროიდან — ქალაქების გაცემა ჩვეულებად ჰქონდათ, ეს კარელების თხოვნიდანაც კარგად ჩანს და თამარის ისტორიკოსიც მოგვითხრობს (³/₂₉, 248).

იმ საშინელ ტვირთს, თათრებმა რომ დაპყრობილ ქვეყნებს „სამართლიანად" დაადვეს, თან ერთოდა აუცილებელი თანამყოლი ყოველი უკულტურო ხელისუფლებისა — ძალა და უსამართლობა, მიმძლავრება და განუკითხველობა („შეკრა კარი ქრთამითა") (³/₂₉, 247).

მეფე დიმიტრი „ჰელთა სადუნისათა იყო, რამეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყანმან და იპყრა (V. იურვა) მეფისა დიმიტრისაგან თელავი და ბელაქანი და მრავალი ქვეყანანი და სადუნი კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველოსათა რამეთუ დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი თათართაგან და უსამართლო არცა დიდთა ნოინთაგან არც ელჩითაგან და ესრეთ აღშენდა და მოიპყრნა საქართველო"... (მდ. 717).

ენჩუ სადუნმა შეძლო დიდთა ნოინთა ან კიდეე ელჩთა ძალი და უსამართლო აეცილებინა საქართველოსათვის. ეს იყო დიმიტრის ყრმობისას. და ეს საკმაო იყო, რომ საქართველო მოსულიერებულიყო, „აღშენებულიყო". ამ სიტყვებით ისტორიკოსი აშკარად გვაცნობს, თუ რა იყო მაშინ ყველაზე უარესი. ეს იყო თათართა ძალა და უსამართლობა (³/₂₉, 247).

დიმიტრის მეფობაში (XIII ს-ის 70-80-იანი წლები) „ამათ ჟამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთაუხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს" (მდ. 718).

აქ „მთავრობდეს" მისი პოლიტიკური აქცენტით არის აღებული. მთავრობდეს და არა ერისთავობდეს. თუმცა ამ დროს ერისთავნი (თუ ყველა ვერა, უმრავლესნი მაინც) უკვე მთავრობდნენ...

ამ ერიდან ახალციხელები ჯაყელთა ისეთივე ყმები გახდებიან, როგორც აბუსერიძეები, ფანასკერტელები (³/₁₄, 436).

სადუნმა კარი მეფეთაგან მიიღო, ხოლო „მისი მიმდგომი ქვეყანა მოიგერაგა ახალციხელთაგან და ასული ახალციხელისა ცოლად მოიყუანა“ (მდ. 718).

მართლაც, კარული ქვეყანა თამარ მეფის დროიდან ივანე და შალვა ახალციხელთა საკუთრება იყო. მათ ხმლით ნაშოვნი ჰქონდათ ის. ახალციხელები, მაშასადამე, ჯერ კიდევ არიან და ჯაყელებს ახალციხე ჯერ კიდევ არა აქვთ. თუმცა სამცხის მთავრები არიან: „სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა... მთავრობდეს სამცხეს“ (იქვე). და ულუსიანები, ალბათ, ახალციხელებსაც გაუპატრონდნენ (3/14, 434).

ავტორი აღწერს ბექას სათნოებას და უმატებს: „მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან კარნუ ქალაქამდის სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უფრავლესი ტაო-ვაშლოვანი, ნიგალის ჴევი, არტანუჯი, ათორმეტი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“ (მდ. 719). ავტორი აქ აჭარბებს: „შავშეთ-კლარჯეთი სამეფო იყო, ისე როგორც ტაო და ჯავახეთი. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ულუ დავითის აჯანყებისას შავშეთ-კლარჯეთი სამეფოა (ესევე ჩანს არეანბეგ საბანისძის სიგელიდან.). ბექამ ეს ქვეყნები უფრო გვიან იშოვნა, როგორც ამას სამართლიანად ფიქრობს ვახუშტი...

მაინც ჯავახეთი და ტაო ამ დროს ჯაყელების არაა (3/14, 438).

სარგის ჯაყელი და მისი ძე ბექა „ულუსიანი“ იყვნენ. მათ შესახებ ქამთააღმწერელი კი ამბობს: „ესრეთ დღითი დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყანს აბაღას და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის“... (მდ. 719).

აქედან ის ჩვენი მოსაზრება დასტურდება, რომ ულუსიანობას ესა თუ ის მთავარი მეფის მორჩილებისაგან სულ მთლად არ გამოჰყავდა, არამედ საამისო პირობებს აძლიერებდა. „ულუსიანობა“ სათათრო ვალდებულებებში ისახებოდა. ამ მხრით შეღავათს მოასწავებდა. საერთო დავთრებიდან ამოხოცვა ამას გულისხმობდა. რაც შეეხებოდა საშინაო საქმეებს, სამეფო ვალდებულებებს, რამდენადაც ფეოდალურ ქვეყანაში ასეთი არსებობდა (ის მეტად მცირე იყო), ეს ძველებურადვე რჩებოდა. მაგრამ ყმის მთავარი ვალდებულება — ლაშქრობა, რადგან მხოლოდ მონღოლთათვის და მათ-

თან ერთად ხდებოდა და ულუსიანი ამ მხრით უშუალოდ მონღოლთ ემორჩილებოდა (?), ამიტომ ულუსიანის ყმობა ფიქციაღა იყო (³/₂₉, 251).

სადუნსო „საქართველოსა ლაშქართა საქმე და განგება ჯელთ უდვა ყაენმან“ (მდ. 718).

ეს ცნობა ადასტურებს, რომ საქართველოს „ლაშქართ საქმე და განგება“ მთლიანი საქმე იყო, ერთს ორგანიზაციას წარმოადგენდა და ამ საქმის მოგვარება ხელთ ჰქონდა მას, ვისაც ყაენი ამის ღირსად სცნობდა. უეჭველია, სადუნის ხელში ის იმდენად შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენადაც დიმიტრი ყრმა იყო და სადუნი კი მისი ათაბაგი, თორემ დიმიტრის მოწიფების შემდეგ ასეთი რამ ფრიად საეჭვო ჩანს: არც დიდებულები და არც მეფე ამას არ დაუშვებდნენ: ასეთი რამ მეფობის მიტაცებას ნიშნავდა ათაბაგის მიერ (შეიძლება სადუნი, როგორც ამირსპასალარი და ათაბაგი, საქმიანობდა ასე... მაგრამ აქ ყაენი რა შუაში იყო) (³/₂₉, 250).

„ამას ჟამთა (ე. ი. XIII ს.-ის 70-80-იან წლებში) მოვიდა კუალად იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხვნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყანთანი, რათა აღთვალოს ქვეყანა და ცნას ვითარ რომელი (ვითარძი) ქვეყანა აოჯრდა, გინა აღშენდა. ათვალა ახლად და (ცნა რამეთუ) უმრავლესნი მოოჯრებული იყო უმეტეს ერეთი და კახეთი რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოჯრებულ იყო გამოსვლასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყანი დიდი ბერქა“ (მდ. 719-720). ეს იყო მეორედ აღთვალვა, ურდოში მიღებული სისტემის შედეგი, თუ ქვეყნის მკვიდრთა ჩივილმა ხარკის სიდიდისა და აოხრების შესახებ მიაღწია მონღოლთა ყაენის ყურამდის (შეიძლება სადუნის საშუალებით). მემატიანის მიერ ხაზგასმა, რომ უფრო მეტი („უმრავლესნი“) მოოხრებულ იყო, გვაფიქრებინებს, რომ ქართველთ ჩივილსაც ადგილი ჰქონია და ეს ჩივილი ა ღ თ ვ ა ლ ვ ი ს შ ე დ ე გ ა დ ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი ა ღ მ ო ჩ ე ნ ი ლ ა. კახეთისა და კამბეჩანის ასე დიდი დაზარალება ბერქას გამოსვლისას, როცა ის ფრიად მრავალრიცხოვანი ლაშქრით გარეჯის მთებამდის მოვიდა, მოწმობს კამბეჩანის მეურნეობის ხასიათს: ეს მეურნეობა საარხო სისტემაზე აგებული მეურნეობა უნდა ყოფილიყო, რომე-

ლიც, საფიქრებელია, მოიშალა ამ დროს და 15 წლის შემდგომაც აღუდგენელი, ხოლო მოსახლეობა აყრილი ჩანდა ($^3/_{29}$, 184).

დამარცხებული რაჭის ერისთავი კახაბერ „ევედრა მეფესა რათა შეიწყალოს და უბოძოს მ ა მ უ ლ ი მისი“... (მდ. 720). მეფემ შეიწყალა „და მიუბოძა მამული მისი ყოველი და კუალად ეგო მ ა მ უ ლ ს ა მისსა რაჭას“ (721).

რაჭა კახაბერის მ ა მ უ ლ ი. ე რ ი ს თ ა ვ ო ბ ა მ ა შ ი ყ ო მ ა მ უ ლ ი... ($^3/_{33}$, 184).

XIII ს-ის 60-იანი წლების შემდეგ ნარინ დავითი მეტად ორიგინალურ მდგომარეობაში იმყოფება: ის ფრთხილი პოლიტიკოსი ჩანს. ოქროს ურდოსთან, უეჭველია, აქვს ურთიერთობა. ის ჯერ აჯანყებულია. ილხანებს გაექცა. სხვა აჯანყებულებსაც შველის (სანამ აქედან რაიმე სარფას მოელის). გარეგნულად, ჩანს, მონღოლებს (ილხანებს) მორჩილობს. უეჭველია, ლაშქარს და ხარკს აძლევს. ილხანებმა იციან ფასი მისი მორჩილებისა და ცდილობენ ხელთ იგდონ, მაგრამ დავითი ფრთხილობს... მონღოლები დიდ ძალას ვერ იჩენენ მის მიმართ. მონღოლთა ცხენოსანი ლაშქრისათვის მთიანტყიანი ლიხთიმერი ნეტად არასასიამოვნო სალაშქრო იყო. დავითიც სარგებლობს და თავისთვისაა, ის არ ცდილობს გააღიზიანოს თათრები, არ ენდობა მათ, სცნობს მათ ბატონობას და მონღოლებიც „ითმენენ“... ($^3/_{29}$, 253).

„იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხვეჭად და არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი, რამეთუ იყო მღდელთ მთავარი და მღდელი ლაღ, ამპარტავანი ანგარ ბოროტის მყოფელ უწესიერო“... (მდ. 723).

„ურთიერთას მ ძ ლ ა ვ რ ე ბ ა და მ ი ხ ვ ე ჭ ა“ ეს ფეოდალთა ბუნებაა. მძლავრება და მიხვეჭა სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება იყოს გამოწვეული: ამას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დროს, ისე მისი დაცემის დროსაც. პირველ შემთხვევაში რარიგ მწვავე და ბოროტებით აღსავსე არ იყოს, იგი მაინც პროგრესულია: საწარმოო ძალთა ზრდის შედეგია და მასვე ემსახურება, ასეთი ხასიათის მიმძლავრება და მიხვეჭა იყო ჩვენში VIII—IX სს-ში. მეორე შემთხვევაში ის ქვეყნის ეკონომიკური რეგრესის შედეგია და მისი გამოსახულებაა.

ასეთი ხასიათის იყო მიმძლავრება-მიხვეჭანი XII—XV სს-ში. ეს არის ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი ბატონყმობის ნიადაგზე. მძლავრება და მიხვეჭა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფეოდალებს შორის არ იყო... ამ საერთო განუკითხაობის, გაღატაკებისა და მკლავის ძალის პირობებში მთავარი ობიექტი ყოველგვარი მიხვეჭისა და მიმძლავრებისა, უეჭველია, ყმები (=გლეხები) იქნებოდნენ (³/₂₉, 254).

როგორც ჩანს, მიმხვეჭელ სადუნს სასტიკი ბრძოლა აქვს ზოგიერთ დიდგვარიანთან. ეს ბუნებრივიც იყო. ამოდენა ქვეყნებისა და სიმდიდრის შეძენა სხვა დიგვარიანთ შევიწროების ხარჯზე შეიძლებოდა მხოლოდ. სადუნს როგორც ტიპიურ მედროვეს და „ახალკაცს" (თუმცა ძველი გვარისაც) არავითარი ტრადიციები არ აკავებს: ყიდვით, ქრთამით, წართმევით, თხოვნით ის იძენს ქვეყნებს, ციხეებს, ქალაქებს საქართველოს ყოველ კუთხეში. უეჭველია, მრავალი დიდგვარიანი ხელში ეყოლებოდა მას, და ეს ასეც იყო. დიმიტრის გამეფების აქტში ეს კარგად გამოჩნდა (ორბელნი). ასევე მოწინააღმდეგე ჰყოლია ა ბ უ ლ ე თ ი ს ძ ე ნ ი — ეს უძველესი გვართაგანი ქართლის აზნაურთა. სადუნთან მათ დაუნდობელი ბრძოლა ჰქონიათ და ყოველისშემძლეს მიპრიდებიან და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოსულან. მაგრამ ხუტლუბუღა დაუნდობლობაში სადუნს არ ჩამოუვარდებოდა და მას მოუხერხებია ყაენის ხელით მათი ამოხოცვა (²/₂₉, 356).

საინტერესოა ეს ანტონ ნ ა ო ხ რ ე ბ ლ ი ს ძ ე „ნათესავით მესხი": დავითის სიგელის ნაოხრებლის შვილიც ხომ მესხი არ იყო, რომლის შესახებ არიშიანი ეაჯა მეფეს??... (³/₂₉, 258).

მეტად საინტერესოა: ყაენმა აჰმადამ „დიდად დაუმადლა მეფესა თანახლება, ხვარასანს პატივცა უყო დიდი და ყ ო ვ ე ლ ი მ თ ა ვ ა რ ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ნ ი მ ი ს ცნ ა" (მდ. 733).

ასე რომ, საქართველოს პოლიტიკური თუ ტერიტორიული რაობა ყაენზე იყო დამოკიდებული. მას შეეძლო (და ამას, როგორც ჩანს, არაერთგზის ჰქონდა ადგილი) ესა თუ ის მ თ ა ვ ა რ ი არ მოეცა, ე. ი. საქართველოს პოლიტიკური სხეულიდან გამოეყვანა, თავისთვის დაეტოვებინა. ასე რომ, მეფე მთავრების მიმართ იმდენად მეფობდა, რამდენადაც ეს ყაენის ანგარიშებში შედიოდა. და სრულიად ბუნებრივია, რომ ყაენი საბოლოოდ და უაპელაციოდ არას-

დროს არც ერთ მთავარს ქართველ მეფეს არ მისცემდა... ასე რომ, იმ ძლიერ ტენდენციებს, რომლებმაც პირველი გამარჯვება თამარის დროსვე მოიპოვეს ჩამომაელობითი მთავრობის განმტკიცებით, მონღოლთა სახით ძლიერი მფარველი გაუჩნდა. და მფარველი არამარტო პოლიტიკური: რამდენადაც მონღოლები ხელს უწყობდნენ ბატონყმური ტენდენციების განმტკიცებას, ის eo ipso ძლიერად უწყობდა ხელს ფეოდალურ სეპარატისტულ ტენდენციებსაც (³/₂₉, 261).

არღუნ ყაენმა დიმიტრი მეფე „კეთილად შეიწყალა და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელ აქვნდა სიფდიანს-“... (იხ. 734).

ფორმულა ფეოდალურია და სინამდვილეს ასახავს: საქართველოს მეფე წყალობის სახით მიიღებდა ხოლმე საქართველოს. ყოველი ახლად ტახტზე ასული ყაენისაგან მიიღებდა ხან მთლიანად, ხან კიდევ ნაწილობრივ ამა თუ იმ მთავარს მისი სამთავროთი, — ყაენი უშუალოდ თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანდა ხოლმე... რაც შეეხება ათაბაგის სახლს, ეს ხომ ხვაშაქის მზითვი შეიქნა... (³/₂₉, 259).

დიმიტრის მეფობის მეორე ნახევარში კათალიკოსი იყო აბრამ: „იყო კაცი ესე მართალ მოქმედი კეთილთა საქმეთა და საურავთა სამეფოთა გამგე... (კეთილი)...“ (იხ. 734).

ეს კათალიკოსი მწიგნობართუხუცესიც იყო?? ეს ხელი კათალიკოსს გამოართვა და ხუტლუბუღას მისცა ათაბაგობასთან ერთად ვახტანგ მეფემ (იხ. აქვე 744).

როგორც ჩანს, „სამეფოთა საქმეთა განგება“ კარგა ხანია მწიგნობართუხუცესებს ჩამოერთვა. ათაბაგებმა მიიტაცეს ის, და მხოლოდ მაშინ, როცა ათაბაგი არ არის (გარდაცვლილია და მეფე ახალს არ ნიშნავს), მწიგნობართუხუცესები იბრუნებენ ამ ფუნქციას (ბასილი უჯარმელი, კათალიკოსი აბრაამი).

ივანე (რუსუდანის მეფობის პირველ ხანებში),

ავაგი (რუსუდანის მეფობის ბოლო წლებში),

სადუნი (დიმიტრის მეფობის პირველ ნახევარში).

ხუტლუბუღა (ვახტანგის მეფობაში) — ყველა ესენი სამეფოთა საქმეთა გამგენი იყვნენ და მწიგნობართუხუცესებს ამათ დროს მეტად შეზღუდული სარბიელი ჰქონდათ... (³/₂₄, 242).

დიმიტრიმ „ეოიგო სიმდიდრე დიდად დიდი სიმდიდრეს

ყმადნაფიცს, ვასალს (ლეონტის და ჯუანშერის ცნობები ათასის-თავთა და ერისთავთა შესახებ XI ს-ის სინამდვილეა...)....

მონღოლთა დროს (თითქოს ირკვევა) მთავრები ლაშქარს გარ-კვეული რაოდენობით მეფისაგან დამოუკიდებლად გაიყვანდნენ ხოლმე მონღოლთა დაძახილზე... ასეთ პირობებშია შესაძლებელი ცალკე მთავრების განდგომა მეფისა თუ მონღოლების წინააღმდეგ (ზაქარია შანშას ძე, სარგის ჯაყელი, ბექა ჯაყელი, ბაყათარ...). ამასვე მოწმობს გამოთქმები, რომ ყაენმა სალაშქროდ მოუწოდა „მეფესა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა" (იდ. 774 და სხვ.). ასე რომ, მონღოლებმა ფრიად შეუწყვეს ხელი ქართველი მთავრების სოციალურ-პოლიტიკურ გაძლიერებას მეფის ხელისუფ-ლების დამცირების ხარჯზე... (2/12ა, 306).

მონღოლებს კარგად ესმით ფეოდალური ქვეყნის რაობა. მათ იციან, რომ ფეოდალური ქვეყანა ესაა სამთავროთა ჯამი, რომ თი-თოეული მთავარი ესაა რ ე ა ლ ო ბ ა არანაკლებ ანგარიშგასაწევი, ვიდრე თვით სახელმწიფო, რომ ამ სამთავროთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული ფეოდალური სახელმწიფო, რომ სამთავროთა ინტე-რესები განსაზღვრავენ ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ფიქციაა ამ სამთავროთა ინტე-რესების გარეშე. რომ ვისაც სურს ფეოდალურ ქვეყანაზე იბატონოს, მან უნდა შეიგნოს ცენტრალური ხელისუფლებისა და მთავ-რების ინტერესთა სხვაობა ან თანხმობა და ეს მომენტები სათანა-დოდ გამოიყენოს. მას უნდა ესმოდეს, რომ მთავრები არა მარტო მეფეს საჭიროებენ... მონღოლებმა კარგად შეიგნეს ეს და მოხერხე-ბულად სარგებლობენ როგორც ფეოდალთ ურთიერთ შორის ქიშ-პით, ისე ფეოდალთა და მეფეს შორის ბრძოლით... (2/29, 265).

როგორც „ძეგლი ერისთავთა" მოწმობს, ქართლის ერისთა-ვებს „ს უ რ ა მ ე ლ ი" ე წ ო დ ე ბ ო დ ა თ და უსაკუთარსახელოდ იხმარებოდა. ქამთაალმწერელიც ქართლის ერისთავს სურამელო-ბით იხსენიებს, მაგრამ საკუთარ სახელს ურთავს: გრიგოლ სურამე-ლი, ბეგა სურამელი და ა. შ. „ძეგლი ერისთავთა" კი მარტივად იხსენიებს ს უ რ ა მ ე ლ ს და ეს იგივეა, რაც „ქართლის ერისთავი". სურამელობა, რა თქმა უნდა, იმავე პრინციპიდან წარმოდგება, რაც ბედიანი, ახალციხელი, ჯაყელი და სხვა და აღნიშნავს, რომ ამ

დროის ქართლის ერისთავის სახლის მთავარი ადგილსამყოფელი სურამის ციხე და ქალაქი იყო (²/₁₄, 504).

საინტერესოა, რატომ მოხდა, რომ ქართლის ერისთავს, რაჭის ერისთავს, ისეთივე სახელები არ შეერქვათ, როგორც გურიელი, დადიანი, ბედიანი, თმოგველი, ფანასკერტელი, ციხისჯვარელი და სხვ. ან სპასალარი, ათაბაგი თუ სხვა. შეიძლება სურამელობა იყო ქართლის ერისთავობის აღსანიშნავად საკმაო.

ბოლოს და ბოლოს მთელ ამ მთავრებში სამს აღნიშნავენ ერისმთავრობით: ქართლის, რაჭის, ჰერეთის...

ამავე დროს ყველა ისინი („მთავრები") ხომ ერისთავთერისთავნი არიან (³/₁₄, 388).

XIII ს. 90-იანი წლები. დავით მეფე და ქართველი მთავრები თათრებთან ერთად საბერძნეთს ომობდნენ. ზოგი კიდეც მუღანს იყო. ამ დროს „იწყეს ოსთა ოჯრებად, ყოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა (და ქალაქი გორი წაიტყვენეს და თვსად დაიჭირეს). მაშინ შეცრბეს ქართლისა ერისთავის ბეგას ძესა ამადას წინა (ბეგას წინაშე, ძისა ამადასი V.) ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეებნეს. ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოაკუდინეს ოსიცა და ქართველიცა და დაწვეს გორი სრულიად და ვითარ მისჭირდა ოვსთა ციხიდამენ გარდმოუშვეს საბლითა კაცი და წარაველინეს მუხრანს მდგომსა თათართა თანა, რათა შეეწინენ". თათრები შუა ჩამოდგნენ „შველა ქნეს და ზავი" (მდ. 748). ამრიგად, გორი ოსებს დარჩათ, ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე. ასე რომ, ქართლის ერისთავის ხელთ არც მუხრანია და არც გორი. უნდა იყოს კი, მაგრამ ოსებს აქვთ... (³/₁₄, 446).

ოსები აბრკვევენ ქართლს და გორს იკავებენ. ქართველები გორს ალყას არტყამენ. გაჭირვებული ოსები მუხრანს მდგომ მონღოლებს შველას სთხოვენ. ისინი შუამავლად გამოდიან და ქართველებს ზავს აიძულებენ... რომ ეს ზავი ქართველთ არ აწმაყოფილებდა იქიდან ჩანს, რომ „მიერითგან შეექნა მტერობა შორის ქართველთა და ოსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემა... გიორგი განაძხნა და აღფხურა" (მდ. 749). ჩანს, მონღოლები ოსთა კოლონიზაციას მფარველობენ და ქართველებს არასასურველ ზავს აიძულებენ და მხოლოდ გიორგიმ, რომელსაც ურდოში ყოვ-

ლის შემძლე ჩობანი მფარველი ჰყავდა, ოსთა წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლება მიიღო და ქართლი გასწმინდა მათგან (³/₂₉, 267).

თათართა ხელის შეწყობით XIII საუკუნის 90-იან წლებში ქართლში ერთი ახალი სამთავრო შეიქმნა ოსებისა, ფარეჯან ოსის მთავრობით. გორი ამ ახალი სამთავროს ცენტრი გამხდარიყო. ქართლის ერისთავის სურამელის სახლი, გასაგებია, მტრობს ამ ახალ ერთეულს და ქართველთა (ქართველ მებატონე-მიწისმფლობელთა=აზნაურთა) ბრძოლას მოთავეობს. ბეგას შვილი რატი ებრძვის ოსებს (³/₁₄, 449).

ჯერ კიდევ ულუ ყაენის დროიდანვე იწყება ურდოში ისეთი მოვლენები, რომლებიც უცილობლად ამჟღავნებენ მის შინაგან სისუსტეს და დაშლა-დანაწილების ტენდენციებს. უფლისწულები თავიანთი საუფლისწულო ქვეყნებით ფაქტიურად დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენენ და ხშირად ურთიერთის მომტროს. განთქმული მწვიდობა იმპერიის შიგნით ფიქციაა. ესა თუ ის უფლისწული დაუსჯელად ძარცვავს და არბევს დამონებულ ქვეშევრდომთ. ყაენუფლისწულთა ქიშპს მოხერხებულად იყენებენ დამორჩილებული მეფე-მთავრები (დავითი,სარგისი...) და ცდილობენ ამ გზით მდგომარეობა შეიმსუბუქონ და რამდენადმე მიზანსაც აღწევენ (დავითი). უფლისწულთა ზრახვებს დიდი ნოინების ტენდენციებიც ზედ ერთვის: ესენი ათაბაგთა მსგავს ინსტიტუტს წარმოადგენენ (სიბდიგანი, სირმონა, არღუნ, იასიბულა, ნავროზ, ჩობანი)... მართალია, პირველ მათგანთა ბედი მწვავე იყო: ყველა ისინი დაიღუპნენ. მაგრამ ჩობანიდებმა მთელი დინასტია შექმნეს... ის სისტემა, რომ ესა თუ ის ნოინი თავისი ულუსით ამა თუ იმ ადგილს იდგა, ბუნებრივად ქმნიდა მასში განკერძოებისა და დამოუკიდებლობის სურვილებს. ხდებოდა მათი თანდათანი ასიმილაცია.... რა თქმა უნდა, დიდი იყო ჯერ კიდევ ცენტრის ძალა, მაგრამ... (²/₂₀, 266).

დავითი გამეფდა. კურთხევაზე „მოუწოდა სამცხით ბეჭასა და მან არა ინება მოსლვად რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო. თუთ არღარა წარვიდეს არცა ყანს წინა არცა მეფესა თანა. წარმოუელინა ძე თჳსი პირმშო სამცხის სპასალარი სარგის...“ (მდ. 749).

აქედან მხოლოდ ის ჩანს, რომ ხასი ბექა, მეფის მანდატურთ-უხუცესი, ვალდებული იყო დაესწროს მეფის კურთხევას. ამ საბუთით მოუწოდებს მას მეფე. ამიტომაც უგზავნის ბექა მას შვილს — სარგისს (წ. მდ. ფ. 76).

ქეითაღუ ყაენმა დავითს მეფობა მისცა. დავითმა კურთხევისას „მოუწოდა სამცხით ბექასა და მან არა ინება მოსვლად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო თჳთ არღარა წარვიდეს არცა ყანს წინა და არცა მეფესა თანა. წარმოუვლინა ძე თჳსი პირმშო სამცხის სპასალარი სარგის და ყოველი ნამარხევი, რომელი აქვნდა მეფისა დიმიტრისაგან შეეედრებული და სარტყელ იგი დიდისა ფასისა. მოვიდა სარგის და მოიღო ყოველივე დაუკლებლად მეფე დავითის წინაშე“ (მდ. 749). დავითი აკურთხეს მეფედ. „ამან დაიპყრა ყოველი სამეფო მამისა მისისა დიმიტრისა თჳნიერ ბექას სამცხის მპყრობელისა მთავრისა“ (მდ. 749—750).

ბექა აქ უკვე ნაბდვილი მთავარია, სამცხის მპყრობელი. ამ პოლიტიკურ მომენტს აღნიშნავს ავტორი ($^3/_{14}$, 447).

ყაზანი გაყაენდა. მისი მტერი თუქალი ბექა ჯაყელმა გასცა. თუქალის შვილი კი მეფე დავითმა გასცა. „მეფემან დავით მოსცა შვილი მისი და ყოველი სიმდიდრე, რომელი შეეედრა ოსთა მთავრისა ფარეჯანისა, რომელი იდვა ცოხესა ატენისასა“ (მდ. 752). გამოდის, რომ ოსთა მთავრის ფარეჯანის ხელთ ყოფილა გორიც და ატენიც (და მაშ ატენის ხეობაც). ეს ფარეჯან ოსთა მთავარი, მართალია, მსახურებდა კეთილად მეფესა დავითს (745,750), მაგრამ „აქუნდა მტერობა ქართველთა“ (იგულისხმება ქართლის აზნაურები ქართლის ერისთავის მეთაურობით). ამავე დროს ეს ფარეჯან მთავარი თათართა მფარველობის ქვეშ იყო... ქართლის ერისთავის საერისთავო გაწყვეტილ-დაგლეჯილია: მუხრანი, გორი, ატენი მის სახელოში არ შედიან ($^3/_{14}$, 451).

ქალაქი კარი სამეფო იყო. იქ ათაბაგად ივანე ახალციხელი იყო დანიშნული. შემდეგ ეს ქალაქი სადუნ ათაბაგმა იგდო ხელთ დიმიტრისაგან, ხოლო კარული ქვეყანა ახალციხელთაგან მოიეერაგა. სადუნის შემდეგ კარი და მისი მიმდგომი ისევ ჯაყელთ უგდიათ ხელთ (ხუტლუბუღამ კარიც დაკარგა, დმანისიც, ათაბაგის სახლიც). რა თქმა უნდა, ქვეყანა-ქალაქების ეს ხელიდან ხელში გადასვლა

ბოწმობს: 1. მეფის ხელისუფლების სისუსტეს. 2. მთავართ ყოვლის შემძლებლობას. 3. ქვეყნებით დაინტერესებას და მათ საბოლოო ფეოდალიზაციას. 4. ქალაქების ფეოდალიზაციას... (³/₂₉, 270).

დავით მეფის დაჯინებითი ორიენტაცია ჩრდილოეთის ურდოზე (ოთახა ყაენი ბათოს შვილიშვილი) მოწმობს საქართველოს ახლო ურთიერთობას ჩრდილოეთის ურდოსთან დ ა რ ი ა ლ ი ს გ ზ ი თ (ამ გზას ჰპირდება. სხვა გზა დავითის ხელში არცაა) (³/₂₉, 268).

ბექა ჯაყელიო... „ხ ა რ ა ჯ ა ს მისცემდა ყაზანსა და ლ ა შ ქ რ ი თ ა შეეწეოდა...“ (მდ. 758).

რაღა თქმა უნდა, მის მორჩილებაზე მეფისადმი უკვე ლაპარაკი არ შეიძლება... ის ყაენის ყ მ ა ა. ა ს ე რ ო მ, მ ე ფ ი ს ყ მ ა ვ ე ლ ა რ ი ქ ნ ე ბ ო დ ა. მ ი თ უ ფ რ ო, როცა ყაენი და ნეფე იბრძოდნენ. ყმის მოვალეობა, პირველ ყოვლისა, ლაშქრობა იყო და ეს ბექას ყაენის ემართა... დავითის მიმართ შეიძლება ნომინალურად კიდეც ითვლებოდა ყმად... (³/₂₉, 269).

დავითი ყაზანს არ შეურიგდა. ყაზანმა ბექას გამოსთხოვა გიორგი დიმიტრის ძე, რომელიც აღეზარდა ბექას. „ე ს ე ბ ე ქ ა გ ა ნ დ ი დ ე ბ ე ლ ი ყ ო დ ა ა ქ ვ ნ დ ა ტ ა ს ი ს კ ა რ ი თ გ ა ნ ვ ი დ რ ე ს პ ე რ ა მ დ ე და ვიდრე ზღვამდე (სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისკევი), ხოლო ჭანეთი სრულად მოსცა ბერძენმა მეფემან კომნინოსმან კირ მიხაილ და ასული ბექასი ცოლად შეიყუანა. ამისთჳის აქვნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი და ამათ შინა (შორის V.) ქვეყანანი, ციხენი არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი და დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი ყოველნი მას აქვნდეს და ხარაჯას მისცემდა ყაზანსა და ლაშქრითა შეეწეოდა“ (მდ. 758). ტ ა ო ს რ უ ლ ა დ მ ა ნ ც არ ა ქ ვ ს. ა რ ც ჯ ა ვ ა ხ ე თ ი აქვს, — ისინი სამეფოდ რჩებიან... საინტერესოა კ ა რ ი. ის ხომ მეფის იყო. მეფისაგან სადუნმა იშოვნა, რომელმაც კარული ქვეყანა ახალციხელთაგან მოიცერაგა. ჩანს, 1282-1295 წლებში სადუნის შვილებს კარი დაუკარგავთ და ის ბექას უგდია ხელთ. შეიძლება იმ დროს, როცა ბექა გიორგის ზრდიდა... როცა გიორგი საუფლისწულო ტაოში იყო... (ამავე ხანებში სადუნის ძე მანგასარმა დმანისიც დაკარგა. ის დავითმა მიიღო...) (³/₁₄, 523).

დავითი განუდგა ყაზანს. ჩრდილოეთის ურდოს მოხმობა სურს.

მონღოლებმა სასტიკად ააოხრეს ქართლი. მეფეს მხარს უჭერენ სურამელი აჰმადა, ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი, ერ-კახნი (ბურთელი=ბურსელი ორბელიანი?). მონღოლებს უდგნენ გვერდში: ივანეს ძე შანშა, ოსნი გორს მსხდომარენი, მესხნი ლაშქარნი, თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი. თათრებსავე მოემხრო შალვა ქვენიფნეველი (ქსნის ერისთავი), რომელიც ასე განდიდებული იყო დავით მეფის მიერ...

ფეოდალური სახელმწიფო მონღოლთ ხელში...

რა თქმა უნდა, ეს ყოველი მონღოლთა გავლენით არ აიხსნება... თვით ეს დაყოფა მეფისა და მონღოლთ მომხრეებად გამოძახილია შინაგანი ფეოდალური ქიშპისა დაცემის გზაზე დამდგარი ოდესღაც ცენტრალისტური სახელმწიფოსი. სრულიად აღარაა ჰქ მოსატანი მონღოლთ უძლეველობა და შიში ქვეყნის მოოხრებისა. განა ისინი, ვინც მეფეს მიემხრნენ, უქვეყნო იყვნენ... და არც თუ ისე ძლიერი არიან ახლა მონღოლები: ერთიმეორის ბტრობა (ფეოდალიზაციის ნიშანი) მაინც ასუსტებს. მაგრამ თუ მონღოლები დასუსტდნენ, კიდევ უფრო დასუსტდნენ და დაშლის გზას დაადგნენ საქართველო და სხვა ქვეყნები. გიორგი ბრწყინვალე—ძლიერი ცდა იყო ცენტრალისტური საქართველოს წარმოდგომისა... მისი პოლიტიკა მთავართ მიმართ... (3/29, 271).

საინტერესო გარემოებაა ფეოდალური ქვეყნ-ს პოლიტიკური წყობის გასაგებად: მეფე თითქმის მარტოა, ორიოდ ერთგული შერჩენია. თუმცა სხვები, რომელნიც მონღოლებს უდგანან გვერდში და მეფეს ეომებიან, არც ისინი არიან ო რ გ უ ლ ნ ი. ორგულად მემატიანე მხოლოდ შალვა ქვენიფნეველს იხსენიებს... დიდებულთ უმრავლესობა მონღოლთ მხარეზეა მეფის წინააღმდეგ. ამავე დროს ამ მეფეს მონღოლები ანგარიშს უწევენ და სურთ შემოირიგონ. ეს, უეჭველია, მარტო იმ გარემოებით არ აიხსნება, რომ დავითის ხელშია დარიალის კარები, საიდანაც ოქროს ურდოს ეპატიჟება. — ამისგან დამოუკიდებლადაც მეფე ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა და აუცილებელია სწორედ იმ დიდებულთა წარმოდგენით, რომელნიც მონღოლებს უდგანან გვერდში თავისი მეფის წინააღმდეგ (უკეთ კი, არა მეფის წინააღმდეგ, არამედ თავისი ქვეყნის დასაცავად). სხვა საქმეა მეფის პერსონა. ეს სულ ერთია, ვინ იქნება, ოღონდ კი სამეფო გვარისა (ბაგრატიონი) იყოს. და არა მარტო დიდებულთ გაგებით

(ფეოდალური გაგებით), მონღოლთ გაგებითაც ის აუცილებელია... უმეფოდ მოიშლება ხარჯი და ლაშქრობა...

როცა დიდებულები ვახტანგს მიუვიდნენ, ამით დავითის ორგულობა კი აღარ გამოუჩენიათ, აქაც „ქვეყნის დაცვის“ საქმე იყო... (3/29, 273).

მეფე ვახტანგის აღმზრდელი იყო ვინმე ფარსმანიშვილი, მაგრამ ათაბაგი იყო ხუტლუბუღა. ასე რომ, მონღოლთა პირობებში მეფის აღზრდა აღმზრდელის ათაბაგობასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

სამეფოდ გამზადებულ ვახტანგს თბილისში შემოეყარნენ ქართველი დიდებულები და „სამცხის ბატონის ბექას შვილი სარგის სპასალარი“ (მდ. 763).

ეს ცნობა ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ენჩუ საბოლოოდ ჩამოცილებას არ გულისხმობდა. ის მხოლოდ მონღოლური გადასახადისა და მონღოლთათვის ლაშქრობის საქმეს გამოჰყოფდა საერთო სახელმწიფო წესიდან და პრივილეგიას ანიჭებდა „ენჩუს“, ხოლო დანარჩენში ენჩუ (ე. ი. სახელმწიფოს საშინაო საქმეებში) ისევ ძველ მდგომარეობაში რჩებოდა. მაგრამ რადგან ლაშქრობანი ამ დროს მხოლოდ მონღოლთა ხელმძღვანელობით და მათთვის ხდებოდა, ამიტომ „პატრონს“ (მეფეს) არა ჰქონდა შემთხვევა „ყმა“ ეახლა ან ლაშქრად გაეწვია. ამას იქით კი ყმის და პატრონის ურთიერთობა ფრიად მცირე იყო... ყმა (ამიერიდან ენჩუ) მისგან დამოკიდებულად რაცხდა თავს და თავის სამფლობელოსაც იმისგან მიღებულად თვლიდა, ვისთვისაც ვალდებული იყო ულაშქრა[1].

ასე რომ ძველი პატრონი ზედმეტი ჩანდა და ასეც იყო. რჩებოდა გარეგანი ნიშნები, რომლებსაც რეალური საფუძველი აღარ გააჩნდათ (3/29, 274).

მეფის ძმა ვახტანგ ძმასთან იყო და განდგომას არ აპირებდა. მაგრამ შეირთო შაბურის ძის ასული „და ვერღარა თავს

1 აქ ავტორს მიწერილი აქვს: „შეად. ორბელების ჩემი წერილი“ (იხ. ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966).

ი დ ვ ა უ პ ა ტ ი ო დ ყ ო ფ ა და წარვიდა ურდოსა ყაზანის თანა, ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა"... (მდ. 763).

უფლისწულის ქცევაში უეჭველია დიდი ფეოდალის შაბურის ძის დამოყვრებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ტყუილად კი არ უკავშირებს მას მემატიანე... (³/₂₉, 272).

ქართლში თესვის შემცირებისა და მოუსავლიანობის გამო შიმშილობა ჩამოვარდა. პური ს ა ს ყ ი დ ლ ა დ არ იპოვებოდა არცა დ ი დ ი ფ ა ს ი თ ა ო. ქართლელები სამცხეს მიაწყდნენ, სადაც პური ი პ ო ვ ე ბ ო დ ა ს ა ს ყ ი დ ლ ა დ. მთავრის ცოლი ვახახი დიდ მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა ს იქმოდა (მდ. 765—766).

ცხადია, პური ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა გ ა ნ ი ა... ის ჩვეულებრივ გასასყიდი ყოველთვისაა (განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გასასყიდი არ იშოვებოდაო, ძვირფასადაც კი). ზოგჯერ მისი ფასი მაღალია, როცა ის ნაკლებია (მაშ სპეკულაციის საგანი შეიძლება იყოს). მთავარს, ვახახის ქმარს, პ უ რ ი ს ა წ ყ ო ბ ი ა ქ ვ ს და ვახახიც ამით ქველმოქმედებს... და ყველა ეს გასაგებია და მოსალოდნელი. მეურნეობის დიფერენციაცია—მეღვინეობა, მეხილეობა, მეხორბლეობა, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხვარეობა-მეჯოგეობა, ქალაქების განვითარება და მოქალაქეთა გაჩენა, ხელოსნობა-ვაჭრობა, ვაჭრები, — ყველა ეს შ ი ნ ა გ ა ნ ი ბ ა ზ რ ი ს არსებობას გულისხმობს. კერძოდ, XII—XIII სს-ში (და უფრო ადრიდანაც) ქართლ-კახეთში მეტად განვითარებული ჩანს მევენახეობა. ამას, უეჭველია, მხოლოდ საშინაო მნიშვნელობა არა აქვს. უეჭველია, ამ ნიადაგზე ხდებოდა პურის ფართობის შემცირება. ის ნაკლებ მომგებიანი იყო.... პური უეჭველად გასასყიდ საქონელს წარმოადგენდა... (³/₂₉, 275).

ხუთ წელს განუწყვეტელ ომიანობას, ქვეყანაში მონღოლთ ჯარების თარეშს, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა შ ი მ შ ი ლ ი. ომიანობამ ნათესის ფართობი შეამცირა და საერთოდ მეურნეობა დასცა (არა იყო თესვა და არცა შენებულება ყოველადვე). ამას მოუსავლიანობაც დაერთო და ქვეყანა საშინელ გასაჭირში ჩავარდა, პურის საკითხი მეტად მწვავე საკითხი იყო საშუალო საუკუნეებში. ტრანზიტის განუვითარებლობა არ იძლეოდა საშუალებას პურის შორიდან მოტანისას. ქვეყანა უმთავრესად თავისი პურით გადიოდა ილას. ღ ვ ი ნ ო, თ ე ბ ზ ი, ო თ ხ ფ ე ხ ი გ ა ჰ ქ ო ნ დ ა თ და შ ე მ ო ჰ ქ ო ნ დ ა თ. პურიც ამიერკავკასიის ფარგლებში მიმოჰ-

ქონდათ, მაგრამ უფრო შორიდან კი საეჭვოა. სამხრეთ რუსეთი, უკრაინა, წინა კავკასია მონღოლებს ეჭირათ, რომელნიც არც თუ დიდად სწყალობდნენ პურის მოყვანას... ასეთ პირობებში მოუსავლიანი წელიწადი სწორედ ღვთის რისხვა იყო ფეოდალური საქართველოსთვის. აღწერიდან თითქოს საფიქრებელია, რომ პური ჩვეულებრივი ვაჭრობის საგანს შეადგენდა XIII ს-ში. ტრანზიტის უვარგისობით აიხსნება, რომ ქართლი დამშეული დაიძრა და სამცხეს მიაშურა, სადაც ის გ ა ს ა ს ყ ი დ ი მოიპოვებოდა... (3/29, 276).

XIV ს. დასაწყისი. თურქები აზატ-მოსეს მეთაურობით ტაოს შემოესიენენ. „მ ა შ ი ნ ე რ ი ს თ ა ვ ი ტ ა ო ს ა თ ა ყ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი უღონო იყო სიმცრისათვს ლაშქრისა გარნა ეგრეცა მცირე წყობა ყო ც ი ხ ი ს ა თ ო რ თ ო მ ი ს თ ა ვ ს ა (ძირსა v.). დიდად ავნო, გარნა სიდიდისათვს თურქთასა ქვეყანით მისით ვერ განაჯსა...“ (მდ. 767).

თაყა ერისთავის „ქ ვ ე ყ ა ნ ა“ ტაოა. თორთომის ციხე მის ხელთ არის... უეჭველია, ეს არის სამეფო ტაო. ამ ქვეყნის დანარჩენი ნაწილი ბექას ხელთაა (3/14, 453).

საინტერესო კაზუსია აზატ-მოსეს შემოსევა. აქ ქართველები მონღოლთაგან დამოუკიდებლად საკუთარი თავისთვის იბრძვიან.

ბექა ჯაყელი ქვეყნის უზენაესი პატრონის როლში გამოდის, მაგრამ გრძნობს, რომ აქ მისი უფროსი მეფე უნდა იყოს და მისი სიტყვაც ამას ამჟღავნებს. მეფის შესუსტებაზე ლაპარაკი რა საჭირო იყო, ან კიდევ ქართველ დიდებულთა განდგომაზე, თუ ბექა იურიდიულად (ე. ი. ფეოდალების შეხედულებით) დამოუკიდებელი იყო. აზატ-მოსე აკი მხოლოდ ტაოს, ე. ი. მის საგამგეოს შემოესია... ცხადია, ბექა სცნობს, რომ აქ მეფის სახელი უნდა ისმოდეს და ის—ბექა მხოლოდ მისი ხელქვეშეთი უნდა იყოს. ამიტომ ასაბუთებს თავის ქცევას მეფის შესუსტებით...

ბექამ კარგად იცის ის ორი მთავარი მიზეზი, რამაც საქართველო აგრე დაასუსტა: მონღოლთ მძლავრება და საქართველოს თავთა და პირთა განდგომა. და თვითონ ერთი ყველაზე დიდი განდგომილი იყო, ამავე დროს ბრძენი და, თავისი დროის მიხედვით, ღირსეული მოქალაქე. ჩანს, ეს გ ა ნ დ გ ო მ ა ცოდვა რაიმე და ღალატი არ იყო... (3/29, 277).

აზატ-მოსე ტაოს შემოესია. „ეითარ ცნა ბექამან მოსვლა თურქთა მოუწოდა ყოველთა მ ი ს ქ ვ ე შ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ თ ა ტასის-კარითგან ვიდრე ბასიანამდე მ ე ს ხ თ ა, შ ა ვ შ თ ა, კ ლ ა რ ჯ თ ა, ქ ო ლ ა ა რ ტ ა ნ კ ა რ ნ ი ფ ო რ ე ლ თ ა და უმრალესთა ტ ა ო ე ლ თ ა რამეთუ ამას აჭვნდა ქვეყანა ესე ამათ თანა თ მ ო გ ვ ე ლ თ ა და თ ო რ ე ლ თ ა და შეკრბა სიმრავლე ე რ თ ი ბ ე ვ რ ი და ო რ ი ა თ ა ს ი (v. abost: და თორელთა)“ (მდ. 769).

მემატიანემ კარგად იცის, რომ ეს ქვეყნები ბექას მამული კი არაა, არამედ მის ქვეშ დაწესებულია, ანუ საგამგეო ქვეყანა სხვის (მეფის ურდოს) მიერ მიცემული.

ქალაქების დამცრობა-გაქრობასათან დაკავშირებით ეცემა მათ მფლობელ დიდგვარიანთა მნიშვნელობა. ძლიერდება ერთი რომელიმე (ახალციხელი) სხვადასხვა გარემოებათა წყალობით... დამცირდა თ მ ო გ ვ ი, თ ო რ ი. თორელები ქართლის მამულს შეეხიზნენ — თორმა და ჯავახეთმა საგამგეო დაკარგეს. თმოგვსაც და ჯავახეთსაც ჯაყელნი დაეპატრონენ. თმოგვიცა და ახალქალაქიც დამცირდნენ და დაკნინდნენ XIII საუკუნეშივე. იმავე მიზეზით, რითაც ისინი გავერანდნენ. ახალციხე კი, როგორც ენჩუ, აყვავდა. თმოგველ-თორელები (ახალქალაქის ერისთავნი) დამცირდნენ და ჯაყელთ გავლენის და შემდეგ მათი პატრონობის ხელქვეშ მოექცნენ. ახალქალაქი საუფლისწულო იყო და ის ხელში ჩაიგდეს ჯაყელებმა, როგორც ათაბაგებმა (ბექამ) (3/29, 278).

საერთოდ დიდებულთა, წარჩინებულთა, მკვიდრთა თუ თავადთა ერთობლივი მოქმედება უეჭველად გულისხმობს ორგანიზაციას, სადაც ისინი ერთიანდებიან. შეიძლება ასეთი ორგანიზაცია დიდი არ იყოს, არც მუდმივი იყოს, მაგრამ რომ უნდა იყოს, ეს უდავოა. ასეთი ორგანიზაციის სახეც კი გვაქვს ჩვენ XIII საუკუნეში: მესხეთის დიდებულთ კრება ბექა ჯაყელის თავმჯდომარეობით და კოხტასთავს მთელი საქართველოს დიდებულთა კრება. ქართველთა პასუხი მონღოლებისადმი უდავოდ ამტკიცებს, რომ ასეთი კრებების გამართვის ჩვეულება ჰქონიათ ამ მთავრებს... ესაა დარბაზი (3/29, 236).

XIV ს. დასაწყისი. ბექა ჯაყელი აზატ-მოსეს თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობს სპერსა და ტაოს. აღიჭურა მ ა ნ დ ა ტ ურ თ ხ უ ც ე ს ი ბექა და ყოველი სპა მისი და მიმართეს თურქთაკენ.

ივანე შანშას ძე იყო მანდატურთუხუცესი. როდის და ვისგან მიიღო ბექამ ეს ხელი? არაა საფიქრებელი, რომ ის მან დავით აჯანყებულისაგან მიიღო. ბექა მის დალოცვასაც კი არ დასწრებია. არც ვახტანგისაგანაა... შეიძლება ისევ დიმიტრისაგან, რომლის სიმამრიც იყო. ხოლო დიმიტრი ხშირად იყო გაძლიერებული ყაენისგან... თუ არა და გიორგისაგან? როცა ის, ჯერ კიდევ ყრმა, მეფე ყვეს?? (³/₁₄, 454).

ბექამ ყაზანს „მ ი ს ც ა... ლ ა შ ქ ა რ ი მ ი ს ი რ ჩ ე უ ლ ი რ ო მ ე ლ ი ხ ვ ნ ი თ ა (უნდა: დ ი ვ ნ ი თ ა) ხ ვ დ ე ბ ო დ ა“ (მდ. 772).

აქედან ცხადია: მონღოლთა დივანში არსებობს დავთრები, რომლებშიაც შეტანილია ესა თუ ის ქვეყნები მათი სამხედრო მოვალეობათა აღნუსხვით—თუ რამდენი მოლაშქრე უნდა გაეყვანათ.

ბექას (მესხეთის) ულუსიანობაც აქედან ჩანს: ის არ შედის საერთო ვალდებულებათა სიაში, რომელსაც საქართველო ეწევა მონღოლთათვის, არამედ უშუალოდ და დამოუკიდებელ ერთეულადაა წარმოდგენილი მონღოლთა დივანში. უნდა ვიფიქროთ, ბექას დროში მეფის დროშის (საქართველოს) ქვეშ არ იყო მონღოლთ ლაშქარში, არამედ ცალკე... (ეს აშკარად ჩანს იმავე შენიშვნის ქვემო ადგილიდან: ეგვიპტეს ლაშქრობაში საქართველოს ლაშქარი ვახტანგს ახლავს, ხოლო ბექას ლაშქარი კი სიმუჩის, ხუტლუბუღას შვილს). (³/₂₉, 280).

ყაზან ყაენი ეს იყო ძლიერი პიროვნების საქმიანობის გავლენის ცდა ისტორიულ პროცესზე. მრავალმხრივი გონიერი სახელმწიფო ზომებით მან სცადა მონღოლთ იმპერიის იმ ნაწილის განმტკიცება, რომელიც ასე სწრაფად და შეუჩერებლად მიდიოდა კატასტროფისაკენ. მისი ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი თუ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო რეფორმები და სხვა ადმინისტრაციული ზომები მიზნად ისახავდნენ რეგრესის შეჩერებას, მისი ზომები ამ მხრით, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი იყო და მისაბაძი უნდა ყოფილიყო (და გახდა კიდეც მისაბაძი გიორგი ბრწყინვალისა და ბექასათვის...). მაგრამ არის მოვლენები, სადაც ასეთი ზომები აღარ სჭრის. მოვლენები, რომელთა საფუძვლები მეტად ღრმა და ისეთი ხასიათისაა, რომელთა მკურნალობა ადამიანის თუ საზოგადოების შესაძლებლობების გარეშეა. სანამ მონღოლები მეურნეობის იმ წესს ადგნენ, სანამ ისინი მხოლოდ მეომარნი იყვნენ, სანამ მთელი კულტურული წინა აზია აუ-

რაცხელი ურდოებისა და ლაშქრობათა სარბიელ-სახრავად იყო ქცეული, სანამ მონღოლთა ცენტრალისტური იმპერიის აუტანელი გადასახადები და მოვალეობანი (ბეგარა, ლაშქრობანი, ბამი) საშინელ ტვირთად აწვა მწარმოებელ კლასს, — მანამდის ფინანსური, სასამართლო, ადმინისტრაციული გაუმჯობესებანი — ეს იყო მხოლოდ პალიატივი სახელმწიფოს გაჯანსაღების საკითხში.. (³/₂₉, 281).

ბექას „უმარჯვებდა ღმერთი და მოსცა ყაინმან ყაზან კ ა რ ი დ ა მ ი მ დ გ ო მ ი მ ი ს ი ქ ვ ე ყ ა ნ ა“ (მდ. 773).

კარი აკი საუფლისწულო იყო, ხოლო მისი მიმდგომი ქვეყანა ჯაყელის (ივანე ციხისჯვარელის) შემოერთებული იყო, როცა იგი ბონაპირედ იქნა დანიშნული თამარისა და ლაშას მიერ... შემდეგ კარი და მისი მიმდგომი ქვეყანა, საფიქრებელია, საცილობელი იყო ათაბაგებსა და ჯაყელთ შორის. ჯაყელნი მას ეპატრონებოდნენ როგორც ფეოდალები (მათ მიერ „ნასისხლი“...), ხოლო ათაბაგები კი როგორც საუფლისწულოს... სადუნ მანკაბერდელმა კარი მეფეს გამოსთხოვა, ხოლო კარული ქვეყანა ჯაყელთაგან მოიევრაგა. ჩანს, სადუნის უწინარეს კარისა და კარული ქვეყნის ფლობა გაორებული ყოფილა. კარი მეფის ხელში ყოფილა (საუფლისწულო), ხოლო კარული ქვეყანა ჯაყელთ ხელში დარჩენილა (მათ მიერ შემოერთებული...). ასეთი გამიჯვნა უნდა მომხდარიყო პაპა სარგისის გაულუსიანებისას. სადუნის შემდეგ კარი ისევ დიმიტრის უნდა ჰქონოდა, ხოლო დავით-ვახტანგის დროს ის ყაენის ხელში უნდა ყოფილიყო (ამ დროს ყაენები სულ უფრო და უფრო ერევიან საქართველოს სასაზინაო საქმეებში და მით უფრო, რაც საქართველოს შიგნით ფეოდალურ-დინასტიური არეულობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება). ახლა ბექა ორმეფობის ყამს ხელში იგდებს კარს, შეიძლება როგორც მომავალი ა თ ა ბ ა გ ი, გიორგის აღმზრდელი და, ამავე საბუთით ჯ ა ვ ა ხ ე თ ს ა ც??? (³/₂₉, 279).

ჯაყელები გამთავრდნენ. ბუნებრივია, უკმაყოფილო იქნებიან მათზე არანაკლები გვარის ძველი სახლები (ნახე სია მესხეთის თავადებისა!!). ჯაყელებს დიდი ბრძოლები უნდა გადაეტანათ, ვიდრე ის დიდგვარიანები მათ მთავრობას შეურიგდებოდნენ... ამ ბრძოლის ნაკვალევია ამ სახლის შვილების გადმოსვლა საქართველოს სხვა ნაწილებში (ფანასკერტელები, თმოგველები...). ჯაყელებმა ხელთ იგდეს ძველ დიდგვარიანთა სახლები (ტერიტორიები, ციხე-ქალაქები, მონასტრები) და ჯაყელ უფლისწულებს დაურიგეს (აბუ-

მოწმობს როგორც ზოგადი მოსაზრებები (ფეოდალური რეაქციის გამარჯვება. სავაჭრო კაპიტალის ინტერესთა გამოხატულების ბიუროკრატიული ცენტრალიზმის დამარცხება), ისე სხვა ცნობებიც (გიორგი III, უცხო ლაშქრობის მიზეზები, ლაშქრობანი თამარის დროს დავლისათვის, ისტორიკოსის უდიდესი ყურადღების საგანი დაელაა): 2. მ ე ფ ე (ყველაზე ძლიერი და მდიდარი ფეოდალი). სარგებლობს წერილი ერის დავალიანებით და ყმებს იმრავლებს.. დამარცხებული როგორც მონარჭი, ის ცდილობს გაძლიერდეს როგორც ფეოდალი... ($^3/_{29}$, 112—113).

დიდვაჭრის მიელენა თამარის საქმროს მოსაყვანად ნიშნავს, თუ როგორი ცხოველი ურთიერთობა იყო ჩრდილოეთსა და საქართველოს შორის. ამასვე მოწმობს თვით საქმროს ამორჩევაც. ეს ხომ უაღრესად პოლიტიკური ნაბიჯი იყო... ჰუნეთა ცვალება მიგვითითებს, თუ როგორ განვითარებული იყო სატრანსპორტო საშუალებით. ასე რომ, ამ საქმეს ტყუილად მიაწერენ მონღოლებს.

საფოსტო სადგურები, მონღოლების ხელში იამებად ქცეული, ახლო სოფლების გამჩანაგებელ დაწესებულებად იქცა მაშინ, როცა მათ დრომდის ეს პუნქტები პირიქით ახლო-მახლო სოფლების მიმზიდველი სავაჭრო პუნქტები იყო... ($^3/_{29}$, 122).

თამარის ისტორიკოსის მიერ მისი საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად ნახმარი შედარება დავითის პოლიტიკასთან გვაფიქრებინებს, რომ იყვნენ ა მ დ რ ო ს ს წ ო რ ე დ დ ა ვ ი თ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს მ ო მ ხ რ ე ნ ი, რომელთაც არ მოსწონდათ ეს სამეფოების აღდგენა-გამრავლების პოლიტიკა. ისტორიკოსი ამართლებს თამარს (თუმცა არა ჩანს, რომ თვით დიდი მომხრე იყოს ასეთი პოლიტიკისა...[3]) ($^3/_{79}$, 125).

როდესაც „მონა მოხარკე" იყო, მაშინ ყმა მოხარკე აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მაშინ, ბუნებრივია, მონა და ყმა ერთმეორეს აერეოდა...

„მონა მოხარკე" ძველი დროის ტერმინია, ფეოდალურ ხანაში ცნების შინაარსი სხვაა: მონას ყმა ცელის, ხარკს—ძღუენი და უფალს — პატრონი. გამოდევნა რა „უფალი", „პატრონმა" მიითვი-

---

[3] ავტორის ხელით მიწერილია: სტუდენტის მოხსენების გამო.

სა ნაწილობრივ მისი შინაარსი და პირველყოველისა იქ, სადაც საამისო საზოგადოებრივი ურთიერთობა თუ მთლად არა, მეტწილად შერჩა. ეს იყო გლეხისა და უფლის ურთიერთობა. უფლის მაგივრად აქაც პატრონი გვაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის სხვა შინაარსის პატრონია, ვიდრე რომელიმე დიდებულის პატრონი. აქ გლეხთან ურთიერთობაში ხაზგასმულია ამ ცნების მეორე მხარე — არა მფარველი, როგორც ის იგულისხმება ყმის მიმართ, არამედ მესაკუთრე, უფალი, ბატონი, როგორც ეს შემდეგ განასხვავა ენამ... (³/₂₉, 129).

დარბაზი დიდის საბუთიანობით უმტკიცებს თამარს, რომ ღვთის განგებით მოხდა, რომ მან ამოდენა მსურველ ხელმწიფის შვილებიდან ქმარი ვერ შეირთო. მართლაც მეტად გაჭირდა საქმე, ქრთამიც ამოქმედებულა. კათალიკოსი და სხვანიც „მამონას“ დაუმორჩილებია... ვერ შეარჩიეს. ჩანს, ბრძოლა აქვთ დიდგვარიანთ, დიდებულთ, ვაზირთ და ერისთავთ ამ საკითხშიაც. ვინ საითკენ ეწევა, ვინ საითკენ. სკვითური საქმე დამარცხდა. ბერძნულიც არ გამოვიდა: ანდრონიკემ მოაკვლევინა მოყმე პოლიკარპე... ბოლოს, როგორც ჩანს, დავითის დასმა გაიმარჯვა (კათალიკოსი არ ჩანს — მას შარვანშა უნდოდა). მაგრამ, თანხმობა რომ ყველასი არ ყოფილა — ეს გიორგი რუსის აჯანყებიდან ჩანს... (³/₂₉, 131).

თამარს შარვანშა „მონებდეს და მსახურებდეს იგი მონებითა უ ნ ე ბ რ ი ვ ი თ ა“ (მდ. 420).

ყ მ ე ბ რ ი ვ ი მ ო ნ ე ბ ა და მ ს ა ხ ურ ე ბ ა ეს არის ყმის მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა და ს ა მ ს ა ხ ურ ი (³/₂₃, 482).

„ამის შემდგომად“... მეფემ ილაშქრა გელაქუნის მხარეს... „რომელი მას შინა დაეპირნეს ყიზილარსლან ათაბაგსა“... ბრძოლაში „უსწრობდა ბერი ყ მ ა ს ა და ყ მ ა ბ ე რ ს ა, პ ა ტ რ ო ნ ი ყ მ ა ს ა და ყ მ ა პ ა ტ რ ო ნ ს ა“... (მდ. 421) და გაიმარჯვეს.

ყმა=ახალგაზრდა ყმა=vanus, ვასალი.

„შემდგომ ამისსა წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა... ილაშქრეს განძას ქუემო ბალაყუნამდის. შემდგომად ზემო კერძო რახსისა პირი ნასისამდე“... აქ თავი ისახელეს: „ვ ა რ დ ა ნ დ ა დ ი ა ნ მ ა ნ მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს მ ა ნ, ო თ ხ თ ა ვ ე მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ თ ა და სხუათა დ ი დ ე ბ უ ლ თ ა და ა ზ ნ ა ურ თ ა დიდი დაპირებული ომი გარდაიჯადეს და გააქციენეს...“ (მდ. 421—422).

მიმართ „დაყავი და იბატონეს“ პრინციპი, უკიდურესობამდის დაყვანილი, თავის უარყოფით შედეგებს მონღოლებსაც არ აკლებდა: ურთიერთ შორის ბრძოლა, მწარმოებელი კლასის განიავება, ქალაქების დაცემა, ხალხის შემცირება შეუძლებელს ხდიდა ლაშქრის გამოყვანას, ხარკის მიღებას. ადგილობრივი აპარატი (მთელი ქვეყნისათვის გამოსადეგი) მოიშალა, მონღოლებს სამაგიერო არ გააჩნდათ... ქვეყნის გაერთიანება აუცილებელი ჩანდა (³/₂₉, 285).

იმას გარდა, რომ მონღოლები თვით არ იყვნენ მწარმოებელნი, ინტენსიური კულტურის მიმდევარნი, არამედ იყვნენ პარაზიტები, მფლანგველები და ამით უზომოდ ადიდებდნენ ისედაც რიცხვმრავალ მფლობელთა კლასს, მონღოლები ისეთ მეურნეობას ეწეოდნენ, რომელიც ყოვლად მიუღებელი იყო ინტენსიური სასოფლო მეურნეობის მქონე კულტურული ქვეყნებისათვის. ურდო თავისი აუარაცხელი ცხენებით (ჯოგით) იპერდა ინტენსიური კულტურისათვის გამოსადეგ ადგილებს. მას ფრიად დიდი ტერიტორიები სჭირდებოდა, ინტენსიური კულტურის ფართობი ფრიად მცირდებოდა ამ ყოვლად ექსტენსიური კულტურის სასარგებლოდ, ნადგურდებოდა კულტურული მოსახლეობა (და ეს არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ ეს სურდათ მონღოლებს — არა, ეს მათ შეიძლება სრულიადაც არ სურდათ... არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო მეურნეობა, რომელიც, სამწუხაროდ, არ შეიცვალა). ურდოს მეურნეობა (ჯოგები) ავიწროებდა ადგილობრივ კულტურულ მესაქონლეობას (მეცხვარეობა, მესაქონლეობა), რაც წარმოების (ქსოვილების, ტყავის) შემცირებას იწვევდა (³/₂₉, 287).

მონღოლების ლოთობის გამო საქართველოს ყველა სხვა დაპყრობილ ქვეყნებზე მეტად უნდა მოეგო (³/₂₉, 175).

„მეკობრე და მბორგველ კაცს“ მონღოლები განუკითხავად ხოცავდნენ.

ორივე ეს სოციალური უკმაყოფილების გამომხატველი მოვლენა შეიძლება იყოს (და არის უმრავლეს შემთხვევაში). საინტერესოა, რომ მბორგველზე თამარის ისტორიკოსიც ლაპარაკობს, იქ, სადაც ახალგაზრდებზე აქვს საუბარი (³/₂₉, 182).

საბერძნეთის ლაშქრობისას ჯავახნი და თორელნი გიორგი მეფეს ახლავან. ეს იმას მოწმობს უდავოდ, რომ თორი და ჯავახეთი

ჯერ კიდევ ჯაყელთ არა აქვთ მიღებული, რომ საუფლისწულო ჯავახეთი ჯერ კიდევ თორელთ ხელშია, როგორც ახალქალაქის ერისთავებისა. მაშ ჯავახეთი ჯაყელებს შეეძლოთ მიეღოთ ვიორგისგან მხოლოდ.

თუ ეს ასეა, მაშინ ცნობა, თითქოს აზატ მოსესთან ომის დროს თორელები (ჯავახეთი) ჯაყელთ ხ ე ლ ქ ვ ე ი თ ნ ი იყვნენ, ქამთა-ალმწერლის ანაქრონიზმია (³/₂₉, 286).

იმ დროს, როცა აშენებული ძველი ქალაქები ერთიმეორეზე მიყოლებით ქრება, როცა ხალხის აღწერა მწარმოებელი მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას აჩვენებს, როცა დავთარხანები შემოსავლის (სახელმწიფო შემოსავლის) საშინელ დაცემას აჩვენებს, როცა ცხოვრების ნატურალიზაციის ნიადაგზე ფეოდალური დაშლის ტენდენციები აგრე ძლიერდება, როცა მთელი ქვეყანა გამუდმებულ აჯანყებათა ალშია გახვეული (დავით ნარინი და მისი შვილები: დავით დიმიტრის ძე, ბექა—ნახევრად გამდგარი, საბერძნეთის ქალაქები, რუმის თურქი ტომები, გილანი, ხორასანი, შამი...), როცა ილხანები იქამდის დასუსტებული არიან, რომ არა თუ ეგვიპტის სულთანი, რომელიც დიდი ხანია ამარცხებს მათ, არამედ გილანელნიც კი სასტიკად ამარცხებენ და გამდგარი ქართლის მეფეც კი ვერ დაიმორჩილეს, — ასეთ დროს უ ლ ჯ ა ი თ უ ს მ ი ე რ დ ი დ ი ქ ა ლ ა ქ ი ს ა გ ე ბ ა, ე ს ა რ ი ს მ ხ ო ლ ო დ უ რ დ ო ს ა დ გ ი ლ ი ს მ ო ნ ა ც ვ ლ ე ბ ა დ ა მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი... (³/₂₉, 291).

გიორგიმ ურდოში ყოველი საქართველო მიიღო. „ყ ო ვ ე ლ ნ ი მ თ ა ვ ა რ ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ნ ი და შ ვ ი ლ ნ ი დ ა ვ ი თ მ ე ფ ი ს ა ნ ი დ ა მ ე ს ხ ნ ი შ ვ ი ლ ნ ი ბ ე ქ ა ს ნ ი“... (მდ. 785).

ეს ამბავი მონღოლთ ინტერესებში შედიოდა. მათ კარგად გამოსცადეს, თუ რას ნიშნავდა დაშლილი ქვეყანა, რამდენად საზარალო იყო ეს მათი ფისკალური და სამხედრო ინტერესებისათვის. და საერთოდ, ყაზან ყაენიდან ემჩნევა, რომ მონღოლთ კარზე უფიქრდებიან დაპყრობილ ქვეყანათა შინაურ ყოფას, ფიქრობენ გამოაცოცხლონ გავერანების გზაზე დამდგარი ქვეყანა, დანაწევრებული ქვეყნები შეკრიბონ, წესი და სამართალი უჩინონ, ხარკის საქმე მოაგვარონ, ადმინისტრაციული აპარატი გაუმჯობესონ... ამ მხრით ყაზანი მარტო არ იყო. ჩანს, ასეთი აზრები ურდოში ტრიალებდა

საერთოდ, ყაზანის შემდგომ ხარბანდა ცდილობდა ყაზანის წესები დაეცვა. აბუსეიდის ზომები ცნობილია. ულჯაითუს დროს, როგორც ვიცით, ცდილობენ საქართველო გააერთიანონ, ჩობანიც ამ ტრადიციის მომხრეა. სხვა ამბავია, თუ რამდენად შორს წავიდოდნენ მონღოლები საქართველოს გაერთიანების და, მაშასადამე, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების საქმეში. გაერთიანება საერთო ინტერესში შედიოდა მონღოლთა და ქართველი მეფისა. მაგრამ მონღოლთ სრულიადაც არ სურდათ ძლიერი ცენტრალისტური საქართველო, რომელიც, უეჭველია, სეპარატისტულ ტენდენციებს გამოიჩენდა: მათ სურდათ მხოლოდ კარგი გადამხდელი და მოლაშქრე. ქართველი მეფის ინტერესები, რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო— მტკიცე გაერთიანება და მონღოლთა უღლის გადაგდება. გიორგი მეტად რთული მოვლენების წინაშე იდგა: მას უნდა აბსოლუტურად ვამებინა მონღოლთა ურდოსათვის, რომ მთავრებს ჩივილის საშუალება მოსპობოდათ და ამავე დროს მტკიცე ხელით უნდა გაეტარებინა ქვეყნის გაერთიანება. ეს ფრიად ძნელი საქმე იყო: მეფისათვის აშკარა იყო, რომ თუ ის ერისთავებს (=მთავრებს) ვერ შეცვლიდა, გაერთიანება მხოლოდ სიტყვით იქნებოდა. მაგრამ ერისთავების მემამულეობას უკვე თითქმის ასი წლის ისტორია ჰქონდა... გიორგის შეელოდა ორი გარემობა: ის იყო ჩობანის საყვარელი და აბუსეიდის ენაჩუც გახდა... (3/29, 289-290).

მანუჩეს მეჩეთის წარწერა ან უკეთ აბუს აიდის იერლაყი გამოცემულია 1319 წლის ახლოს, როცა ჩობანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. საქართველოს ენაჩუობა მისი და გიორგის კეთილმეგობრობის შედეგი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ გიორგი ებრძვის მონღოლთ და ომის შემწეობით ინარჩუნებს ჩობანის დროს მიღებულ პრივილეგიურ მდგომარეობას... (3/29, 288).

მანუჩეს წარწერა დადასტურებაა იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკის წყალობით საქართველო პრივილეგიურ მდგომარეობაში მოექცა. ასეთი აქტი კერძოდ საქართველოს მიმართ ახასიათებდა აბუსეიდს და არა საერთოდ. ეს ენაჩუდ გახდომა იყო მთელი საქართველოსი. ამიერიდან საქართველოს ცალკე პროვინციებს, რომელნიც ასე პრივილეგიურ ყოფაში იყვნენ (მესხეთი), აღარ ჰქონდა საფუძველი საქართველოდან განცალკევებული ყოფნისა. ამ ნიადაგზე ისევ მთლიანი საქართველოს პერს-

პექტივა იშლებოდა და გიორგიმ აკი შეაერთა ორივე ტახტი (აღარც დასავლეთ საქართველოს ჰქონდა საფუძველი სეპარაციისა — დასავლეთი საქართველო იმთავითვე მხოლოდ ნაწილობრივ მოჰყვა მონღოლთ მფლობელობაში). ამიტომ სარგის კაკაბაძის მოსაზრება თმოგველთაგან თმოგვის მიტოვების მიზეზების შესახებ უსაფუძვლოა. მესხეთი XIII საუკუნიდანვე ენჩუ იყო და კი არ იცლებოდა, არამედ ყვაოდა...

ინსტიტუტის სესხებისათვის საინტერესოა: ულუ დავითმა ურდოში მოითხოვა მასზე გაევრცელებინათ ურდული მემკვიდრეობის კანონი (ხარჭას ნაშობი — კანონიერი მემკვიდრე)... ეს კანონი საქართველოს სინამდვილეში არ იყო, არ შეეფერებოდა და ამიტომაც არც შემოღებულა....

ათაბაგობა, დედოფლის კარი, საუმეროსო, მრავალმეფობა (ურთის უფროსობით) — ყველა ესენი კი არ „შემოვიდა“, — „ისესხეს“. მაგრამ ის ფაქტი, თუ როდის „ისესხეს“ (არა მაშინ, როგორც კი გაიცნეს, არამედ მაშინ, როცა თვით ჩვენში მომწიფდა სათანადო პირობები), მოწმობს, რომ „სესხება“-ში მეტია ადგილობრივ გაჩენის, წარმოშობის მომენტი, ვიდრე მოტანისა (³/₂₉, 42).

გიორგი ბრწყინვალე ტახტის მიმტაცებელი იყო, ისევე როგორც ერეკლე. გიორგიმაც იგივე ხერხი იხმარა ქვეყნის გასათავისუფლებლად, როგორც ერეკლემ...

გიორგის მოქიშპეები საქართველოს სამეფო ტახტზე არ გადალეულან: ვახტანგის ძეები, დავითის ძეები, დავით ნარინის ძეები... (წ. ქც., ფ. 58).

ხალბეგმა (იაყუბის მხედართმთავარმა) ორბეთის ასაღებად საგანგებო ჯარი შექმნა:

„დაარჩიენს ათას ხუთასი ი ს პ ა ი კ ა ც ი და სხვა წ ვ რ ი ლ ი კ ა ც ი ლ ა შ ქ რ ი ს ა მრავალი...“ (მდ. 902).

მაშ ლაშქარი ორი ნაწილისაგან შედგება: ი ს პ ა ი (ს პ ა ნ ი) და „წვრილი კაცი ლაშქრისა“, ე. ი. წვრილი მოლაშქრე. ეს ი ს პ ა ი იყო, უეჭველია, ის „მძიმე მოლაშქრე“, გურულ ლეკს რომ შემოუნახავს (³/₅₃, 218).

„ოცი კაცი, სამარჯვდის ი ს პ ა ს ა თათართასა ჯრმლითა წინა დაუდგა“. ეს სამასი ‘ისპაი იყვნენ „რჩეულნი ჩ ა ღ ტ ა უ ლ ა დ დ ი დ ნ ი ლ ა შ ქ ა რ ნ ი“ (მდ. 903). თათრები დამარცხდნენ და „დიდისა ულუსისა ლაშქრისაგან ცოტანი ჩ ა ხ თ ა უ ლ ნ ი წავიდ-ნეს მაცნედ...“

ი ს პ ა ი საერთოდ თათართ ლაშქრის უმაღლეს ფენს ეწოდება. აქედან ნაწილი ჩ ა ღ ტ ა უ ლ ა დ რჩეულნი არიან (3/53, 215).

საძიებლები

პირთა

აბაზაძე 81
აბალა 237, 238
აბალა ნოინი 233, 234
აბალა ყაენი 241
აბრამ კათალიკოსი 245
აბუ ბექრი 177
აბულალ 71
აბულასანი 165
აბულასან ქართლის ამირა 164, 166
აბულეთი 90
აბულ სოვარის ძე 186
აბუსეიდი 263
ადარნასე 32, 33, 59, 112, 114
ადარნასე (ადარნესე) ადარნასიანი 44, 49
ადარნასე აშოტის მამა 114
ადარნასე ბაგრატიონი 49, 58
ადარნასე ბაკურის ძე 35
ადარნასე ერისთავი სამშვილდისა 32
ადარნასე მთავარი 36, 52
ადარნასე (ადარნერსე) ნერსეს ძე 110, 111
ადარნასე ძმელი მთავარი 65
ადარნერსე 113
ადარნერსე ნერსეს ძე 110
ადარნერსე გვარამის ძის შვილი 113
ადერკ ქართველთა მეფე 14
ავაგ 204, 212, 214, 219, 220, 223, 234, 245
ავაგ ათაბაგი 207, 212, 239, 245
აზატ-მოსე 255, 256, 262
აზო 14, 53
ალათემურ 232
ალექსანდრე კახთა მეფე 13
ალექსანდრე მაკედონელი 14, 21
ამადა ქართლის ერისთავის ძე 248
ამანელის ძე 151
ამირეჯიბი ბეშქენ 212
ამირეჯიბი ჭილა აბაზას ძე 252
ამირ მირანი 175, 176
ამირ შირან შამქორის და განძის პატრონი 126
ანანია დვინელი 135
ანდრია [მოციქული] 24
ანდრონიკე 160
ანდრონიკე კომნენი 129
ანკა (წარჩინებული მთავარი) 18
ანტიოქოზ 12, 13
ანტონი 198
ანტონი გლონისთავის ძე 149, 150, 170, 197, 198, 199
ანტონი მწიგნობართუხუცესი 197
ანტონი ნაოხრებლის ძე 241
ანტონი საღირის ძე 139, 140, 166, 177
ანტონი ქუთათელი 164, 168
აუღალან ბრძენი 14
არვანბეგ საბანის ძე 241
არიშიანი 244
არსლან იბნ ტოღრილი 145
არტაქსერქსე 182
არშუშა კურაპალატი 110
არჩილი 24, 29, 33, 38, 40, 42, 43, 44, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 56, 109, 112, 113, 114, 117
არღუნი 217, 218, 225, 228, 230, 242, 249
არღუნ ყაენი 245, 246

ასათ გრიგოლის ძე 153, 160
ასამ 108
აფრიდონ 144, 147, 164
აღბუღა 82
აღბუღა ათაბაგი 9
აღბუღა ეარამის ძე 212
აღსართან 85
აღსართან მეფე შარვანისა 129
აღსართან რანთა და კახთა მეფე 89
აღსართან შარვანშა 175, 185
აღსართან ძე გაგიკისი 86
აშოტ 12, 52, 59, 109, 111, 114, 116, 117, 118, 119, 120
აშოტ ადარნასეს ძე 58, 111, 112, 115
აშოტ ბაგრატიონი 112
აშოტ ბაგრატონიანი 58
აშოტ გვარამიანი 59, 115
აშოტ კურაპალატი 111, 114, 115, 116, 117, 119, 120, 121
აშოტ ქართლის მთავარი 57
ახრუჩი 260
აპმადა სურამელი 252
აპმად ყაენი 244

ბაგრატ 65, 70, 71, 76, 77, 79, 81, 82, 85, 86, 132, 164, 166
ბაგრატიონი 112, 113, 114, 115, 252
ბაგრატ კურაპალატი 61, 121
ბაგრატ IV 16, 68, 70, 75, 79, 80, 81, 83, 85, 87, 89, 106
ბაგრატ III 68, 70, 71, 72, 73, 74, 77, 78, 94, 106, 121, 139
ბაგრატ მეფე 69
ბაგრატ I 192
ბათო [ყაენი] 207
ბაკურ 32, 33, 37, 109, 112, 113
ბაკურ დაჩის ძე 109
ბაკურ ერისთავი 32
ბაკურ კახეთის ერისთავი 151, 153
ბაკურიან ძე ბალდადისი 110
ბაკურ მეფე 34
ბაკურ ყმა 154
ბალყუნი 130
ბარაზბოდ პიტიახში 30
ბარამ ვარდანის ძე 151, 152
ბარახა 237, 238
ბარტოლდი 206
ბარტომი 13
ბასილი 76
ბასილი ბერძენთა მეფე 75
ბასილი ეზოს მოძღვარი 161, 180, 183, 184, 194, 198
ბასილი კესარიელი 123
ბასილი უჯარმელი 184, 245
ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი 232, 233
ბაჭარ 29
ბაქრაძე დიმიტრი 9
ბაღვაში 53
ბაღვაშ-ორბელინები 133
ბაღვიეაშები 61, 83
ბაღუაში 164, 166
ბაყათარ 247, 259
ბეგა სურამელი 212, 247
ბეგა ქართლის ერისთავი 248
ბერქა 226, 232, 234
ბერძენიშვილი ნ. 5, 145, 149
ბერქა ყაენი 242
ბექა 156, 173, 186, 240, 241, 246, 249, 253, 255, 256, 257, 258, 260, 262
ბექა ათაბაგი 9
ბექა მანღატურთუხუცესი 250
ბექა ჯაყელი 237, 246, 247, 250, 251, 255, 256
ბეშქენ ქუელი ათაბაგის ძე 177
ბეშქენ ჯაყელი 78, 81
ბიბილური 53
ბოგვერაძე ა. 6
ბოკლი 9
ბოცო სამცხის სპასალარი 164, 166
ბოცო სპასალარი 164.
ბოცო ჯაყელი 152, 153, 154, 205
ბროსე მ. 173
ბურდუხან დედოფალი 136
ბურთელ-ბურსელ ორბელიანი 252
ბუღა ნოინი 246

ბაბრიელ დიდებული აზნაური 114
გაგელი 223
გაგიკ კახთა მეფე 83
გამრეკელ თორელი 151, 210, 212

გამრეკელი 173, 198, 208
გამრეკელ კახას ძე 183
გამრეკელ კახას ძე ჯავახიშვილი 260
გვანცა 219, 220, 233
გვარამ გორგასლიანი 60
გვარამი 35, 59, 112, 114
გვარამისძიანი 59
გვარამ კურაპალატი 112, 113, 114
გვარამ მამფალი 111
გიორგი 88, 101, 106, 124, 125, 127, 132, 154, 186, 257, 262, 263, 264
გიორგი ათონელი 77
გიორგი აფხაზთა მეფე 62, 63, 64, 65
გიორგი ბაგრატის ძე 82, 84
გიორგი ბრწყინვალე 246, 248, 257, 263, 264
გიორგი [დავითის ძე] 227
გიორგი დიმიტრის ძე 251
გიორგი ლაშა 202
გიორგი მთაწმინდელი 20
გიორგი II 65, 86, 87, 106, 135
გიორგი მერჩულე 12, 78, 115, 116, 117
გიორგი III 91, 126, 127, 129, 130, 131, 134, 135, 137, 138, 145, 156, 157, 159, 167, 176, 180, 187, 192, 197, 199
გიორგი მეფე 63, 88, 124, 126, 128, 133, 134, 136, 260, 172
გიორგი I 75, 76, 83
გიორგი რუსი 91, 152, 157, 160
[გიორგი] რუსი 161, 163, 165, 166, 168, 170, 174, 195, 199, 205
გიორგი უფლისწული 219, 251
გიორგი ჭყონდიდელი 90, 93
გლონოქორ 30, 31
გოდერძი ერისთავი 83
გორგასლიანები 59
გორგასლიონნი 60, 108, 109
გრიგოლ 32, 114
გრიგოლ ასათის ძე 133
გრიგოლ ბაკურის ძე 154
გრიგოლ ერისთავი ჰერეთისა 32
გრიგოლ მთავარი 60
გრიგოლ სურამელი 206, 212, 247
გრიგოლ ხანძთელი 114, 118, 192
გრიგოლ ჰერეთის ერისთავი 152
გუარამ 34, 108, 109
გუარამ ერისთავი 109, 110
გუარამ ერისთავი, კურაპალატი 112
გუარამ კურაპალატი 23, 34, 35, 37, 38, 39, 108, 110, 111
გუარამ ნერსეს ძე 110
გუარამ პატრიკიოზი 110
გუარამ ყრმაჲ 110
გუზანი 164, 173, 174, 199
გუზან აბულასანის ძე 164
გუზან კლარჯეთის და შავშეთის პატრონი 163, 166
გუზან ტაოსკარელი 138, 172
გუზონი 226
გუარამ გურატპალატი 44
გუარამ კურაპალატი 48, 108
გურანდუხტ 70
გურგენ 70
გურგენ ერისთავი 111
გურგენ ერისთავთა ერისთავი 62
გურგენ [კლარჯი ეელმწიფე] 121
გურკელ 212

დადიანი 170
დადიანი ცოტნე 207
დავითი 41, 60, 61, 71, 123, 131, 132, 160, 163, 197, 220, 227, 229, 244, 249, 252, 253, 257, 258, 259
დავით ავაგის ეჯიბი 207
დავით აღმაშენებელი 74, 90, 106, 139, 187, 195, 217
დავით [აღმაშენებელი] 85, 87, 88, 89, 91, 92, 93, 94, 97, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 126, 135, 137, 141, 150, 155, 159, 175, 191
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 87, 89, 90
დავით ბაგრატის ძე 60, 61
დავით გიორგის ძე 89
დავით დიმიტრის ძე 212, 246
დავით ივანე ახალციხელის შვილი 207
დავითის ისტორიკოსი 92, 99, 100, 102, 103, 104, 137
დავით კულაპარატი (sic) 70

დავით ლაშას ძე 212, 213, 227
დავით II 141, 187
დავით მეფე 164, 207, 248, 250, 251, 260
დავით ნარინი 204, 262
დავით რუსუდანის ძე 206
დავით სოსლანი 91, 164, 165, 166, 198
დაჩი 32, 33, 60
დაჩი ვახტანგის ძე 113
დაჩი მეფე 36
დაჩი [მეფის ძე] 28
დაჩი უჯარველი 109
დემეტრე 47, 69, 70, 71, 80, 131, 132, 135
დემეტრე ბაგრატის ძმა 78
დემეტრე ერისთავი 32
დემეტრე კლარჯი 79, 80, 121, 122
დემეტრე მეფე 65
დემნა 131, 132, 134, 163
დიმიტრი მეფე 240, 250
დიმიტრი [მეფე] 231, 241, 242, 244, 245, 246, 257, 258
დიმიტრი მეფის ძე 239
ღინარ [illegible] 62, 71
დონღუზ [illegible] 232
დოლაფოს [illegible]ვაშის ძე 151, 153

ეგარსლან 208, 212
ეგროსი 11, 15, 17
ერაკლე [illegible] 35
ერეკლე 254
ერეკლე [II] 104
ესეუქანი 232, 233
ეფთვმე 31
ეფთვმი 77
ექვთიმე ათონელი 9

ვარაზ ბაკურ 110, 111
ვარაზბაქარი 22
ვარაზვარე 108
ვარაზმან 44,49
ვარამი 204
ვარამ გაგელი 207, 208, 212
ვარდან დადიანი 151, 160, 164, 166, 167, 168
ვარდანის ძენი 139, 140
ვარდან კოლონკელის ძე 126
ვაჩე კარიჭის ძე 77
ვაჩნაძე, მანაველი 176
ვახახი 254
ვახტანგ 25, 26, 49, 54, 57, 109, 117, 253
ვახტანგ გორგასალი 18, 49, 60, 121
ვახტანგ დავითის ძე 246
ვახტანგის ძეები 264
ვახტანგ მეფე 23, 27, 28, 44, 48, 245, 259, 260
ვახტანგ [მეფე] 24, 29, 30, 32, 50, 257, 258
ვახტანგ მეფის ძმა 253
ვახუშტი 140, 203, 228, 241, 246
ვეზან (=ბეჟან) 108

ზაალ მალექი 260
ზაქარია 149, 232
ზაქარია ასპანის ძე 138
ზაქარია გაგელი 186
ზაქარია ვარამის ძე 168, 169, 170
ზაქარია მხარგრძელი 181, 184, 231
ზაქარია [მკარგრძელი] 130, 182, 188
ზაქარია ფანასკერტელი 172, 173
ზაქარია შანშას ძე 212, 232, 247

თამარი 90, 91, 92, 106, 107, 123, 124, 136, 137, 138, 139, 140, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 174, 175, 176, 177, 179, 180, 181, 182, 184, 187, 191, 192, 193, 197, 198, 199, 200, 201, 202, 222, 240, 241, 245, 258
თამარის ისტორიოსი 99, 105, 136, 140, 145, 159, 175, 185, 240, 261
თამარის ისტორიოსი მეორე 123, 128
თამარის ისტორიოსი პირველი 123, 161, 183, 198
თარეანი — ხაზართ გოლიათი 30
თაყაიაღინ თმოგველი 186
თაყა ფანასკერტელი 255
თეგუთარ 238
თეოდორე 90
თეოდორე პატრიარქი 168

თეოდოსე 58, 70, 71
თეოდოსე უფლისწული 65
თეოდოსი თვალმწუხარე 68, 69
თორელი 164, 207, 223
თორღა 212
თოღრილ III 177
თრდატ გოლიათი 124
თრდატ სომეხთ მეფე 16, 29
თუქალი 250

Iაკობ მღვდელი 14, 15
იაკობ [ცურტაველი] 38
იასიბუღა 249
იმნ ალასირი 205
ივანე 245
ივანე ათაბაგი 190, 203, 214
ივანე ახალციხელი 183, 184, 186, 187, 207, 241, 250
ივანე ვარდანის ძე 133, 168, 169
ივანე თორელი 184
ივანე ლიპარიტის ძე 85
ივანე მარუშის ძე 70
ივანე მსახურთუხუცესი 186
ივანე [მხარგრძელი — მჭარგრძელი] 130, 149, 184, 176, 188, 202, 205
ივანე ორბელი 90
ივანე სარგისის ძე 169, 170
ივანე (უმცროსი ძმა) 184
ივანე ქართლის ერისთავი 70
ივანე ციხისჯვარელი 164, 166, 176, 205, 258
ივანე შანშას ძე 232, 237, 257
ილია [ჭავჭავაძე] 9, 17
ილდიგიზი 145
ინგოროყვა პ. 22
იოანე 52, 77, 81
იოანე არჩილის შვილი 113
იოანე ბანელი 80
[იოანე] ბანელი ეპისკოპოსი 78
იოანე-ზოსიმე 20
იოანე კათალიკოსი 181
იოანე მარუშის ძე 69, 70
იოანე საბანის ძე 66
იოანე ქართლის ერისთავი 70
იოანე შანშას ძე 239
იოანე ჭიმჭიმელი 123
იოვანე არჩილის ძე 56, 60
იოვანე ბანელი ეპისკოპოსი 77
იოვანე მოძღუარი 101
იოსეფ ფლავიოსი 123
იშხანიკ 62

Კაკაბაძე სარგის 264
კუცკი 196
კახა 231
კახაბერ ვარდანის ძე 151
კახაბერ კახაბერის ძე 141, 151, 152, 153, 227, 243
კახაბერ რაჭისა და თაკუერის ერისთავი 139, 140
კახა თორელი 9, 181, 237
კახა სამძივარი 172, 173
კეკელიძე კ. 173
კვირიკე 63, 64, 89
კვირიკე კახთა მეფე 62, 71
კვირიკე რანთა და კახთა მეფე 70
კვირიკე სომეხთ მეფე 65
კირაკოსი 208
კირაკოს განძაკელი 231
კირ მიხაილ კომნინოსი 251
კოლონკელის ძე 129
კონსტანტინე 75, 77, 78
კოსტანტინე-კახაბ 78
კრავაი ჯაველი 149
კრუპნოვი 9
კჩრიკე ქორეპისკოპოსი 65
კუირიკე ქორეპისკოპოსი 63, 64

Lაკუა პლატონი 123
ლაშა 183, 190, 193, 195, 201, 222, 258
ლაშა-გიორგი 200, 210
ლაშა მეფე 200
ლაშა უფლისწული 187
ლაშა ჯაველთ უფალი 184
ლეონ აფხაზთ მეფე 91
ლეონ აფხაზთა მთავარი 49
ლეონ გიორგის ძე 63, 64
ლეონ ვახტანგის ძე 36
ლეონი 50, 63

ლეონტი [ლეონტი მროველი] 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 18, 20, 21, 22, 23, 50, 247
ლიპარიტ 60, 61, 74, 78, 79, 81, 82, 83, 84, 89
ლიპარიტ ამირა 88
ლიპარიტ დიდი 71
ლიპარიტ სუმბატის ძე 134

მალიქშა 88
მანანდიანი 77, 121
მანგასარ სადუნის ძე 251
მანკაბერდელი 223
მარგუ (ფარნავაზის ერისთავი) 15
მარიამი 83
მარიამი ბაგრატის დედა 121
მარუშიანის ძე 151
მასყუდი 145
მაყა 168
მეგრელაძე დ. 6
მირდატ 29, 30, 33, 36
მირდატ ვახტანგის ძე 113
მირი 33, 40, 43, 44, 45, 48, 49, 51, 52, 54, 113
მირიან 13, 16, 29, 54
მირიან მეფე 14, 24, 44
მირიანის ძე 150
მიქაელი 155, 156, 172
მიქაელი ეპისკოპოსი 24, 28
მიქაელ კათალიკოსი 197, 198
მიქელ მირიანის ძე 197
მიჰრანი 29
მიჰრ 38
მობადან 24
მოსე ხორენელი 23
მურვან ყრუ 38, 50, 112, 113
მურვან გურკლელი მახუნჯაგის ძე 232
მუტაფრადინი 162
მუჰამედ ხორეზმშაჰი 193

ნავროზ 249
ნათაძე გ. 190
ნაოხრებლის შვილი 244
ნარინ დავითი 132, 212, 213, 219, 225, 226, 232, 243
ნარინი 214, 227, 238
ნასრა 60
ნასრ გუარამის ძე 61
ნებროთ 10
ნერსარან ერისთავი 32
ნერსე 111
ნერსე ერისთავი 114
ნერსე ერის მთავარი 115
ნერსეს ბაკურის ძე 108
ნერსესიანი 48
ნერსეს ნერსესიანი 44
ნერსწ 110
ნიკოლაოს 198
ნიკოლოზ გულაბერის ძე 199
ნინო [წმინდა] 14, 15, 16, 24, 50

ოთახა ყაენი 251
ოლჯაით 260, 261
ორბელი 134, 235, 236, 239, 246
ოროზმოროზის ძე 116

პაპა სარგის 228, 229, 258
პეტრე კათალიკოსი 26
პეტრიწი 20
პლანო კარპინი 211, 231
პლუტარქოსი 123
პოლიკარპე 160

წამთააღმწერელი 8, 183, 201, 202, 203, 204, 208, 216, 218, 220, 223, 224, 237, 241, 247, 262

რატი 71
რატი ბეგას შვილი 249
რატი გლონისთავის ძე 172
რატი კლდეკარის ერისთავი 71
რატი სურამელი 134, 151, 153, 154
რატი ქართლის ერისთავი 149
რატი პირველი ლიპარტიანი 82
რევი 44
რეე მირიანის ძე 29
რომანოზ მეფე 121
როსტომი 53
რუსუდან 137, 138, 139, 201, 204, 205, 207, 245
[illegible]ქნედინი 185, 186

ხაბა მტბევარი 78
სადუნ ათაბაგი 250
სადუნი 232, 234, 235, 236, 239, 240, 241, 242, 244, 245, 246, 251, 258
სადუნის პაპა 163
სადუნ მანკაბერდელი 258
სათამ ზეზდინი 177
სამანღირ ერისთავი 32
სამოელ ეპისკოპოსი 26
სამძივარი 164
საურმაგ 13, 20
სარგისი 234, 236, 249
სარგის თმოგველი 172, 173, 174, 183, 212, 232
სარგის მხარგრძელი [მკარგრძელი] 133, 149, 150, 151
სარგის სპასალარი 249, 250, 253
სარგის ჯაველი 224, 226, 232, 233, 237, 239, 240, 241, 247
საღირის ძე 166
საღირ კოლონკელის ძე 152
საღირ მახატელის ძე 174, 175
საპაკი 108
სერაპიონ ზარზმელი 120
სიბდივანი 249
სითილ არაბი 85, 86
სიმუჩი 257
სირმონა 249
სიფდივანი 245
სოლომონ 123
სოსლანი [დავით] 162
სტეფანოზ 33, 35, 37, 110
სტეფანოზ მეორე 112, 113, 114
სტეფანოზ მთავარი 38
სტეფანოზ ნერსეს ძე 110, 111
სტეფანოზ პირველი 113
სულა კალმახელი 82, 85
სულა კალმახის ერისთავი 84
სუმბატ 59, 232, 233
სუმბატ დავითის ძე 77, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 119, 120
სუმბატ [კლარჯი ხელმწიფე] 121
სუმბატ ორბელი 219, 220
სურამელი 207, 208, 223, 231

ულო ყაენი 212, 213, 249
ულუ დავითი [დავითი] 132, 163, 212, 213, 219, 222, 223, 225, 226, 227, 228, 229, 230, 232, 233, 235, 236, 237, 238, 264
ულჯაითუ 262, 263
უმეკი 228
უმიროსი [ჰომეროსი] 123
ურმიზდ 33, 37

ფადლონ 71, 72, 73, 74, 86
ფადლონ განძელი 85
ფარეჯან 249, 250
ფარნავაზ 12, 13, 14, 15, 18
ფარსმან 33, 109
ფარსმან თმოგველი 78, 81
ფარსმანიშვილი 253
ფარსმან სხვაა 109
ფარსმან ფარუხი 30
ფარსმან ქუელი 21
ფერის ჯოჯის ძე 76
ფეროზ 43, 44, 48
ფილიპე ნერსეს ძე 110, 111

ქავთარ ივანეს ძე 134
ქავთარ ტბელი 69
ქართლოსი 11, 15, 17
ქასრე ამბარვეზი 33, 34, 37
ქვაბულის ძე ფარაჯიანი სარგის 227
ქეითაღუ ყაენი 250
ქურთი 163

შაზან ყაენი [ყაენი] 250, 251, 252, 254, 257, 258, 262, 263
ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესი 203, 205
ყვარყვარე ჯაველი 210, 212
ყიზილარსლან ათაბაგი 160, 162
ყიფიანი დიმიტრი 20
ყრუ ბაღდადელი 119
ყრუ [მურვან ყრუ] 51
ყუარყუარე 207
ყუბასარი 134, 135, 141, 144, 147, 151

ყუთლუ 138, 166, 170, 197
ყუთლუ არსლანი 145, 146, 147, 148, 150, 151, 154, 165, 175, 198

შაბურის ძე 254
შადინი 227, 228
შალვა ახალციხელი 184, 186, 241
შალვა ბოცოს ძე 232
შალვა თორელი 183, 184
შალვა ქვენიფნველი 252
შანშა 204, 223, 231
შანშა ზაქარიას ძე 209
შანშა იეანეს ძე 252
შანშე 208, 212
შარაშიძე ქრ. 232
შარეანშე 124
შოთა 212
შოთა რუსთველი 8, 9, 181
შოთა პერეთის მთავარი 207
შოთაი ძე ართავაჩოგის ძისა 133
შუშან 56

ჩალატა 205
ჩახრუხაძე 9, 123
ჩინგიზ ყაენი 205, 246
ჩობანი 249, 263
ჩორჩანელი 53
ჩუბინი 34

ცოტნე დადიანი 208, 211, 212

ციაბერი 151, 164, 176
ციაბერი მანდატურთუხუცესი 150, 164, 169
ციაბერი მეჯინიბეთუხუცესი 135

ხარბანდა 263
ხაღბეგი 264
ხვაშაქი 245
ხვაშაქი ცოქალი 149
ხორენელი 18, 21, 22
ხოჯა აზიზი 228, 229, 230, 231
ხუასრო მეფე 27
ხუარანძე [ვახტანგ მეფის დაი] 29
ხუტლუბუღა 244, 245, 250, 253, 257

ჯავახიშვილი-გამრეკელ 260
ჯავახიშვილი ივ. 23, 50, 116, 139, 153
ჯალალედინი 204
ჯალალი 203, 204, 210
ჯაფარლის ძე 74
ჯიგდა 219, 233
ჯიქური 219, 220, 233, 235
ჯიქური მესტუმრე 214, 221
ჯონბერ ჯონბერიანი 49
ჯუანშერ არჩილის ძე 60, 112, 113
ჯუანშერ გორგასლიანი 59
ჯუანშერი 8, 17, 21, 22, 23, 25, 26, 29, 30, 31, 33, 35, 37, 38, 40, 44, 45, 46, 50, 52, 54, 56, 67, 108, 112, 113, 114, 247
ჯუანშერ სპასპეტი 25, 32
ჯუანშერ ჯუანშერიანი 44, 50

ჭაოსი 10
ჭეროსი 11

ბ. გეოგრაფიულ სახელთა

აბოცი 44, 48
აგარა 134
აგარაკი 26
ადარბერდაკანი 124
აზია 228
ათორმეტი უდაბნოი 241
ალამუთი 210
ალბანია 31, 65
ალექსანდრია 180
ალი 232
ამერეთი 167
ამიერკავკასია 11, 74, 97, 213, 254
ამუჩი 231
ანაკოფია 38, 40, 79
ანისი 95, 128, 130, 156, 185, 186, 187, 188

ანისის კარი 134
არაბეთი 48, 66
არაგვის [საერისთავო] 13
არანის ქვეყანა 185
არარატი 11, 124
არგვეთი 15, 51, 61, 208, 153
არგვეთის საერისთავო 15
არგუეთი 44, 48, 49, 85, 166
არდაველი 185, 189
არეზი 13
ართვინი 117
არიან ქართლი (იხ. ჰერ-ქართლი) 38
არმაზი 31
არმაზისხევი 31
„არმენია“ 11
არსიანი 59
არტანი 26, 49, 59, 82, 86, 112, 113, 114, 251
არტანი ქვემო 232
არტანნი 241
არტანუჯი 13, 18, 66, 81, 85, 116, 118, 119, 121, 203, 241, 251, 259
არყი 85
ასისფორი 59
ასპანი 88
აწყურაგანი
ატენი 71, 77, 78, 79, 250
აფხაზეთი 13, 18, 23, 49, 67, 68, 69, 70, 74, 166, 236
„აფხაზეთი“ 48, 66, 84, 167
აფშილეთი 38
აღმოსავლეთი 19, 20, 106, 121, 152
აღმოსავლეთ საქართველო 48, 67, 68, 81, 134, 139, 166, 167, 168, 174, 204, 212
აშორნა 124
აწყვერი 27, 85
აწყური 26, 82, 229
აჭარა 11, 12, 15, 59, 151, 241, 251
ახალქალაქი 18, 78, 79, 82, 256, 262
ახალციხე 82, 229, 241, 256, 259
ახიზა 26

ბალაყუნი (ქვემო) 16
ბალყუნი 130
ბანა 77, 156
ბანსოლი 117
ბარდავი 33, 37, 44, 94, 130
ბასიანი 186, 210, 256
ბასიანის ქვეყანა 129
ბაღდადი 22
ბედია 68
ბელაქანი 239, 240
ბიზანტია 15, 24, 35, 36, 37, 59, 66, 77, 85, 226
ბირთვისი 81, 85
ბოდოკლდე 82, 85, 195
ბოლნისი 26
„ბოსტან ქალაქი“ 21
ბოცოთ ხევი 228
ბოჭორმა 63

ბაგი 65, 126, 168, 169, 170, 187, 207
განძა 77, 89, 94, 95, 160, 170, 174, 179, 186, 187, 202, 203
გარეჯა 197, 239
გარეჯის მთები 242
გარდაბანი 49, 60
გეგუთი 166
გელათი 107
გელაქუნი 160, 162, 170
გილანი 262
გიმი 89
გლუხორი 229
გორი 90, 97, 103, 248, 249, 250, 252
გოჯი (ციხე) 54
გუასპურაგანი 112
გულგულა 49
გურგანჯი 206
გურია 18, 44, 48, 49, 51, 153, 166
გურკლის ჭალა 232

დამასკო 106
დარიალანი 229
დარიალის გზა 251
დარიალის კარები 252
დარიალის კარი 226
დარუბანდი 129, 227, 246
დასავლეთ ევროპა 96, 170
დასავლეთ საქართველო 13, 46, 48, 67, 68, 70, 82, 151, 157, 164, 166, 167, 177, 264

ღვალეთი 21, 53, 229
ღვინი 124, 130, 186, 187, 188
ღვინის ქვეყანა 156
დიდგორი 95, 96, 106
დიდოეთი 20
დიდუბე 161
დიღუმი 87
ღლივი 71
ღმანისი 26, 85, 86, 94, 95, 188, 239, 250, 251
ღოლისყანა 116, 117, 118

ეგვიპტე 257, 262
ეგრი 32, 118
ეგრისი 11, 15, 17, 18, 20, 21, 23, 27, 38, 44, 48, 49, 50, 51, 61
ეგრის წყალი 13, 32, 36
ეგრი (შიდა) 21
ეზინკი 163, 164, 165, 210
ეკლეკი 112, 126
ერაყი 205, 206
ერეთი 62, 239
ერუშეთი 26
ერწო თიანეთი 14, 16
ერწუხი 89

ვალაშკერტი 209
ვაშლოვანი 138, 172, 241
ვარძია 182
ვეკინი 18

ზემო რაჭა 20
ზენა სოფელი (ქართლი) 44, 49
ზორაკერტი 187
ზღვისპირი 229

თაგრიზი 95
თაკვერი 49, 208
თაკვერის [საერისთავო] 13
თაკვერი ქვეყანა 140
თაკვერი ციხე 140
თაკვერი 44, 48, 139, 140, 166, 175
თბილისი 16, 35, 36, 74, 81, 82, 83, 85, 86, 94, 95, 97, 107, 108, 141, *157, 175, 188, 204, 207, 227, 228,* 234, 239, 253, 259
თბილისის საამირო 60
თელავი 239, 240
თიანეთი 71
თმოგვი 121, 144, 173, 207, 229, 256, 259, 264
თორთომი 255
თორი 134, 207, 256, 261
თრეხვი 23
თრიალეთი 44, 48, 60, 61, 71, 75, 78, 89, 97, 195, 208, 259
თრიალეთის [საერისთავო] 13
თუშეთი 21
თუხარისი 11, 12, 18, 78, 80

იბერია 12, 16, 22, 31, 40, 52, 57
იბერიის სამეფო 59
იერუსალიმი 210
იმერეთი 67, 167, 170, 171, 225, 238
იორი 34, 87
ისანი 147, 189
ისანის ველი 146

კაენი 116, 168, 169, 170
კავკასია 20, 66
კავკასიის კარები 229
კავკასია წინა 90, 255
კაიწონი 168, 170
კალმახი 18, 84
კამბეჩანი 108
კამბეჩის ვაკენი 242
კამბეჩის ქვეყანა 174
კარი 183, 184, 186, 187, 200, 239, 241, 250, 251, 258
კარნიფოლა 241
კარნიფორა 251
კარული ქვეყანა 184, 187, 250, 258
კარნუ ქალაქი 163, 164, 165, 234, 241
კაღზევანი 124, 125
კახეთი 11, 16, 17, 18, 22, 28, 32, 34, 46, 49, 50, 56, 60, 62, 63, 71, 74, 75, 85, 86, 89, 157, 168, 207, 239, 242
კახეთის სამთავრო 60
კახეთ-კუხეთი 28
კახეთი ძველი („წანარები") 29

კახეთ-ჰერეთი 11, 72
კეტერა 18
კისისკევი 197
კლარჯეთი 12, 15, 18, 26, 34, 44, 48, 52, 53, 59, 60, 86, 112, 113, 114, 115, 116, 119, 120, 151, 157, 163, 166, 172, 173, 241, 251
კლდე 53
კლდეკართა ციხე 60, 61, 82
კლდეკარი 77, 78, 79, 81, 85, 89, 141
კლდეკარნი 77, 81
კლისურა 32, 36
კოლა 199, 241, 251
კოლას მთა 172
კონსტანტინეპოლი 28, 77, 81, 164
კორიდეთი 12
კოტმანი 44, 49
კოხტასთავი 256
კუმურდო 68
კუხეთი 16

ლაზიკა 48
ლეჩხუმი 21
[ლიხთ] აღმოსავლეთი 82
ლიხთიმერეთი 46, 63, 157, 170, 225
ლიხთიმერი 79, 140, 168, 243
ლიხთიქითი 59, 65, 66, 82, 140, 157, 158, 169, 177, 204, 206
ლიხი 66
ლიხს აქათი 213
ლორე 95, 97, 127, 134, 135, 144, 146, 149
ლორის კარი 134
ლოწობანი 64

მაუერანნაპარი 205, 206
მანგლისი 26, 81
მანგლისის ჭევი 44, 49
მარგვეთი 47, 175
მარგუ 27
მარგული 21
მარმუცი 200
მასხისი 11, 130, 160
მარტვილი 93
მესხეთი 66, 80, 140, 157, 185, 210, 224, 256, 257, 258, 260, 264
მთეულეთი კახეთისა 33
მთიანეთი 18
მთიულეთი 20, 21, 259
მთიულეთი (შუა) 44
მთიულეთი ყოველი 44, 49
მოვაკანი 33, 37
მტკვარი 13, 31, 36, 87, 94
მტუერის ციხე 11
მუღანი 248
მუხრანი 248, 250
მცხეთა 12, 21, 27, 29, 31, 61, 68, 71, 84, 108, 109, 236

ნადარბაზევი 195
ნაკარმაგევი 87, 90, 135, 136
ნახჩავანი-ნახჭავანი 130
ნეკრესი 22
ნელკარისი 22
ნიგალი 12, 59
ნიგალისხევი — ნიგალისკევი 116, 117, 118, 241, 251
ნიკორწმინდა 140
ნიკოფსი 13, 227, 246
ნინოწმინდა 26
ნიქოზი 26

ოვსეთი 93
ოვსთა ციხე 248
ოლთისი 75
ორბეთი 81, 166, 264
ოსმალეთი 13
ოძრხე-ოძრხე 13, 18, 26, 27, 82, 85, 195, 229

პალაკაციო 157
პალესტინა 40
პანკისი 18, 208
პირღებული 195

რანი 30, 33, 34, 37, 38, 71
რაჭა 13, 18, 139, 140, 141, 151, 152, 153, 166, 175, 207, 208, 227, 243, 248

რაჭის მთიულეთი 21
რაჭის ციხე 140
რახსი-რაჭსი 161, 187, 209
რიონი 15
რომი 22
რუისი 84
რუმი 262
რუსთავი 26, 86, 97
რუსთავის არხი 28

ხაბერძნეთი 15, 32, 34, 36, 51, 52, 65, 76, 77, 78, 81, 85, 87, 110, 121, 210, 232, 248, 261, 262
საგოდებელის სანახები 145
საეგრო 166
სამგორი 28
სამთავისი 197, 198
სამოქალაქო 166
სამშვილდე 11, 18, 65, 68, 90, 97, 195, 208
სამშვილდის კარი 134
სამცხე 26, 118, 134, 168, 205, 207, 208, 210, 228, 232, 241, 246, 250, 251, 254, 255
სამცხე-საათაბაგო 85
სამცხის ჭეეუანა 205
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 86, 157, 207
სამხრეთ რუსეთი 255
სამხრეთ საქართველო 166
სარაი 232
საქართველო 11, 17, 49, 67, 74, 77, 87, 91, 101, 104, 106, 107, 126, 138, 144, 149, 152, 153, 156, 157, 159, 165, 167, 172, 174, 175, 177, 184, 185, 187, 188, 191, 193, 201, 204, 205, 206, 208, 209, 210, 212, 213, 214, 215, 216, 221, 222, 225, 226, 227, 228, 232, 234, 239, 240, 242, 244, 245, 246, 247, 251, 252, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264
სვანეთი 20, 166
სიბა 234
სიენიეთი 112
სინას მთა 101
სინდეთი 32
სირია 24, 209, 210
სომხეთი 16, 22, 24, 77, 90, 103, 112, 121, 182, 206
სომხითი 13, 16, 32, 46, 90, 95, 112, 124, 146, 149, 157, 168, 239
სპარსეთი 12, 14, 24, 34, 36, 40, 44, 48, 134, 175, 178, 189, 221
სპერი 187, 271
სპერის ზღუა 11, 12
სუანეთი 20, 32, 44, 48, 49
სურამი 248

ტანას ხეობა 94
ტაო 22, 53, 70, 71, 76, 77, 85, 151, 210, 239, 241, 251, 255, 256
ტაო-კლარჯეთი 60, 72, 114, 172
ტაოსკარი 172
ტაო ქუეშო 59
ტასის კარი 32, 241, 251, 256
ტაშირი 44, 48, 134
ტბეთი 78, 85, 228, 236
ტრაპიზონი 48
ტფილისი 44, 49, 56, 57, 96, 110, 124, 204, 227

უკრაინა 255
ურბნისი 27, 84
ურდო 229, 239, 242, 246, 248, 249, 254, 262, 264
ურდო (ოქროსი) 238, 243, 252
ურდო (ჩრდილოეთის) 213, 229, 232, 251, 252
უფლისციხე 69, 70, 81, 85
უჯარმა 28
უჯარმის კარი 26
უჯარმო 34, 130

ფანავრი 36
ფანასკერტი 208
ფარცხისი 81
ფოცხოვის ხეობა 232
ფშავი 21
ფხოეი 14, 21

[ქალაქნი] ჩრდილოსანი 11
ქართლი 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 21, 23, 25, 30, 31, 32, 34, 36, 37, 38, 44, 47, 51, 52, 53, 56, 57, 58, 59, 60, 61, 63, 65, 66, 67, 68, 69, 70, 74, 77, 78, 81, 84, 85, 87, 88, 93 105, 108, 109, 110, 112, 114, 115, 119, 134, 149, 157, 168, 169, 197, 207, 238, 239, 244, 247, 248, 252, 254, 255, 256, 259, 260, 262
ქართლი (საკუთრივ) 12, 16
ქართლი (სოფელი) 31
ქართლი (ქალაქი) 31
ქართლ-კახეთი 66, 140, 254
ქართლი (ყოველი) 11, 12, 15, 16, 35, 108
ქვაბულიანი 228, 229
ქსანი 53
ქუა-ჯურელი 70
ქუთათისი 54, 227, 232
ქუთაისი 47, 48, 61, 66, 68, 84, 90, 227
ქურდვაჭრის ხევი 133, 168
ქურდვაჭარი 170
ქურდის ჯევი 44, 49

ღადონი 119
ღანუხი 89
ღაღვა 130
ღრტილა 82

ყარაყორუმი 212
ყარსი 195
ყველი 13, 81, 85, 229
ყუელი 81

შაბურანი 129
შავი ზღვა 40
შავშეთი 13, 18, 59, 85, 86, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 156, 163, 166, 172, 208, 228, 241, 251, 173
შავშეთის ჯევი 119
შამი 209, 210, 262
შამქორი 176, 177, 179, 184, 186, 210
შანქორი 71, 72, 73

ძარვანი 90, 130
შიდა ქართლი 11, 26, 78, 85, 90
შირიმნი 75
შირვანი 89, 94, 103, 157, 187
შორაპანი 50, 51
შულაველი 49, 112, 113, 114
შურის ციხე 64

ჩელეთი 26
ჩრდილოეთი 91, 159

ციხისჯვარი 229
ციხისჯუარი 82, 85
ცურტავი 26
ცხმორისი 161

ძამის ციხე 260

ჭანეთი 251
ჭართალი 14
ჭოროხი 116, 117, 118
ჭოროხის ხეობა 12
ჭერემი 26
ჭყონდიდი 197

წაღვლისთავი 90
წინა აზია 144, 178, 189, 208, 229, 257
წირქოლი 172
წობენი-წოვენი 15
წობენ-მთეული 14
წუნდა 26, 32
წუქეთი 49
წყალწითელა 51
წყისე 27

ხაზარეთი 48
ხახული 156
ხევის [საერისთაო] 13
ხერკი 44, 49
ხვარასანი 244
ხინგრისწყალი 169
ხილხალა 129
ხიხათი 18, 85, 151
ხორასანი 205, 206, 262
ხორეზმი 95, 206

ხორნაბუჯი 18, 26, 53, 108, 174, 175, 208
ხუნანი 11, 18, 94, 97
ხუფათი 82

ჭევი 18

ჯავახეთი 26, 36, 44, 48, 78, 85, 86, 173, 183, 184, 187, 195, 239, 241, 251, 256, 261, 262
ჯაყი 229
ჯორჯანეთი 27, 28, 53
ჯუარი 44, 49
ჯუზჯანი 205

ჰავკალა 87
ჰალაზი 106
ჰამადანი 177
ჰაღბატი 200
ჰარიან ქართლი 38
ჰერეთი 11, 17, 18, 27, 28, 30, 31, 32, 38, 46, 49, 71, 75, 86, 89, 126, 133, 134, 166, 168, 207, 208, 248
ჰერი 38
ჰერ-ქართლი (იხ. არიან-ქართლი) 38

შემოკლებანი

1. აზმ. კ. — ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოცემა.
2. ან. — ანასეული ქართლის ცხოვრება.
3. ახ. ქცა. — ახალი ქართლის ცხოვრება.
4. ბარ. — ნიკ. ბარათაშვილის 1938 წ. გამოცემა.
5. ბ. ე. მ. — ბასილი ეზოსმოძღვარი.
6. გვ. — აღინიშნება მითითება წყაროზე.
7. დას. საქ. — ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები.
8. ვახ. (და წელი) — ვახუშტის თხზულების სათანადო გამოცემა.
9. ისტ. საბუთები. — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები.
10. მდ. — მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.
11. ქეი (და წელი) — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია.
12. ქრ. — თ. ეორდანია, ქრონიკები.
13. ქსი. — ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია.
14. ქცა. — ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა
15. შოთა. — ვეფხისტყაოსანი.
16. ფ. — აღინიშნება საარქივო ერთეული.
17. წ. — წიგნი ნ. ბერძენიშვილის არქივიდან.
18. П. ДГ. — Пурцеладзе Дм. Дворянские грамоты.
19. П. КГ. — Пурцеладзе Дм. Крестьянские гуджары.
20. П. ЦГ. — Пурцеладзе Дм. Церковные грамоты.

შინაარსი

რედაქციისაგან	5
[შესავალი]	7
[ლეონტი მროველი]	10
[ჯუანშერი]	23
[მატიანე ქართლისა]	56
[დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი]	87
[სუმბატ დავითის ძე]	108
აშოტის სიკვდილისათვის	115
[ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი]	123
თამარის ხანის საქართველო	141
ხელის მემკვიდრეობა	172
თამარის საგარეო პოლიტიკა	192
[ბასილი ეზოსმოძღვარი]	196
[ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე]	200
[ეკმთააღმწერელი]	201
საძიებლები	266
შემოკლებათა განმარტება	208

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1078

რედაქტორები: ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ი. ნ ა ს ა რ ი ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 21.4.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.8.1979;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 16,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,5;

უე 01207; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1489;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. № 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Николай Александрович Бердзенишвили

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ
КНИГА IX

(на грузинском языке)